გურამ ყორანაშვილი

საქართველოს ისტორიის საკითხები

(ნაწილი I)

გამომცემლობა „მერწყული“
თბილისი
1994

63.3.(2ს)
ყ 642

კრებულში შესულია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი სტატიები, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. იგი ცდილობს ნაწილობრივ მაინც შეავსოს ის ხარვეზი, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიის მეთოდოლოგიისადმი, საერთოდ ისტორიის თეორიისადმი დამოკიდებულებაში დღემდე არსებობს. ამგვარი ვითარება თუ ერთ დროს საბჭოური წყობილებით, კერძოდ მისი იდეოლოგიით აიხსნებოდა, ახლა დიდად შეუწყნარებელი გახლავთ. ვფიქრობთ კრებულის გამოცემა სასარგებლო იქნება როგორც ჰუმანიტარებისათვის, კერძოდ სტუდენტობისათვის, ასევე ჩვენი ისტორიით დაინტერესებულ ფართო წრის მკითხველთათვის.

რეცენზენტი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ანრი ბოგვერაძე

©გ.ყორანაშვილი, 1994

გამომცემლობა „მერწყული“

წინასიტყვაობა

საუკუნის დასაწყისში ჩვენი უდიდესი ისტორიკოსი და მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „თითოეული ხალხის ისტორიის შესწავლაზეა დამოკიდებული ბევრის მხრივ ის მეცნიერება, რომელსაც ისტორიის ფილოსოფიას ეძახიან, რომელიც შეადგენს ჩვენი მეცნიერების უზენაეს მიზანს"[1]. მაგრამ, სამწუხაროდო, აღნიშნავდა იგი, „საქართველოს ისტორიის მეცნიერულ, კრიტიკულ შესწავლას ჯერ იმ დონემდე არ მიუღწევია, რა დონეზედაც ძველი საბერძნეთისა, რომისა და დასავლეთ ევროპის ისტორია იმყოფება, რომ ისტორიკოსმა ძირითადი ფაქტების უცილობლობის წყალობით თითქმის სრულებით დაუსაბუთებლად სწეროს და მარტო ზოგადი პრობლემების განხილვით იყოს გატაცებული"[2]. ცნობილი ფაქტი გახლავთ, რომ ნაშრომის „ისტორიის მიზანი, წყაროები, მეთოდები წინათ და ახლა" მესამე წიგნში ივანე ჯავახიშვილი ფიქრობდა ისტორიის ფილოსოფიის ყველა საკითხის შესწავლას, რაც, სანუხაროდ, არ დასცალდა.

მოტანილი მაგალითებიდან თვალნათლივ ჩანს თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეოცე საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის კორიფე ისტორიის (ისტორიული პროცესის) თეორიული, ფილოსოფიური პრობლემების შესწავლას. მაგრამ ეს შესწავლა, ცხადია, მხოლოდ თვითმიზანს როდი წარმოადგენს; ჩვენი ისტორიული პროცესის ცალკეული მხარეების, ისტორიული ეპოქების და საერთოდ მთელი ისტორიის ზოგადი, ფილოსოფიური გააზრება უთუოდ საჭირო რამ გახლავთ და ასეთ შემთხვევაში ქართული ცივილიზაციის, კულტურის სიმწიფის გამოვლინებასთან გვექნება საქმე. მაგრამ, მეორე მხრივ, ესეც არასაკმარისი იქნება. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ისტორიოგრაფიასა (საისტორიო მეცნიერებასა) და ისტორიის ფილოსოფიასთან ცალ-ცალკე გვექნება საქმე. არანაკლებ საჭირო ვიდრე საქართველოს ისტორიული პროცესის ფილოსოფიური გააზრებაა, გახლავთ ისტორიოგრაფიისა და ფილოსოფიის სინთეზი. ემპირიული კვლევა-ძიება, რაგინდ წარმატებული და ფართო არ იყოს იგი, მოგეხსენებათ, მაინც მეცნიერების დაბალ საფეხურს წარმოად-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი (მეხუთე გამოცემა), 1960, გვ. 2.
2 იქვე.

გენს და ნამდვილი მეცნიერება მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა ხდება ემპირიული და თეორიული, ფილოსოფიური აზროვნების შეერთება-სინთეზი. ამ მხრივ ქართული ისტორიოგრაფია ძალზე ჩამორჩა. ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში ცნობილი ისტორიკოსი გრიგოლ ნათაძე წერდა: „ქართული ისტორიული სინთეტიური აზროვნება იქამდის განუვითარებელია, იქამდის ჩამორ-ჩენილი, რომ ვერც ერთ მეთოდოლოგიურ საკითხს იგი მკითხველს ვერ გაურკვევს. ქართველი ისტორიკოსების შრომები, რომლებშიც კვლევა-ძიების, ასე ვთქვათ, ტექნიკური მხარე, მიმარ-თული ისტო-რიული ფაქტების დადასტურების მიზნისადმი, ამ ბოლო დროს დიდ სიმაღლეზე დგას და ამ მხრივ ზოგჯერ თანამედროვე ევროპიულ მეცნიერების თანაბრად არის, ისტორიული სინთეტიური აზროვნებისა და ცოდნის სისტემატიზაციის მხრივ კი სრულიად დაბალ საფეხურზე დგას".[1] ეს კრიტიკული გააზრება—შეფასება, სამწუხაროდ, დიდად აქტუალურია დღევანდელ პირობებშიც.

ჩვენი ცნობილი მოაზროვნე გერონტი ქიქოძე ამ ოცდაათიოდე წლის წინათ აღნიშნავდა: „ჩვენმა მკვლევარებმა — ვახუშტი ბატონიშვილმა, მარი ბროსემ, დიმიტრი ბაქრაძემ, თედო ჟორდანიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა, კორნელი კეკელიძემ და სხვებმა არსებითად უკვე დაასრულეს ისტორიული მასალების ძიების და კრიტიკული შემოწმების საქმე. ახლა საჭიროა ისტორიკოსი, რომელიც საქართველოს ისტორიას ზოგადი ფილოსოფიური თვალ-საზრისით შეხედავს და ერთ მონუმენტურ მხატვრულ სურათს დახატავს"[2]. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ უზუსტობას „ისტორიული მასალების ძიების და კრიტიკული შემოწმების" „არსებითად უკვე დასრულების" თაობაზე, რაც, რასაკვირველია, მითუმეტეს იმხანად არ მომხდარა, ძირითადში გერონტი ქიქოძე მართალი გახლდათ: საჭიროა ჩვენი ისტორიული პროცესის (იგული-სხმება ეკონომიკური, სოციალური (სოციალური სტრუქტურის),

---

[1] გ.ნათაძე, საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები, ნაკვეთი I, ტფილისი, 1931, გვ. 2. იქვე ეკითხულობთ: „აქედან ცხადია, რომ მეთოდისტი ქართული სკოლისა უნდა თავიდან იწყებდეს მუშაობას და ჯერ თეორიულ, მეთოდოლოგიურ საკითხებს არკვევდეს და მერე გადადიოდეს პრაქტიკულ მეთოდიკის საკითხებზე". დღესდღეობით ამას არათუ საშუა-ლო სკოლაში, არამედ უმაღლესი სასწავლებლების საისტორიო ფაკულტეტებზეც კი არ აქვს ადგილი.

2 გ.ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტ. II, 1964, გვ. 426.

პოლიტიკური, კულტურული და ა.შ.) ცალ-ცალკე მხარის წარმოდგენა კი არა (ისიც უკეთეს შემთხვევაში), არამედ სინთეზი, გამთლიანება. ეს კი არა დიდი სამეცნიერო კოლექტივების, არამედ ერთი ან უკიდურეს შემთხვევაში ერთეული ისტორიკოსების ამოცანაა. მთელისა და ნაწილის გააზრება-გაგება ერთი და იგივე სირთულისა როდი გახლავთ. როგორც დიდი ილია იტყოდა: „შემოქმედობის ძალის ღონიერობა ერთი და იგივე არ არის, როცა ერთი მთელს გადასწვდება ხოლმე და მეორე-კი — მარტო ნაწილსა“. მაგრამ ისტორიკოსს მთლიანი ისტორიული პროცესის გააზრებისას დიდ ერუდიციასთან ერთად ესაჭიროება თეორიული, ფილოსოფიური აზროვნების სათანადო უნარი.

სამწუხაროდ ქართული ისტორიოგრაფია მთლად სასურველი მიმართულებით როდი წარიმართა. ფართოდ გაიშალა ემპირიული კვლევა-ძიება როგორც საკუთრივ ისტორიოგრაფიის, ისე არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სფეროებში. მაგრამ მეცნიერების თეორიული, მეთოდოლოგიური დონე ჩვენში საგრძნობლად ჩამორჩა. ეს გარემოება თავდაპირველად, 30-იან-40-იან-50-იან წლებში, განაპირობა იდეურ სფეროში არსებულმა ვითარებამ — ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებების დოგმატურმა და არასწორმა გაგებამ. ამ დებულებების მექანიკურ დაზეპირებასა და მიყენებას ქართული ისტორიული პროცესისადმი ხშირად ზიანი მოჰქონდა ხოლმე. მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში მკვეთრად დაისვა საკითხი ისტორიის მეთოდოლოგიის განვითარების თაობაზე. მას შემდეგ საბჭოურ (უმთავრესად რუსულ) საისტორიო მეცნიერებაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ქართულ ისტორიოგრაფიაზე, სადაც ისტორიის თეორიული, მეთოდოლოგიური პრობლემების დამუშავება დღემდე ძალზე არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. ასე რომ, ქართველ ისტორიკოსებს დიდი ძალისხმევა მართებთ შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად. უწინარესად საჭიროა თანამშრომლობის გაძლიერება ფილოსოფოსებთან. და ეს, ვიმეორებთ, ოდენ ცალკეული მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავებისათვის კი არა, არამედ ჩვენი ისტორიული პროცესის ნამდვილად მეცნიერულ დონეზე წარმოსაჩენად.

ჩვენი ისტორიოგრაფიის ამჟამინდელი მეთოდოლოგიური დონის მდგომარეობის ნათელსაყოფად მოვიტანთ ზოგიერთ მაგალითს.

მარქსისტი ისტორიკოსისათვის, როგორც ცნობილია, უეჭველი გახლავთ დებულება წარმოების წესის როგორც საფუძვლისა საზოგადოების, ისტორიული პროცესის დანარჩენი მხარეების მიმართ, მაგრამ სანარმოო ძალების შინაარსი გაიგება მხოლოდ ტექნიკითა და მშრომელი ადამიანით. ამდენად აღნიშნული ცნებიდან გამოირიცხება გეოგრაფიული გარემო, შესაბამისად ბუნებრივი საწარმოო ძალები, ხალხთმოსახლეობა მთლიანად, ე.ი. დემოგრაფიული სიტუაციების ჩვენება, მოცემული საზოგადოების გარემომცველი ისტორიული გარემო, რომელიც აჩქარებს ან აფერხებს ამა თუ იმ საზოგადოების წარმოების წესის განვითარებას. მთლიანად საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელმა აღნიშნულმა ნაკლოვანებამ, რა თქმა უნდა, თავი იჩინა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. ემპირიული კვლევა-ძიების საფეხურზე, ფაქტების ზეგავლენით, ისტორიკოსები იძულებულნი არიან აქა-იქ, კანტი-კუნტად აღიარონ გეოგრაფიული ან ისტორიული გარემოს მნიშვნელობა, მაგრამ სათანადო დასკვნების გაკეთებისას მათ ხელს უშლის გეოგრაფიული და ისტორიული გარემოს მნიშვნელობის საერთო იგნორირება.

გეოგრაფიული გარემო, მოგეხსენებათ, ყველა ისტორიულ ეპოქაში ერთნაირად როდი ზემოქმედებს საზოგადოებაზე. ამ ზემოქმედებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საზოგადოების განვითარების საფეხურიც. ასე მაგალითად, მიმთვისებლური და მწარმოებლური მეურნეობის სტადიებზე საქართველოს ბუნება საზოგადოების განვითარებაში იგივენაირ როლს არ თამაშობდა როგორც ცივილიზაციის ჩასახვა-განვითარებაში. ამის შემდეგაც მთისა (მთიანეთის) და ბარის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივი პირობები ერთგვაროვანი საფუძველი როდი ყოფილა ისტორიული პროცესის გაშლა-განვითარებისათვის. ზემოთქმული სისტემატურ გააზრებას საჭიროებს, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით არაა [illegible]ებული. თითქმის იგივე ითქმის ისტორიული გარემოს მნიშვნე[illegible]ასა და საკითხის დამუშავებულობის თაობაზე.

[illegible]ავიღოთ კლასობრივი საზოგადოების პირველი ფორმის საკითხი. 30-იანი წლების დასაწყისში სიმონ ჯანაშია სავსებით სწორად შეეცადა ძველი ქართული საზოგადოებანი განეხილა როგორც არამონათმფლობელური, შერწყმა სხვადასხვა ეკონომიკური წყობებისა. მაგრამ „მოკლე კურსის“ გამოსვლის შემდეგ მან მნიშვნელოვა-

ნაწილად შეიცვალა თვალსაზრისი. ამის შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდ ხანს დარჩა გაბატონებული ჩვენი ძველი საზოგადოებების მონათმფლობელური ხასიათის მტკიცება. მხოლოდ 60-იანი წლების მეორე ნახევარში, უცხოელ მარქსისტთა და საბჭოთა ისტორიკოსთა მიერ წამოწყებულ დისკუსიათა შედეგად, მოხდა ამ დებულების გადასინჯვა (სახელდობრ გ.მელიქიშვილის მიერ). მაგრამ ამ შემთხვევაშიც ბევრი რამ სათანადოდ გასააზრებელი ხდება, კერძოდ მონათმფლობელობის წარმოების წესად ჩამოუყალიბებლობის მიზეზები, ძველი კოლხეთისა და ქართლის (იბერიის) სახელმწიფოთა ხასიათი და ა.შ.

„მოკლე კურსისაკე" გავლენით გაჩნდა და დიდ ხანს არსებობდა შეხედულება, რომლის თანახმადაც მონათმფლობელური საზოგადოების ფეოდალიზმით შეცვლა სოციალური (სოციალურ-პოლიტიკური) რევოლუციის მექანიზმით მოხდა. ე.ი. თითქოსდა ძველი, მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში ადგილი ჰქონდა ახალი საწარმოო ძალების კონფლიქტს არსებულ გაბატონებულ წარმოებით ურთიერთობებთან, გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა, მოხდა მონათა ძლევამოსილი აჯანყება, რის შედეგადაც თითქოს დამყარდა ახალი, ფეოდალური საზოგადოება. აღნიშნული თვალსაზრისი მიყენებულ იქნა (კერძოდ სიმ. ჯანაშიას მიერ, იგი გაიზიარა ნიკო ბერძენიშვილმაც) შესაბამისი ეპოქის ქართული ისტორიული პროცესის მიმართ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კლასობრივი დაპირისპირებულობის აქტიურ მხარედ წარმოდგენილ იქნა ფეოდალთა კლასი და შესაბამისად თითქოსდა მომხდარ რევოლუციას „ფეოდალური" ეწოდა.

ამჟამად ფეოდალური რევოლუციის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში აღარ დაისმის. მაგრამ არავინ ცდილა მთელი სიღრმე-სიგანით გაეაზრებინა აღნიშნული დებულების მართებულობა-უმართებულობის საკითხი. თუ ფეოდალიზმზე გადასვლისას ჩვენში ადგილი არა ჰქონდა ფეოდალურ რევოლუციას, მაშინ როგორ, რა მექანიზმით მოხდა ეს გადასვლა? ამაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არაა პასუხი გაცემული.

ქართული ფეოდალიზმის ევოლუცია მეექვსე-მეთორმეტე საუკუნეების მანძილზე გაიაზრებოდა მთლად საფრანგეთის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურად. სინამდვილეში ასეთი ევოლუცია მხოლოდ საფრანგეთში, თანაც ერთ რეგიონში — ჩრდილო-აღმოსავლეთ

ნაწილში, შეინიშნება. მითუმეტეს მთლად ასეთი სახით გამოირიცხება იგი გერმანიაში, ინგლისში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. ასევე იყო საქართველოს მიმართაც, რაც ახსნას საჭიროებს.

ცნობილი — და, ცხადია, ჭეშმარიტება — გახლავთ აზრი კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის განვითარებისა და დიდი მნიშვნელობის თაობაზე. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ისტორიაში კლასობრივ ჩაგვრასთან ერთად ეროვნულ ჩაგვრასაც ჰქონდა ადგილი. კითხვა ისმის: რა ემართებოდა კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერებას ეროვნული დაჩაგრულობის პირობებში? ეს უკანასკნელი სიტუაცია კი, ე.ი. ეროვნული დაჩაგრულობა, ჩვენში ხშირი იყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით კლასობრივი ბრძოლა ჩვენი საზოგადოების ისტორიას ისევე განმსჭვალავდა როგორც საფრანგეთისას, რუსეთისას და ა.შ. (ნ.ბერძენიშვილის აზრი). მაგრამ ეს ძალზე საეჭვო დებულება გახლავთ.

გავრცელდა თვალსაზრისი (იგი წამოაყენა ნ.ბერძენიშვილმა), რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში მხოლოდ 60-იან წლებში დაიწყო, ე.ი. მაშინ, როცა ადგილი ჰქონდა ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოების ელემენტების თვალსაჩინო ჩასახვა-განვითარებას, სამოციანელების გამოსვლას საზოგადოებრივ ასპარეზზე. ხშირად ამავე პერიოდში გულისხმობენ ქართველი ერის გაჩენას, ჩამოყალიბებას. ეს აზრებიც ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია.

მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ ბევრი შეიძლებოდა. მაგრამ მოტანილიც, ვგონებთ, კმარა იმის საილუსტრაციოდ თუ ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენი რამ არის გასაკეთებელი მეთოდოლოგიური დონის ასამაღლებლად.

წინამდებარე კრებულში შევეცადეთ შეძლებისდაგვარად ნაწილობრივ მაინც შეგვეესო ქართულ ისტორიოგრაფიაში, ასევე ფილოსოფიაში, არსებული აღნიშნული ხარვეზი. თუ რამდენად შევძელით ამ ამოცანის აღსრულება, ამის თაობაზე მსჯავრის გამოტანა თვითონ მკითხველთათვის მიგვინდია.

1989 წ.

გეოგრაფიული ფაქტორის როლი საქართველოს ისტორიულ პროცესში

თავისთავად ცხადია, რომ გეოგრაფიული ფაქტორის როლის ჩვენება შესაბამისი ქვეყნის ისტორიულ პროცესში საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური ამოცანა უნდა იყოს. ამ მხრივ ჩვენი ისტორიული პროცესის შესწავლას გარკვეული ტრადიციები აქვს, რაც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის მოქცევას ანტიკური საზოგადოების საისტორიო ცნობიერებაში. ახალ დროში აღნიშნული პრობლემის გაცნობიერებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენმა ცნობილმა ისტორიკოსმა და გეოგრაფოსმა ვახუშტი ბატონიშვილმა. შემდეგაც ეს საკითხი მთელ რიგ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ყურადღების ცენტრში იდგა, რაზედაც შედარებით ვრცლად შემდგომში ვილაპარაკებთ. მაგრამ მიუხედავად ასეთი ტრადიციებისა, საქართველოს ბუნების როლის ჩვენება ჩვენს ისტორიაში ვერ გაღრმავდა, რაც განაპირობა შემდეგმა გარემოებამ.

ცნობილია, რომ საისტორიო კვლევა-ძიებას საბჭოთა კავშირში 40-იან-50-იან წლებში მეთოდოლოგიურ საფუძვლად დაედო ი.ბ. სტალინის ნაშრომი „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ". აღნიშნულ ნაშრომში მოცემული მსჯელობანი საზოგადოების განვითარების მექანიზმის მთელ რიგ საკითხებზე არსებითად განსხვავდება თვით კ.მარქსისა და ფ.ენგელსის მემკვიდრეობისაგან მთელი რიგი კარდინალური პრობლემების შესახებ. ერთ-ერთ ამ საკითხთაგანს წარმოადგენს საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის გარკვევა. ერთი მხრივ, ი.ბ.სტალინის ბროშურაში სწორად იყო მითითებული იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ფაქტორი წარმოადგენს საზოგადოების არსებობა-განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, მაგრამ, მეორე მხრივ, მასში ლაპარაკია წარმოების წესის გადამწყვეტ როლზე საზოგადოების განვითარებაში ისე, რომ თვით წარმოების წესის შინაარსი განხილულია გეოგრაფიული გარემოს გარეშე. იგი დახასიათებულია, როგორც ადამიანის, მისი შრომითი ჩვევებისა და შრომის იარაღების ერთობლიობა. ამ სისტემაში კი, როგორც ვხედავთ, ბუნებას აღარაფერი როლი აღარ რჩება საზოგადოების ფუნქციონირებაში. თუმცა 50-იან-60-იან წლებში ამ სისტემაში შეტანილ იქნა შრომის საგანიც, მაგრამ უკანასკნელის შინაარსს ძალზე ვიწრო მნიშვნელობით იაზრებენ. ცხადია, რომ თუ შრომის საგანს განვიხილავთ ფართო მნიშვნელობით, ე.ი. არა მხოლოდ დამამუშავებელი ხელოსნობისა და მრეწველობის თვალსაზრისით, მასში უნდა ვიგულისხმოთ ნიადაგები, ტყეები, სასარგებლო წიაღისეული და ა.შ. ასე რომ, როცა შრომის საგანზეა ლაპარაკი,

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საზოგადოების გარემომცველი ბუნების ბევრი ელემენტი. ამდენად, ცხადი ხდება გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების სტატიკურ მდგომარეობაში წარმოდგენისას.

მით უფრო „გაჰქრა" ბუნების როლის მნიშვნელობა შესაბამისი საზოგადოების დინამიკის ჩვენებაში. საზოგადოების განვითარების მექანიზმი ი.ბ.სტალინის ნაშრომში გაიგებოდა ასე: განსაზღვრული იარაღებისა და ადამიანის შრომითი ჩვევების ერთობლიობა განაპირობებდა შესაბამის წარმოებით ურთიერთობებს, ამით შესაბამისი საზოგადოების ფიზიონომიას. საბოლოოდ ახალი იარაღების გაჩენა იწვევდა ახალი საზოგადოების წარმოქმნას. ცხადია, საზოგადოების განვითარების მექანიზმის ასე წარმოდგენა არავითარ ადგილს არ ტოვებს ბუნების მნიშვნელობისათვის საზოგადოების განვითარებაში (დინამიკაში).

თუმცა ი.ბ. სტალინის ნაშრომში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ" ლაპარაკია გეოგრაფიული გარემოს როლზე საზოგადოების განვითარების დაჩქარება-შენელების საქმეში, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო პრობლემის მნიშვნელობა ამით სულაც არ ცხადდება. ავტორის მიერ საზოგადოების განვითარება წარმოდგენილია მსგავსი საფეხურებით, განურჩევლად იმისა, თუ რომელ ბუნებრივ რეგიონში ჰქონდა ამ განვითარებას ადგილი. ყველანი პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების დაშლის შემდეგ გადიოდნენ მონათმფლობელობას, ფეოდალიზმს, მაგრამ ამ საფეხურების გავლა თითქოს ხდებოდა დაჩქარებულად ან შენელებულად თითოეული ან, ყოველ შემთხვევაში, მრავალი საზოგადოების (ისტორიული რეგიონის) მიერ. „დაჩქარება-შენელების" ისე წარმოდგენა, რომ ცალკეულ ბუნებრივ რეგიონებში საზოგადოება იყინებოდა ევოლუციის ერთ საფეხურზე, სხვაგან კი ხდებოდა ორი ან მეტი საფეხურის გავლა და ა.შ., რომ ევოლუციის მაღალი საფეხურების არსებობას ადგილი ჰქონდა მხოლოდ შეზღუდულ ისტორიულ, — შესაბამისად ბუნებრივ, — რეგიონებში, თითქოს ნიშნავდა ისტორიული მატერიალიზმის ფარგლებიდან გამოსვლას და გეოგრაფიული დეტერმინიზმის პოზიციებზე დადგომას. ერთი სიტყვით, თუ ი.ბ.სტალინის აზრებიდან გამოვალთ ბუნების როლის შესახებ საზოგადოების ევოლუციაში, ეს ევოლუცია მხოლოდ საზოგადოების შრომითი აქტიურობით (შრომითი იარაღების, ჩვევების განვითარება) უნდა აგხსნათ. ამდენად, ბუნების როლს საზოგადოების არსებობა-განვითარებაში თითქოს ადგილი არ რჩება, იგი უნდა წარმოადგენდეს ე.წ. ბურჟუაზიული სოციოლოგიისა და ისტორიოგრაფიის კუთვნილება.

აქ არ შევუდგებით დაწვრილებით იმის გადმოცემას, თუ როგორ განსხვავდება აქ მოტანილი შეხედულება კ.მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებისაგან მოცემულ საკითხზე. ისტორიული მატერიალიზმის კლასიკოსები საკმარისად უწევდნენ ანგარიშს იმას, რომ ადამიანთა წარმოებითი აქტიურობა ეს უმნიშ-

ვნელოვანესი პირობაა საზოგადოების განვითარებისათვის, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს აქტიურობა რეალიზდება ხელსაყრელ პირობებში. უამრავი მაგალითია იმისა, რომ ამ უკანასკნელი ფაქტორის არარსებობისას მოხდა საზოგადოების სტაგნაცია დაბალ ფორმაციებზე. თუ წინაკაპიტალისტურ ევოლუციაში გეოგრაფიული გარემოს განსხვავებულობებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების ევოლუციაში, — რამდენადაც მრავალ საზოგადოებას განვითარება უხდებოდა იზოლირებულად, არ არსებობდა რა მოწინავე საზოგადოება, რომელიც პირველთათვის განვითარებულ ისტორიულ გარემოდ იქცეოდა, — კაპიტალიზმის განვითარების პირობებში ამ მხრივ ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. ამან განსაზღვრა საფუძველი მთელს პლანეტაზე ეკონომიკური, სოციალური და ა.შ. ცხოვრების უნიფიკაციისათვის, რისი მძლავრი ტენდენციებიც გაიშალა XIX და განსაკუთრებით XX საუკუნეში.

მაგრამ ახალ ვითარებაშიც კი სულაც არაა უგულებელსაყოფი ბუნებრივი პირობების როლი საზოგადოების განვითარებაში. ეს ნათლად ჩანს საქართველოს მაგალითზეც.

მიუხედავად სხვა ქვეყნებთან შრომის დანაწილების თვალსაჩინო განვითარებისა, რის შედეგადაც გადალახა ჩვენი ბუნების ზოგიერთი არახელსაყრელობა, მაინც ცხადია საქართველოს გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობა ახალ ვითარებაში. დავიწყოთ სოფლის მეურნეობიდან. მეურნეობის აღნიშნული სფეროს დარგების განვითარება დაკავშირებულია გარკვეულ ბუნებრივ ზონებთან. ჩაისა და ციტრუსების კულტურები გავრცელდა, როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს ზონაში, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროზე; მევენახეობა ყველაზე მეტად განვითარდა — კახეთში, სადაც ამ დარგისათვის საქართველოში, — და მსოფლიო თვალსაზრისითაც კი, — ძალზე ოპტიმალური პირობები არსებობს; მეხილეობა, ამავე მიზეზის გამო, ფართოდ გავრცელდა შიდა ქართლის რაიონებში; აღმოსავლეთი საქართველო კვლავ რჩება ხორბლის მწარმოებელ რეგიონად საქართველოში; ასევე ითქმის მეცხვარეობის განვითარებაზეც; სამხრეთ საქართველოს რეგიონში გავრცელდა სოფლის მეურნეობის ახალი დარგი — მეკარტოფილეობა; პურეული კულტურებიდან დასავლეთ საქართველოში ყველაზე გავრცელებულ სახეობად რჩება სიმინდი. რაც შეეხება ბოსტნეულისა და ბაღჩეულის წარმოებას, იგი ყველაზე მეტად კონცენტრირებულია გარდაბნის, მარნეულის, წყალტუბოსა და სამტრედიის რაიონებში, რაც გასაღები ბაზრების გარდა (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, წყალტუბო), — განსაკუთრებით პირველ ორ რაიონში, — ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებითაც აიხსნება.

კვლავ რთულ პრობლემად რჩება საქართველოს მთიანი რეგიონების, — განსაკუთრებით ჩრდილოეთისა, — სოფლის მეურნეობის მდგომარეობა. მიწა-

თმოქმედების ფართოდ განვითარება, მისი ინტენსიური დარგები ამ რეგიონებში გამოიჩიცხება[1]. რაც შეეხება მესაქონლეობას (მეცხვარეობას), ამ მხრივ უკეთესი პირობები გაჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის რაიონებისათვის ჩრდილოეთი კავკასიის ზამთრის საძოვრების გამოყენების გამოისობით. მესაქონლეობის სხვა დარგებისათვის კი ჩვენი რესპუბლიკის ჩრდილოეთ მთიან მხარეში ოპტიმალური პირობები ვერ შეიქნა ახლაც კი, ბუნებაზე საზოგადოების ასეთი ძალაუფლების პირობებში.

ავიღოთ მრეწველობის სამთო-მომპოვებელი სფერო. მისი დარგებიდან ჩვენში თვალსაჩინოდ განვითარდა მარგანეცის, ქვანახშირის, სპილენძის მოპოვება, ახლა გაჩნდა პერსპექტივა ნავთობის მოპოვებისა. ამრიგად, მრეწველობის აღნიშნული სფეროდან განვითარდა სამი დარგი და განვითარდება კიდევ ერთი. ასე რომ, საქმე გვაქვს ოთხ დარგთან, სახელდობრ ოთხთან და არა ორთან ან ექვსთან. შესაძლებელია შემდეგში ექვსი დარგიც გახდეს, მაგრამ ეს დაკავშირებული იქნება გეოლოგიური მეცნიერებისა და მომპოვებელი ტექნიკის ბევრად უფრო მაღალ დონესთან, დღევანდელმა დონემ კი სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი დარგები განაპირობა.

აღნიშნული გარემოება უფრო ნაკლებ ითქმის დამამუშავებელი მრეწველობის მიმართ, ვინაიდან ნედლეულისა და სათბობის გადატანის, ენერგიის გადაცემის წყალობით ეკონომიკის ეს დარგი უფრო ნაკლებადაა „მიკრული" შესაბამის ბუნებრივ პირობებთან, ე.ი. ნედლეულის, სათბობისა და ა.შ. მოპოვების ცენტრებთან. ასე მაგალითად, თბილისის, ქუთაისის და რუსთავის, როგორც რესპუბლიკის თვალსაჩინო დამამუშავებელი ცენტრების, არსებობა, სულაც არ განისაზღვრება ადგილებზე ნედლეულისა და სათბობის მოპოვებით. მაგრამ ზემოთ აღნიშნული აზრი არ უნდა გავიგოთ აბსოლუტური მნიშვნელობით, თითქოს დამამუშავებელი მრეწველობის დარგები სრულიადაც არ იყვნენ დაკავშირებული შესაბამის ბუნებრივ პირობებთან. ცხადია, რომ ნედლეულისა და სათბობის სიახლოვისას, სხვა თანაბარ პირობებში, წარმოების რენტაბელობა უფრო მაღალია. ცნობილი ფაქტი გახლავთ, თუ როგორ დავას იწვევდა რუსთავის მეტალურგიული კომბინატის შექმნა. აღნიშნული ქალაქის სიახლოვეს, როგორც ვიცით, არც ქვანახშირია და არც რკინის მადნის საბადოები. შემოტანა ხდება ნედლეულისაც და სათბობისაც. ამასთანავე დაშქესანის რკინის მადანი საკმაოდ მდარეა. თუ შავი მეტალურგიის ცენტრი შეიქმნებოდა ტყვარჩელში ან ტყიბულში და იგი იმუშავებდა დონბასის ბევრად უფრო მაღალხარი-

---

1 მაგალითად, მესტიის რაიონში (ფართობი 3044,5 კვ.კმ.) სახნავ-სათესს ტერიტორიის ერთ პროცენტზე ნაკლები (2200 ჰექტარამდე) უკავია,ლენტეხის რაიონში (ფართობი 1344,4 კვ.კმ.) — 2200 ჰა, ონის რაიონში (1326,3 კვ.კმ.) — 1400 ჰა, ჯავის რაიონში (1144,8 კვ.კმ). 2500 ჰა, ყაზბეგის რაიონში (1081,9 კვ.კმ.) - 300 ჰა და ა.შ.

სხოვან რკინის მადანზეც, მაშინ ჩვენი მეტალურგიული ცენტრის ეკონომიკური ეფექტიანობა უფრო მაღალი იქნებოდა. რასაკვირველია, შექმნილი ბუნებრივი სახის დაბრკოლებანი შავ მეტალურგიაში შესაძლებელია გადაილახოს, მაგრამ ამისათვის საჭიროა კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, მუშების, ადმინისტრაციისა და ა.შ. მეტი აქტიურობა.

თუ კომუნიკაციებზე შევჩერდებით, დავინახავთ, რომ საქართველოს ბარი ამ მხრივაც ბევრად უფრო განვითარებულია მთიან ნაწილზე. მთაში, ბარისაგან განსხვავებით, დღემდე ვერ განვითარდა სარკინიგზო ქსელი, მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადატანა მთაში ნაკლებად წარმოებს — ამას ართულებს რთული რელიეფიც.

საქართველოს ბარის რაიონებში მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის კონცენტრაციამ, აქ სატრანსპორტო არტერიების ფართოდ გაშლამ, შედეგად გამოიღო ქალაქების მნიშვნელოვანი მასშტაბებით განვითარება. მილიონზე მეტი მცხოვრების შემცველი ქალაქი (თბილისი), ქალაქი, რომლის მოსახლეობა 200 ათასს აჭარბებს (ქუთაისი), ქალაქები, რომელთა მოსახლეობა 100 ათასს აღემატება (რუსთავი, ბათუმი, სოხუმი), განვითარდა სახელდობრ საქართველოს ბარის რაიონებში. ამათგან განსხვავებით, საქართველოს მთაში 20 ათასი მცხოვრების შემცველი ქალაქებიც კი ვერ წარმოიშვა. ერთი სიტყვით, ის დიდი პრობლემა, რომელიც გულისხმობს საქართველოს მთის მოსახლეობის განვითარებასა და კულტურული დონის ამაღლებას, წარმოიშვა გეოგრაფიული გარემოს არახელსაყრელობის ნიადაგზე. წარმოების მაღალი განვითარების პირობებმაც კი ვერ გადალახა ის დიდი სხვაობა, რასაც წარსულ ისტორიულ ვითარებაში წარმოშობდა საქართველოს მთა და ბარი შესაბამისი რეგიონების ისტორიული სვე-ბედის განსხვავებულობას.

კიდევ მეტი. საქართველოში ბარს უკავია მთელი ტერიტორიის ერთი მესამედი ნაწილი, ე.ი. დაახლ. 23000 კვ. კმ, თუ კოლხეთის ჯერ ამოუშრობელ ჭაობთა მასივს გამოვრიცხავთ — 21000 კვ. კმ. და ამ ფართობზე ცხოვრობს რესპუბლიკის მოსახლეობის 80 პროცენტი, ხოლო მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე აქ 160 მცხოვრებს აღემატება. მთელი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რომ ასეთი სიმჭიდროვე არსებობდეს, მაშინ ჩვენი მოსახლეობა თერთმეტ მილიონ მცხოვრებს გადააჭარბებდა, ე.ი. იმდენივე იქნებოდა, როგორც საბერძნეთსა და უნგრეთში. შესაბამისად ბარის რაიონებში იქმნება რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის 80 პროცენტზე მეტი. მთიან რეგიონებშიც რომ ასე ყოფილიყო კონცენტრირებული წარმოება და მოსახლეობა, როგორც ბარში, მაშინ ჩვენი ეროვნული შემოსავალი სამჯერ მეტი იქნებოდა.

ასეთია ის დაბრკოლებანი, რომლებიც ვერ გადაილახა ჩვენი რესპუბლიკის

ინდუსტრიალიზაციის პირობებშიც კი. ამის გამო განსხვავება ბარსა და მთას შორის კვალავ დიდია.

თუ გეოგრაფიული პირობების დიდი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ა.შ. განვითარებაში დღევანდელი განვითარების დონეზეც კი ცხადია, მით უფრო ნათელი უნდა იყოს ამ პირობათა როლი ჩვენს ისტორიულ პროცესში. ამდენად ჩვენი ისტორიული პროცესის სათანადო გააზრება შეუძლებელია იმ ბუნებრივ გარემოსაგან მოწყვეტით, რაშიც იგი გაიშალა. ჩვენ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ბუნებისა და საზოგადოების მჭიდრო ურთიერთზემოქმედების მხოლოდ ერთ ასპექტზე შევჩერდით, სახელდობრ ბუნების თვალსაჩინო როლზე უახლესი ხანის ქართული საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში. მაგრამ არ შეიძლება მხოლოდ ამ ასპექტით შემოვიფარგლოთ. ბუნების როლმა თავი იჩინა მთელ რიგ გარემოებებშიც, რაზედაც ნაწილობრივ შემდგომ ვილაპარაკებთ. შესანიშნავ აზრს გამოსთქვამდა ჩვენი დიდი პოეტი ვაჟა-ფშაველა, როცა ბუნების როლზე ამბობდა: „ჩვენ ბუნებაში ვართ, — იგი ჩვენშია. საით, როგორ შეგვიძლიან იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავექცეთ, დავემალნეთ?! ცოცხალნიც მისი ვართ, მკვდარნიც!“[1].

პოეტი დამოუკიდებლად, თავისი შემოქმედების სფეროში მისწვდა იმას, რაც უფრო ადრე და თანაც სულიერი შემოქმედების სხვა სფეროში გააცნობიერეს ისტორიული მატერიალიზმის ფუძემდებლებმა.

მოკლედ საკითხის გააზრების ისტორიიდან

როგორც აღვნიშნეთ, აზრი საქართველოს ბუნების როლის თაობაზე ჩვენს ისტორიულ პროცესში საკმაოდ მდიდარი ტრადიციის მქონეა. მაგრამ ეს ტრადიცია ნაკლებად იწყება ჩვენი ისტორიოგრაფიის წარმოქმნის ხანიდან. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი ისტორიოგრაფოსები ძირითადად პოლიტიკურ ან რელიგიის ისტორიას გადმოსცემდნენ. მათი აზროვნების სფეროში არ შედიოდა საკითხი, თუ როგორ საფუძველს წარმოადგენდა ჩვენი ბუნება ქვეყნის ისტორიული განვითარებისათვის, შესაბამისად საქართველოს ბუნება შეფასების გარეშე რჩებოდა. თუ ლეონტი მროველის მიხედვით ვიმსჯელებთ და მისი საკმაოდ „სწორხაზოვანი“ აზროვნებიდან (ნაციონალიზმის, პატრიოტიზმის არარსებობის თვალსაზრისით) გამოვალთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართ-

---

1 ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ.IX, 1964, გვ. 395. შეად. კ.მარქსისა და ფ.ენგელსის აზრს: „ადამიანი ცხოვრობს ბუნებით. ეს ნიშნავს რომ ბუნება გახლავთ მისი სხეული, რომელთანაც ადამიანი მუდმივი ურთიერთობის პროცესში უნდა დარჩეს, რათა არ მოკვდეს. ადამიანის ფიზიკური და სულიერი ცხოვრება რომ განუყრელადაა დაკავშირებული ბუნებასთან, სხვას არ ნიშნავს თუ არა იმას, რომ ბუნება განუყრელად არის დაკავშირებული თავის თავთან, რამეთუ ადამიანი ბუნების ნაწილს შეადგენს“. К.Маркс, Ф.Энгельс. Из ранних произведений, М., 1956, с. 565.

ველოს ბუნება მხოლოდ სომხეთისას ჩამორჩებოდა (თარგამოსმა „უმჯობესი ქვეყნისა მისისა მისცა ჰაოსს, ხოლო შვიდთა ამათ მისცა ხუედრი მათი არძანგებისაებრ მათისა“), სჯობდა რა დანარჩენ მიმდებარე ქვეყნებს[1]. სხვა რამ ჩვენთვის საინტერესო პრობლემის გარშემო ჩვენს ისტორიკოსებთან ვახუშტი ბატონიშვილამდე არ გვხვდება.

ბევრად უფრო საინტერესოა ამ მხრივ ბერძენ, რომაელ და ბიზანტიელ ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ. გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელნი ქართველ ავტორთაგან განსხვავებით მათთვის უცხო ქვეყანას, უცხო პირობებს, აღწერდნენ, ეს იმითაც აიხსნება, რომ პირველთა მსოფლმხედველობა უფრო ფართო იყო და, ქართველთა პოლიტიკური ცხოვრების ჩვენების გარდა, შესაბამისი ხალხის ფიზიკურ ბუნებასაც მოიცავდა.

პირველი ბერძენი მეცნიერი, რომელსაც ფართო ხასიათის მსჯელობანი ჰქონდა საქართველოს, კერძოდ კოლხეთის ბუნებაზე, მის როლზე მოსახლეობის განვითარებაში, იყო ჰიპოკრატე (ძვ.წ. 460-377 წწ.). მედიცინის მამამთავარს შენიშნული აქვს კოლხეთის ჰავის ცუდი თვისებები: მეტისმეტი სინოტივე, ამის გამო ქვეყნის თვალსაჩინო მასივების დაჭაობებულობა, არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების როლი მოსახლეობის ნაწილის ხასიათის ჩამოყალიბებაში, გავრცელებული სნეულებების წარმოქმნაში.

აღსანიშნავია სტრაბონის ცნობები საქართველოს შესახებ. მისთვის, უფრო ზუსტად მათთვის, ვინც სტრაბონისათვის ინფორმატორები იყვნენ, შეუმჩნეველი არ დარჩენილა ბარისა და მთიანეთის ან მთიანეთთან მიმდებარე მოსახლეობის ცხოვრების პირობების (რასაკვირველია მხოლოდ ბუნებრივის არა!) ურთიერთ განსხვავებულობა. სტრაბონი რამდენჯერმე იმეორებს, რომ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრები აქეელები, ძიგები და ჰენიოხები, საერთოდ კავკასიონის მახლობლად მცხოვრები ტომები, მათ შორის სვანები, ღარიბები და მცირე მიწის მქონენი არიან, ცხოვრობენ ვიწრო ხეობებსა და მწირ ადგილებში. ამის გამო, — ალბათ ამას აცნობიერებდა სტრაბონი, — მათს ცხოვრებაში ყაჩაღობა-მეკობრეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. სახელდობრ იბერიის მთიელებზე სტრაბონი ამბობს, რომ მიწათმოქმედებას, — ვარგისი მიწების სიმცირის გამო, — ისინი ნაკლებად მისდევენ. იბერიის მთიანეთისაგან განსხვავებით, უკეთესია ბარი. კერძოდ, კოლხეთის შესახებ იგი ლაპარაკობს, რომ ქვეყანაში კარგი ნაყოფები იცის. უფრო გამოკვეთილად ლაპარაკობს ბერძენი გეოგრაფოსი იბერიის ბუნების ხელსაყრელობის თაობაზე.

საერთოდ, ანტიკურ ავტორთა ნაწილი კოლხეთს იხსენიებს როგორც ნა-

---

[1] მეორე მხრივ, უკვე ამ დროისათვის ქართველთა ყოველდღიურ ცნობიერებაში ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა აზრს იმაზე, რომ საქართველო ბუნების მხრივ ყოვლად შემკული ქვეყანა გახლდათ, ისეთი, რომელიც ღვთისმშობელს შეეფერებოდა წილად და კიდევაც „იქცა“ ასეთად.

ყოფიერ ქვეყანას, ნაწილი კი — როგორც ნაკლებად ნაყოფიერს (პროკოპი კესარიელი, მენანდრე და სხვ.). ფართო მსჯელობა აქვს მესხეთზე პროკოპი კესარიელს, რომლის მიხედვითაც ქვეყანა ბუნებრივი პირობების მიხედვით მთლად ოპტიმალური არ გახლავთ, მაგრამ მესხთა შრომისმოყვარეობის წყალობით მაინც საკმაოდ მდიდარია.

ამ უცხოელ ატორთაგან განსხვავებით საქართველოს ბუნების შესახებ ბევრად უფრო მწირ ცნობებს გვაწვდიან აღმოსავლეთის ისტორიკოსები. ისინი ძირითადად აღნიშნავენ ქვეყნის დაპყრობის სიძნელეს მთაგორიანობის გამო.

ახალ ხანაში, XVII საუკუნიდან მოყოლებული (არქანჯელო ლამბერტი, პიეტრო დე ლა ვალე, ჟან შარდენი, რუსი ელჩები, ი.გიულდენშტედტი), უცხოელი ავტორები ჩვენთვის საინტერესო საკითხს უფრო ფართოდ აშუქებენ, ვიდრე ანტიკური ხანის მწერლები.

პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც ფართო ნააზრევი დაგვიტოვა საქართველოს ბუნებაზე, მის როლზე მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებაში, იყო ვახუშტი ბატონიშვილი. იგი, როგორც ცნობილია, თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში" ფართოდ გადმოსცემს საქართველოს ცალკეული რეგიონების ბუნებას, მოსახლეობის ხასიათის თვისებებს, მეურნეობის ფორმებს. იგი კუთხეებს ყველაზე მეტად ასხვავებს იმ ნიშნით, მევენახეობა-მეღვინეობასთან ერთად მიწათმოქმედებას და მესაქონლეობასაც მისდევენ თუ არა. ვახუშტიმ კარგად იცოდა, რომ ზღვარი მევენახეობის გავრცელებისა იყო რელიეფის სიმაღლე და შესაბამისად ჰავის სითბო-სიცივე. აღნიშნულის გარდა, ვახუშტი თვით ბარის რეგიონებს ერთმანეთისაგან განასხვავებდა ბრინჯბამბის გავრცელება-გაუვრცელებლობის მხრივ. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში ვახუშტის დროს ეს კულტურები გავრცელებული იყო ქვემო ქართლის მცირე ნაწილსა და კახეთში, შიდა ქართლში კი — არა. დასავლეთ საქართველოს ნაწილში, — ასევე მესხეთის ერთ მხარეში, — გავრცელებული იყო ნარინჯ-თურინჯი, აგრეთვე ზეთისხილი. ასე რომ, ნარინჯ-თურინჯის მეურნეობა წარმოადგენდა, ვახუშტის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის სპეციფიკას აღმოსავლეთისაგან განსხვავებით.

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი შესანიშნავ ფაქტს წარმოადგენს ქართული კულტურისას. მისი იდეა სოფლის მეურნეობის დარგების გავრცელებისა შესაბამის ბუნებრივ პირობებში იმდროინდელი ევროპული მეცნიერებისთვისაც კი სიახლეს წარმოადგენდა. მაგრამ საქართველოს ისტორიის მისეულ თხრობაში ვახუშტი ტრადიციების (კერძოდ — ქართულის) მიმდევარი ისტორიკოსია და ძირითად, პოლიტიკურ ისტორიას გადმოსცემს. ამ მხრივ, ვიმეორებთ, ვახუშტის ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი (თვისებრივი აზრით) არა-

ფერი არ უთქვამს. საქართველოს ისტორიის გადმოცემისას ბუნების როლს ვახუშტი ბატონიშვილის საისტორიო ნაშრომში არაფერი არ დარჩა[1]

აღნიშნული პრობლემის გააზრებაში ვახუშტის შემდეგ აღსანიშნავია ილიას შეხედულებანი.

ჩვენი დიდი მოაზროვნე ძალიან აფასებდა საქართველოს ბუნებას. იგი წერდა: „ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს, — ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბღერტაო, ამათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებლობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოჰმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“[2]. მაგრამ ერის სიმდიდრისათვის, ილის აზრით, მხოლოდ ეს პირობა არა კმაროდა, საჭირო გახლდათ „კაცის შემძლებლობაც“ — გარჯა, შრომა, ყაირათიანობა[3].

ილიას მიხედვით, — და იგი გამოდიოდა ორიენტალისტიკაში მაშინ არსებული ტრადიციიდან, — ქართველები მოსული არიან ცხელი ქვეყნიდან, რის გამოც ქართულ ენაში დღემდე შემორჩა სიტყვები „მიწა-წყალი“, „წყალობა“ და სხვ., რაც მისი აზრით უნდა მიუთითებდეს წყლის დიდ მნიშვნელობაზე ქართველთა პირველსაცხოვრის ქვეყანაში.

სტატიაში „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“ (დაწერილია 1886 წელს) ილია ეხება საკომლოს საკითხს და აღნიშნავს, რომ იგი მერყეობდა ათ-სამოც დღიურს (ე.ი. 4-24 ჰექტარს) შორის. საკომლოს სიდიდე კი იმისდა მიხედვით განისაზღვრებოდა, თუ სად რა ზომის მამული იყო საჭირო ცალკე კომლის სარჩენად და სახელმწიფო და სასოფლო სამსახურის (ილიას დროინდელი მოვლენა) გადასახდელად. ილიას მიხედვით, იქ სადაც, მიწისა და ჰავის თვისების გამო, მიწათმოქმედება მესაქონლეობასთან შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული, საკომლო მეტი იყო, და პირიქით, სადაც პურეული კარგად მოდიოდა და გლეხის უმთავრეს წყაროს შეადგენდა, საკომლო უფრო ნაკლები იყო; თუ ვაზი და ხეხილიც ვარგობდა — კიდევ უფრო ნაკლები. ასე რომ, ილიას თანახმად, საკომლო მთიანეთში ერთი ზომისა იყო, ქართლში — მეორისა, კახეთში — მესამისა და ა.შ., რაც აიხსნებოდა ბუნებრივი პირობებით.

ძალზე საინტერესოა ილიას მოსაზრებანი საქართველოს აგრარული ისტო-

---

1 შევნიშნავთ, რომ სისტემატიური სახით მხოლოდ XIX და XX საუკუნის მეცნიერებამ (ს.ბოჟელი, ფ.რატცელი, ფრანგული „ანალების სკოლა“) მოახერხა ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიული გარემოს როლის სინთეზი.

2 ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა ათტომეული, პავლე ინგოროყვას გამოცემა, ტ. 5, გვ. 10-11.

3 იქვე გვ. 11.

რიის სპეციფიკის თაობაზე რუსეთისაგან განსხვავებით. ჰავისა და ნიადაგის ნაყოფიერების გამო, ილიას მიხედვით, ქართველი გლეხი უფრო მჭიდროდ არის მიჯაჭვული მიწას: ნაყოფიერი მიწები, ვენახი, ხეხილი აიძულებენ მას ხანგრძლივად იცხოვროს ერთ ადგილას. ამით ხსნის იგი სიტყვებს: „მკვიდრს", „მკვიდრობას". რუსი გლეხკაცისაგან განსხვავებით, მაწანწალობა, „бродяжничество" ქართველთათვის უცნობია. კიდევ მეტი. თუმცა სახასო გლეხკაცობას სასოფლო მამული სოფლისად მიაჩნია (მაგალითად, ქიზიყში), მაგრამ საკომლო აქ საშვილიშვილოდ გადაიცემა, მაშინ როცა რუსეთში გლეხთა მიერ მიწების მფლობელობის ვადა ათი, თორმეტი, თხუთმეტი წლითაა შეზღუდული. ეს გარემოება პირველ შემთხვევაში დადებითად მოქმედებს: გლეხი დაინტერესებულია აგროტექნიკის გაუმჯობესებით, ინტენსიური მეურნეობის წარმოებით.

იაკობ გოგებაშვილს „ბუნების კარში" შენიშნული აქვს მთელი რიგი მომენტები, რომლებშიც აისახა საქართველოს გეოგრაფიული პირობების მნიშვნელობა. მაგალითად, ეხება რა მძიმე გუთნის გავრცელების არეალს საქართველოში, იგი წერს: „რადგანაც მიწის ღრმად მოხვნა მავნებელია მოსავლისათვის, ამიტომ დასავლეთს საქართველოში გუთანი სრულიად არ იციან, ამის მაგივრად ჰხმარობენ კავსა, რომელიც ერთი გოჯის სიღრმეზედ სჩიჩქნის მიწასა"[1]. მაღლარი ვენახების გავრცელებას დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ ადგილებში იაკობ გოგებაშვილი სავსებით სწორად ხსნის ნესტიანი ნიადაგებით, რის გამოც მიზანშეწონილია ყურძნის მტევნები უფრო მოშორებული იყოს მიწის ზედაპირს. ჭანების შესახებ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ისინი მცირემიწიანობამ აიძულა ზღვაოსნობაში ჩაბმულიყვნენ და ა.შ.

ივანე ჯავახიშვილის შრომებში ჩვენთვის საინტერესო საკითხი ყველაზე ფართოდ განხილულია ავტორის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში". ნაშრომში იგი ლაპარაკობდა კულტურული მცენარეულობის ცალკეული სახეების გავრცელების არეალებზე, შესაბამისი ბუნებრივი პირობების გამო. აქვე ვკითხულობთ: „... სახვნელის საუკუნეთა განმავლობაში თანდათანმა გაუმჯობესებამ და ახლ-ახალმა სახეობამ წინამორბედი სახეობა ვერ მოსპო. ამ ერთის შეხედვით უცნაური გარემოების მიზეზის გაგება ადამიანს არ გაუძნელდება, თუ საქართველოს ნიადაგის გასაოცარ სხვადასხვაობასა და ბუნებისა და თვისებათა მრავალფეროვნებას გაიხსენებს"[2]. მოგვიანებით იგივენაირ აზრს გამოსთქვამდა იგი „დიდ საბჭოურ ენციკლოპედიაში": „მათ (ქართველთა, გ.ყ.) მიერ დაკავებული ტერიტორიების ნიადაგობრივი და კლიმატური განსაკუთრებულობის არაჩვეუ-

1 ი.გოგებაშვილი „ბუნების კარი", 1911, XX გამოცემა, გვ. 475. ამაკენ აღნიშნავს სარგის კაკაბაძე თავის მონოგრაფიაში „ვახტანგ გორგასალი", თბილისი, 1959, გვ. 5.

2 ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, 1930, გვ. 173; იხ. აგრეთვე გვ. 168-169.

ლებრივი სხვადასხვაობა შეუძლებელს ხდიდა ყველგან ერთნაირი ტიპის მეურნეობის წარმოებას“ [1], რომ ვერტიკალური ზონალურობის გამო საქართველოს მთელი ტერიტორია იმთავითვე იყოფოდა ორ დიდ ეკონომიკურ რაიონად — აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ, რაც ხელს უწყობდა ორი პოლიტიკური ერთეულის — აღმოსავლეთ საქართველოს (იბერიის სამეფო მესხეთი-თურთ) და დასავლეთ საქართველოს (კოლხიდის) ჩამოყალიბებას [2]. სხვა ნაშრომში, ეხებოდა რა კავკასიონის ქედის მნიშვნელობას ჩვენს ისტორიაში, ივანე ჯავახიშვილი წერდა: „სხვათა შორის ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავის ხანგრძლივ ისტორიულ არსებობის დროს მრავალი, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა“ [3]. „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნში ჩვენი დიდი ისტორიკოსი აღნიშნავდა, რომ მეთხუთმეტე საუკუნეში მომხდარ საქართველოს დაშლაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა „გეოგრაფიული პირობებით ხელშეწყობილ თემობრივი განკერძოებისადმი მისწრაფებასაც“ [4].

ახლა შევჩერდებით ქართული ისტორიოგრაფიის საბჭოთა ხანაზე. მთლიანად აღებული, საკითხი საქართველოს ბუნების როლისა ქვეყნის ისტორიის მსვლელობაში, როგორც მივუთითებდით, აქ არაა სათანადოდ დამუშავებული, რასაც ხელი შეუშალა არასწორმა მეთოდოლოგიურმა დებულებამ საერთოდ გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის შესახებ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართველ ისტორიკოსებთან პრობლემის გააზრება უფრო მეტადაა მოცემული, ვიდრე ფილოსოფოსებთან და ეკონომისტებთან. თუმცა ეს უბრალოდ იმიტომაც, რომ უკანასკნელებთან ეს საკითხი თითქმის არ დამდგარა.

ნიკო ბერძენიშვილი მიუთითებდა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის ბუნებრივი პირობების ოპტიმალურობას დასავლეთთან შედარებით [5]. იგი გვაროვნული წყობილების ძირითად სოციალურ უჯრედს — გვარს უკავშირებდა ჩვენი რელიეფის თვისებას — გორას, გვართა გაერთიანებას — ხევს [6].

„საქართველოს ისტორიის“ 1958 წლის გამოცემაში გ. მელქიშვილი შენიშნავს, რომ ქვედა პალეოლითის ბოლოს დიდმა გამყინვარებებმა ხელი შეუწყო გვარების ჩამოყალიბებას, ე.ი. კოლექტივების ერთად ცხოვრებამ გამოქვაბულე-

---

1 იხ. სტატია „Грузия“, ტ. 19, 1930, გვ. 558.

2 იქვე.

3 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, 1919, გვ.3.

4 ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე (XV-XVI საუკუნეები), თბილისი, 1948, გვ. 175.

5 იხ. ავტორის „Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XII-XVIв.), Тбилиси, 1938, с.23.

6 ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.III, 1966.

ბში, ბუნების გამკაცრებამ მჭიდრო კავშირურთიერთობებისკენ უბიძგა მათ. იმავე ავტორის მიხედვით, ბრინჯაოს მეტალურგიის ხანაში სამხრეთის მთიანეთი, საზაფხულო საძოვრებისა და სპილენძის მადნების არსებობის გამო, მოწინავეობდა ბართან შედარებით, მაგრამ ტომთა შორის აღებ-მიცემობის დროს კი ბარი დაწინაურდა.[1] სხვა ადგილას გ.მელიქიშვილი მიუთითებს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებში მცხოვრებ ხალხთა შედარებით ჩამორჩენილობას მწირი მიწებისა და მთაგორიანობის ფართოდ გავრცელების გამო.

ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორის დიდ როლს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სათემო მიწათმფლობელობის შედარებით სწრაფად დაშლაში, ხოლო აღმოსავლეთ რეგიონში — მის გახანგრძლივებაში (კერძოდ ირიგაციის საჭიროებითაც), მიუთითებდნენ პ. გუგუშვილი და ი.ანთელავა[2]. აღნიშნული აზრის დასაბუთებისას ისინი გამოდიოდნენ ფ.ენგელსის „მარკის" ცნობილი ადგილებიდან, სადაც ლაპარაკია გერმანიის მთიან ნაწილში კერძო საკუთრების სწრაფ განვითარებაზე მიწის მცირე ნაკვეთების არსებობის გამო. იგივე ავტორებს აღმოსავლეთ საქართველოს ერთ ნაწილში სათემო მიწათმფლობელობის მნიშვნელოვნად შენარჩუნების მიზეზად მიაჩნიათ ირიგაციის საჭიროებანი.

დ. გოგოლაძე აღნიშნავს, რომ ფეოდალურ ხანაში ნორმალური საკომლო (სახნავ-სათესი ნაწილი) აღმოსავლეთ საქართველოში უდრიდა დაახლოებით ათ-ოც დღიურს (4-8 ჰა), მაგრამ დასავლეთ საქართველოში, მცირემიწიანობის გამო, ათი-თხუთმეტი ქცევის მქონე გლეხებიც კი საკმაოდ შეძლებულად ითვლებოდნენ[3].

ქართულ ისტორიოგრაფიაში communis locus-ად იქცა მტკიცება მცხეთისა და თბილისის აღზევების შესახებ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების წყალობით. მართლაც, მცხეთა და თბილისი ბუნებრივად ძლიერ გამაგრებულ პუნქტებს წარმოადგენდნენ. რასაკვირველია, მხოლოდ ეს პირობები რომ ყოფილიყო საკმარისი ქალაქების წარმოშობისათვის, მაშინ ამ უკანასკნელ მოვლენას უფრო ადრე ექნებოდა ადგილი. მცხეთისა და თბილისის ტერიტორიებზე დადაქალაქის წარმოქმნა, ცხადია, უპირველესად განპირობებული იყო ქართლის

---

1 საქართველოს ისტორია, ნ.ბერძენიშვილის რედ., 1958, გვ. 22.

2 პ.გუგუშვილი, თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში (1800-1921 წწ.), ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 1946, ტ.I ; И.Г. Антелава. Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX в., Сухуми, 1955.

3 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიან ფეოდალურ ხანაში, 1971, გვ. 288, 293. გასული საუკუნის 80-იან წლებში რუსი მოხელე ს. ეგიაზაროვი შენიშნავდა; რომ დასავლეთ საქართველოში ნაყოფიერი მიწები დაფანტულია მცირე ნაკვეთად, მათ შორის ბევრი ფერდობებზეა, რომ აქ ჯარგისი მიწების დიდი მასივები არ არსებობს, აღმოსავლეთ ნაწილში კი — პირიქით: იხ. Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. I, ч.I, 1887, с. 162-163.

სახელმწიფოს არსებობით, რამაც თავის მხრივ დედაქალაქის საჭიროება გამოიწვია.

დასასრულს, აღსანიშნავია აგრეთვე მ.გეგეშიძის, ი. კიკვიძისა და დ.მუსხელიშვილის მონოგრაფიები, სადაც ავტორები ცდილობენ სათანადოდ გაარკვიონ გეოგრაფიული გარემოს როლი ჩვენს ისტორიულ პროცესში[1].

საქართველოს ბუნებრივი პირობების ზოგადი დახასიათება

ძალზე მოკლედ დავახასიათებთ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ გარემოს. აღვნიშნავთ მხოლოდ მის მთავარ ნიშნებს. ყველა ნიშნის დაწვრილებით გადმოცემა, გარდა იმისა რომ ისტორიოგრაფიულ ნაშრომს ამსგავსებს გეოგრაფიული, ბოტანიკური და ა.შ. ხასიათისას, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია იმიტომაც, რომ დასაწყისში ერთბაშად ქვეყნის ბუნებრივი პირობების გადმოცემა უადგილოა. ჯერ-ერთი მკითხველი იტვირთება აურაცხელი გეოგრაფიული და ა.შ. ინფორმაციით და მეორეც, მაგალითად, სავსებით გაუმართლებელია პალეოლითის თხრობას წინ უძღოდეს აღნიშვნა იმისა, რომ საქართველო ასე თუ ისე მდიდარია ქვანახშირით, მდიდარია მარგანეცის მადნით და ა.შ. ბუნების ეს ძალები, როგორც ცნობილია, დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი საზოგადოებისათვის არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენდა. ისინი მხოლოდ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე შევიდნენ ჩვენს სოციალურ პრაქტიკაში. ასე რომ, მხოლოდ ამ საფეხურის დადგომისას უნდა აღინიშნოს შესაბამისი ბუნებრივი რესურსებით ქვეყნის სიმდიდრე. ანდა ასევე არა გვგონია უპრიანი იყოს თავიდანვე გადმოცემა იმისა, რომ საქართველო მდიდარია ჰიდროენერგორესურსებით, მაშინ როდესაც კულტურის თავდაპირველ საფეხურებზე მდინარეები მხოლოდ თევზეულის სახეებითა და პოპულაციებით ფასდებოდა. ერთი სიტყვით, მიგვაჩნია, რომ მხოლოდ გარკვეული სამეურნეო პროგრესის პირობებში უნდა იქნეს მითითებული ქვეყნის ბუნებრივი რესურსები აჩქარებდნენ თუ აფერხებდნენ საზოგადოების ევოლუციას ამა თუ იმ ფაზაზე.

საქართველოს რუსპუბლიკას დაახლ. 70000 კვ.კმ. უკავია. ე.ი. მისი ფართობი თვალსაჩინოდ აღემატება ევროპის რიგი ქვეყნების (ბელგია, ჰოლანდია, შვეიცარია, დანია), საბჭოთა კავშირის ზოგიერთი რესპუბლიკის (სომხეთი, მოლდავეთი, ესტონეთი) ტერიტორიის ფართობებს, მეტია ლიტვისა და ლატვიისაზე და უტოლდება ირლანდიის რესპუბლიკისას. ჩვენი ქვეყანა მდებარეობს აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. დასავლეთი ნაწილი, თბილ შავ ზღვასთან მდებარეობის გამო, სუბტროპიკულია. აქ ნალექები ბევრად

2 მ.გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება ძველ საქართველოში, თბილისი, 1961; ი.კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, თბილისი, 1963; დ.მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბილისი, 1966.

უფრო მეტია, ხოლო სეზონურ (ზამთარ-ზაფხულ) ტემპერატურათა სხვაობა — უფრო ნაკლები, ვიდრე აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ხასიათდება კონტინენტური ჰავით. მიზეზი ამ ორ რეგიონს შორის ასეთი განსხვავებულობისა მდგომარეობს იმაში, რომ მესხეთისა და სურამის ქედების რკალი ჰყოფს მათ ერთმანეთისაგან. ეს ქედები ხელს უშლიან უხვნალექიანი ღრუბლების გადაადგილებას დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით.

ქვეყნის ორი მესამედი ნაწილი, როგორც უკვე ვამბობდით, უკავია საშუალო და მაღალი სიდიდის მთებს. აქედან მნიშვნელოვანია კავკასიონის ქედის დასავლეთი და ცენტრალური შტოები, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე მდებარეობენ. ამ ქედის განშტოებანი გაგრის ქედიდან მოყოლებული კახეთისა და ცივგომბორის ქედებით და დაღესტნის მთების ნაწილით დამთავრებული, მოემართებიან სამხრეთისაკენ. დასახლებანი აქ გვხვდება მდინარეთა ვიწრო ხეობების გაყოლებით, რა ტერიტორიაზედაც ადვილად ხდებოდა მათი გაერთიანება, ხოლო ერთმანეთს შორის გაერთიანებანი, მაღალი ქედების გამო, მათი დამოუკიდებელი ძალებით ჩვენს ისტორიაში არ მომხდარა. ჩვენი ფართობის დაახლ. ერთი მეხუთედი მთლიანად გამოუყენებელია მეურნეობისათვის და აქედან ძირითადი რაოდენობა მოდის სწორედ კავკასიონის ქედზე ან მის სამხრეთ განშტოებებზე.

ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს მცირე კავკასიონი მასში შემავალი — მესხეთის, თრიალეთის, სამსარისა და ჯავახეთის ქედებით. ესენი თავისი სიმაღლით ბევრად ჩამოუვარდებიან კავკასიონის მაღალ ქედს. მხოლოდ უმაღლესი მწვერვალები ამ ქედებისა (მეფისწყარო, შავიკლდე, არჯევანი) თუ აღწევენ 3 კილომეტრს. აღნიშნულ სიმაღლეს სამასიოდე მეტრით აჭარბებს ერთადერთი მთა-აბული, რომელიც სამსარის ქედზე მდებარეობს. მთების ორ აღნიშნულ მასივს ერთმანეთთან აერთებს შედარებით დაბალი (მაღალ ადგილებში დაახლ. ერთი კმ-ის სიმაღლისა) სურამის ქედი. დიდსა და მცირე კავკასიონს შორის მოქცეული ტერიტორია წარმოადგენს იმ ბუნებრივ საფუძველს, რაზედაც გაიშალა საქართველოს უმეტესი დაწინაურებული რეგიონების ისტორია, სადაც ძირითადად ჩამოყალიბდა ქართული ცივილიზაცია.

ამ ტერიტორიაზე მდებარეობს შემდეგი დაბლობები. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში შავ ზღვას ეკვრის ზღვის დონიდან ორასამდე მეტრი ამაღლებულობისა და სამკუთხედის მოყვანილობის კოლხეთის დაბლობი. ხუთასიოდე მეტრის სიმაღლის ფარგლებში მერყეობს შიდა ქართლის ბარი, რომელიც იწყება ბორჯომის ხეობიდან მტკვრის გამოსვლისას და გრძელდება, არაგვის მარცხენა სანაპიროს ჩათვლით, ქართლის ქედამდე. მცხეთასთან თრიალეთისა და ქართლის ქედები ახლოს მიდიან ერთმანეთთან, ასე რომ მათ ერთმანეთისაგან ჰყოფს მტკვარი. ამგვარად გრძელდება რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, სანამ ავჭა-

ლასთან არ დაიწყება 5-6 კმ სიგანის დიღმის ველი. თბილისის ქვემოთ დაბლობი საგრძნობლად ფართოვდება და შეადგენს ქვემო ქართლის დაბლობის ნაწილს. აღმოსავლეთით აღნიშნულ დაბლობებზე მაღლდება ივრის ზეგანი, რომელიც აღმოსავლეთით მთავრდება ცივ-გომბორის ქედით. ამ საშუალო სიმაღლის ქედს იქით მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთი მდიდარი აგრარული მხარე — ალაზნის ველი, რომლის მინიმალური სიგანე სათავეში ხუთ კმ-ს აღწევს, ქვემოთ კი, ლაგოდეხსა და სიღნაღს შორის, 35-37 კმ-ს. ალაზნის ველი სიგრძით საქართველოს ფარგლებში ას კმ-ს აღემატება. საერთოდ, აღნიშნული დაბლობი უფრო დაბლა (ზღვის დონიდან) მდებარეობს, ვიდრე ქვემო და შუა ქართლის დაბლობები. პირველი უკანასკნელთაგან განსხვავდება ჰავითაც, რის შესახებაც სათანადო ადგილას ვილაპარაკებთ. წნორს ქვემოთ ალაზნის ველი კიდევ უფრო დაბლდება და ზღვის დონიდან სიმაღლით უტოლდება კოლხეთის დაბლობს.

საერთოდ, ზღვის დონიდან 200 მ სიმაღლის დაბლობი საქართველოს მთელი ტერიტორიის თორმეტ პროცენტს შეადგენს, თუ ამას მივუმატებთ 500-600 ამაღლებულ ვაკეებს, ეს ციფრი თითქმის 33 პროცენტს მიაღწევს.

შავი ზღვის სანაპიროდან დაწყებული საქართველო ამფითეატრივით მაღლდება აღმოსავლეთის მიმართულებით. ამ „ამფითეატრის“ განაპირა მაღალი მხარეებია ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, ხოლო სამხრეთით — მესხეთისა, უკიდურეს აღმოსავლეთში კი — სურამის ქედი. სურამის ქედის აღმოსავლეთით ქვეყნის ამაღლებულობა (იგულისხმება ვაკე ადგილებისა) საპირისპიროდაა მიმართული: ამ ადგილიდან მოყოლებული აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი თანდათან დაბლდება არაგვისა და შემდეგ ალგეთის და ხრამის მიმართულებით. ასევე ითქმის საერთოდ ივრის ზეგნისა და ალაზნის დაბლობის მიმართ.

როცა საქართველოს ისტორიაში გეოგრაფიული ფაქტორის როლს ვეხებით, რა თქმა-უნდა, ოდენ აღნიშნული ტერიტორიებით არ უნდა შემოვიფარგლოთ. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის სამხრეთი რეგიონებიც, რომლებიც ამჟამად თურქეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს შეადგენენ. ტრაპიზონის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით შავი ზღვის სანაპიროს პარალელურად მიემართება მცირე კავკასიონის საქართველოს ქედებზე უფრო მაღალი ლაზისტანის ქედი, ხოლო ამ ქედის აღმოსავლეთით და ასევე მის პარალელურად — ჭოროხისა და არსიანის ქედები. არსიანის ქედის აღმოსავლეთით, მტკვრის სათავეებიდან დაწყებული, მიემართება ერთ კმ-ზე მეტი სიმაღლის ზეგანი, რომელიც აღმოსავლეთით ჯერ ქედით და შემდგომ კვლავ ზეგნით იცვლება. ლაზისტანის ქედიდან მოყოლებული ეს ნაწილები შეადგენდნენ ისტორიული ზემო ქართლის (იბერიის), ანუ შემდგომი სამცხე-საათაბაგოს ნაწილებს. ჩვენი ქვეყნის ცენტრალური ნაწილის სამხრეთით ტერიტორია მიდიოდა ბამბაკის ქედამდე, ხოლო აღმოსავლეთით მდინარე ძაგემამდე. აღმოსავლე-

თით იგი მოიცავდა ალაზნის ველის ნაწილსაც (ისტორიული საინგილო). ამდენად ამ რეგიონების ჩათვლით საქართველოს ტერიტორია ალბათ 130 ათას კვ.კმ-ს აღწევს, ე.ი. უტოლდება დღევანდელი ჩეხოსლოვაკიისა და საბერძნეთის ტერიტორიებს.

მიუხედავად ტერიტორიის მცირე ზომებისა (ჩვენი ქვეყანა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 350 კმ-ზეა გადაჭიმული, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ — საშუალოდ 200 კმ-ზე), საქართველო ხასიათდება მრავალფეროვანი ბუნებით. ეს მრავალფეროვნება გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: 1) ქვეყანა მდებარეობს შედარებით ნოტიო და სუბტროპიკული ხმელთაშუაზღვეთის, ზომიერი წინა აზიის ჩრდილოეთისა და მშრალი შუა აზიის შესაყარზე; 2) შავ ზღვასთან სიახლოვე, აღმოსავლეთით ქვეყნის შუაგულში შექმნილი ბარიერები განაპირობებენ განსხვავებულობას ჰავაში და 3) სხვადასხვანაირია ქვეყნის რელიეფი, რაც აგრეთვე უწყობს ხელს ჰავის სხვადასხვაობას. ჩვენი სამშობლოს ჩრდილოეთით მაღალი კავკასიონის ქედის მდებარეობა განაპირობებს შედარებით მეტი საშუალო ტემპერატურის ჰავას, ვიდრე ჩვენს მიერ დაკავებულ განედებზეა მოსალოდნელი; ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან მოსული ჰაერის ცივი მასები ვერ გადმოაღწევენ ხოლმე სამხრეთით. (ეს მხოლოდ იშვიათად ხდება დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან).

ბუნებრივი პირობების ამგვარი სხვადასხვაობა ასეთ მცირე ტერიტორიაზე, ცხადია, ამრავალფეროვანებდა ჩვენს ისტორიულ პროცესს. სხვაგან, რამდენჯერმე ბევრად უფრო მეტი ფართობების მქონე ქვეყნებშიც კი, ბუნება არ არის ასე მრავალფეროვანი (ეს კარგად შენიშნა რუსმა მწერალმა გ.უსპენსკიმ საქართველოში მოგზაურობისას). მეორე მხრივ, ეს გარემოება უფრო საინტერესოს ხდის აღნიშნული პრობლემის გაშუქებას. მრავალფეროვანი ბუნება, ქვეყნის მიერ განვლილი კულტურის საფეხურები დიდ ინტერესს იწვევს ჩვენი გარემომცველი ბუნების როლისადმი საქართველოს ისტორიულ პროცესში.

გეოგრაფიული გარემოს როლი ჩვენი გარემომცველი ისტორიული გარემოს შექმნაში

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი უპირატესობა, — ამასთანავე უბედურებაც, — იმაში მდგომარეობს, რომ იგი მდებარეობდა აღმოსავლეთის ნახევარსფეროს ცენტრალურ ნაწილში. ამან, ცხადია, დააჩქარა მის მიერ კულტურის სხვადასხვა საფეხურის გავლა. საინტერესოა საკითხი, თუ რა როლი ითამაშა გეოგრაფიულმა გარემომ ჩვენი გარემომცველი ქვეყნების განვითარებაში. ამ საკითხის გაშუქებას კი ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან საერთოდ, ხელსაყრელი ისტორიული გარემოდან ძირითადად დადებითი იმპულსები მოდიოდა. მნიშვნელოვანი ურთიერთზეგავლენა და ერთმანეთისათვის სტიმულის მიცემა

კულტურის მკვეთრად განსხვავებულ საფეხურებს გულისხმობს. მაგალითად, თუმცა ჩვენს წინაპრებს ჩრდილო კავკასიის ხალხებთან კონტაქტები ჰქონდათ, მაგრამ ეს ურთიერთობა ჩვენი ცივილიზაციის, კულტურის განვითარებისათვის არც ისე მნიშვნელოვანი იყო. დაახლოებით იგივე ითქმის სამხრეთ-აღმოსავლეთი მეზობლის მიმართ (ვგულისხმობთ ალვანელებს). უფრო ძლიერი გახლდათ სტიმულები სამხრეთიდან ე.წ. ნეოლითური რევოლუციიდან მოყოლებული სომხეთისა და ბიზანტიის იმპერიის ჩათვლით.

რაც შეეხება იმპულსებს დასავლეთიდან, შავი ზღვის მხრივ, იგი თვალსაჩინო გახდა ამ ზღვის აუზში ბერძნებისა და რომაელების გავლენის გავრცელების შემდეგ. სხვა მხრივ, რაკი ამიერიდან ამ ზღვის აუზში არ წარმოშობილა მაღალგანვითარებული საზოგადოებანი, ცხადია, შავი ზღვა დიდხანს ვერ შეასრულებდა დადებით როლს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ შავი ზღვის აუზში ბარბაროსული თურქეთის გაბატონების წყალობით, შავ ზღვას ჩვენთვის უფრო უბედურება მოჰქონდა, ვიდრე სიკეთე. XIX საუკუნეში კი სიტუაცია არსებითად შეიცვალა, რაც დაკავშირებული იყო დასავლეთ ევროპის ცივილიზაციის განვითარებასთან, მის ზეგავლენასთან ჩვენს ისტორიულ პროგრესზე.

ამრიგად, ჩრდილოეთის მხრიდან ქართულ საზოგადოებას დიდი ხნის განმავლობაში თვალსაჩინო დადებითი სახის სტიმულები არ მიუღია, ისინი უფრო სამხრეთიდან და ჭოშორებით მდებარე ქვეყნებიდან მოდიოდა. საქართველოს ისტორიული გარემოს აღნიშნული ხასიათი ნაწილობრივ გეოგრაფიული გარემოთი იყო განპირობებული.

საქართველოს ბუნების ცვლილებანი ანთროპოგენის ეპოქაში

ხშირად ქვეყნის გარემომცველ ბუნებას საზოგადოების არსებობის მანძილზე წარმოადგენენ ხოლმე რაიმე თვალსაჩინო ცვლილებების გარეშე. ეს არ არის სწორი არც საერთოდ და არც კონკრეტულად, ჩვენი ქვეყნის მიმართ. ჯერ მხოლოდ წმინდა ბუნებისეული ხასიათის ცვლილებებზე ვილაპარაკებთ.

დაახლოებით ამ ერთი მილიონი წლის წინათ კლიმატი ჩვენთან ბევრად უფრო თბილი იყო. ამით აიხსნება უდაბნოპითეკების არსებობა ჩვენს ტერიტორიაზე. შესაბამისად ჰავა აღმოსავლეთ ნაწილში ბევრად უფრო ნოტიო იქნებოდა, რაც, რასაკვირველია, მცენარეულ საფარზეც აისახებოდა. კოლხეთის დაბლობი ჩვენი გეოლოგიური ეპოქის დასაწყისში ახლანდელი ფართობისა როდი იყო. იგი იზრდებოდა მდინარეთა მიერ ჩამონატანი ქანებისა და მიწის ხარჯზე. ასეთსავე მოვლენას ჰქონდა ადგილი დღევანდელ ქართლსა და კახეთში, თუმცა შედარებით მცირე მასშტაბებით.

თუ შავი ზღვის უკან დაწევა საერთო ტენდენციას წარმოადგენდა, ზოგჯერ პირიქითაც ხდებოდა — ზღვა წინ იწევდა. ამის შედეგად ძვ.წ. I ათასწლეულის II ნახევარში მოხდა ფაზისისა და დიოსკურიის ზღვის ფსკერზე მოქცევა. უახლოეს ხანაში მსგავს მოვლენას ვხედავთ აფხაზეთის სანაპიროზე შავი ზღვის გააქტიურების სახით (ხდება ნაპირის ეროზია).

ანთროპოგენის ხანაში ადგილი ჰქონდა ვულკანების ამოფრქვევასაც — კერძოდ ყელის პლატოზე, დღევანდელი ყაზბეგისა და ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში[1].

გარდა წმინდა ბუნებისეული ცვლილებებისა, თვალსაჩინო იყო ბუნების მიმართ საზოგადოებისმიერი ცვლილებებიც. ეს მძლავრად დაიწყო კავისა და გუთნური მიწათმოქმედების ფართოდ განვითარებისას, რის შედეგადაც ბუნებრივი ლანდშაფტები ბევრგან ხელოვნურით შეიცვალა. აღნიშნულ პროცესს კიდევ უფრო მეტი მასშტაბები აქვს უახლეს ხანაში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის პროგრესის პირობებში. ცვლილებები ბევრად უფრო ინტენსიურად მოხდა ბარში, რაზეც ნაშრომის ბოლოს გვექნება საუბარი. ახლა კი უშუალოდ იმის თაობაზე, თუ რა როლი ითამაშა გეოგრაფიულმა ფაქტორმა ჩვენი ისტორიული პროცესის გაშლა-განვითარებაში.

საქართველოს ბუნების როლი არქაული კომუნისტური საზოგადოების განვითარებაში

ჩვენი ტერიტორია ერთ-ერთი იმ რეგიონთაგანია, სადაც ადგილი ჰქონდა უმაღლესი ანთროპოიდებისაგან გაადამიანების (ანთროპოგენეზისის) დაწყებას. ეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განაპირობა დღევანდელთან შედარებით უფრო თბილმა ჰავამ და უფრო მდიდარმა მცენარეულობამ (უკანასკნელი გარემოება ითქმის მისი აღმოსავლეთი ნაწილის მიმართაც), რის გამოც ანთროპოიდებს შეეძლოთ მიმთვისებლური ცხოვრება მთელი წლის მანძილზე. ამრიგად, ბუნება იძლეოდა საშუალებას, რომ მცენარეული საკვებით, პრიმიტიული ბინით (ხის ტოტებისაგან) და ტანსაცმლის გარეშე ეცხოვრათ გაადამიანების გზაზე მდგარ არსებებს. შემდგომში ჰავის აცივებას, მცენარეულ საფარში მომხდარ ცვლილებებს არ მოჰყოლია ცხოველთა ჯოგიდან საზოგადოებაზე გადასვლის პროცესის შეწყვეტა. პირველყოფილ ადამიანთა ჯოგებმა საკმაო შრომითი გამოცდილება შეიძინეს იმისათვის, რომ შეჰგუებოდნენ ახალ, შეცვლილ ბუნებრივ პირობებს. მათს მეურნეობაში ბევრად უფრო მეტი ადგილი დაიკავა ნადირობამ, შემდეგში

---

1 ქვედა პალეოლითის ბოლოს აღგილი ჰქონდა დიდ გამყინვარებებს, რის შედეგადაც მუდმივი თოვლის ხაზი ჩვეულებრივზე (2,8-3,4 კმ) 1,2-1,3 კმ-ით დაბლა იწევდა. შეცვლილ კლიმატურ პირობებში ადგილობრივი ფაუნა იცვლებოდა ჩრდილოეთის ფაუნით (გამოქვაბულის დათვი, გრძელბეწვიანი მარტორქა, ჩრდილოეთის ირემი და ა.შ.).

ისწავლეს მეთევზეობაც. ცეცხლის დაუფლების წყალობითა და უხეშად დამუშავებული ტყავის ტანსაცმლით შესაძლებელი გახდა ახალ პირობებთან შეგუება. ჯერჯერობით უცნობია, დაჩქარდა თუ არა ეს პროგრესი ჰავის აცივებით. მაგრამ მიღწეული პროგრესი საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ პირველყოფილ ადამიანთა ჯოგებს ამ პერიოდში დაესახლებინათ დიდი კავკასიონისა და მცირე კავკასიონის კალთები.

საზოგადოებრივი ევოლუციის აღნიშნული საფეხურისათვის ქვეყნის ბუნებრივი პირობები ოპტიმალური იყო. საკმაოდ მდიდარი გახლდათ მცენარეული სამყარო (ახლაც კი იგი ჩვენს ტერიტორიაზე მოითვლის 4500 სახეობას, ე.ი. იმდენს, რამდენსაც საბჭოთა კავშირის მთელი ევროპული ნაწილი). ქვეყანა მდიდარი იყო ფაუნითაც. მცენარეთა და ცხოველთა სახეებითა და პოპულაციებით ტერიტორიის სიმდიდრე, რა თქმა უნდა, აიხსნება მისი მდებარეობით ხელსაყრელ ადგილას და ბუნებრივი პირობების (რელიეფი, ჰავა და ა.შ.) სხვადასხვაობით. ამასთანავე ჩვენს ტერიტორიაზე ნაკლებად იყო გავრცელებული დიდი ზომის მტაცებელი ცხოველები, რაც ახალ არსებათა პოპულაციებს უადვილებდა არსებობისათვის ბრძოლას, ხელს უწყობდა მათს გამრავლებას. საქართველოს, განსაკუთრებით დასავლეთი ნაწილის, სიმდიდრე ჰიდროგრაფიული ქსელით განაპირობებდა თევზეულის რესურსებით სიუხვეს, შესაბამისად ხელს უწყობდა მეთევზეობის განვითარებას.

ქვეყნის ზომიერი კლიმატი, წლის დაყოფა თბილ და ცივ სეზონებად, აძლიერებდა ადამიანთა აქტიურობას, მოთხოვნილებათა გამრავალფეროვნებას. ქვეყანა მდიდარი გახლდათ აგრეთვე იარაღების დასამზადებლად ვარგისი ქვის მასალით (პალეოლითში — კაჟი, ნეოლითში — დიორიტი, ნეფრიტი, გრანიტი და სხვ.), ძვლით. ზედა პალეოლითის დროს ჰავის აცივებამ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში ადამიანები აიძულა უფრო თბილი სადგომები ეძებნათ, რაშიც ქვეყნის ბუნება, გამოქვაბულების სახით, დასავლეთ ნაწილში კარგ საშუალებას იძლეოდა.

აი მოკლედ ის, რისი თქმაც შეიძლება საქართველოს ბუნებრივი პირობების როლის შესახებ მიმთვისებულრი მეურნეობის სტადიაზე. მეურნეობის ეს ფორმა, როგორც ცნობილია, მოიცავდა შემდეგ დარგებს: შემგროვებლობას, ნადირობასა და მეთევზეობას. საერთოდ, როგორც ფ.ენგელსი შენიშნავდა, ეს სტადია შეესაბამებოდა ველურობის პერიოდს, როცა ადამიანები ძირითადად იფარგლებოდნენ ბუნების მზა პროდუქტების მითვისებით, ხოლო ადამიანთა მიერ ხელოვნურად შექმნილი პროდუქტები (შრომის იარაღები) ამ მითვისების დამხმარე იარაღებს წარმოადგენდა [1]. აქედან ცხადია ის დიდი მნიშვნელობა,

---

1 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 34.

რაც აღნიშნულ საფეხურზე საზოგადოების განვითარებაში ბუნებრივ რესურსებს გააჩნდათ, როცა ადამიანთა დამოკიდებულება ბუნებაზე, საწარმოო პრაქტიკის დაბალი დონის გამო, მაქსიმალური იყო. უკვე ამ საფეხურზე შეინიშნებოდა განსხვავებულობანი საქართველოს ცალკეულ რეგიონებს შორის, რის საფუძველსაც შეადგენდა ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობა: იქ სადაც მეტი ტყეები, ნადირთა პოპულაციები და თევზეული იყო, უფრო იოლი გახლდათ ცხოვრება, უფრო მეტად ხდებოდა მოსახლეობის გამრავლება. მაგრამ ეს განსხვავებულობანი ჯერჯერობით არსებობდა ერთი თვისების, პირველყოფილი საზოგადოების, ფარგლებში.

საზოგადოების ევოლუციის დაჩქარება დაკავშირებული იყო მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლასთან, ანუ ე.წ. ნეოლითურ რევოლუციასთან. ეს პერიოდი ფ.ენგელსის მიხედვით შეესაბამებოდა ბარბაროსობას, ე.ი. მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლას, როცა ადამიანები დაეუფლენ ბუნების პროდუქტების გაზრდილი მასის წარმოებას თავიანთი მოქმედების წყალობით[1]. ერთი სიტყვით, მოხდა უდიდესი ნახტომი საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაში. ამ საფეხურისთვისაც საქართველოს გეოგრაფიული პირობები ოპტიმალურს წარმოადგენდა; იგი იძლეოდა საშუალებას მთელი რიგი მარცვლეულისა და ცხოველთა სახეობების მოსაშენებლად და გასაშენებლად. ჩვენთვის აქ არსებითი არაა საკითხი იმის თაობაზე, თუ მარცვლეულისა და ცხოველთა კულტივირებული სახეებიდან რომელი წარმოიშვა ადგილობრივ ნიადაგზე და რომელი გავრცელდა დიფუზიით უფრო დაწინაურებული წინა აზიის ცენტრებიდან.

მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ ბუნების მიერ მოცემული „წყალობა" როდი კმაროდა ე.წ. ნეოლითური რევოლუციის მოსახდენად. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ამ მოვლენას ანთროპოგენეზისისა და სოციოგენეზისის დასაწყისშივე ექნებოდა ადგილი. აღნიშნულ მოვლენას სჭირდებოდა მეორე საფუძველი, სახელდობრ ადამიანთა წარმოებითი პრაქტიკის განსაზღვრული პროგრესი. მეურნეობის ახალ დარგებზე გადასვლა მოითხოვდა ბინადარ ცხოვრებას, ჭარბი პროდუქტის გარკვეული მასის გაჩენას, ახალი შრომითი იარაღების (მიწათმოქმედებაში) შექმნას. აღნიშნულ საფეხურზე ბუნების როლი ალბათ იმაში მდგომარეობდა, რომ მეურნეობის ახალი ფორმის, განსაკუთრებით მიწათმოქმედების, გაჩენა, გამოწვეული უნდა ყოფილიყო მოსახლეობის გაზრდილი მასის დაწოლით წარმოების არსებულ საშუალებებზე. ამ დაწოლას კი უფრო მეტად უნდა ჰქონოდა ადგილი იმ ტერიტორიებზე, სადაც მეურნეობის პირვანდელი ფორმისათვის ბუნებრივი საწარმოო ძალები უფრო ნაკლებად

1 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 34.

არსებობდა. ვფიქრობთ, რომ ქვემო ქართლისა და იორ-ალაზნის ორმდინარეთის ქვემო წელი უფრო ოპტიმალური იქნებოდა მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლისათვის. სახელდობრ, ტყეების ნაკლებობა, შესაბამისად ფაუნის სიღარიბე, ჰიდროგრაფიის ქსელის სისუსტე, ამით გამოწვეული თევზეულის პოპულაციების ნაკლებობა და ა.შ. ამ რეგიონებში უფრო განავითარებდა მწარმოებლურ მეურნეობას (ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირველი ცდები ამ მიმართულებით მაინცდამაინც აქ უნდა მომხდარიყო). შესაძლებელია, აღნიშნული პროცესი წინა აზიის მოწინავე ცენტრების ზეგავლენამაც დააჩქარა.

ასეა თუ ისე, ახალი ეკონომიკური პროგრესის პირობებში სხვანაირად დადგა სოციალურ პროცესში ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი გარემოს მნიშვნელობის საკითხი. თუ მიმთვისებლური მეურნეობის საფეხურისათვის ეს გარემო ოპტიმალური იყო და ასევე ოპტიმალურად დარჩა ნეოლითური რევოლუციის დაწყებისათვის, ამ რევოლუციის გაშლისათვის იგი არაოპტიმალური გახდა. იბადება კითხვა: რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ჩვენში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დაწყებისა ამ 7-6 ათასი წლის წინათ, ცივილიზაციის (ტერმინის საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით) გაჩენამ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე საგრძნობლად დაიგვიანა?

დავიწყოთ მიწათმოქმედებით. მეურნეობის ეს დარგი ფართოდ, ქვეყნის დიდ ტერიტორიაზე, ვერ გავრცელდებოდა. ეს განპირობებული იქნებოდა ტყეების ფართო მასივებით, მაგარი ნიადაგებით, რაც ქვის ან სპილენძის ცულისა და თოხური მიწათმოქმედების პირობებში ვერ გადაილახებოდა. მეურნეობის ახალი ფორმა უფრო ოპტიმალურ პირობებს შეხვდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ — სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ტყეები იშვიათი იყო. მაგრამ მაგარი ნიადაგები თოხურ მიწათმოქმედებას აქაც დაბრკოლებას უქმნიდა. ერთი სიტყვით, რბილი ნიადაგების არარსებობამ, ტყეთა ფართო მასივებმა განაპირობეს ის ფაქტი, რომ ცივილიზაცია, მიუხედავად ნეოლითური რევოლუციით შემნილი წანამძღვრისა, საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ათასი წლის მანძილზე ვერ ჩაისახა.

უკეთესი ბუნებრივი პირობები იყო მეურნეობის მეორე ახალი დარგის — მესაქონლეობის განვითარებისათვის. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს სამხრეთი რეგიონი ჩართულ იქნა ფართო გაერთიანებაში. განვითარების სწორედ ამ საფეხურზე შეიქმნა თრიალეთის კულტურა, რომლის ეკონომიკურ ბაზას წარმოადგენდა მესაქონლეობის ფართო განვითარება. მაგრამ პირუტყვის შენახვა მაღალგანვითარებულ მიწათმოქმედებას როდი ეფუძნებოდა. წელიწადის უფრო მეტ მანძილზე, — შემოდგომით, ზამთრობით და ადრე გაზაფხულზე, — მას ინახავდნენ ქვემო ქართლის (ახლანდელი ქვემო ქართლისა და აზერბაიჯანის ნაწილის) ტერიტორიაზე, რომელიც ზამთრის საძოვრებს წარმოადგენდა,

ზაფხულობით კი სამი-ოთხი თვის მანძილზე საქონელს ინახავდნენ თრიალეთის, ჯავახეთის და უფრო სამხრეთით მდებარე ზეგნების საზაფხულო საძოვრებზე. აღნიშნული ტერიტორიები ერთმანეთს საშუალოდ ასიოდე კმ-ით იყვნენ დაშორებული. რაც დაბრკოლებას არ ქმნიდა მოსახლეობისა და პირუტყვის გადაადგილებისათვის შესაბამის სეზონებში. ამდენად, მწარმოებლური (სამესაქონლეო) მეურნეობისათვის ოპტიმალური გახდა საქართველოს მოხსენიებული რეგიონი, მაგრამ იმდენად ოპტიმალური არა, რომ აქ ცივილიზაცია გაჩენილიყო; ეს, როგორც ცნობილია, მესაქონლეობის საფუძველზე გამოირიცხებოდა.

ანალოგიურ მოვლენასვე ჰქონდა ადგილი თითქმის იმავე პერიოდში იორალაზნის ორმდინარეთის ქვემო წელზე. ამ მოვლენის შესახებ მხოლოდ ახლა ვგებულობთ უახლესი არქეოლოგიური გათხრების წყალობით. მესაქონლეობის ფართო განვითარება აღნიშნულ რეგიონში საფუძვლად დაედო ტომთა ფართო გაერთიანებას და, შესაძლოა, სახელმწიფოს ჩანასახოვანი ფორმით არსებობასაც კი. აქაც პირუტყვის შენახვა ბუნებრივად შეიძლებოდა წელიწადის მთელი დროის მანძილზე[1].

დასავლეთ საქართველოში მსგავს მოვლენებს ამ საფეხურზე ვერ ექნებოდა ადგილი, ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა ტყეთა დიდი მასივები. რაც შეეხება საქართველოს ჩრდილოეთ მთიან ნაწილს, აღნიშნული პროცესი აქაც გამორიცხული იქნებოდა, რადგან მარტო ალპური საძოვრებით საქონელი მხოლოდ სამიოდე თვით თუ გამოიკვებებოდა.

ძვ.წ მეორე ათასწეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში დაწინაურდა ისტორიული საქართველოს ის ნაწილი, რომელიც მოიცავდა ჭოროხის აუზსა და მტკვრის სათავეებს. გ.მელიქიშვილის მოსაზრებით, ამ მხარის დაწინაურება გამოწვეული იყო ბრინჯაოს მეტალურგიის ფართო გავრცელებით (მხარის სიმდიდრე სპილენძისა და ანთიმონის მადნებით). კავის მიწათმოქმედება, შედარებით ფართო საძოვრები საფუძველს ქმნიდნენ აღნიშნული რეგიონის დაწინაურებისათვის, რომლის აღმავალი მიმართულებით სვლა, როგორც ცნობილია, საგარეო ფაქტორის გამო შეფერხდა.

ამრიგად, თუ არქაული კომუნისტური საზოგადოების თავდაპირველ საფეხურზე საქართველოს გეოგრაფიული გარემო ხელსაყრელ საფუძველს წარმოადგენდა, ცივილიზაციის გენეზისისა და გაშლისათვის იგი ნაკლებ ოპტიმალური აღმოჩნდა. საჭირო იყო საზოგადოების მიერ შექმნილი ტექნიკური საშუალებების მეტი განვითარება, რათა ჩვენში მომხდარიყო ცივილიზაციაზე გადასვლა.

---

1 არქეოლოგის კიაზო ფიცხელაურის მოსაზრება, თითქოს ეს ტომები საირიგაციო მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ, რამაც გამოიწვია ალაზნის დაბალი ველის დამლაშობება და ამით კულტურის დაღუპვა, დამაჯერებელი არ ჩანს.

გეოგრაფიული გარემოს როლი საქართველოში კლასობრივი საზოგადოების პირველი ფორმის არსებობის პერიოდში

მრავალი ძველაღმოსავლური ცივილიზაციისაგან განსხვავებით და ევროპის მრავალი ცივილიზაციის მსგავსად, ქართული ცივილიზაციის წარმოშობა დაკავშირებული იყო რკინის მეტალურგიასთან. ფ.ენგელსის სიტყვებით, რკინა უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი იყო ყველა იმ ნედლეულიდან, რომელთაც რევოლუციური როლი შეასრულეს კაცობრიობის ისტორიაში[1]. რკინის მეტალურგიის წარმოშობა საქართველოში ადგილობრივ ნიადაგზე, ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების ბაზაზე, მოხდა. საერთოდ, სხვადასხვა ლითონების მადნებით სიუხვე კარგ საფუძველს იძლეოდა მეტალურგიის განვითარებისათვის. კერძოდ ასევე მოხდა რკინის მეტალურგიის ჩასახვა-გავრცელებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ბუნებასაც მიუძღვის გარკვეული როლი იმაში, რომ ჩვენი წინაპრები გახდნენ რკინის მეტალურგიის ერთ-ერთი შემქმნელნი. ქრონოლოგიურად რკინის დნობის ტექნოლოგიის დაუფლება ჩვენში მოდის ძვ.წ. მეორე ათასწლეულის ბოლო საუკუნეებზე, ხოლო ახალი მასალისაგან შექმნილი იარაღების ფართო გავრცელება ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებზე.

ახლა შევხედოთ, თუ როგორ იჩინა თავი გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებმა საქართველოს აღნიშნული ხანის ევოლუციაში. შევადაროთ ამ მხრივ საქართველოს ცალკეული რეგიონების სვე-ბედი.

მიუხედავად ბუნების ძალებზე გაბატონების ისეთი მძლავრი საშუალებისა, როგორიცაა რკინის იარაღები, ეს აღმოჩენაც კი უძლურიგახდა იმისათვის, რომ საქართველოს სხვადასხვა ნაწილები მეურნეობის ახალი საფეხურისათვის ერთგვაროვანი გამხდარიყო. მიწათმოქმედების ფართო გავრცელება კავის მიწათმოქმედების პირობებშიც კი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კოლხეთში, აწყდებოდა დიდ ბუნებრივ დაბრკოლებებს, როგორიცაა მწირი ნიადაგები, ჰავის სინოტივე, დაბლობი რელიეფის გამო ქვეყნის ერთი ნაწილის დაჭაობებულობა. მარცვლეულის სახეობები (ხორბალი, ქერი) კოლხეთში მხოლოდ ძალზე შეზღუდულ ადგილებში გავრცელდა; ქვეყნის ბუნებრივი პირობებისათვის ისინი არაოპტიმალურ კულტურებს წარმოადგენდნენ. მსგავს პირობებში მარცვლეულთაგან ოპტიმალური გახლდათ სიმინდი, მაგრამ პურეულის ამ სახეობამ, როგორც ცნობილია, ვერც ამ პერიოდში და ვერც გვიან, დიდი ხნის მანძილზე, აქ

---

1 ფ.ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 232. რკინას, — სპილენძისა და ბრინჯაოსაგან განსხვავებით, უდიდეს როლს აკუთვნებდნენ ლ.მორგანი და ფ.ენგელსი, კულტურის წინამავალი პერიოდების გამოყოფისას კი სპილენძსა და ბრინჯაოს ისინი მეორეხარისხოვან როლს მიაწერდნენ.

ვერ შეძლო გავრცელება. გვიან გავრცელდა ბრინჯიც, რომლისთვისაც აქაური ეკოლოგიური პირობები ბევრად უკეთესი აღმოჩნდა, ვინემ ხორბლისა და ქერისათვის. ძირითადად თესავდნენ ღომს, რომელიც მოსავლელად ძნელი კულტურაა და მაინცდამაინც არც მაწიერებით გამოირჩევა. როგორც ამას საერთოდ შენიშნავდა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე, აქაური „საკომლო" მარცვლეულის ნაკლები გავრცელების გამო უწინ ბევრად უფრო მეტი ზომისა იქნებოდა, ვიდრე ძველ ქართლში. (პირველ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა მესაქონლეობის პროდუქტების მეტ ხვედრით წონას კვების რაციონში).

კოლხეთში ჭაობები უფრო ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა, ვიდრე იბერიაში მშრალი ჰავა, რაც აქ ირიგაციის განვითარებით გადალახეს. მდინარე რიონს, მართალია, ნოყიერი შლამი მოჰქონდა ზემო დინებიდან[1], მაგრამ ჯერ ერთი ჰავის სინოტივისა და მეორეც ამ მდინარის დაბალი კალაპოტის გამო აღნიშნული ბუნებრივი ძალის ფართო გამოყენება ირიგაციისათვის შეუძლებელი გახდა (ამასთანავე სუსტ სახელმწიფოს არ შეეძლო რიონის დამორჩილება დამბების მეშვეობით).

ყოველივე აღნიშნულის გამო კოლხეთი მოსახლეობის სიმჭიდროვით, დასახლების ტიპების სიდიდითა და ა.შ. ჩამორჩებოდა ქართლს (იბერიას). რაც შეეხება ზღვასთან მდებარეობის ფაქტორს, ესეც ვერ იქნა კოლხეთის საზოგადოების მიერ ფართო მასშტაბებით გამოყენებული. შავი ზღვის ჩვენი სანაპირო ნაკლებ დიფერენცირებულია, კუნძულების გარეშე, რაც ართულებს ზღვაოსნობას. ამ მიზეზთა გამო მითუმეტეს საკმაოდ მშფოთვარე შავი ზღვის დამორჩილება დასავლელ ქართველთათვის უფრო ძნელი იყო, ვიდრე ეგეოსის ზღვისა — ბერძნებისათვის. შავი ზღვის როლმა კოლხეთისა და საერთოდ საქართველოს ისტორიაში თავი იჩინა ბერძნების მიერ სანაოსნოდ მისი ათვისების შემდეგ. ბერძნებს ჩვენი სანაპიროს დასაუფლებლად უბიძგებდა არა მიწები, არამედ ვაჭრობის ინტერესები. ამან გარკვეული დადებითი როლი შეასრულა კოლხეთის განვითარებაში. მოხდა შრომის გარკვეული დანაწილება მასსა და ბერძნულ სამყაროს შორის. მაგრამ, ცხადია, ამ ურთიერთზეგავლენას არ შეეძლო ისეთი მასშტაბები მიეღო, რაც რადიკალურად გარდაქნიდა ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრებას. შესაძლოა გაცვლას, თანამდეროვე ტერმინით რომ ვთქვათ, არაეკვივალენტური ხასიათიც ჰქონდა, მაგრამ საერთოდ შავი ზღვის ნაპირზე მდებარეობამ დადებითი როლი შეასრულა ამ პერიოდის კოლხეთის განვითარებაში. (ეს შენიშნულ იქნა მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი მოაზროვნეების მიერ). მსგავსი პროცესის განახლება მხოლოდ ახ. წ. მეცხრამეტე საუკუნიდან დაიწყო.

---

1 მოგვიანებით, და, ალბათ, ამ ხანშიც, მდინარის ნაპირებიდან ხელით მოპოვებულ შლამს მოსახლეობა იყენებდა ნიადაგის გასანოყიერებლად. ამის შესახებ იხ. მ.გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, 1961, გვ. 111-112.

საყურადღებო გაბლავთ ის გარემოება, რომ კოლხები ამ პერიოდში ასახლებდნენ ჭაობიან ადგილებსაც. ჰიპოკრატეს მიერ თხრობა ამ ფაქტისა ისე ცხადია, რომ მასში დაეჭვება შეუძლებელია. აქაურ მცხოვრებთ სახმელეთო გზების ნაცვლად არხებზე ნავების მეშვეობით ურთიერთობა აურჩევიათ. ბუნებრივია, რომ ამ ადგილების ჰავას, ცუდ სასმელ წყალს თავისი ღაღი დაუსვამს მათთვის: ჩვეულებრივად ძალზე ტემპერამენტიანი კოლხები (მათი შთამომავლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) დუნენი და მოუქნელნი გამხდარან. რაკი ჭაობების წინააღმდეგ ბრძოლა იმ დროის საშუალებებით არ შეიძლებოდა (არ იცოდნენ ისეთი საშუალებების გამოყენებაც კი, როგორიცაა ევკალიპტი და თევზი გამბუზია), მოსახლეობა მოგვიანებით საერთოდ გაურბოდა ამ ადგილებს. იგი სახლდებოდა კოლხეთის დაბლობის უფრო მაღალ ადგილებზე.

უკეთესი პირობები არსებობდა ჭოროხის აუზსა და მტკვრის ზემო წელზე, რომლის მოსახლეობამაც უფრო მოგვიანებით, — აგრეთვე მოწინავე ბიზანტიის ზეგავლენის გამოც, — თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის განვითარებაში.

ბევრად უკეთესი პირობები იყო ძველ ქართლში, რომლის ნაყოფიერი ნიადაგები, შედარებით მშრალი ჰავა, სწორი რელიეფი ირიგაციისათვის[1] საფუძვლად დაედო საზოგადოების მაღალ განვითარებას. ცნობილია, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობამ უწინ და შემდეგაც საქართველოს სხვა რეგიონებს შორის ყველაზე მეტი გააკეთა ქართული კულტურის, ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის საქმეში. და ამ პროცესში თავისი წვლილი მიუძღვის ქართლის ბუნებრივ პირობებსაც[2]

უკვე აღნიშნული პერიოდისათვის საქართველოს დაბლობ ნაწილებს საგრძნობლად ჩამორჩა მთიანეთი, რომლის მოსახლეობა ახლაც და კიდევ დიდ ხანს სუსტად დიფერენცირებულ (სოციალურად) პირობებში ცხოვრობდა.

თუ საგარეო საფრთხის თვალსაზრისით შევხედავთ საქმეს, მაშინ დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა უკეთესი იყო. ტრაპეზუნტიდან აღმოსავლეთით

---

1 ქართლში ამ პერიოდში ტყეთა მასივების ჭარბი გავრცელების პირობებში ნალექები ალბათ მეტი რაოდენობით მოდიოდა, რის გამოც პურეულის მოყვანა მორწყვის გარეშეც იქნებოდა შესაძლებელი. ირიგაცია გამოიყენებოდა ალბათ ბოსტნეულისა და ვაზის მოსარწყავად. ამის გამო მისი მასშტაბები მცირე იქნებოდა და სულაც ვერ დაედებოდა საყრდენად იბერიის სახელმწიფოს მიერ აღმოსავლური სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის — ირიგაციის შესრულების საჭიროებას. სახელმწიფოს როლმა ირიგაციის განვითარებაში (ალაზნის დიდი არხის, სამგორის არხის გაყვანა) თავი იჩინა მეთორმეტე საუკუნეში. სხვა დროს ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაშლამ, ქართლ-კახეთის სამეფოების სისუსტემ გააპირობა საირიგაციო მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი დიდი მასივების აუთვისებლობა.

2 ნაკლ ლორთქიფანიძე თავის „ეამია სიავეში" განთლებულ მეცნიერს ალაპარაკებს ქართლისა და იბერეთის ბუნებრივი პირობების სხვაობაზე და აღნიშნავს პირველის უპირატესობას.

ზღვის სანაპირობზე დასახლებული ლაზები დაცული იყვნენ ერთი მხრივ ზღვით და მეორე მხრივ ლაზისტანის მაღალი ქედით. მესხეთის ქედი, ლიბისა და დიდი კავკასიონის ქედები სამი მხრიდან იცავდნენ კოლხეთს, ხოლო დასავლეთიდან ამ ფუნქციას ასრულებდა შავი ზღვა, რომლის აუზში დიდხანს არ გაჩენილა აგრესიული სახელმწიფო. რიონის მარცხენა ნაპირიდან მოკიდებული ჩრდილოეთით საკმაო დიდ მანძილზე ზღვის ნაპირს მისდევდა ჭაობების ზოლი, რაც აგრეთვე აადვილებდა ქვეყნის თავდაცვას.

დასავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, ქართლი (იბერია) საგარეო საფრთხისაგან დაცვის აზრით უფრო ნაკლებად იყო დაზღვეული. თუ ჩრდილოეთიდან ამ მხრივ საქმე კარგად იყო, — კავკასიონის ზეკარებზე გადმოსასვლელები აძნელებდა მომთაბარეთა ფართო მასის შემოჭრას, თანაც მათი დაცვა ქართლის სახელმწიფოს მიერ ადვილად შეიძლებოდა, — სამხრეთიდან და მითუმეტეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სიტუაცია აღნიშნულისაგან ბევრად განსხვავდებოდა. ამ მხარეებიდან ეს რეგიონი არაერთგზის გამხდარა აგრესორ სახელმწიფოთა თავდასხმის ობიექტი. ასევე ითქმის მის აღმოსავლეთ ნაწილზეც, რომელიც შემდგომში კახეთის სამეფოს სახით ჩამოყალიბდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს დაცულობა ბუნებრივი საზღვრებით საკმაოდ საიმედო იყო. იქაც კი, სადაც იგი მოისუსტებდა, კერძოდ ქართლსა და მერმინდელ კახეთში, ხევებისა და მთების სიახლოვე აადვილებდა ჯერ სამხედრო საქმის წარმოებას და შემდეგ. დამარცხების შემთხვევაში, მოსახლეობის გახიზვნას მიუდგომელ ადგილებში. ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს აიოლებდა აგრეთვე მისი შედარებითი დაშორებულობა წინა აზიის აგრესიული სახელმწიფოებისაგან.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ძალიან მცირე ხანს იყო ცენტრალიზებული, მან მაინც, თუმცა დიდი მსხვერპლის ფასად, შეინარჩუნა თავისი ეროვნული თვითმყოფობა თვით ფეოდალური დაშლილობის პირობებშიც კი. ამაში თვალსაჩინო როლი მიეკუთვნება ქვეყნის ხალსაყრელ ბუნებრივ პირობებსაც (რელიეფს).

დასასრულს, თუ ძველი საქართველოს ორივე ნაწილს შევადარებთ განვითარების პერსპექტივების აზრით, შეიძლება დავასკვნათ: მიუხედავად ზღვისაგან დაშორებულობისა და მოწინავე საზოგადოებებთან (ბერძნულთან, რომაულთან) უფრო სუსტი კონტაქტებისა, კოლხეთთან შედარებით პროგრესის გზით მეტად წავიდა და კიდევ მეტად შეიძლებოდა წასულიყო ქართლი. უკანასკნელის უფრო განვითარებული მიწათმოქმედება, მოსახლეობის მეტი სიმჭიდროვე ეკონომიკისა და საერთოდ საზოგადოების მეტი განვითარების წანამძღვრები იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძველი ქართლი (იბერია) არ წასულა ანტიკური საზოგადოების განვითარების გზით. ამ მოვლენის მიზეზთაგან მხოლოდ იმითაც

შეეჩერდებით, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ბუნებრივ პირობებთან. ზღვისაგან დაშორებულობა, მოწინავე საზოგადოებებისაგან სტიმულების ნაკლებობა, აგრესორთა შემოსევები, წონასწორობა მოსახლეობის რაოდენობასა და ბუნებრივ საწარმოო ძალებს შორის[1] — ნაწილობრივ ხსნის იბერიის საზოგადოების განუვითარებლობას ანტიკური მონობის გზით. იგივე, და ბევრ შხრივ მეტადაც, ითქმის კოლხეთზე, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი.

მომთაბარეთაგან განუწყვეტელი შემოსევების საფრთხის, დიდი საირიგაციო სამუშაოების საჭიროების არარსებობა, ბუნებრივი პირობების გამო ჯერ წვრილი, შემდეგ მსხვილი კერძო მიწათმფლობელობის გაჩენა, მსხვილ მესაკუთრეთა დაცულობა ცენტრალური ხელისუფლებისაგან — ყველაფერი ეს ძირს უთხრიდა აზიისათვის ტრადიციულ (იაპონიის გარდა) საზოგადოებას საქართველოში, მის შეცვლას ფეოდალურით.

გეოგრაფიული გარემოს როლი ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარებაში

ფეოდალური საზოგადოება წარმოების პირობებით ჩვენში ბევრად არ განსხვავდებოდა განვითარების წინა საფეხურისაგან. ამიტომ ბუნებრივი პირობების თავისებურებებს ახლებურად არ უჩენიათ თავი. ეს ითქმის როგორც საზოგადოების მიმართ საერთოდ, ისე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ ცალ-ცალკე. ამიტომ წინა პარაგრაფში ნათქვამს ახალს თითქმის ვერაფერს დავუმატებთ. ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან საქართველოში ამ პერიოდში გავრცელდა თუთის ხე (თუთის კულტურა ჩვენთან უწინაც იყო, მაგრამ ახლა აბრეშუმის ჭიის გავრცელებასთან დაკავშირებით უფრო ფართოდ გავრცელდა ახალი სახმარი ღირებულების გამო), ბრინჯი, ბამბა. ახ.წ. პირველი ათასწლეულის ბოლოსათვის ჩვენში (7-8 საუკუნის მოგვიანებით) გავრცელდა მძიმე გუთანი. მაგრამ ამ იარაღის გავრცელების არეალი აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი ზონით შემოიფარგლა. ძნელად და ღრმად მოსახნავი ნიადაგები არსებობს საქართველოს ამ რეგიონში. ასე რომ, მძიმე გუთანი რვა-ათი უღელი ხარ-კამეჩით, შრომის შედარებით რთული ორგანიზაციით, დასავლეთ საქართველოს პირობებში უადგილო იყო. კიდევ მეტი. თვით აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში, რომელსაც სახნავ-სათესი ბარშიც აქვს და მთაშიც, შრომის ეს იარაღი მხოლოდ პირველ შემთხვევაში გამოიყენებოდა,

---

1 ამ წონასწორობის დარღვევა ჩვენ მიგვაჩნია განვითარების ერთ-ერთ მძლავრ წყაროდ. თუ აღმოსავლეთ საქართველოში ეს დარღვევა ვერ მოხდა მიუხედავად მთიანი ზონების საკმაოდ არსებობისა, ეს აიხსნება მტერთაგან შემოსევებით. მეორე მხრივ, რათა მოსახლეობის დაწოლას წარმოების ტრადიციულ საშუალებებზე თვისებრივი პროგრესი მოჰყვეს, ამისათვის მხოლოდ მშვიდობიანობის ფაქტორი არ კმარა.

ხოლო მეორე შემთხვევაში კავს ხმარობდნენ. უფრო მოგვიანებით ჩვენ'ში გავრცელდა ციტრუსოვანი კულტურები.

ფეოდალიზმის არსებობის მანძილზე საქართველო'ში ადგილი ჰქონდა სასელექციო საქმის შემდგომ განვითარებას. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვაზისა და მრავალნაირი სახის ხეხილის, ბოსტნეულის და ა.შ. ჯიშები ამ პერიოდში გავრცელდა. ეს გარემოება ქართველი გლეხკაცის აქტიურობის გარდა, ჩვენი ბუნების მრავალფეროვნებითაც აიხსნება. თუ საქართველო'ში მარცვლეულის ამდენი ჯიში, ხუთასამდე ვაზის ჯიში და ა.შ. გავრცელდა, შესაბამისად მრავალფეროვანი იყო ღვინის დაყენების წესები, ამაში, ვიმეორებთ, ჩვენი ქვეყნის ბუნებასაც მიუძღვის თავისი წილი.

მაგრამ ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მათი სხვადასხვა ჯიშების გავრცელება ფეოდალური ეკონომიკის განვითარებაში იმდენად გადამწყვეტი არ ყოფილა, რამდენადაც შრომის ეკონომიკური დანაწილების გაღრმავება. თუ პირველი გარემოებით საქართველო თავისი ბუნებრივი პირობების გამო ბევრად უსწრებდა წინ დასავლეთ ევროპის ბევრ საზოგადოებას, მეორე გარემოების თვალსაზრისით იგი მას საგრძნობლად ჩამორჩებოდა, განსაკუთრებით XII-XIII საუკუნეებიდან მოყოლებული. ამიტომ არ მიგვაჩნია საფუძვლიანად ნ.ბერძენიშვილის აზრი, რომლის თანახმად ამ საუკუნეებში ფეოდალიზმმა საქართველო'ში ამოსწურა თავისი განვითარების შესაძლებლობანი და კაპიტალიზმის განვითარების ზღურბლზე დადგა. ხელოსნობის განვითარების ფარგლებში, მანუფაქტურის სტადიამდე, ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, რასაც საქართველო'ში ადგილი არა ჰქონია. საქართველომ ბევრი რამ, თვით აღმოსავლეთის ქვეყნებში შექმნილიც კი, ვერ შეითვისა, თუმცა გეოგრაფიული მდებარეობის გამო მას ეს ბევრად უფრო ადრე და ადვილად უნდა გაეკეთებინა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებს.

უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო სიმინდის კულტურის გავრცელება დასავლეთ საქართველო'ში, რაც, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, მე-17 საუკუნის დამდეგს მოხდა (ე.ი. დასავლეთ ევროპაში გავრცელებიდან ერთი საუკუნის შემდეგ), ხოლო ფართოდ გავრცელდა ამ საუკუნის 50-იანი წლებიდან. ძნელი არაა წარმოვიდგინოთ იმ თავისებური „რევოლუციის" მნიშვნელობა, რაც სიმინდის ფართო გავრცელებას მოჰყვა დასავლეთ საქართველო'ში. თავისი ბუნებრივი პირობების გამო სწორედ ეს მარცვლეული კულტურა გახლავთ აქ ოპტიმალური, საჭიროებს რა მეტ ატმოსფერულ ნალექებს და არაა მომთხოვნი ნაყოფიერი ნიადაგებისადმი, როგორც ხორბალი. ამერიკიდან შემოტანილი მეორე კულტურის — ლობიოს გავრცელება საუკეთესო გამანაყოფიერებელი საშუალება გახდა ნიადაგისა (იგი ითესებოდა სიმინდთან ერთად). სიმინდის კულტურას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისითაც, რომ ოჯახს მის

დასათესად ბევრად უფრო ნაკლები მიწა სჭირდება, ვიდრე ხორბლის თესვა-მოყვანის პირობებში. იქნებ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, მიუხედავად ტყვის სყიდვის ფართოდ გავრცელებისა დასავლეთ საქართველოში, მოსახლეობა მე-17 და მე-18 საუკუნეებში აქ მაინც იზრდებოდა.

თუ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, სიმინდის კულტურამ თითქმის გამოაძევა ღომი, ხოლო ზემო იმერეთში — ხორბალი, აღმოსავლეთ საქართველოში ეს კულტურა უფრო გვიან შეიტანეს და თანაც ფართოდ ვერ გავრცელდა.

სიმინდზე მოვიანებით საქართველოში გავცრელდა კარტოფილი, მაგრამ — ფართოდ არა. ამ კულტურის თავისებურებამ (ვარგობს უფრო ცივ ადგილებში) მისი გავრცელების არეალი შეზღუდა.

ფეოდალიზმის შიგნით სასაქონლო-ფულადი წარმოების ფაზის ნაკლები განვითარების გამო ჩვენი ისტორიის ამ პერიოდში შავი ზღვა არ გამხდარა დამაჩქარებელ ფაქტორად. თუმცა ამის მიზეზი მის აუზში მოწინავე საზოგადოებების არარსებობაც იყო. პირიქით, მე-15 საუკუნეში შავი ზღვის აუზში თურქეთის გაბატონებამ შავი ზღვის მნიშვნელობა ჩვენთვის უარყოფითი გახადა.

ერთი სიტყვით, მოხდა ისე, რომ ქართული ფეოდალიზმის განვითარებას იმანენტურად არ წარმოუშვია კაპიტალიზმი. ეს საზოგადოება ჩვენში ჩაისახა მოწინავე ცენტრების ზემოქმედებით. ახალ და უახლეს ხანებში ქართული საზოგადოების მიერ მოწინავე წარმოებითი პრაქტიკის შეთვისების საფუძველზე ბუნების როლმა ჩვენს ისტორიულ პროცესში ახლებურად იჩინა თავი.

გეოგრაფიული გარემოს როლი საქართველოს მთიანეთის განვითარებაში

არათუ ქართულმა მეცნიერებამ, არამედ ყოველდღიურმა ცნობიერებამაც კი დიდი ხანია გაიაზრა საქართველოს მთიანი რეგიონების ჩამორჩენილობა ბართან შედარებით. ა.ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ბ.ნიჟარაძე, ს.მაკალათია და სხვები აღწერდნენ რა ჩვენს მთიელთა ყოფას, ანგარიშს უწევდნენ ბარის მოსახლეობასთან შედარებით მათი ჩამორჩენილობის ფაქტს და ამ ფაქტის ამხსნელი მიზეზიც კარგად იცოდნენ. მათი აზრით, ეს მიზეზი არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მდგომაროებდა. შეხედულებანი მოცემულ საკითხზე, ჩვენი აზრით, არავითარ შესიტყვებას არ უნდა საჭიროებდეს. ჩრდილოეთის მთიანი ნაწილის ჩამორჩენილობა ბართან შედარებით მხოლოდ ძველი ისტორიის ფაქტი კი არა, — მაგალითად სტრაბონის ხანისა, არამედ ჩვენი ისტორიის არცთუ ისე შორეული ფაქტია. სხვა დროს ამაზე ყურადღების გამახვილება არც კი ღირდა, მაგრამ ახლა ეს საკითხი აქტუალური გახდა.

მთელ რიგ ეთნოგრაფოსებს საქართველოს ჩრდილოეთი მთიანეთის ჩამორჩენილობა ბართან შედარებით მხოლოდ საგანთა ვითარების ზედაპირულად ცოდნის გამოხატულებად მიაჩნიათ. მათ მხარს უჭერს ზოგიერთი ისტორიკოსიც, რომლებიც აქ (მთაში) ფეოდალიზმის თვალსაჩინო განვითარებას ხედავენ. ეთნოგრაფოსები ქმნიან ჩვენ მთიელთა ცხოვრების განზოგადებულ სახეს. თუშური ცხვარი და ყველი, ხევსურული ძროხა და ერბო, სვანური ოქრომჭედლობა და სვანებში გავრცელებული გამოცდილება სათიბების მორწყვისა — აი ის ელემენტები, რომელთა მთლიანობა ქმნის ამგვარად განზოგადებული მთის სურათს [1].

თუ მარტოოდენ ტექნიკით შემოვიფარგლებით, მაშინ იმოდენა განსხვავებას საქართველოს ბარისა და მთიანეთის მოსახლეობას შორის ვერ დავინახავთ; მთიანეთის მრავალი კუთხის მოსახლეობა ბარისას გვიან გამოეყო და ამიტომ ადგილებზე მოიტანა საკმაოდ განვითარებული ტექნიკა და შრომითი გამოცდილება. ამას ემატებოდა მთიელთა და ბარელთა კონტაქტები და მოსახლეობის გვიანდელი გადაადგილებანიც ბარიდან მთაში. მაგრამ თუ მხოლოდ ტექნიკას არ დავჯერდებით და მხედველობაში მივიღებთ ბუნებრივ საწარმოო ძალებს, ე.ი. იმ ბუნებრივ პირობებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ბარისა და მთის მოსახლეობის სამეურნეო აქტიურობას, დავინახავთ თვისებრივ განსხვავებულობას ქართული საზოგადოების აღნიშნულ რეგიონებს შორის. სახნავ-სათესი მიწების ბევრად უფრო დიდი მასა, მათი მაღალი ნაყოფიერება, მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის გავრცელება, მოსახლეობის მეტი სიმჭიდროვე, დიდი დასახლებანი (სოფლების და ქალაქების სახით), კომუნიკაციების სიადვილე, საირიგაციო ქსელი, შრომითი ჩვევების მეტი განვითარებულობა მეურნეობის მრავალ დარგში და ა.შ. აშკარად ხდის ბარის მოსახლეობის დაწინაურებას მთიელებთან შედარებით.

ყოველივე ამის გამო ბარი დიდი ხანია ამაღლდა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციამდე, სოციალური კლასების წარმოშობამდე, ქალაქების გაჩენამდე, კულტურის სხვადასხვა მხარის განვითარებამდე და სხვ., მაშინ როდესაც ჩვენი მთიელების სოციალური ორგანიზაცია, სულიერი შემოქმედება ასეთი ინტენსიობით არ ხასიათდებოდა.

თუ ბარის მოსახლეობა დიდი ხანია მშვიდობიანი გახდა მთიელებთან შედარებით (ამას ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა), ეს იმიტომ, რომ, გარდა სოციალური თანაცხოვრების უფრო განვითარებული ფორმებისა, ბარის მოსახლეობა ბევრად უფრო მეტად იყო მიჯაჭვული სოფლის მეურნეობას. მიწათმო-

---

1 წერილობითი სახით ეს აზრი გატარებული აქვთ გ.ჩიტაიასა და ლ.ფრუიძეს გ.გასვიანის მონოგრაფიის რეცენზიაში. იხ. „ცისკარი", 1974, №1.

ქმედება, სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგები, ჯერ სახელმწიფოსადმი, შემდეგ კი უკანასკნელისადმი და თავად-აზნაურობისადმი ვალდებულებანი (ღალა, ბეგარა) ბარელს ნაკლებ დროს უტოვებდა სამხედრო საქმის დასაუფლებლად. ეს სოციალური ფუნქცია ძირითადად ითავა სოფლის მეურნეობისაგან და საერთოდ მატერიალური წარმოებისაგან გამოთავისუფლებულმა მასამ თავადაზნაურობის სახით. მთიელთა ეკონომიკას შრომის ასეთი სოციალური დანაწილება თვალსაჩინოდ არ შეეძლო. ზემოაღნიშნული მომენტი (ბარის მოსახლეობის ფართო მასების ნაკლებმეომრული ფსიქოლოგია) გასაგებს ხდის ბარელი გლეხკაცობის დაყმევებას. მთაში კი ეს ძალზე გაძნელებული გახლდათ მოსახლეობის მეომრულობის გამო. სოციალური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების შედარებით ნაკლებგანვითარებულობა[1] საქართველოს მთიანეთში ეფუძნებოდა ჭარბი პროდუქტების ძალინ შეზღუდული სახით წარმოებას, რომელიც ესაჭიროებოდა ძირითადად რელიგიურ კულტს. ჩამორჩენილი მიწათმოქმედება, არახელსაყრელი პირობები მესაქონლეობისათვის ძალზე აძნელებდა თვით აუცილებელი პროდუქტის წარმოებასაც კი.

მეორე მხრივ, ბარის დაწინაურებულობა მთასთან შედარებით, ამდენად ორი თვისებრივად განსხვავებული საფეხურის თანაარსებობა, არ იწვევდა მთიელთა საზოგადოების დეზინტეგრაცია-დაშლას. ამისათვის საჭირო იყო ბარის საზოგადოების განვითარების ბევრად უფრო მაღალი დონე.

ჩვენი ჩრდილოეთი მთიანეთისაგან გასხვავებით, ბევრად უფრო უკეთესი პირობები იყო სამხრეთ მთიანეთში, როგორც ჩვენ დღევანდელ, ისე ყოფილ ტერიტორიებზე ჭოროხის აუზსა და მტკვრის სათავეებში. აქ დაბლობები ბევრად უფრო ვრცელია, ჰავაც უკეთესია, მთები ისე მაღალი არაა, როგორც დიდ კავკასიონზე. ყოველივე ამის გამო ზემოაღნიშნულ რეგიონებში ადამიანთა წარმოებითი აქტიურობა ბევრად უფრო წინ წავიდა. ამან, ხელსაყრელ ისტორიულ გარემოსთან (ბიზანტიასთან) ერთად, განაპირობა ამ მხარეების დაწინაურება, მათი თვალსაჩინო წვლილი ქართული ცივილიზაციის განვითარებაში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლაზეთისა და მესხეთის დიდი ნაწილის მდებარეობამ უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში ისტორიული გარემოს შეცვლისას (ბიზანტიის ადგილზე თურქ-ოსმალთა აგრესიული სახელმწიფოს გაჩენა) უარყოფითი როლი ითამაშა ამ მხარეების განვითარებაში.

საქართველოს აღნიშნულ მხარეებთან შედარებით ჩრდილოეთის პატარ-პატარა კუთხეებს უკეთესი პირობები ჰქონდათ ისტორიული გარემოს თვალსა-

---

1 ეს არ გვაძლევს საფუძველს დავსვათ საკითხი, თუ წარმოების რა წესი, რომელი ფორმაცია არსებობდა საქართველოს მთიელებში. ისინი შეადგენდნენ ჩვენი ეროვნული ორგანიზმის ნაწილს და არა ცალკე საზოგადოებას. ამღენად ჩვენი მთიელების საზოგადოება წარმოადგენდა თავისებურ ორგანიზაციას ქართული ფეოდალური საზოგადოების შიგნით.

ზრისით. ისინი კარგად იყვნენ დაცული მაღალი მთებით[1], ჩრდილოეთიდან მათ არც დიდი აგრესიული ძალა დაპირისპირებია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარეშე მტრისაგან დაცულობის, მშვიდობიანობის ფაქტორმა ჩვენი მთიელების განვითარებაში სათანადო როლი ვერ ითამაშა. ამ ფაქტორს ვერ ავსებდა, როგორც არაერთგზის მიუთითებიათ, არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები. ასე გრძელდებოდა დიდხანს, სანამ ჩვენი ქვეყნის ჩართვამ ახალ, ბურჟუაზიულ ცივილიზაციაში მთიანი ადგილების ყოფასა და ბართან კომუნიკაციებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოიწვია. მაგრამ ახალ ვითარებაშიც კი, მიუხედავად ახალი ტენდენციების მძლავრად გაშლისა, საქართველოს მთის რეგიონების ეკონომიკა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება ბარისას. ასე რომ, პირველთა ბუნებრივი პირობების სირთულე ჯერაც არაა მთლად გადალახული.

ბუნებრივი პირობების როლი თანამედროვე ქართული საზოგადოების განვითარებაში

როგორც ცნობილია, ქართული ფეოდალური საზოგადოების შემდგომი განვითარება ძალზე შეფერხდა არახელსაყრელი ისტორიული გარემოს ზემოქმედების შედეგად. ამის გამოისობით ჩვენი საზოგადოების მიერ იმ ბუნებრივი პირობების გამოყენებაც კი (წყლის, ქარის ენერგიის, ზღვების დაუფლება, აფეთქების ძალის გამოყენება და ა.შ.) ვერ მოხერხდა, რაც დასავლეთ ევროპამ შესძლო განვითარებული ფეოდალიზმის პირობებში. ამით, ჩვენთან შეფერხდა ის გზა, რომელშაც დასავლეთი ევროპა მანქანური მრეწველობის შექმნამდე მიიყვანა. მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ ყოფილა ისეთი გზა, რომელიც ფატალურად უნდა გაევლო ყველა არადასავლეთევროპულ საზოგადოებას, რათა უკანასკნელი მანქანურ წარმოებაზე გადასულიყო. ახალ პირობებში ეს გზა შემოკლებულად, უშუალოდ მაღალი მატერიალური მიღწევების შეთვისებით, გავლილ იქნა მრავალი სხვა ხალხის მიერ, მათ შორის ქართველების მიერაც.

აქ ზედმეტია ლაპარაკი იმ სოციალურ, პოლიტიკურ და ა.შ. წანამძღვრებზე, რომელთაც ნიადაგი შეამზადეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, საზოგადოების ბუნებასთან მიმართების რევოლუციური შეცვლისათვის. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლუატაცია უცხოური კაპიტალის მიერ წინაპირობად გულისხმობდა შავი ზღვისპირეთის ქართულ ნაწილთან კომუნიკაციების განვითარებას, აქედან კომუნიკაციების ახალი სახის — რკინიგზების გაყვანას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. 1886-90 წლებში სურამის ქედზე გვირაბის გაყვანამ მჭიდროდ დააკავშირა საქართველოს ორი დიდი ნაწილი. შავი მეტა-

---

1 დიდი გერმანელი ისტორიკოსი თეოდორ მომზენი წერდა: „კავკასიონის მთები თითქოს იმისათვის არის ბუნების მიერ ევროპასა და აზიას შორის აღმართული, რომ ბარიერი იყოს ხალხთა მოზღვავების წინააღმდეგ“. იხ. მისი История Рима, т.III, М., 1941, с. 109.

ლურგიის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა მარგანეცის სახმარი ღირებულების მნიშვნელობა საზოგადოებისათვის. ამის შედეგად მოხდა ის, რომ თუ უწინ მარგანეცის მადნების დიდი გავრცელებულობის გამო ზემო იმერეთის (არგვეთის) თვალსაჩინო ნაწილის ნიადაგები მწირი იყო და ამ მადნების ქართულად აღმნიშვნელი ტერმინი „შავი ქვა“ ქართულ ლექსიკაში წყევლის სიტყვად იხმარებოდა, შეცვლილ ვითარებაში ბუნების აღნიშნული სიმდიდრე დიდ სიკეთედ იქცა. მან საგრძნობლად შეცვალა ძველად ღარიბი ზემო იმერეთის ეკონომიკური მდგომარეობა და საერთოდ თვალსაჩინო როლი შეასრულა და ასრულებს საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. შინაგანი ბაზრის განვითარებამ, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ბაზრების გაჩენამ ნიადაგი მოამზადა საქართველოს ცალკეულ რეგიონებში სოფლის მეურნეობის შესაბამისი დარგების მეტი განვითარებისათვის.

აქ აღვნიშნავთ ბუნებრივი პირობების განსხვავებულობის მნიშვნელობას დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ განვითარებაში. 1913 წლისათვის სახნავ-სათესი მიწების რაოდენობა საქართველოში თითქმის 800 ათას ჰა-ს აღწევდა. აქედან დასავლეთ საქართველოს გააჩნდა 300 ათასი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს — 500 ათასი. და ეს მაშინ, როცა სოფლის მოსახლეობით ქვეყნის დასავლეთი ნაწილი აღემატებოდა აღმოსავლეთისას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დასავლეთ საქართველოს ეკონომიკაში გადამწყვეტი მარცვლეულ კულტურას წარმოადგენდა სიმინდი, რომელიც მოსახლეობის უფრო მეტ სიმჭიდროვე განაპირობებს, ვიდრე ხორბალი ან ქერი, ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული მარცვლეული კულტურები, მაინც ცხადი გახდება მოსახლეობის გაზრდილი მასის დაწოლა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ძალებზე დასავლეთ საქართველოში. ეს ითქმის როგორც აზნაურთა ფართო მასის, ისე გლეხობის თვალსაჩინო ნაწილის მიმართ. საზოგადოების ეს ფენები აქტიურად ჩაერთენ ეკონომიკური აქტიურობის ახალ სფეროებში. მსგავსი სოციალურ-ფსიქოლოგიური გარდატეხა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში ბევრად უფრო ნაკლებად ხდებოდა. ამის მიზეზი გახლდათ სახნავ-სათესი მიწის ფართობების უფრო მეტად გავრცელებულობა აღმოსავლეთ საქართველოში.

თუმცა ქვეყნის ეკონომიკური პროგრესი ძველ პირობებთან შედარებით თვალსაჩინო იყო, მაგრამ მას არ მიუღია ისეთი მასშტაბები, რომ ახალი ისტორიული გარემოს „გამოწვევის“ შესაფერისი „პასუხი“ ყოფილიყო. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია უწინარეს ყოვლისა მოითხოვდა რკინის მადნებითა და ქვანახშირის საბადოებით სიმდიდრეს. თუ უკანასკნელი სახის რესურსები საქართველოს ასე თუ ისე გააჩნია (ტყიბულსა და ტყვარჩელში), რკინის

მადნების მნიშვნელოვანი მარაგი ჩვენს ტერიტორიაზე, ყოველ შემთხვევაში გეოლოგიური საძიებო ტექნიკის თანამედროვე დონის პირობებში, არ არსებობს. თუ უწინ ასეთი სახის ბუნებრივი დაბრკოლება ძალიან და ბევრ შემთხვევაში საბედისწეროდ იჩენდა თავს, ახალ ისტორიულ სიტუაციაში აღნიშნული დაბრკოლება ადვილად იქნა გადალახული. ამჯერად იგი გადაწყვეტილ იქნა აზერბაიჯანის დაშქესანის რკინის საბადოების ხარჯზე. შიდაწვისძრავიანი ტრანსპორტისა და სხვ. განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა მოთხოვნილება ნავთობპროდუქტებზე. მაგრამ ნავთობის მოპოვება ჩვენს ქვეყანაში გაძნელდა. ამ ნედლეულით მომარაგების პრობლემა გადაიჭრა ბაქოს ნავთობის საბადოების ხარჯზე. ახლა ისახება პერსპექტივები იმ რაოდენობის ნავთობის მოპოვებისა, რაც ჯერჯერობით საკმარისი იქნება საქართველოს საკუთარი მოხმარებისათვის. მხოლოდ ახლახან დაიწყო დიდი რაოდენობით ადგილობრივი სპილენძის მადნების მოპოვება (მადნეულში). აქ არ ჩამოვთვლით სასარგებლო წიაღისეულის იმ ათობით სახეს, რომლის მოპოვება ჩვენში წარმოებს და რომელთა მნიშვნელობა ეკონომიკისათვის შედარებით მეორეხარისხოვანია.

ბევრად უფრო ფართო მასშტაბები მიიღო სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განლაგებამ ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში, რაც ბუნებრივი პირობებით არის ნაკარნახევი. ეს ტენდენცია გრძელდება პურეული კულტურების ნათესების ხარჯზე, ხოლო მოთხოვნილება კვების ამ პროდუქტზე დაკმაყოფილებულია გარედან შემოტანილი პურით. ფართო ხასიათი მიიღო საკურორტო რესურსების ათვისებამ. ამ რესურსებით სიმდიდრე გარკვეულ როლს თამაშობს რესპუბლიკის ეკონომიკაში. ასევე ფართო გავრცელებას ჰპოულობს ტურიზმი, რასაც ხელს უწყობს როგორც საქართველოს ბუნების მრავალფეროვნება, ისე მის მრავალ კუთხეში დაცული ისტორიული ძეგლები.

რასაკვირველია, როცა ჩვენი ბუნების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაში მომხდარ დიდ პროგრესზე ვლაპარაკობთ, უფრო მეტად უნდა გაესვას ხაზი ისეთ წანამძღვრებს, როგორიცაა მსოფლიო წარმოებითი გამოცდილების შეთვისება, ძვრები სოციალურ ცხოვრებაში, საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაში, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ როგორა ვართ დავალებული ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი რესურსებისაგან. ხოლო თუ როგორ არის განლაგებული საზოგადოების მეურნეობის დარგები ბუნებრივი პირობების შესაბამისად, ამაზე ჩვენ შესავალში უკვე გვქონდა საუბარი.

ეს დამოკიდებულება ყველაზე მეტად იგრძნობა სოფლის მეურნეობაში. როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკა მთიან მხარეს წარმოადგენს, რომლის ტერიტორიის ორი მესამედი საშუალო და მაღალ მთებს უჭირავთ. ცხადია, ეს ფაქტორი საგრძნობლად აფერხებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კომუნიკაციების და ა.შ. განვითარებას. თუ საქართველოს ამ თვალსაზრისით

შევადარებთ ყირგიზეთს, ტაჯიკეთს, თურქმენეთს (უდაბნოთა ფართო ზონა, ნორვეგიას, ფინეთს, ისლანდიას, მითუმეტეს ტიბეტს და ა.შ., ჩვენი ბუნებრივი პირობები მათთან შედარებით ბევრად უკეთესია. მაგრამ თუ მას შევადარებთ ტერიტორიის მხრივ უფრო მცირე ქვეყნებს — ჰოლანდიას, ბელგიას, დანიას, ლიტვას, ლატვიას, მოლდავეთს და სხვ., მაშინ დავინახავთ, რომ სახნავ-სათესი მიწებით და საძოვრებით ეს ქვეყნები ჩვენზე უფრო მდიდარი არიან, შესაბამისად მეტად განავითარეს მათ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა [1]. თუ მაგალითად მოლდავეთის ფართობი საქართველოს ნახევარსაც კი არ შეადგენს, პირველის შემოსავალი სოფლის მეურნეობიდან ორჯერ მაინც აღემატება საქართველოსას. (როგორც უკვე ვამბობდით, რესპუბლიკის ერთ მესამედზე ნაკლებ ტერიტორიაზე, დაახლ. 21 ათასი კვ.კმ. ცხოვრობს მოსახლეობის ძირითადი მასა და აქ იქმნება ეროვნული შემოსავლის ძირითადი ნაწილი).

თუმცა 1913 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის მიერ ინტენსიურად გამოყენებული ფართობები (სახნავ-სათესები, პლანტაციები) საგრძნობლად გაიზარდა, მიაღწია რა 1,2 მლნ. ჰა-ს, ამ მხრივ მაინც შეზღუდული პერსპექტივები არსებობს. მაგრამ ჰავა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ბევრი კულტურის ორი მოსავალი მივიღოთ. ჯერჯერობით კი ამას მხოლოდ მცირე ფართობებზე აქვს ადგილი. მომავალში ბუნების ამ რეზერვის გამოყენება ალბათ ფართო მასშტაბებით მოხდება და ამდენად ხელსაყრელი კლიმატი, რაც ქვეყნის მდებარეობის შედეგია, გააწონასწორებს იმ ნაკლს, რომელიც ბუნებამ სხვა მხრივ შექმნა (მთიანი რელიეფი). მაგრამ ამას ექნება ადგილი ბარის რაიონებში, მთიანი რეგიონები მის გარეშე დარჩება.

მაგრამ საქმე არ შემოიფარგლება საქართველოს ბუნებაზე საზოგადოების მიერ მოპოვებული არნახული პროგრესით. ამ პროგრესს თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს. ჯერ კიდევ განვითარების აგრარულ სტადიაზე გამოჩნდა არახელსაყრელი შედეგები ბუნებასთან საზოგადოების დამოკიდებულებაში. უფრო მეტად, ვიდრე ეს მიზანშეწონილი იყო, გაიჩეხა ტყეები სახნავ-სათესი მიწებისა და საძოვრებისათვის, ირიგაციის შედეგად ზოგ ადგილას (განსაკუთრებით ალაზნის ველზე) მოხდა მიწების დამლაშობება, ტყეების დიდი ნაწილი გაიჩეხა საწვავი და სახელოსნო მასალისათვის (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში), მოხდა მიწების ნაწილის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია, მთიან ადგილებში, ახოების გაჩეხვის გამო, ადვილად ხდებოდა ნიადაგის ეროზია და ა.შ. ბუნების ლანდშაფტების ასეთი შეცვლა ხელოვნური გზით ცუდ დაღს ასვამდა ჩვენს ქვეყანას. მოხდა მდინარეთა ნაწილის გამეჩხერება (თუ მაგალითად, სტრა-

1 ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სახნავ-სათესი შეადგენს 25 პროცენტს, ლიტვაში — 63,9 პროცენტს, ლატვიაში — 68 პროცენტს, ესტონეთში — 71,4 პროცენტს. საშუალო საკავშირო მაჩვენებელი კი გახლდათ 40,7 პროცენტი.

ბონის დროს მტკვარი და ალაზანი სანაოსნოდ გამოიყენებოდა, ახლა ეს მდინარეები მცირე ზომის ხომალდებისათვისაც კი გამოუსადეგარია), აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი ნაწილის მახლობელი აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტების მსგავსად ქცევა, ფაუნისა და ფლორის გაღარიბება და სხვ.[1]

ყოველივე აღნიშნული ხდებოდა ჩვენი საზოგადოების ევოლუციის იმ ფაზებზე, როცა სტიქიურობა გაბატონებულ ტენდენციას წარმოადგენდა. ახლა, როცა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში შეგნებულობის მომენტი უფრო ძლიერი უნდა იყოს საკუთრების საზოგადოებრივი ფორმის გამო, ბუნებასთან საზოგადოების დამოკიდებულების უარყოფითი შედეგები თითქოს შედარებით ადვილად უნდა გამოსწორდეს, მაგრამ ეს მოითხოვს სათანადო ძალისხმევას და გარკვეულ მატერიალურ დანახარჯებსაც, რისთვისაც საქართველო მზად უნდა იყოს.

ასე გვესახება ზოგად ხაზებში ბუნებრივი პირობების როლი საქართველოს ისტორიულ პროცესში. შევეცადეთ ეს საკითხი გაგვეშუქებინა ძირითადად საზოგადოების არსებობის საფუძვლის — მატერიალური წარმოების — განვითარებაში აღნიშნული ფაქტორის მნიშვნელობის თვალსაზრისით. ქვეყნის ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, გეოგრაფიული გარემოს როლი მნიშვნელოვანი გახლდათ იმ აზრით, რომ სხვადასხვანაირ გავლენას ახდენდა საზოგადოების ევოლუციის სხვადასხვა ფაზებზე. ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო, ჩრდილოეთი და სამხრეთი მთიანეთი. თვით აღმოსავლეთ საქართველოში წარმოებისათვის ერთნაირი პირობები როდი არსებობდა. მაგალითად, ქართლში ნალექები უფრო მცირე რაოდენობით მოდის, ჰავა უფრო ნაკლებად თბილია, ეს კუთხე უფრო მაღლა მდებარეობს ზღვის დონიდან, რის გამოც მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქტები აქ კახეთისას ვერ უტოლდება, უფრო მეტადაა აქ განვითარებული ირიგაცია და ა.შ. მეორე მხრივ, თვით ქართლშიც და კახეთშიც ერთნაირი პირობები არაა ზემო ქართლსა და ქვემოს შორის, გარე და შიდა კახეთს შორის. თუ კოლხეთის დაბლობს ისტორიული თვალსაზრისით შევხედავთ, უწინ იგი სხვადასხვა ბუნებრივი პირობებით ნაკლებ ოპტიმალური იყო. მაგრამ იგივე პირობები მეოცე საუკუნის დონეზე სულ სხვანაირი აღმოჩნდა. შესაბამისი ჰავის წყალობით ეს მხარე გადაიქცა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის რეგიონად და ა.შ.

მაგრამ გეოგრაფიული გარემოს როლი ჩვენი ისტორიული პროცესის გაშ-

---

1 გავრცელებულია შეხედულება, თითქოს ტყეების გაჩეხვაში, — განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მათი ბუნებრივი აღდგენა ბევრგან ჯერ ხდებოდა მშრალი კლიმატის გამო, — უმთავრესი როლი მიუძღვის შემოსეულ მტრებს. მაგრამ მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, ჩვენი წინაპრების სამეურნეო საქმიანობა იყო.

ლაში აღნიშნულით არ შემოიფარგლება. თამაშობდა რა დიდ როლს ჩვენი ქვეყნის ცალკეული ნაწილების ეკონომიკის განვითარებაში, ამით იგი არაპირდაპირ გავლენას ახდენდა საზოგადოების დანარჩენ მხარეებზეც. სახელმწიფოს, სამართლის, მეცნიერების, ხელოვნების დარგებისა და სხვ. განვითარება მოხდა იქ, სადაც ბუნება შესაძლებლობას იძლეოდა უფრო განვითარებული ეკონომიკის არსებობისათვის. ბარისაგან განსხვავებით, ჩვენი მთა ხალხური შემოქმედების დონეზე დარჩა. უფრო მაღალი საფეხურისათვის, ასე ვთქვათ, პროფესიონალური ხელოვნებისათვის, მეცნიერებისათვის და ა.შ. მას დამოუკიდებლად არ მიუღწევია. აღნიშნულ სფეროებში მან ცნობილი მოღვაწეები წარმოშვა XIX-XX საუკუნეებში, რაც ბარის ძლიერ ზეგავლენას მიეწერება.

ჩვენმა ფიზიკურმა ბუნებამ საგრძნობი დაღი დაასვა ქართულ ეროვნულ ხასიათსაც, რაც აღნიშნული ჰქონდა ჩვენს ცნობილ მოაზროვნე არჩილ ჯორჯაძეს. იგი წერდა: „ჩვენი ცვალებადი, გულუბრყვილო, მომხიარულე და მომღერალი ხასიათი მკვიდრად შეეთანხმა ჩვენს მრავალ ფეროვან მძლავრ, სიცოცხლით აღსავსე ბუნებას“[1].

პრობლემის დაწვრილებითი კვლევა-ძიებისას შეიძლებოდა გვემსჯელა ჩვენი ბუნების როლზე მოსახლეობის ამა თუ იმ სიმჭიდროვის გაჩენაში, ყოფაში. განსხვავებული სამშენებლო მასალების, ჰავის მიხედვით სხვადასხვაგვარი იყო საცხოვრებელი ბინა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში (აღმოსავლეთში — მიწური ან რიყის ქვისაგან აშენებული სახლები ოდნავ დაქანებული სახურავით, დასავლეთში — ხისაგან აშენებული ორსართულიანი სახლები, სადაც ზაფხულის განმავლობაში, ნოტიო ნიადაგების გამო, ზედა სართულზე ცხოვრობდნენ; საგრძნობლად დაქანებული სახურავი თოვლიანობის, წვიმიანი ამინდების გამო). ნაყოფიერი და უფრო ფართო მასივების მიწების პირობებში აღმოსავლეთში სოფლური ტიპის დასახლებები უფრო დიდი იყო, დასავლეთში კი ისინი ბევრგან ხუტორულ დასახლებას წააგავდა. აღმოსავლური ქართულ სოფლისაგან განსხვავებით, დასავლეთ ქართული სოფელი ბევრად უფრო შთამბეჭდავია; მწვანე ბუნებრივი ლანდშაფტები, ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელი, ხშირი წვიმები (ეზოს სიმწვანე), რასაკვირველია, საფუძვლად დაედო მისი ყოფის ამ მიმზიდველობას. აღნიშნული რეგიონისაგან ძალზე განსხვავდებოდა მთის ყოფა (დასახლებათა ტიპი, ჩაცმულობა, სახლი, ეზო) ვენახების, ბაღების გარეშე. აღნიშნულ განსხვავებულობათა ნაწილი შენარჩუნებულია დღესაც, საქართველოს სოფლად ყოფის გაერთგვაროვნების მძლავრი ტენდენციების პირობებში.

გეოგრაფიული გარემოს განსხვავებულობათა პირობებში ქარველი ერის ცალკეული ჯგუფების შიგნით შეინიშნებოდა განსხვავებულობანი ტემპერამე-

---

1 არჩილ ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბილისი, 1990, გვ. 303.

ნტში (მაგალითად კახელები და გურულები), რაც აისახა შესაბამისი კუთხეების სიმღერებში (ქართლ-კახური და გურული), მეტყველების ტემპში. მაგრამ საერთოდ ეს „საჩოთირო თემა“ საკმაოდ რთულია და მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით.

ბუნების მიერ წარმოქმნილი ზღუდეები ხელს უწყობდნენ ისტორიული თემების განცალკევებულობას, ქართული ენის სხვადასხვა დიალექტის წარმოქმნას. მართალია, ამაში ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაშლამაც ითამაშა გარკვეული როლი, მაგრამ ცივ-გომბორის, თრიალეთის, მესხეთისა და დიდი კავკასიონის სამხრეთი ქედების არარსებობისას ქართული ენის დიალექტები ამდენი რაოდენობით არ წარმოიშობოდა. (უნდა აღინიშნოს, რომ მეზობელი დაღესტნის ეთნოლინგვისტური სიტუაცია ჩვენგან ძალზე განსხვავდებოდა, ცხადია, არახელსაყრელი აზრით).

კიდევ შეიძლებოდა სხვა მომენტების ჩვენებაც (ჩაცმულობა, კულინარია), მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა. ასეთი განსხვავებულობანი, ასე ვთქვათ, მოზაიკა ჩვენი ისტორიული თემების, პროვინციებისა, ჩვენს წარსულ ისტორიას და თანამედროვეობას უფრო მიმზიდველს ხდის და მშვენივრად თავსდება ერთიანი ეროვნული ორგანიზმის ფარგლებში[1].

1 973 წელი.

---

1 რუსი ისტორიოსოფოსი ნიკოლოზ დანილევსკი განსხვავებულობებს ერთი კულტურულ-ისტორიული ტიპის შიგნით ამ ერთობის პლუსად თვლიდა. იგივე ითქმის, რასაკვირველია, ცალკეული ხალხების შემადგენელი ნაწილების მიმართაც.

სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში

საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ერის ისტორიის მნიშვნელოვან მოკლენათა რიგს განეკუთვნება. ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს პრობლემა ქართული ისტორიოგრაფიული აზრის ინტენსიური კვლევა-ძიების ობიექტი გახდა. მიუხედავად წყაროების სიმცირისა, მატერიალური კულტურის, გეოგრაფიული და ქვეყნის ისტორიული გარემოს. აგრეთვე ზოგადი, მსოფლიო ისტორიის, ფაქტების გათვალისწინებით შესაძლებელია მისი ზოგადად წარმოდგენა.

საკითხის ისტორიოგრაფია. ქართული საისტორიო ტრადიციით საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა ზღვრად დაედო უსახელმწიფო და უკლასო ხანიდან სახელმწიფოებრივ და კლასობრივ ხანაზე გადასვლას ანუ, როგორც ეს ლეონტი მროველთანაა, „მამასახლისობიდან" „მეფობაზე" გადასვლას. ამის მიხედვით დღევანდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში უკვე ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე არსებობდა არიან — ქართლის სამეფო [1], რომლის როლს ქართული ცივილიზაციის განკითარებაში უკვე ძველთაგანვე უყურადღებოდ ტოვებდნენ. არიან-ქართლის მეფის ძე აზო სახელოვანმა ბერძენმა მხედართმთავარმა თითქოს გაამეფა ქართლში (იბერიაში). მაგრამ აზომ დიდხანს ვერ იმეფა. თავისი დესპოტიზმით აზოს აუმხედრებია მოსახლეობის ფართო ფენები, თვით ის ბერძენი მეომრებიც კი, რომელებსაც იგი უწინ ეყრდნობოდა. ხალხის უკმაყოფილება გამოუყენებია ფარნავაზს და „ასურასტანზე" (სელევკიანთა სამეფო) დაყრდნობით გაუმარჯვია აზოსა და მის მხარდამჭერ „ჰრომებზე" (პონტოს სამეფო). გამარჯვებულ ფარნავაზს შეუქმნია, ასე ვთქვათ, ქართული კონსტიტუცია „მიჰსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა" (ლეონტი მროველი), იგი გამხდარა ნამდვილი ქართული სახელმწიფოებრიობის ფუძემდებელი.

იმავე ტრადიციის თანახმად, სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ გაჩნდა

---

1 აქემენიანი მეფეები იმპერიის განაპირა მხარეებში ყველგან რიდი აუქმებლენ ადგილობრივ მეფეთა ხელისუფლებას. მაგალითად, კილიკიის მეფეები თავის ქვეყანაში სატრაპის ფუნქციის ძვ.წ. V საუკუნის ბოლომდე ასრულებდნენ. ასევე იყო მცირე აზიის ზოგიერთ სხვა, სარიის, ფინიკიის, პალესტინისა და შუა აზიის მთელ რიგ წვრილ სამეფოებში. ნაწილობრივი იყო მათი აუანგებლობაც სპარსთა „მეფეთამეფის" წინააღმდეგ. იხ. В.Н.Авдиев. История Древнего Востока, М., 1953, გვ. 551-552; აგრეთვე Ричард Фрай. Наследие Ирана. М., 1972, გვ. 113. 149-150. შესაძლოა, ანალოგიური ამბავი განსდებოდა სპარსელების მიერ დაპყრობილ სხვა ერებთანაც, რომელთა გაერთიანების შედეგი მეოთხე საუკუნეში სატრაპიის მარცხეულობის ხაზად ქცეულა.

ქონებრივი და ეფლებრივი განსხვავებულობანი ძველ ქართველთა შორის. საზოგადოების მაღალ ფენას მიეკუთვნებოდნენ მეფის საგვარეულო, ერისთავნი, აზნაურნი, რომელთაც ეს წოდება ფარნავაზმა თითქოს აზოსაგან განდგომილ ბერძნებს უბოძა.

ასე წარმოედგინა საისტორიო ტრადიციას ქართლში (იბერიაში) სახელმწიფოსა და კლასების წარმოშობა. რაც შეეხება კოლხეთში (ეგრისში) ამ ინსტიტუტების წარმოქმნას, საისტორიო ტრადიცია მათ შესახებ არ არსებობდა, ყოველ შემთხვევაში, მას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ახალ დროში, ვახუშტი ბატონიშვილიდან დაწყებული, საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის თაობაზე დიდი ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი არ უთქვამთ. ასე რომ, ჯერდებოდნენ ქართული საისტორიო ტრადიციის გამეორებას.

პრობლემა მაღალ დონეზე გამოიკვლია ივანე ჯავახიშვილმა. ბევრი წინამორბედისაგან განსხვავებით, ჩვენი ისტორიის დიდმა მკვლევარმა უნდობლობა გამოუცხადა ქართულ საისტორიო ტრადიციას და აღძრული პრობლემის გაგება მოახდინა ძირითადად სტრაბონის (ძვ. წ. 63- ახ.წ. 20 წწ.) ცნობებზე დაყრდნობით. ამ ბერძენი გეოგრაფოსის ცნობა იმის თაობაზე, რომ „საერთო აქვთ იბერებს ქონება ნათესაობისდა მიხედვით", ივანე ჯავახიშვილმა სარწმუნოდ მიიჩნია და დაასკვნა, რომ ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე და მომდევნო საუკუნეებშიც კი საქართველოში არსებობდა გვაროვნული საზოგადოება. კიდევ მეტი: მის მიხედვით ქართველი ხალხის წინაპრები ე.წ. ძველაღმოსავლურ ხანაში (მუშქებისა და თაბალების გაერთიანებანი) სახელმწიფოებრივი განვითარების საფეხურზე იმყოფებოდნენ. მაგრამ ძველ ადგილებში სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოშლისა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ქართველთა წინაპრების მიგრაციის შემდეგ კვლავ აღდგა გვაროვნული წყობილება. ამდენად, სტრაბონის დროინდელი გვაროვნული წყობილება ქართლში და საერთოდ ქართველურ ხალხებში, ივ. ჯავახიშვილის აზრით, შესაძლებელია მეორეგზისი და მესამეგზისიც კი ყოფილიყო[1].

ჩვენს დიდ ისტორიკოსს, ცხადია, არ შეეძლო დაესაბუთებინა მუშქებსა და თაბალებში (მათ იგი, იმდროინდელი სამეცნიერო ტრადიციისამებრ, ჩვენს წინაპრებად მიიჩნევდა) სახელმწიფოს წარმოქმნა. რაც შეეხება ამ ფენომენის შემდგომ ბედს, მისი აზრით, გვაროვნული წყობილების აღდგენა არ სპობდა სახელმწიფოს. ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, გვაროვნული წყობილება და სახელმწიფო სულაც არ ყოფილან ურთიერთგამომრიცხავი მოვლენები, გვაროვნული წყობილების ხანა იბერიაში უსახელმწიფობის ხანას როდი

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1928, გვ. 152.

ნიშნავდა. ეს დებულება შემდეგში მკვლევარებმა ალოგიკურად მიიჩნიეს. თუმცა ისტორიული აზროვნების დღევანდელი განვითარების შუქზე ჩანს, რომ ივ. ჯავახიშვილის ასეთი პარადოქსული მოსაზრება საკმაოდ დიდ რაციონალურ მომენტს შეიცავს. დღეს უკვე ნათლდება, რომ გვაროვნულ-ტომობრივი წყობილების გარკვეულ პირობებში სახელმწიფოს არსებობა შესაძლებელია[1]. ჩვენ აქ მხედვალობაში გვაქვს გვაროვნული წყობილების არა ის ნიშანი, რომელიც საერთო კოლექტიურ წარმოებასა და თანაბარ განაწილებას გულისხმობს, არამედ მიწის საერთო საკუთრება და სისხლით ნათესაობის პრინციპის მიხედვით კოლექტივების გაერთიანება. სათანადო მაგალითების მოტანა აქეველთა საბერძნეთის, ძველი ინდოეთისა და საკუთრივ გერმანიის, სკანდინავიის ხალხების, ავღანელების, ძველი რუსეთის ისტორიიდანაც ბლომად შეიძლება.

განვიხილოთ პრობლემის გააზრება ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. დავიწყებთ სიმონ ჯანაშიას მემკვიდრეობიდან.

ს.ჯანაშიას მიერ საკითხის გააზრებაში შეიმჩნევა წინააღმდეგობანი. ეს ეხება სტრაბონის ხანის ქართლის (იბერიის) კლასობრივი საზოგადოების დახასიათებას. ერთი მხრივ, ს.ჯანაშიას მიხედვით, ეს არის გარდამავალი ტიპის საზოგადოება, „აქ წარმოების სხვადასხვა წესები(!) ებრძვიან ერთმანეთს“[2]. შემდგომ საუკუნეებში, ავტორის თანახმად, უაღრესად გამწვავდა ბრძოლა მონათმფლობელობასა და მასზე დაყრდნობილ სახელმწიფოს, ერთი მხრივ, და ფეოდალურ ძალებს შორის, მეორე მხრივ. ამაში აისახა დაპირისპირებულ ეკონომიკურ წყობათა ურთიერთობა.

მაგრამ თუ არ შემოვიფარგლებით რამდენიმე ადგილით, აგრეთვე სარგის კაკაბაძისადმი პასუხით, ს.ჯანაშიას ნააზრევში, ვიმეორებთ, პრობლემის გაშუქება წინააღმდეგობრივია.

მეორე მხრით, ს.ჯანაშიას აზრით, საქართველოს განვითარების უკვე საკმაოდ ძველ ხანაში მონობამ თვალსაჩინო ხვედრითი წონა დაიკავა; იგი აღნიშნავდა, რომ გვარში სოციალური უთანასწორობაც ისახება მონობის სახით. მონის შრომა „განსაკუთრებით საჭირო ხდება ფართოდ დაყენებულ მიწისმოქმედების დროს, და მიწისმოქმედების ზრდასთან ერთად იზრდება მონათა რიცხვიც და მათი წონაც მეურნეობაში. საზოგადოების ამ ორ კლასად დაყოფა სულ უფრო და უფრო ღრმა ხდება. განსაკუთრებით უნდა გაძლიერებულიყო ეს პროცესი მას შემდეგ, რაც განვითარების უკვე მიღწეულ, საკმაოდ მაღალ, საფეხურზე

---

1 ეს შენიშნული ჰქონდა კ.მარქსსა და ფ.ენგელსსაც. იხ. კ.მარქსი და ფ.ენგელსი, ფოიერბახი..., 1968, გვ. 32, 82-83, 124. ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 234. ფ.ენგელსი მიუთითებდა აგრეთვე გვარების აღდგენას არა მარტო აზნაურულ და პატრიციულ ფენებში, არამედ გლეხთა ნაწილშიც (დიტმარშენის მაგალითი).

2 ს. ჯანაშია, შრომები, 1, 1949, გვ. 170.

ტექნიკაში ლითონი შემოდის. მან არაჩვეულებრივად გაადიდა შრომის ხაყოფიერება და დააჩქარა ზემოთ აღწერილი პროცესები"[1].

მომდევნო გვერდზე ავტორი წერდა, რომ ჩნდება საკუთრება პირუტყვზე, იზრდება თავისუფალთა და „უთავისუფლოთა" საზოგადოებრივი დაპირისპირების პროცესი, სიმდიდრე და სიღატაკე, მუდმივი შეხლა-შემოხლა და ომიანობა ტომებს შორის — ულევი წყარო მონობისა, ერთი ტომის გაბატონებისა და მეორის დამორჩილებისა[2]. „ასე იშლება და ქრება გვაროვნული კავშირები, რომელთა ადგილსაც ტერიტორიალური კავშირები იქერენ. ასე ყალიბდება კლასობრივი საზოგადოება და მასთან ერთად, გვაროვნული ორგანიზაციის ნაცვლად, სახელმწიფოც. ეს პროცესი აქ მხოლოდ ძალიან ზოგადად და სქემატურადაა მოხაზული უადგილობის გამო. ჩვენთვის ეს აუცილებელი იყო იმისათვის, რათა ცოტათი თუ ბევრად გავრკვეულიყავით ქართველ ტომთა განვითარების სათანადო ხანაში"[3].

გვაროვნული (მის სინონიმად ს.ჯანაშია ხმარობდა წინაკლასობრივსაც) საზოგადოების კლასობრივზე გადასვლა, ამ ისტორიკოსის აზრით, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო. ამის გამოხატულება იყო ძვ.წ. მეექვსე საუკუნეში სახელმწიფოს წარმოქმნა. იგი წერდა: „ძველი კოლხეთის სამეფო, რამდენადაც არსებული მწირი ცნობები მსჯელობის საშუალებას იძლევა, მონათმფლობელური სახელმწიფოა, თეოკრატიის ელფერგადაკრული იბერიის მსგავსად"[4]. სხვა ადგილას ვხვდებით: „ვინც ოდნავ მაინც იცნობს საქართველოს არქეოლოგიას, მისთვის ასეთ მტკიცებაში (მონობის არსებობაში გ.ყ.) მოულოდნელი არაფერი იქნება — მონური შრომის გამოყენება აქ ბევრ რამეში უდაოდ ჩანს მრავალი საუკუნით ადრე სტრაბონის ეპოქამდე"[5].

გადმოსცემდა რა საადგილმამულო ურთიერთობებს ახ.წ. მეოთხე-მეხუთე საუკუნეების ქართლში, ს.ჯანაშია წერდა: „ანტიკური საადგილმამულო საკუთრების ეს შესანიშნავი ანალიზი (მარქსისეული, გ.ყ.) მეცნიერულ შუქს ჰფენს ჩვენს პრობლემასაც და აღებული ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურის გარკვევას გვიადვილებს"[6]. ვიმეორებთ: ამას იგი ლაპარაკობდა მეოთხე-მეხუთე საუკუნეების ქართლის საზოგადოების მიმართ! იგი აღნიშნავდა: „როცა ჩნდება მონათმფლობელური სახელმწიფო, ეს უკანასკნელი, საფიქრებელია, ცდილობს მეფის კორპორაციული საკუთრებით (სეფე-სახლის საკუ-

---

1 ს.ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ.113.
2 იქვე, გვ. 114-115.
3 იქვე, გვ. 115.
4 იქვე, გვ. 20.
5 ს.ჯანაშია, შრომები, I, გვ. 154.
6 იქვე, გვ. 281.

თრებით) დაჰფაროს ცალკე თემთა საკუთრება"[1]; „სოციალური დიფერენციაციის მონათმფლობელურ ხასიათთან დაკავშირებით საადგილმამულო კერძო საკუთრებაც სპეციფიკურ სახეს იღებს — სასეფო და სატაძრო „თანაზიარი" კერძო საკუთრების სახით. მონათმფლობელური საზოგადოებრივი ურთიერთობის გაბატონება სასეფო და სატაძრო, — აღნიშნული ხასიათის, — მემამულეობის გაბატონებულ, წამყვან, ფორმად გადაქცევას მოასწავებდა"[2]; „რაკი, მეორე მხრით, განვითარების კლასობრივი პერიოდის დამდეგს ქართველ ტომებში გაბატონებულად ჩვენ მონათმფლობელური ურთიერთობა მივიჩნიეთ და ეს ურთიერთობა IV-V საუკუნეებში ჯერ კიდევ მეორე ძლიერი კომპონენტის სახითაა მოცემული..."[3].

თვით ვახტანგ გორგასლის დროსაც კი, ს.ჯანაშიას აზრით, მონათმფლობელური ურთიერთობანი მარტო სამეფო და სატაძრო მეურნეობებს როდი მოიცავდა, არამედ „წვრილ ერსაც". ეს მეფე ეყრდნობოდა მონათმფლობელურ ელემენტებს[4]. ცნობილი მკვლევარის მიხედვით, „მეფესა და წვრილ ერს ისიც აკავშირებს, რომ იმდროინდელ მონურ შრომის ექსპლუატატორთა უმრავლესობა სოციალურად სწორედ წვრილ ერში უნდა ვეძიოთ"[5]. არქიტექტურის ძეგლებიც, მათ შორის ციხე-ქალაქი უჯარმა, ს.ჯანაშიას აზრით, „მჭევრმეტყველურად მიუთითებენ" ამდროინდელ ქართლში მონური შრომის გამოყენებაზე"[6], ხოლო უფრო უწინდელი ფაქტებიდან კი ამის დამადასტურებელი გახლავთ ნაოსნობა ალაზანზე, მტკვარზე, რიონზე, ყვირილაზე. „ტაძრებისა და ქურუმების გარდა, — აღნიშნავდა იგი, — მონები ჰყავდათ, ცხადია, სხვებსაც — სახელდობრ, სამეფო დინასტიას, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ — მესამე გენეს, თავისუფალთა წოდების ანუ „ერის", წარმომადგენლებსაც"[7].

ცნობილია ს.ჯანაშიას აზრი ქართლში მონათმფლობელური საზოგადოების ფეოდალურით შეცვლის თაობაზე. რევოლუციის პირველი ეტაპისათვის აზნაურები გაერთიანდნენ მეფის ხელისუფლებასთან ერთად, რათა მოეხდინათ მონურ შრომაზე დამყარებული სატაძრო მეურნეობების ლიკვიდაცია. შემდეგ აზნაურებს სპარსელთა დახმარებით მოუსპიათ ძველი დესპოტური სახელმწიფოც, როგორც მონათმფლობელური, კონსერვატორული ძალების პოლიტიკური ორგანო, დაყრდნობიან რა მონათა სტიქიურ გამოსვლებსა და სხვ.

---

1 ს.ჯანაშია, შრომები, ტ.I, გვ. 280.
2 იქვე, გვ. 282.
3 იქვე, გვ. 281.
4 იქვე, გვ. 293.
5 იქვე. გვ. 294.
6 იქვე, გვ. 293.
7 იქვე, გვ. 156. ამავე ნაშრომის 303-ე გვერდზე კითხულობთ: „ფორმაციები, რა უსწრებს ფეოდალიზმს საქართველოში. მონათმფლობელობა. „მოკლე კურსი".

მსგავსი აზრების მოტანა კიდევ შეიძლებოდა ს.ჯანაშიას შრომების პირველი და მეორე ტომებიდან, აგრეთვე „საქართველოს ისტორიის“ ძველი სახელმძღვანელოს იმ თავებიდან, რომლებიც მის მიერაა დაწერილი.

ამრიგად, ს.ჯანაშიას აზრით, მონათმფლობელობის განვითარება ძველ საქართველოში უკვე ძვ.წ. წინა ათასწლეულებში მომხდარა. გვაროვნული წყობილება, მისი აზრით, დაიშალა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, ხოლო ქართული სახელმწიფოები წარმოიქმნა ძვ.წ. მეექვსე საუკუნეში. ამდენად, საქართველოში ჩამოყალიბდა მონამფლობელური წყობილება სახელმწიფოს შესაბამისი ტიპით. სტრაბონის ხანის იბერიის საზოგადოება (ავტორის აზრით, ძვ. წ. პირველი საუკუნიდან მოყოლებული) უკვე გარდამავალი ტიპის საზოგადოებაა. აქ ისახება ფეოდალიზაციის პროცესი, მაგრამ სოციალურ სტრუქტურასა და პოლიტიკურ წყობილებაში კვლავ ძლიერია ძველი, მონათმფლობელური საზოგადოების გადმონაშთები. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე დავასკვნით, რომ მტკიცება იმისა თითქოს ს.ჯანაშია არ იზიარებდა ძველ საქართველოში მონათმფლობელური ფორმაციის არსებობას, არასწორია.

ს.ჯანაშიას საწინააღმდეგო აზრს ავითარებდა გ.სოსელია. უგულებელყოფდა რა არქეოლოგიის, ეპიგრაფიკისა და ა.შ. მიღწევებს, ე.ი. იმ ფაქტებს, რაც უახლოეს ხანაში მეცნიერული აზროვნების არეში შემოვიდა, გ.სოსელია ძველი საქართველოს წყობილებას, სტრაბონის ხანის ჩათვლით, განიხილავდა როგორც გვაროვნულს, სამხედრო დემოკრატიას. თუმცა მისი ზოგიერთი არგუმენტი საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოების არსებობის იდეის წინააღმდეგ მართებული იყო, საერთოდ პრობლემის გ.სოსელიასეული გააზრება მიუღებელია.

გ.მელიქიშვილი თავის ადრინდელ შრომებში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობას ძველ საქართველოში განიხილავდა ე.წ. ადრემონათმფლობელური საზოგადოების კონცეფციის მიხედვით: აღიარებდა წარმოებაში მეთემე გლეხების გაბატონებულ მდგომარეობას, საკუთრივ მონური შრომის ხვედრითი წილის უმნიშვნელობას და ა.შ. ეს აზრი მის მიერ შემდგომ განვითარებულია კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე მიმდინარე უახლესი ხანის დისკუსიებში მიღწეული წარმატებების საფუძველზე, რაც ასახულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ პირველი ტომის შესაბამის თავებში.[1] სიახლე მდგომაროებს იმაშიც, რომ ამ მოვლენების წარმოშობის დასაწყისი საქართველოში გადატანილია ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს ს.ჯანაშიას ჰქონდა წარმოდგენილი. ამ მხრივ გ.მელიქიშვილი გარკვეული სახით უბრუნდება ივ.ჯავახიშვილის თვალსაზრისს.

---

1 იხ. აგრეთვე ავტორის „ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური წყობილების საკითხი“, მაცნე, 1966, № 1.

ПРОБЛЕМИС МЕТОДОЛОГИУРი ასპექტის შესახებ. აქ ჩვენ შევეხებით საკითხს, თუ როგორა დგას აღნიშნული პრობლემა საერთოდ თანამედროვე მარქსისტულ მეცნიერებაში.

ცნობილია, რომ 30-იან წლებში უკლასო საზოგადოების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა შემდეგი აზრი: მეურნეობის ახალი ფორმების გაჩენისა და მეტალურგიის გავრცელების პირობებში ფართოდ განვითარდა მონათმფლობელობა, მოხდა საკუთრების კონცენტრაცია უმცირესობის ხელში, ხოლო უმრავლესობამ იგი დაჰკარგა. მას შემდეგ, რაც საზოგადოების უმცირესობამ უმრავლესობა დაიმონა და ამრიგად ჩამოყალიბდა ორი ანტაგონისტური კლასი, წარმოიშვა სახელმწიფო, რომლის უძირითადესი ფუნქცია იყო უმრავლესობის დათრგუნვა.

ამტკიცებენ, რომ თითქოს ეს თვალსაზრისი მოცემული ჰქონდათ ისტორიული მატერიალიზმის კლასიკოსებს და განსაკუთრებით ნათლად გადმოცემულია ფ.ენგელსის წიგნში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, რომ სწორედ აქედან გამომდინარეობდა ძველი ისტორიის, და მათ შორის ძველი საქართველოს მკვლევარების აზრი კლასობრივი საზოგადოების პირველ ფორმად მონათმფლობელობის გამოცხადების შესახებ. მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ აღნიშნულ ნაშრომში გვაროვნული საზოგადოების დაშლა და კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება ნაჩვენებია ბერძნების, რომაელებისა და გერმანელების მაგალითზე და მათთანაც კი პროცესი ერთნაირად როდია გადმოცემული. ბერძნებთან და რომაელებთან კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების სურათი სულ სხვანაირადაა წარმოდგენილი, ვიდრე გერმანელ ხალხებთან [1].

ანტიკურ ხალხებში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოქმნას ფ.ენგელსი უკავშირებდა ცივილიზაციას, ხოლო ეს ტერმინი მას ნახმარი აქვს სულ სხვაგვარი მნიშვნელობით და არა ისე, როგორც ეს ფართოდ გავრცელდა მეოცე საუკუნის მეცნიერებაში, როგორც დასავლეთში, ისე ჩვენში. „ცივილიზაციაში“ ფ.ენგელსი გულისხმობდა უპირველესად განვითარებულ სასაქონლო-ფულად წარმოებას, როცა გაცვლა მოიცავდა არა მხოლოდ სატახტო ან სატრანზიტო-საკვაჭრო ქალაქების მოსახლეობის ნაწილს, არამედ საზოგადოების უმრავლესობასაც და არა მხოლოდ ფუფუნების, არამედ უპირველესად ფართო მოხმარების საგნებს. „ცივილიზაცია“ აღნიშნული აზრით იყო რკინის მეტალურგიის ფართოდ გავრცელებიდან, საზოგადოების ხელსაყრელი ისტორიული და ბუნებრივი

---

1 დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ჩვენი სტატია „ფრიდრიხ ენგელსი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის სხვადასხვა გზის შესახებ“, „საბჭოთა სამართალი“, 1971, № 5.

წანამძღვრებიდან განვითარების შედეგი. ამ დროს ათვისებულ იქნა ტექნიკისა და ტექნოლოგიის იმ დონეზე შესაძლებელი ბუნებრივი რესურსები, მნიშვნელოვნად განვითარდა ქალაქები, როგორც ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები, განვითარდა ფულადი მიმოქცევა (ფულის ყველა ფუნქციებით), ფულის დაგროვება, სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალი, მოხდა ფულადი მეურნეობის ღრმად შეჭრა ნატურალურ მეურნეობაზე დამყარებულ სასოფლო თემებში, მიწის გადაქცევა საკუთრებად და ამდენად — ყიდვა-გაყიდვის ობიექტად. ხდებოდა საკუთრების კონცენტრაცია ხელოსნობაში, ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში და სხვ. მხოლოდ ასეთი ინტენსიური ეკონომიკური ევოლუციის პირობებში გახდა შესაძლებელი მონობის ფართოდ გავრცელება, მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბება.

მაღალ ეკონომიკურ განვითარებასთან კლასიკური მონობის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება ნათლად ჩანს ბერძნული პოლისების მაგალითზე. რომშიც მსგავსი პროცესი მიმდინარეობდა, მხოლოდ უფრო ნაკლები ინტენსიობით. მაგრამ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება აქ ძალიან დაჩქარდა ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაციით, უზარმაზარი ტერიტორიებისა და უამრავი ხალხის დაპყრობით. ვიმეორებთ, მონათმფლობელური საზოგადოების ფორმირება, როგორც საბერძნეთში ისე რომში, დაკავშირებული იყო ეკონომიკის განვითარების მაღალ დონესთან. ამაოა მცდელობა, რომ სხვა რომელიმე ხალხში (გამონაკლისს შეიძლება გვიანი ხანის ფინიკია და კართაგენი წარმოადგენდეს) ანალოგიური ეკონომიკური და სოციალური პროცესები ნახონ. შემთხვევითი არაა, რომ ანტიკური სინამდვილე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული. პროცესების შინაარსით ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს მოდერნიზაციის პოზიციებზე აყენებს. ანალოგიური ეკონომიკური პროცესები შეინიშნება მხოლოდ გვიანდელი ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის წარმოშობის პირობებში. ვ.ვ. სტრუვესა და მისი მრავალი მიმდევრის ცდები მთელ რიგ ძველ ხალხებში მონათმფლობეური საზოგადოების მონახვისა უშედეგოდ დამთავრდა, ანუ, უფრო სწორად, მათ ის ნაყოფი გამოიღეს, რომ უფრო გაძნელდა და გაბუნდოვანდა კარდინალური პრობლემების გააზრება.

ერთი სიტყვით, მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბება ფ.ენგელსის შრომაში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ გააზრებულია ცივილიზაციის განვითარებასთან მიმართებაში, ეს მოვლენა (ცივილიზაცია) კი ავტორის აზრით, 2500 წლის წინათ წარმოიშვა, ე.ი. სოლონის, კლისთენესა და სერვიუს ტულიუსის რეფორმების გატარების დროს.

ჩვენ აქ ადგილი არა გვაქვს შევჩერდეთ მონათმფლობელური საზოგადოების უნივერსალურ ფორმაციად გამოცხადების თვალსაზრისის კრიტიკაზე, მის შემქმნელთა მიერ როგორც ისტორიული სინამდვილის, ისე მარქსიზმის კლასიკო-

სების მემკვიდრეობის დამახინჯებულად წარმოდგენაზე. ვერც საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოების არსებობის კონცეფციის არგუმენტების კრიტიკაზე შევჩერდებით[1], რომლიც კიდევ უფრო არადამაჯერებელი იყო, ვიდრე ძველი აღმოსავლეთის მონათმფლობელურად გამოცხადების თვალსაზრისი.

საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდის კვლევისას ფაქტების ანალიზი უნდა დაფუძნებოდა ფ.ენგელსის სხვა შრომებსაც და განსაკუთრებით „ანტი-დიურინგს", სადაც კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის სხვანაირი გზაა მოცემული. ანდა აღნიშნული საკითხის კვლევა-ძიებისას თუ „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობიდან" გამოვიდოდნენ, უფრო უკეთესი იქნებოდა გერმანელებთან ანალოგიით დაეწყოთ.

მკვლევარებმა სათანადოდ ვერც სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი გაარკვიეს. ანტიკურ ქვეყნებში სახელმწიფოს ფორმირება ძირითადი ნიშნებით დიდხანს გრძელდებოდა და ჩამოყალიბებული სახელმწიფოს მთავარ ფუნქციას თავისუფალი მოსახლეობის პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ უცხო მასების — მონებისა და უცხოელ თავისუფალთა (მეტეკებისა და სხვ.), ასევე თავისუფალი საზოგადოების ღარიბი წევრების ჩახშობა წარმოადგენდა. მაგრამ სულ სხვანაირად წარმოიშვა გერმანელთა სახელმწიფოები, ასევე ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური ორგანიზაციები. მას შემდეგ, რაც საზოგადოების ეკონომიკურმა განვითარებამ, მაგალითად, ეგვიპტეში ან შუმერში, განსაზღვრულ საფეხურს მიაღწია (ზედმეტი პროდუქციის თვალსაჩინო მასის წარმოება საირიგაციო მიწათმოქმედების ბაზაზე), საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია აუცილებელი გახდა არა დაბალი ფენების ჩახშობის, არამედ ირიგაციისა და თავდაცვის ორგანიზაციის მიზეზით (ამაზე მარქსიზმის კლასიკოსებს არა ერთხელ მიუთითებიათ). აღნიშნულ ქვეყნებში თვითონ ხალხი განასახიერებდა საჯარო ხელისუფლებას, რომელიც მიმართული იყო სხვა საზოგადოებათა წინააღმდეგ. მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით კი, რაკი საზოგადოებაში სახელმწიფო არსებობს თავისი ძირითადი ნიშნებით, ეს დიდი არგუმენტია ყველა ძველ საზოგადოებაში მონათმფლობელთა და მონათა კლასების არსებობის დასამტკიცებლად. ამ აზრს ვერც საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიება ასცდა.

60-იანი წლებიდან მოყოლებული, როგორც ცნობილია, საბჭოთა და უცხოურ მარქსისტულ ლიტერატურაში გაცხოველებული დისკუსიები მიმდინარეობდა კლასობრივი საზოგადოების პირველი ფორმის შესახებ. ბევრი რამ ნათელი გახდა, მათ შორის ყველა და თუნდაც უმეტეს ძველ საზოგადოებათა არამონა-

---

1 ეს არგუმენტები მოცემულია ს.ჯანაშიას „შრომებში" (ტ.I-II), „საქართველოს ისტორიის"პირველ სახელმძღვანელოში, აგრეთვე შ. მესხიას, ნ.ლომოურისა და ო.ლორთქიფანიძის სტატიაში „К вопросу о происхождении государства и существовании рабовладельческой формации в Грузии", „Вопросы истории", 1957, № 7.

თმფლობელური ხასიათი, მათ მიერ მონათმფლობელობის გავლის არასაჭიროება ფეოდალიზმზე გადასვლისათვის. მეცნიერთათვის ცხადი ხდება, რომ კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება მონათმფლობელობის ან ფეოდალიზმის ფორმით ბევრგან დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხდებოდა, რომ გვაროვნული საზოგადოების შეცვლას კლასობრივით ერთბაშად როდი ჰქონდა ადგილი, რომ არსებობდა გარდამავალი სტრუქტურის მქონე საზოგადოება. ამ საზოგადოებაში გვაროვნული თემების ადგილს იკავებდა სასოფლო თემები, მიწის კოლექტიური დამუშავება შეიცვალა ინდივიდუალურით, შესაბამისად კოლექტიური მიწათმფლობელობა — ინდივიდუალურით. სოციალური ევოლუციის ამ საფეხურზე ანტიკურ ქვეყნებშიც კი საზოგადოების ცხოვრება ემყარებოდა წვრილი გლეხობისა და ხელოსნების შრომას (ამაზე კ.მარქსი და ფ.ენგელსი გარკვევით მიუთითებდნენ). ამ გარდამავალი ტიპის საზოგადოებაში არსებობდა სახელმწიფოც, როგორც გვაროვნული ორგანიზაციის შემცვლელი, როგორც თავდაცვისა და ირიგაციის (შესაბამის ბუნებრივ პირობებში) ფუნქციების აღმსრულებელი პოლიტიკური ორგანიზაცია. ასეთი ტიპის საზოგადოება ზოგან ძალზე დიდ ხანს არსებობდა, ზოგან კი მონათმფლობელური ან ფეოდალური სტრუქტურით შეიცვალა.

ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ჩვეულებრივად როცა სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს ეხებიან, მკვლევარები მხოლოდ ტექნიკის განვითარების დონის ჩვენებით იფარგლებიან ხოლმე. ამდენად ისინი განყენებას ახდენენ შესაბამისი გეოგრაფიული და გარეისტორიული პირობებისაგან. ასევე ითქმის საქართველოს ისტორიის შესწავლის მიმართაც. სინამდვილეში წარმოების წესის გაგება გეოგრაფიულ და ისტორიულ გარემოთაგან იზოლირებულად ძალიან ნაკლულოვანი გახლავთ. ტექნიკა (შრომის იარაღები) ყველაგან ერთნაირ ეფექტს როდი იძლეოდა. ერთგან, ძველ აღმოსავლეთში, მან მნიშვნელოვანი ეფექტი გამოიღო განვითარების დაბალი დონისას. მსგავსი შედეგი სხვაგან (მაგალითად დასავლეთ ევროპაში) ტექნიკის მეტ განვითარებასთან იყო დაკავშირებული.

მაშ ასე, ჩვენთვის საინტერესო პრობლემის გასაშუქებლად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ გეოგრაფიული ფაქტორიც. მაგრამ რამდენადაც ამ უკანასკნელის როლს ჩვენს ისტორიულ პროცესში საკმაოდ დაწვრილებით შევეხეთ, ამიტომაც აქ მას აღარ შევეხებით. ამჯერად ისტორიულ გარემოზე შევჩერდებით.

ქვეყნის ისტორიული გარემო (მეზობელი ქვეყნების სახით) დიდი ხნის განმავლობაში ქართული საზოგადოებების განვითარებაში დადებით როლს თამაშობდა. აქედან მოდიოდა მნიშვნელოვანი იმპულსები ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების წინსვლისათვის. ამავე დროს საქართველოს ტერიტორია დაშო-

რებული იყო ძველი აღმოსავლეთის აგრესიული სახელმწიფოებისაგან (ხეთები, მითანი, ასირია, ურარტუ, მიდია). ასირიელებისა და ურარტელთა ლაშქრობები ძველ ქართულ გაერთიანებათა (დიაოხი, კოლხა, ხალიტუ) წინააღმდეგ არ იყო ძალიან დამანგრეველი, არც მათი ბატონობა ყოფილა მყარი და ხანგრძლივი. ამ მხრივ უფრო გამოირჩეოდა აქემენიანების სპარსეთი, რომელმაც შესძლო ქართული სამყაროს ნაწილის — სასპერების, მოსხების, ტიბარენების, მაკრონების, მოსინიკების, უფრო ნაკლებ კოლხების, — მოქცევა თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ. ეს გამოიხატებოდა აგრეთვე აგრესორი სახელმწიფოებისათვის ხარკის გადახდასა და სამხედრო ბეგარაში.

დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში, რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობებიც (მაღალი რელიეფი, ხეობებით დანაწევრებულობა) თამაშობდა დადებით როლს. თუ, მაგალითად, ინგლისის ან იაპონიის თავდაცვის საქმეს ძალიან ეხმარებოდა ზღვა, ან რუსეთისას- დიდი სივრცეები და შედარებთ ცივი ჰავა, საქართველოს მიმართ ეს ითქმის კავკასიონის ქედზე — ჩრდილოეთ მომთაბარეთაგან ამ ჩვენს ბუნებრივ დამცველზე. ამ ქედის წარმოშობით ბუნება საკმაოდ „გაისარჯა“, „ააგო“ რა 1500 კმ სიგრძის, 160-180 კმ სიგანისა და საშუალოდ სამი-ხუთი კმ სიმაღლის ბუნებრივი ზღუდე, რის მსგავსი ხელოვნური ნაგებობის შექმნა საზოგადოებას, ცხადია, დღესაც კი არ შეუძლია. საკმარისი იყო ქართულ სახელმწიფოებს ოდნავი აქტიურობა გამოეჩინათ კავკასიონის ქედის ვიწრო და ძნელი გადასასვლელების ჩასაკეტად, რომ ჩვენს წინაპრებს უშიშრად ეგრძნოთ თავი ჩრდილოეთის ნომადების მხრიდან. ასევე კარგად იყო საქმე დასავლეთიდანაც, შავი ზღვის მხრიდან, ვინაიდან ამ ზღვის აუზში ძველ ხანაში არ გამოჩენილა ძლიერი საზღვაო სახელმწიფო, რომელიც საქართველოს უშიშროებას დაემუქრებოდა.

ყველაზე დიდი საფრთხე, ჩვენს ქვეყანას პირველად რომ დაატყდა თავს, — ეს იყო კიმერიელთა და სკვითების შემოსევები (ძვ. წ. მერვე საუკუნის ბოლო და მეშვიდე საუკუნის პირველი ნახევარი). ამ მოვლენამ გარკვეულად შეაფერხა ჩვენი ისტორიული პროცესი. საერთოდ კი, ვიმეორებთ, ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყების წინ საქართველოს ისტორიის მსვლელობაში გარედან ადგილი არ ჰქონია ისეთ დიდ უარყოფით გავლენებს, როგორც შემდეგში (სპარსელების, ხაზარების, არაბების, თურქ-სელჩუკების, მონღოლების, თურქების და სხვათა თავდასხმა-დაპყრობები).

აი ასეთი იყო ის ბუნებრივი (გეოგრაფიული) და ისტორიული წანამძღვრები, რომლებითაც დაიწყო ცივილიზაციის განვითარება საქართველოს მიწა-წყალზე.

როგორ ანალოგს წარმოადგენს გვიანი ხანის საქართველოს მთის მოსახლეობა ჩვენი ისტორიის უძველესი პერიო-

დეგის გასაგებად? როგორც ცნობილია, საქართველოს მთიანეთი ბართან შედარებით საგრძნობლად ჩამორჩა. არახელსაყრელი რელიეფი, მკაცრი კლიმატი, მწირი ნიადაგები, სახნავ-სათესად გამოსაყენებელი მიწების მცირე ფართობები, კომუნიკაციების სიძნელენი — აი ის დიდი დაბრკოლებები, რომელთა გადალახვა ჩვენმა მთიელებმა ვერ შეძლეს რკინის მეტალურგიისა და ბართან კონტაქტების პირობებშიც კი. ისტორიკოსს უთუოდ გაუჩნდება აზრი, როგორ ანალოგს წარმოადგენს ჩვენი მთიელების სოციალური სტრუქტურა და ორგანიზაცია ქართული სამყაროს განვითარებული რეგიონების უძველესი პერიოდების გასაგებად. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში საქართველოს მთიანეთის არც თუ შორეული სინამდვილე დიდ ხარვეზს შეავსებდა ჩვენი ცივილიზაციის გენეზისის საკითხში, სწორედ ისეთს, როგორიც ირიკეზების გვაროვნულმა ორგანიზაციამ შეასრულა ლ.მორგანისა და ფ.ენგელსისათვის ანტიკურ და გერმანულ ხალხებში ცივილიზაციის წარმოშობის სურათის დადგენის საქმეში.

სამწუხაროდ, ჩვენი მთიანეთი ძალიან ცოტას გვეუბნება აღნიშნული მიმართებით. მ.კოვალევსკის ცდა ჩვენი მთიელები წარმოედგინა გვაროონული ორგანიზაციის საფეხურზე მდგარად, უსაფუძვლო აღმოჩნდა[1]. ვ.ბარდაველიძემ და რ.ხარაძემ აჩვენეს, რომ ქართველ მთიელთა (ხევსურები, სვანები, მოხევეები და სხვ.) განვითარება ბევრად უფრო შორს იყო წასული. კერძოდ, მათთან გაბატონებული იყო მცირე ოჯახი, ინდივიდუალური საკუთრება პირუტყვზე, სახლზე, კერძო მფლობელობა მიწაზე, დასახლებები მეტწილად სულაც არ ემთხვეოდა სისხლით ნათესაობას და ა.შ. ჩვენი აზრით ამაში, ბარის მოსახლეობის მცირე ნაწილის მიგრაციების გარდა, დასამუშავებლად ვარგისი მიწების სიმცირეს, ნაკვეთების მცირე ზომებსაც უნდა ეთამაშა გარკვეული როლი.

საქართველოს ბარში, წარმოების განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი ბუნებრივი და საგარეო-ისტორიული პირობების გამო, გვაროვნული ორგანიზაციის არსებობისათვის სიტუაცია უფრო სხვაგვარი იქნებოდა ეკონომიკის განვითარებული ფორმების დროსაც კი, რაც ჩანს გვარის ინსტიტუტის მოხსენიებით ქართული საისტორიო ტრადიციაში (იხ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“). ასევე კომუნიკაციების განვითარების, მოსახლეობის ზრდისა და მტრული ისტორიული გარემოცვის მიზეზით ძველი ქართული სამყაროს განვითარებული ნაწილების მოსახლეობა შედარებით ადრე გადავიდა რამდენადმე მტკიცე და ფართო პოლიტიკურ გაერთიანებებზე.

---

1 ლ.მორგანის მიხედვით, გვარის ინსტიტუტი წარმოიშვა ველურობის შუა საფეხურზე და სრულიად განვითარდა ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე, რის შემდეგაც მან დაშლა დაიწყო. სამეურნეო განვითარების თვალსაზრისით ჩვენი მთიელები ბევრად ამაღლდნენ აღნიშნული საფეხურების ზევით.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ სვანებს გამოჰყავდათ სახალხო ლაშქარი 200 ათასი კაცის შემადგენლობით, მათ მართავდა საბჭო (სამასი კაცის შემადგენლობით) და სამეფო ხელისუფლება (გვიანდელი პირველყოფილი დემოკრატიის აზრით). მაგრამ ეს ცნობა ამ ციფრობრივი მონაცემებით სულაც არაა სანდო. ყოვლად დაუშვებელია, რომ სვანეთს ამ დროს იბერიაზე ორნახევარჯერ მეტი ჯარი გამოეყვანა. ამის რეალურობის დაშვებისას გამოდის, რომ სვანეთის მოსახლეობის რაოდენობა 800 ათას — 1 მილიონს აღწევდა. ეს ძალზე გაზვიადებულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ გავითვალისწინებთ, რომ სვანებს მაშინ გაცილებით მეტი ტერიტორია ეკავათ გვიან ხანასთან შედარებით. ერთ მილიონამდე მოსახლეობა არც სამას გვარს შეეძლო შეევსო, ე.ი. თითოეული გვარი თითქოს მოიცავდა საშუალოდ 3000-მდე სულს. მსგავსი დაშვება გაუმართლებელია მითუმეტეს დიდი დასახლებისათვის გამოუსადეგარ მთის პირობებში.

დასასრულს, არც ამოდენა რაოდენობის მოსახლეობის გაერთიანება შეიძლებოდა არსებული კომუნიკაციების, მთიანი რელიეფისა და საერთოდ განვითარების იმ საფეხურზე. სხვანაირად ასეთი ორგანიზაციისა და ამოდენა ლაშქრის გამოყვანის შემთხვევაში სვანთა ძლიერება სხვა მეზობელი გაერთიანებების წანააღმდეგ აუცილებლად იჩენდა თავს. გაჩნდებოდა ძლიერი ტენდენციაც საზოგადოების შიგნით ნამდვილი სამეფო ხელისუფლებისა და ბიუროკრატიის განვითარებისაც. ერთი სიტყვით, მხოლოდ ისაა უეჭველი, რომ სვანები იმ დროს სამხედრო დემოკრატიის პირობებში ცხოვრობდნენ, რაც მათთან აქა-იქ გვიანობამდე შემორჩა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, საქართველოს მთიელთა სამყარო მაინც საყურადღებოა და გარკვეულ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ძველი პერიოდის გასაშუქებლად, რაზედაც ნაწილობრივ ქვემოთ შევჩერდებით.

ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲨᲘ. ჩვენი ისტორიული პროცესის გართულება (სტრუქტურის აზრით) კლასებისა და სახელმწიფოს გაჩენით დაკავშირებული იყო შემდეგ გარემოებასთან. წარმოების განვითარების განსაზღვრულ დონეზე უშუალო მწარმოებელმა შესძლო უფრო მეტი პროდუქტის ეწარმოებია, ვიდრე ეს მისთვის საჭირო გახლდათ, ე.ი. საზოგადოებაში გაჩნდა ზედმეტი პროდუქტი. მიწათმოქმედებაში ჩვენს ქვეყანაში რკინის მეტალურგიისა და გუთნური მიწათმოქმედების წარმოშობამდე ეს გამორიცხული იყო. ამის შესაძლებლობა გაჩნდა ჯერ მესაქონლეობის პირობებში. მეურნეობის აღნიშნული დარგისათვის კი უფრო ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს წარმოადგენდა იმდროინდელი სამხრეთი საქართველო (ფართო საზაფხულო საძოვრები, შედარებით რბილი კლიმატი, ზამთრის საძოვრები დაბლობებში). ასეთ პირობებში ჩაისახა მონობა,

როგორც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის პირველი ფორმა. საქართველოში ამ მოვლენას ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე ექნებოდა ადგილი.

რაც შეეხება მონობის ინსტიტუტის წარმოქმნის პოლიტიკურ საფუძველს, იგი ისევე ძველი იყო, როგორც ადამიანთა კოლექტივების მეზობლად თანაარსებობა მათთვის დამახასიათებელი განუწყვეტელი ომიანობით. რამდენიმე კოლექტივის გაერთიანების იქით მდგარი საზოგადოება მტრულ სამყაროს შეადგენდა. უწინდელ ვითარებაში ტყვეებს სახმარი ღირებულება არ გააჩნდათ, რის გამოც მათ ან სპობდნენ ან გამარჯვებულთა რიგებში იღებდნენ. ეკონომიკური ევოლუციის აღნიშნულ საფეხურზე კი ტყვეები სასარგებლო აღმოჩნდნენ, მათ მონებად აქცევდნენ. მაგრამ მთელი საზოგადოების მასშტაბით არა თუ მაღალპროდუქტიული მესაქონლეობის, არამედ გუთნური მიწათმოქმედების პირობებშიც კი მონები საზოგადოების უმცირესობას წარმოადგენდნენ. მათი შრომა ოჯახის წევრთა შრომასთან ერთად გამოიყენებოდა მხოლოდ გვაროვნული არისტოკრატიის ოჯახებში, რომელთა ცხოვრებაზე ნაწილობრივ წარმოდგენას გვაძლევს თრიალეთის ყორღანული სამარხები. ესაა მონობის განვითარების ე.წ. სახლის ანუ პატრიარქალური საფეხური, რომელიც ხასიათდება მონობის მცირერიცხოვნებით (მთელი საზოგადოების მასშტაბით), ექსპლუატაციის იოლი ხასიათით. მცირე რაოდენობის მონების ჩასახშობად სულაც არ ყოფილა საჭირო სპეციალური ორგანო სახელმწიფოს სახით.

სახელმწიფო ბევრგან, მათ შორის ჩვენს წინაპრებშიც, სულ სხვა საფუძველზე წარმოიშვა. ეს გახლდათ საზოგადოების საერთო ინტერესების აღსრულება. სხვა გაერთიანებების წინააღმდეგ თავდასაცავად, მათ შორის წარმოების პირობების (მიწები, ტყეები, პირუტყვი) შესანარჩუნებლად, აუცილებელი იყო მოსახლეობის ფართო გაერთიანება ტომთა კავშირებად. ამდენად ისახებოდა სამეფო ხელისუფლება, სამხედრო საქმის ორგანიზატორთა ფენა, ზოგ შემთხვევაში — ძალადობის აპარატიც დაპყრობილი ტომების დასაჩაგრავად (მაგალითად, კოლხას გაერთიანებაში). რელიგიური კულტის გართულება იწვევდა ამ საქმის ორგანიზატორთა გამოყოფას. ეს გაერთიანებანი წარმოდგენდნენ პრიმიტიულ სახელმწიფოებს, რომლებშიც ხალხის ფართო მასებს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ რამდენადმე ჰქონდათ დაკარგული სუვერენიტეტი, მაგრამ ადგილებზე კი უმაღლეს სუვერენს წარმოადგენდნენ.

შედარებით ფართო ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული ათასი მცხოვრების ორგანიზება პირველყოფილი, გვაროვნული დემოკრატიის საფუძველზე შეუძლებელი გახდა: ახალ პირობებში გამოირიცხა სახალხო კრებისა და გვარების მეთაურთა საბჭოს რეგულარული ფუნქციონირება. მათ მაგიერ წინ წამოიწია

საზოგადოების მმართველთა როლმა[1]. ისინი შეადგენდნენ საზოგადოების პრივილეგირებულ ზედაფენას, მეტი შემოსავლით, მეტი უფლებებით. უკვე წარმოქმნილი უთანასწორობა კარგად ჩანს ამდროინდელი არქეოლოგიური მასალით.

კლასებისა და სახელმწიფოს ჩასახვის ასეთი სურათი გვაქვს უკვე მეორე ათასწლეულის შუა და ბოლო ხანებში თრიალეთის, დიაოხის, კოლხას, ცოტა მოგვიანებით ხალიტუსა და სასპერების გაერთიანებებში[2]. ესენი, გ.მელიქიშვილის სწორი მოსაზრებით, არ წარმოადგენდნენ ე.წ. სამხედრო დემოკრატიას, არამედ იყვნენ ადრესახელმწიფოებრივი წარმონაქმნები. იმავე ავტორის შეხედულებით, საქართველოს აღნიშნული რეგიონები ეკონომიკურად უფრო დაწინაურდნენ (მესაქონლეობისა და მეტალურგიის განვითარება), რაც აისახა აღნიშნულ სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში.

ასე ჩაისახა სოციალური კლასები და სახელმწიფო ჩვენს წინაპართა საზოგადოებაში. აღნიშნული პროცესები უკავშირდება როგორც მონების, ისე საზოგადოების ზედაფენის მიერ ადგილობრივი, თავისუფალი მოსახლეობის ექსპლუატაციას. მაგრამ ამ მოვლენების სრულ ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი. სახელმწიფო თავისი იძულების აპარატით ჯერჯერობით ძალიან სუსტი იყო; ძირითად სამხედრო ძალას წარმოადგენდა თვით ხალხი. ამდენად პოლიტიკური ძალაუფლების „გაუცხოება" ხალხის მასებისაგან ჯერჯერობით არ ყოფილა მნიშვნელოვანი, არც საზოგადოების კლასებად დაყოფას ჰქონდა რამდენადმე დასრულებული სახე. წარმოების ძირითადი საშუალებები (სახნავ-სათესი მიწები, საქონელი, საძოვრები, ტყეები, შრომის ხელოვნურად შექმნილი საშუალებანი) უშუალოდ წვრილი მწარმოებლების ხელში იყო.

მოვლენათა შემდგომი ევოლუცია სწორხაზოვნად არ წარმართულა. ყველა აღნიშნული გაერთიანება დაინგრა გარეშე მტრებთან (ასირია, ხეთები, ურარტუ, კიმერიელები, სკვითები, ერანი), ან ურთიერთ შორის ბრძოლებში. ხდებოდა განუწყვეტელი მიგრაციები და ხალხთა ურთიერთშერევა, რაც გარკვეულად აფერხებდა საზოგადოების წინსვლას.

კლასებისა და სახელმწიფოს განვითარება ახალ საფეხურზე დაიწყო რკინის მეტალურგიის ფართოდ გავრცელების შემდეგ (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის ბოლოდან). ახალი ტექნოლოგიური აღმოჩენის წყალობით ადამია-

---

1 ვ.ი. ლენინი წერდა: „სახელმწიფო ყოველთვის წარმოადგენდა გარკვეულ აპარატს, რომელიც გამოყოფილი იყო საზოგადოებიდან და შედგებოდა აღამიანთა ჯგუფისაგან, რომელთა საქმეც მხოლოდ ან თითქმის მხოლოდ, ანდა უმთავრესად ის იყო, რომ ისინი მარიაუდნენ. ადამიანები იყოფიან ორ კატეგორიად — ვისაც მართავენ და მართვა-გამგეობის სპეციალისტებად, რომლებიც საზოგადოებაზე აღლა დგებიან და რომლებსაც მმართველებს, სახელმწიფო წარმომადგენლებს უწოდებენ". თხზულებანი, IV გამ., ტ.29, გვ. 562; იხ. აგრეთვე გვ. 558, 562, 563.

2 რაც შეეხება მუშქებსა და თაბალებს, მათი ეთნიკური კუთვნილების საკითხი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში სხვაგვარად დგას, ვიდრე ამას უწინ ფიქრობდნენ.

ნებმა მოიპოვეს ძალაუფლება არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებზე (მაგარი ნიადაგები, ტყეები, შედარებით ციცი ჰავა) და არნახულად შეცვალეს ისინი. გუთნურმა მიწათმოქმედებამ, პროგრესმა ხელოსნობაში (ქვის, ლითონის, ხის დამუშავება ახალი ლითონით) ძალიან დააჩქარეს სოციალური და პოლიტიკური პროცესები. ამგვარად რკინა პირველი ლითონი იყო, რომელმაც, სიიაფისა და დიდი ეფექტიანობის გამო, ძირეულად შეცვალა სოციალურ-ეკონომიკური პირობები, „პროგრესი ახლა შეუჩერებლივ მიმდინარეობდა, ნაკლები წყვეტილებით და უფრო სწრაფად" (ფ.ენგელსი)[1]. ამიერიდან განვითარების ცენტრმა გადაინაცვლა საქართველოს ბარში, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთით, რასაც ხელი შეუწყო მტრულ გარემოსაგან დაშორებულობამაც. შედარებით ადვილადვე იქნა გადალახული კიმერიელებისა და სკვითების შემოსევების, ხალხების მიგრაციების უარყოფითი შედეგები. ყოველივე ამის შემდეგ პირველყოფილი კომუნიზმი, დამყარებული საერთო წარმოებასა და თანაბარ განაწილებაზე, უთუოდ დაირღვეოდა მიწათმოქმედებაში (მესაქონლეობაში ამას ადრე ექნებოდა ადგილი), ძირითად სოციალურ უჯრედად იქცნენ დიდი ან მცირე ოჯახები[2].

თვალი გავადევნოთ ჩვენი წინაპრების ევოლუციის შემდგომ მიმართულებას.

სანამ კოლხეთისა და იბერიის სახით ძვ. წ. მეექვსე საუკუნეში და მეოთხე საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდებოდნენ შედარებით ფართო სახელმწიფოები, მანამდე აუცილებლად მოხდებოდა სამიწათმოქმედო თემების გაერთიანება საერთო ინტერესების დასაცავად (თავდაცვა, აღმოსავლეთ ნაწილში — ირიგაცია). მსგავსი გაერთიანებანი ათეულობით იქნებოდა. შემდეგში დაიწყებოდა ბრძოლა უფრო ფართო გაერთიანებებისათვის. ასეთი ტენდენცია სულაც არ ყოფილა ეკონომიკის (ირიგაცია, ხელოსნობა, ვაჭრობა) უშუალო გამოხატულება[3]. თუმცა, ემყარებოდნენ რა ძალადობას და არა ეკონომიკურ აუცილებლობას, შედარებით დიდი გაერთიანებანი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საზოგადოების შემდგომი წინსვლის საქმეში. მათი მეშვეობით უფრო ადვილ-

1 ფ.ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 223.

2 სტრაბონის ცნობა, რომ იბერებს საერთო აქვთ ქონება ნათესაობისდა მიხედვით (*κοιναι δ εἰσιν αι κτησεις κατὰ συγγενειαν*) აშკარა გაუგებრობაა. ყველაზე მეტი რაც ამ მხრივ, შეიძლება დავუშვათ, ესაა დიდი ოჯახის საერთო საკუთრება, ისიც არა იბერიის ბარის ყველა ნაწილში. სხვათა შორის, ეს ინსტიტუტი გადმონაშთის სახით გვიანაც არსებობდა. იხ. მაგალითად, არაბობის ხანის „დაცვის სიგელის" ის პუნქტი, რომლის მიხედვით არაბებს უფლება არ აქვნდათ ერთი კომლი რამდენიმედ გაეყოთ.

გამოთქმულია მოსაზრება (ნოდარ ლომოურის მიერ), თითქოს იბერიის ცენტრალიზებული სამეფოს წარმოშობასა და შედარებით მტკიცედ არსებობაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ირიგაციის საჭიროებანი. ასეთი თვალსაზრისი მთლად მართალი არ გახლავთ თვით ძველი ეგვიპტისა და შუმერის მიმართაც კი. მითუმეტეს, რომ იბერიაში სახელმწიფო არ ასრულებდა თვალსაჩინოდ ირიგაციის ორგანიზატორის როლს.

დებოდა გარეშე მტრებისაგან თავდაცვა, მოსახლეობა უფრო ეჩვეოდა საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებას.

ჩვენ ბევრად უფრო ინფორმირებული ვართ ძველი ქართლის სახელმწიფოს წარმოშობისა და სტრუქტურის შესახებ, ამიტომაც მასზე შევჩერდებით.

შესაძლებელია ადგილობრივი გაერთიანებების ურთიერთ ქიშპით ისრგებლა სამხრეთ-დასავლეთის ქართულმა გაერთიანებამ, რომელმაც დაიმორჩილა ისინი და ცენტრალიზებული ხელისუფლების ცენტრად აქცია ბუნებრივად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ერთ-ერთი მოხერხებული პუნქტი-მცხეთა. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ეს ფაქტი ძვ.წ. მეოთხე საუკუნის 30-იან წლებში უნდა მომხდარიყო. თუ ეს ასე გახლდათ, მაშინ ქართლის სახელმწიფოს წარმოშობა დაპყრობის გზას უნდა დაეჩქარებინა, რისი მაგალითებიც ცნობილია ისტორიიდან. მაგრამ ამის თაობაზე მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე თუ შეიძლება მსჯელობა. ასევე ძნელია ვილაპარაკოთ ძველ ქართლელთა (იბერიელთა) განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ მოსული (მესხური) ელემენტების წინააღმდეგ.

ძვ. წ. მეოთხე საუკუნის ბოლოს ქართლში სახელმწიფო წყობილებამ უკვე დასრულებული სახე მიიღო. ლეონტი მროველთან შემონახული საისტორიო ტრადიციით, ფარნავაზი იყო ქართლის (იბერიის) პირველი მეფე და სამეფო დინასტიის დამაარსებელი. მან თავისი სამეფო დაჰყო შემდეგ საერისთაოებად: 1) კახეთი, 2) გარდაბანი(ცენტრით ხუნანი), 3) ტაშირი, აბოცი (სამშვილდე), 4) ჯავახეთი, კოლა, არტაანი (წუნდა), 5) სამცხე, აჯარა (ოძრხე), 6) კლარჯეთი, 7) არგვეთი. ლეონტი მროველის ცნობითვე, ფარნავაზმა თითქოს ეგრისიც საერისთაოდ აქცია, სადაც მისი მორჩილი ("მონა") ქუჯი ერისთაობდა. შიდა ქართლი კი სპასპეტის განკარგულებაში იმყოფებოდა, შეადგენდა რა ამრიგად სასპასპეტოს. საღი პოლიტიკური მოსაზრება მოითხოვდა, რომ ეს საერისთაოები არ დამთხვეოდნენ ძველ პოლიტიკურ გაერთიანებებს.

არქეოლოგიისა და ეპიგრაფიკის მონაცემებმა, ასევე ე.წ. ადრეკლასობრივი საზოგადოების შესახებ წარმოქმნილმა ახალმა შეხედულებებმა, საკმაოდ დამაჯერებელი სახე მისცეს ჩვენი ისტორიული ტრადიციის ამ ცნობას, ამიტომ მასზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

აშკარაა, რომ ქვეყნის საერისთაოებად დაყოფა ისახავდა სამხედრო მიზანს, კერძოდ მოსახლეობის ორგანიზაციას თავდაცვისათვის, უფრო ნაკლებად გამოჩნდა იგი როგორც სხვა ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზაცია. თუ ვიგულისხმებთ, რომ ძველი ქართლის იმდროინდელი ტერიტორია მოიცავდა მინიმუმ 60000 კვ.კმ-ს, ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვე ათ-თხუთმეტ სულს აღწევდა, — ეს სავსებით დასაშვებია წარმოების განვითარების მიღწეული დონისათვის, — მაშინ ქვეყნის მოსახლეობის მთელი რაოდენობა, უცხო დაყ-

მევებული ("გლეხები") და მთის დახარკული მოსახლეობითურთ, ალბათ, 600-900 ათას სულს შეადგენდა. ამ რაოდენობიდან მოსახლეობის აღნიშნული ფენებიც რომ გამოვრიცხოთ, საკმაო სიდიდის ჯარის გამოყვანა შეიძლებოდა (არანაკლებ 100-150 ათასისა). მაგრამ ეს შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალი მოსახლეობის შედარებით მაღალი ცხოვრების დონის, კომუნიკაციების განვითარებისა და სწრაფი მობილიზაციის პირობებში. სტრაბონის ცნობიდან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ იბერიის ლაშქრის რაოდენობა 70-80 ათასამდე ადიოდა. ამდენად შესაძლოა, რომ თითოეულ საერისთაოს ათი ათასამდე მოლაშქრე გამოჰყავდა.[1] აღნიშნული ცნობის შესაჯერებლად გვაქვს „ქართლის ცხოვრებაში" შემონახული სხვა ცნობაც.

XVIII მეფე ამაზასპის დროს ქართლს ოსები დასხმიან თავს. მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მცხეთაში ყველაზე სწრაფად მოსულან სპასპეტის მხედარნი და სამი ერისთავი (კახეთის, ხუნანის და სამშვილდისა), სულ ოცდაათი ათასი ქვეითი და ათი ათასი მხედარი. შემდეგში შეკრებილა სხვა საერისთაოების ლაშქარიც. ეს მონაცემები გარკვეული აზრით ემთხვევა სტრაბონის ცნობას.[2] მაშასადამე, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ საერისთაოს ათი ათასამდე მოლაშქრე გამოჰყავდა.

საერისთაოს პოლიტიკური ორგანიზაცია ასეთი იყო.[3] მას სათავეში ედგა მეფის მიერ დანიშნული ერისთავი, რომელიც განასახიერებდა უმაღლეს საერო და საჯარო ხელისუფლებას ადგილზე. შემდეგ მოდიოდნენ სპასალარი (მისი ფუნქციები გაურკვეველია) და, როგორც მივუთითებდით, ათასისთავი და შესაძლებელია ასისთავიც. სამხედრო ციხე-სიმაგრეებს უძღვებოდნენ ციხისთავები, რომლებადაც, შესაძლოა, ათასისთავნი ან ასისთავნი იყვნენ. ცხადია, ერისთავი დაეყრდნობოდა მცირე სადამსჯელო აპარატს და მოხელეობას. ამ პოლიტიკური ძალაუფლების შესანახად მოსახლეობისაგან სპეციალურად გამოიღებოდა „ხარკი საერისთაო". სხვა ადგილობრივი თანამდებობის პირნი წყაროებში არ ჩანან.

მაგრამ სავარაუდებელია მამასახლისის ინსტიტუტის არსებობა სოფლებში.

---

1 "ქართლის ცხოვრების" მიხედვით თითოეულ საერისთაოში არსებობდა ათასისთავის „ხელი" (შესაძლებელია ასისთავისაც). აქედანაც შეიძლება დაჯერებულ ვართ, რომ ერისთავი მეთაურობდა 10000-იან ჯარს.

2 ჩვენ არ შევჩერდებით ჯუანშერის მიერ მოყვანილ ციფრებზე ქართლის ჯარის რაოდენობის თაობაზე. ისინი, როგორც წესი, დაუჯერებელია.

3 ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ფარნავაზის მიერ ქვეყნის დაყოფა საერისთაოებად, ერისთავთა ფუნქციების დაწესება ანალოგიური იყო სპარსელთა პოლიტიკური წყობისა. ძველი აღმოსავლეთის პრაქტიკაში ასეთი პოლიტიკური კონსტიტუცია ბევრგან არსებობდა. შესაძლებელია ფარნავაზი ეყრდნობოდა ამ იდეას, მაგრამ მთავარი იყო ქვეყნის შინაგანი ევოლუცია. ჩვენთვის გაუგებარია ირანელთა სხვაგვარი დადებითი როლი ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში. კერძოდ, ასეთ აზრს ადგას ბ. გაფეროვი. იხ. კრებული „История Иранского государства и культуры", М., 1972, გვ. 29-30.

სოფლებში იქნებოდნენ სხვა თანამდებობის პირნიც ირიგაციის ხელმძღვანელობის, რელიგიური კულტის აღსასრულებლად, საზღვრების დასაცავად და სხვ., რომელთა შესრულებაც ფეოდალიზმის ხანაში გაბატონებული კლასის ფუნქცია გახდა. უფრო მეტი თანამდებობის პირები იქნებოდნენ ქალაქებში, განსაკუთრებით მცხეთაში, სადაც გართულებული ეკონომიკური, სოციალური და ეთნიკური სიტუაცია საჭიროდ გახდიდა ახალ ორგანოებს, მაგრამ, საწუხაროდ, კონკრეტულად მათ შესახებ არაფერი ვიცით. ყოველ შემთხვევაში, ქალაქები ქვეყნის პოლიტიკურ ორგანიზაციაში დიდ როლს არ თამაშობდნენ. დასარულს, სახელმწიფოს ადმინისტრაციულ სისტემაში, უეჭველია, გარკვეულ ფუნქციებს ასრულებდნენ მთიელთა ხევისბერებიც (ხარკის აკრეფა, ლაშქრის შეგროვება).

ცენტრალურ ხელისუფლებას სათავეში ედგა მეფე, რომელიც ზოგჯერ „დიდი მეფის" ტიტულითაც მოიხსენიება. მთელი რიგი ფაქტებითა და ეპიგრაფიკული ძეგლებით თუ ვიმსჯელებთ, მეფეს ეკუთვნოდა სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება. შესაძლოა, მეფე იყო ქვეყნის უმაღლესი ქურუმიც [1]. (ამ დროს უკვე არსებობდა ცენტრალიზებული კულტები). სამხედრო საქმის უფროსად ითვლებოდა სპასპეტი, რომელიც მეფის არყოფნისას ლაშქარს მხედართმთავრობდა. მეფის სასახლეს განაგებდა ეზოსმოძღვარი, რომლის „ხელი" უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე ფეოდალური ხანის მსახურთუხუცესისა. შესაძლებელია, რომ თავისი ფუნქციებით იგი ვეზირს უტოლდებოდა (იქნებ იგი იყო სტრაბონთან მოხსენიებული „მეფის შემდგომ მეორე პირი"?). მეფის საგვარეულო ("სეფე-სახლი") მეფის უშუალო დასაყრდენი იყო. მისგან ინიშნებოდნენ დიდ მოხელენი, რაც კიდევ უფრო ამტკიცებდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ეს ფენა მეფესთან ერთად ცხოვრობდა სამეფო „მონების" (სტრაბონთან: *βασιλικοι δουλοι, λαοι.*) შრომის ხარჯზე (თუ არსებითად ვიმსჯელებთ, საერთოდ უფრო უპირიანი იქნებოდა ტერმინ „მონების" ნაცვლად „ყმების" ხმარება), აგრეთვე თავისუფალი მოსახლეობიდან შემოსული გადასახადებითა ("ხარკი სამეუფო და საერისთაო") და მთიელთა ხარკით.

ასეთი იყო ძველი ქართლის სახელმწიფო, რომელმაც უკვე ძვ. წ. მესამე საუკუნის დასაწყისში დასრულებული სახე მიიღო, ე.ი. ხასიათდებოდა სამი

---

1 სტრაბონის მიერ ნახსენები იბერთა მეფე ჩვეულებრივად გაუგებრობად მიაჩნიათ; მას არ ეკუთვნის მართლმსაჯულება და სამხედრო საქმის ხელმძღვანელობა, არც დიპლომატიის საქმე მეზობელ ქვეყნებთან. ამდენად ასეთი მეფე თითქოს ფიქციაა, სწორედ ისეთი, როგორც ქსენოფონტეს მიერ აღწერილი მოსინიკების მეფე. ჩვენი აზრით, სტრაბონის ეს ცნობა საკმაოდ სანდო უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ ძველად რამდენადმე რთული სახელმწიფოს სტრქტურაში მეფის ფუნქციები არ იყო ზუსტად ჩამოყალიბებული. ფორმალურად მისი ძალაუფლების კომპეტენციის დაუდგენლობა და სისუსტე სრულებითაც არ გამორიცხავდა მეფის უზენაეს ძალაუფლებას სახელმწიფო მმართველობის ყველა სფეროში.

ძირითადი ნიშნით: მოსახლეობის დაყოფა ტერიტორიის მიხედვით (ეს ადვილად მოხერხდა სისხლის ნათესაობის საფუძველზე მცხოვრებთა დაყოფის მნიშვნელოვნად გაქრობის გამო), საჯარო ხელისუფლება, გადასახადები[1]. წარმოქმნილი პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობდა ქვეყნის თავდაცვაში, რაც გამოიხატებოდა ამ მიზნით მოსახლეობის ორგანიზაციასა და ციხე-სიმაგრეთა მშენებლობაში. უფრო ნაკლებ გამოიჩინა მან თავი საგარეო ლაშქრობების ორგანიზებაში. მისი როლი, როგორც ჩაგვრის აპარატისა, ბევრად უფრო ნაკლები იყო. ჩაგვრის ობიექტს წარმოადგენდნენ უცხოური წარმოშობის „სამეფო მონები“ (ს.ჯანაშია) და მთის მოსახლეობა[2]. თავისუფალი მოსახლეობის ჩაგვრა (გადასახადები, სახელმწიფო შრომითი ვალდებულებანი) ზედაფენების მიერ უკავშირდებოდა სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირებას. ყოველ შემთხვევაში, ამ დროს თავისუფალთა მნიშვნელოვანი გაღარიბებული ფენა არ არსებობდა[3]. მცირერიცხოვანი იყო მონათა მასაც.

მოსახლეობის ექსპლუატირებული ფენების ჩახშობისათვის მიმართულ აპარატს ძირითადად წარმოადგენდა სამეფო საგვარეულოსაგან შემდგარი რაზმები. თავისუფალი მოსახლეობისაგან (სტრაბონისეული მესამე გენოსი) შემდგარი ლაშქარი უპირატესად თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა. სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები ამავე დროს შეადგენდნენ გაბატონებულ კლასსაც საერთოდ. ასეთად წარმოდგებიან: მეფის საგვარეულო, უმაღლესი მოხელეობა, ქურუმობა[4]. საკუთრივ მონათმფლობელნი უმნიშვნელო სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ. საზოგადოების გაბატონებული ზედაფენები ცხოვრობდნენ „სამეფო მონების“ (ყმების), მოსახლეობიდან შემოსული გადასახადებისა და ხარკის, შრომითი ვალდებულებების ხარჯზე. ასე რომ, ექსპლუატაციის ძირითად ობიექტს ძველ ქართლში შეადგენდა თავისუფალი მოსახლეობა, რომელიც საზოგადოების ორგანიზატორთა ფენას უპირისპირდებოდა.

დაახლოებით ასეთივე იქნებოდა კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის სურათი ეგრისშიც. მაგრამ ამის შესახებ ცნობები ძალზე ცოტა მოიპოვება.

---

1 ქართლის სახელმწიფოს წარმოშობა გამოიწვევდა აგრეთვე სამართლის შემდგომ განვითარებასაც. სტრაბონის მიხედვით, ქურუმები ზრუნავდნენ აგრეთვე მეზობლებთან სამართლის წარმოებაზე.

2 მათს ხელდრით წინაზე იბერიის მოსახლეობაში სტრაბონს ძალზე გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა.

3 ერთ-ერთ ძველ წყაროში მოხსენიებულია სომეხთა მეფის მხარეზე მებრძოლი დაქირავებული რაზმები. მაგრამ ეს ალბათ, უფრო სხვა მიზეზით იყო გამოწვეული (არა წარმოების საშუალებათაგან მოწყვეტით!).

4 როგორც გმელიქიშვილი აღნიშნავს, ქართლის დიდ სატაძრო მამულებში ძირითადად თავისუფალთა შრომა გამოიყენებოდა. არსებული ვითარების გასაგებად ვ. ბარდაველიძე საფუძვლიანად მიუთითებდა ხევსურთა თემს.

შემდეგ კოლხეთის მეფეებმა ქვეყანა დაჰყვეს სკეპტუხიებად და ზომიერად (და არა დესპოტურად!) მართავდნენ (*μεσως επραττον*). ეგრისის კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს აქტიურობა სულაც ვერ შეედრებოდა ქართლისას. მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში პირველს არ გამოუჩენია თავი პოლიტიკაში (საგარეო), ადვილად მოხვდა პონტოს სამეფოს შემადგენლობაში და მას შემდეგაც კი, რაც ეს სამეფო დაიშალა, კვლავინდებურად უცხოელ გამგებელთა მიერ იმართებოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ იგი რომაელთა ბატონობის ქვეშ არ აღმოჩნდა.

ეგრისის სახელმწიფოს უძლურების მიზეზი, ჩვენი აზრით, შემდეგში უნდა ვეძებოთ. აქ (ძირითადად თანამედროვე აჭარა, გურია, სამეგრელო, ქვემო იმერეთი) მიწები მწირი იყო, ხოლო ქვეყანა ხშირი ტყეებით დაფარული. ნალექების დიდი რაოდენობა აფერხებდა მიწათმოქმედების განვითარებას[1]. აღნიშნული დაბრკოლების გადალახვა კი შრომის საერთაშორისო დანაწილებით იმდროინდელ პირობებში შეუძლებელი იყო. (სტრაბონის მიხედვით ქვეყნიდან გაჰქონდათ უმთავრესად სელის ქსოვილები, გაჰყავდათ მონები. ამის შესაბამისად არც იმპორტი იქნებოდა მნიშვნელოვანი).

ქართლში კი ზემოთქმულის მხრივ სიტუაცია უკეთესი გახლდათ (ნაყოფიერი ნიადაგები, უკეთესი კლიმატი). აქ ბუნებრივი დაბრკოლება (ჰავის სიმშრალე) უფრო ადვილი დასაძლევი იყო ირიგაციით, ვიდრე კოლხეთში (დაჭაობებულობა). ამიტომაც შენიშნავდა სტრაბონი, რომ იბერებს მდიდარი ქვეყანა აქვთ და ძალიან ვარგისი კარგად დასასახლებლადო (*εὐδαιμονα δε χωραν εχει και σφοδρα καλως οικεισθαι δυναμενην*). ეს ბუნებრივი საფუძველი, — ცხადია, საზოგადოების მიერ ბუნების რესურსების ათვისების შემდეგ, — აისახა სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაშიც, დემოგრაფიულ სიტუაციაში (მოსახლეობის სიმრავლეში), იმაში, რომ ქართლმა უფრო დიდი როლი შეასრულა ქართული ცივილიზაციის განვითარებაში.

ქართლისა და ეგრისის ძველი საზოგადოებები გარდამავალ ანუ ე.წ. ადრეკლასობრივ საფეხურზე იმყოფებოდნენ. თუ ამ ტერმინების ხმარება აღმოსავლეთის საზოგადოებების მიმართ გარკვეულ სიძნელეებს იწვევს, პირველ შემთხვევაში ისინი უფრო გამართლებულია. გვაროვნული საზოგადოება აქ ერთბაშად როდი შეცვლილა ფეოდალური კლასობრივი საზოგადოებითა და შესა-

---

1 კოლხეთის ბუნებრივი პირობების უარყოფითი მხარეები შენიშნული ჰქონდათ ჰიპოკრატეს, პროკოპი კესარიელს, მენანდრეს. რა თქმა უნდა განვითარების სხვა სტადიაზე დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი პირობები არანაკლებ მდიდარი აღმოჩნდა აღმოსავლეთთან შედარებით (ქვანახშირის, მარგანეცის მადნები, ჰიდროენერგორესურსების მეტი მარაგი, სუბტროპიკული კლიმატი ჩაისა და ციტრუსებისთვის, შავ ზღვასთან მდებარეობა.

ბამისი ტიპის სახელმწიფოთი. განვითარების ამ ეტაპებს შორის ადგილი ჰქონდა სხვაგვარ სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურას. შემდგომი სოციალური ევოლუცია წარიმართა არა ანტიკური (მონათმფლობელობის) განვითარების, არამედ ფეოდალიზაციის გზით.

1 978 წ.

საქართველოში „ადრეკლასობრივი“ საზოგადოებიდან ფეოდალიზმზე გადასვლისას სოციალური რევოლუციის პრობლემისათვის

სიმონ ჯანაშიას კონცეფციის თანახმად, საქართველოს ისტორიაში მეოთხე-მეექვსე საუკუნეები დახასიათებულია როგორც ფეოდალიზმზე გადასვლის ხანა. ამ პერიოდში, სიმონ ჯანაშიას მიხედვით, ახალი საწარმოო ძალების შესაბამისად მძლავრად გაიშალა ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობანი, რომელთაც სოციალურად განასახიერებდა აზნაურთა ფენა და ყმა-გლეხობა, წარმოიშვა კონფლიქტი საზოგადოების მოწინავე ფენებსა და ძველი საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას შორის, რომელიც გამოხატავდა კონსერვატიული სოციალური ძალების ინტერესებს. ამავე მოსაზრების მიხედვით, ახალმა, რევოლუციურმა ძალებმა პირველ დიდ გამარჯვებას მიაღწიეს მეოთხე საუკუნის შუა ხანებში, როდესაც ახალი რელიგიის მიღებით მიაღწიეს ქურუმთა მსხვილი მიწათმფლობელობის ექსპროპრიაციას. ამ რევოლუციის შემდგომ დაჩქარებაში თვალსაჩინო როლი შეუსრულებიათ ირანსა და ბიზანტიას ქართლისა და ლაზიკის სახელმწიფოების გაუქმების აქციებით. მაგრამ საგარეო ფაქტორი „იყო მხოლოდ პირობა, რომელიც აჩქარებდა პროცესს. უამფაქტოროდაც განვითარება მაინც იმავე გზით წავიდოდა“[1]. 523 წელს სპარსელთა მიერ ქართლში მეფობის გაუქმების შედეგად რევოლუცია, ს.ჯანაშიას თვალსაზრისით, დასრულებულია, რადგან გადაჭრილ იქნა პოლიტიკური ძალაუფლების საკითხი.

ძირითადად ასევე, მხოლოდ არა ასეთსავე მწვავე ფორმებში, ყოფილა ეგრისში. ეგრისის მეფესა და ფეოდალებს შორის წინააღმდეგობით უსარგებლია ბიზანტიას და ფეოდალებზე დაყრდნობით გაუუქმებია მეფის ხელისუფლება ამ ქვეყანაში. ამ აქტით რევოლუციის პროცესი დასრულებულა ეგრისშიც.

---

1 იხ. „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“, ს.ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 127. იმავე ნაშრომში კვითხულობთ: „მეფობის გაუქმება ქართლში... შედეგი იყო არა მარტო გარეგანი, ფიზიკურად უფრო ძლიერი, ფაქტორის ზემოქმედებისა, არამედ კიდევ უფრო მეტად სწორედ ამ დიდი აზნაურების მეფის წინააღმდეგ მიმართულის და ირანთან შეთანხმებული პოლიტიკისა“ (იქვე გვ. 1). 1926 წელს გამოსულ ნაშრომში „საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია“ ქრისტეფორე რაჭველიშვილი „პატრიარქალურ-საგვარეულო“ საზოგადოებიდან ფეოდალიზმზე გადასვლას მიიჩნევდა ფეოდალურ რევოლუციად (იხ. გვ. 10,11). მაგრამ გამოდიოდა რა ნ. როჟკოვისა და სხვათა თეორიული მოსაზრებიდან, ქრ. რაჭველიშვილი ამ „რევოლუციაში“ არ გულისხმობდა ისეთსავე შინაარსს (პოლიტიკურ აქტს), როგორსაც ს.ჯანაშია.

მეექვსე საუკუნეში წარჩინებულთა ფართო ფენა გაჩენილა აბაზგიაშიც. აქაც მნიშვნელოვანი ცვლილებები სოციალურ სტრუქტურაში ასახულა პოლიტიკურ ზედნაშენშიც, რის გამოსახულება ყოფილა პოლიტიკური რევოლუცია. ამას თურმე აქ ადგილი ჰქონია მეექვსე საუკუნეში.

ამრიგად, ს.ჯანაშიას აზრით, მეექვსე საუკუნეში, საქართველოში დამთავრებულა რევოლუციური პროცესი, რის შედეგადაც შეუზღუდველად დამკვიდრდა წარმოების ფეოდალური წესი, მისი შესაბამისი საკუთრება, იდეოლოგია.

ს.ჯანაშიას აღნიშნული თვალსაზრისი გაიმეორა ნ.ბერძენიშვილმაც. შესაბამისი პერიოდის ქართლის სამეფოს შესახებ იგი წერდა: „აღარც მათთვის (ქართლის წარჩინებულთათვის, გ.ყ.) იყო ხელსაყრელი და აღარც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას შეეფერებოდა ეს ძველი წყობა, რომელიც აფერხებდა ქვეყნის შემდგომ განვითარებას. საქმე იმაში იყო, რომ ქართლის პოლიტიკური წყობილება ძველი რჩებოდა, მაშინ როცა ქვეყანა სოციალურად ახალ გზაზე შემდგარიყო“[1]. ნ.ბერძენიშვილი განაგრძობდა: „ეს ახალი ურთიერთობა თავისთვის შესაფერის პოლიტიკურ წეს-წყობილებას საჭიროებდა. ქართლის მეფის დესპოტური ხელისუფლება კი თავისი საგადასახადო სისტემით, ადმინისტრაციით, ლაშქრის ორგანიზაციით, ერთი სიტყვით, ქვეყნის მართვა-გამგეობის ძველი წესი ხელს არ უწყობდა და პირიქით, წინ ეღობებოდა ამ ახალი სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. ბუნებრივი იყო, რომ აზნაურთა აღმავალი კლასი სათავეში ჩაუდგა მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის პოლიტიკურ გარდაქმნას. ასეთი გარდაქმნა ქართლის წინსვლის საქმეს ემსახურებოდა, ქვეყანა განვითარების ახალ საფეხურზე დგებოდა“[2]. ნ.ბერძენიშვილისავე მტკიცებით, ეს ბრძოლა მეფის ხელისუფლებასა და აზნაურობას შორის „უკიდურეს წერტილამდის იყო მიღწეული“ ვახტანგ გორგასლის დროს. რაც შეეხება ამ „ფეოდალური რევოლუციის“ დასრულების პერიოდს, ასეთად ნ.ბერძენიშვილი მიიჩნევდა მერვე საუკუნის შუა ხანებს, როდესაც ადგილი ჰქონდა არჩილ მეფის ცნობილ რეფორმას მიწისმფლობელობის სფეროში.

აღნიშნული თვალსაზრისი, თუმცა ასეთი რიგორისტული ფორმით არა, გატარებულია შ.მესხიას მიერ „საქართველოს ისტორიის ნაკვეთების“ II ტომის წინასიტყვაობაში[3]. დასასრულს, მსგავსი თვალსაზრისი ზოგიერთ ფილოსო-

---

1 ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, 1973, გვ. 5; საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 104.

2 ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გვ. 7; იხ. აგრეთვე საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 105.

3 იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II , 1973, გვ. 15, 16, 17, 19, 44, 51.

ფოსს შეიძლება სავსებით ლოგიკურად მოეჩვენოს, რადგან მათ თანახმად სოციალური რევოლუციის კანონის მოქმედებას უნივერსალური ხასიათი აქვს.

ისმის კითხვა: შეეფერება თუ არა ისტორიულ სინამდვილეს ს.ჯანაშიას აღნიშნული კონცეფცია, რომელიც გაზიარებულ იქნა ნ.ბერძენიშვილისა და შ.მესხიას მიერაც? თუ ეს ასეა, მაშინ ბევრი დასკვნა უკვე თავისთავად იგულისხმება, მიუხედავად იმისა, ფსიქოლოგიურად განწყობილი ვართ მათი შინაარსის აღქმისათვის თუ არა: სახელდობრ, თუ ჩვენი ისტორიის ამოდენა პერიოდის მანძილზე ადგილი ჰქონდა სოციალურ (სოციალურ-პოლიტიკურ) რევოლუციას, ცხადია, რევოლუციური ძალების საპირისპიროდ იარსებებდნენ კონტრრევოლუციური ძალებიც, რომლებიც იბრძოლებდნენ სოციალურ-პოლიტიკური status quo-ს შესანარჩუნებლად, ხოლო სახელმწიფო აპარატი ამ უკანასკნელთა მხარეზე იქნებოდა. და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი მეფეები, მირიანიდან მოყოლებული ვახტანგ გორგასლის ჩათვლით, ასევე ეგრისის შესაბამისი პერიოდის მეფეები (განსაკუთრებით გუბაზ პირველი) უდიდესი რეაქციონერები ყოფილან. განსაკუთრებით ეს ითქმის ვახტანგ გორგასლის მიმართ, რომელიც, XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის თქმით, „უმეტეს სახელგანთქმული გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“.

ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. სანამ საკითხზე უშუალოდ გადავიდოდეთ, შევჩერდებით მის მეთოდოლოგიურ ასპექტზე. საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ, როგორ დგას სოციალური რევოლუციის კანონზომიერების გაგება საბჭოურ მეცნიერებაში. მთელ რიგ ფილოსოფოსთა და ისტორიკოსთა მიხედვით (დ.დანილენკოს, დ.ჩესნიკოვის, ვ.კუზინის, ა.ბუტენკოს, ბ.პორშნევისა და სხვ.), სოციალური რევოლუციის კანონზომიერებას არა აქვს უნივერსალური ხასიათი, კერძოდ მას არ ჰქონდა ადგილი პირველყოფილი უკლასო საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლისას. ზოგიერთები (ს.დრაბკინი, ლ.კაცი და სხვ.)[1] უფრო შორს მიდიან და აღნიშნული კანონზომიერების მოქმედების არიდან გამორიცხავენ შონათმფლობელური საზოგადოების ფეოდალურზე გადასვლას. მაგრამ ჯერჯერობით ფართოდ რჩება გავრცელებული აზრი სოციალური რევოლუციის კანონის საყოველთაობის შესახებ სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების მონაცვლეობისას.

ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ თვითონ კ.მარქსს, ფ.ენგელსსა და ვ.ი.ლენინს სოციალური რევოლუციის კანონზომიერება არ მიაჩნდათ უნივერსალური ხასიათისად. ისინი ყოველთვის ლაპარაკობდნენ სოციალური რევოლუციის მხოლოდ ორ ტიპზე: ბურჟუაზიულსა და სოციალის-

---

1 იხ. აგრეთვე ჩვენი სტატია „К вопросу об исторических границах действия закона социальной революции“, „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1972, № 3.

ტურზე. რაც შეეხება გადასვლებს ერთი ფორმაციიდან მეორეზე წინაკაპიტალისტურ ხანაში, ისინი ამ გადასვლებს არასოდეს არ აღნიშნავდნენ ტერმინით „სოციალური რევოლუცია“. კიდევ მეტი: ამ გადასვლების მექანიზმი მარქსიზმის კლასიკოსებს მიაჩნდათ სულ სხვანაირი სახით, ვიდრე ეს იგულისხმება სოციალური რევოლუციის საყოველთაოდ გავრცელებულ ცნებაში.

ეს იმდენად უბრალო ჭეშმარიტება გახლავთ, რომ თვით 30-იანი წლების დასაწყისის ჩათვლითაც კი საბჭოურ მეცნიერებაში არასოდეს არ უღიარებიათ სოციალური რევოლუციის მოხდენის შესაძლებლობა და ფაქტი წინაკაპიტალისტურ ფორმაციებში. მაგრამ 1933 წელს ი.ბ. სტალინმა წამოაყენა აზრი მონათა რევოლუციაზე, რომელმაც თითქოს მოსპო მონათმფლობელები და გააუქმა მშრომელთა ექსპლუატაციის მონათმფლობელური ფორმა.[1] კიდევ უფრო განმტკიცდა ეს აზრი 1938 წლის შემდეგ, როდესაც გამოვიდა ი.ბ. სტალინის ნაშრომი „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“. სწორედ 1933 წელს ი.ბ. სტალინის მიერ გამოთქმულ აზრს მონათა რევოლუციის შესახებ დააფუძნა მსჯელობა ს.ჯანაშიამ თავის ნაშრომებში „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“ და „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“ (დაწერილია 1934, 1935 წლებში). ს.ჯანაშია, გამოდიოდა რა მონათა რევოლუციის იდეიდან რომში, პირდაპირ აცხადებდა, რომ ქართლის მონათა და „მონაყოფილთა“ მოძრაობის შესახებ ცნობათა სიმცირე მხოლოდ წყაროების ნაკლოვანებით და არა ფაქტობრივი ვითარებით აიხსნება[2]. იგი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას იმპერატორ ვესპასიანეს ხანაში (69-70 წწ.) პონტოში მომხდარ მოძრაობაზე ანიკეტის მეთაურობით, განიხილავდა მას რა როგორც მთლიანად მონათა მოძრაობას. „მაგრამ, — წერდა იგი, — ამხანაგ სტალინის სიტყვები ვრცელდება ქართლზედაც იმდენად, რამდენადაც აქ მონათმფლობელურმა ურთიერთობამ ერთგვარი წონა შეინარჩუნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მე-5 საუკუნემდე, კონსერვატიული ანტაგონისტური ურთიერთობის სახით“[3], რომ „აღმოსავლეთ საქართველოში მონათა მოძრაობა, ბუნებრივად, უფრო დაგვიანებით ჰკრავს თავის ისტორიულ წრეს“[4]. ამიტომ იყო, რომ ს.ჯანაშიას მეტისმეტად ფართო ხასიათის დასკვნები გამოჰყავდა ფრაზიდან იმის თაობაზე, რომ „ვახტანგი მოიკლა მონაყოფილისაგან“.

ასეთია ის მეთოდოლოგიური წანამძღვარი, რომელზე დაყრდნობითაც ქა-

---

1 ფ.ენგელსს ნაშრომებში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, „ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა“ და ვ.ი. ლენინს ლექციაში სახელმწიფოს შესახებ სავსებით ნათლად აქვთ გამოთქმული სრულიად საწინააღმდეგო აზრი.

2 ს.ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 292.

3 გვ. 293.

4 იქვე.

რთულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში შემოვიდა აზრი ფეოდალური რევოლუციის შესახებ.

სანამ ამ მტკიცების ფაქტოლოგიურ მხარეზე გადავიდოდეთ, ძალზე მოკლედ დავახასიათებთ ძველი პერიოდის საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ წყობილებას.

ძალიან მოკლედ ძველი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური წყობილების შესახებ. ჩვენში ასევე ფართოდ იყო გავრცელებული აზრი იმაზე, რომ არქაული კომუნისტური საზოგადოების დაშლის შედეგად წარმოიშვა სახელმწიფო, რომლის მთავარი ფუნქცია მდგომარეობდა ექსპლუატატორთა მიერ ექსპლუატირებულთა ჩახშობაში. ეს დებულება, როგორც ცნობილია, შესაბამისი პერიოდის ქართულ ისტორიულ პროცესზეც იქნა გადმოტანილი.

საბჭოთა და უცხოურ მარქსისტულ ლიტერატურაში მიმდინარე დისკუსიების შედეგად ცხადი შეიქნა ზემოთ მოყვანილი აზრის მიუღებლობა უმეტეს ძველ საზოგადოებათა მიმართ. ცხადი გახდა, რომ მიწაზე სათემო საკუთრების დაშლა და ჯერ ინდივიდუალური საკუთრების, ხოლო შემდეგ მიწის კონცენტრაციის წარმოშობა, ამ საფუძველზე მონათმფლობელთა და მონათა კლასების წარმოქმნა და.შ. დაკავშირებული იყო ანტიკურ საზოგადოებასთან, რომ დანარჩენ რეგიონებში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა სულ სხვანაირი სახით მოხდა. ასევე სულ სხვანაირად მიმდინარეობდა აღნიშნული პროცესი ისტორიის არენაზე უფრო მოგვიანებით გამოსულ გერმანელ და სლავ ხალხებში.

მაშ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ძველ საქართველოში?

საზოგადოების მწარმოებელთა ძირითად ნაწილს ქართლში წარმოადგენდა თავისუფალი გლეხობა, რომელიც სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მესამე გენოსის სახელწოდებითაა ცნობილი. ჯერჯერობით ძნელია გარკვევა იმისა, მიწაზე კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ საკუთრებას ემყარებოდა ეს ფენა. სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ „საერთო აქვთ მათ (ე.ი. იბერებს, გ.ყ.) ქონება ნათესაობისდა მიხედვით“ (*κοιναι δ εισιν αι κτησεις κατα συγγενειαν*) გაზიარებულ იქნა ივ. ჯავახიშვილის მიერ, ამდენად, იგი ამ დროს იბერიაში მიწაზე ინდივიდუალური საკუთრების განვითარებას გამორიცხავდა. აღნიშნულ საკითხში ორჭოფული გახლდათ ს.ჯანაშიას პოზიცია. ერთი მხრივ, მისი განცხადებით, ქართლში უკვე აქამდე ფართოდ გარცელდა მიწაზე კერძო საკუთრება, ხოლო, მეორე მხრივ, კვლავ ძლიერი რჩებოდა მიწაზე თემური (რასაკვირველია, იგი გულისხმობდა სასოფლო თემს) საკუთრება თვით მეოთხე-მეხუთე საუკუნეებშიც კი. ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ურყევი ფაქტია, რომ ქართლის მწარმოებელ ძირითად ფენას შეადგენდა თავი-

სუფალი გლეხობა. სწორედ ეს ფენა წარმოადგენდა ძირითად ბირთვს ლაშქრისა, რომლის რაოდენობა, სტრაბონისავე ცნობით, 70 ათასს აღწევდა. ამ სოციალური ფენის ასეთი მრავალრიცხოვნობა იყო მიზეზი ქართლის სამხედრო ძლიერებისა, რაც გამოიხატა არა მხოლოდ სათანადო თავდაცვისუნარიანობაში, არამედ უცხო სახელმწიფოთა მიმართაც (პართია, სომხეთი, ალვანეთი). ერთი სიტყვით, ძველ ქართლის ასეთ სამხედრო და პოლიტიკური სიძლიერე შემდგომში იშვიათი იყო.

უშუალო ექსპლუატაციის ძირითად ობიექტს შეადგენდნენ სამეფო მონები (სტრაბონთან: *δουλοι βασιλικοι*, *λαοι*), რომლებიც მცხეთა-მუხრანის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ალბათ, იყვნენ დაპყრობილნი ან უცხო მოდგმის გადასახლებულნი (ს.ჯანაშია). მათს ექსპლუატატორს წარმოდგენდა სამეფო სახლი. აღნიშნული მწარმოებელი ფენის ექსპლუატაცია უფრო ყმა-გლეხურს ჰგავდა: ისინი ისხდნენ მიწაზე, ფლობდნენ წარმოებისა და მოხმარების მთელ რიგ საშუალებებს, ღალას უხდიდნენ სეფე-სახლს. ამ უკანასკნელისთვის, სავარაუდებელია, ასრულებდნენ აგრეთვე საბეგრო შრომას. ასე რომ, ტერმინი „მონა“ (*δουλοι*) ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც საერთოდ მცირე აზიის, ეგვიპტის და სხვა ქვეყნების შესაბამისი სოციალური ფენის მიმართ, მხოლოდ პირობითია.

რაც შეეხება თვით მონობის (მკაცრი აზრით) ინსტიტუტს, იგი მეორეხარისხოვანი რჩებოდა. ეს არ გამოჰპარვიათ ძვ.წ. I საუკუნის ქართლში ნამყოფ ბერძნებსა და რომაელებს, რომელთა ცნობებსაც ემყარებოდა სტრაბონი; თავისი ნაშრომის იმ თავებში, რომლებიც იბერიას ეხება, სტრაბონი სრულიადაც არ მოიხსენიებს მონებს (ანტიკური მნიშვნელობით)[1]. გ.მელიქიშვილმა ნაწილობრივ მიუთითა იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც მონობის ინსტიტუტი ძველ ქართლში მნიშვნელოვანად არ გავრცელებულა: მონათა წყაროების შეზღუდულობა სახელმწიფო აპარატის შედარებითი სიმცირისა და სისუსტის გამო, მსხვილ სატაძრო მამულებში ძირითადად თავისუფალი გლეხობის შრომის გამოყენება.

ჩვენ უფრო შორს წავიდოდით. ცნობილია, რომ ანტიკურ ქვეყნებში მონობის ფართოდ გავრცელება დაკავშირებული იყო სასოფლო თემების დაშლა-

---

1 მონობის ფართოდ გავრცელების უარყოფა ქართლში, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს ამ სოციალური ინსტიტუტის საერთოდ არარსებობას. უკანასკნელ აზრს იზიარებდა სახელდობრ გ.სოსელია. მისი შეხედულებით, ქართულ ენაში არაა მონის (ტერმინის ვიწრო და პირდაპირი მნიშვნელობით) აღმნიშვნელი სიტყვა და სპარსული ენიდან შედარებით გვიან შემოსული სიტყვა „მონა“ (maniiah) თითქოს მსახურს (სახლის, გვარის წევრს) აღნიშნავდა. იხ. გ.სოსელიას სტატია „Существовала ли рабовладельческая формация в Грузии“, „Вопросы истории“, 1956, № 10. ეს მოსაზრება აშკარად მცდარია, რადგან ეკონომიკური განვითარების აღნიშნულ სტადიაზე მონობის გაჩენა ეჭვს არ იწვევს. შესაბამისად, იქნებოდა ამ ახალი მოვლენის აღმნიშვნელი ტერმინიც (შესაძლებელია „ტყვე“ ან „მსახური“).

სთან, მიწისა და სხვა სახის საკუთრების კონცენტრაციასთან, მსხვილ წარმოებასთან, ფართო საგარეო ბაზართან და ა.შ. ყველფერ ამას ძველ ქართლში, — ასევე კოლხეთში, — ადგილი არა ჰქონია; წვრილი გლეხების წარმოების გაბატონებული მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში გამორიცხავდა მონათა შრომის ფართოდ გავრცელებას. ასევე იმ დროის ქალაქები, რომლებიც წვრილ ხელოსნობასთან ერთად მნიშვნელოვანწილად ემყარებოდნენ სოფლის მეურნეობას (დ.ბახუტაიშვილი, ო.ლორთქიფანიძე, მ.ინაძე), არ იძლეოდნენ მონათა დიდი მასის დასაქმების შესაძლებლობას სხვა, არასასოფლო სამეურნეო პროფილის დარგებში.

ყოველივე აღნიშნულის გამო მონობის ხვედრითი წილი ძველი ქართლის სამეურნეო ცხოვრებაში უმნიშვნელოდ რჩებოდა. ამდენად ლაპარაკი აქ მონათმფლობელურ წარმოების წესზე, შესაბამის საზოგადოებასა და სახელმწიფოზე მოკლებულია საფუძველს.

მაგრამ ზემოთქმული სულაც არ გამორიცხავს სახელმწიფოს არსებობის შეუძლებლობას ძველ საქართველოში. ჩვენ შორსა ვართ იმ თვალსაზრისისაგან (კერძოდ გ.სოსელიასი[1]), რომელიც ამ პერიოდის საქართველოში უარყოფდა არა მარტო მონათმფლობელთა და მონათა კლასების, არამედ სახელმწიფოს არსებობასაც, ხოლო უკანასკნელის ნაცვლად აღიარებდა ე.წ. „სამხედრო დემოკრატიას". სინამდვილეში სამხედრო დემოკრატიის ხანა ძველმა საქართველომ დიდი ხნის წინათ გაიარა და თვით დიაუხისა და კოლხას გაერთიანებანიც (ასევე თრიალეთისა) შეუძლებელია მთლიანად სამხედრო დემოკრატიებად ჩავთვალოთ. ახალი სახის — ტერიტორიულ საფუძველზე გაერთიანება, მტრული გარემოცვისაგან თავდაცვა უფრო ეფექტურ ორგანიზაციას მოითხოვდა, ვიდრე სამხედრო დემოკრატია იყო. მით უფრო ითქმის ეს ძვ.წ. მეექვსე საუკუნის კოლხეთსა და ძვ. წ. მეოთხე საუკუნის ქართლში წარმოშობილი მმართველობის ორგანიზაციის მიმართ.

კოლხეთსა და ქართლში წარმოქმნილი ახალი გაერთიანებანი წარმოადგენდნენ სახელმწიფოს, რომლის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობდა უცხო სახელმწიფოთაგან თავდაცვის ორგანიზებაში. რა თქმა უნდა, ისინი სხვა მხრივაც ასრულებდნენ დადებით ფუნქციებს საზოგადოების განვითარებაში, მაგრამ მათ ფუნქციად ვერ ჩავთვლით მონების ჩახშობას, რადგან მონობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს წინაპრებში სპორადულად იყო გავრცელებული, ატარებდა რა ე.წ. სახლის ანუ პატრარქალურ ხასიათს. ამ საფეხურზე კი მცირერიცხოვან მონათა ჩახშობას სულაც არ სჭირდებოდა სახელმწიფო აპარატი და იგი ხდებოდა თვით ცალკეული სახლის ფარგლებში.

---

1 იხ. მისი „ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის", „მნათობი", 1930, N6, „სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის", თბილისი, 1934 და სხვ.

ერთი სიტყვით, კოლხეთისა და ქართლის სახელმწიფოების წარმოშობა დაკავშირებული იყო მათ მიერ საზოგადოების საერთო ინტერესების შესრულებასთან და ეფუძნებოდა საზოგადოების ორ კლასად (რამდენიმე ფენა თითოეულში) დაყოფას — უშუალო მატერიალური წარმოებაში და საზოგადოების მმართველობაში დასაქმებულობის მიხედვით. ახლა შევეხებით ჩვენი ძირითადი საკითხის არსს.

ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲫᲕᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ „ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐᲡ“? ცნობილია, რომ სოციალური რევოლუციის ეპოქის დადგომა უკავშირდება ეკონომიკურ საფუძველს; სახელდობრ ახალი საწარმოო ძალების გაჩენა, მათი შეუსაბამობა და კონფლიქტი ძველ წარმოებით ურთიერთობებთან წარმოადგენს იმ ფართო საფუძველს, რომელიც იწვევს დიდი გადატრიალების საჭიროებას სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში და რომელიც სოციალური რევოლუციის სახელითაა ცნობილი. შევხედოთ როგორ დგას საქმე ამ მიმართებით ს.ჯანაშიას არგუმენტაციაში.

ს.ჯანაშიას თანახმად, IV-V საუკუნეები ძველ საქართველოში ხასიათდებოდა მთელი რიგი ახალი საწარმოო ძალების გაჩენით, რაც თითქოს საფუძვლად დაედო ფეოდალურ რევოლუციას. რას წარმოადგენდა ეს ახალი საწარმოო ძალები? ახალ სამეურნეო პროცესებში ს.ჯანაშია გულისხმობდა სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგების განვითარებას — სახელდობრ მევენახეობა-მეღვინეობის, მებოსტნეობა-მეხილეობის, ირიგაციის, ქალაქების განვითარებას. სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა შემდგომ პროგრესს, ეკონომიკურ დიფერენციაციას, ს.ჯანაშიას აზრით, ხელს უწყობდა აგრეთვე ხარკის აკრეფა ფულადი სახით სპარსთა მიერ. ახალი საწარმოო ძალების წარმოქმნის სურათი არც „საქართველოს ისტორიის“ 1958 წელს გამოსულ სახელმძღვანელოში ხასიათდება მეტი კონკრეტულობით. აქაც ლაპარაკია სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგების გავრცელებაზე, მიწის ინტენსიურ დამუშავებაზე, როცა „ერთი თავისუფალი მიწის მუშა, შრომის ნაყოფიერებით რამდენსამე მონას უნდა სჯობნებოდა“[1]. ამან თითქოს გამოიწვია მონების შეცვლა ყმა-გლეხებით. ამავე კოლექტიური ნაშრომის მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში მეტი გავრცელება ჰპოვა რკინისსახნისიანმა სახვნელმა — ერქვანმა.

ადვილი მისახვედრია, რომ აქ ზოგად სიტყვებთან გვაქვს საქმე. ვიქნებით უფრო კონკრეტული. „საქართველოს ისტორიის ნაკვეთების“ მეორე ტომში ვკითხულობთ, რომ მეოთხე-მეექვსე საუკუნეებში ადრეფეოდალური ხანა აღინიშნა წინაფეოდალური ქალაქთა უმეტესობის დაცემით ან სავსებით გაქრობით, რომ ადმინისტრაციული ქალაქების — თბილისისა და უჯარმის შენება ვერ ცვლიდა საქალაქო ცხოვრების დაცემის საერთო სურათს[2]. თვით მცხეთის

1 საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 86-87.
2 იხ. საქართველოს ისტორიის სარკვევები, ტ.II, გვ. 118-138

ეკონომიკაც კი ძირითადად ეფუძნებოდა ქალაქის, როგორც ცენტრალიზებული სახელმწიფოს დედაქალაქის მდგომარეობას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ახ. წ. პირველი ათასწლეულის შუახანებში სამეფო რეზიდენციის თბილისში გადანაცვლებით, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, „მცხეთას მოაკლდებოდა და ტფილისი გაძლიერდებოდა, არმაზი აღოხრდებოდა და კალაჲ აშენდებოდა“[1].

ახალ ქალაქებში (თბილისი, რუსთავი, უჯარმა, სამშვილდე და სხვ.) ეკონომიკური ცხოვრება ჯერ კიდევ სუსტი იყო, ისინი ძირითადად სამხედრო და ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ასეთ ვითარებას, ე.ი. სამეურნეო ცხოვრების დაქვეითებას, ცხადია, ხელს უწყობდა აგრეთვე ქართლის მოსახლეობის ექსპლუატაცია ერანის მიერ, რაც ხარკის ძლევასა და ბეგარის შესრულებაში გამოიხატებოდა. ამავე მიმართულებით მოქმედებდა საქართველოში ერანელთა, ბიზანტიელთა და ოვსთა ლაშქრობები, საქალაქო ცხოვრების დაცემა, მოსახლეობის კლება (დეპოპულაცია) ყოველივე ამის შედეგად სულაც არ გვექმნება ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობის სურათი.

სანუგეშო მდგომარეობა არც სოფლის მეურნეობაში ჩანს. თავისთავად ცხადია, რომ ქალაქების დაცემა, მოსახლეობის შემცირება და გაღატაკება (ხარკი სპარსელებისათვის) და ა.შ. სულაც ვერ შეუწყობდნენ ხელს სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგების განვითარებას. საქართველოში ჯერჯერობით არ გავრცელებულა მთელი რიგი კულტურებისა, რომლებიც ამ პერიოდის ერანში საკმაოდ იყო გავრცელებული (ბრინჯი, იონჯა, ინდისხურმა, ფინიკის პალმა და ა.შ.).[2] ასევე არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ თუთის კულტურის ფართოდ გავრცელებასა და მეაბრეშუმეობის ფართო განვითარებაზე, რადგან, როგორც ცნობილია, აბრეშუმის ჭია ჩინეთიდან ბიზანტიელებმა მხოლოდ მეექვსე საუკუნეში შემოიყვანეს. საქართველოში ამ ხანში არც ბამბის კულტურა (შესაბამისად ბამბეულის წარმოება) გავრცელებულა.

დამაჯერებლად არ გვეჩვენება აზრი, თითქოს ფეოდალური ურთიერთობის ერთი უმთავრესი მატერიალური საფუძველი ჩვენში, შეიძლება ითქვას, დიდი

---

1 ქართლის ცხოვრება, I, სიმონ ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 223. თბილისის მსხვილ ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევა ძალიან სწრაფად მოხდა. თუ მეოთხე საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს იგი მხოლოდ სპარსთა პიტიახშის რეზიდენცია იყო, მეშვიდე საუკუნის პირველ მესამედში, ისტორიკოს მოვსეს კალანკატვაცის მიხედვით, იგი იყო „ნებიერი, მოეჭრე და სახელგანთქმული დიდი ქალაქი“. რიცა 628 წელს ხაზარებს თბილისი აუღიათ, დამპყრობლებს ოქროსა და ვერცხლის ფულებით, თვალ-მარგალიტებით შემკული ნივთების დიდი გროვა დუზეკებიათ (იმავე ისტორიკოსის ცნობა). ქალაქების ზრდის ასეთი ტემპი, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი იყო აღმოსავლეთის ისტორიაში. მეორე მხრივ, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ (VII ს.) ჩანს, რომ მცხეთაში ხელოსნობა კვლავ შედარებით მაღალ დონეზე მდგარა. ნაწარმოებში მოხსენიებული მეხამლენი და მედბაღენი, ევსტათის მონები, მიუთითებენ შრომის ფართო დანაწილებაზე, მოძრავი საკუთრების განვითარებაზე.

2 ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957, გვ. 48.

საირიგაციო ნაგებობები იყო[1]. თავი რომ დავანებოთ ამ მტკიცების სიმართლის თეორიულ ასპექტს, ერთადერთი, რაც ამ მიმართებით ვიცით, ესაა მეოთხე საუკუნის ბოლოს მეფე თრდატის მიერ რუსთავის რუს გამოღება (წილკნის არხი გაიყვანეს მეექვსე საუკუნეში). მაგრამ ჩვენთვის უეჭველი გახლავთ ის გარემოება, რომ დიდი არხების გაყვანა და მათი შეკეთება ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს მიერ.

რაც შეეხება ერქვანს, იგი არ ყოფილა თვალსაჩინო ტექნიკური მიღწევა და თანაც მისი გავრცელების არეალი ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობებით იფარგლებოდა; მის მთიან ზონაში შრომის ამ იარაღის გამოყენების მიზანშეუწონლობა თავისთავად ცხადია, დასავლეთ საქართველოში კი ერქვანი საჭირო არ იყო, რადგან ჰავის სინოტივისა და ხშირი წვიმიანობის გამო ნიადაგი არ საჭიროებდა ღრმად ხვნას[2]. როგორც ჩანს, არაა გამართლებული რომის იმპერიასთან ანალოგიით ვარაუდი იმის თაობაზე, რომ გუთანი ჩვენთან მეხუთე საუკუნეში გავრცელდა. უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება ამ იარაღის გავრცელება დაახლოებით XII საუკუნეში [3].

ერთადერთი სახის პროგრესი, რაც ჩვენი წინაპრების საწარმოო ძალების განვითარებაში უნდა ვიგულისხმოთ, ესაა კახეთ-ჰერეთის შემდგომი კოლონიზაცია, რაც მნიშვნელოვან მოვლენას კი წარმოადგენდა, მაგრამ, საწარმოო ძალების განვითარების აზრით, იგი მხოლოდ ექსტენსიური ზრდის (ახალი ფართობების ათვისება) მაჩვენებელი იყო. მას, ცხადზე ცხადია, სულაც არ შეეძლო ქვეყნის სამეურნეო დაქვეითების ამდენი მხარის კომპენსაცია მოეხდინა. უმნიშვნელო ხასიათისა რჩებოდა ქართლის საგარეო ვაჭრობის მასშტაბებიც.

ასეთია სამეურნეო განვითარების სურათი ძველ ქართლში. არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია ვივარაუდოთ, რომ იგი (სამეურნეო განვითარება) უფრო მაღალი იყო ეგრისის სამეფოსა და აფხაზეთის სამთავროში, პირიქით: ბუნებრივი პირობების თვალსაზრისით ქართლი ბევრად ოპტიმალურ გეოგრაფიულ გარემოს წარმოადგენდა, რაც უცილობლად აისახებოდა სამეურნეო ცხოვრების დაწინაურებაშიც.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ: მტკიცება იმისა, რომ ახ.წ.მეოთხე-მეხუთე საუკუნეების საქართველოში გაჩნდა ახალი საწარმოო ძალები, რომ ისინი კონფლიქტში აღმოჩნდნენ ძველ წარმოებით ურთიერთობებთან და ა.შ., უფრო თეორიით (არასწორი!) არის ნაკარნახევი, ვიდრე საგანთა ფაქტობრივი მდგომარეობით. ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობა გა-

---

1 ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 362.

2 კოლხეთში ერქვანის გამოყენების მიზანშეუწონლობაზე იხ. ხ.კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, თბილისი, 1959, გვ.5.

3 იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, გვ. 159.

მართლებული იყო საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების აზრითაც, და პირიქით, მისი დაშლა გამოიწვევდა საწარმოო ძალების დეგრადაციას. ეს მით უფრო ითქმის, თუ გავითვალისწინებთ იმ მტრულ ისტორიულ გარემოცვას, რომელშიც იმყოფებოდა ქართლისა და ეგრისის სამეფოები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუახანებში.

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲨᲘ. როგორც აღვნიშნეთ, მეოთხე-მეხუთე საუკუნეების ქართლის სამეურნეო ცხოვრებაში არავითარი პროგრესი არ შეინიშნება პირველ-მესამე საუკუნეებთან შედარებით. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს სოციალურ ცხოვრებაში ახალი მომენტების გაჩენის შეუძლებლობას. საქმე ისაა, რომ მიწაზე მსხვილი საკუთრების გაჩენა, გლეხთა დაყმევება სულაც არ საჭიროებდა ახალი საწარმოო ძალების გაჩენას. მეურნეობის იგივე, და უფრო ნაკლები დონის პირობებშიც კი, შესაძლებელი იყო ახალი სოციალური სტრატიფიკაცია, დაშრევება. „შუშანიკის წამებაში“ (მეხუთე საუკუნე) მოხსენიებული არიან „აზნაურნი დიდ-დიდნი“ (ეს გამოთქმა გულისხმობს, რა თქმა უნდა, მცირე აზნაურთაც), რაც მიუთითებს ახალ მნიშვნელოვან მომენტზე ქართლის საზოგადოების სოციალურ ევოლუციაში. თუ სტრაბონის ხანის იბერიაში მსხვილი კერძო მესაკუთრენი არ ჩანან, ახლა მათი აღმნიშვნელი ტერმინიც კი გაჩნდა. თავდაპირველად ეს ფენა შეუვსიათ სამეფო სახლის წარმომადგენლებს (ს.ჯანაშია).

კვლავ პრობლემად რჩება მსხვილი მიწის საკუთრების განვითარების, ამ საფუძველზე აზნაურთა ფენის განვითარების მასშტაბი. ს.ჯანაშიას აზრით, აღნიშნულ მოვლენებს ძალზე ფართო ხასიათი ჰქონდა; უკვე მეოთხე საუკუნის პირველი მესამედის ბოლო პერიოდში აზნაურებს მნიშვნელოვანი როლი უთამაშიათ ქვეყნის რელიგიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში: სწორედ მათი აქტიურობით აიხსნება ქრისტიანობის გავრცელება ქართლში (მოვიგონოთ რეფორმაციის სოციალური საფუძველი გერმანიაში), რითაც ისინი დაუპირისპირდნენ ჭურუმებს. მოხდა მსხვილი სატაძრო მამულების გადანაწილება ახალი სოციალური ფენის შიგნით. ერთი სიტყვით, ამ რელიგიურ-პროლიტიკური ბრძოლის აქტიურ მხარედ, ს.ჯანაშიას მიხედვით, აზნაურები გამოსულან. ძნელია ვიმსჯელოთ ასეთი მტკიცების ჭეშმარიტობა-მცდარობაზე. წყაროების უაღრესი სიმწირე არ გვაძლევს საფუძველს აზნაურთა ნამდვილ სოციალურ წონაზე ვილაპარაკოთ. თუ შემდგომი ხანის ვითარებას გავითვალისწინებთ, უფრო საფიქრებელია, რომ მეოთხე-მეექვსე საუკუნეების ქართლში აზნაურები ისეთ დიდ სოციალურ და პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენდნენ, რომ დამოუკიდებლად დაპირისპირებოდნენ ჭურუმებსა და სახელმწიფოს. ნ.ბერძენიშვილის მიხედვით, ფეოდალური ურთიერთობების მნიშვნელოვანი განვითარება უფრო გვიანდელი საუკუნეების პროდუქტია. საფუძველი კი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჭურუმთა

წინააღმდეგ, გარკვეული მატერიალური მიზეზების გამო, გამოვიდა სახელმწიფოც, რომ მეფის ხელისუფლებისა და აზნაურთა გაერთიანებული მცდელობით სატაძრო მამულები სეკულარიზებულ იქნა.

ქართლში არც ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ჩანს პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელოვანი განვითარება. მკვეთრ დაპირისპირებას აზნაურებსა, ერთი მხრივ, და სახელმწიფოსა და საზოგადოების დანარჩენ ნაწილს შორის, მეორე მხრივ, ჩვენ მეოთხე-მეხუთე საუკუნეების ქართლის სინამდვილეში ვერ ვხედავთ. უფრო ნაკლები საფუძველი გაგვაჩნია ვიგულისხმოთ ფეოდალური ურთიერთობის მეტი განვითარება ეგრისის სამეფოსა და აფხაზეთის სამთავროში, სადაც,თუ გ.მელიქიშვილს დავუჯერებთ, მსხვილი კერძო სამიწო საკუთრებისა და გლეხთა დაყმევების პროცესი ქართლთან შედარებით უფრო ნაკლებად იქნებოდა განვითარებული[1].

იბერიის ძველი სახელმწიფოს ხასიათის შესახებ.

ს.ჯანაშიასა და ნ.ბერძენიშვილის შეფასებით, ქართლის სახელმწიფო დესპოტური ყოფილა. მაგრამ მიგვიჩნია, რომ ასეთი მტკიცებისათვის ფაქტობრივი ვითარება საფუძველს არ იძლევა. ქართლის სახელმწიფო არ ჰგავდა ძველი აღმოსავლეთის დესპოტიებს მეფისა და ბიუროკრატიის თვითნებური მმართველობით, ძლიერი რეპრესიული აპარატით. საჯარო ხელისუფლების მნიშვნელოვან გაუცხოებას საზოგადოებისაგან ჩვენს წინაპრებში ადგილი არა ჰქონია. როგორც უკვე მივუთითეთ, ლაშქრის ძირითად ბირთვს ძველ ქართლში შეადგენდა თავისუფალ მიწათმოქმედთა მასა. რეპრესიული აპარატი (სამეფო სახლისა) მიმართული იყო მხოლოდ სამეფო „მონების“ ჩასახშობად. ასე რომ, ცალკეულ მეფეთაგან დესპოტური მიდრეკილებების გამოვლინებას ჩვენში არ გააჩნდა პოლიტიკური საფუძველი. ვიმეორებთ: არ შეიძლება არც ერთი თვალსაჩინო ფაქტის დასახელება ამ პერიოდის ქართლში, რომელიც სახელმწიფოს დესპოტურ ხასიათს ადასტურებდეს[2].

მეორე მხრივ, ქართლის სახელმწიფო არც რომის იმპერიის გვიანი ხანის სახელმწიფოს ჰგავდა, რომელიც, ფ.ენგელსის თქმით, საზოგადოების უბორო-

---

1 საქართველოს ცალკეული რეგიონების ისტორიისადმი დიფერენცირებული მიდგომის საჭიროების თაობაზე იხ. გ.მელიქიშვილის ნაშრომი „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი“, 1973.

2 "ქართლის ცხოვრებაში" ხშირადაა მოხსენიებული „ერი“ მეფესთან ერთად, ლაპარაკია მეექვსე საუკუნეში „ქართლის შეკრებაზე“ ერისმთავრის „განსაჩინებლად“. ეგრისის მიმართ დესპოტიზმისა და შესაბამისი ეროვნული ფსიქოლოგიის არარსებობა ყველაზე ნათლად ჩანს მეექვსე საუკუნის შუა ხანებში სახალხო კრების მოწვევის შესაძლებლობისა და ფაქტის მაგალითზე. ქართლის მეფეთა მხრივ თვითნებობის გამოვლინებანი, რასაკვირველია, იყო. მაგალითად, ფარნავაზმმა იწყო ცეცხლისმსახურება, ამაზასპმ „მოსწყვდნა მრავალნი წარჩინებულნი“ და სხვ. ამ ნიადაგზე ვითარდებოდა ერისთავთა კონფლიქტები მეფეებთან (საურმაგის, ფარნაჯომის, ბარტომის, ამაზასპის დროს), მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს საკმაო საფუძველს დესპოტიზმის მტკიცებისათვის.

ტესი მტერი და მჩაგვრელი გახდა. უკანასკნელ მოვლენას ადგილი ჰქონდა სულ სხვა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ საფუძველზე, რაც იმდროინდელ ქართლში გამოირიცხებოდა და რაზედაც აქ ვერ შევჩერდებით.

ასევე არ მიგვაჩნია საფუძვლიანად ქართლის სახელმწიფო მხოლოდ ვიწრო სოციალური ფენის ინტერესების გამომხატველად წარმოვიდგინოთ. ს.ჯანაშიას მიხედვით, ეს სახელმწიფო უწინ ეყრდნობოდა მხოლოდ ჭურუმებს, სხვა შემთხვევაში იგი აღიარებდა ფართო ფენებს, რომელთაც იგი ემყარებოდა. კიდევ მეტი, ამ სახელმწიფოს ცენტრალიზებული სახით არსებობა მკვეთრად არ უნდა შეჯახებოდა ახალი სოციალური ფენის — აზნაურების ინტერესებს. აი რატომ? მეოთხე-მეხუთე საუკუნეში, როგორც ცნობილია, სპარსეთი მნიშვნელოვნად გააქტიურდა ამიერკავკასიაში. მან გააუქმა მეფობა სომხეთსა და ალვანეთში, დახარკა ქართლი (368 წლიდან) და ელოდა ხელსაყრელ დროს ქართლის დამოუკიდებლობის მოსასპობად. ბუნებრივია, ასეთ მტრულ გარემოცვაში აზნაურთა დაპირისპირება მეფის ხელისუფლებისადმი არათუ რევოლუციური, არამედ რეაქციული იქნებოდა. ასეთი ეროვნული საფრთხისას სხვა შინაგანი საკითხები მეორე პლანზე გადავიდოდა. სხვანაირად ჩვენ საქმე გვექნებოდა „არაჯანსაღ ეროვნულ ორგანიზმთან“ (ფ.ენგელსი)[1].

ვფიქრობთ, რომ ისტორიკოსები ძალიან აჭარბებენ ანალოგიების გამოყენებით, როდესაც ცდილობენ საქართველოს შესაბამის პერიოდში დაინახონ და გაამართლონ „ადრეული ფეოდალური დაქუცმაცებულობის ხანა“[2]. დასავლეთი ევროპა ფართო რეგიონი იყო დიდი მოსახლეობითა და ერთგვაროვანი კულტურით. მის ცივილიზაციას დიდხანს არ ჰქონია საფრთხე, რომელიც მის ყოფნა-არყოფნის საკითხს დასვამდა. რაკი ეს ასეა, ჩვენთვის გაუგებრობას წარმოადგენს აღიარება იმისა, რომ ქართულ სახელმწიფოებს უნდა გაევლოთ ფეოდალური დაქუცმაცებულობის ხანა, რათა მომავალში საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების საფუძველზე ისინი კვლავ გაერთიანებულიყვნენ. მიგვაჩნია, რომ ასეთი ანალოგიები დასავლეთი ევროპის სინამდვილიდან უფრო აბნელებენ, ვიდრე აცხადებენ საქმის ნამდვილ ვითარებას. მტრული ისტორიული გარემოს გამოწვევა (challenge) სულ სხვანაირ პასუხს (response) თხოულობდა. თუ იგი საკმაოდ ეფექტური არ აღმოჩნდა, — კვლავ საგარეო ფაქტორის მიზეზით, — ყოველ შემთხვევაში, ჩვენმა წინაპრებმა მისი მონახვისათვის საკმაო მცდელობა გამოიჩინეს.

---

1 К.Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т.18, с. 555.

2 იბერიის სახელმწიფო მთელი რვასი წლის მანძილზე ცენტრალიზებული რჩებოდა. საპირისპირო ვითარებას იშვიათად ჰქონდა ადგილი. ორმეფობა, რაც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ადერკის მიერ სამეფოს ორ ძეს შორის გაყოფით დაწყებულა, შედარებით ხანმოკლე გამოდგა (ბარტომ-ქართამ, ფარსმან-კაოს, აზორკ-არმაზელ, ამაზასპ-დეროკ).

ადასტურებს თუ არა პოლიტიკური მოვლენების განვითარება „ფეოდალური რევოლუციის“ თვალსაზრისს? მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში ქართლის სამეფო (ასევე ლაზიკაც) მნიშვნელოვანი განსაცდელის წინაშე იდგა. ორი დიდი იმპერია — აღმოსავლეთ რომისა და სასანური ირანისა — ერთმანეთს ეცილებოდნენ ამიერკავკასიის ქვეყნების დამორჩილებისათვის. ხოლო ამ უკანასკნელთა შორის ქართლის სამეფო ძლიერი მეზობლების აგრესიული ზრახვების ერთ-ერთ უმთავრეს ობიექტს წარმოადგენდა. ძირითადად ეს აიხსნებოდა არა ქვეყნის დახარკვის, არამედ მისი სტრატეგიული მდგომარეობის გამოყენების ინტერესებით; ამ პლაცდარმის ხელში ჩაგდება კარგი საყრდენი იქნებოდა ერთმანეთის წინააღმდეგ და კავკასიონის ქედის იქით მდებარე მხარეების გამოსაყენებლად (სამხედრო ძალა, მონები).

ბიზანტია-ერანის ომებში ამიერკავკასიის მოწინავე ქვეყნები — სომხეთი და ქართლი — თავდაპირველად პირველის მხარეზე იყვნენ. მათ ამ პოზიციას განაპირობებდა ბიზანტიასთან მეტი სიახლოვე კონფესიურად, კულტურის სხვა მხარეებით და საკუთრების უფრო მეტი განვითარებით, ვიდრე ამას აღმოსავლეთში ჰქონდა ადგილი.

368 წელს სპარსელებმა ქართლის მეფე საურმაგი გააძევეს თავის სამეფოდან და მის მაგიერ ტახტზე დასვეს ასფაგური. სამშობლოდან გაძევებულ საურმაგს მიეხმარნენ ბიზანტიელები, რომელთა ჯარზე დაყრდნობითაც მომდევნო წელს საურმაგმა მიაღწია ქართლის სამეფოს ერთ ნაწილში გამეფებას. ამრიგად, ერან-ბიზანტიის მეტოქეობის შედეგად ქართლის სამეფო ორად გაიყო. ერთ ნაწილში გამეფდა საურმაგი, მეორეში — ასფაგური. ქვეყნის შესაბამის ნაწილებში ჩაყენებულ იქნა ერანელთა და ბიზანტიელთა გარნიზონები. ამავე წელს მოხდა ქართლის დახარკვა სპარსელების მიერ. ტფილისში მჯდომმა სპარსთა პიტიახშმა თავის სამფლობელოდ მიითვისა ქალაქის შემოგარენიც. მალე ერანელებს ქართლის დანარჩენი მხარეებიც შეუერთებიათ. მხოლოდ კლარჯეთი, რომელიც თავისი ნებით განუდგა ქართლს, დარჩენილა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ფარგლებში.

ასეთ სიტუაციაში, ცხადია, საჭირო იყო ჩვენი წინაპრების ძალების კონსოლიდაცია საგარეო საფრთხის წინაშე. თუ ახალი, აზნაურთა ფენა გაამწვავებდა ბრძოლას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, — ეს სულაც არ შეიძლება პროგრესულ მოვლენად ჩაითვალოს[1]. ვიმეორებთ: როდესაც პატარა ქვეყანას

---

1 ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „კლასობრივ საზოგადოებაში პროგრესის მშენებელია ის, ვისი მოღვაწეობაც კლასთა ბრძოლის გაფართოება-გაღრმავების საქმეს ემსახურება“. იხ. მისი „კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში“, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ.23. ჩვენი შეხედულებით, საქართველოს ისტორიის სინამდვილეში ამ მტკიცების სისწორე უაღრესად შეზღუდულია.

შთანთქმით ემუქრება ძლიერი დამპყრობელი ქვეყანა, მაშინ პირველის ნამდვილი ინტერესები მდგომარეობს გადარჩენისათვის ზრუნვაში და ამდენად, მთელი ძალების მობილიზაციაში აგრესორის წინააღმდეგ. ეს მით უფრო ითქმის იმ შემთხვევების მიმართ, როცა ეს აგრესორი არ წარმოადგენს უფრო პროგრესულ საზოგადოებას.

თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული მტკიცების აზრი იდეალია ყოველთვის. როგორი იყო ფაქტობრივი ვითარება ამ მიმართებით? უმეტეს შემთხვევაში, როცა ჩვენ საქმე გვაქვს „ჯანსაღ ეროვნულ ორგანიზმთან", ფაქტობრივი სინამდვილე შეესაბამება ამ იდეალს. ამ მხრივ გამონაკლისს არ შეადგენდა მეოთხე-მეექვსე საუკუნეების ქართლიც. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მეორე ტომში სავსებით სწორადაა აღნიშნული: „რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ირანელთა მხარეზე გადავიდა მთელი ფეოდალთა კლასი... ფეოდალთა ნაწილი თავისი ინტერესებით მაინც დაკავშირებული იყო ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ნაწილს კი ესმოდა, რომ ირანელებთან კავშირი დამლუპველი იქნებოდა ქვეყნისათვის და, საბოლოო ანგარიშით, თვით ამ კავშირის მომხრეებისათვისაც"[1] (ლ.ჯანაშია). უნდა ვივარაუდოთ, რომ აზნაურთა ეს ნაწილი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მეფის მოწინააღმდეგეებისა. რასაკვირველია, ისტორიული წყაროებიდან ჩანს (და ამას აღიარებდა ივანე ჯავახიშვილიც), რომ მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგენიც არსებობდნენ (თუმცა, ჩვენს ისტორიაში როდის არ არსებობდნენ ისინი?). მაგრამ, ვიმეორებთ, ისინი უფრო ნაკლები იქნებოდნენ პატრიოტულად განწყობილ აზნაურობასთან შედარებით.

იმდროინდელ ჩვენს მეფეებს რომ მნიშვნელოვანი ოპოზიცია არ ჰყოლიათ ქვეყნის შიგნით, ეს გამოჩნდა მათს აქტიურობაშიც საგარეო პოლიტიკის სარბიელზე. კერძოდ, გუგარქის საპიტიახშოს დაშლის შემდეგ მისი მთელი რიგი მხარეები ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შესულა. მეფე ფარსმანი (მეოთხე საუკუნის მიწურულში) ცდილობდა თავი დაეღწია სპარსელთა ბატონობისაგან: „მეფეთა ამბავის" მიხედვით მან მათთვის ხარკის ძლევაც კი შესწყვიტა. იგივე მეფე ბიზანტიასაც დაპირისპირებია, შეუსევია რა მისთვის თეთრი ჰუნები. ასეთი აქტიურობა ახასიათებდა მომდევნო მეფე მირდატსაც. იგი იბრძოდა ბიზანტიელთაგან კლარჯეთის დაბრუნებისათვის, ხოლო სპარსელებს არ აძლევდა ხარკს (იგი გარდაიცვალა ტყვეობაში, ერანში). სპარსთა წინააღმდეგ იბრძოდა მეფე არჩილიც. და ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება. ყველაფერ ამას, ცხადია, სულაც არ ექნებოდა ადგილი, რომ ქართლის აზნაურებს მნიშვნელოვანი ოპოზიცია შეექმნათ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ასე რომ

---

1 საქართველოს ისტორიის ნაკვეთები, ტ. II, გვ. 85.

ყოფილიყო, მეფეები თავიანთ ენერგიას უპირველესად ოპოზიციის ასალაგმავად წარმართავდნენ, ისინი ვერ აწარმოებდნენ მნიშვნელოვან საგარეო-პოლიტიკურ აქციებს.

თუმცა გვაქვს სხვა ცნობებიც, რომლებიც პირდაპირ ეხება აზნაურთა ფენის მიმართებას სამშობლოს საერთო ინტერესებისადმი. ჯერჯერობით მხოლოდ ერთს მოვიტანთ: სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარპეცის მიხედვით, როდესაც ერანის შაჰს თავის კარზე დაუბარებია სომხეთის, ალვანეთისა და ქართლის თავკაცები, უკანასკნელთ ერთმანეთისათვის პირობა მიუციათ არ დათანხმებოდნენ მაზდეანობის მიღებაზე. მას შემდეგ რაც შაჰს ისინი დაუყოლიებია თავისი განზრახვის შესრულებაზე, ამ ქვეყნების თავკაცებს გადაუწყვეტიათ სამშობლოში დაბრუნებისთანავე ისევ ქრისტიანობა მიეღოთ, რომ ერთმანეთთან მუდმივი კავშირი ჰქონოდათ.[1] ეს ცნობა კი, ჩვენი აზრით, სულაც არ მიუთითებს აზნაურთა ბლოკს ერანის ხელისუფლებასთან, მითუმეტეს, რომ შაჰმა ქართლის წარმომადგენელთაგან თავისთან დაიტოვა არშუშა, რომელსაც ალბათ არ ენდობოდა.

მეხუთე საუკუნის 40-იანი წლებიდან ირანის დამოკიდებულება ამიერკავკასიის ქვეყნებისადმი უფრო აგრესიული გამხდარა. მას უნდოდა მოესპო ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა. საშუალებანი ამ მიზნის მისაღწევად მდგომარეობდა მათი მოსახლეობის (ლაზიკისაც კი) ასიმილაციაში ერანელთაგან, სპარსთა ოფიციალური რელიგიის — მაზდეანობის გავრცელებაში ამიერკავკასიის ქვეყნებში. ყოველივე ამას ერთვოდა უფრო მეტი გადასახადები, სამხედრო ბეგარის შეწერა, რის შედეგადაც აღნიშნული ქვეყნების საუკეთესო მეომართა ნაწილი საშობლოსაგან შორს, უცხო სამეფოს ინტერესებისათვის იღუპებოდა.

უკვე 428 წელს სპარსელებმა მეფობა გაუქმეს სომხეთში, ხოლო 35 წლის შემდეგ — ალვანეთში. ეს პოლიტიკური აქციები კი უშუალოდ ერანის ექსპანსიონისტური ინტერესებისათვის მოხდა და არა ამ ქვეყნების ფეოდალთა კლასისათვის. ასე რომ, თუ რა „საიმედო“ დასაყრდენს წარმოადგენდა ერანი, ამას ქართლის აზნაურობა უკვე ამ პერიოდში დაინახავდა, თანაც ისე აშკარად, რომ რაიმე ილუზიებისათვის ამ მიმართულებით მათ ცხოვრებაში ადგილი არ დარჩებოდა.

შაჰ იეზდიგერდ მეორეს (438-457 წწ.) თავიანთ სამშობლოში დაბრუნებულ დიდებულთათვის მრავალრიცხოვანი მოგვები — მაზდეანობის ქურუმნი გამოუყოლებია. მათ უნდა გაერეკათ ქრისტიანული სამღვდელოება, გაეხსნათ სკოლები, გაევრცელებინათ მაზდეანობა, ერანული წეს-ჩვეულებანი. ერანის ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია დიდი სახალხო აჯანყება სომხეთსა და ალვანეთში

1 იხ. ლ.ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თსილისი, 1962, გვ. 216, 223-224, 226, 236.

(450-51 წლებში). ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ქართლს ამ აჯანყებებში მონაწილეობა არ მიუღია. ეს „პასიურობა“ ქართლმა 30-იოდე წლის შემდეგ გამოიისყიდა.

482 წელს ქართლმა ვახტანგ გორგასლის მეთაურობით იკისრა ინიციატივა სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყებისა. კვლავ დაისმის კითხვა: ნუთუ შესაძლებელია მეფე ვახტანგს გამოეჩინა ასეთი ენერგია როგორც სპარსეთის, ისე სხვა საგარეო მტრების წინააღმდეგ, მას რომ ძლიერი შინაური ოპოზიცია ჰყოლოდა? ნუთუ ვახტანგ გორგასალი თავის ენერგიულ საშინაო და საგარეო საქმიანობაში მხოლოდ სამეფო დომენს (კახეთ-კუხეთ-ჰერეთი) და „წურილ ერს“ ემყარებოდა, როგორც ამას მიიჩნევდნენ ს.ჯანაშია და ნ.ბერძენიშვილი? უკანასკნელი კითხვა მით უფრო მეტ სიმწვავეს იძენს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ „წურილი ერი“ (თავისუფალი გლეხობის ფენა), ს.ჯანაშიას კონცეფციის მიხედვით, ამ დროის ქართლში, საზოგადოების ფეოდალიზაციის მნიშვნელოვანი მაშტაბების გამო, ძალიან მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ამ პერიოდის ქართლში თავისუფალი გლეხკაცობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ფენას შეადგენდა, რომ მეფის ხელისუფლების მომხრედ გამოდიოდა აზნაურთა უმეტესი ნაწილი, რომ ასეთსავე პატრიოტულ პოზიციებზე იდგებოდა სამღვდელოება თუნდაც საკუთარი ინტერესების გამო-ქრისტიანობის შენარჩუნებისა და მაზდეანობის გავრცელების წინააღმდეგ.

ჩვენს მიზანს არ შედგენს ერანელთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის ქვეყნების მიერ წამოწყებული აჯანყების მსვლელობის პერიპეტიებზე თვალის გადევნება. აღვნიშნავთ, რომ 484 წელს ერანელთა ახალი ლაშქარი კვლავ შემოსულა ქართლში შაჰის დავალებით — შეეპყროთ ვახტანგ მეფე, მოეკლათ ან უკიდურეს შემთხვევაში თავისი სამეფოდან განედევნათ იგი. ერანელთა სარდალს (ზარმიჰრ ჰაზარავუხტს) შეუკრებია ქართლის დიდებულთა ნაწილი, სახელდობრ ისინი, ვინც თავიდანვე არ უჭერდნენ მხარს ვახტანგს და ისინიც, რომლებიც მეფეს შემდგომში, აჯანყების დამარცხების შემდეგ განუდგნენ. შაჰის ემისარს დიდი წყალობა აღუთქვამს მათთვის და მათგან რაზმიც კი შეუდგენია. თუ ვიგულისხმებთ, რომ ქართლში ამ დროს მნიშვნელოვან ოპოზიციას ჰქონდა ადგილი მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების წინააღმდეგ, რომ ოპოზიცია გამოდიოდა საკუთარი სოციალური და პოლიტიკური იდეალებით, მომენტი უაღრესად ხელსაყრელი იქნებოდა მათი ინტერესების აღსასრულებლად. მეფის ხელისუფლება ერანელთაგან დამარცხებული იყო, ხოლო ვახტანგი — ეგრისს გადასული, მაშ რა შეუშლიდა ხელს „ფეოდალური რევოლუციის“ გამარჯვებას უკვე 484 წელს? მაგრამ ვერავითარ რევოლუციას ამ პერიოდის ქართლში ჩვენ ვერ ვხედავთ. ჰაზარავუხტი მალე გაბრუნებულა ერანში, ისე რომ არ შეუსრულებია აზნაურთა „პროგრამა“, თუმცა მის შესრულებას არც აზნაურები ცდილან.

ვახტანგ გორგასალს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ბრძოლა ერანის წინააღმდეგ. როდესაც სპარსელებს მისთვის მოუთხოვიათ ბიზანტიაზე გალაშქრება, ჩვენს სახელოვან მეფეს ასე განუცხადებია: „უთხართ მეფესა ხუასროს: პირველად განემზადე ბრძოლად ჩუენდა, და ეგრე შეეედ საბერძნეთად“.[1] სპარსელებს არ დაუყოვნებიათ ქართლის ურჩი მეფის დასჯა, რისთვისაც მათ კვლავ სპეციალური ლაშქარი გამოუგზავნიათ. მათი ჯარი დაბანაკებულა იორზე, სადაც დალოდებია უჯარმაში რეზიდენციის მქონე ვახტანგთან ბრძოლას. პირველ ბრძოლაში ვახტანგს გაუმარჯვია, ხოლო მეორეში — მძიმედ დაჭრილა („სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა“[2]. ამის შემდეგ იგი მალე 502 (ივანე ჯავახიშვილი) თუ 503 წელს (ს.გორგაძე) გარდაიცვალა. [3]

თვალი გავადევნოთ იმას, თუ როგორ გაიშალა „აზნაურთა“ ანუ „ფეოდალური“ რევოლუცია.

ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ ქართლის სამეფო ტახტი გადასულა მისი ძის დაჩის ხელში. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მას დაუბრუნებია ტერიტორია „ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა“, მასვე მორჩილებდა ძმა მირდატი, რომელიც ერისთავობდა „ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“.[4] დაჩის მოუნდომებია კახეთის მთიელების გაქრისტიანება. გარდაცვლილა იგი (დაჩი) 514 წელს. საქართველოს ისტორიის მთავარი წყარო ამის შემდეგ ჩამოთვლის რიგ მეფეებს, მათთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მოვლენებს, მაგრამ ამ ცნობათა სანდოობა ძალიან საეჭვოა. შევეხებით ბევრად უფრო სანდო ცნობას, რომელიც ამ პერიოდის ბიზანტიურ წყაროებში გვხვდება.

523 წელს ქართლის სამეფო ტახტზე ყოფილა მეფე გურგენი, რომელსაც ამ წელს აჯანყება წამოუწყვია ერანელთა წინააღმდეგ. ვერ მიუღია რა დაპირებული სამხედრო დახმარება ბიზანტიისაგან, გურგენი გაქცეულა ლაზიკაში, ხოლო იქიდან გადასულა ბიზანტიაში. აქაც ცხადია, რომ აჯანყების დაწყებას იგი ვერ გაბედავდა, თუ მის მხარეზე არ იქნებოდა დიდებულთა ფართო ფენა. მართლაც,

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 200.

2 იქვე, გვ. 202.

3 „ქართლის ცხოვრებაში“ კითხულობთ: „მაშინ წარჩინებულთა და ყოველსა ერსა ზედა დღე იყო სასჯელისა, და იტყუებდეს ყოველნი თავთა თვისთა; ისხმიდეს ნაცარსა და ყოველნი ინატრიდეს სიკუდილსა თავისა თვისასა; და ხმისაგან ტირილისა და გოდებისა იძრვოდა ქუეყანა“ (იქვე, გვ. 204). ვახტანგი დიდი პატივისცემით დაუკრძალავთ მცხეთაში, სვეტიცხოვლის ადგილას. მის შესახებ მეთერთმეტე საუკუნეში ისტორიკოსმა ჯუანშერმა შესთხზა ნახევრად ისტორიული, ნახევრად მხატვრული ნაწარმოები. ასე რომ, ვახტანგ გორგასალის შესახებ ტრადიცია პოზიტიური გახლდათ თვით დიდებულთა წრეშიც კი, რომ არაფერი ვთქვათ საზოგადოების დაბალ ფენებზე. ამ ისტორიულ პიროვნებას ს.ჯანაშია, გამომდინარე სრულიადაც არა თავისი კონცეფციიდან, აფასებდა როგორც ერთ-ერთ ყველაზე უფრო მკაფიო ფიგურას საქართველოს ძველ ისტორიაში. იხ. ს.ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 288.

4 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 205.

ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის გადმოცემით, როდესაც აჯანყება მარცხით დამთავრებულა გურგენი სამშობლოდან დიდებულებთან ერთად გაქცეულა (*ξυν Ιβηρων τοις λογιμοις απασιν ες Λαζικην εφυγε*). იმავე ისტორიკოსის მტკიცებით, შემდგომში, ბიზანტიასა და ერანს შორის დადებული ზავის (532 წ.) მერე, ბიზანტიაში მეფესთან ერთად დარჩენილა ბევრი ქართველი (ქართლელი) ემიგრანტი (რომლებიც, ცხადია, ძირითადად მაღალი ფენის წარმომადგენლები იქნებოდნენ).

ფაქტობრივად, 532 წლის შემდეგ ქართლში მეფე აღარ ყოფილა.[1] სპარსელთაგან მეფობის გაუქმება ქართლში ოფიციალურად დაადასტურა 532 წელს ბიზანტია-სპარსეთს შორის დადებულმა „საუკუნო ზავმა“. მაგრამ ვერც ამ ხანებში ვხედავთ აზნაურთა მცდელობებს თავიანთი უშუალო ხელისუფლების დასამყარებლად. რაც შეეხება ახლად შექმნილი პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათს (პოლიტიკური ხელისუფლების საკითხი, როგორც ცნობილია, ძირითადია რევოლუციაში), ქართლი პროვინციის (შაჰრის) სტატუსით შესულა ჩრდილოეთის ანუ კავკასიის მხარის (კუსტაკის) შემადგენლობაში. სპარსელებს ისევე როგორც ყველა შაჰრის სათავეში, ქართლშიც მარზპანი დაუსვამთ, რომელიც ემორჩილებოდა კუსტაკის უფროსს — სპასპეტს (და არა ქართლის აზნაურებს!). მარზპანთა რეზიდენცია ქართლში ტფილისში იყო, სადაც ისევე როგორც ქვეყნის სხვა ქალაქებში, კერძოდ მცხეთაში, სპარსელთა გარნიზონები იდგნენ. მარზპანებად, რა თქმა უნდა, ხდებოდნენ სპარსელთაგან დანიშნული მოხელეები, ქართლშიც ისინი ასევე სპარსული წარმოშობისანი ყოფილან.

თუ როგორი ხასიათი ჰქონდა ახალ ხელისუფლებას ქართლში, ეს, ერანის სახელმწიფოს დესპოტურ არსსაც რომ თავი დავანებოთ, კარგად ჩანს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“. მცხეთაში მნიშვნელოვანი ძალაუფლება ჰქონია სპარს ციხისთავს (მას მიმართავენ: „რამეთუ ამას ქალაქსა შინა ხელმწიფე ხარ“)[2]. შეუზღუდავი, ე.ი. მანამ, სანამ ერანის შაჰი არ ჩაერეოდა, ძალაუფლება ჰქონია ქართლის მარზპან არვანდ გუშნასპს („რაჲ იგი შეჰგვანდეს, მან უყოს, რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას ხელ-ეწიფების სიკუდილი და ცხორებაჲ“)[3]. მართალია, სპარსი მარზპანის დაახლოებულ პირებად მოიხსენიებიან „მთავარნი ქართლისანი“: სამოველ — ქართლის კათალიკოსი, გრიგოლ — ქართლის მამასახლისი, არშუშა — ქართლის პიტიახში და „სხვანი სეფეწულნი“, მაგრამ მათი გავლენა (კერძოდ ევსტათის ციხიდან გათავისუფლებაში) სულაც არ წარმოადგენდა რაიმე დაკანონებულს, კონსტიტუციურს და აიხსნება მათი დროებითი

1 შესაძლებელია რომ დამარცხების შემდეგ გურგენს თავის თანაშემწედ ქართლში დაეტოვებია ძმა ძამანარსე. ამის შესახებ იხ. ი.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 244.

2 იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1, 1963, გვ. 31.

3 იქვე, გვ. 32.

შეგუებით, საერთო ენის გამონახვით უცხო პოლიტიკურ და სამხედრო ძალასთან. საერთოდ, ქართლში რომ სპარსელებისადმი დაპირისპირება ძლიერი ყოფილა გურგენის აჯანყების შემდგომაც, ამას ადასტურებს ხსენებული ბიზანტელი ისტორიკოსი: „მას შემდეგ, რაც ამ ბარბაროსთა (იბერთა, გ.ყ.) დიდებულნი გურგენ მეფესთან ერთად განდგომას იზრახავდნენ... იმ დროიდან არც სპარსელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ, არც იბერები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით, არამედ დიდი ეჭვითა და უნდობლობით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. ცხადი იყო, რომ იბერებს ძალიან უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და ახლო მომავალში განზრახული ჰქონდათ აჯანყება, თუკი შესძლებდნენ ოდესმე შესაფერი დრო ეხელთათ“[1].

ამრიგად, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ქართლის ახალი, სპარსთაგან დამყარებული ხელისუფლება, აზნაურთა პოლიტიკური ორგანიზაცია იყო. ფაქტობრივი ვითარება სულ სხვა რამეს მიგვითითებს, ვიდრე XI საუკუნის ტენდენციურად (სამეფო ხელისუფლების მომხრე და დიდებულთა წინააღმდეგი) განწყობილი ისტორიკოსის — სუმბატ დავითის ძის ცნობილი სიტყვები: „ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამთაგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათამდე (ე.ი. ბაგრატიონებამდე გ.ყ.)“[2].

სპარსელებს გაუთვალისწინებიათ ერისთავთა ინტერესები იმით, რომ საერისთაოები მათთვის მიუციათ მემკვიდრეობით. ეს აქტი რასაკვირველია, გამომდინარეობდა უპირველესად divide et impera-ს პრინციპიდან და არა კერძო საკუთრების ინსტიტუტისადმი სპარსთა ხელისუფლების დიდი სიმპათიებიდან.[3]

ქართლის მოსახლეობის, მათ შორის დიდებულთა, უკმაყოფილება სპარსელთა წინააღმდეგ კვლავ ძლიერი ყოფილა. ამ წინააღმდეგობის ორგანიზაცია კი ეფექტური იქნებოდა ერთიანი, ცენტრალური ხელისუფლების მეთაურობით. ეს კარგად იყო შეცნობილი იმდროინდელ ქართლში. ჯუანშერის თხზულებაში ვკითხულობთ: „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე (sic!) ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა“[4], ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით: „ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გურამ“[5].

---

1 გეორგიკა, II, სიმ. ყაუხჩიშვილის გამ., 1934, გვ. 94.

2 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 373.

3 პორმიზდ IV (VI ს. ბოლო) სიკვდილით დასაჯა 13 ათასი საერო და სასულიერო წარჩინებული, ჩამოართვა რა ბევრ მათგანს მიწა და დანარჩენი ქონება. ამის შესახებ იხ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957, გვ. 52; აგრეთვე; Ричард Фрай, Наследие Ирана, М., 1972, გვ. 313, 314, 315.

4 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217.

5 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, გვ. 95.

აღნიშნული ეპოქის ქართლის ფეოდალურ დაქუცმაცებულობაზე ძალიან ფრთხილად ლაპარაკობდა შ.მესხია[1]. მის მიხედვით, აქ ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდი დაიწყო მერვე ს-ის მეორე ნახევრიდან, რაც გამოიხატა კახეთის, ჰერეთის, ტაო-კლარჯეთის სამთავროთა, თბილისის საამიროსა და ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბებაში[2]. იმპერატორ იუსტინე II-ს (565-578 წწ.) უცვნია ეს პოლიტიკური აქტი და გუარამისთვის მიუნიჭებია „კურაპალატობა“, რითაც ხაზი გაესვა ქართლის საზოგადოების მეთაურის დაქვემდებარებულ მდგომარეობას ბიზანტიის სამეფო ხელისუფლებისადმი (მოვიგონოთ „ვალისა“ და „ხანის“ ქართლისა და კახეთის მეფეთა ტიტულები გვიანდელ ხანაში). ახალი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნამ ქართლში სასურველი ეფექტი გამოიღო. 571 წელს ქართველები თავიანთი მეთაურის წინამძღოლობით მიხმარებიან ვარდან მამიკონიანს სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებაში, ხოლო მომდევნო წელს მათ საკუთარი ძალებით დაუმარცხებიათ ერანელი სარდალი გოლომიჰრანი.

ამის შემდეგ ქართლის სათავეში იდგნენ ერისმთავრები. ს.ჯანაშიასა და ნ.ბერძენიშვილის მიხედვით, „ერისმთავრობა“ წარმოადგენდა ადრინდელი ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდის შესატყვის პოლიტიკურ ორგანიზაციას, ხოლო თვითონ ერისმთავარი — primus inter pares-ს. ჩვენი აზრით, აქაც დასავლეთ ევროპის სიტუაციის საქართველოზე უკრიტიკოდ გადმოტანასთან გვაქვს საქმე. დიდი საგარეო საფრთხე ჩვენთან გამორიცხავდა მსგავს პოლიტიკურ წყობილებას. თუ ფაქტობრივ მდგომარეობას შევეხედავთ, ვიმეორებთ, საქართველოში საქმის ვითარება სულ სხვანაირად წარმოგვიდგება, ვიდრე ეს დასავლეთ ევროპის ისტორიის შესაბამის პერიოდში იყო. ქართლის ერისმთავრები სულაც არ წარმოადგენდნენ სუსტი ხელისუფლების მქონეთ, გარშემორტყმულებს თითქმის თანაბარი ძალაუფლების მქონე ფეოდალებით. ისინი მემკვიდრეობით, ფეოდალთა რაიმე ორგანოს ჩარევის გარეშე, გადასცემდნენ თავიანთ ხელისუფლებას, ნიშნავდნენ კათალიკოსებს, ჭრიდნენ მონეტებს საკუთარი სახელებით, ეწეოდნენ აქტიურ საგარეო პოლიტიკას, აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს, ციხე-სიმაგრეებს, გაჰყავდათ არხები, ჰქონდათ მნიშვნელოვანი სიმდიდრე (ოქრო-ვერცხლის განძის სახითაც) და ა.შ. თუ ისინი არ ატარებდნენ მეფის სახელს, ეს ხდებოდა სრულიადაც არა მათი შიშით აზნაურების წინაშე. „ქართლის ცხოვრებაში“ ერთ-ერთი მათგანის სტეფანოზ პირველის მიმართ ასეა შენიშნული: „მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან“[3]. იმავე სტეფანოზმა შიო-მღვიმის მონასტრის ბერებს

1 იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 17-19.
2 გვ. 21.
3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 222.

ამაყად მიმართავდა: „მე მეფეთა საყდართა ვზი“[1].მერვე საუკუნის ზოგიერთი ერისმთავარი (მაგალითად, არჩილი და მირი) უკვე მეფეებად მოიხსენიებიან „ქართლის ცხოვრებაში“[2]. ეს უპირველეს ყოვლისა ალბათ ქართლზე ბიზანტიის ძალაუფლების შესუსტებამ განაპირობა.

ერთი სიტყვით, ერისმთავართა „ხელი“ საკმაოდ ფართო უფლებამოსილებისა გახლდათ. მათი ასეთი ხელისუფლება ოდენ საკუთარი დომენით როდი იყო განპირობებული. მტრული გარემოსაგან თავდაცვა საჭიროებდა ძლიერ ორგანიზაციას, მაშასადამე, მის წევრთა, — მათ შორის აზნაურებისა, — სუბორდინაციას ცენტრალური ხელისუფლებისადმი. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მერვე საუკუნის ბოლოს ქართლში არაბებმა ერისმთავრობა არ გააუქმეს, რასაც მოჰყვა მათ მიერ ქართლის ძველი არისტოკრატიის უმეტესი ნაწილის ამოწყვეტა. ამით საქართველოს ამ წამყვანმა მხარემ მნიშვნელოვანწილად დაჰკარგა საფუძველი და სოციალური ენერგია ქვეყნის გაერთიანებისათვის.

ასეთია ჩვენი პოზიცია მეოთხე-მეექვსე საუკუნის საქართველოში სოციალური რევოლუციის შესაძლებლობისა და მოხდენის თვალსაზრისის მიმართ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფეოდალური რევოლუციის მტკიცება ძველ საქართველოში გამორიცხულია არა მარტო პროცესის ხანგრძლივობის (მეოთხე-მეექვსე საუკუნეები ს.ჯანაშიას მიხედვით, მეოთხე-მერვე საუკუნეების შუახანები ნ.ბერძენიშვილის მიხედვით)[3], მისი სტიქიურობის, არამედ ქვეყნის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტების საწინააღმდეგო ჩვენებათა გამოც. არც ზოგადთეორიული მოსაზრება, არც ფაქტოლოგიური მხარე არ გვაძლევს სერიოზულ საფუძველს ამ პერიოდის ქართლში სოციალური (ფეოდალური) რევოლუციის მტკიცებისათვის. მით უფრო გამორიცხულია ეს მეექვსე საუკუნის ეგრისისა და აფხაზეთის

---

1 ახურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილია აბულაძის გამ., თბილისი, 1955, გვ. 203.

2 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 233, 241.

3 "ქართლის ცხოვრების" ცნობით, მხოლოდ მერვე საუკუნის შუა ხანებში დაიპყრიდრა მეფე არჩილმა სამეფოს ნაწილი თავისთვის, ხოლო მეორე ნახევარი ერისთავებს გადასცა სამკვიდროდ და სამამულოდ. სწორედ აქედან გამოდიოდა ნ.ბერძენიშვილი, როცა ფეოდალური რევოლუციის პროცესს ამ ხანით ამთავრებდა. რასაკვირველია, ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია ე.წ. ადრეკლასობრივი ხაზოგადოებიდან ფეოდალურზე გადასვლა (ხოლო უწინ — პირველყოფილი კომუნისტურიდან ადრეკლასობრივზე) განვიხილოთ როგორც სოციალური რევოლუცია, მაგრამ ამ შემთხვევაში „სოციალური რევოლუციის“ ცნებაში ჩაიდება ბევრად უფრო გაღარიბებული შინაარსი (ასე აკეთებდა, როგორც უკვე მიეთითებოდით, ქრ. რაჭველიშვილი), ვიდრე ეს ჩვეულებრივად მეცნიერულ და ფილოსოფიურ სიტყვათხმარებაშია. სახელდობრ, სოციალური რევოლუციის ამ უკანასკნელი (სოციალურ-პოლიტიკური) მნიშვნელობიდან გამოდიოდნენ ს.ჯანაშია და ნ.ბერძენიშვილი ძველი საქართველოს აღნიშნული ეპოქის შინაარსის გასაგებად.

სამთავროს მიმართ, რომელთა ეკონომიკური და სოციალური განვითარება ამ ეპოქის ქართლისას საკმაოდ ჩამორჩებოდა[1].

ამრიგად, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული, რომ იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებებში ვეძებოთ რეაქციული და რევოლუციური ძალები, კონსერვატორი მეფეები, „მოძველებული დესპოტური" სახელმწიფო აპარატი და ა.შ. და შედეგად ფეოდალური რევოლუცია (სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობით).

1 976 წ.

1 ამის შესახებ იხ. გ.მელიქიშვილის ზემოთ მოხსენიებულ წიგნში. თქმული, რასაკვირველია, არ გამორიცხავს დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან სოციალურ ევოლუციას მომდევნო საუკუნეებში.

ქართული ცივილიზაციის ადგილი მსოფლიო-ისტორიულ პროცესში

ქართული ცივილიზაციის შესწავლის მდგომარეობა მსოფლიო ისტორიულ გააზრებებში

სხვადასხვა მოაზროვნეთა მიერ შექმნილ მსოფლიო-ისტორიულ სქემებში ქართული ცივილიზაციის არსს, მის ადგილს მსოფლიო ისტორიაში ძალზე უმნიშვნელო ადგილი უკავია. შ.ლ.მონტესკიე „კანონთა სულში" მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნავდა ძველ კოლხეთში საგარეო ვაჭრობის აყვავებას, რომელიც (ვაჭრობის განვითარება) ახალ დროში, დიდი ფრანგი მოაზროვნის მიხედვით, ძალზე დაქვეითდა თურქებისა და სპარსელების ძალადობის გამო. ვოლტერიც აღნიშნავდა ძველად კოლხეთის განვითარებულობას, უარყოფდა სეზოსტრისის ლაშქრობის ფაქტს ამ ქვეყანაში და ჟან შარდენის თხზულებაზე დაყრდნობით მიუთითებდა სამეგრელოს მკვეთრ დაქვეითებას (XVII-XVIII საუკუნეებში). (საერთოდ, შარდენის აღნიშნული ნაშრომი დაედო საფუძვლად ფრანგი განმანათლებლების „ენციკლოპედიის" რამდენიმე სტატიას საქართველოზე). დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის მსოფლიო-ისტორიულ სქემაში საქართველოს არავითარი როლი არ მიეკუთვნება, ეს მოაზროვნე სიმპათიებს ამჟღავნებდა მხოლოდ „კავკასიური რასის" (ანთროპოლოგიური ტიპის) მიმართ.[1]

ყირიმის ომის მიმდინარეობის გაშუქებისას საქართველო მოექცა კ.მარქსისა და ფრ.ენგელსის ყურადღების არეში, მაგრამ სავსებით გასაგები მიზეზების გამო მათ არ შეეძლოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური (სახელმწიფოს ფორმების ისტორიის აზრით) ევოლუციის არსს ჩასწვდომოდნენ. ეს იმიტომ, რომ ქართული ცივილიზაციის აღნიშნული ასპექტების გამოკვლევა იმ დროს არათუ დასავლეთ ევროპაში, არამედ ჩვენშიც კი არ ხდებოდა. ამისაგან გასხვავებით მარქსი და ენგელსი კარგად იყვნენ გარკვეული ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასა და ბუნებრივ პირობებში. სახელდობრ, მარქსი აღნიშნავდა საქართველოს (ქართლ-კახეთის მნიშვნელობით) მშვენიერ პროვინციებს (გაზეთი „New-York Tribune", 1853 წ. 15 იანვარი). ენგელსი აღნიშნავდა აგრეთვე იმ გარემოებას, რომ შავი ზღვის ქართულ სანაპიროზე (მდინარე რიონის ვაკის გამოკლებით) თავდაცვითი ომი შეიძლება დიდი წარმატებით მიმდინარეობდეს თვით უძლიერესი არმიის წინააღმდეგაც კი, რადგან მთიანი რელიეფის გამო ნაპირიდან მხოლოდ მცირეოდენი პოზიციის შემოვლა შეიძლება, თუ, რასაკვირველია, საქმეში სამხედრო ფლოტი არ ჩაერევაო (იქვე, 1853 წ.

1 იხ. გონიხ ფილოსოფია, თბილისი, 1984 (ნოდარ ნათაძის თარგმანი), გვ. 61, 63.

15 ნოემბერი). ფ.ენგელსმა „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაში“, მ.კოვალევსკის ნაშრომზე დაყრდნობით აღნიშნა გვარის ინსტიტუტის არსებობა ფშაველებსა, ხევსურებსა და სვანებში.

რუს ისტორიოსოფოსს ნ.ი.დანილევსკის სპეციალურ ნაშრომში (1847 წ.) ჰქონდა აღწერილი კავკასიის გეოგრაფია, მისი ხალხების (განსაკუთრებით მთიელების) ეთნოგრაფიული ყოფა. მაგრამ თავის კულტურულ-ისტორიულ ტიპებში (სულ იგი მოითვლიდა თერთმეტს) მას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია საქართველოსათვის. ასევე არ „გაუღიმა ბედმა“ ჩვენს ქვეყანას ო.შპენგლერის მსოფლიო-ისტორიულ კონცეფციაში (აქ ფიგურირებს რვა კულტურა). ა.ტოინბიმ თავის ისტორიულ-ფილოსოფიურ სისტემაში თადაპირველად გამოჰყო 21 განვითარებული ცივილიზაცია პლუს 5 ცივილიზაცია, რომლებიც შეჩერდნენ (arrested) თავის განვითარებაში: პოლონეზიური, ესკიმოსური, ნომადური, ოტომანური (თურქეთის) და სპარტანული. შემდეგში ცივილიზაციათა რაოდენობა მან დაიყვანა 13-მდე. აღნიშნულ თეორიაში, როგორც ვხედავთ, ყურადღება მიქცეულია ისეთი ხალხებისადმი, რომლებსაც რაიმე საგრძნობი კვალი არ დაუტოვებიათ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში და რომლებიც თავისი კულტურული შემოქმედებით საკმაოდ ჩამორჩებოდნენ ქართულ (აგრეთვე მეზობელ სომხურ) ცივილიზაციას[1]

კიდევ მეტი, თანამედროვე დასავლეთში ფართოდ გავრცელებული ე.წ. ლოკალური ცივილიზაციების კონცეფციის მიხედვით თვით დასავლეთ ევროპის ცივილიზაციის ადგილიც კი არაა სათანადოდ გააზრებული მსოფლიო-ისტორიულ პროცესში. ამ კონცეფციის თანახმად ბერძნულ-რომაული და საკუთრივ დასავლეთ ევროპული ცივილიზაციები სავსებით ეკვივალენტურნი იყვნენ სხვა არაევროპული ცივილიზაციებისა. მხოლოდ უკანასნელ ხანებში ჰეგელის, კ.მარქსის, ფ.ენგელსის და სხვათა მემკვიდრეობის გაცნობით ისახება პერსპექტივები დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის (და ცივილიზაციების) ნამდვილი ადგილის გაგებისათვის.

ქართული ცივილიზაცია ეროვნულ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში

ილიას შეხედულებით, საქართველო უფრო მეტად აზიურ სამყაროს მიეკუთვნებოდა (ცხადია, ისტორიული განვითარების აზრით)[2]. ჩვენში გაბატონებულ საკუთრების ფორმას იგი სათემოდ (სასოფლო) მიიჩნევდა.

---

1 ა.ტოინბი თავის უდიდეს ნაშრომში „A study of History“ საქართველოს ისტორიას მხოლოდ რამდენჯერმე, და ისიც გაკვრით, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებთან დაკავშირებით, შეეხო.

2 შემდეგში ასეთსავე შეხედულებას ადგა ვახტანგ კოტეტიშვილიც.

1902 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია, „აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემები“[1]. ეს ლექცია შეეხებოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ისტორიული პროცესების ევოლუციის მკვეთრი დაპირისპირებულობის თითქოსდა უსაფუძვლობას. იგი მიუთითებდა მთელ რიგ მოვლენებზე რაც დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში.

ივანე ჯავახიშვილმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ისტორიული სამყაროების მკვეთრი განსხვავებულობის „მიზეზი“ რასისტულ თეორიებში ჰპოვა. სინამდვილეში იმ ფილოსოფოსებთან და მეცნიერებთან, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს აღნიშნული თვალსაზრისის შემუშავებაში (შ.ლ.მონტესკიე, ჰეგელი, კ.მარქსი, ფ.ენგელსი, ჯ.სტიუარტი, ჯონ სტიუარტ მილი, რ.ჯონსი, ფ.დროიზენი, ჰ.თ.ბოკლი და სხვები), რასისტული მომენტი აბსოლუტურად არაფერ შუაშია. ეს თვალსაჩინოა უბრალოდ იმ გარემოებითაც, რომ თვით თითქოსდა მაღალი ინდოევროპული რასის ეთნოსები — ინდოსტანის ნახევარკუნძულის რიგი ხალხები, მიდიელები, სპარსელები, ავღანელები, ტაჯიკები, ქურთები და სხვ. მათი თვალსაზრისით, ისევე ანსახიერებდნენ ე.წ. აზიურ მდგომარეობას, როგორც სხვა რასის ხალხები აღმოსავლეთში.

ი.ჯავახიშვილის მიერ მოტანილი არგუმენტები საქართველოთი და სომხეთით იფარგლებოდა. მაგრამ ისინი სულაც ვერ არღვევენ ფილოსოფიასა და მეცნიერებაში (პოლიტეკონომიაში, ისტორიოგრაფიაში) არსებულ შეხედულებას აღმოსვლეთის საზოგადოების თაობაზე, სწორედ ისევე, როგორც ამას ვერ არღვევს იაპონიის არატიპური აღმოსავლურობის მაგალითი. აქ საქმე გვაქვს მხოლოდ ქართული ცივილიზაციის გამონაკლისობასთან „კლასიკური“ აზიის ქვეყნებიდან. ისევე როგორც ამ უზარმაზარი ისტორიული სამყაროს შორეული აღმოსავლეთის პერიფერიაზე ადგილი ჰქონდა იაპონიის ევროპული ფეოდალიზმის გზით განვითარებას (ამას აღნიშნავდა ჯერ კიდევ კ.მარქსი), ასევ მოხდა ჩვენთან, აზიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

საკითხავია, თუ როგორ გავიგოთ ქართული ისტორიული პროცესი, როგორ გამოვიყენოთ კ.მარქსისა და ფ.ენგელსის მიერ შექმნილი წინაკაპიტალისტური ფორმაციების თეორია[2] ჩვენი ისტორიის გასაგებად.

ჩვენი ისტორიული პროცესის ახალი კონცეფცია შემუშავებულ იქნა 30-იან 40-იან წლებში, მაშინ, როდესაც ისტორიის კვლევა-ძიება სულაც არ მიმდინარეობდა ნამდვილ შემოქმედებით ატმოსფეროში. სათანადო დისკუსიებისა და

---

1 იხ. ივ.ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი პირველი (მეხუთე გამოცემა), 1960, გვ. 382-400.

2 ამ თეორიის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენი „მარქსი და ენგელსი კაპიტალიზმამდელი ფორმაციების შესახებ“, თბილისი, 1976.

გააზრების გარეშე დამკიდრდა წინაკაპიტალისტური კლასობრივი ფორმაციების სქემა: პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების დაშლის შემდეგ წარმოიშვება მონათმფლობელური, რომელიც თავის მხრივ იცვლება ფეოდალურით. ეს სქემა „დაკანონდა“ ი.ბ.სტალინის ბროშურაში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ (დაიწერა და გამოქვეყნდა 1938 წელს). მაგრამ მათ, ვინც ასეთი სქემა შეიმუშავეს, ანგარიში არ გაუწიეს უბრალო გარემოებას: შესამუშავებელი სქემა უნდა ასახავდეს მთელი კაცობრიობის განვითარებას და ამდენად სულაც არ უნდა ემთხვეოდეს, არ უნდა „მოერგებოდეს“ ყველა ძველი ისტორიის მქონე ხალხს, მათს ისტორიას. სტიქიურად ჩვენთან გავრცელდა მეორე შეხედულება, რომლის თანახმადაც მონათმფლობელობის, ფეოდალიზმის და კაპიტალიზმის გენეზისის განვითარება ხდებოდა ყველა ძველი კულტურის მქონე ხალხებში. (ამჟამად ამას უწოდებენ ისტორიის ერთიანი განვითარების კანონზომიერებას). მსგავს შეხედულებას ვერ გადაურჩა საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიებაც: ე.ი. მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არქაული კომუნიზმის დაშლის შედეგად საქართველოში განვითარდა ბერძნულ-რომაული ტიპის, ე.ი. ანტიკური, საზოგადოება, შემდეგ — ფეოდალიზმი დასავლეთ ევროპის შესაბამისი ისტორიისათვის დამახასიათებელი ფაზებით, რომ ფეოდალიზმის გვიან ფაზაზე დამოუკიდებელი ევოლუციით მზადდებოდა საფუძველი კაპიტალიზმის გენეზისისათვის. კიდევ მეტი: შემდგომ ხანებში ჩვენს ისტორიაში დაინახეს ანტიკურობის ფაზები, „ელინისტური საზოგადოება“ (გაურკვეველი შინაარსით), რენესანსი (დასავლეთ ევროპისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური და სოციალური საფუძვლით), აბსოლუტიზმი და ა.შ.

ამრიგად, ჩვენი ისტორიკოსების მიერ უკიდურესობამდე იქნა მიყვანილი ის შეხედულება, რომელიც განვითარებული იყო ივანე ჯავახიშვილის ზემოთ განხილულ ლექციაში. რაც მთავარია ჩვენს ისტორიულ პროცესს „გაუქრა“ ის დიდი სპეციფიკურობანი, რითაც იგი განსხვავდებოდა სხვა ძველი ცივილიზაციებისაგან. სხვანაირად რომ ვთქვათ, „საზოგადოების განვითარების ერთიანი კანონზომიერების“ ფონზე გაჰქრა ის მომენტები, რითაც ქართულ ცივილიზაციას თავისი „მე“ გააჩნია. თითქოს მრავალი ძველი საზოგადოებისაგან განსხვავებით, ქართულ ცივილიზაციას მხოლოდ ის სპეციფიკურობა თუ შერჩება, რომ იგი გამუდმებული შემოსევების ობიექტს წარმოადგენდა. მაგრამ ეს გარემოებაც, ცხადია, სულაც არ იყო სპეციფიკური ჩვენი ისტორიისათვის; წინა აზიის მრავალი საზოგადოებაც ხომ ასეთივე ისტორიული ბედისა იყო. რასაკვირველია, მარქსისტული სოციოლოგიისათვის დამახასიათებელი ანბანური ჭეშმარიტებანი — საზოგადოებრივი ყოფიერების მიერ საზოგადოებრივი ცნობიერების, საწარმოო ძალების მიერ წარმოებითი ურთიერთობებისა და ა.შ. განპირობებულობა საერთო კანონზომიერება გახლავთ ყველა საზოგადოებისათვის, მათ

შორის, ცხადია, საქართველოს ისტორიისათვისაც. ამ პლანში საზოგადოებათა (ისევე როგორც ადამიანთა) ერთიანობის საკითხი სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, მაგრამ ამის საპირისპიროდ მცდარია მტკიცება წინაკაპიტალისტურ ხანაში საზოგადოების (აგრეთვე ადამიანის) ერთიანი განვითარების კანონზომიერების შესახებ. ამ თვალსაზრისით მსჯელობისას განსხვავებულობა ცივილიზაციებს შორის მხოლოდ მათ მიერ ფორმაციების გავლის დაჩქარებულობა-შენელებულობის აზრით თუ შეიძლება.

ამდენად, აღნიშნული თვალსაზრისიდან თუ გამოვალთ, საქართველოს ისტორიული პროცესი ბევრად უფრო აჩქარებულად ვითარდებოდა, ვიდრე ძველ აღმოსავლეთში, მაგრამ უფრო შენელებულად ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპის ისტორიულ სინამდვილეში. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ისტორიკოსი ცივილიზაციების ისტორიის კვლევა-ძიებისას, — მათ შორის ქართული ცივილიზაციის შესწავლისას, — არ დაფიქრებულა გაეაზრებინა ის მექანიზმი, რა მიზეზითაც ხდებოდა ეს შენელებულობა-აჩქარებულობა.

ქართული ცივილიზაციის ისტორიის გაგება, რა თქმა უნდა, გულისხმობს ჩვენი გეოგრაფიული გარემოს, ისტორიული გარემოცვის, დემოგრაფიული სიტუაციების, ეროვნული ფსიქოლოგიის როლების გარკვევასაც. მაგრამ ჩვენს ისტორიოგრაფიაში არც ამ მხრივაა სახარბიელო მდგომარეობა. ის ტრადიცია, რომელიც 30-იანი წლების ბოლოს დამკვიდრდა, ი.ბ.სტალინის უკვე მოხსენიებული ბროშურის შედეგად, კვლავ ძალაშია. კერძოდ, ამ ნაშრომში გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში უაღრესად დაკნინებული იყო, ასევე იგნორირებული იყო დემოგრაფიული სიტუაციების მნიშვნელობა საზოგადოების ისტორიულ პროცესში. რაც შეეხება ისტორიული გარემოცვის როლს, ეთნოფსიქოლოგიას, ეს პრობლემები ისტორიკოსთა აზროვნების მიღმა დარჩა. ჩვენი ისტორიული პროცესი გაიშალა სპეციფიკური სახის გეოგრაფიულ გარემოში, რომელიც ასე თვალსაჩინოდ განსხვავდება სხვა, განსაკუთრებით წინა აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის მრავალი ქვეყნის საზოგადოებათა გეოგრაფიულ გარემოთაგან; სპეციფიკურ ისტორიულ გარემოში, რომელიც ასევე არანაკლებ განხვავდებოდა სხვა ხალხების ისტორიულ გარემოთაგან; ჩვენს ისტორიას თავის დაღს ასვამდა სპეციფიკური დემოგრაფიული სიტუაციები; და ბოლოს ჩვენი ხალხი ხასიათდებოდა ბევრ მხრივ განსხვავებული ეთნიკური ფსიქოლოგიით[1]. და ყოველივე ამის ჩვენება უაღრესად საჭირო გახლავთ ისტო-

---

1 ი.ბ.სტალინი ეროვნული საკითხისადმი მიძღვნილ თავის ნაშრომში ლაპარაკობდა თითოეული ხალხისათვის დამახასიათებელ „ფსიქიკურ წყობაზე", რაც ისტორიკოსებისათვის საკმაო იმპულსს იძლეოდა აღნიშნული პრობლემის კვლევა-ძიებისათვის, მაგრამ მათ ეს არ გაუ[illegible] არც ზოგად პლანში და არც კერძო შემთხვევის, ქართული ხალხის ფსიქოლოგიის, შესწავლის მიმართ.

რიული პროცესის მეცნიერულ დონეზე წარმოსადგენად. ამის მიუხედავად, ქართველი ხალხის ისტორიას შეისწავლიან ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტების გათვალისწინების გარეშე. როცა ისტორიკოსები წარმოების წესის შინაარსს გადმოსცემენ, აქაც სულაც ვერ იძლევიან კონკრეტულ სურათს. ესეც გასაგებია: წარმოების წესის გაგება საზოგადოების გეოგრაფიული გარემოს, ისტორიული გარემოცვის, შესაბამისი დემოგრაფიული პროცესების გარეშე უაღრესად ნაკლულოვანი იქნება. თუ ამასაც ემატება ყოფის — საცხოვრებლის, დასახლების ტიპების, ჩაცმულობის, კომუნიკაციების, სატრანსპორტო და საომარი ტექნიკის, მატერიალური მოთხოვნილებების, საერთოდ მოსახლეობის დაბალი და მაღალი ფენების მატერიალური ცხოვრების და ა.შ. გვერდის ავლა, ამ შემთხვევაში ისტორიული პროცესის გადმოცემას სულაც ვერ ჩავთვლით სათანადო დონეზე წარმოდგენილად.

ერთი სიტყვით, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომელმაც გააძნელა ქართული ცივილიზაციის ნამდვილად მეცნიერულ დონეზე შესწავლა, მის გაცნობიერებაში ისტორიზმის პრინციპის ნამდვილი გამოყენება, ამით წარსულში ჩვენი ეროვნული „მე“-ს ჩვენება.[1] საბედნიეროდ, ეს ათიოდე წელია რაც მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა ე.წ. ადრეკლასობრივ საზოგადოებათა თაობაზე დისკუსიების გავლენით. კერძოდ, გ.მელიქიშვილმა რიგ შრომებში უჩვენა ძველი საქართველოს მიერ მონათმფლობელური ფორმაციის გაუვლელობა და მის მაგიერ ე.წ. ადრეკლასობრივი საზოგადოების არსებობა (ფაქტობრივად ამავე თვალსაზრისზე იდგა სიმ.ჯანაშია თავის ადრინდელ შრომებში). მაგრამ ზემოთქმულის მიმართულებით ჩვენი ცივილიზაციის მეცნიერულ კვლევა-ძიებაში ბევრი რამ გასაკეთებელი რჩება, სახელდობრ, შესაწავლია საქართველოს ისტორია მსოფლიო-ისტორიული პროცესის ფონზე.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით ისტორიკოსის შემეცნებას მძლავრი იმპულსები ეძლევა თავისი საკვლევი ობიექტის, — ამ შემთხვევაში საქართველოს ისტორიის, — გაცხადებაში. (პირველად ამ მეთოდის პროდუქტიულობა გამოჩნდა შ.მონტესკიეს „სპარსული წერილებითა“ და ო. გოლდსმიტის „მსოფლიო მოქალაქით“). ჩვენი კულტურის კვლევა-ძიებისათვის უაღრესად საჭირო ეს გარემოება კარგად იქნა შემჩნეული ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის მიერ.

ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენა შეუძლია ფილოსოფიას, კერძოდ მის ერთ-ერთ მთავარ დისციპლინას — ზოგად სოციოლოგიას (ისტორიულ მატერიალიზმს). სამწუხაროდ, ქართველი ფილო-

---

1 მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მეთოდოლოგიური პოზიციის ხისუსტისა, ქართულმა ისტორიოგრაფიამ, უშუალო ფაქტებიდან ამოსვლის გამო, მაინც წარმოაჩინა ჩვენი ისტორიის მთელი რიგი თვალსაჩინო მომენტებისა.

სოფოსები ამჟამად ნაკლებად ცდილობენ ჩვენი ისტორიული პროცესის რ
გორც სოციალური სისტემის, მთლიანობის გააზრებას. ამ მხრივ მათ შეასუსტ
ის ტრადიციები, რაც წინა პერიოდის მოაზროვნეებმა, ისტორიკოსებმა დ
ფილოსოფოსებმა — ილია ჭავჭავაძემ, ივანე ჯავახიშვილმა, არჩილ ჯორჯაძ
სერგი დანელიამ, კონსტანტინე კაპანელმა, შალვა ნუცუბიძემ, გრიგოლ
ნათაძემ, ნიკო ბერძენიშვილმა და სხვ. (ბევრად უწინ ეფრემ მცირემ) შექმნ
აღნიშნული მიმართულებით. ეს კი ძალზე სამწუხარო გარემოებად უნდა ჩა
თვალოს; ჯერ ერთი, თვით ქართული კულტურის (ფართო აზრით) გააზრები
საქმისათვის და მეორეც თვით ქართული ფილოსოფიისათვის როგორც თავ
თავად, ისე იმ აზრით, რომ ჩვენი ისტორიული პროცესის, როგორც მთლიანო
ბის, მაგალითზე შეიძლება ისეთი საკითხების დაყენება, რომელთა არც დაყენებ
და მითუმეტეს გადაწყვეტა არ შეიძლება ჩინეთის, ინდოეთის, ინგლისის, საფ
რანგეთის და ა.შ. ისტორიის მაგლითებზე. და ეს იმიტომ, რომ ზოგიერთ
გარემოებით ჩვენი ისტორია უნიკალური იყო.

ჩვენი ცივილიზაციის სათავეებთან

მარქსისეულ თეორიულ მემკვიდრეობაში მკვეთრად განსხვავდება აღმოსავ
ლური (აზიური) და დასავლეთევროპული ცივილიზაციები. თუ აღმოსავლურ
ცივილიზაციები (ასევე ცივილიზაციები შავ აფრიკაში, ამერიკაში, პოლინეზიაშ
და სხვაგან) შეჩერდნენ სასოფლო თემზე, მიწაზე საერთო საკუთრებაზე, დესპო
ტიის, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური ფორმის დონეზე და ა.შ., კაცობ
რიობის ევოლუციის აღმავალი ფაზები განასახიერა დასავლეთ ევროპამ (ანტ
კური და ფეოდალური საზოგადოებები, კაპიტალიზმის გენეზისი). ამდენად
ჩვენს წინაშეა ცივილიზაციათა ორი მკვეთრად განსხვავებული ტიპი: ერთ
მისთვის დამახასიათებელი სტაგნაციით და მეორე — დინამიზმით (ეს დიდ
განსხვავებულობანი ვიმეორებთ, სულაც არ აიხსნება რასობრივი ნიშნებით
საინტერესოა, თუ რომელ ამ ტიპთაგანს მიეკუთვნებოდა ქართული ცივ
ილიზაცია.

ცივილიზაციის[1] ჩასახვა-განვითარებამ ჩვენს წინაპრებთან თითქმის სამ
ათასი წლით მაინც დაიგვიანა კაცობრიობის მოწინავე ცენტრებთან შედარ
ებით. ამის მიზეზი გახლდათ შემდეგი გარემოება. ტექნიკის განვითარების შედ
რებით დაბალ დონეზე შუმერში, ეგვიპტეში და ა.შ. ხელსაყრელმა გეოგრაფ
ულმა პირობებმა (ადვილად დასამუშავებელი და ნაყოფიერი ნიადაგები, დიდ

---

1 ტერმინ „ცივილიზაციაში", არნოლდ ტოინბისა და სხვათა მსგავსად, ჩვენ კულტურ
სოციალურ ევოლუციას იმ საფეხურიდან მოყოლებული, როცა გაჩნდა კლასები, წარმოშ
სახელმწიფო, განვითარდა, ასე თქვათ, პროფესიული კულტურა და ა.შ. ადამ ფერგიუსონი, კარ
მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ამ ტერმინს ხმარობდნენ სხვა, უფრო ვიწრო მნიშვნელობით

მასშტაბების საირიგაციო მიწათმოქმედება, თბილი კლიმატი, რომელიც ამცირებდა აუცილებლად საჭირო მატერიალურ მოთხოვნილებებს უშუალო მწარმოებლებისათვის) ხელი შეუწყო საზოგადოების სტრუქტურულ (საერთო) გართულებას, ამით ცივილიზაციის გენეზისს. მაგრამ საქართველოში ამ მხრივ მდგომარეობა არსებითად განსხვავდებოდა სხვა იმდროინდელი მოწინავე ცენტრებისაგან. იგივე ტექნიკურ ბაზაზე (ძირითადად შრომის ნეოლითური იარაღები) უფრო მკაცრი ბუნებრივი პირობები, — მაგარი და შედარებით ნაკლებად ნაყოფიერი ნიადაგები, ტყის ფართო მასივები, შედარებით მკაცრი ჰავა, რა პირობებშიც უშუალო მწარმოებელთ მეტი აუცილებელი პროდუქტი ესაჭიროებოდათ, — არ იძლეოდა ცივილიზაციის განვითარების შესაძლებლობას. ეს უნდა მომხდარიყო ბუნებაზე საზოგადოების ბატონობის უფრო მაღალ საფეხურზე, რაც თავის მხრივ ტექნიკის მეტი განვითარებისას გახდებოდა შესაძლებელი. ამას ადგილი ექნებოდა რკინის მეტალურგიის ფართო გავრცელების პირობებში. ძირითადად ასევე მოხდა ევროპის ისტორიაშიც. ამდენად, ქართული და ევროპული ცივილიზაციების განვითარება მოხდა მსგავს ტექნიკურ პირობებში, ასევე ზომიერ ზონაში, რომელიც მოითხოვდა ზედმეტი პროდუქტის შესაქმნელად შრომის ნაყოფიერების მეტ განვითარებას.

ისტორიული გარემო ჩვენი წინაპრების საზოგადოებისა ბევრად უკეთესი იყო ცივილიზაციის პიონერი ხალხების გარემოცვასთან შედარებით, რადგან პირველ შემთხვევაში არსებობდნენ სხვა უფრო განვითარებული ისტორიული ცენტრები, რომლებიც განვითარებისათვის იმპულსს იძლეოდნენ, ხოლო მეორე შემთხვევაში ხალხებს დამოუკიდებლად უხდებოდათ ცივილიზებული ყოფიერების დაწყება. მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული ფაქტორი საქართველოში ისეთი დამაჩქარებელი მაინც არ ყოფილა, როგორც ბერძნულ-რომაულ სამყაროში. ეს იყო მიზეზი ქართული ცივილიზაციის შედარებით გვიანი და ნელი ტემპებით განვითარებისა ანტიკურ (ბერძნულ-რომაულთან) შედარებით.

აი ასეთ ტექნიკურ, გეოგრაფიულ და ისტორიულ (საგარეო გარემოცვის აზრით) წანამძღვრებში ჩაისახა ქართული ეთნიკური ინდივიდუალობა, ქართული ცივილიზაცია.[1]

გვაროვნული წყობილების დეზინტეგრაცია — დაშლა და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობა საქართველოში სულაც არ მიმდინარეობდა იმ

---

1 ზოგჯერ გვხვდება ცდები „კოლხური ცივილიზაციის" მტკიცებისა, მაგრამ ასეთივე საფუძვლით შეიძლება მსჯელობა „ლაზურ"(ლაზიკის) ცივილიზაციაზე, მითუმეტეს — „ქართლის ცივილიზაციაზე", მაგრამ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ერთი ეთნიკური ერთეულის კულტურის დანწევრება რამდენიმე ცივილიზაციად. ასევე მიუღებლად გვეჩვენება „კავკასიური ცივილიზაცია" (თუნდაც იმიტომ, რომ კავკასიაში მცხოვრები ზოგიერთი ხალხი ისლამური ცივილიზაციის მატარებელი გახდა).

სახით, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში წარმოედგინათ ჩვენს ისტორიკოსებს. უკანასკნელთა მიხედვით, აღნიშნული პროცესების გაშლა ჩვენს წინაპრებში იმავე სახით მოხდა, როგორც ბერძნებში და რომაელებში. ასეთი მტკიცებისას კი გამოდიოდნენ ფ.ენგელსის ნაშრომიდან „ოჯახის... წარმოშობა". სინამდვილეში ფ.ენგელსის ეს წიგნი აღნიშნულ პროცესების განვითარებას გადმოსცემდა მხოლოდ ბერძნულ-რომაულ ისტორიულ სამყაროში, მაშინ როდესაც გერმანელებსა და აღმოსავლეთის ხალხებში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა სულ სხვაგვარად გაიაზრებოდა (იხ. აგრეთვე ენგელსის „ანტი-დიურინგი"). კერძოდ, უმრავლეს შემთხვევებში სოციალური კლასების წარმოშობა მოხდა სასოფლო თემის, მიწაზე კერძო საკუთრების უმნიშვნელო განვითარების პირობებში. მის საფუძველს შეადგენდა ეკონომიკის განვითარების განსაზღვრული დონე, რა პირობებშიც გახდა შესაძლებელი შრომის სოციალური დანაწილება უშუალო წარმოებასა და მმართველობაში დასაქმებულთა შორის და შედეგად დაჩაგრული და გაბატონებული კლასების წარმოშობა. გაბატონებული კლასის წარმოშობის პარალელურად ხდებოდა სახელმწიფოს როგორც ისეთი ორგანოს წარმოქმნაც, რომელიც აკმაყოფილებდა საზოგადოების საერთო ინტერესებს (ირიგაცია მშრალ ქვეყნებში, ქვეყნის თავდაცვა).

ასე მოხდა საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. ჩვენი წინაპრების მიერ აღნიშნული მიმართულებით განვლილი გზა იმეორებს ხალხთა უმრავლესობის მიერ განვლილ სათანადო საფეხურს და არა ბერძნულ-რომაულს. შესაბამისად, მონობის ინსტიტუტის განვითარება ჩვენში მეორეხარისხოვანი იყო, სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი ვერ გახდა სტრუქტურის წარმომქნელი ელემენტი. ამის მიზეზი კი გახლდათ მიწაზე კერძო საკუთრების განვითარების უმნიშვნელობა (მიწის მესაკუთრეს წარმოადგენდნენ სასოფლო თემები), ასევე საკუთრების სხვა, მოძრავი ფორმების სუსტი განვითარება, ექსპლუატაციის განვითარება საზოგადოების შიგნით (სახელმწიფო გადასახადების, ვალდებულებების ფორმით), ძლიერი მილიტარისტული სახელმწიფოს არარსებობა, ამ მიზეზით — იმპერიის შეუქმნელობა.

თუ ასეთ სოციალურ საფუძველზე ბევრგან სახელმწიფოს დესპოტური ფორმა განვითარდა, ჩვენს წინაპრებში ეს არა ჩანს. საჯარო ხელისუფლების ძირითად ბირთვს შეადგენდა ხალხის ფართო მასები, ამასთანავე ირიგაციის საჭიროება ქვეყნის ეკონომიკაში უმნიშვნელო იყო, რის გამოც სახელმწიფოს საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი განვითარება, მისი დესპოტიის ფორმით წარმოქმნა კოლხეთსა და ქართლშიც კი არ მომხდარა. ამის დასადასტურებლად გვაქვს შემდეგი მაგალითები.

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით ქართლის მეოთხე მეფე ფარნაჯომს ორიენტაცია სპარსეთზე აუღია, დაუწყია დევნა ჩვენი ძველი ტრადიციული რელი-

გიისა და შესაბამისად მფარველობა ცეცხლთაყვანისმცემლობისა. ამ ნიადაგზე მომხდარა განხეთქილება მეფესა და „მკვიდრთა ქართლისათა“ შორის. ერისთავთა უმრავლესობა სათავეში ჩადგომია ამ შეთქმულებას და მეფედ მოუწვევიათ სომხეთის მეფისწული არშაკი (უკანასკნელის ცოლი ფარნავაზიანთა ნათესავი ყოფილა). ფარნაჯომს დახმარებიან სპარსნი და ქართველთა მხოლოდ მცირე ნაწილი, ხოლო ოპოზიციას (ქართველთა უმეტესობას) — სომხები. ომში გაუმარჯვნიათ უკანასკნელებს, ფარნაჯომი კი მოუკლავთ. შემდგომშიც ერისთავთა უმეტესობა წინაღმდეგი ყოფილა მირვან ფარნაჯომის ძისა, თუმცა უკანასკნელს მაინც მოუხერხებია (რასაკვირველია, სპარსთა დახმარებით) დაეკავებინა სამეფო ტახტი.[1]

ჩვენი საისტორიო კრებულისავე მიხედვით, ქართლის მეთვრამეტე მეფე ამაზასპს „შეექმნა სილაღე, და იწყო მესისხლეობად, და მოსწყვდნა მრავალნი წარჩინებულნი“, რისთვისაც იგი მოიძულა „ერმან ქართლისამან“. ბევრ მხრივ ზემოთაღწერილი სიტუაცია განმეორებულა: მეფეს განდგომია ხუთი ერისთავი, რომელთაც თავის გამგებლობაში მყოფი ლაშქრით, აგრეთვე უცხო ძალებზე დაყრდნობით, დაუმარცხებიათ და მოუკლავთ ამაზასპი (მას კვლავ სპარსნი ეხმარებოდნენ), ხოლო გამეფებულა მისი დისწული რევი.[2]

„ქართლის ცხოვრების“ ავტორები, როგორც ცნობილია, ცენტრალიზატორული ძალების, მეფის ხელისუფლების მომხრენი იყვნენ. ასე რომ, არ იქნებოდა სწორი თხზულების შესაბამისი ნაწილის ავტორს (უფრო სწორედ რედაქტორს) — ლეონტი მროველს მოყვანილი მაგალითები თვითონ შეეთხზას, მათში უთუოდ უნდა არეკლილიყო რეალურ-ისტორიული ვითარება, რაც თავის მხრივ ასახული იყო ჩვენს უძველეს საისტორიო ქრონიკებში.

ძირითადად ასეთივე ვითარება იქნებოდა შექმნილი კოლხეთში. მართლაც ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი წერს, რომ კოლხეთის მეფეები, ყოველ შემთხვევაში სამეფოს დაუძლურების ხანაში, ქვეშევრდომებს ზომიერად მართავდნენო.[3]

დიდი ხნის მანძილზე (რომლის შესახებაც ახლა გვაქვს საუბარი) კოლხები და ქართები (ქართლელები) საკმაოდ ცენტრალიზებული იყვნენ, მათ მოიცავდა ორი პოლიტიკური ერთეული კოლხეთისა და ქართლის სამეფოების სახით. განსაკუთრებით აქტიურობდა ეს უკანასკნელი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით ჭოროხის შესართავამდე იყო გასული, დასავლეთით კი „ბუნებრივი საზღვრის“ — სურამის ქედს იქით და შეუქმნია არგვეთის საერისთაო (გვიანდელი ზემო იმერეთის ტერიტორიაზე). იგი (ქართლის სამეფო) აგრეთვე აქტიურ როლს

1 იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 31-32.
2 იქვე, გვ. 57-58.
3 სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 124.

ასრულებდა იმდროინდელ საერთაშორისო სარბიელზე, ებრძოდა პონტოს სამეფოს, სომხეთს, რომს, პართიას. რომს მისი დაპყრობა თვით პომპეუსის ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგაც კი ვერ გაუბედავს (ცხადია, ამაში ქვეყნის ძლიერებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ უმთავრესი იყო რომაელებისათვის მისი მოკავშირეობის ინტერესი პართიის წინააღმდეგ ბრძოლაში). ასე რომ, ძველ ხანაში ჩვენი წინაპრების საზოგადოების შინაგანი ევოლუციით სავსებით შესაძლებელი იყო ქართული ეთნოსის გაერთიანება ერთიანი სახელმწიფოს ქვეშ, აქედან გამომდინარე თავისი დადებითი შედეგებითურთ. მაგრამ ამას ხელი შეუშალა არახელსაყრელმა საგარეო ვითარებამ, სახელდობრ იმან, რომ ჩვენს სამხრეთ-დასავლეთით ჩამოყალიბებულმა პონტოს სამეფომ დაპყრო კოლხეთი, ხოლო ეს დამპყრობელი ქვეყანა შემდეგში შეცვალა რომმა. ცხადია, რომ ქართლს დაპყრობისას (უფრო სწორად: შემოერთებისას) უნდა დაეძლია ამ სახელმწიფოების წინააღმდეგობა, რაც მას არ შეეძლო. თუ არა ეს საგარეო დაბრკოლებანი, ვიმეორებთ, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა შეიძლებოდა საკმაოდ ადრე, ძვ.წ-ის ბოლო საუკუნეებსა ან ახ. წ-ის პირველ საუკუნეებში.

საერთოდ გარე-ისტორიული პირობები ჩვენი წინაპრებისათვის ძველად, ცივილიზაციის განვითარების საწყისი ფაზის ხანაში, ბევრად უფრო ხელსაყრელი გახლდათ. სკვითებისა და კიმერიელების შემოსევების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხის შემოსევას დიდ ხანს ადგილი არა ჰქონია. რაც შეეხება პონტოს სამეფოს (კოლხეთში), სპარსთა, რომაელთა და სხვათა ლაშქრობებს, ესენი სულ სხვა ხასიათისა და არა ისეთი დამანგრეველი იყო, როგორც მომთაბარეთა შემოსევები. კოლხეთისაგან განსხვავებით ქართლი საკმაოდ დიდ ხანს, სამეფოს შექმნიდან თითქმის შვიდი საუკუნის განმავლობაში, ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას.

რაც შეეხება კულტურას (სულიერს), ჩვენს წინაპრებს აღნიშნულ ხანაში იგი მნიშვნელოვნად არ განუვითარებიათ. არქეოლოგიური მასალებით ჩანს, რომ მოსახლეობის ზედაფენის, ელიტის ცხოვრება საკმაოდ კომფორტული იყო, აუცილებლად შეთვისებული ჰქონდათ ბერძნულ-რომაული სულიერი კულტურის ბევრი მომენტიც, იქმნება იმის შთაბეჭდილება (განსაკუთრებით კოლხეთში), რომ ბერძნული კულტურა აქ იმდენად მოძალებული იყო, რომ ადგილობრივი კულტურის განვითარების შედარებით სუსტმა ტენდენციებმა ვერ შესძლეს განმტკიცება-გაძლიერება. დამოუკიდებელი კულტურის განვითარება თვალსაჩინოდ ვერ მოხდა აგრეთვე ქართლში.[1] ყოველ შემთხვევაში ნათელია, რომ

1 ჩვეულებრივ, როცა ჩვენი „ანტიკური" კულტურის სიღარიბეზე ლაპარაკობენ, ამის მიზეზად ქრისტიანობას თვლიან (მან თითქოს მთლიანად მოსპო წარმართული კულტურა). მაგრამ ასეთი მსჯელობა ალბათ ნაკლებად გამომდინარეობს საგანთა ობიექტური ვითარებიდან.

ე.წ. ანტიკური მემკვიდრეობა (legacy, наследие), ძველი ქართული ეთნოსის მიერ შექმნილი, სულაც არ ყოფილა მნიშვნელოვანი, საფუძველად რომ დასდებოდა ახალ ქართულ კულტურას, ქრისტიანიზაციის შემდეგ რომ წარმოიშვა.

ქართული ცივილიზაცია ზრდის ფაზაში

თუ აღმოსავლეთისა და სხვა რეგიონების ბევრ ქვეყანაში მოხდა საზოგადოების სტაგნაცია, სასოფლო თემების, მიწაზე კერძო საკუთრების უმნიშვნელო განვითარებისა და დესპოტური სახელმწიფოს საფეხურზე, კოლხეთსა და ქართლში აღწერილი სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ამით ჩვენი ცივილიზაციის ევოლუცია თვისებრივად განსხვავდებოდა აღმოსავლურისაგან და ემსგავსებოდა დასავლურს[1].

საქართველოს უმეტეს ნაწილში (მთისა და გვიანდელი ქიზიყის გამოკლებით) მოხდა მიწაზე კერძო საკუთრების განვითარება, ჯერ წვრილ-გლეხური, ხოლო შემდეგ — ფეოდალური ფორმით. თუ როდის და როგორი ტემპებით დაიწყო ქართული საზოგადოების ფეოდალიზაცია, ეს საკითხი ჯერჯერობით ნათელი არ არის. ს.ჯანაშიას მიხედვით, V-VI საუკუნეებში ახალი, ფეოდალური წყობილება გაბატონებული გახდა, ნ.ბერძენიშვილის მიხედვით კი ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა VIII ს-ში, ხოლო გ.მელიქიშვილის აზრით — გრძელდებოდა თვით XI-XII საუკუნეებამდე. ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა იყოს, უცილობელი ფაქტია ფეოდალიზმის გამარჯვება საქართველოში. ფეოდალიზმზე გადასვლა ძველი, სასოფლო თემებზე დაფუძნებული ქართული საზოგადოებისა მოხდა, როგორც ცნობილია, ერთი ეთნოსის შიგნით, გარედან ბარბაროსული ხალხის ჩაურევლად. იგი არ იყო დაკავშირებული საწარმოო ძალების თვალსაჩინო ზრდასა ან დაქვეითებასთან და მიმდინარეობდა საწარმოო ძალების უკვე წინა საუკუნეებში მიღწეულ დონეზე. ამ მხრივ დიდი განსხვავებულობა შეინიშნება ქართულ და დასავლეთ ევროპულ ცივილიზაციას შორის. ამ უკანასკნელის ქრისტიანული ხანის ცივილიზაციამ, როგორც ცნობილია, განვითარება დაიწყო კულტურის (ფართო აზრით) კატასტროფის, ეკონომიკისა და განვითა-

---

1 საყურადღებოა, რომ ჩვენი წინაპრები რამდენადმე აცნობიერებდნენ ჩვენი კულტურის განსხვავებულობას აღმოსავლურისაგან. ასე მაგალითად, ახ. წ.-ის პირველი საუკუნის 30-იან წლებში ფარსმან პირველი თავის მეომრებს ბრძოლის წინ მიუთითებდა ქართლელებისა (იბერიელების) და პართიელების განსხვავებულობას (მის მიხედვით, პირველნი მორალურად საგრძნობლად მაღლა იდგენენ პართიელებზე). ფარტაძიც (ახ.წ-ის მეექვსე საუკუნე) აღნიშნავდა ქართული საზოგადოების (ლაზიკის) მეტ სიახლოვეს ბიზანტიასთან და არა სპარსეთთან. შემდეგ საუკუნეებში ჩვენი წინაპრების აზროვნებით „ქართველობა" (არა მარტო როგორც ქრისტიანული რელიგიის შემცველი!) მკვეთრად უპირისპირდებოდა აღმოსავლურ ისტორიულ სამყაროს. როგორც ვ. გაბაშვილი მიუთითებს, ვახუშტი ბაგრატიონი საკმაოდ ნათლად აცნობიერებდა, თვისებრივი ხასიათის განსხვავებულობას ჩვენსა და აღმოსავლეთის ისტორიულ სამყაროს შორის. იხ. მისი „ქაროული ფეოდალური წყობილება. XVI-XVII სს.", 1958, გვ. 4-5.

რებული ზედნაშენების მკვეთრი დაქვეითების პირობებში, რაც ანტიკური ცენტრების მონათმფლობელური ხასიათის გარდა ნაწილობრივ გამოწვეული იყო ახალი, ჩამორჩენილი ეთნოსის (გერმანელობის) ჩართვასთან ამ ცივილიზაციაში. საქართველოში კი საქმე სულ სხვანაირად იყო.

ახ. წ-ის მეოთხე საუკუნის პირველი მესამედის ბოლოდან საქართველოში დაიწყო კულტურის აღმავლობა. ახალი რელიგიის სახელმწიფოებრივ სარწმუნეობად გადაქცევამ გამოიწვია დამწერლობის ფართო გავრცელება, არქიტექტურის (სასულიერო ხასიათისა), ლიტერატურის, ახალი სალიტერატურო ენის განვითარება. ჩვენმა ხალხმა საგრძნობი ნაბიჯი გადადგა ეთნიკური კონსოლიდაციის გზაზე. იმავე ახალი რელიგიის წყალობით საქართველო მტკიცედ ჩაება ქრისტიანული კულტურის ორბიტაში. ამ გარემოებამ კი დიდად დადებითი როლი შეასრულა ჩვენს ისტორიაში (თუმცა მოგვიანებით ამით ჩვენი ხალხი მკვეთრად დაუპირისპირდა მაჰმადიანურ სამყაროს).

ფეოდალიზმის განვითარება საქართველოში იმ ზომამდე არ მისულა, როგორც დასავლეთ ევროპის რიგ ხალხებში. ეს ითქმის თვით ადრეული ფეოდალიზმის სტადიის მიმართაც. შესაბამისად,განვითარება არ მისულა ქვეყნის სრულ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციამდე; ჩვენმა წინაპრებმა, როგორც შედარებით ძველი სახელმწიფოებრიობის ტრადიციების მქონე ხალხმა, შესძლეს მისი შენარჩუნება. რა თქმა უნდა, ამის მთავარი მიზეზი მაინც ის გახლდათ, რომ მტრული ისტორიული გარემოცვა, მასთან ინტენსიური პოლიტიკური ურთიერთობა, აუცილებელს ხდიდა სახელმწიფოს ცენტრალიზებული სახით არსებობას თუნდაც ქვეყნის ცალკეული დიდი ისტორიული თემების ფარგლებში.

მომდევნო საუკუნეებში საქართველოს ეკონომიკური განვითარება შეფერხდა. გეოგრაფიული პირობები აქ არაფერ შუაშია: ისინი, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მაინც, საკმაოდ ოპტიმალური იყო და იძლეოდა შრომის ეკონომიკური დანაწილების თვალსაჩინოდ გაშლის საფუძველს,[1] მაგრამ ბუნებისაგან მოცემული ეს შესაძლებლობა ჩვენმა წინაპრებმა მაშინ (სამწუხაროდ, მარტო მაშინ არა!) ვერ გამოიყენეს. ამაში „დამნაშავე" იყო სპარსთა და არაბთა შემოსევანი. მოსახლეობის ნაწილის ამოწყვეტა შემოსევების დროს, მოსახლეობაზე ხარკის დადება, ცხადია, გამორიცხავდა ნორმალური პირობების შექმნას სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების, ქალაქების ფართოდ განვითარებისათვის. ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა — პოლიტიკური ცენტრალიზაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით — უმთავრესად ეკონომიკურ საფუძველზე არ

---

1 განვილილ ეკონომიკურ სტადიებზე საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის ოპტიმალურობას დასავლეთთან შეფარდებით, როგორც უკვე მივუთითებდით, აღნიშნავდა ჯერ კიდევ ნ.ბერძენიშვილი. იხ. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI в.), 1938, გვ. 23.

მომხდარა: ხელსაყრელმა ისტორიულმა გარემოცვამ — არაბთა სახალიფოს დაშლამ, შემდეგში მაჰმადიანთა ენერგიის უდიდესი ნაწილის გადატანამ ევროპელი ჯვაროსნების წინააღმდეგ საბრძოლველად — კარგი წანამძღვრები შექმნეს ქვეყნის გაერთიანებისათვის.[1] ისტორიული გარემოს გამოწვევამ (challenge) ჩვენთან შესაფერისი პასუხი (response) ჰპოვა. მართალია, ისტორიის ლოგიკა არც ქვეყნის გაერთიანების შემდეგ ყოფილა სწორხაზოვანი: ბაგრატ მესამის მიერ თითქმის ბოლომდე მოყვანილი საქმე ბევრ მხრივ თავიდან იქნა დაწყებული, რაც განაპირობა მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში თურქსელჩუკების შემოსევებმა საქართველოში, მაგრამ ჩვენი l elan vital,createur (სასიცოცხლო, შემოქმედებითი სწრაფვა მეოცე საუკუნის ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის ანრი ბერგსონისეული ცნებები რომ ვიხმაროთ) საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გადაელახა ეს დაბრკოლება. დაიწყო ჩვენი ისტორიის უბრწყინვალესი პერიოდი — „ოქროს ხანა“...

როგორადაც არ უნდა კამათობდნენ ჩვენი ისტორიკოსები ქართული ადრეული ფეოდალიზმის ბოლო ქრონოლოგიური მიჯნის თაობაზე, ერთი რამ ცხადია: საქართველოს თავის „ოქროს ხანაში“ სულაც არ ამოუწურავს ის შესაძლებლობანი, რასაც ფეოდალიზმი იძლეოდა ეკონომიკის განვითარებაში, საქართველო ამ ხანაშიც კი მნიშვნელოვნად არ გასცილებია ფეოდალიზმის მეორე პერიოდის საწყის ფაზას. მართლაცდა, მშვიდობიანობა (ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობა), ქვეყნის მაშტაბით ცენტრალიზაცია საქართველოს ახლახან ჰქონდა მოპოვებული, ხოლო ამ პირობათა გარეშე საქალაქო წყობილების შემდგომი პროგრესი (არსებულ ქალაქებში), ახალი ქალაქების მნიშვნელოვანი რაოდენობით გავრცელება,[2] ამით სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების რღვევა და ა.შ. მძლავრად ვერ განვითარდებოდა. ამ ახალი პროცესების სათანადო გაშლისათვის რამდენიმე საუკუნე მაინც იყო საჭირო. მაგრამ ეს შანსი ჩვენმა წინაპრებმა დაჰკარგეს, ცხადია, გარეგანი ობიექტური მიზეზების გამო.

შექმნილი ცენტრალიზებული სახელმწიფო მეფის ხელისუფლებით, ბიუროკრატიით, არმიითა და ა.შ. თითქოს ადვილად უნდა გადასულიყო დესპოტურ ფორმაში, რის მაგალითებიც ძველ (ფართო აზრით) ისტორიაში უამრავია (განსაკუთრებით აღმოსავლეთში). მაგრამ ჩვენი ცივილიზაციისათვის დამახასიათებელმა შინაგანმა საწყისებმა გამორიცხეს ასეთი პოლიტიკური პროცესი. ამ

---

1 სხვათა შორის, ი.ბ. სტალინი სწორად მიუთითებდა ამ გაერთიანების მოხდენას, სრულიადაც არა უმთავრესად ეკონომიკური ფაქტორის მიზეზით.

2 თუ შევადარებთ ამ ხანის საქართველოში ასე ვთქვათ ქალაქების სიმჭიდროვეს დასავლეთ ევროპის განვითარებული ფეოდალიზმის მაჩვენებელს, ეს შედარება ჩვენთვის აშკარად არახელსაყრელი იქნება.

პერიოდის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ამგვარად საქართველოს მეფეების ასი წლის (ე.ი. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლამდე, — გ.ყ.) მედგარმა, მძიმე შრომამ და მეცადინეობამ, რომ თვითმპყრობელობა როგორმე გაემაგრებინათ, ფუჭად ჩაუარათ"[1]. ეს შინაგანი საწყისები გახლდათ: კერძო საკუთრების მაღალი განვითარება, ამ ნიადაგზე პიროვნების (ფეოდალთა) პოლიტიკური თავისუფლების აუცილებლობა, დიდი ხნის დემოკრატიული პოლიტიკური ტრადიციები. ბრძოლა ცენტრალურ ხელისუფლებასა და დიდგვაროვნებს შორის, მართალია, ერთი მხრივ აფერხებდა საერთო საქმეს (უწინ ქვეყნის გაერთიანებას, შემდეგ — მის ექსპანსიას ქვეყნის გარეთ), მაგრამ მეორე მხრივ, იგი (ეს ბრძოლა) არნახულ მოვლენას წარმოადგენდა უმრავლესი აღმოსავლური ქვეყნების მატიანეში.

კიდევ მეტი: იგი, განსაკუთრებით ყუთლუ-არსლანის[2] დასის გამოსვლა, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია. წარმოადგენდა რა მეფის ხელისუფლების პარლამენტით შეზღუდვის პირველ მცდელობას, ამით ჩვენმა ქვეყანამ 80 წლით დაასწრო ინგლისში ანალოგიურ წარმატებულ ცდას. აქტიურ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა სასულიერო წოდებაც.

ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის შემდგომი პოლიტიკური ევოლუცია საინტერესოდ უნდა წარმართულიყო, მას უნდა დაედგინა ოპტიმალური დემოკრატიული ხასიათის ბალანსი ცენტრალურ ხელისუფლებასა და საზოგადოებას (თავდაპირველად ფეოდალთა კლასს) შორის. უფრო შორეულ მომავალში ამას დაემატებოდა მესამე წოდების გამოსვლაც ცენტრალურ პოლიტიკურ არენაზე. მაგრამ ჩვენი საზოგადოებისათვის ეს შესაძლებლობაც დაკარგულ იქნა. შემდგომი ხანის ისტორიულ ვითარებაში სოციალურ-პოლიტიკური და ა.შ. პროგრესი ფუფუნება გახდა, დღის წესრიგში დადგა თვით ხალხის ფიზიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი...

„ოქროს ხანა" უაღრესად ნაყოფიერი პერიოდი გამოდგა ქართული სულიერი კულტურის აყვავებისათვის. მეტიც, ი.ჯავახიშვილის მოსაზრებით, ამ პერიოდის ქართულ სულიერ კულტურაში შეინიშნება მთელი რიგი მომენტებისა, რაც მოგვიანებით დასავლეთ ევროპის ხალხების რენესანსულ კულტურაში გვხვდება. ყოველ შემთხვევაში ფაქტია ჩვენი სულიერი კულტურის მაღალი, დასავლეთ ევროპის საზოგადოების წმინდა ფეოდალური ურთიერთობების პერიოდისთვის მიუღწეველი, დონე. ამ ფაქტის ახსნა ზოგმა ისტორიკოსმა სცადა „შესაბამისი" ეკონომიკური ბაზისის „მისადაგებით", მაგრამ ასეთი მაღალი ეკო-

---

1 იხ. ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს მეფე და მის უფლების ისტორია, ტფილისი, 1905, გვ.79.

2 ყუთლუ-არსლანი ნაყივაღარიც რომ ყოფილიყო, ეს, ცხადია, სულაც არ აკნინებს ქართული დემოკრატიის ისტორიის მატიანეს, რამდენადაც ყუთლუს პოლიტიკური მოღვაწეობის შინაარსისა და მიმართულების განმსაზღვრელი იყო ქართული სოციალური, კულტურული გარემო.

ნომიკური ბაზისი XI-XII საუკუნეების საქართველოში მარტოოდენ ცარიელ ფრაზებს წარმოადგენს. მიზეზი აღნიშნული მოვლენისა ჩვენი სულიერი კულტურის განვითარების სპეციფიკურ ისტორიულ პირობებშია.

ერთ-ერთ აღსანიშნავ მომენტს წარმოადგენდა ხელსაყრელი საგარეო-კულტურული გარემო, რაც აღნიშნეს ნ.მარმა და ი.ჯავახიშვილმა. ბიზანტიურის სახით ქართულ კულტურას ანტიკური ტრადიციების მქონე კულტურა ემეზობლებოდა. ასევე ცხოვლად კონტაქტირებდნენ ქართულთან არაბული და სპარსული კულტურები, საიდანაც ჩვენთან მოდიოდა მძლავრი იმპულსები საერო კულტურის აღმავლობისათვის. ქრისტიანულ უცხოეთში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ქართული მონასტრები. კულტურული ცხოვრება კონცენტრირებული იყო თბილისში, რომელსაც სრულიადაც ვერ შეედრებოდა ამ ხანის დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყნის დედაქალაქი. ქართველ ფეოდალთა ნაწილი ცხოვრობდა დედაქალაქში, გააჩნდა რა ამრიგად საკმაოდ ფართო გონებრივი ჰორიზონტი. დასასრულს, ჩვენი სულიერი კულტურის განვითარებას თვალსაჩინო სტიმულს აძლევდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. ჩვენ კულტურის შემქმნელ ელიტას (იგი, განსხვავებით პოლიტიკური ელიტისაგან, წმინდა ქართული შემადგენლობისა იყო), რასაკვირველია, დიდად შთააგონებდა საქართველოს გადაქცევა დაჭუცმაცებული, დაპყრობილი ქვეყნიდან წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ.

აღნიშნული მოვლენის სახით ჩვენ საქმე გვაქვს სულიერი კულტურის (მთლიანი ან მისი რომელიმე შემადგენელი ნაწილის) ბაზისისაგან შეფარდებით დამოუკიდებელი განვითარების გამოვლინების კონკრეტულ მაგალითთან. ამრიგად, ჩვენი საზოგადოების გაქრისტიანების შემდეგ ქართული სულიერი კულტურა აღმავლობის გზას დაადგა, რაც არაბობის გაქრობის შემდეგ განახლდა უცხოეთში არსებულ ქართულ მონასტრებსა და ტაო-კლარჯეთში. ეს პროცესი კი დაგვირგვინდა „ოქროს ხანაში".

მაგრამ სულიერი კულტურის პროცესი XI-XII საუკუნეებში ეფუძნებოდა ვიწრო სოციალურ ბაზას (მას ჰქმნიდნენ საერო და სასულიერო დიდებულები), იგი (ეს კულტურა) კონცენტრირებული იყო სატახტო ქალაქში. თბილელ მოქალაქეთა ფენა ჩვენთან არც გაფორმებულა წოდებად, სხვა ქალაქები კი ჯერჯერობით თვალსაჩინო კულტურას ვერ ჰქმნიდნენ. სწორედ აღნიშნული გარემოებით, ქართული სულიერი კულტურის ვიწრო სოციალური ბაზით, შეიძლება აიხსნას ჩვენი კულტურის ასე მკვეთრი დაქვეითება, რაც XIII საუკუნიდან დაიწყო. სოციალურ-ეკონომიკური ბაზის სიფართოვისას გარეშე მტერთა შემოსევებს არ შეეძლო ქვეყნის კულტურის ასეთი კატასტროფა გამოეწვია.

ქართული ცივილიზაციის განვითარების მკვეთრი შეფერხება

ქართულ ცივილიზაციას ჩვენი ისტორიის „ოქროს ხანაში“ სულაც არ ამოუწურავს ის შესაძლებლობანი, რასაც ფეოდალური ფორმაცია იძლეოდა, კაპიტალიზმის გენეზისამდე მას საკმაო გზა ჰქონდა გასავლელი. ძალზე პრობლემატურია შექმნილ ისტორიულ გარემოცვაში (მშვიდობიანობის პირობებშიც კი) ქართული საზოგადოების მიერ კაპიტალიზმის განვითარების დამოუკიდებლად დაწყების შესაძლებლობა. მსოფლიო ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კაპიტალიზმის თავდაპირველი განვითარება (მანუფაქტურულ სტადიაზე) ერთ ქვეყანას დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით, არ შეეძლო. ამისათვის საჭირო იყო საკმაოდ განვითარებული ისტორიული გარემო, ამდენად — ხელსაყრელი ეკონომიკური, ტექნიკური დაა.შ. იმპულსები ამ გარემოსაგან. საქართველოს კი ასეთი გარე-ისტორიული პირობები არა ჰქონია. კაპიტალიზმის გენეზისს თავდაპირველად ადგილი უნდა ჰქონოდა საზღვაო ცივილიზაციის ქვეყანაში. საქართველო (თუმცა შავი ზღვის ნაპირას მდებარეობს) XI-XII საუკუნეებში არ გამხდარა საზღვაო ცივილიზაციის ქვეყნად. საერთოდაც, შავ ზღვას, მის აუზში მდებარე ქვეყნების, განსაკუთრებით თურქეთის, განვითარების ხასიათის გამო, არ შეეძლო მძლავრი დამაჩქარებელი ფაქტორი გამხდარიყო ქართული საზოგადოების განვითარებისა კაპიტალიზმის მიმართულებით.

აღნიშნული სახის განვითარება მოითხოვდა აგრეთვე შესაბამის დემოგრაფიულ სიტუაციას. კერძოდ, ხელოსნობის, ვაჭრობის და ა.შ. განვითარების პირობა არის ჭარბი მოსახლეობის გაჩენა აგრარულ საზოგადოებაში. იმისათვის, რომ გლეხების ნაწილი ხელოსნებად, ვაჭრებად და ა.შ. იქცეს, საჭიროა ზედმეტი მოსახლეობის დაწოლა წარმოების არსებულ საშუალებებზე (მიწაზე). მაგრამ ასეთი დემოგრაფიული სიტუაცია ჩვენში, მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, გამოირიცხა გარეშე მტერთა შემოსევების მიზეზით.

XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული შუა და წინა აზია საუკუნეების განმავლობაში ნადგურდებოდა ჩამორჩენილი, მომთაბარე მასების მიერ. ამ მოვლენის მთავარი მიზეზი უპირველესად მომთაბარე ხალხების დიდ სიძლიერეში კი არ მდგომაროებდა, არამედ აღნიშნული რეგიონების საზოგადოებათა შინაგანი სტრუქტურის სისუსტე, აღმოსავლური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა განაპირობებდა ამ ტიპის საზოგადოებათა სუსტ თავდაცვისუნარიანობას. სწორედ ეს გახლდათ საფუძველი ამ დიდ ისტორიულ რეგიონებში მომთაბარეთა მიერ შექმნილი უზარმაზარი იმპერიებისა. ნომადების ტალღები მძლავრად ეხეთქებოდა აზიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწი-

ლსაც, რომელსაც შეადგენს საქართველო. ამ ისტორიულმა სამყარომ კი, სხვა აღმოსავლური ქვეყნებისაგან განსხვავებით, ბარბაროსებისადმი საკმაოდ დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნა, რისი შედეგიც იყო და არის ჩვენი ეთნოსის ფიზიკური გადარჩენა. ეს აიხსნება როგორც მისი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით (მთაგორიანი რელიეფი), ასევე სოციალური ფაქტორებით (სამხედრო საქმის ორგანიზატორი ფენის — ფეოდალთა კლასის არსებობა, მოსახლეობის ფართო მასების შემართული, მეომრული ხასიათი).

მაინც დამპყრობელთა პირველი ტალღებისათვის (ხვარაზმელები, მონღოლები) საქართველო არ აღმოჩნდა ისეთი მტკიცე ზღუდე, რომელიც მას თავისი შინაგანი პოტენციით შეეძლო ყოფილიყო. ამ სისუსტეს ხსნის სუბიექტური ხასიათის ფაქტორები — ფეოდალური, დეცენტრალისტული ძალები, რომლებიც ასე მედგრად იბრძოდნენ თვით გიორგი მესამისა და თამარის მეფობის ხანაში და რომლებმაც თავისი ეგოისტური მისწრაფებებისათვის ახლა ჰპოვეს ფართო გაქანება, ქართველთა მეტისმეტი მედიდურობა, რამაც ჩვენს წინაპრებს ხელი შეუშალა საგარეო საფრთხე რეალურად აღექვათ (ეს აღნიშნული აქვს ჯალალ-ედინის ისტორიკოსს), და დასასრულს, სამეფო კარის მორალური გადაგვარება (ყველაზე შთამბეჭდავია ამ მხრივ თვითონ ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მაგალითები).

ჩვენში მონღოლთა ბატონობა შედარებით ხანმოკლე (თითქმის ასი წლის ხანგრძლივობისა) აღმოჩნდა. ჩვენი ერთ-ერთი დიდი ისტორიული პიროვნების — გიორგი ბრწყინვალის დროს საქართველომ შესძლო სათანადო ძალები მოეკრიბა გაერთიანებისათვის. მაგრამ რამდენიმე ათეული წლის გასვლის შემდეგ თემურ-ლენგის შვიდგზისმა შემოსევამ საქართველო წელში გასტეხა. ამ მტარვალის ისტორიის არენიდან გაქრობის შემდეგ საქართველომ კიდევ ერთხელ სცადა გაერთიანება ალექსანდრე დიდის (1412-1442 წწ.) დროს, მაგრამ შემდგომი ხანის საგარეო მოვლენებმა ამ მცდელობის შედეგები გააცამტვერეს. პოლიტიკური დაცემულობა (საქართველოს დაყოფა სამეფო-სამთავროებად) ისტორიული ევოლუციის მხოლოდ შედეგი არ იყო, იგი თავის მხრივ ქართული საზოგადოების შემდგომი ეკონომიკური და კულტურული დაქვეითების საფუძველსაც წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ხალხის ფართო ფენების ნებისყოფა, მისი ოპტიმისტური განწყობილება, მაინც არ გატეხილა, ჩნდებოდნენ ნათელი პიროვნებები, რომლებიც სათავეში ედგნენ და აღაფრთოვანებდნენ საკუთარი ეროვნული „მეობისათვის“ მებრძოლ ერს.

ჩვენი ისტორიის ფხიზელ დამკვირვებელს არ შეიძლება მხედველობის არედან გამორჩეს დიდი შავი ლაქა — მუდმივი ღალატიანობა, რომლის ისტორიის გადმოცემასაც რამდენიმე მოზრდილი წიგნი დასჭირდებოდა. ამის მიზეზი მხო-

ლოდ ქართული საზოგადოების საერთო სოციალური სისტემის — ფეოდალიზმის ბუნებაში არ მდგომარეობს, მიზეზს არც თავისთავად ქართველი ხალხის ეროვნული ფსიქიკა წარმოადგენს. მთავარი მიზეზი იყო კვლავ და კვლავ განუწყვეტლად ჩვენდამი მტრულად განწყობილი ისტორიული გარემო, რომელიც ხელს უწყობდა ადამიანთა ზნეობრივ დეგრადაციას. საბედნიეროდ, ეს მხოლოდ ზედაფენების ნაწილში შეინიშნებოდა და არა ხალხის ფართო ფენებში. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ქართულ ცივილიზაციას წინა აზიის მრავალი ძველი ცივილიზაციის ბედი ეწვეოდა და იგი დღეს თანამედროვე ისტორიული სინამდვილე აღარ იქნებოდა. ერთი სიტყვით, მორალური დაქვეითება ჩვენი ძველი ელიტის ნაწილისა სტიმულირებული იყო ჩვენდამი დაპირისპირებული ისტორიული გარემოთი. მაგრამ ეს ელიტა მნიშვნელოვანწილად ჯანსაღი, პატრიოტულად განწყობილი რჩებოდა, სწორედ იგი ედგა სათავეში ჩვენი ხალხის მასების ბრძოლას ეროვნული თვითმყოფობის, „ქართველობის“ შენარჩუნებისათვის.

განვიხილოთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — კლასობრივი ბრძოლის გაშლისა ჩვენი ისტორიის ძნელბედობის ხანაში, ძნელბედობისა, რომელიც ხშირად რამდენიმე საუკუნის მანძილზე (განსაკუთრებით XIII-XVIII სს.) გრძელდებოდა. საერთოდ ცნობილია, რომ კლასობრივი ბრძოლა პროგრესის მძლავრი სტიმულია. მაგრამ კითხვა ისმის: რა ბედი ეწვევა ხოლმე კლასობრივი ბრძოლის განვითარებას მტრულ ისტორიულ გარემოცვაში, თანაც იმ საზოგადოებაში, რომელიც თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით მცირეა. ამაზე ნათელ პასუხს ვპოულობთ ფ.ენგელსთან. იგი წერდა, რომ მანამ სანამ სიცოცხლისუნარიანი ხალხი შებორკილია უცხოელი დამპყრობელით, იგი აუცილებლობით წარმართავს მთელს თავის მისწრაფებებს, მთელს თავის ენერგიას გარეშე მტრის წინააღმდეგ, და რომ სანამ მისი საშინაო ცხოვრება ამრიგად პარალიზებული რჩება, მას არ შეუძლია იბრძოლოს სოციალური განთავისუფლებისათვის. ფ.ენგელსის აზრით, ირლანდია, რუსეთი თათარ-მონღოლთა უღელქვეშ და ა.შ. იძლევიან ამ დებულების ნათელ დადასტურებას.[1] აქედან ცხადია: თუ კლასთა ბრძოლა სოციალური განვითარების საფუძველს წარმოადგენს საერთოდ, ზოგან, სპეციფიკურ სიტუაციაში, იგი ხალხის ნორმალური ისტორიული მსვლელობისათვის ხელისშემშლელი ხდება. ხოლო თუ ეს გარემოცვა რომელიმე საზოგადოებისათვის პერმანენტულად მტრულია, მაშინ, რასაკვირველია, ამ საზოგადოებაში კლასთა ბრძოლის გაშლა საუკუნეების მანძილზე არ ხდება. სახელდობრ ასე იყო საქართველოში. მართლაც, ჩვენი ძველ

1 იხ. К.Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т.18, с. 555.

ისტორიის მანძილზე გლეხთა ფართო გამოსვლებს ფეოდალთა კლასის წინააღმდეგ ადგილი არა ჰქონია.[1]

ამით, რასაკვირველია, სულაც არ დგება ეჭვის ქვეშ კლასთა ბრძოლის დიდი მნიშვნელობა საერთოდ და კერძოდ საქართველოს პროგრესულ მსვლელობაში. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ პერიოდის საქართველოში განვითარების შესაძლებლობა, კლასობრივი ბრძოლის გაშლის საფუძველზე, გამოირიცხა. ერის უპირველეს სასიცოცხლო მიზნად იქცა უშუალოდ ფიზიკური, ეროვნული „მეს“ შენარჩუნება; დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება-მოპოვება, ქვეყნის შემდგომი პროგრესი, მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი.

რაც შეეხება კლასობრივი ბრძოლის შემდგომ გაღრმავებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ არენაზე მესამე წოდების გამოჩენით, ეს გამოირიცხა. და ეს უბრალოდ მოხდა ჩვენში ამ სოციალური ფენის ჩამოუყალიბებლობის გამო.

ქვეყნის დაჩიხულობის პირობებში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სათავადოთა სისტემის წარმოშობა, რამაც ჩვენი ცივილიზაცია კიდევ უფრო დააშორა აღმოსავლურს და დაუახლოვა დასავლურ ცივილიზაციას (ტიპოლოგიური აზრით). უშუალო პოლიტიკურ პლანში აღნიშნულმა მოვლენამ უფრო დააქვეითა ჩვენი ხალხის შეწინააღმდეგების უნარი მტრული გარემოცვისადმი. მაგრამ ეკონომიკის თვალსაჩინოდ განუვითარებლობის გამო არ იყო ის საიმედო ბაზა, რა საფუძველზედაც საქართველოს ხელახალი ცენტრალიზაცია განხორციელდებოდა. ეს ვერ ხდებოდა წმინდა პოლიტიკურ საფუძველზეც. ამის ხელისშემშლელ გარემოებას წარმოადგენდა, — ისევე როგორც ძველ „ანტიკურ“ ხანაში, — მტრული ისტორიული გარემო, ამჯერად ყიზილბაშური ერანი და თურქეთი, რომელთა მუდმივი ექსპანსიის ობიექტებსაც წარმოადგენდა ქართული სამეფო — სამთავროები. გიორგი სააკაძის ეპოპეის პერიოდში, 1626 წელს (ბაზალეთის ომში), თეიმურაზ პირველისა და მისი მომხრეების დამარცხების შემთხვევაში, თითქოს იქმნებოდა შესაძლებლობა საქართველოს სამივე სამეფოს გაერთიანებისა. მაგრამ ამ შანსსაც, როგორც ცნობილია, განხორციელება არ ეწერა.

აღნიშნული მიმართებით ფრიად საყურადღებო მოვლენა იყო ქართლ-კახეთის გაერთიანება ერთ სამეფოდ ერეკლე მეორის მიერ, აგრეთვე საქართველოს სამეფო-სამთავროების 1790 წლის შეთანხმება სამხედრო კავშირის თაობაზე. ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში თითქოსდა ისახე-

---

1 ივ.ჯავახიშვილი როცა სპეციალურად იხილავდა პოლიტიკური და სოციალური მოძრაობების საკითხს მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, ანალოგიურ სიტუაციას, სოციალურ მოძრაობას (ცხადია, არა დიდი მასშტაბისას) ხედავდა მხოლოდ XVIII საუკუნეში. იგი აქვე აღნიშნავდა „მტერთა თავდასხმის მუდმივი საფრთხის“ საფუძველზე ჩვენში კლასთა ბრძოლის შეფერხებას. იხ. მისი ნაშრომი „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.“, СПБ., 1906, გვ.6.

ბოდა ელემენტები, რომელთა შემდგომ განვითარებას ახალ შედარებით ხელსაყრელ ისტორიულ გარემოში (იმპულსები დასავლეთევროპული და რუსული ცივილიზაციებისაგან) ხანგრძლივი კრიზისიდან უნდა გამოეყვანა ქართული საზოგადოება. ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე ისახებოდა ახალი უდიდესი პერსპექტივები (რაც ჩვენი პოლიტიკური სისტემის წინაშე არ არსებობდა XI-XII საუკუნეებში) საზოგადოების ყოველმხრივი განახლებისათვის. მაგრამ შედგომი ხანის მსვლელობამ აჩვენა, რომ ახლის ჩანასახები ძალიან სუსტი იყო, ძალზე არასაკმარისი იმისათვის, რომ მათ მნიშვნელოვანი ევოლუცია გამოეწვიათ. ეს მოხდა სხვა ვითარებაში, ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვისა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობის პირობებში. მაგრამ ამისდამიუხედავად ქართულმა ცივილიზაციამ მაინც განიცადა აღორძინება. ახალ ისტორიულ პირობებთან ერთად ამის საფუძველს წარმოადგენდა ის დიდი ტრადიციები, ის ასე ვქთვათ „კულტურული გენოფონდი“, რითაც ასე მდიდარი იყო ჩვენი ცივილიზაცია.

ამრიგად, ქართული ცივილიზაცია ბევრი აღმოსავლური ცივლიზაციისაგან განსხვავებით საკმაოდ დინამიური იყო. თუ მან ახალ, დასავლეთევროპულ ცივილიზაციასთან მნიშვნელოვან კონტაქტებამდე უფრო მეტად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობანი, ამაში „დამნაშავე“ იყო მისი საგარეო ისტორიული გარემო, ის საზოგადოება, რომელიც კ.მარქსისა და ფ.ენგელსის კონცეფციით სპეციფიკურ აზიურ, აღმოსავლურ ფორმაციას წარმოადგენდა. ამდენად, არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ თავისი ისტორიული შინაარსითაც ქართული ცივილიზაცია დიდ სიახლოვეს იჩენს დასავლეთ ევროპის განვითარებასთან. ეს გარემოება ბევრ რამეს გვიხსნის ჩვენი ეთნოსის ფსიქოლოგიასა და სულიერ კულტურაში როგორც XIX საუკუნის დამდეგამდე, ისე მეცხრამეტე და თვით XX საუკუნეშიც კი. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ეკონომიკური საფუძვლით XX საუკუნის, თუნდაც თანადროული, დღევანდელი ქართული კულტურის გაგება ძალზე არადამაჯერებელი იქნებოდა. ამ გარემოების გააზრება შეიძლება აგრეთვე ჩვენი კულტურის წარსულით, ასე ვთქვათ, კულტურის ინერციით.

1 977 წ.

ქართული ფეოდალიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

„... საჭიროა მოვლენაში ინდივიდუალურის, სპეციფიკურის დანახვისა და მისი მეცნიერული განზოგადების უნარი... შესასწავლი მოვლენის სრული კონკრეტულობით დაუფლება და მკაცრი თეორიული შესაბამისობით მისი ცოცხლად, შემოქმედებითად წარმოჩენა“[1] (ნ.ბერძენიშვილი).

ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ცნობილია, დიდი ხანია რაც დგას საკითხი ქართული ფეოდალიზმის რაობისა და ისტორიის შესახებ. იგი დაისვა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ფეოდალიზმის მონახვა სულაც არ წარმოადგენდა თავისებური ეროვნული პრესტიჟის საქმეს, არამედ ძირითადი ამოსავალი იყო თვით ჩვენი ისტორიული პროცესის შესაბამისი პერიოდის დიდი მსგავსება დასავლეთ ევროპის ანალოგიურ ისტორიულ ეპოქასთან. ასეთი მსგავსება კი შენიშნულ იქნა ჯერ კიდევ წინამეცნიერული აზროვნების მიერ[2]. სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, აღნიშნული პრობლემის დასმა და გაღრმავებული კვლევა-ძიება, განსხვავებით „თურქული“, „ინდური“, „ჩინური“ და ა.შ. ფეოდალიზმისაგან, ძალზე პერსპექტიული საქმეა.

მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჩვენი ფეოდალიზმის კვლევა-ძიებისას ქართული ისტორიოგრაფია მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდა: მან მოდელად აიღო კლასიკური ფეოდალიზმის ქვეყნის — საფრანგეთის, ისიც მხოლოდ უკანასკნელის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის, ისტორია, რომლის პერიოდების მიხედვითაც ხდებოდა და ხდება ქართული ფეოდალიზმის პერიოდიზაცია. ამით იგნორირებული იყო ის გარემოება, რომ მთელი რიგი მომენტების გამო (ანტიკური, კერძოდ რომაული მემკვიდრეობა, რაც გამოიხატა მიწაზე კერძო საკუთრების მაღალ განვითარებაში ჯერ კიდევ წინაფეოდალური საზოგადოების ხანაში, ბარბაროსი ხალხების მიერ გალურ-რომაული მოსახლეობის დაპყრობა, შესაბამისად ანტიკური ცივილიზაციისა და ბარბაროსობის სინთეზი, რამაც დააჩქარა ფეოდალიზმის განვითარება, ბარბაროსთა შემოსევებისაგან ქვეყნის შედარებითი დაცულობა დასავლეთ ევროპაში მისი ცენტრალური მდგომარეობის გამო)

---

1 ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი, 1966, გვ. 310.

2 ვგულისხმობთ XVII-XVIII სს. დასავლეთევროპელი მოგზაურებისა და XIX ს. რუსი მოხელეების გამონათქვამებს საქართველოს შესახებ.

საფრანგეთი იქცა კლასიკური ფეოდალიზმის ქვეყნად. ზემოთაღნიშნული მიზეზები არ არსებობდა თვით საფარანგეთის მეზობელ გერმანიაშიც კი, რის გამოც ფეოდალიზმმა აქ ვერ ჰპოვა სრული განვითარება და თანაც ამ პროცესმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღო[1].

მით უფრო ითქმის ეს საფრანგეთისაგან ისეთ დაშორებულ ქვეყანაზე, როგორიცაა საქართველო. ჩვენთანაც, ისევე როგორც გერმანიაში, ანტიკური მემკვიდრეობა, მიწაზე კერძო საკუთრების განვითარება წინაფეოდალურ საზოგადოებაში არ ყოფილა თვალსაჩინო, შესაბამისად უფრო ნელა უნდა მომხდარიყო სასოფლო თემების დაშლა; უცხოელთა შემოსევებს თუმცა ჩვენში ხშირად ჰქონდა ადგილი, მაგრამ ისინი სულაც არ ყოფილა ისეთი ხასიათისა და შედეგებისა, როგორიც ფრანკების, ბურგუნდებისა და სხვათა — საფრანგეთის ისტორიაში. ამას გარდა ქართული ფეოდალიზმის შემდგომ ისტორიაში გვხვდება მთელი რიგი საერთო მომენტებისა, რაც დამახასიათებელი იყო გერმანიის ისტორიისათვის, რაზედაც შემდგომში შევჩერდებით. აქ კი დასკვნის სახით აღვნიშნავთ: ჩვენი ფეოდალიზმის გაგებაში უკეთესი იქნებოდა გამოვდიოდეთ არა საფრანგეთის, არამედ გერმანიის ფეოდალურ ისტორიასთან შედარებიდან.

ფრანგული ფეოდალიზმის ისტორიისაგან განსხვავებით ქართული ფეოდალური ისტორიული პროცესი ძალზე ფერხდებოდა საგარეო მომენტით, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენში მთელ ამ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის არსებობის მანძილზე. ამისაგან განსხვავებით, როგორც აღვნიშნეთ, საფრანგეთის შესაბამისი პერიოდის ისტორიაში საგარეო მომენტს — სხვა ხალხთა შემოსევებს ბევრად უფრო ნაკლებ ჰქონდა ადგილი. ამ მხრივაც საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორია უფრო მეტ მსგავსებას იჩენს გერმანიის შესაბამისი ხანის ისტორიასთან. ამრიგად, უკვე a priori ნათელი უნდა იყოს, რომ ძლიერი და პერმანენტული საგარეო საფრთხის არსებობას არ შეიძლებოდა არ მოეხდინა დიდი ზეგავლენა ქართული ფეოდალიზმის განვითარებაზე. მაგრამ ეს გარემოება ჩვენს ისტორიოგრაფიაში არაა სათანადოდ შესწავლილი, რასაც ხელი შეუშალა ფილოსოფიის სახელმძღვანელოებიდან შეთვისებულმა აზრმა გარეგანი მიზეზის ან მიზეზების მეორეხარისხოვნობის შესახებ შინაგან მიზეზთან და მიზეზებთან შედარებით. მაგრამ ცხადია, რომ რაც უფრო მცირე და სუსტია სოციალური, ეროვნული ორგანიზმი, მით უფრო დიდ ზემოქმედებას უნდა ახდენდეს მასზე

---

1 ამის შესახებ იხ. А.Я. Гуревич, Проблемы генезиса феодализма в Западной Европе, М., 1970. ნაშრომში აკტორი მიუთითებს ფეოდალიზმის ტიპოლოგიზაციის საჭიროებას, მაგრამ ასეთი ნაშრომი, როგორც ცნობილია, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, თუნდაც დასავლეთ ევროპის ისტორიის მაგალითზე, ჯერჯერობით არ შექმნილა.

საგარეო ფაქტორი, მით უფრო მეტად უნდა სახესხვაობდეს, მოდიფიცირებდეს მისი (ამ ორგანიზმის) შინაგანი განვითარება[1].

სანამ უშუალოდ საკითხის არსს გადმოვცემდეთ, გამოვთქვამთ რამდენიმე შენიშვნას ჩვენი ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური პოზიციის მიმართ შესაბამისი ეპოქის შესწავლაში.

ჯერერთი, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ხშირად აქვს ადგილი ე.წ. ეკონომიკური დეტერმინიზმის გამოვლინებას, რომლის თანახმადაც ყოველი რაიმე თვალსაჩინო ძვრა საზოგადოების პოლიტიკურ ან კულტურულ განვითარებაში უკავშირდება შესაბამის ეკონომიკურ ძვრებს საზოგადოების შინაგან ევოლუციაში. კერძოდ, ასეა ახსნილი ფეოდალური დაქსაქსულობა მეექვსე-მეშვიდე საუკუნეების მანძილზე, შემდეგ — ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნა და ბოლოს — ერთიანი ცენტრალიზებული მონარქიის წარმოშობა მეათე-მეთორმეტე სს. საქართველოში. მიგვაჩნია, რომ ამ მოვლენების დაკავშირება უშუალოდ ეკონომიკურ ძვრებთან არ უნდა იყოს დამაჯერებელი. ლაპარაკობდა რა მეთხუთმეტე საუკუნის გერმანიის შესახებ, ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით გერმანია სავსებით იდგა იმდროინდელი მოწინავე ქვეყნების დონეზე, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ გერმანიაში, რომელიც პროვინციებად იყო დაშლილი და დიდი ხნის განმავლობაში თავისუფალი იყო უცხოელთა შემოსევებისაგან, ეროვნული ერთიანობის მოთხოვნილება არ იყო ისეთი ძლიერი, როგორიც საფრანგეთში (ასწლიანი ომი), ესპანეთში, რომელიც ის-ის იყო მავრებს გამოჰგლიჯეს ხელიდან, რუსეთში, რომელმაც იმ ხანებში განდევნა თათრები და ინგლისში (ვარდების ომი)[2]. სხვა ადგილას იგი დასძენდა: „გერმანია, მიუხედავად ეკონომიკური კავშირის უქონლობისა, მაინც მიაღწევდა ცენტრალიზაციას და ამასთან კიდევ უფრო ადრე (მაგალითად ოტონების დროს), თუ არა, ჯერ ერთი, რომის იმპერატორის ტიტული და მასთან დაკავშირებული მსოფლიო ბატონობის პრეტენზია, რომელიც შეუძლებელს ხდიდა ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, და ძალთა განიავება იტალიურ ლაშქრობებში,

1 თუმცა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მეორე ტომის წინასიტყვაობაში (ავტორი შ.მესხია) ვკითხულობთ, რომ „საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგარეო-პოლიტიკურ მოვლენებს, საგარეო ფაქტორს, რომელსაც გარკვეულ კონკრეტულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ქონდა ფეოდალიზმის ამა თუ იმ პერიოდის ფორმირებაში" (გვ. 13), მაგრამ ჩვენს ისტორიოგრაფიაში არაა კონკრეტულად ნაჩვენები საგარეო ფაქტორის როლი ფეოდალიზმის განვითარებაში ამ ფორმაციის გენეზისიდან მოყოლებული განვითარებული საფეხურის ჩათვლით. უკანასკნელ ხანს ამ საკითხს სპეციალურად, მაგრამ ძალზე სქემატურად, შეეხო ჯ.სტეფნაძე სტატიაში „საგარეო ფაქტორის როლი ფეოდალური საქართველოს სოციალურ განვითარებაში", იხ. კრებული „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია", თბილისი, 1980.

2 ფ.ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, 1956, გვ. 198.

— ამასთან საერთო გერმანული ინტერესები სულ მუდამ ვერაგულად ირღვეოდა"[1]. აქედან ცხადია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფ.ენგელსი არაეკონომიკური ფაქტორების როლს — ეროვნული ერთიანობის შეგნება, მრავალეროვნული იმპერიის არსებობა.

შევჩერდებით აგრეთვე ი.ბ.სტალინის აზრზე, რომელიც უშუალოდ საქართველოს ისტორიის მიმართ იყო გამოთქმული: „სამთავროთა ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის ილბლიანი მეფე ახერხებდა, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულ-ადმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა და მალე ირღვეოდა მთავრების ჟინიანობითა და გლეხების გულგრილობით. სხვანაირად არც შეიძლებოდა საქართველოს ეკონომიკური დაქუცმაცების პირობებში"[2]. აქ მოტანილ ციტატაში ერთი რამ კი სწორადაა შენიშნული: სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ ჩვენი ქვეყნის ცენტრალიზაცია უცილობლად ეკონომიკის უფრო მაღალ დონესთან იქნეს დაკავშირებული.

მეორე. ქართული ფეოდალიზმის ისტორიის კვლევა-ძიება მთელი მეთხუთმეტორმეტე სს. მანძილზე გამოდის იმ ეროსაზრებიდან, რომ დიალექტიკის მოქმედების მიზეზით ადგილი აქვს განუწყვეტელ მოძრაობას დაბლიდან მაღლისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ. ეს, რასაკვირველია, სწორია საერთოდ და არა ყოველ მოცემულ შემთხვევაში, როცა ზოგჯერ, პირიქით, — ხდება საწინააღმდეგო. მოვიტანთ ფ.ენგელსის რამდენიმე აზრს. ირლანდიის შესახებ იგი წერდა: „... ინგლისელთა თავდასხმებმა ირლანდიას წაართვეს განვითარების ყოველგვარი შესაძლებლობა და უკუაგდეს იგი საუკუნეებს იქით, და თანაც სახელდობრ მეთორმეტე საუკუნიდან დაწყებული; საუკუნეების განმავლობაში გაგრძელებულმა დანიელთა თავდასხმებმა და ძარცვა-გლეჯამ უკვე მნიშვნელოვნად გამოფიტეს ქვეყანა"[3]. სხვა ადგილას ფ.ენგელსი წერდა: „როდესაც ვსწავლობდი გერმანიის ისტორიას, რომელიც ერთ მთლიან უბადრუკობას წარმოადგენს, მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ მხოლოდ საფრანგეთის ისტორიის სათანადო ეპოქებთან შედარება გვაძლევს სწორ საზომს, ვინაიდან იქ სწორედ იმის საწინააღმდეგო ხდება, რაც ჩვენში. იქ — იშვიათი ობიექტური ლოგიკა არის მთელი პროცესის მსვლელობაში, ჩვენში კი — სულ უფრო და უფრო უიმედო რღვევა"[4]. დასასრულს, ფ.ენგელსი წერდა, რომ მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში განვითარება განუწყვეტლად, ერთი მიმართულებით არ მიდიოდა[5].

---

1 ფ.ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, 1956, გვ. 199.

2 ი.ბ.სტალინი, თხზულებანი, ტ.2, გვ. 318. ეს გაერთიანება, როგორც ჩანს, ავტორს ისევე წარმოედგინა, როგორც „კიროსისა და ალექსანდრეს სახელმწიფოების" წარმოქმნა, იქვე, გვ.315.

3 К.Маркс и Ф.Энгельс, Соч, т. 32, с. 349.

4 იხ. ფ.ენგელსის წერილი ფ.მერინგისადმი 1893 წ. 14 იანვრის დაბეჭდილი წიგნში „გლეხთა ომი გერმანიაში", 1956, გვ. 179.

5 იქვე, გვ. 190.

მესამე. ვფიქრობთ, რომ ქართული ფეოდალიზმის კვლევა-ძიებისას სათანადოდ არ არის გამოყენებული ისტორიულ — შედარებითი მეთოდი. ის, რაც ამ მხრივ ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა, რჩება უკანასკნელ მიღწეულ მიჯნად. ამან განაპირობა ჩვენი შესაბამისი ხანის ისტორიული პროცესის გაღარიბებული სახით წარმოჩენა. ცნობილია კ.მარქსის აზრი იმის შესახებ, რომ ერთი და იგივე ეკონომიკური ბაზისი კონკრეტული ისტორიული პირობების ზეგავლენით ვლინდება უამრავ ვარიაციასა და გრადაციაში. ამის გაცნობიერება კი შეუძლებელია აღნიშნული მეთოდის გამოუყენებლად.

\+ + +

ჩვენს ისტორიოგრაფიაში IV-VI საუკუნეები დახასიათებულია როგორც ხანა, როდესაც მკვეთრად ჩაისახა და მნიშვნელოვნად განვითარდა ფეოდალიზმი. ამ თვალსაზრისის მიხედვით, VI ს. დახასიათებულია როგორც ფეოდალური დაშლილობის ხანის დასაწყისი, როცა ფეოდალური ანარქიის პირობებში მეფე ("ერისმთავარი") წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ primus inter pares-ს[1]. ერთი სიტყვით, ამ პერიოდიდან მოყოლებული ქართული ისტორიული სინამდვილე წარმოდგენილია იმისავე ანალოგიურად, როგორც IX საუკუნის შემდგომი დასავლეთფრანგული სამეფოს ევოლუცია. ამდენად, ჩვენი ფეოდალიზმი ამ მხრივ ფრანგულს თითქოს სამი საუკუნით წინ უსწრებდა. მაგრამ იმთავითვე იბადება ეჭვები აღნიშნული აზრის ჭეშმარიტობაში. განსხვავებით IX საუკუნის ფრანგული სინამდვლისაგან, ჩვენი ისტორიული სინამდვილე, უკვე IV-VI სს. მოყოლებული, ხასითდებოდა საგარეო საფრთხის გაძლიერებული ზემოქმედებით, რაც ჩვენი ფეოდალური პერიოდის ისტორიას მთელს მანძილზე გაჰყვა. ნათელია, რომ ამ გარემოებას თვალსაჩინო დაღი უნდა დაესვა საქართველოს ისტორიის შესაბამის ეპოქაზე უკვე IV-VI სს. მოყოლებული. ეს პერიოდი, როგორც ცნობილია, არის ჩვენს მიმართ სპარსელების (სასანიანთა ერანის) მძლავრობის ხანა. მთელი წინამავალი ე.წ. ადრეკლასობრივი საზოგადოების არსებობის მანძილზე ქართლის სამეფოს არ განუცდია ისეთი საგარეო საფრთხე, როგორსაც ადგილი ჰქონდა ამ საუკუნეებში. აგრესორი სახელმწიფო ცდილობდა მეფის ხელისუფლების გაუქმებას აღმოსავლეთ საქართველოში, ისევე როგორც მან ამას მიაღწია მეზობელ სომხეთსა და ალვანეთში. იგი ცდილობდა აგრეთვე თავისი მთავარი იდეოლოგიის — მაზდეანური რელიგიის გავრცელებას ჩვენში. საბოლოო ანგარიშით კი მისი მიზანი გახლდათ ქართული ეთნოსის გასპარსება ("დენაციონალიზაცია" ეთნიკური გაგებით), რაც შეადგენდა ერანე-

---

1 უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ისტორიის VI-IX საუკუნეები ხასიათდება ადრეულ ფეოდალიზმად, მაშინ, როდესაც ზემოთ აღწერილი სიტუაცია, მსგავსი მეცხრე საუკუნის საფრანგეთისა, ითვლება, საკუთრივ სწორადაც, განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისად.

ლთა ინტერესებს თავიანთ გლობალურ პოლიტიკაში ბიზანტიის იმპერიასთან კონფრონტაციაში. ვიმეორებთ, ქართლის სამეფო ამ პერიოდში მანამდე არნახული საფრთხის წინაშე იდგა.

ფ.ენგელსი ფეოდალიზმის განვითარების პირველი ფაზის შესახებ წერდა: „მთელი ამ არევ-დარევის დროს სამეფო ხელისუფლება რომ პროგრესულ ელემენტს შეადგენდა, ეს სავსებით ცხადია. იგი იყო წესრიგის წარმომადგენელი ამ საყოველთაო არეულობის ხანაში, იგი იყო წარმომადგენელი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერისა, რომელიც მეამბოხე ვასალურ სახელმწიფოებად დაქუცმაცებას უპირისპირდებოდა. ამიტომაა, რომ საუკუნეების მანძილზე მიზიდულობის ცვალებადი ძალით მიისწრაფვიან ვასალები სამეფო ცენტრისაკენ, რომელსაც ერთადერთს შეეძლო დაეცვა ისინი გარეშე მტერთა და ურთიერთ თავდასხმებისაგან, და რომ იგი მუდამ და აუცილებლად იქცევა ამ ცენტრისაგან მათ განმზიდველ ძალად"[1]. ეს მით უფრო უპრიანია მეოთხე-მეექვსე სს. ქართლის სამეფოს მიმართ.

და მართლაც, ვახტანგ გორგასლის გმირული შემართება სპარსელთა წინააღმდეგ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ არა მარტო თავისუფალი გლეხობის — „წურილი ერის", არამედ ზედაფენების მნიშვნელოვანი ნაწილის დარაზმულობასაც მეფის ხელისუფლების გარშემო[2]. ვახტანგის სიკვდილის შემდეგ, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, კიდევ ხუთი მეფე (დაჩი, ბაკურ, ფარსმან, ფარსმან, ბაკურ)[3] მსხდარა ქართლის სამეფო ტახტზე. ასე რომ, მეფის ხელისუფლებას ჩვენში საკმაოდ საიმედო დასაყრდენი რჩებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს ხელისუფლება მაინც გაუქმებულ იქნა. ამის უშუალო მიზეზი გახლდათ არა ფეოდალური ანარქიის გაბატონება, არამედ საგარეო ფაქტორი — სპარსელები, რომელთაც უსარგებლიათ მეფე გურგენის აჯანყების დამარცხებით[4]. თუ არა ამ გარეშე მტრის ეს პოლიტიკური აქცია, ისე მეფის ხელისუფლების გაუქმებას ასეთ მტრულ გარემოცვაში ქართლში არ ექნებოდა ადგილი.

ამ ხანის სიტუაციის გასაგებად უყოყმანოდაა მიღებული სუმბატ დავითის

---

1 ფ.ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში. გვ. 189-190.

2 ამისავე დამადასტურებელია ვახტანგ გორგასლის დიდი დამსახურების აღიარება ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში.

3 მაგრამ ეს ეწინააღმდეგება იმას, რომ 503 წლიდან (ვახტანგის გარდაცვალების ფართოდ მიღებული თარიღი) 523 წლამდე (მეფობის გაუქმებამდე) სამეფო ტახტზე მჯდარა ამდენი მეფე. ამ წინააღმდეგობიდან გამოსავალს ვ.გოილაძე ხედავს იმაში, როომ მეფობის გაუქმების ხანგადაქცევა დაახლ. 537 წელს. იხ. ავტორის საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი „Политическое развитие Картли с начала VI в. до конца 30 г. VI в.", 1979.

4 პროკოპი კესარიელის მიხედვით, როდესაც დამარცხებული გურგენი ეგრისში გადასულა, მას თან გაყოლიან დიდებულებიც. იხ. გეოგრიკა, II, გვ. 50-51.

ძის ცნობილი სიტყვები: „ხოლო ვინაითგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამადმდე. არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან"[1]. მაგრამ ამ ციტატაში აშკარად გამოსჩვივის მეთერთმეტე საუკუნის მონარქისტულად განწყობილი ისტორიკოსის განწყობილება, მისწრაფება მეათე საუკუნის ქართლის აზნაურთა ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გადაეტანა მეექვსე საუკუნის ვითარებაზე. სინამდვილეში სპარსელთა მიერ ქართლში დამყარებული რეჟიმი სულაც არ იყო აქაურ აზნაურთა მმართველობა, მითუმეტეს ანარქია; ქვეყანა, როგორც ცნობილია, რანთან ერთად გაერთიანებული იყო ერანელთა ხელქვეით ერთ სამარზპანოში (შემდეგ უფრო დიდი ადმინისტრაციული ერთეულის — კუსტაკის შემადგენლობაში), სპარსეთიდან გამოგზავნილი მარზპანებით სათავეში[2]. ამ დროს არსებულა აგრეთვე ქართლის მამასახლისის სახელოც, რაც აგრეთვე მიუთითებს ცენტრალიზაციის მომენტს ამ პერიოდის ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მაგრამ, როგორც ჩანს, მეფის ხელისუფლების უქონლობა ქართლში სულაც არ აწყობდა ქართველ აზნაურთ. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენილა თანამედროვე ბიზანტიელი ისტორიკოსისათვის, რომლის სიტყვებითაც გურგენ მეფის დამარცხების შემდეგ სპარსელები ქართველებს არ აძლევდნენ ნებას თავიანთი მეფე ჰყოლოდათო[3].

„ქართლის ცხოვრების" ტრადიციის თანახმად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სპარსელები დაყრდნობიან პარტიკულარისტულ ძალებს, რომელთაც პირველნი საერისთაოების მემკვიდრეობითობას შეჰპირებიან, რაც მათ, ასევე შემდგომ ხანაში — ბიზანტიელებს, თითქოს შეუსრულებიათ კიდევაც. თუ ასეა, მაშინ ჩვენს მაშინდელ ისტორიაში ადგილი ჰქონია საგარეო ფაქტორის მძლავრ ზემოქმედებას ფეოდალური ურთიერთობებების განვითარებაში. სხვანაირად: მტრის სუბიექტურ მიზანს, divide et impera-ს ზრახვით, ობიექტურ შედეგად მოჰყოლია ფეოდალიზმის პროცესის მნიშვნელოვანი დაჩქარება[4]. მაგრამ, მეორე მხრივ, სასანური ერანის სახით მტრული საგარეო ფაქტორის ზემოქმედება ქართლის სახელმწიფოს მიმართ აძლიერებდა სოლიდარობას ჩვენს წინაპრებში, როგორც დაბალ, ისე მაღალ ფენებში.

ქართლში მარზპანთა ხელისუფლებას ბოლო მოღებია 571 წელს, რაც თავის

---

1 ქართლის ცხოვრება, I, 1955, ს.ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 373.
2 "ქართლის ცხოვრებაში" მომდევნო აბზაცში წერია: „და სპარსნი უფლებდეს ქართლს", გვ. 373.
3 გეორგიკა, II, სიმ. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 94.
4 ამასთანავე, როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრებაში" არის მეორე ტრადიციაც, რომელიც საერისთაოების მემკვიდრეობით დასაკუთრებას არჩილის ზეობას (მერვე საუკუნის პირველ ნახევარში) მიაწერს.

მხრივ გამოწვეული იყო კვლავ საგარეო ფაქტორით — ბიზანტიელების მიერ სპარსელებზე გამარჯვებით და მათი განდევნით ქართლიდან (თბილისის გამოკლებით). ამავე წელსვე აღდგენილა ეროვნული ხელისუფლება ქართლში. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თვის-თვისსა საერისთაოსა შეუცვალებლად. მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი, და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს. ამასა გუარამს მისცა კეისარმან კურაპალატობა, და წარმოგზავნა მცხეთას და მეფობდა (გუარამ) კეთილად და უშფოთველად“[1].

მოტანილი ციტატიდან ჩანს ქართლის დიდებულთა (ერისთავთა) ლეგიტიმისტური განწყობილება, რაც სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის გაძლიერების სურვილით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. ამიტომაც ისინი ალბათ მომხრენი უნდა ყოფილიყვნენ უწინდელი მმართველი დინასტიის (ხოსროიანთა) აღდგენისა. მაგრამ ბიზანტიელი იმპერატორის ნება-სურვილს ამაში თავისი კორექტივი შეუტანია: კანდიდატად წამოუყენებია გუარამ ბაგრატიონი, რომელიც დედით ბერძენი ყოფილა და თანაც უკანასკნელის სამფლობელო (კლარჯეთი და ჯავახეთი) ბიზანტიის მეზობლად, და ამდენად მის კონტროლს ქვეშ იმყოფებოდა. ამრიგად, ჩვენში კვლავ აღდგენილა ეროვნული სახელმწიფოებრიობა, ერისმთავრით სათავეში.

მეორე მხრივ, ძველი ქართველი ისტორიკოსი გუარამის ზეობას „მეფობის“ ტიტულით მოიხსენიებს; მის მიხედვით გუარამ კურაპალატი ამავე დროს ითვლებოდა ქართლის 39-ე მეფედ. მაგრამ გუარამის ძე სტეფანოზი ჩვენს საისტორიო კრებულში მოხსენიებულია „ერისთავთა მთავრად“. მაგრამ რაც მთავარია, ისტორიკოსი სტეფანოზის მიმართ დასძენს: „მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს“[2] . ე.ი. მემატიანისათვის ნათელია ის გარემოება, რომ სტეფანოზის და სხვათა მეფის ტიტულით მოუხსენებლობის მიზეზი ყოფილა საგარეო ფაქტორი, კერძოდ ბიზანტია და სპარსეთი, რის გამოც ქართლის მმართველის ტიტულს დაქვემდე-

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217. მატიანის სხვა ცნობით გუარამ ბაგრატიონის ერისმთავრად არჩევაში მონაწილეობდა ქართლის მოსახლეობის ფართო ფენები ("და ერთად შეკრბა ყოველი ქართლი და გამოარჩიეს გუარამ"), იქვე, გვ. 374.

2 ქართლის ცხოვრება, I, გვ.222. 42-ე ერისმთავარ ადარნასე ხოსროიანზე მატიანეში წერია: „სხვა ყოველი ქართლი დაიპყრა ადარნასე ბაკურის ძემან მთავრობით, და მეფობისა სახელი ვერცა მან იკადრა“. იქვე, გვ. 226.

ბარებული მდგომარეობისათვის უნდა გაესვა ხაზი[1]. ამდენად, დიდებულთა მისწრაფება მეფე მხოლოდ primus inter pares ყოფილიყო აქ უმნიშვნელო იქნებოდა. „ერისმთავრის“ ხელი სულაც არ ყოფილა ძალზე დაკნინებული, მსგავსად პირველი კაპეტინგებისა საფრანგეთში. თვით სტეფანოზი (რომელიც ამაყად აცხადებდა: „მეფეთა საყდარსა ვზი!“) მატიანეში „დიდის“ ეპითეტით არის მოხსენიებული (“და მთავრობდა ქართლს იგივე სტეფანოზ დიდი“), ხოლო 43-ე და 44-ე ერისმთავარნი (მირ — არჩილ) — მეფეებად[2]. ეს კი ბიზანტიის მიმართ ქართლის უზენაეს მმართველთა დამოუკიდებლობის ჟესტს მიუთითებს.

ამრიგად, მეექვსე-მერვე სს. ქართლის უზენაეს მმართველთა სტატუსი სრულიადაც არ იყო მსგავსი primus inter pares-ის სიტუაციისა, მათი პოზიცია სულაც არ ყოფილა განპირობებული მხოლოდ საკუთარი დომენის (ბაგრატიონთათვის — კლარჯეთი და ჯავახეთი და ხოსროიანთათვის — კახეთ-კუხეთი) ტერიტორიის სიდიდითა და მოსახლეობის რაოდენობით. ვიმეორებთ: იმდროინდელი საგარეო ისტორიული ვითარება მოითხოვდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას, საზოგადოების, ყოველ შემთხვევაში დიდი ნაწილის, დარაზმულობას მის გარშემო.

ნ.ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „არაერთხელ იყო, რომ ძალების გაერთიანებით, ერთიმეორის მხარდამხარ ცდილობდნენ კავკასიის ხალხები უცხო დამპყრობელთა უკუგდებას და ამავე დროს კეთილმეზობლური კულტურული თანამშრომლობით ამზადებდნენ ნიადაგს ერთიანი დიდი ქვეყნის შექმნისათვის“[3]. ეს მტკიცება, რა თქმა უნდა, არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ კითხვა ისმის: თუ საგარეო ფაქტორი ასე ამჭიდროებდა, სოლიდარულს ხდიდა სხვადასხვა ხალხებს, განა მას არ შეეძლო, ყოველ შემთხვევაში, ნაკლები როლი არ ეთამაშა ერთი ხალხის გაერთიანებაში საგარეო მტრის წინააღმდეგ?

ჩვენ ოდნავ გვერდს ავუვლით სტატიის ძირითად თემას და დავსვამთ კითხვას: რამ გადაგვარჩინა?, რომელიც არაერთხელ დასმულა მრავალი ქართველის

---

1 ივანე ჯავახიშვილის შენიშვნით, ბიზანტიის იმპერატორები მეთერთმეტე საუკუნეშიც კი გაურბოდნენ ქართველ ხელმწიფეთა მიმართ მეფის ტიტულის ხმარებას. იხ. ქართული ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1965, გვ. 109-110.

2 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 375. შევნიშნავთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში სტეფანოზი „დიდის“ ეპითეტით ოთხჯერაა მოხსენიებული, ხოლო ატენის სიონის წარწერაში არჩილი — „ღმრთივგვირგვინოსნად“. იხ. გ.აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბილისი, 1977.

3 ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 318; იხ. აგრეთვე „საქართველოს ისტორია“, 1958, გვ. 159, 160, 161, 187. აქ მოტანილ მაგალითებს წინაფეოდალური ხანის ისტორიიდან დავუმატებდით რომის წინააღმდეგ იბერიელთა, სომეხთა და ალვანელთა გაერთიანებას პონტოს სამეფოს მეთაურობით, აგრეთვე ამ სამი ხალხის გაერთიანებას მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში სპარსთაგან თავდასაცავად.

წინაშე. ამაზე პასუხები ასეა გაცემული: შესაბამისი ეკონომიკური ბაზა (ილია ჭავჭავაძე), ჩვენი ბუნებრივი, მთიანი გარემო (ივანე ჯავახიშვილი, გ.ქიქოძე), სოფლის მეურნეობის ხასიათი, რის წყალობითაც სწრაფად ხდებოდა მისი აღდგენა (ნ.ბერძენიშვილი). ამას უნდა დაემატოს ჩვენი ქვეყნის შედარებითი დაშორებულობა აგრესიული ცენტრებისაგან, ქართველთა მეომრული ხასიათი[1] და სოლიდარობის გრძნობა, ყოველ შემთხვევაში ხალხის უდიდეს ნაწილში, ხალხის დარაზმულობა გარეშე მტრის წინააღმდეგ[2].

მაგრამ მივყვეთ სტატიის ძირითად თემას. სტეფანოზ ერისმთავარი, როგორც ჩანს, ვერ შეჰგუებია ბერძენთა (ბიზანტიელთა) მძლავრობას ქართლზე და მათ წინააღმდეგ, დაყრდნობია რა სპარსელებს, აჯანყებულა. გამარჯვებულმა ბერძნებმა ბაგრატიონები გადააყენეს მმართველობიდან და კვლავ აღადგინეს ხოსროიანთა დინასტია. ეს დინასტია, ისევე როგორც ძველად, ამჯერადაც ზეობდა მთელი უწინდელი ქართლის ფარგლებში. კიდევ მეტი, რიგ თანამედროვე ისტორიკოსთა მტკიცებით, სწორი უნდა იყოს ჯუანშერის ცნობა იმის შესახებ, რომ ქართლის სამეფოს შემოუერთებია ლაზიკა (ეგრისი), ხოლო აფხაზეთის საერთისაო ყმადნაფიცად (ვასალად) გაუხდია[3]. ამდენად, ფეოდალური დაშლილობის მაგიერ ამ პერიოდის საქართველოში შეინიშნება საწინააღმდეგო მოვლენა: ქართული „ქვეყნების"[4] შემოკრება სამეფო ხელისუფლების (ბაგრატიონები, ხოსროიანები) გარშემო. ეს კარგადაა შემჩნეული „ნარკვევების" მეორე ტომის წინასიტყვაობაში (ავტორი შ.მესხია), სადაც ნათქვამია: „ასე რომ, ადრეფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდი მეექვსე საუკუნიდან კი არ იწყება, ანდა ქვეყნის დაქუცმაცება ამ დროს კი არ იქცა ფაქტად, არამედ მერვე ს. შუა წლებიდან, რაც ნახევარი საუკუნის შემდეგ ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნით, ე.ი. ქვეყნის ადრეფეოდალური დაქუცმაცებულობით

---

1 ეს, როგორც ცნობილია, locus communis არის უცხოელთა თხრობაში ქართველთა შესახებ, ასე რომ, მ.ლერმონტოვის „робкие грузины" მხოლოდ გაუგებრობის ნაყოფია.

2 მოვიგონოთ ვახუშტის მიერ შენიშნული ქართველთათვის დამახასიათებელი თვისებები: „პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა". იხ. ქართლის ცხოვრება, ტ.IV, 1973, გვ. 291. გარეშე მტრების წინააღმდეგ ქართული საზოგადოების შეშფოთებულობას, ამით კლასთა შორის ბრძოლის სისუსტეს აღნიშნავდნენ ი.ჯავახიშვილი, თ.ჟორდანია, ს.დანელია, გ.ნათაძე.

3 იხ. ს.ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, გვ. 89; საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 123; გაბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. არჩილ მეფის (719-745 წწ.) რეფორმით მეფეს რჩებოდა სამეფოს ტერიტორიის (ალბათ მოსახლეობისაც) 50 პროცენტი, ხოლო ერისთავების გამგებლობაში გადადიოდა დანარჩენი 50 პროცენტი. იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 249, 251. აქედან ჩანს, თუ რა საკმაო ძალა აქონია მეფის ხელისუფლებას მერვე საუკუნეშიც კი. სხვათა შორის, ქართლის მეფის ხელისუფლების განვრცობის კვალი დასავლეთ საქართველოში ჩანს „მატიანე ქართლისაჲ"-შიც.

4 ზოგჯერ ხმარობენ გამოთქმას „ქართული მიწები", რაც ქართული ენისათვის უცხოა (კახეთის მიწა, იმერეთის მიწა?!) და რუსული ენიდან გადმოტანილი კალკია.

დასრულდა"[1] . იმავე ნაშრომში შემდეგ ვკითხულობთ: „მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის განვითარებას, ნატურალური მეურნეობის განუყოფელი ბატონობის პირობებში, საერთოდ ყველგან მივყევართ ფეოდალურ დაქუცმაცებულობამდე[2]: ასე მოხდა კერძოდ საქართველოშიც"[3].

მაგრამ გვეჩვენება, რომ აქაც მეორდება იგივენაირი შეცდომა, როგორიც მეექვსე საუკუნის პირველი მეოთხედის შემდეგდროინდელი ქართლის სამეფოს მიმართ, როცა იგნორირება ხდება საგარეო ფაქტორის როლისა სამეფო ხელისუფლების გაუქმებაში. ამჯერად იგნორირებულია არაბთა როლი ქართლის სამეფოს პოლიტიკურ განვითარებაში. თუ არა საგარეო ფაქტორის დიდი ძალით (რასაკვირველია, უარყოფითი მნიშვნელობით) ზემოქმედება აღმოსავლეთ საქართველოზე, სხვა პირობებში ბაგრატიონებს ან ხოსროიანებს შეეძლოთ სამეფოს შემდგომი გაფართოება და გაძლიერება. მაგრამ ეს, ცხადია, არ აწყობდათ არაბ დამყრობლებს, რომელთა წინაალმდეგაც ქართლი არაერთგზის ჯანყდებოდა (მაგალითად, ნერსე ერისმთავრის, აშოტ კურაპალატის მეთაურობით). ამიტომაც არაბები ყოველნაირად ცდილობდნენ ქართლის სამეფო ხელისუფლების დასუსტებას, ხოლო შემდეგ, მერვე საუკუნის ბოლოსათვის, იგი კიდევაც გააუქმეს. ამის თაობაზე მემატიანე წერს: „ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან (sic !) დიდთა მეფეთა (sic !) ხუასროიანთამან. პირველად, უფლება სარკინოზთა განდიდნა და მიერითგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ჟამითი-ჟამად რბევასა და ოხრებასა. მეორედ, იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას. და უკეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელიმცა ღირს იყოს მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან".[4] ქართველი მემატიანე ნათლად ხედავს საგარეო ფაქტორის — არაბთა მძლავრობის გადამწყვეტ როლს ქართლის სამეფოს დაძაბუნებაში, შესაბამისად — მეფის ხელისუფლების დასუსტებაში. გარდა არაბებისა, აღმოსავლეთ საქართველოსათვის ასეთივე შედეგები ჰქონდა ხაზართა შემოსევებს.

ბოლოს, როგორც ვიცით, აშოტმა ვეღარ გაუძლო არაბთა ბატონობას ქართლში, მათ ხელქვეით საცოდავი პოლიტიკური მარიონეტის მდგომარეობაში ყოფნას და გადავიდა სამხრეთ საქართველოში, სადაც დაეუფლა, ბიზანტიელთადმი ვასალობის პირობით, ბაგრატიონთა ძველ სამფლობელოს.

ამრიგად, სამეფო ხელისუფლება ქართლში მოისპო, ამით საქართველოს ამ

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.II. გვ. 19; იხ. აგრეთვე დ. მუსხელიშვილი, ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (მეოთხე-მეათე საუკუნეები), მაცნე, ისტორიის... სერია, 1980, № 2, გვ. 161-63.

2 ავტორი ამ აზრის მტკიცებისას ეყრდნობოდა საბჭოთა ისტორიკოს კ.ბაზილევიჩის მოსაზრებას.

3 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. გვ. 20.

4 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 250.

ისტორიულმა რეგიონმა ამიერიდან უკვე ვეღარ შესძლო წამყვანი როლი ეთამაშა საქართველოს გაერთიანებაში. მიზეზი კი გახლდათ, ვიმეორებთ, უწინარეს ყოვლისა საგარეო ფაქტორი და არა შინაგანი ფეოდალური დეცენტრალიზაცია. ასევე დაემართა ეგრისის სამეფოსაც. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ უკანასკნელის მიმართ მძლავრობდნენ ბიზანტიელები და მისი ამ პერიოდის ისტორია ისეთი დრამატული პერიპეტიებით არ ყოფილა აღსავსე, როგორითაც — აღმოსავლეთ საქართველოსი. ბიზანტიელთა მიზეზით სამეფო ხელისუფლება აქაც დასუსტდა და ბოლოს მოისპო კიდეც. საბოლოო ანგარიშით კი ვეღარც ეგრისმა შესძლო წამყვანი როლი ეთამაშა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებაში და იძულებული გახდა ასეთი როლის აღსასრულებლად ისტორიის არენა პერიფერიისათვის (აფხაზთა საერისთაო) და ტაო-კლარჯეთისათვის დაეთმო.

დასასრულს დავსძენთ, რომ მეექვსე-მერვე საუკუნეების განმავლობაში მეფის ხელისუფლების შედარებითი სიძლიერე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, განპირობებული იყო არა მხოლოდ საზოგადოების დიდი ნაწილის შემჭიდროებით მეფის ხელისუფლების გარშემო, არამედ თავისუფალი გლეხობის თვალსაჩინო მასის არსებობითაც, რომელსაც მეფის ხელისუფლება ეყრდნობოდა.

ყოველივე ზემოთქმულს დავუმატებდით იმასაც, რომ სწორედ ამგვარმა საგარეო — ისტორიულმა ვითარებამ განსაზღვრა იდეოლოგიის ("შუშანიკის მარტვილობა", „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა", განსაკუთრებით „წამება წმიდისა ჰაბოჲსი") თავისებურებაც. ის რელიგიური და პატრიოტული სულისკვეთება, რომლითაც იმდროინდელი იდეოლოგები მიმართავდნენ ქართულ საზოგადოებას, აუდიტორიად გულისხმობდა მოსახლეობის მთელ მასას და არა მხოლოდ ზედაფენებს. შესაბამისად, გამოძახილიც მთელი მასიდან, და არა მხოლოდ ზედაფენებიდან, მოდიოდა.

\+ + +

ამდენად, ჩვენი აზრით, გარეგანი ძალა (არაბები და ბიზანტიელები) წარმოადგენდნენ იმ გადამწყვეტ ფაქტორს, რომელმაც მოსპო მეფის ხელისუფლება ქართლისა და ლაზიკის სამეფოებში, ე.ი. იმ რეგიონებში, რომელთაც (განსაკუთრებით ეს ითქმის ქართლის სამეფოს მიმართ) გამაერთიანებელი ცენტრის როლი უნდა ეთამაშათ ჩვენი ქვეყნის გაერთიანებაში. მაგრამ მოვლენათა მსვლელობა სულ სხვანაირად წარიმართა. ამიერიდან ქვეყნის გაერთიანების საქმეში აქტიური იმპულსები მოდიოდა პერიფერიებიდან. ამ სამეფო-სამთავროების ხელმძღვანელ პოლიტიკურ ძალას უშუალოდ ვიწრო მიზანი ჰქონდა დასახული — თავიანთი საბრძანებლის გაფართოება-გაძლიერება, მაგრამ ამ ვიწრო მიზნების განხორციელებაში, ურთიერთშორის კონკურენცია — ბრძო-

ლის გზით, გზას იკაფავდა ქართული საზოგადოების, ჩვენი ეთნოსის საერთო ინტერესის, იდეალის ხორცშესხმა.

რა იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მეათე ს. ბოლო მეოთხედსა და მეთორმეტე ს. პირველ მეოთხედში, ე.ი. 150 წლის მანძილზე მოხდა ერთიანი ქართული ცენტრალიზებული მონარქიის წარმოქმნა, რითაც მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ერთიანი ქართველი ხალხის ანუ ერის ჩამოყალიბებას? რა მიზეზებმა განაპირობა, რომ მაშინ როდესაც ჩვენი მეზობელი ხალხების მდგომარეობა ასე უარესდებოდა — უნუგეშოდ ქვეითდებოდა ბიზანტიის იმპერია, დაძაბუნებული იყო სპარსთა ეროვნული ენერგია, რომლის გამოც შექმნილი პოლიტიკური ვაკუუმის აღდგენას ამ ხანაშიც და შემდეგაც აქ ჩამოსახლებული თურქული ეთნოსი ცდილობდა; როცა მოიშალა სომხეთის განვითარების პერსპექტივები, ხოლო ალვანეთში ძველი ეთნოსი ქრებოდა, ერწყმოდა რა თურქული მოდგმის მოსახლეობას, — ქართველი ხალხის, ერის განვითარება პირიქით, აღმავალი გზით მიდიოდა.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია თვალსაზრისი, რის თანახმადაც ერთიანი, ცენტრალიზებული ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა და ამით „ერთიანი ქართველი ხალხის" წარმოქმნის ასეთი დაჩქარება ხდებოდა XI-XV სს. პერიოდის საფრანგეთის ანალოგიურად. ერთი სიტყვით, ამ მოვლენებს უკავშირებენ საწარმოო ძალების აღმავლობას, ქალაქების განვითარებას, ქვეყნის ცალკეულ მხარეებს შორის ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების გამო ერთიანი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობას და ა.შ. გამოთქმულია მოსაზრებაც (ავტორი მ. ლორთქიფანიძე), რომ გაერთიანების პროცესი ჩვენში დააჩქარა ბრძოლამ უცხოელ აგრესორთა წინააღმდეგ[1]. ამდენად, ბაგრატ III-ის, ბაგრატ IV-ის და სხვათა პოლიტიკური მოღვაწეობა ძირითადად განიხილება ისეთსავე პლანში, როგორც ლუი XIII-ის და სხვათა მოღვაწეობა საფრანგეთის ისტორიაში. გაერთიანების გარდუვალობას ხსნიან აგრეთვე კლასთა ბრძოლის გამწვავებულობით, რის გამოც თითქოს გაბატონებული ფენებიც იყვნენ დაინტერესებულნი ერთიანი, ძლიერი მონარქიის შექმნით. ამას უმატებენ აგრეთვე ირიგაციის საჭიროებას (ნ.ბერძენიშვილი). რაც შეეხება იმ სოციალურ ბაზას, რაზე დაყრდნობითაც სამეფო ხელისუფლებამ თითქოს მიაღწია ქართული ქვეყნების შემოკრება-გარეთიანებას, ასახელებენ მის კავშირს ქალაქების მოსახლეობასთან, საშუალო და წვრილ აზნაურობასთან.

მაგრამ აღნიშნული მოვლენის ასეთი ახსნა ჩვენ არ მიგვაჩნია დამაჯერებ-

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.II, გვ. 507. უფრო ვრცლად ავტორის აზრები იხ. წიგნში „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX - X სს.)", თბილისი, 1963.

ლად. ვფიქრობთ, რომ საქართველოს გაერთიანება გაგრძელება იყო იმ ტენდენციისა, რომელსაც წინა საუკუნეებშიც ჰქონდა ადგილი და რომელიც აღკვეთა საგარეო ფაქტორის მოქმედებამ. კერძოდ, ბრძოლამ საგარეო საფრთხის წინააღმდეგ, ეროვნული ერთიანობის საჭიროების შეგნებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობეს ქართული ქვეყნების გაერთიანების აუცილებლობა და შესაბამისად თვით გაერთიანების ფაქტი. ამ მხრივ ანალოგიას ვხედავთ მეათე საუკუნეში აღმოსავლეთ ფრანკთა გაერთიანების სახით საქსონიური დინასტიის ხელქვეით. ამდენად, ბაგრატ მესამისა და სხვა ქართველ გამაერთიანებელ მეფეთა საქმიანობა მსგავსია ჰაინრიჰ I (919-936 წწ.), ოტონ I (936-973 წწ.) და სხვათა მოღვაწეობისა. თუ ჩვენთან ეს პროცესი დაყოვნდა, იგი გამოწვეული იყო საგარეო ფაქტორის (ბიზანტიელები, თურქ-სელჩუკები) მეტი შემაფერხებელი ზემოქმედებით. საერთოდ, აქაც, ე.ი. გერმანიის შესაბამის პერიოდშიც, გაერთიანების საჭიროება ნაკარნახევი იყო საგარეო საფრთხით (მადიარებისა და ნორმანების შემოსევები)[1]. დასავლეთ ევროპაშიანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი აგრეთვე პოლონეთში XI-XIII სს. მანძილზე, გერმანელთა (ტევტონთა და მახვილოსანთა ორდენები) აგრესიის საპასუხოდ[2]. მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპის აღნიშნულ ქვეყნებში თითქოსდა უნდა დაწყებულიყო ადრინდელი ფეოდალური დაშლილობა, მოხდა პირიქითი მოვლენა — ქვეყნის გაერთიანება[3]. მაგრამ ჯერჯერობით არ შევეხებით ამ გაერთიანების სოციალურ ბაზას.

თუ მივყვებით ეკონომიკურ და სოციალურ ბაზაზე X-XII სს-ში საქართველოს გაერთიანების აღნიშნული თვალსაზრისის არგუმენტაციას, თვალში გვეცემა ამ ახსნის ხელოვნურობა. დავიწყებთ ეკონომიკური საფუძვლიდან. საქართველოში არაბთა ხანგრძლივ ბატონობას, ალაფისა და ხარკის აკრეფით, დრო და დრო გამანადგურებელი შემოსევებით (მურვან ყრუს, ბუღა-თურქის, აბულკასიმის ლაშქრობები), ცხადია, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. და ეს, რა თქმა უნდა, შეფერხებისა და დაქვეითების აზრით. იმდროინდელი ქართველი იდეოლოგი იოანე საბანისძე მერვე საუკუნის დამლევის აღმოსავლეთ საქართველოს ვითარებას ასე ახასიათებდა: „... ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ჭეუეშე დამონებულნი და ნაკლულოვანები-

---

1 იხ. История средних веков, т. I, М., 1966, с. 205.

2 ცნობილია, რომ ამ მიზნით პოლონეთი უნიით შეუკავშირდა ჯერ უნგრეთს და შემდეგ — ლიტვას.

3 ამ ქვეყნებისაგან განსხვავებით იტალიამ დიდი ხნის მანძილზე ვერ შესძლო გერმანიის წინააღმდეგ გაერთიანება. ეკონომიკური მიზეზის გარდა (საგარეო ვაჭრობის დიდი როლი ქვეყნის წამყვანი ქალაქების განვითარებაში), ალბათ იმანაც ითამაშა დიდი როლი, რომ აღნიშნული საფრთხე, — აგრეთვე ფრანგებისა და ესპანელების მხრივ, — არ იყო ისეთი ძლიერი, რომ იტალიელ ეთნოსს მოსპობით დამუქრებოდა.

თა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვირძვირად ზღვეულნი“-ო[1]. ასეთ პირობებში საწარმოო ძალების ზრდა, რასაც გამოხატულება უნდა ეპოვა ქალაქების, აღებ-მიცემობის განვითარებაში, ჭარბი აგრარული მოსახლეობის დაწოლაში სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალებზე[2] და ა.შ., ყოველ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო ისეთი მნიშვნელოვანი, რომ მათ შესაფერისი ძვრები გამოეწვიათ სოციალურ და პოლიტიკურ (სახელმწიფო ფორმის) განვითარებაში. კერძოდ, ასეთ ვითარებაში ქალაქები არ იქნებოდა ისეთი რაოდენობის, ეკონომიკური შეძლებისა და პოლიტიკური მნიშვნელობისა,რომ სოლიდური საფუძველი გამხადრიყო ერთიანი სახელმწიფოს განვითარებისათვის[3]. მართლაც, თუ ამ საუკუნეების პოლიტიკური ფაქტებიდან გამოვალთ, დასკვნა ქალაქების ასეთ დიდ როლზე ქვეყნის გაერთიანების საქმეში შეუძლებელი გახდება[4].

რაც შეეხება ცენტრალიზებული მონარქიის შექმნის აუცილებლობას კლასთა ბრძოლის გამწვავების მიზეზით, ამ მხრივაც აღნიშნული პერიოდის საქართველოში ვერ ვხედავთ კლასთა ბრძოლას და მითუმეტეს — მის გამწვავებულობას. ამას გამორიცხავდა, სხვათა შორის, საგარეო საშიშროების არსებობაც, რომელიც აღვივებდა სოლიდარობის გრძნობას მოსახლეობის ფართო ფენებს შორის. ლოკალური ხასიათის სოციალური ანტაგონიზმები, რასაკვირველია,

---

1 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963, გვ. 50.

2 ამ დარგში ტექნიკის განვითარებას ივანე ჯავახიშვილი უკავშირებდა მეთორმეტე საუკუნეს. იხ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ.I, გვ. 50.

3 “საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეორე ტომში (შესაბამისი თავის ავტორია თამარ გამსახურდია) აღნიშნულია, რომ მეოთხე-მეექვსე სს. ქართლში ადგილი პქონდა ქალაქების დაცემას და რომ ეს პროცესი გრძელდებოდა მეცხრე ს. მეორე ნახევრამდე, იხ. გვ. 118-138. ამავე ნაშრომში, ლაპარაკია რა მეცხრე-მეათე სს. ვითარებაზე, ჩამოთვლილია სულ თხუთმეტამდე ქალაქი, ისიც სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი ხვედრითი წონით, იხ. გვ. 339-358. ასე რომ, თუ იმდროინდელი საქართველოს ფართობს ჩავთვლით 120 ათას კვ.კმ-ის ოდენად, სადაც სულ თხუთმეტიოდე ქალაქი არსებობდა, ერთი ქალაქი მოდიოდა რვა ათას კვ.კმ-ზე, რაც აშკარად დაბალია განვითარებული შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელზე. მაგალითად, ჯერ კიდევ 1100 წლისათვის იმდროინდელ საქართველოზე ცოტათი მეტი ტერიტორიის მქონე ინგლისის სამეფოში ასამდე ქალაქი იყო.

4 ნორმალურ პირობებში ქალაქების განვითარება თვალსაჩინოდ მოხდებოდა, ბუნებრივი პირობების წყალობით, აღმოსავლეთ საქართველოში. ამისაგან განსხვავებით კი დასავლეთ საქართველოს ბუნება არ წარმოადგენდა სათანადო საფუძველს ურბანიზაციის პროცესის გაღრმავებისათვის (ნალექების სიხშირე, ნიადაგების შედარებით სიმწირე და დაჭაობებულობა, ოპტიმალური პურეული კულტურის-სიმინდის არარსებობა, მოსახლეობის სიმცირე და ა.შ.). რაკი სიტყვამ მოიტანა ბუნების როლზე შეეჩერებულიყავით, აღვნიშნავთ აჭარა-ახალციხისა და სურამის ქედების დამაბრკოლებელ როლს საქართველოს ორი დიდი ნწილის მჭიდრო დახლოებაში. მაგრამ ეს ფაქტორი მაინც არ ყოფილა გადაულახავი ხასიათისა, თუნდაც ტრადიციული კომუნიკაციების პირობებში.

ვერ ცვლის საერთო სურათს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, პატრონყმობის ინსტიტუტის ფართოდ გავრცელება საკმარისი იყო გლეხობის მორჩილებაში მოსაყვანად ლოკალური მასშტაბებით.

მაშ რა საფუძველზე მოხდა საქართველოს გაერთიანება მეათე-მეთორმეტე საუკუნეებში? ჩვენ უკვე შევეცადეთ ამაზე ნაწილობრივ გაგვეცა პასუხი. მეორე დიდი მიზეზი უნდა ვეძიოთ ხელსაყრელ საგარეო სიტუაციაში, რაც შენიშნულ იქნა ივანე ჯავახიშვილის მიერ[1]. მართლაცდა, თუ არა ამ ფაქტორის მოქმედება, ისე ოდენ შინაგანი ფაქტორებით შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის გაერთიანება. თუ მეშვიდე-მერვე საუკუნეების განმავლობაში გაერთიანების საქმე ვერ იქნა ბოლომდე მიყვანილი, ამას, როგორც ვიცით, ხელი შეუშალა არახელსაყრელმა საგარეო პირობებმა, გაძლიერებული ბიზანტიისა და არაბების სახით[2]. მაგრამ ამჯერად სიტუაცია შეიცვალა; ორივე აგრესიული სახელმწიფო დაუძლურებულიყო, ამასთანავე ისინი ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ძალებს წარმოადგენდნენ. შემდეგში, მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, მდგომარეობა ჩვენთვის არახელსაყრელი გახდა მახლობელ აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკიანთა დიდი სახელმწიფოს წარმოქმნის შედეგად, რამაც კვლავ მკვეთრად შეაფერხა საქართველოს გაერთიანება. მაგრამ რამდენიმე ათეული წლის გასვლის შემდეგ სიტუაცია ჩვენთვის კვლავ ხელსაყრელი შეიქნა; მალე დაუძლურდნენ თურქ-სელჩუკებიც, რაც გამოიხატა მათი იმპერიის დეცენტრალიზაციაში, ამასთანავე მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკურ ძალთა ბალანსი, ჯვაროსნული ლაშქრობების წყალობით, ჩვენთვის სასარგებლოდ შეიცვალა.

აი ასეთი ხელსაყრელი საგარეო-ისტორიული სიტუაციის გამოისობით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვნად დაჩქარებულიყო ერთიანი ქართველი ხალხის, ერის ჩამოყალიბება. ეს ერთიანობა, როგორც უკვე შენიშნულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ყალიბდებოდა ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში და გამოხატულებას ჰპოულობდა ერთიან რელიგიაში, ეკლესიაში, ენასა და კულტურაში (საეკლესიო არქიტექტურა, სასულიერო მწერლობა, თარგმნილი ლიტერატურა, ისტორიოგრაფია) და, მნიშვნელოვანწილად, — პოლიტიკურ ერთიანობაში. ასე რომ, საქართველოს გაერთიანება ერთიანი მმართველობის ქვეშ სულაც არ წარმოადგენდა შემთხვევითობას და ოდენ ცალკეული „იღბლიანი“ მეფეების საქმიანობის შედეგს (ი.ბ.სტალინი).

რაც შეეხება მეფის ხელისუფლების დასაყრდენ სოციალურ ბაზას, იგი უპირველესად უნდა ვეძებოთ თავისუფალი გლეხობის ჯერ კიდევ მნიშვნელო-

---

1 ი.ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი მეორე. გვ. 92-93.

2 შევნიშნავთ, რომ საქართველოს გაერთიანება მანამდეც, წინაფეოდალურ საქართველოში, შეიძლებოდა, მაგრამ ამას ხელს უშლიდა არახელსაყრელი საგარეო-ისტორიული სიტუაციები.

ვანი ფენის არსებობაში[1]. გაერთიანების საქმეში ქართველი მეფეები ემყარებოდნენ აგრეთვე გარეშე ძალას — ხაზარებს, ყივჩაყებს, ოსებს. საგარეო საშიშროების აღკვეთა (განსაკუთრებით თურქ-სელჩუკებისა საერთოდ, „დიდი თურქობისა" კერძოდ) შედიოდა აგრეთვე დაყმევებული ან ფეოდალური დამოკიდებულების სხვაგვარ ფორმაში მყოფი გლეხობის ინტერესებშიც, მაგრამ ეს მასა პოლიტიკურად პასიურ ძალას წარმოადგენდა. ალბათ, კიდევ უფრო ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ქალაქებს; ჯერ ერთი, ვიმეორებთ, მათი მცირერიცხოვნობის გამო და მეორეც, მთელი რიგი მნიშვნელოვანი ქალაქებისა — თბილისი, არტანუჯი, დმანისი და სხვანი, — ეკონომიკური ინტერესებით დაკავშირებული იყვნენ უფრო სხვა ქვეყნებთან, ვიდრე ქვეყნის შიდა რაიონებთან[2]. ერთი სიტყვით, ამ მხრივაც საქართველოს ქალაქების უმნიშვნელო როლი ქვეყნის გაერთიანების საქმეში ანალოგიურია გერმანიის ქალაქების როლისა. (შემდგომში მათი ბედი გაიზიარეს იმითაც, რომ მოხდა მათი დაყმევება სამეფო ხელისუფლებისა და დიდებული აზნაურების მიერ).

ქვეყნის გაერთიანების საქმეში მეფის ხელისუფლების დასაყრდენი იყო აგრეთვე ქართული ეკლესია, რომელსაც აწყობდა კათალიკოსის ხელის გავრ - ცელება მთელს საქართველოში. (სხვათა შორის, ასევე იყო გერმანიის გაერთიანების დროს, საქსონიური დინასტიის ხელქვეით, მეათე საუკუნეში)[3].

ყველა აღნიშნულ ფაქტორს ემატებოდა სუბიექტური ფატორის მოქმედება: საერთოდ ბაგრატიონთა ენერგიული დინასტიისა და კერძოდ, მისი დიდი წარმომადგენლების (ბაგრატ III, ბაგრატ IV, დავით IV აღმაშენებელი) სახით.

ასეთი იყო ის ცენტრისკენული ძალები, რომლებიც ესწრაფვოდნენ საქართველოს გაერთიანებას X-XII საუკუნეებში. მათი მოქმედების დაგვირგვინება გახლდათ ის გონივრული დინასტიური პოლიტიკა, რამაც ბაგრატიონები ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანა.

მაგრამ ვინ წარმოადგენდა ცენტრიდანულ ძალას, ე.ი. მათ, რომელთაც არ

---

1 როგორც ნ.ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „საქართველოში ამ დროს (იგულისხმება მეთერთმეტე-მეთორმეტე სს, გ.ყ.) მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საზოგადოების დიდ ნაწილს ჯერ კიდევ მდაბიურ-მოლაშქრები შეადგენდნენ", რომ ეს ფენა ქართული ფეოდალური ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა (იხ. საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 177 და შემდეგ) და რომ, კერძოდ,დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა ამ „წვრილი ერის" პოლიტიკა იყო, იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 42. ამ და წინარე ხანის ისტორიაში აღნიშნული სოციალური ფენის შესახებ იხ. აგრეთვე გ.პელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, 1973. სხვათა შორის, გერმანიაში საქსონიური დინასტიის აღზევებას ხელი შეუწყო თავისუფალია გლეხობის ფართო ფენების არსებობამ საქსონიაში.

2 ამ თვალსაზრისით ყველაზე შთამბეჭდავია თბილისის მოსახლეობის ქცევა მეფის ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების საკითხში.

3 История средних веков, т. I, с. 205.

აწყობდა საქართველოს გაერთიანება? პირველ რიგში გარეშე სახელმწიფოები — ბიზანტიის, არაბების, თურქ-სელჩუკებისა, — მაგრამ ესენი უკვე დაღმავლობის გზას ადგნენ. შემდეგ უნდა აღინიშნოს თბილისის საამირო, რომლის ტერიტორიაც თანდათანობით მცირდებოდა. დამაბრკოლებელ ძალას წარმოადგენდნენ ქართლის (კერძოდ, გვიანდელი შუა და ზემო ქართლის) დიდგვაროვნები. მათ, როგორც ჩანს, მეცხრე საუკუნეში, შეძლეს თბილისის საამიროსაგან ჩამოცილება და რაღაცნაირად გაერთიანება ქართლის ერისთავის ხელქვეით. მაგრამ მათი დამოკიდებულება (მიმართება) ერთიანი ქართული მონარქის შექმნისადმი არ იყო ცალსახა. არის ნიშნები, რომ ისინი გრძნობდნენ ძლიერი სამეფო ხელისუფლების შექმნის საჭიროებას. მაგალითად, „მატიანე ქართლისაჲ“-ში აღნიშნულია: „ამანვე ივანე მარუშის-ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა. და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისაგან“[1]. როდესაც ბაგრატ მეოთხე დაბრუნებულა კონსტანტინეპოლიდან, „რომელ სიმრავლე დიდძალი მიგებებულ იყო წინა: დიდებულნი, ერისთავნი და აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართველნი (რასაკვირველია, ქართლის მოსახლეობის მნიშვნელობით, გ.ყ.), რომელთა არა იყო რიცხვ სიმრავლისა მათისა“[2]. მაგრამ კარგად ვიცით თუ რა ფასი ჰქონდა საერთოდ ქართლის დიდგვაროვანთა „ერთგულებას“ გაერთიანებული საქართველოს მეფისადმი. მათში კლასობრივი ეგოიზმი მაინც ძლევდა საერთო სახალხო ინტერესის შეგნებას.

მაგრამ საერთოდ ამ ხანის დიდგვაროვანთა განწყობილებასა და ქცევას თუ დავაკვირდებით, მხოლოდ ბალვაშებისა და ტბელების მსგავს საქციელს როდი შევნიშნავთ. ცალკეული დიდებულების სახით ვხედავთ მაგალითებს, რომლებიც პატრიოტული სულისკვეთების კარნახით იქცეოდნენ. ასეთ დიდებულთა რიგს მიეკუთვნებიან: იოანე მარუშისძე, იოანე აბაზასძე, გრიგოლ ბაკურიანისძე, ჰერი დიდებულები — არიშიანი ბარამ და მათი ბიძა ქავთარი და სხვანი. მაგრამ ამ თვალსაზრისით ყველაზე შთამბეჭდავია შემდეგი მაგალითი. როგორც ნ.ბერძენიშვილი შენიშნავდა, დიდ აზნაურთა ჯგუფმა 1089 წელს სამეფო კარზე პოლიტიკური გადატრიალება მოახდინა იმ მიზნით, რათა უნიათო გიორგი მეორის მაგიერ ქვეყანას ენერგიული მეფე ჩასდგომოდა სათავეში თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ[3]. ეს კი თვალსაჩინო ილუსტრაცია გახლავთ ამ სოციალური ფენის მიერ უდიდესი საფრთხის შეგნებისა, რაც საქართველოს ელოდა მტრების მხრიდან.

მაგრამ საერთოდ, ვიმეორებთ, ქართველი დიდებულების მოქმედება საქარ-

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 275.

2 იქვე, გვ. 289.

3 ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 25-27.

თველოს გაერთიანების პროცესში ბევრად უფრო შემაფერხებელი იყო, ვიდრე ხელშემწყობი.

აი ასეთი ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალების ჭიდილში გაიმარჯვა ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის საქმემ X-XII საუკუნეებში. ამით ქართველი ხალხის, ერის ჩამოყალიბების გზაზე დიდებული ფურცელი ჩაიწერა. საქართველო იქცა წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ. მის წინაშე დაისახა განვითარების ბრწყინვალე პერსპექტივები, პერსპექტივები, რომლებიც ასე უწყალოდ ჩაშალა ბარბაროსულმა ისტორიულმა გარემოცვამ...

\+ + +

ზემოთ ჩვენ შევეხეთ ქართველი (უფრო ზუსტად: ქართლელი) დიდებულების დამოკიდებულებას საქართველოს გაერთიანების საკითხისადმი. ეს დამოკიდებულება, როგორც ცნობილია, ძირითადად ნეგატიური იყო. მათ ვერ შესძლეს კლასობრივი ინტერესების დათრგუნვა, მათი დაქვემდებარება საერთო-ეროვნული ინტერესისადმი. მაგრამ დროთა მსვლელობაში ისტორიული ვითარება შეიცვალა, საქართველო გაერთიანებულ იქნა ძლიერი სამეფო ხელისუფლების მიერ. გაჩნდა საკმაოდ მძლავრი ბიუროკრატიული აპარატი, შეიქმნა საზოგადოებისაგან გაუცხოებული ლაშქარი (5000 მონა-სპა, 40 ათასამდე ყივჩაყი მოლაშქრე). სახელმწიფო (პოლიტიკური ხელისუფლება) თავის ფუნქციონირებისას ემყარებოდა გადასახადებისაგან შემოსავალს, ალაფს და ხარკს დაპყრობილი და სხვ. ქვეყნებიდან. ქართველ მეფეებს გაუჩნდათ ტენდენცია თვითმპყრობელობისაკენ; გარდა აღნიშნული საფუძვლისა, მათ აქეთკენ უბიძგებდა მეზობელ სახელმწიფოებში (ბიზანტიაში, თურქ-სელჩუკიანთა სამეფოში) შექმნილი პოლიტიკური ვითარებაც (თვითმპყრობელობის, დესპოტიის არსებობა). ნ.ბერძენიშვილის თანახმად, დავით აღმაშენებლის პოლიტიკის მიხედვით მთელი ქვეყანა სამეფო საქონელი უნდა ყოფილიყო[1], რომ „რა თქმა უნდა, არაა საფიქრებელი, რომ დავითმა სავსებით შესძლო ასეთი პოლიტიკის განხორციელება, მაგრამ მისი წვრილაზნაურულ-მოლაშქრული პოლიტიკა რომ ასეთ მიზანს ისახავდა, ეს ჩვენ სადავოდ არ გვეჩვენება“[2].

მაგრამ დროთა ვითარებაში საგარეო საფრთხის შიშმა გადაიარა. ამიერიდან გაერთიანებული საქართველო, ასე ვთქვათ, იმპერიის შექმნის პრეტენზიით გამოდიოდა, თუმცა იმ მოტივით, რომ ეს გაერთიანება ნამდვილად საჭირო იყო საერთო გარეშე მტრისაგან თავდასაცავად[3]. არა გვგონია რომ ამაში ჩვენს

---

1 ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 41.

2 იქვე.

3 ასე რომ მომხდარიყო, მაშინ საქართველო ისეთსავე როლს ითამაშებდა ამიერკავკასიაში, როგორიც ითამაშა ავსტრიამ მოგვიანებით მეზობელი ხალხების იმპერიაში გაერთიანებით თურქების წინააღმდეგ.

მეფეებს ამოძრავებდათ უპირველესად მხოლოდ თურქთაგან მეზობელი ხალხების დაცვის სურვილი. უფრო ძლიერი მოტივი იყო უშუალოდ მათი სამფლობელოების გაფართოება და ამით თავიანთი ხელისუფლების კიდევ უფრო გაძლიერება. თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, ასეთი მიწრაფება იმპერიალიზმის გამოვლინება იყო. ასეთ პოლიტიკას ნათლად გამოხატავს დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი"-ს ერთი ადგილი:

„ბოროტად გარდავხედ
საზღვართა:შევრჰთე სახლი სახლსა,
აგარაკი — აგარაკსა და უუძლურესთა
მივჰხვეჭე ნაწილი მათი
და ვიღვწიდ ყოვლად უმეზობლობასა;
ვითარმცა მარტო ვმკვიდრობდი ქვეყანასა ზედა"[1].

დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს პოლიტიკური ბრძოლა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა, ამჯერად უკვე გაერთიანებული საქართველოს მასშტაბით. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ბრძოლა შიდაკლასობრივის სახელითაა ცნობილი. მაგრამ კითხვა ისმის: გაბატონებული კლასის რომელ საზოგადოებრივ ფენებს შეიძლება დაუკავშირდეს იგი? ძალზე ძნელია გაბატონებულ კლასში მოვძებნოთ ფენები, რომელთა ინტერესების შეჯახების კვალობაზე შეიძლება ვამტკიცოთ ასეთი ბრძოლის საჭიროება და არსებობა, ანდა ვამტკიცოთ, რომ პოლიტიკური ხელისუფლება იმყოფებოდა ფეოდალთა კლასის ერთი ნაწილის ხელში და იგი გამოიყენებოდა მეორის წინააღმდეგ[2]. მაშ რაში მდგომარეობდა შინაკლასობრივი ბრძოლა მეთორმეტე საუკუნის საქართველოში? ჩვენ არც ვეძებთ პასუხს ამ მიმართულებით. ჩვენი აზრით, ბრძოლა წარმოებდა დიდგვაროვანთა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის. ისტორიამ, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა, საკმაოდ ხშირად იცის საზოგადოების მოწინავე ნაწილის ბრძოლის მაგალითები სახელმწიფოს (მმართველების, ბიუროკრატიის, რეპრესიული აპარატის) წინააღმდეგ პოლიტიკური ძალაუფლების დაუფლებისათვის, სხვანაირად, — პოლიტიკური ხელისუფლების ასე ვთქვათ დემოკრატიზაციისათვის. როგორც ფ.ენგელსი არაერთგზის აღნიშნავდა, საზოგადოებისაგან სახელმწიფოს გაუცხოების ტენდენციას ადგილი ჰქონდა დღიდან უკანასკნელის ჩასახვისა. თუ იმარჯვებდა მსგავსი ტენდენცია, მაშინ ადგილი ჰქონდა დესპოტიას, ტირანიას, ანდა თანამედროვე

1 ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 530.

2 ნ.ბერძენიშვილი ზოგჯერ ამ ბრძოლაში გულისხმობდა სოციალურ და პოლიტიკურ ანტაგონიზმს მდაბიურ მოლაშქრეთა და დიდებულთა შორის (იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 26, 30). მაგრამ თუ ასეა, მაშინ გაძნელდება ამ ბრძოლის კვალიფიცირება შიდაკლასობრივად.

ტერმინი რომ ვიხმაროთ ტოტალიტარიზმს, ე.ი. იქმნება სიტუაცია, როცა სახელმწიფო საზოგადოების ბატონია, საზოგადოება კი — პირველის მსახური, მონა. ხოლო თუ ეს ტენდენცია მარცხდებოდა, იმარჯვებდა დემოკრატია; სახელმწიფო ხდებოდა საზოგადოების მსახური, მონა, შესაბამისად უკანასკნელი — პირველის ბატონად. განვლილ ისტორიაში პირველი ტენდენცია ძირითადად დომინირებდა აღმოსავლეთში, ხოლო მეორე — დასავლეთ ევროპის ისტორიაში.

მეთორმეტე საუკუნის საქართველოს ისტორიაში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა სავსებით კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა. ეს იყო წინააღმდეგობა ბაზისურ მოვლენასა, — მიწის საკუთრების დიდი ნაწილი მონოპოლიზებული იყო ფეოდალთა კლასის ხელში, ეკონომიკურად გაბატონებული გახლდათ ეს კლასი, — და ზედნაშენურ მოვლენას შორის — უმაღლეს პოლიტიკურ ძალაუფლებას ასახიერებდა ძირითადად სახელმწიფო — მეფის ხელისუფლება ბიუროკრატიასა და ლაშქარზე დაყრდნობით. მაგრამ ასეთი სიტუაცია არანორმალური იყო, ეკონომიკურად გაბატონებული ფეოდალთა კლასი პოლიტიკურადაც უნდა ყოფილიყო გაბატონებული.

თუ X-XI ს. საქართველოს ისტორიის მსვლელობაში ისტორიის ლოგიკა, სიმართლე დიდგვაროვანთა წინააღმდეგ იყო მიმართული, XII საუკუნეში, გაერთიანების შემდეგ, პირიქით: იგი ახლა მათ სასარგებლოდ მიიმართებოდა, ერთიანი, ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქია არაა მეორე საფეხური ფეოდალური სახელმწიფოებრივი ფორმების ლოგიკურ მონაცვლეობაში, ადრეული ფეოდალური მონარქიის შემდეგ ვითარდება წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია, რომელიც თავის მხრივ აბსოლუტიზმით იცვლება[1]. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია წარმოიშვა სპეციფიკურ ვითარებაში (მსგავსად გერმანიისა ან რუსეთისა) და იგი შეცვლილ უნდა ყოფილიყო წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიით, როცა მეფის ხელისუფლება უნდა შეზღუ-

---

1 გამოთქმულია მოსაზრება, რომ XII ს. ქართული მონარქია აბსოლუტისტური იყო, ხოლო დავით აღმაშენებლის შეხედულებანი და პოლიტიკური საქმიანობა „განათლებული აბსოლუტიზმის" ნიშნებით ხასიათდებოდა. იხ. ვ.აბაშიძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ. 1969; ამ პერიოდის ქართული აბსოლუტიზმის შესახებ იხ. აგრეთვე კ.კეკელიძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში, „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1937. № 11-12; ზ.ანჩაბაძე, შ.ბადრიძე, ფეოდალური საქართველოს ისტორიის სწორი გაგებისათვის, „ლიტერატურული საქართველო", 1971. № 12. მაგრამ შიგვაჩნია, რომ ამ მოსაზრებისათვის სერიოზული საფუძველი არ არსებობს.

2 რომ ეს ხელისუფლება ზოგჯერ შეიძლებოდა მტრულად დაპირისპირებოდა ფეოდალთა კლასს, ეს დაადასტურა მეთორმეტე საუკუნის ჩვენმა ისტორიულმა პრაქტიკამაც. „ისტორიანსა და აზმანში" შემონახულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავით დემეტრეს ძემ „ამოსწყვიტა ამის სამეფოს (საქართველოს, გ.ყ.) დიდებულნი, რომელნიმე ექსორია — ქმნითა, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა". იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 18.

დულიყო ფეოდალთა და მოქალაქეთა წოდებების მიერ[2] სწორედ ასე განიხილავდა აღნიშნულ მოვლენას ივანე ჯავახიშვილი, რომლის მიხედვითაც ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა მიზნად იმასვე ისახავდა, რასაც მოგვიანებით ისახავდნენ ინგლისში „თავისუფლების დიდი ქარტიის" შემქმნელნი. თუ ასეა, რაშიც ჩვენ არავითარი ეჭვი არ გვეპარება, მაშინ რატომ უნდა იყოს უარყოფითად შეფასებული მეთორმეტე საუკუნეში დიდგვაროვანთა ბრძოლა მეფის ხელისუფლების შესაზღუდავად? პირიქით, მიგვაჩნია, რომ მათი გამოსვლები საგანთა ნორმალურ ვითარებას გამოხატავდა და არ შეიძლება კვალიფიცრებულ იქნეს როგორც რეაქციული.

მეთორმეტე საუკუნის ბოლოსათვის შექმნილი პოლიტიკური modus vivendi სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვაროვნებს შორის ნორმალური ვითარება იყო. მეფის ძალაუფლება ზომიერი ხდებოდა, თანაც სახელმწიფო, ხოლო მომავალში სამართალი, მძლავრ საშუალებად იქცეოდა ფეოდალური ეკონომიკის განვითარებისათვის; მის მიერ დამყარებული საშინაო და საგარეო მშვიდობიანობა (ქვეყნის თავდაცვა გარეშე მტერთაგან) კარგ საფუძველს წარმოადგენდა ეკონომიკის (ქალაქების, საირიგაციო მიწათმოქმედების, კომუნიკაციების, ფინანსების და ა.შ.) განვითარებისათვის. მაგრამ თუ ქართულმა სახელმწიფობრიობამ ვერ ითამაშა ასეთი როლი, ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კვლავ და კვლავ ბარბაროსულ ისტორიულ გარემოცვას.

მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე გარემოცვის წყალობით საქართველოში ფეოდალიზმის განვითარება არც ამის შემდეგ მისულა სრულ ფეოდალურ (როგორც ამას ადგილი ჰქონდა საფრანგეთში) დაშლილობამდე. კერძოდ, არ მომხდარა მონღოლთა ბატონობის შედეგადაც, მეცამეტე-მეთოთხმეტე სს. მანძილზე. ამ პერიოდში, როგორც ცნობილია, საქართველო დაიშალა ორ სამეფოდ (დინასტიური ვითარების გამო, რასაც, რასაკვირველია, სიამოვნებით ჩასჭიდეს ხელი მონღოლებმა). მაგრამ მეთოთხმეტე ს-ის შუახანებში გიორგი ბრწყინვალის ზეობაში ქვეყნის ერთიანობა კვლავ იოლად აღდგა. შემდეგშიც, კვლავ არახელსაყრელი ისტორიული სიტუაციის მიუხედავად (თემურ-ლენგის შვიდგზისი შემოსევა, თეთრი და შევბატკნიანი თურქმანების აგრესია), საქართველო კვლავაც შეეცადა გაერთიანებულიყო. როდესაც იგი მეთხუთმეტე ს-ის ბოლოსათვის დაიშალა, უშუალოდ სათავადოების (სენიორიების) კრებულად კი არ ქცეულა, არამედ დაიშალა სამ სამეფოდ და ოთხ სამთავროდ. ასე რომ, ცენტრალიზაციის მომენტი ასე თუ ისე კვლავაც რჩებოდა. მაგრამ შემდგომი ხანის ისტორიულმა გართულებებმა — თურქეთის გაძლიერებამ, მისი ხელის დადებამ დასავლეთ საქართველოსა და სამცხე-საათაბაგოზე, ერანის გავლენის გაძლიერებამ აღმოსავლეთ საქართველოში, — დიდი ხნით გამორიცხეს საქართველოს გაერთიანება

საკუთარი ძალებით[1]. იყო ტენდენციები ცალკეული კუთხეების გაერთიანებისა (ქართლ-კახეთის, ქართლ-იმერეთის, იმერეთ-ოდიშისა), რაც ქართლ-კახეთმა XVIII საუკუნეში მოახერხა კიდეც, მაგრამ, ვიმეორებთ, საქართველოს გაერთიანების გზაზე ერანისა და თურქეთის სახით დიდი დაბრკოლება არსებობდა, რომლის გადალახვაც საქართველოს საკუთარი ძალებით არ შეეძლო. ამის პერსპექტივები დაისახა მხოლოდ XVIIIს. ბოლოს ამ ორი აგრესიული ბარბაროსული სახელმწიფოს დასუსტებითა და ჩვენს საისტორიო სარბიელზე რუსეთის გამოჩენით. ამის გამოხატულებას წარმოადგენდა 1790 წლის ხელშეკრულება საქართველოს ორ სამეფოსა და ორ სამთავროს შორის. ყოველივე აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ გაერთიანების ტენდენციები ქართულ ქვეყნებს (მხარეებს) ჰქონდათ თითქმის მთელი მათი არსებობის მანძილზე და ეს ძირითადად ეკონომიკით კი არ იყო განპირობებული, არამედ ეროვნული ერთიანობის შეგნებით, რასაც, თავის მხრივ, აძლიერებდა საგარეო საფრთხე.

ასეთია ზოგიერთი ჩვენი მოსაზრება ქართული საზოგადოების ფეოდალური ევოლუციის თავისებურებების შესახებ. ეს სპეციფიკურობანი, როგორც შევეცადეთ გვეჩვენებინა, განპირობებული იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიული გარემოცვით. უკანასკნელის ზემოქმედება ჩვენი ეროვნული ორგანიზმის მიმართ საჭიროებდა ეროვნული ენერგიის სათანადო მობილიზებას, რასაც არაერთგზის ჰქონდა კიდეც ადგილი. ამის გასაგებად ფეოდალიზმის კლასიკური ქვეყნის — საფრანგეთის მაგალითი ჩვენ ნაკლებად გამოგვადგება. ჩვენი ქვეყნის ფეოდალური ევოლუცია, საფრანგეთისაგან განსხვავებით, მთელ რიგ მნიშვნელოვან მომენტებში დიდ მსგავსებას იჩენს უფრო გერმანიის ისტორიასთან.

1 979 წ.

---

1 ამ მხრივაც საქართველოს ფეოდალური ევოლუციის ფინალი ანალოგიურია ამავე პერიოდის გერმანიის ისტორიისა. გერმანიის ისტორიაშიც, საფრანგეთის, ინგლისის და სხვათაგან განსხვავებით, ადგილი ჰქონდა ქვეყნის მრავალ სამთავროდ დანაწილებას, საწარმოო ძალების განვითარებაში — უკუსვლასაც კი, უარყოფითი იყო სხვა სახელმწიფოთა ჩარევა ქვეყნის განვითარებაში. და ბოლოს, ძირითადი იმპულსი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის მოვიდა გარედან (პოლიტიკური და სოციალური მხრივ-საფრანგეთიდან, ეკონომიკური მხრივ — ინგლისიდან).

ეთნიკური ფორმები წინაკაპიტალისტური ხანის საქართველოში*

აკაკი ჩხენკელი 1915 წელს წერდა: „არც ერთი ჩაგრული ერის მწერლობაში არ დაწერილა, ვგონებ, იმდენი ეროვნულ საკითხზე, რამდენიც ჩვენსაში, მაგრამ, როცა კითხვა რაოდენობიდან თვისებაზე გადადის, ვეჰვობ ამ მხრივაც უპირატესობა ჩვენ გვეკუთვნოდეს“[1]. ეს ნათქვამი ეხება არა მარტო ამ საკითხით დაინტერესებულ ქართველ მოაზროვნეთა ნაშრომებს, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოაზროვნეებს, რომლებმაც ამ პრობლემის გააზრებას და გადაჭრას უძღვნეს თავიანთი შემოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მოწინავე კულტურულ ერებს (ინგლისელებს, ფრანგებს, გერმანელებს და ა.შ.) ნაკლებად აინტერესებთ ეს პრობლემა, იგი მათთვის არ წარმოადგენს უშუალო პრაქტიკულ საჭიროებას და, ამდენად, არც თეორიული აზროვნების საგანს. მაგალითად, როდესაც ეროვნული საკითხი იტალიაში მწვავედ იდგა, გასული საუკუნის პირველ ნახევარში, იტალიელი პასკუალე მანჩინი ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე იყო, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედება ეროვნული საკითხის (ცხადია, თეორიულ პლანში) გააზრებას მოხმარა და საგრძნობი კვალიც დატოვა ამ მიმართულებით. მაგრამ მას შემდეგ არც ერთ იტალიელ ფილოსოფოსს ან მეცნიერს ამ მხრივ თავი არ გამოუჩენია. რუსეთში არც ვლ. სოლოვიოვი, არც გ.პლეხანოვი და სხვა რომელიმე გამოჩენილი მოაზროვნე არ დაინტერესებულა ერის რაობით, მისი ნიშან-თვისებებით, წარმოშობითა და ა.შ. თავი გამოიჩინეს აღნიშნული პრობლემის დაყენებასა და გადაჭრაში ავსტრიელმა სოციალ-დემოკრატებმა კ.რენერმა და ო.ბაუერმა, ე.ი. იმ ქვეყნის შვილებმა, რომელთათვისაც ეს პრობლემა უპირველესად პრაქტიკული საჭიროება იყო. ასევე, პრობლემა აინტერესებდათ იმ ხალხების მოაზროვნეებს, რომელნიც ეროვნულად დაჩაგრული იყვნენ — ჩეხებს, პოლონელებს, ებრაელებს, ქართველებს და სხვ.

რაც შეეხება მარქსიზმის კლასიკოსებს, მათთვის, როგორც ცნობილია, უძირითადესი საკითხი გახლდათ სოციალური საკითხი, ე.ი. სოციალისტური რევოლუციის გზით ახალი, უკლასო საზოგადოების დამყარება და აშენება. ასე რომ, ეროვნულ პრობლემას კ.მარქსი და ფ.ენგელსი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. მათ არ დაუტოვებიათ არც ერთი ნაშრომი, მცირე მოცულობის სტატიაც კი, მოცემული საკითხის გასააზრებლად. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც უნდა

---

* მოხსენდა ყოფილ „იმელ“-ში გამართულ სხდომას 1983 წლის 14 ნოემბერს, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საჯარო სხდომას ამავე წლის 29 ნოემბერს.

1 ა.ჩხენკელი, ერი და ჩვენ, ქუთაისი, 1915, გვ. 4.

ითქვას, რომ განსაკუთრებით ფ.ენგელსის ნაშრომებში გვხვდება მთელი რიგი აზრებისა, რომლებიც ცხადყოფენ საკითხის მთელ რიგ მომენტებს. რაგინდ პარადოქსულად უნდა გამოჩნდეს, აღვნიშნავთ, რომ მარქსიზმის კლასიკოსების ნააზრევი ეროვნული საკითხის გარშემო, გაფანტული მათს ნაშრომებში და გამოთქმული სხვადასხვა დროს, დღემდე არ არის წარმოჩენილი და სისტემაში მოყვანილი. ისინი მიუთითებდნენ ერის მთელ რიგ ძირითად ნიშან-თვისებებს: ენას, ტერიტორიის ერთობას, ეროვნულ ხასიათს, ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობებს, კულტურის ერთობას. მათ, ისევე როგორც ი.კანტმა და გ.ჰეგელმა მანამდე, მოგვცეს რიგი დასავლეთევროპელი ერების — ინგლისელების, ფრანგების, გერმანელების, იტალიელების, ირლანდიელების და სხვ. ეროვნული ხასიათების აღწერილობები. ამის გარდა ისინი ლაპარაკობდნენ ერების განწყობილებებზე, ეროვნულ გრძნობაზე და სხვ. ერთი სიტყვით, ეროვნული ფსიქოლოგია, „ფსიქიკური წყობა“[1] მათ არ დაჰყავდათ ეროვნულ ხასიათამდე. ასევე მათ არავითარი ეჭვი არ ეპარებოდათ ერის კულტურის ერთობაში. განსაკუთრებით ფ.ენგელსი იძლეოდა წინაეროვნული ეთნიკური ფორმების რაობას, ნიშან-თვისებებს. იმავე ფ.ენგელსს საინტერესო აზრები ჰქონდა ერის წარმოშობის თაობაზე. მაგრამ ამაზე შემდეგ შევჩერდებით.

აქ კვლავ გავიმეორებთ ზემოთქმულს: ყოველივე აღნიშნული არაა წარმოჩენილი მთლიანობაში, სისტემის სახით. მხოლოდ ჟურნალ „**Вопросы истории**“-ს ფურცლებზე გამართული დისკუსიის დროს (1966-69 წწ.) რიგი დისკუსანტებისა შეეცადა მოეტანათ კ.მარქსისა და ფ.ენგელსის ზოგიერთი მოსაზრება ეროვნულ საკითხზე (თეორიულ ასპექტში). თვით ი.ბ.სტალინის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელიც აღნიშნული პრობლემის გააზრებას ეძღვნება, ერთხელაც კი არაა მითითებული კ. მარქსის ან ფ.ენგელსის რომელიმე აზრი საკითხზე. საერთოდაც ი.ბ.სტალინის ამ მცირე მოცულობის (დაახლოებით სამიოდე ნაბეჭდი თაბახი) ნაშრომში მხოლოდ ერთი, პირველი თავი ეხება ერის რაობას, მის ნიშან-თვისებებს, წარმოშობას — ყოველივე ეს კი სულ ათიოდე საშუალო ფორმატის გვერდზეა გადმოცემული. ცხადია, რომ საკითხის გადმოცემა რამდენადმე სისრულით ათ გვერდზე ვერ მოხერხდებოდა. ნაშრომის დანარჩენი ნაწილი, მოგეხსენებათ, ეხება რსდმპ პოლიტიკას ეროვნულ საკითხში, ბუნდისა და კულტურულ-ეროვნული პროგრამის კრიტიკას. თუ თვალს გავადევნებთ ავტორის შემდგომ ნაშრომებს („ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“, „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკი-

1 ტერმინი „ფსიქიკური წყობა“ ჩვენ არასწორად მიგვაჩნია, ვინაიდან იგი მიუთითებს გარკვეულ სტრუქტურას, სისტემურობას, მაშინ როდესაც იგი საკმაოდ ამორფულია. აღნიშნული ტერმინის ნაცვლად ჩვენ ვხმარობთ „ეთნიკურ ფსიქოლოგიას“. მასში მოთავსებული ცნება, ცხადია, უფრო ფართო შინაარსისაა, ვიდრე ამას „ეროვნული ხასიათი“ შეიცავს.

თხები") აღნიშნული თვალსაზრისით, ადვილად დავასკვნით, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხის რამდენადმე გაღრმავებული კვლევა-ძიება ი.ბ.სტალინს აღარ გაუგრძელებია.

ვ.ი.ლენინიც, ისევე როგორც კ.მარქსი და ფ.ენგელსი, სპეციალურად არ შეჩერებულა ერის ან საერთოდ ეთნიკური ფორმების კვლევა-ძიებაზე. რაც შეეხება ერის ნაშან-თვისებებს, იგი აღნიშნავდა ენის, ტერიტორიისა და ეკონომიკური ცხოვრების ერთობას.

ერის წარმოშობას, მისი ნიშან-თვისებების საკითხს შეეხო კ.კაუცკი თავის ნაშრომებში. სწორედ მან გამოსთქვა მარქსისტულ აზროვნებაში (თანამიმდევრულად) პირველად მოსაზრება, რომ ერის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტია ეკონომიკური ფაქტორი, რომ ეს ახალი ეთნიკური ფორმა ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად. მაგრამ ამ მიმართულებით კ.კაუცკი მაინც არ ყოფილა ისეთი რიგორისტული, როგორც ი.ბ.სტალინი. ასე მაგალითად, იგი წერდა: "აღმოსავლეთის კულტურული სახელმწიფოების არისტოკრატები იქცნენ ეროვნული ცხოვრების ერთადერთ მქონედ, რამდენადაც საერთოდ იგი (ეროვნული ცხოვრება, — გ.ყ.) აქ არსებობდა. ისინი იდგნენ წვრილი თემების წევრების შეზღუდულობის ზემოთ და შეეჩვივნენ ეგრძნოთ თავი მთელი ერის (sic !) ბატონ-პატრონებად და წარმომადგენლებად. მათ შეიმუშავეს ეროვნული ენა, შეჰქმნეს ეროვნული ლიტერატურა, ეროვნული ფილოსოფია და ხელოვნება"[1]. ეს ძველი აღმოსავლეთის შესახებ. საკუთრივ ანტიკური ხალხების მიმართ იგი წერდა: „ერი-რამდენადაც საერთოდ იმ დროში შეიძლება მასზე ლაპარაკი, — გადაიქცა ექსპლუატატორების ჯგროდ, რომელიც შედგებოდა მაღალი და დაბალი ბრბოსაგან: პროლეტარიატის, გალატაკებული გლეხებისა და ფულიანი ხალხისაგან"[2]. ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, კ.კაუცკი ერებს რაღაცნაირად გულისხმობდა უკვე ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში.

შევჩერდებით კიდევ ო.ბაუერის ნაშრომზე „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია", რომელიც გამოვიდა 1907 წელს. ჩვენში საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ო.ბაუერის აზრები ერის რაობასა და წარმოშობაზე ბურჟუაზიულად ითვლება, კერძოდ, — იდეალიზმად და ფსიქოლოგიზმად აღნიშნული საკითხის გაგებაში. ასეთი მოსაზრება ჩვენში, ვიმეორებთ, ძალზე გავრცელებულ სტერეოტიპად იქცა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ი.ბ.სტალინისეულ ერის განსაზღვრაში მოცემული ერთ-ერთი ძირითადი ნიშნა-თვისება ერისა-ფსიქიკური წყობა (ეროვნული ხასიათის მნიშვნელობით) ი.ბ.სტალინმა სწორედა ო.ბაუერიდან აიღო. ამდენად, ერზე ჩვენში საყოველ-

---

1 К.Каутский. Национальность нашего времени, Тифлис. 1922, с. 16.
2 იქვე, გვ. 18.

თაოდ გავრცელებული შეხედულება ეფუძნება ო.ბაუერის მემკვიდრეობასაც, რასაც, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებენ. ხშირად, ო.ბაუერის აღნიშნულ ნაშრომზე მსჯელობისას აშკარად ჩანს, რომ ავტორები მას არ იცნობენ და სჯერდებიან ენციკლოპედიებიდან მიღებულ ინფორმაციას, თუმცა სხვას რომ თავი დავანებოთ, არსებობს ბაუერის ნაშრომის რუსული თარგმანი, გამოცემული 1909 წელს. ანდა მიუთითებენ ამ ნაშრომის, ასე ვთქვათ, ადაპტირებულ თარგმანს, რომელიც რუსულად გამოვიდა 1918 წელს.

ჩვენ აქ არ ვეხებით ო.ბაუერისა და საერთოდ ავსტრო-მარქსისტების იდეას კულტურულ-ეროვნული ავტონომიის შესახებ. გაკვრით აღვნიშნავთ, რომ ამ იდეის კრიტიკაში ვ.ი. ლენინი, ი.ბ. სტალინი და სხვები, ცხადია, მართალნი იყვნენ. ავსტრომარქსისტები, მათ შორის, რა თქმა უნდა, ო.ბაუერიც, შესაძლებელია მათთვის გაუცნობიერებელი, ასე ვთქვათ, სოციალისტურ-იმპრიალისტური მოსაზრებიდან გამოდიოდნენ, სურდათ რა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შენარჩუნება. ამ იმპერიის შემადგენლობაში შემავალ თითქმის ყველა ძირითად ხალხს ჰქონდა საკუთარი ტერიტორია და, ამდენად, ერთა თვითგამორკვევას აქ ტერიტორიული პრინციპი უნდა დასდებოდა საფუძვლად. ასე რომ, კულტურულ-ეროვნული ავტონომია აქ არაფერ შუაში იყო და თანაც ავსტრია-უნგრეთში შემავალ ჩაგრულ ერებს ჰქონდათ გამოყოფის, ცალკე სახელმწიფოს შექმნის უფლება, რაც მათ გამოიყენეს კიდეც პირველი მსოფლიო ომის დასასრულს. ამრიგად, კ.რენერის, ო.ბაუერისა და სხვა ავსტრო-მარქსისტების იდეამ კულტურულ-ეროვნული ავტონომიის თაობაზე კრახი განიცადა. მაგრამ ეს საკითხის სხვა მხარეა, რომელიც ჩვენ აქ არ გვაინტერესებს და მასზე აღარ შევჩერდებით.

შევეხებით თვით ო.ბაუერის შეხედულებებს ერის ნიშან-თვისებებისა და წარმოშობის შესახებ. არის, მართლაც, ეს ნააზრევი იდეალისტური, მხოლოდ ფსიქოლოგისტური, თუ მნიშვნელოვანწილად დაფუძნებული ისტორიის მატერიალისტურ გაგებაზე? დავიწყებთ იქიდან, რომ ო.ბაუერის აღნიშნულ ნაშრომს დადებითად ახასიათებდა კ.კაუცკი, მიიჩნევდა რა მას „აზროვნების მარქსისტული მეთოდის“ საფუძველზე დაწერილად[1]. სწორედ ამის გამოც ესხმოდა თავს ო.ბაუერს ნაშრომის რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში ებრაელთა ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენელი ხ.ჟიტლოვსკი. მაგრამ შევჩერდებით უფრო არსებით არგუმენტზე და მივმართავთ თვით ო.ბაუერის ნაშრომს. მასში ვკითხულობთ: „ამრიგად, ჩვენ ერი წარმოგვიდგენია არა როგორც რაღაც გაყინული, ერთხელ და სამუდამო მოცემული, არამედ როგორც წარმოქმნის, ქმნადობის განუწყვეტელი პროცესი; მის საფუძველში ძევს პირობები, რომლებშიც

1 К.Каутский, Национальность нашего времени, გვ. 61,62, 63.

ადამიანები ეწევიან ბრძოლას არსებობისა და მოდგმის გაგრძელებისათვის"[1]; „... ერი და მისი დამახასიათებელი თავისებურებანი განპირობებულია წარმოების წესით, შრომის იმ იარაღებით, რომლებითაც ადამიანები სარგებლობენ, საწარმოო ძალებით, რომელთაც ისინი ფლობენ, ურთიერთობებით, რომლებშიც ისინი იმყოფებიან ურთიერთ შორის წარმოების პროცესში"[2]; „საერთოდ ერისა და, კერძოდ, თითოეული მოცემული ერის წარმოშობა, როგორც ერთი შედეგთაგანი ადამიანის ბრძოლისა ბუნებასთან, — ეს დიდი ამოცანა გახლავთ, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელი გახდა კარლ მარქსის ისტორიული მეთოდის მეშვეობით"[3]; „არსებობისათვის ბრძოლის პირობების მეშვეობით საწარმოო ძალები ქმნიან ეროვნული ხასიათის ერთობას"[4]; „ისტორიის მატერიალისტური გაგება ისტორიული ცხოვრების პროცესს, მათ შორის ერის წარმოშობის პროცესს ხსნის არა რაღაც მისტიკური ხალხის სულით, არამედ ეკონომიკური განვითარების ფაქტებით"[5]; აქვე ვკითხულობთ, რომ ერის განვითარების საბოლოო მამოძრავებელი ძალაა ადამიანის ბუნებასთან ბრძოლის პირობები, საწარმოო ძალების განვითარება, ცვლილებანი შრომითს ურთიერთობაში; „ეროვნული ცნობიერება შესაძლებელია გაგებულ იქნეს მხოლოდ ეროვნული ყოფიერებიდან და არა პირიქით"[6]; „... ინდივიდუუმის ეროვნულობა სხვა არა არის რა, თუ არა მისი „მე"-ს ნაწილი, განპირობებული საზოგადოების ისტორიით, შრომის პროცესითა და ურთიერთობებით"[7]; „ერის განვითარება ასახავს საკუთრებისა და წარმოების ფორმების ისტორიას"[8].

ო.ბაუერი ამასთანავე ერთად ფართოდ ეყრდნობოდა ბიოლოგიას, კერძოდ, დარვინიზმს და გენეტიკას. მართლაც, ადამიანი, ოჯახი, საზოგადოება, ეთნიკური ფორმები, მათ შორის ერი, ბიოლოგიის პრობლემაც გახლავთ, ვინაიდან მატერიისა და მოძრაობის ბიოლოგიური ფორმა საზოგადოების განვითარების საფუძველია, შესულია ამ უკანასკნელში „მოხსნილი სახით". ამაში, ვიმეორებთ, ო.ბაუერი სწორ პოზიციაზე იდგა და რაც მთავარია, საკითხის გააზრებისას იგი არ სჯერდებოდა კვლავა-ძიების ამ დონეს და მას ახდენდა ისტორიული მეთოდების საშუალებით. კვლავა-ძიების აღნიშნული დონე მხოლოდ რასიზმის თეორიისათვის თუ არის დამაკმაყოფილებელი. ო.ბაუერი მკვეთრად ემიჯნებოდა ამ, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნულ მატერიალიზმს. იგი აკრიტიკებდა

---

1 О.Бауэр, Национальный вопрос и социал-демократия, Санкт-Петербург, 1909. с. 124.
2 იქვე, გვ. 124;
3 იქვე. გვ. 124-125.
4 იქვე, გვ. 125.
5 იქვე, გვ. 126.
6 იქვე, გვ. 50.
7 იქვე. გვ. 142.
8 იქვე გვ. 141.

აგრეთვე „ნაციონალურ სპირიტუალიზმს“, „რომლის მიხედვითაც ერი ითვლება იდუმალ „ხალხის სულად“, ე.ი. აკრიტიკებდა თვალსაზრისს, რომლის მტკიცე დამცველადაც ჩვენში ცდილობენ თვითონ ო.ბაუერი წარმოადგინონ.

ერის წარმოშობა-ჩამოყალიბების პრობლემას ო.ბაუერი იკვლევდა გერმანელების მაგალითზე. თავისი ხალხის ისტორიას კი იგი კარგად იცნობდა. მიუთითებდა ენის, ტერიტორიის, ეროვნული ხასიათის, კულტურის, ეროვნული თვითშეგნების ფაქტორებს, რომელთაც შედეგად გამოიღეს გერმანელი (Deutsch) ერი. კერძოდ, ენის შესახებ ო.ბაუერის ნაშრომში ვკითხულობთ: „... უეჭველია, რომ არც ერთი ერი არ არის შესაძლებელი საერთო ენის გარეშე“[1]. ო.ბაუერის ნააზრევზე ერის რაობისა და წარმოშობის თაობაზე ჩვენში გავრცელებული სტერეოტიპის საფუძველია ი.ბ.სტალინის მიერ ბაუერისეული დასკვნის ინტერპრეტაცია. თუ ამ ადგილს ამოვგლეჯთ ნაშრომის ძირითადი აზრების, იდეების კონტექსტიდან, მაშინ ჩვენში გავრცელებული შეხედულება ო.ბაუერის ძირითადი იდეის შესახებ გამართლებული იქნება. ეს გახლავთ შემდეგი: „ერი არის ხასიათის ერთობა, წარმოშობილი ისტორიული ბედის ერთობის საფუძველზე“. ერის, კერძოდ გერმანელების, ეროვნული ხასიათის ერთობა ო.ბაუერისათვის სულაც არ იყო რაღაც მისტიკური და თვითკმარი რამ, რასაც მას ი.ბ.სტალინი უსაყვედურებდა. რათა გაეხსნა ხასიათის ეს შინაარსი, ო.ბაუერი გამოდიოდა ერის ისტორიიდან, ენის, კულტურის, ტერიტორიის ერთობიდან, წარმოების წესის განვითარების განსაზღვრული დონიდან და ა.შ. ასევე როცა იგი ბედის ერთობაზე ლაპარაკობდა, ამ ბედს ძველი ბერძნების *μοιρα*—ს ან რამაელების fatum-ის აზრით კი არ გებულობდა, არამედ ზემოთ აღნიშნული ფაქტორების მოქმედების შედეგად.

ერთი სიტყვით, ო.ბაუერმა თავის ნაშრომში ერის წარმოქმნა — ჩამოყალიბება გადმოსცა უაღრესად ლაკონიური ფორმულით, მისი აზრით, ერისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშან-თვისების მინიშნებით. მაგრამ ეს, ვიმეორებთ, შემაჯამებელი სახით, მანამდე კი მიჰყვებოდა ერის ისტორიის მთელ მსვლელობას, ამ ხნის განმავლობაში წარმოშობილი სხვადასხვა ფაქტორის მოქმედებას. თავდაპირველად, პირველყოფილი კომუნიზმის დროს, ო.ბაუერის მოსაზრების მიხედვით, გერმანელები შეადგენდნენ ერთ ერს, — მათ ასეთ ერთობად ჰკრავდა საერთო წარმომავლობა და საერთო კულტურა. უფრო მეტად სწორედ ამ კულტურამ, თავისი დაბალი განვითარების გამო, როგორც ო.ბაუერი ფიქრობდა, განაპირობა მთლიანი გერმანელების ერი en masse. მაგრამ ეს იყო წარმოების განვითარების დაბალი დონეზე, მაქსიმუმ პრიმიტიული მიწათმოქმედების ფარგლებში. შემდეგში მოსახლეობის ზრდამ გამოიწვია მიგრაციები, თავდაპი-

1 О.Бауэр, Национальный вопрос и социал-демократия, с. 130.

რველად ერთ კულტურულ ერთობაში მოქცეული ხალხები (დიდ ეთნიკურ ჯგუფში შემავალნი) ერთმანეთს დაშორდნენ. ტერიტორიულმა დაშორებულობამ კი გამოიწვია ჯგუფში ახალი ეთნიკური ერთობების წარმოქმნა-ჩამოყალიბება. მაგრამ გერმანელების ძველი ერი, ბაუერის აზრით, უკვე აღარ არსებობდა, არ არსებობდა ჯერჯერობით თანამედროვე გერმანელთი ერიც. რომის იმპერიის დაცემიდან მოყოლებული მეცხრე-მეათე სს-მდე იყო გარდამავალი ხანა, რის განმავლობაშიც გერმანელი ერი არ არსებობდა. მაგრამ ამ საუკუნეებიდან დაწყებული გერმანიაში გაჩნდა ფეოდალთა კლასის კულტურული ერთობა, რამაც განაპირობა გერმანელი ერის ჩამოყალიბება, ოღონდ ზედაფენების სახით. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა — გლეხობა კი ერის გარეშე რჩებოდა, ანდა უკეთეს შემთხვევაში ერის მხოლოდ სოციალურ ფონს წარმოადგენდა.

ქალაქების, ვაჭრობის განვითარებამ გამოიწვია ბიურგერთა წოდების ჩამოყალიბება. თავის მხრივ, ამ წოდებამ განავითარა საკუთარი კულტურა. გლეხობა კვლავ მის მიღმა ღა ამით ერის მიღმაც რჩებოდა. მხოლოდ ეს იყო რომ ერის შემადგენლობა უფრო გაფართოვდა ბიურგერობის ხარჯზე. მხოლოდ კაპიტალიზმმა შექმნა პირობები, ო.ბაუერის შეხედულებით, იმისათვის, რომ ერად იქცეს მთელი მოსახლეობა, კერძოდ გერმანელობა; ხალხის მასების მიერ კულტურის ათვისება საფუძველად დაედება ამ მოვლენას. ამრიგად, სახეზე გვაქვს დიალექტიკის ცნობილი კანონის (უარყოფის უარყოფა) მოქმედების დადასტურება: თეზისი — თავდაპირველი გერმანელი ერი კულტურის განვითარების დაბალ ფაზაზე; ანტითეზისი — თავდაპირველი ეროვნული ერთობის დაშლა, გარდამავალი მდგომარეობა, შემდეგში გერმანელი ერის არსებობა მხოლოდ ზედაფენების სახით; სინთეზისი — გერმანელი ერი უკვე მის მთლიანობაში კაპიტალიზმისა და მით უფრო სოციალიზმის პირობებში, ახალი კულტურის საერთო დაუფლების საფუძველზე. რა თქმა უნდა, ეს დიალექტიკური ტრიადა, ბაუერის შეხედულებით, ვრცელდებოდა ყველა ხალხზე,რომელთაც სრული ეთნიკური ციკლის დასრულება შესძლეს.

ამით დავამთავრებთ ო.ბაუერის ნაშრომის განხილვას ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. ვიმეორებთ, ო.ბაუერის მიერ გამოთქმული იდეები ჩვენ მიგვაჩნია მარქსისტულ შეხედულებებად და პრობლემის შემდგომი გაღრმავებული კვლევა-ძიების საფუძვლად. არ იყო შემთხვევითი, რომ ავტორის აზრებმა გავლენა მოახდინეს კ.კაუცკიზე — მაგალითად, ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ზოგიერთ ეთნოსში ერების არსებობის თაობაზე, ასევე ის გარემოებაც, რომ ბაუერის ნაშრომი მარქსისტულად იქნა შეფასებული „არქიფრთხილი კაუცკის“ (ვ.ი.ლენინი) მიერ.

შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, ო.ბაუერისადმი მთელი რიგი შესიტყვებების წამოყენება. მხოლოდ ერთ მათგანზე შევჩერდებით. ჩვენი აზრით, გაუმართლე-

ბელია შუასაუკუნეების გერმანელთა ეროვნული ერთობიდან გლეხკაცობის გამორიცხვა. გლეხებსაც ჰქონდათ თავიანთი კულტურა (ხალხური), რომელიც ნაწილობრივ აითვისებოდა გერმანელთა ზედაფენების მიერაც. მეორე მხრივ, ზედაფენების კულტურა, ხასიათი და ა.შ. გარკვეული ზომით ვლინდებოდა ქვედაფენების ცხოვრებაშიც. ამდენად, კულტურულ ერთობასა და ერის არსებობაზე თუ ვილაპარაკებთ ფეოდალიზმის მეორე პერიოდის გერმანელების მაგალითზე, ამ ერთობაში უნდა შეყვანილ იქნეს გლეხკაცობაც. ამ აზრით ერის არსებობა არ უნდა იქნეს დაკავშირებული მხოლოდ განვითარებულ კაპიტალიზმთან და უკლასო საზოგადოებასთან.

საერთოდ, კიდევ გავიმეორებთ, ეთნიკური ფორმების რაობისა და წარმოქმნა-ჩამოყალიბების თაობაზე მრავალი გაურკვევლობა არსებობს. ერთ-ერთ მთავარ მიზეზზე უკვე მივუთითებდით (სახელდობრ იმაზე, რომ ეს საკითხი დიდ კულტურულ, თეორიულად განვითარებულ ერებს ნაკლებად აინტერესებთ, მხოლოდ უახლეს ათწლეულებში თუ გაიშალა ფართო მუშაობა ამ მიმართულებით აშშ-ში). ახლა მივუთითებთ მეთოდოლოგიური ხასიათის სიძნელეს. ეთნიკური ფორმების, მათ შორის ერის რაობისა და წარმოშობის პრობლემა რთული სტრუქტურისაა, იგი არ გადაწყდება მხოლოდ ერთი მეცნიერების პოზიციიდან. ამდენად, მის გასააზრებლად საჭიროა ფართო, კომპლექსური მიდგომა — ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ისტორიის (მსოფლიო), ეთნოგრაფიის, კულტუროლოგიის, ეთნოფსიქოლოგიისა და ა.შ. პოზიციებიდან. სხვანაირად, მოვლენის მთლიანი დანახვა, გაანალიზება შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში — ნაკლებ დამაკმაყოფილებელი, რაც ძალიან ნათლად გამოჩნდა „Вопросы истории"-ს ფურცლებზე გამართული დისკუსიის დროს. ეს დისკუსია კანონზომიერი რეაქცია იყო ი.ბ. სტალინის ნაშრომში გადმოცემული იდეების გაბატონებულობის წინააღმდეგ, შესაბამისად, იგი წარმოადგენდა მეცნიერების განვითარების მოთხოვნილებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცალკეული წარმატებების გარდა, მთლიანად იგი (ეს დისკუსია) არც თუ ისეთი წარმატებული აღმოჩნდა, რის მიზეზიც გახლავთ პრობლემის გაუაზრებლობა მთლიანობაში — მხოლოდ ცალკეული ასპექტების მიხედვით, შეზღუდული ფაქტოლოგიური ცოდნით. დისკუსია რაღაცნაირად კვლავ გრძელდება. კერძოდ, ეთნოგრაფოსები (საბჭოთა კავშირის ძირითადი ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლები) ცდილობენ ეთნოსის თეორიის შექმნას.

ეთნიკური ფორმების კვლევა-ძიებას აძნელებს აგრეთვე რთული ტერმინოლოგიური ვითარება. რუსულ ენაში არსებობს მთელი რიგი ეთნიკური ტერმინებისა შედარებით განვითარებული ეთნიკური ფორმების გამოსახატავად — „народ", „народность", „национальность", „нация", ახლა ამას დაუმატეს

„этнос“-ი (აღარას ვამბობთ ეთნოგრაფოსების მიერ შემოტანილ სხვა ეთნიკურ ტერმინებზე — „демос“, „этникос“). შეუძლებელია გავიგოთ, ყოველ შემთხვევაში დღესდღეობით არავის არ უჩვენებია, თუ რა შინაარსი მოიაზრება ტერმინებში: „народ“, „народность“, „национальность“. ჩვენი აზრით, ეს სიძნელე იმანაც განაპირობა, რომ გერმანული oati oalitat, ინგლისური oati oality რუსულ ენაში დამკვიდრდა ორგვარი ფორმით: народность და национальность (ეთნიკური ფორმის შინაარსის მნიშვნელობით). ამ ორ ტერმინს კი, ცხადია, შინაარსად არ აქვთ შესაბამისი ცნებები. ეს გაუგებრობა აისახა ქართულ ენაშიც, სადაც ცდილობენ დაამკვიდრონ ტერმინი „ეროვნება“(ეთნიკური ფორმის აზრით) „ხალხისაგან“ განსხვავებით. ეს ტერმინოლოგიური აღრეულობა რუსულ ენაში დღემდე გრძელდება. მაგალითად, „народ“-სა და „нация“-ს ხშირად ხმარობენ ერთნაირი მნიშვნელობით, ხან კი „народ“-ს მხოლოდ მშრომელი მასების აზრით და ამდენად, ამ ტერმინს ეთნიკურ მნიშვნელობას აცლიან. მაგალითად, ჩუქჩებს, კორიაკებს, ნენცებს და ა.შ. აღნიშნავენ ტერმინით „народность“, მაშინ როდესაც ჩუვაშები, ყარა-ყალფაკები, ყაბარდოელნი და ა.შ. მოიხსენიებიან როგორც „народы“. ამათგან განასხვავებენ რუსებს,უზბეკებს და სხვებს, რომელთაც აღნიშნავენ ტერმინით „ нация“. მაგრამ ხშირად ყველა ამათზე ლაპარაკობენ როგორც „национальность“-ზე (იხილეთ განსაკუთრებით სტატისტიკური კრებულები). მაგალითად, საქართველოს მოსახლეობის შესახებ ზოგჯერ ლაპარაკობენ როგორც მრავალი ერისა და ხალხის კრებულზე, რაც აშკარად გაუმართლებელია. საქართველოში ცხოვრობს მხოლოდ ორი ერი — ქართველობა და აფხაზობა, სხვანი კი წარმოადგენენ ეთნიკურ ანდა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს. ასევე ითქმის რუსეთის ფედერაციისა და სხვა ზოგიერთი რესპუბლიკის მოსახლეობის მიმართ.

\+ + +

როგორც ვიცით, ჩვენში კვლავ დიდი მხარდაჭერით სარგებლობს ი.ბ. სტალინის აზრები ერის ნაშან-თვისებებისა და წარმოშობის შესახებ. ეს აზრები, მოგეხსენებათ, კვინტესენცირებულია ი.ბ.სტალინისეულ ერის დეფინიციაში: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“[1]. ეს ჩვენ არც თუ ისე ზუსტად გვეჩვენება. დავიწყოთ თავიდან. „ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობაა“ კლასიკა, კასტაც და ა.შ. ამდენად, როცა ერის განსაზღვრაზე მიდგება საქმე, მითითებულ უნდა იქნეს მოვლენათა ის

1 ი.ბ.სტალინი, თხზულებანი, ტ.2, გვ. 310.

�lasi (უფრო კონკრეტულ ასპექტში), რომელსაც ერი მიეკუთვნება — ეთნიკური, ეთნოსოციალური ფორმა. მეორე, ასეთ ფორმას წარმოადგენს ტომიც, ხალხიც. მაშასადმე, აქ მითითებული უნდა იყოს ერის სპეციფიკა, მისი სიდიდე — „დიდი ეთნიკური ჯგუფი". ხალხისაგან განსხვავებით ერი უფრო რთული ეთნიკური სტრუქტურის მქონეა, შედგება რა ხშირ შემთხვევაში ხალხებისაგან, სხვა ასიმილირებული ეთნიკური ელემენტებისაგან. ი.ბ. სტალინი ლაპარაკობდა „ეკონომიკური ცხოვრების ერთობაზე", როგორც ისეთი ინტენსიურობის შემკველ ფაქტორზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმის პირობებში ერის შესაძლებელი. თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, ერების წარმოშობა მხოლოდ ამ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შიგნით ხდება. ინდოელი (გულისხმობთ ჰინდუსტანელებს), ჩინელი, სპარსელი და სხვა ეთნოსები, როგორც ერები მხოლოდ XIX და XX სს-ში გაჩენილან. ასე რომ, ისინი, ი.ბ.სტალინის ტერმინი, გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ახალგაზრდა ერებს" წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, იგივე ითქმის ქართველობის მიმართაც. ძველი ერები კი ყოფილან ინგლისელები, ჰოლანდიელები, ფრანგები, რომელთაც, როგორც ვიცით, კაპიტალისტური ევოლუცია ადრე დაიწყეს.

ერთი სიტყვით, თუ არა მანუფაქტურული ან საფაბრიკო-საქარხნო სტადია, სხვა პირობებში, სტალინის ფორმულის მიხედვით, ერის წარმოქმნაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ჩვენ ეს მოსაზრება მიუღებლად მიგვაჩნია. ი.ბ.სტალინი და მის შემდეგ მრავალი საბჭოთა ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და ა.შ. ფეოდალიზმს წარმოადგენენ მხოლოდ ერთი შაბლონის მიხედვით — ნატურალური მეურნეობის ბატონობა, პოლიტიკური დეცენტრალიზაცია, კულტურული ცენტრის უქონლობა. მაგრამ ეს შაბლონი უდგება მხოლოდ ადრეულ ფეოდალიზმს, ამ ფორმაციის მეორე ფაზაში კი ვითარება მრავალმხრივ შეიცვალა. მაგრამ ამაზე სპეციალურად შემდეგ შევჩერდებით.

მთლად გარკვეული არაა აღნიშნულ ფორმულირებაში ფსიქიკური წყობა, როგორც მხოლოდ ეროვნული ხასიათის თანმხვდომი. როდესაც ოტო ბაუერი მხოლოდ ეროვნულ ხასიათზე ლაპარაკობდა, აქ იაზრებდა განსაზღვრულ შინაარსს, რასაც ტერმინი „ეროვნული ხასიათი" გამოხატავს. ამისაგან განსხვავებით ტერმინი „ფსიქიკური წყობა" გამოთქმის ფორმითაც და შინაარსითაც ბუნდოვანია. ამის ნაცვლად, როგორც უკვე მივუთითებდით, ჩვენ ვამჯობინებდით ტერმინ „ეთნიკური ფსიქოლოგიის" ხმარებას. მასში ეროვნული ხასიათის გარდა იგულისხმება ეთნოსის განწყობანი, განწყობილებანი და ა.შ. მაგრამ ყოველივე ეს სულაც არაა მდგრადი როგორც მთლიანობა, სისტემა. მით უფრო გაურკვეველია ერთნიშნად გააზრება გამოთქმისა „ფსიქიკური წყობა, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა". ზოგჯერ ილუზია ექმნებათ და დასკვნიან, რომ ი.ბ.სტალინი აქ ლაპარაკობდა ერის ორ ნიშანზე — ფსიქიკურ წყობასა და

კულტურაზე, რაც არაა სწორი. თვითონ ავტორი სტატიაში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ ლაპარაკობდა მხოლოდ და მხოლოდ ოთხ ნიშანზე. აღნიშნული გამოთქმა სხვა მხრივაც გაუგებარია. თავი დავანებოთ იმას, რომ გაურკვეველია „ფსიქიკური წყობა“ ამ გამოთქმაში დეტერმინანტად არის წარმოდგენილი, თუ უბრალოდ ისეთ ფაქტორად, რომელიც აისახება კულტურის თავისებურებებსა თუ ერთობაში. ასე რომ, გაურკვეველი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში სიტყვა „ასახვას“, თუმცა, ეჭვგარეშეა, უნდა დავასკვნათ, რომ მასში გარკვეული მნიშვნელობით დეტერმინაციაც — ფსიქიკური წყობის მიერ კულტურის განპირობებულობა — იგულისხმება. კულტურა, ჩვენ ვიცით, განპირობებულია მხოლოდ ამა თუ იმ ეთნოსის ფსიქიკური წყობით კი არა, არამედ უპირველესად მისი სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, განვითარების დონით, ბუნებით (ფიზიკური), გარემომცველი ისტორიული, მათ შორის კულტურული, პირობებით, ტრადიციებით, რასით და ა.შ. თუ „ასახვაზე“ მიდგება საქმე თუნდაც ამ სიტყვის ძირითადი გაგებით, მაშინ კულტურაში აისახება მხოლოდ „ფსიქიკური წყობა“ კი არა, არამედ სხვა ჩამოთვლილი ფაქტორებიც.

რაც კიდევ უფრო მთავარია, ი.ბ. სტალინს კულტურა არ შეჰქონდა ერის უმთავრეს ნიშან-თვისებებში ცალკე ნიშნად. და ეს სულაც როდი გახლავთ შემთხვევითი მოვლენა; იგი გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ ყოველ ერში არის ორი ერი, ყოველი ერის კულტურაში არსებობს ორი კულტურა. ამდენად, ერის კულტურულ ერთობაზე ლაპარაკი თითქოს გამოირიცხება. აქედან გამომდინარეობს რომ თუ კულტურას ერის ერთ-ერთ ძირითად ატრიბუტად ჩავთვლიდით, მაშინ ბურჟუაზიული ხალხები ერებად არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთები არიან და იქნებიან მხოლოდ სოციალისტური წყობილების განმასახიერებელი ეთ ოსები. ვიმეორებთ, სტალინის ფორმულირებაში მხოლოდ ლაპარაკია კულტურის თავისებურებებზე ანდა ერთობაზე „ფსიქიკური წყობის“ კონტექსტში. იგივე დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, ი.ბ.სტალინის მიხედვით, მთელი რიგი ენოსების მიმართ წინაკაპიტალისტური ფორმაციების პირობებში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ი.ბ. სტალინის მიერ მოცემული ერის დეფინიცია არაზუსტია, შეიცავს რა მთელ რიგ გაუგებრობებს. კიდევ მეტი, ერის შინაარსის რამდენადმე სრულყოფისათვის საჭიროა მინიშნებულ იქნეს ამ ეთნიკური ფორმისათვის აუცილებელი სხვა ნიშან-თვისებებიც. უპირველეს ყოვლისა დასამატებელია შესაბამისი რასის, ანთროპოლოგიური ტიპის ჩვენება. რასიზმის თეორიის იდეოლოგები ამას დიდი ხანია ხაზს უსვამენ, რაშიც უცილობლად სწორი არიან. მაგრამ მათი დიდი შეცდომაა რასობრივ ფაქტორში ეროვნული, ეთნიკური ცხოვრების სხვა მხარეების საფუძვლის მოძებნა. (ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოჩენილი ფრანგი

მოაზროვნე და ისტორიკოსი ერნესტ რენანი მიუთითებდა ამ გარემოებაზე). გ.მელიქიშვილი სავსებით სწორად აღნიშნავს:"... ფაქტია, რომ ესა თუ ის ხალხი, ენისა და კულტურის სპეციფიკის გვერდით, შეიძლება ანთროპოლოგიურადაც, ე.ი. ფიზიკური ტიპის (ტიპების) მიხედვით დახასიათდეს"[1]. მართლაცდა, ვთქვათ ჩინელების, ჰინდუსტანელების, სირიელების, ინგლისელების, მოზამბიკელების და ა.შ. განსხვავებულობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, რამდენადაც ეს ერები მიეკუთნებიან მკვეთრად განსხვავებულ დიდ რასებს. მაგრამ დიდი რასის შიგნითაც ხომ არსებობენ ქვერასები, რომლებშიც შემავალი ერები ფიზიკური ტიპის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან; მაგალითად, ჩინელები და ვიეტნამელები, ინგლისელები და იტალიელები და სხვა. უახლოესი მაგალითისათვის მივუთითებდით სომხებსა და ქართველებს. თუმცა ორივე ეს ერი, როგორც ვიცით, ერთი და იმავე დიდ რასას — ევროპოიდულს მიეკუთვნება, მაგრამ მის შიგნით სომხები განეკუთვნებიან არმენოიდულ ქვერასას, ხოლო ქართველები — ბალკანურ-კავკასიურს. არ ღირს შეჩერება ამ ქვერასებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე. თუმცა თითოეულ ერში ზოჯერ ქვეტიპებიც გამოიყოფა, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის საერთო ვითარებას — თითოეული ერის განსხვავებულობას სხვისაგან. რომ ეს განსხვავებულობა ეთნოსებს შორის ფაქტია, ამას კარგად ამჩნევს ყოველდღიური, მასობრივი ცნობიერება (თუმცა ხშირად ამ შემთხვევაში ეთნოცენტრიზმის გამოვლინებასთან გვაქვს საქმე). მით უფრო ითქმის ეს მეცნიერულ ცნობიერებაზე (ანთროპოლოგია), ხელოვნებაზე (ფერწერა, ქანდაკება, კინო). საერთოდ, აღნიშნულის მხრივ ცალკეულ ერებს შორის განსხვავებულობაში მეტ-ნაკლებობა შეინიშნება: ზოგი ერი უფრო მეტად ინარჩუნებს თავდაპირველი რასობრივი ნიშნების გენოფონდს (ევროპაში მაგალითად შვედები, გერმანელები, ნორვეგიელები და სხვ), ზოგი — ნაკლებად, მაგრამ მაინც, ვიმეორებთ, უმეტეს შემთხვევებში ერთი ეთნოსის, ერის ანთროპოლოგიური ტიპის განსხვავებულობა მეორისაგან უთუოდ არსებობს.

ისევე როგორც უმრავლესი ეთნოსის, ერის შემადგენლობის ძირითადი ნაწილი მსგავს რასობრივ ეთნიკურ ბირთვს შეადგენს, ასევე ითქმის ეთნოსის, ერის წარმომავლობის შესახებაც. თუმცა სხვადასხვაგვარი ბუნებრივი პირობების, ეთნიკური შერევების გამო მისი შემადგენელი მოსახლეობა მთლად ერთგვაროვანი არაა, მაინც, ვიმეორებთ, სახეზე გვაქვს მყარი რასობრივი ეთნიკური

---

1 გ.მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, 1973, გვ.111. შევნიშნავთ, რომ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ამაზე ყურადღებას ამახვილებდა მიხაკო წერეთელი. იხ. მისი „ერი და კაცობრიობა", თბილისი, 1990, გვ. 26, 42, 70, 74-75, 89-91, 181-182, 197, 199 და ა.შ.

ბირთვი. ეს უკანასკნელი კი საერთო წარმომავლობით ხასიათდება. თუ ევროპის მაგალითებს დავჯერდებით, შვედების, გერმანელების, დანიელების, ნორვეგიელების და სხვათა საერთო ეთნიკური წარმომავლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. საქართველოს მაგალითზე რომ შევჩერდეთ, ვიტყვით რომ მისი მოსახლეობის ძირითადი ბირთვი, აღმოსავლეთ საქართველოშიც კი, მიუხედავად უცხო ეთნიკური მინარევებისა, მაინც ერთგვაროვანი (რასობრივი აზრით) რჩებოდა. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე ასე ითქმის ახლაც.

თითოეულ ეთნოსს, მათ შორის ერს, აქვს როგორც ცნობილია, თავისი საკუთარი გზა ისტორიულ პროცესში. ამრიგად, მათ ერთად ჰკრავს ისტორიის ერთობაც (ისტორიული ბედის ერთობა, ო.ბაუერის გამოთქმა რომ ვიხმაროთ). ამდენად, ეთნოსის, კერძოდ ერის დახასიათებისას მინიშნებულ უნდა იქნეს აღნიშნული ნაშან-თვისებაც.

როგორც ზემოთ უკვე მივუთითებდით, ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება გახლავთ კულტურის ერთობა, რაც საბჭოური მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეზე არავითარ ეჭვს არ იწვევს. კულტურის ერთიანობა ეთნოსს, ერს ახასიათებს ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში. ჩვენ აქ გვინდა ერთ მომენტზე შევჩერდეთ. ჩვენში საყოველთაოდ გავრცელდა შეხედულება კულტურის სოციალისტურ (პროლეტარულ ანდა ინტერნაციონალისტურ) შინაარსსა და ეროვნულ ფორმაზე (შევნიშნავთ, რომ ი.ბ. სტალინამდე ბევრად უფრო ადრე ეს თეზისი ფიგურირებს კ.კაუცკისთან). ამ ფორმულის მიხედვით გამოდის, რომ კულტურის ეროვნულობა მხოლოდ ფორმის საკითხია, კერძოდ ენისა, რაზეც მიუთითებდა ი.ბ.სტალინი. მაგრამ, ჯერ ერთი, ენა კულტურის მხოლოდ ფორმა როდია; ასეთია მაგალითად ფონეტიკა, გრამატიკული წყობის ზოგიერთი მომენტი. მაგრამ ენაში გამოიხატება ეთნოსის, ერის მსოფლმხედვალობაც (კერძოდ, ლექსიკურ ფონდში). ამიტომაც ამ მხრივ ენა კულტურის შინაარსსაც გამოხატავს. მეორეც, ამა თუ იმ ერის დღევანდელი კულტურა, სოციალისტური იქნება იგი თუ ბურჟუაზიული, მარტო დღევანდეობით როდი იფარგლება, იგი თავის თავში „მოხსნილი სახით" შეიცავს წარსულ კულტურასაც. მაგალითისათვის რომ ავიღოთ, დღევანდელი ქართული კულტურისაგან განუყოფელია „შუშანიკის წამება", „ვეფხისტყაოსანი", ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, სვეტიცხოველი, ქართული ხალხური პოეზია და ა.შ. მესამეც, დღევანდელი კულტურული შემოქმედება ამა თუ იმ ერის შინაარსად ღებულობს წარსული კულტურული მემკვიდრეობის ბევრ მხარესაც, რომელზედაც დაყრდნობით იგი აბლებურად გაიაზრებს ძველ კულტურულ მემკვიდრეობას. ასე რომ, ძველი კულტურის ბედი სულაც არ ემსგავსება ძველი ტექნიკისა და ყოფის ბევრი საგნის ბედს, რომელთადმი შემდეგში მხოლოდ ისტორიული ინტერესი თუ აღიძვრის. კერძოდ, თანამედროვე ქართული კულტურის შემდ-

გომი განვითარების მძლავრ წყაროდ რჩება ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის საუკეთესო ნიმუშები. სწორედ იმავე ფაქტორის წყალობით თანამედროვე საბჭოური ლიტერატურა მთლად ერთგვაროვანი როდია, თუნდაც მხოლოდ შინაარსის თვალსაზრისით. ისევე როგორც ეროვნულობა კუტურისა არ დაიყვანება მხოლოდ ფორმაზე თვით საბჭოთა საზოგადოებაში, ასევეა ეს სხვა ტიპის საზოგადოებებშიც. იმისდა მიხედვით თუ როგორი იყო კულტურის ხასიათი, — საერო თუ რელიგიური, წინ წამოიწეოდა ხოლმე ხან რელიგია, ხან კი — საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმები. ჩვენს ისტორიულ პროცესში საუკუნეების გამავლობაში ქრისტიანულ რელიგიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი, როგორც ცნობილია, თვალსაჩინო მაკონსოლიდირებელ როლს ასრულებდა ჩვენი ეთნოსის ცხოვრებაში, მის ბრძოლაში ეთნიკური, ეროვნული არსებობისათვის, ინდივიდუალობის შენარჩუნებაში[1].

ერის, ისევე როგორც ყოველგვარი სხვა ეთნოსის, განსაზღვრაში უნდა ფიგურირებდეს ეროვნული, ეთნიკური თვითშეგნებაც. ამ ფენომენის შესახებ დიდი ხანია რაც ლაპარაკობენ. მისი რაობისა და მნიშვნელობის საკითხი დაისვა ერების შესახებ მიმდინარე დისკუსიის დროს „**Вопросы истории**"-ს ფურცლებზეც. უმეტესობის აზრით, ეთნიკურ, ეროვნულ თვითშეგნებაში უნდა მოიაზრებოდეს მხოლოდ ეთნიკური კუთვნილების შეგნება. ჩვენ კი ვიზიარებთ შეხედულებას, რომელიც ამ მოვლენას გაიაზრებს უფრო ფართო, ღრმა მნიშვნელობით. კონკრეტულად, მასში უნდა აისახებოდეს აგრეთვე ეთნოსის, ერის მიერ ამ კუთვნილების განცდა, მიმართება (შეფასება) მშობლიურ ენასთან, კულტურასთან, ტრადიციებთან და ა.შ., გააზრება საკუთარი ეთნოსის, ერის მდგომარეობისა — თავისუფალია იგი, თუ დამონებული უცხოელთაგან, ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი მისწრაფება სამშობლოს მიერ თავისუფლების მოსაპოვებლად. ამ რიგის საკითხების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. სხვათა შორის, ეთნიკური, ეროვნული თვითშეგნების გაღვივება-გაღრმავება ისტორიული მეცნიერების უდიდესი, უმთავრესი დანიშნულებაა. დაწვრილებით არ შევჩერდებით იმაზე, რომ ეს თვითშეგნება დამუკიდებლად, იმანენტურად როდი ვითარდება, არამედ ეფუძნება მთელ რიგ სხვა წანამძღვარებს. წარმოიშობა რა ამ საფუძველზე, ეთნიკური თვითშეგნება, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება ეთნოსის, ერის განვითარებაში.

ახლა რაც შეეხება ერის ეკონომიკური ცხოვრების ერთობას. ჩვენი აზრით, სულაც არაა საჭირო ერის ნაწილის ეკონომიკური ერთიერთობების ინტენსიობამ იმ ხარისხს მიაღწიოს, როგორც ამას კაპიტალიზმის განვითარების პირო-

---

1 ი.გოგებაშვილი თავის ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა" რელიგიას და ეკლესიას თვლიდა ერის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშან-თვისებებად.

ბებში აქვს ადგილი, რათა ეთნოსი ასეთად, ერად იქნეს ჩათვლილი. მიგვაჩნია, რომ ერი შეიძლება ჩამოყალიბდეს უფრო უწინაც, ფეოდალიზმის მეორე ფაზის პირობებში და კიდევ უფრო უწინაც. მაგრამ ამაზე ქვემოთ. აქ კითხვა ისმის: რაში მდგომარეობს მაშინ ისტორიის მატერიალისტური გაგების ძირითადი პრინციპის გამოყენება ერის პრობლემის გააზრების საქმეში. ამაზე ვუპასუხებთ შემდეგს: ეთნიკური ფორმების მონაცვლეობა ისტორიაში გარკვეულად არის დაკავშირებული წარმოების წესების მონაცვლეობასთან, მხოლოდ არა ისე, რომ თითოეული წარმოების წესს შესაბამისი „ეთნიკური ზედნაშენი" დავუკავშიროთ. არქაული კომუნისტური წარმოების წესი განაპირობებდა გვარ-ტომის არსებობას[1], მისი განვითარების ბოლო ფაზაზე წარმოიშვა ტომთა კავშირები და ხალხებიც კი. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, წარმოების განვითარების აღნიშნული საფეხური მდგომარეობდა ნადირობის, შემგროვებლობისა და მეთევზეობის განვითარებაში, შემდეგ — მწარმოებლური მეურნეობის (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა) გავრცელებაში. სწორედ მეურნეობის დაბალი ფორმების შენარჩუნება გახლდათ მიზეზი იმისა, რომ კაკობრიობის მთელი რიგი ჯგუფებისა ვერ გასცდა გვარ-ტომობის საფეხურს ეთნიკურ განვითარებაში (იგულისხმება კაპიტალიზმთან კონტაქტებამდე).

ხალხი და ერი წარმოიშვება და ვითარდება წარმოების უფრო მაღალი განვითარების საფეხურზე — როცა მიწათმოქმედება, აღმოსავლეთში ირიგაციის ფართო განვითარებით, მაღალ საფეხურს აღწევს, ვითარდება მისი ინტენსიური დარგები, რა თქმა უნდა, მოსახლეობა დიდი ხნის ბინადარ ცხოვრებას ეწევა, იზრდება ხალხთმოსახლეობა, იშლება გვაროვნულ-ტომობრივი კავშირურთიერთობანი და სხვ., შედარებით განვითარებულია კომუნიკაციები (გზები, სატრანსპორტო ტექნიკა). უამპირობებოდ, ხაზს ვუსვამთ, მითუმეტეს ერის წარმოშობა შეუძლებელია. მაგრამ მხოლოდ ეს პირობა როდია საკმარისი ერის განვითარებისათვის; ეთნოსმა უნდა განავითაროს მთელი რიგი სხვა წინაპირობანი და ნიშან-თვისებები, შექმნას ხელსაყრელი ვითარება ევოლუციისათვის რათა იგი ერად იქცეს. დასავლეთ ევროპის რიგი ეთნოსების ერებად გადაქცევა დაკავშირებული იყო წარმოების შემდგომ განვითარებასთან — ხელოსნობის

---

1 უწინ ჩვენში საყოველთაოდ იყო გავრცელებული შეხედულება, რომ ჯერ გაჩნდა გვარი და შემდეგ, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე — ტომი. ეს აშკარა შეცდომაა, რომელიც ი.ბ.სტალინისაგან მოდის. გვარი, როგორც ცნობილია, ეგზოგამიური ერთეულია და იმთავითვე უკავშირდება ტომს. საწუხაროდ, ეს შეცდომა აქა-იქ კვლავ იჩენს ხოლმე თავს. ასე მაგალითად, ა.სურგულაძე წერს: „გვარი ადამიანთა საზოგადოების პირველი საზოგადოებრივი ორგანიზმია, პირველი ეთნიკურ-სოციალური ერთობა. საზოგადოების განვითარების უფრო შედარებით მაღალ საფეხურზე სისხლით მონათესავე გვარების შეერთებით თანდათან ყალიბდება ტომობრივი ერთობა". იხ. „მაცნე", 1967, № 5.

გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან, ხოლო ვაჭრობისა — ამ ორი დარგისაგან, ქალაქების, კომუნიკაციებისა და სხვ. განვითარება[1].

ეკონომიკური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერის წარმოქმნა-განვითარებაში მაშინ, როდესაც ამ პროცესს ხელს უწყობს აგრეთვე სხვა დანარჩენი ფაქტორების არსებობაც. ამის გარეშე ეკონომიკა, თვით მაღალი განვითარების ფორმითაც კი, უძლურია ერის ჩამოყალიბება-ფორმირების საქმეში. შვეიცარია, ბელგია, კანადა და სხვა, მოგეხსენებათ, მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები არიან და თანაც კაპიტალიზმი, როგორც ცნობილია, აქ დიდი ხნის წინ ჩაისახა და განვითარდა, მაგრამ ლაპარაკი შვეიცარიელ, ბელგიელ, კანადელ და ა.შ. ერებზე, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით შეუძლებელია. მონოპოლისტური კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყანაში — აშშ-ში ჩვენ ვერ ვხედავთ ერის განვითარების ისეთივე ღრმა პროცესს, როგორც დანიაში, ნორვეგიაში, ირლანდიაში და სხვა დასავლეთევროპულ ქვეყნებში, რომელთაც ეკონომიკის შედარებით დაბალი დონე ახასიათებთ. იმავე ეკონომიკის შემდგომი განვითარება ალბათ პრობლემატურს გახდის ინდოეთის რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ერთ ერად შეკავშირებას. (მსგავს მოვლენას აქვს ადგილი პატარა შრი-ლანკის მოსახლეობაშიც). ამით დავამთავრებთ ერის ძირითადი ნიშან-თვისებების შესახებ მჯელობას. ზემოთქმულის საფუძველზე ერს ჩვენ ასე განვსაზღვრავდით: „ერი ეს არის დიდი ეთნიკური ჯგუფი, ეთნოსოციალური ერთობის უმაღლესი და რთული სტრუქტურის ფორმა, რომელსაც ახასიათებს ენის, ტერიტორიის, ანთროპოლოგიური ტიპის, წარმომავლობის, ისტორიული ბედ-იღბლის, კულტურის, თვითშეგნების, ეკონომიკური ურთიერთობების, ფსიქოლოგიიის და ტრადიციების ერთობა“ (ტრადიციებში აქ ჩვენ ვგულისხმობთ ძირითადად ყოფის სფეროში არსებულ მემკვიდრეობითობას, წესჩვეულებებს).

ი.ბ.სტალინი, როგორც უკვე მივუთითებდით, ერისათვის დამახასიათებლად თვლიდა ოთხ ნიშან-თვისებას, თანაც დასძენდა, რომ ერთ-ერთი მათგანის დაკარგვის შემთხვევაშიც კი ერი წყვეტს ერად არსებობას. მაგრამ ისტორია სულაც არ ადასტურებს ამ დებულებას. ცნობილი გახლავთ, რომ ინგლისელთა ბატონობის შედეგად ირლანდიელების აბსოლუტურმა უმეტესობამ თავისი მშობლიური ენა დაჰკარგა და ინგლისური შეითვისა; ახლაც კი, მიუხედავად დიდი აგიტაციისა, მხოლოდ 15 პროცენტი ირლანდიელებისა თუ ფლობს მშობლიურ ენას. მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა ირლანდიელებს თავიანთი ეროვნება და ეროვნულობა არ დაუკარგავთ. (სხვათა შორის, ფ.ენგელსი აღნი-

1 როცა ლაპარაკობენ ფეოდალიზმის დროს ერების წარმოშობის შეუძლებლობაზე, მხედველობაში აქვთ მხოლოდ პირველი ფაზა და არა მეორე, თითქოს ამ პირველი ფაზიდან უშუალოდ მოხდა გადასვლა კაპიტალიზმზე.

შნავდა, რომ რაც უფრო მეტად ითვისებდნენ ირლანდიელები ინგლისურ ენას, მით უფრო მეტად ხდებოდნენ ანტიინგლისელები). შესაძლებელია ხალხმა დაჰკარგოს ტერიტორიის ერთობა, მაგრამ იგი მაინც ერად რჩება. ძნელბედობის გამო პოლონელები, როგორც ვიცით, სამი სახელმწიფოს ფარგლებში მოექცნენ, ამრიგად დაჰკარგეს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ ისინი მაინც ერთ ერად დარჩნენ[1]. ებრაელების დიასპორა საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ებრაელობამ, როგორც ერმა არ დაჰკარგა თავისი ეროვნება და თავისი სიცოცხლისუნარიანობა, რის წყალობითაც მათ თავიანთი ძველი ტერიტორია დაიბრუნეს. ასევე თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სომხობის მხოლოდ ნახევარი თუ ცხოვრობს, მაგრამ დანარჩენი ნახევარის მნიშვნელოვანი ნაწილი სომხურ ეროვნულ ორგანიზმს როდია მოწყვეტილი. და ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა. ის რაც მოსახლეობას ეთნოსის, მითუმეტეს ერის, ფორმით ჰკრავდა მრავალი ხნის განმავლობაში, არ შეიძლება ერთბაშად, თუნდაც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, გაწყდეს, ერთიანი ტერიტორიის გაყოფის ან სხვადასხვა ტერიტორიაზე გაფანტვის შემთხვევაში.

„Вопросы истории"-ს ფურცლებზე მიმდინარე დისკუსიის დროს იყო ცდები ერის ნიშან-თვისებათა ჩამოთვლისა და ამ გზით ერის განსაზღვრისა. დისკუსიის წამომწყებნი პ.როგაჩოვი და მ.სვერდლინი ჩამოთვლიდნენ სამეურნეო ცხოვრების (მუშათა კლასის არსებობით), ტერიტორიის, ენის (განსაკუთრებით ლიტერატურულისა), ეთნიკური კუთვნილების თვითშეგნების, აგრეთვე ფსიქოლოგიის, ყოფის ტრადიციების, კულტურისა და განმათავისუფლებელი ბრძოლის ზოგიერთი თავისებურებების მყარ ერთობას[2]. მ.მნაცაკანიანი საერთო ენის, ტერიტორიის, სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის შემდეგ ერის მეოთხე ნიშნად თვლის საერთო სახელმწიფოებრიობას[3]. ტ.ბურმისტროვას მიხედვით კი ერი წარმოადგენს ეკონომიკის (სამრეწველო), ტერიტორიის, დამწერლობითი ენის, ხასიათისა და კულტურის ერთიანობას[4]. ა.სანცევიჩის მეხედულებით კი „ერი არის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, საერთო ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანების ერთობა რევოლუციურ ბრძოლასა და სოციალურ გარდაქმნებში მუშათა კლასის აქტიური როლით, ისტორიული ტრადიციების ერთობით"[5]. გ.მელიქიშვილი ერისათვის დამახასიათებლად თვლის ენის, კულტურის, ტერიტორიისა და ეკონომი-

---

1 ი.ბ.სტალინის მიხედვით, პოლონელი ერი ყალიბდებოდა ავსტრიის იმპერიასა და რუსეთში ცალ-ცალკე.

2 იხ. „Вопросы истории", 1966, № 1, გვ. 45.

3 იქვე, 1966, № 9, გვ. 35.

4 იქვე, 1966, № 12, გვ.108-109.

5 იქვე, 1966, № 12, გვ. 166.

კური ცხოვრების ერთობას[1]. იგი აღნიშნავს: „განმარტებას მოითხოვს ერის თუ სხვა ეთნოსოციალურ ერთობათა დეფინიციაში ერთიმეორის გვერდით, ერთ სიბრტყეზე სულ სხვადასხვა რიგის ნიშნების დასახელება. ერთი რიგის ეთნიკური ხასიათის ნიშნებია ენა და კულტურა, ხოლო მეორე რიგისა — „ტერიტორია“ და „ეკონომიური ცხოვრება“. ეს უკანასკნელები უფრო პირობებია, ფაქტორეებია ზემოდასახელებული ეთნიკური ნიშნების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისათვის“[2]. ეს საყურადღებო მოსაზრებაა. მსგავსი თვალსაზრისი გამოთქმული ჰქონდა ოტო ბაუერს თავის წიგნში, სადაც ტერიტორია, ეკონომიკური ცხოვრება, საერთო თვითშეგნება განხილულია ერის წარმოქმნა — ჩამოყალიბების პირობებად. გ.მელიქიშვილი აქვე იძლევა ეთნოსოციალური ერთობის განსაზღვრას: „... საერთო წარმოშობის, თანაცხოვრებისა და ცხოველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურულ-რელიგიურ კავშირ-ურთიერთობათა საფუძველზე ამა თუ იმ კონკრეტული ერთობისადმი კუთვნილების თვითშეგნების, საერთო ენის და კულტურის მქონე ადამიანთა მყარი ერთობა არის ეთნო-სოციალური ერთობა“[3].

ჩვენც ასევე მივიჩნევთ, რომ ერის დახასიათებისას ეკონომიკური ფაქტორი ყველაზე მნიშვნელოვანი არაა. თუმცა რიგ საბჭოთა ავტორთა მიხედვით (პ.როგაჩოვი, მ.სვერდლინი, ტ.ბურმისტროვა, ა.სანცევიჩი და სხვანი) ერის უპირველეს ნიშან-თვისებად ეკონომიკური ფაქტორი ითვლება (იხ. ზემოთ). ასევე საბჭოთა ფილოსოფოსი დ.ი.ჩესნოკოვი ჯერ ასახელებს ტერიტორიის ერთობას, შემდეგ — სამეურნეო კავშირ-ურთიერთობების ერთობას და შემდეგ — ენისა და ფსიქიკური წყობის ერთობას[4]. იმავე ავტორთან ვკითხულობთ: „მართლაც, ერი წარმოადგენს ადამიანთა განსაზღვრულ ეკონომიკურ ერთობას, იგი არის განხორციელება და გამოხატულება ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობებისა. ერი და ეროვნული ურთიერთობანი თავისი ძირებით მიდიან ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში, მიეკუთვნებიან ბაზისის სფეროს“[5].

საერთოდ ერის რაობის კვლევა-ძიებისას არსებობს სერიოზული საფრთხე ნამეტანი სოციოლოგიზმისა, სახელდობრ რომ იგი (ერი) გაგებულ იქნეს საზოგადოების მსგავსად[6]. (აქ იგულისხმება, რა თქმა უნდა, ისტორიის მატერიალის-

---

1 გ.მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, გვ. 110, 111.

2 იქვე, გვ. 111; იხ. აგრეთვე გვ. 114.

3 იქვე, გვ. 114, აღვნიშნავთ, რომ „კულტურას“ ავტორი განიხილავს ფართო შინაარსით: სულიერი და მატერიალური კულტურა, რელიგია, ზნე-ჩვეულებანი, „ფსიქიკური წყობა“, იხ. გვ. 112-113.

4 Д.И.Чесноков, Исторический материализм, М., 1965, გვ. 240. თვით საერთო ენის წარმოშობას ავტორი უკავშირებს კაპიტალიზმის განვითარებას (იხ. იქვე).

5 იქვე. გვ. 240.

6 ამ საფრთხის შესახებ წერდა მ.წერეთელი „ერსა და კაცობრიობაში“.

ტური გაგებაც). ამ შემთხვევაში უნდა დაწყებულ იქნეს ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობიდან და შემდეგ მოხდეს გადასვლა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებზე. თუ ეს გამართლებულია საზოგადოების როგორც სისტემის ანალიზისას, უადგილოა იგი ეთნოსის, ერის ანალიზისას. საზოგადოების როგორც სისტემის, მისი სტრუქტურების ანალიზისას ჩვენ შეგვიძლია ენა ყურადღების გარეშე დავტოვოთ, ასევე რასა, საერთო წარმოშობა, ფსიქიკური წყობა და საერთოდ აბსტრაჰირება მოვახდინოთ საზოგადოების ისტორიისაგან. მაგრამ ასეთი გზა ერის რაობის გაგებაში აშკარად მცდარია. ასეთი საფრთხე რომ სერიოზულად არსებობს, ეს დაგვანახა ზემოაღნიშნული რიგი საბჭოთა ავტორების მიდგომამ საკითხისადმი[1].

დასასრულს, როგორც დავინახეთ, მ.მნაცაკანიანი ერის ერთ-ერთ ძირითად ნიშან-თვისებად თვლის სახელმწიფოებრიობას. ეს არაა ახალი. ამ იდეის გულმხურვალე პროპაგანდისტი იყო მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი შვეიცარიელი სამართალმცოდნე ი.ბლუნჩლი (შევნიშნავთ, რომ საქართველოში მსგავს შეხედულებას იზიარებდა არჩილ ჯორჯაძე). მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო დიდ როლს ასრულებს ეთნოსის, მათ შორის უფრო მეტად, რა თქმა უნდა, ერის ცხოვრებიაში, ეთნიკურ კონსოლიდაციაში. მაგრამ ერის ნიშან-თვისებათა ჩამოთვლისას ამ ფაქტორის დასახელებას ჩვენ გაუმართლებლად ვთვლით.

ერის წარმოშობის ისტორიული ეპოქის შესახებ. ი.ბ. სტალინის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", როგორც ცნობილია, ერის ფორმირება-ჩამოყალიბება უკავშირდება კაპიტალიზმის განვითარებას. მაგრამ ამ ნაშრომში გაურკვეველი რჩება საკითხის იმის თაობაზე, თუ როდის იწყება ამ ეთნიკური ფორმის გენეზისი — ჩასახვა. ცხადია, როგორც ყოველივე სხვა მოვლენა ეს უკანასკნელიც პროცესის სახით უნდა იქნეს გააზრებული. ერთი მხრივ, ი.ბ.სტალინის აღნიშნულ ნაშრომში ლაპარაკია ერზე, როგორც „ისტორიულად ჩამოყალიბებულ მყარ ერთობაზე". აქვე ვკითხულობთ: „ერი ყალიბდება მხოლოდ ხანგრძლივი და რეგულარული ურთიერთობის შედეგად, თაობიდან თაობამდე ადამიანთა ერთად ცხოვრების შედეგად"[2]. მაგრამ მეორე მხრივ, ამავე ნაშრომში ი.ბ.სტალინი აღნიშნავს: „ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ამავე დროს ადამიანების ერებად ჩამოყალიბების პროცესია"[3]. ამრიგად, ერთი მხრივ, ავტორი ხაზს უსვამდა ენის წარმოშობის დროის სიშორეს საუკუნეების სიღრმეებში, ხოლო მეორე მხრივ,

---

1 საქართველოში მსგავსი შეცდომა მოუვიდა დ.ჩხიკვიშვილს. იხ. მისი, „ერი, კულტურა და სოციალიზმი", თბილისი, 1972, გვ. 9.

2 ი.ბ.სტალინი, თხზულებანი, ტ.2, გვ. 317.

3 იქვე, გვ. 326; იხ. აგრეთვე, ი.ბ.სტალინის მეორე აზრი ამავე გვერდზე.

ამ პროცესის დასაწყისს იგი უკავშირებდა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ ხანას.

აღნიშნულმა გაურკვევლობამ თავი იჩინა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. ისტორიკოსთა ნაწილი ქართველი ერის წარმოშობის საწყის ფაზას უკავშირებდა საქართველოში ფეოდალიზმის რღვევასა და კაპიტალიზმის ელემენტების გაჩენას, ასე რომ, ერის ეროგორც პროცესის დაწყება — გაშლა-ჩამოყალიბებას მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ფარგლებში ათავსებდა. ამის საფუძველს, ი.ბ.სტალინის მოტანილი ციტატის გარდა, იძლეოდა ამ უკანასკნელის აზრები საკუთრივ ქართველი ერის წარმოშობაზე: „ავიღოთ თუნდაც ქართველები, რეფორმამდელ ხანაში ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, მიუხედავად ამისა, ისინი არსებითად ერთ ერს არ შეადგენდნენ, ვინაიდან დანაწილებული იყვნენ მთელ რიგ ერთმანეთისაგან მოწყვეტილ სამთავროებად“,[1] „საქართველო როგორც ერი (sic !) მხოლოდ XIX ს-ის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი“[2].

ქართველ ისტორიკოსთა ნაწილმა ი.ბ.სტალინის აქ მოტანილი ციტატების საფუძველზე დაასკვნა ის, რაზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით. მათ საწინააღმდეგოდ სიმონ ჯანაშია შეეცადა ქართველი ერის ფორმირება-ჩამოყალიბება წარმოედგინა როგორც ხანგრძლივი პროცესი, რომელიც გვაროვნულ-ტომობრივი წყობილებიდან იწყება და მთავრდება XIX ს-ის მეორე ნახევარში, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური სამეურნეო წყობის დამკვიდრებასთან ერთად. თავისი ნააზრევი ს.ჯანაშიამ შემაჯამებელი სახით შეიტანა „საქართველოს ისტორიის“ 1946 წლის გამოცემაში. ენის, ტერიტორიის, ფსიქიკური წყობის ერთობას, როგორც ნიშან-თვისებებსა ან ელემენტებს ავტორი აკუთვნებდა ჩვენი ისტორიული პროცესის წინა საფეხურებს. მაგრამ ამ საფეხურზე, ს.ჯანაშიას აზრით,

---

1 ი.ბ.სტალინი, თხზულებანი, ტ.2, გვ. 318.

2 იქვე. მსგავსი ლაფსუსები სხვაგანაც გვხვდება ი.ბ.სტალინის შეხედულებებში საქართველოს ისტორიის შესახებ. მაგალითად, ქართველები „საუკუნეთა განმავლობაში ეომებოდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს, ერთიმეორეს უსისიანებდნენ სპარსელებსა და თურქებს“ (იქვე, გვ. 318)); „სამთავროთა ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის იღბლიანი მეფე ახერხებდა“ (იქვე). როგორც ცნობილია, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება X-XII საუკუნეებში „იღბალმა“, ე.ი. წმინდა შემთხვევითობამ როდი განაპირობა. ანდა რა სამტკიცებელია ქართველთა ისეთი „ნაციონალური თავისებურება“, როგორიცაა „სისხლის აღების უფლება“ (იქვე, გვ. 355). ეს გადმონაშთი პირველყოფილი საზოგადოებისა ხომ ძირითადად ქართველ მთიელებს შემორჩათ.

ქართველთა ცხოვრებას აკლდა ეკონომიკის ერთობა, ხოლო როცა ეს გაჩნდა, ქართველობა ერად ჩამოყალიბდა.

მთლიანად აღებული ს.ჯანაშიას ნააზრევი ქართველი ერის ჩამოყალიბების თაობაზე ქართული ისტორიოგრაფიის დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. აქ ერთმანეთს დაემთხვა ისტორიკოსის მისწრაფება მეცნიერული ჭეშმარიტებისადმი და პატრიოტული პოზიცია. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ი.ბ.სტალინს დაწერილი ჰქონდა ნაშრომი (1929 წელს) „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი", სადაც ერის წარმოშობა (ჩამოყალიბება) წარმოდგენილი იყო როგორც ხანგრძლივი პროცესი, რომლის განმავლობაში ხდებოდა ერის ნიშან-თვისებებისა თუ ელემენტების დაგროვება. მაგრამ ეს ნაშრომი გამოქვეყნებულ იქნა 1949 წელს და ს.ჯანაშიამ მის შესახებ 1944-46 წლებში, ალბათ, არაფერი არ იცოდა. ი.ბ.სტალინის გამონათქვამში ს.ჯანაშიამ ყურადღება მიაქცია სიტყვებს იმის შესახებ, რომ ქართველები მეცხრამეტე საუკუნემდე „არსებითად ერთ ერს არ შეადგენდნენ". მ.ნეჩკინასთან კამათში იგი ხაზს უსვამდა ამ ნიუანსს, რომელშიც შემდეგი აზრი იგულისხმებოდა: არსებითად ერს არ შეადგენდნენ, მაგრამ რაღაცა, გარკვეული ზომით არსებობდნენ; ამდენად, ქართველობის ერად გადაქცევა ხანგრძლივი პროცესის შედეგს წარმოადგენდა[1]. ს.ჯანაშიას ნააზრევში მნიშვნელოვანი მომენტი იყო აგრეთვე ერის ერთ-ერთ არსებით ნიშან-თვისებად კულტურის ერთობის წარმოდგენა, რაც, როგორც დავინახეთ, ი.ბ.სტალინის როგორც პირველ, ისე მეორე ნაშრომში, არ შედიოდა ერის ცნებაში და ასევე ეროვნული კუთვნილების შეგნება (თუმცა ვიწრო მნიშვნელობით), რაც მხოლოდ ერის შესახებ გამართული დისკუსიის დროს გაკეთდა[2].

ი.ბ.სტალინის ნაშრომებში აღნიშნული საკითხის შესახებ სხვა შეუსაბამობანიც არის. ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" ვკითხულობთ: „მაგრამ ერების წარმოშობა იქ (დასავლეთ ევროპაში, — გ.ყ.) ნიშნავდა ამავე დროს მათ გადაქცევას დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოებად. ინგ-

---

1 "Историк-марксист", 1940, № 12. სხვათა შორის, მ.ნეჩკინა ს.ჯანაშიას მიუთითებდა, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში ქართველები შეადგენდნენ ხალხს „национальность" და არა ერს „нация".

2 ს.ჯანაშიას ნააზრევი აღნიშნული საკითხის შესახებ მთლიანად, მათ შორის მოხსენების ტექსტი, განხილული და გამოქვეყნებული აქვს ი.კაჭარავას თავის „ისტორიოგრაფიულ ეტიუდებში" (თბ., 1978). სხვათა შორის, ჩვენ ვერ გავიზიარებთ ი.კაჭარავას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ს.ჯანაშია ფეოდალური საქართველოს პირობებში ერის არსებობას გულისხმობდა და თანაც თითქოს ეს გამომდინარეობს ი.ბ.სტალინის თეორიული მემკვიდრეობიდან და რომ ს.ჯანაშია ბურჟუაზიული ერის აღსანიშნავად ხმარობდა ტერმინ „ნაციას", ხოლო ერს — ფეოდალიზმის მიმართ. ეს მნიშვნელოვანწილად აუფასურებს ს.ჯანაშიას დამსახურებას (უმაღლესი ეთნიკური ფორმა — „ნაცია" უკავშირდება კაპიტალიზმს, ხოლო ფეოდალიზმისათვის რჩება ტერმინი „ერი" მაღალი შინაარსის გარეშე!).

ლისელი, ფრანგი და სხვა ერები ამავე დროს ინგლისისა და სხვ. სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ[1]. მაგრამ ეს ხომ აქ მეთხუთმეტე საუკუნეში მოხდა, ე.ი;. ფეოდალიზმის მეორე ფაზის ბოლოს! მეორე ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ ი.ბ.სტალინი ლაპარაკობდა ბალკანელ ერებზე, რომელთაც ჩაგრავდნენ თურქები, და სომხებსა და ქართველებზე, როგორც ერებზე ფეოდალიზმის ეპოქაში[2].

ერის რაობა და ადგილი ეთნიკური ფორმების მონაცვლეობაში ვერ გაირკვევა თუ გააზრებული არ იქნება წინამავლი ფორმებიც, განსაკუთრებით ის ეთნიკური წარმონაქმნი, რომელიც მას უშუალოდ წინ უძღოდა. ი.ბ.სტალინის ნაშრომებში ამას, რა თქმა უნდა, ვერ ვხედავთ; მხოლოდ იშვიათად, კანტი-კუნტად, თუ არის აქ გაბნეული აზრები ამ საკითხის შესახებ. ი.ბ. სტალინი პირველ ეთნიკურ ფორმად თვლიდა გვარს, შემდეგ — ტომს[3]. ცალკე ლაპარაკობდა ხალხებზე (народности), ზოგჯერ ხმარობდა ტერმინ „народец“-ს (გაურკვეველი მნიშვნელობით). „Народность“-ში იგი გულისხმობდა მაგალითად, აფხაზებს, ლეკებს და სხვ. უფრო მაღალ ეთნიკურ ფორმად კი ი.ბ.სტალინი მიიჩნევდა „национальность“-ს. Национальность-ს შეადგენდნენ, მაგალითად, ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში მყოფი ხალხები, ვიდრე ისინი ერებად გადაიქცეოდნენ. „национальность“ იყო, მისი აზრით, ქართველობაც მეცხრამეტე ს-მდე, ასევე ფინელები[4]. ზოგჯერ ეთნიკური ტერმინი „ეროვნება“ ი.ბ.სტალინს ნახმარი აქვს ერის მნიშვნელობით[5].

ი.ბ.სტალინის პირველი ნაშრომის მე-6 თავში გვხვდება უცნაური მოსაზრება, რაზედაც ყურადღება დღემდე არ მიუქცევიათ. აქ ლაპარაკია კავკასიაში მცხოვრებ რიგ ხალხებზე („народность“), რომელთაც „პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებული არიან“[6]. ნაშრომში ვკითხულობთ: „რა ვუყოთ მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ? რომელ ერებს მივაკუთვნოთ ისინი? შესაძლებელია თუ არა მათი „მოწყობა“ ნაციონალურ კავშირებად? რომელი „კულტურული საქმეების“ გარშემო „მოვაწყოთ“ ისინი?“[7], „რომელ

1 ი.ბ.სტალინი, თხზულებანი, ტ.2, გვ. 326.

2 ი.ბ.სტალინი, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 385.

3 ი.ბ.სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1954, გვ. 10.

4 ი.ბ.სტალინი, თხზულებანი, ტ.2, გვ. 363, 364, 367.

5 იქვე, გვ. 350, 356, 357, 359. აქვე შევნიშნავთ, რომ შვეიცარიელები ავტორთან მოიხსენიება როგორც ცალკეულ ეროვნებათა ერთობლიობა, იხ. იქვე, გვ. 364, 366.

6 ი.ბ.სტალინი, თხზულებანი, ტ.2, გვ. 376.

7 იქვე, გვ. 377. ზედმეტია შევნერდეთ ი.ბ.სტალინის იმ აზრის მცდარობაზე, რომლის მიხედვითაც ეს „ხალხები“ ასიმილაციას განიცდიან. საქმე, რა თქმა უნდა, ეხება მხოლოდ კონსოლიდაციას.

ნაციონალურ კავშირს მივაკუთნოთ აჭარლები, რომლებიც ქართულ ენაზე ლაპარკობენ, მაგრამ თურქული კულტურით ცხოვრობენ და ისლამის რჯულს აღიარებენ? ხომ არ „მოვაწყოთ“ ისინი ქართველებისაგან განცალკევებულად რელიგიური საქმეების ნიადაგზე და ქართველებთან ერთად სხვა კულტურული საქმეების ნიადაგზე? ახლა ქობულეთელები? ... ახლა ინგილოები?“[1]. მოტანილ ციტატებიდან აშკარად ჩანს, რომ ი.ბ.სტალინი მეგრელებს, სვანებს, აჭარლებს და სხვ. არ მიაკუთვნებდა ქართველ ერს თვით მეცხრამეტე ს-ის მეორე ნახევრისა და მეოცე ს-ის პირველი ოცწლეულის განმავლობაში. ამრიგად, როცა იგი მეცხრამეტე ს-ის მეორე ნახევარში ქართველობის ერად ჩამოყალიბებაზე ლაპარაკობდა, გულისხმობდა რომ ქართველ ერს, ქართველობას შეადგენდნენ ქართლელები, კახელები, იმერლები და სხვები, ე.ი. მხოლოდ ისინი ვისაც სალაპარაკო ენად ქართული ენის დაილექტები აქვთ. სამწუხაროდ, ეს შეხედულება იმეორებს მეფის რუსეთის ოფიციალური იდეოლოგიისა და პოლიტიკის სტერეოტიპებს ქართველი ერის შესახებ. მაგრამ ამაზე შემდეგ ვისაუბროთ.

ახლა შევჩერდებით იმაზე თუ რომელ ისტორიულ ფაზას უკავშირებდნენ ერის წარმოშობას კ.მარქსი და ფ.ენგელსი. ამ თვალსაზრისით მთელი საკითხის მარქსოლოგიური კვლევა-ძიება ჯერჯერობით არ ჩატარებულა. თუმცა ამ მოაზროვნეთა, განსაკუთრებით ფ.ენგელსის, აზრების სისტემაში მოყვანა ეთნიკური ფორმების მონაცვლეობისა და კერძოდ, ერის წარმოშობის თაობაზე პერსპექტიული საკითხია. სჯერდებიან ორ ციტატას მარქსიზმის კლასიკოსების ადრეული ნაწარმოებებიდან („კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „გლეხთა ომი გერმანიაში“), საიდანაც თითქოს ჩანს, რომ ერების წარმოშობას დასავლეთ ევროპაში ისინი იაზრებდნენ მხოლოდ აღმავალი კაპიტალიზმის პირობებში, სწორედ ისევე როგორც ამას აკეთებდა კ.კაუცკი და შემდეგ ი.ბ.სტალინი. მაგრამ მარქსიზმის კლასიკოსების ნააზრევის წარმოჩენა ამა თუ იმ საკითხის შესახებ მხოლოდ ორიოდე ციტატის მოტანით სულაც არ გახლავთ მეცნიერული გზა; სინამდვილეში უნდა გააზრებულ იქნეს მათი შეხედულებანი მთლიანობაში. თუნდაც აღნიშნული პერიოდის აზრები რომ განვიხილოთ, დავინახავთ, რომ კ.მარქსი და ფ.ენგელსი ერის წარმოშობის თაობაზე სხვანაირადაც ფიქრობდნენ. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ავტორები წერდნენ „ბარბაროსული ერების“ შესახებ[2], იმაზე, რომ კაპიტალიზმის ექსპანსიის პირობებში ჩამორჩე-

1 ი.ბ.სტალინი, თხზულებანი, ტ.2, გვ. 377. ი.ბ.სტალინი 1921 წელსაც აღნიშნავდა აჭარლების შესახებ, რომ ისინი ქართველები არ არიანო. იხ. თხზულებანი, ტ.5, გვ. 276. ალბათ, ყველაზე მეტად აქედან მოდის კურიოზული მტკიცებანი ქართველთა მიერ აჭარლების „ასიმილაციის“, „აჭარული ენიდან“ თარგმანების შესახებ.

2 კ.მარქსი, ფ.ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1974, გვ.12. „ბარბაროსობაში“ კ.მარქსი და ფ.ენგელსი ამ პერიოდში გულისხმობდნენ აღმოსავლეთის ტრადიციულ საზოგადოებას, სანამ ეს უკანასკნელი დაიშლებოდა კაპიტალიზმის ზემოქმედებით.

ნილი ერები იძულებული არიან კაპიტალისტური წარმოების წესი შეითვისონო[1]. 40-იანი წლების დასასრულისა და 50-იანი წლების დასაწყისის ნაწერებში კ.მარქსისთან და ფ.ენგელსთან არაერთგზის ვსვდებით ირლანდიელების, მთელი რიგი სლავი ხალხების ერებად მოხსენიების ფაქტებს. მეორე ოპიუმის ომს (1856-1858 წწ.) ფ.ენგელსი უწოდებდა „სახალხო ომს ჩინელი ერის დასაცავად"[2].

აღნიშნულის თაობაზე ა.სურგულაძე შენიშნავს: „მარქსისა და ენგელსის შრომებში ერი ზოგჯერ მონათმფლობელური და ფეოდალური ფორმაციების მიმართაც იხმარება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთისაგან არ განასხვავებდნენ ერსა და ეროვნებას"[3]; „მარქსსა და ენგელსს, როცა ისინი წინაკაპიტალისტური ეპოქების „ერებზე" ლაპარაკობდნენ, მხედველობაში ჰქონდათ ერი, როგორც ეთნიკური ერთობა, რაც, ცხადია, ერების ჩამოყალიბებამდე შეიქმნა. ხალხთა ეროვნული თავისებურებანი აღმოცენდებიან უფრო ადრე, ვიდრე ერები ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით"[4]; „მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში ვერსად შეხვდებით საუბარს ერის, როგორც ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენის შესახებ"[5]. ვფიქრობთ, რომ გვაქვს სათანადო საფუძველი დავეჭვდეთ ასეთი მტკიცების მართებულობაში. ასე მაგალითად, პროვანსელების შესახებ კ.მარქსი შენიშნავდა, რომ ამ უკანასკნელმა „პირველმა ახალი დროის ერებიდან გამოიმუშავა სალიტერატურო ენა"[6].

1881-82 წლებში დაწერილ ფ.ენგელსის სტატიაში — „მარკა", ვკითხულობთ, რომ იმ ვითარებაში, როცა ხალხი შედგება მხოლოდ წვრილი თემებისაგან[7], რომელთა ეკონომიკური ინტერესები ერთნაირი იყო და სწორედ ამიტომ — არა საერთო, ერის შემდგომი არსებობის პირობა ხდება სახელმწიფოებრივი ხელისუფლება[8].

ფ.ენგელსი თვლიდა, რომ პირველ კაპიტალისტურ ერს წარმოადგენდნენ

---

1 იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 12. აღნიშნული კონტექსტის მიხედვით გასაგები ხდება იმ განცხადების საზრისიც, რომ კაპიტალიზმმა ერთმანეთთან დააკავშირა სხვადასხვა ერები (იგულისხმება წინაკაპიტალისტურ ფაზებზე მყოფნი).

2 К.Маркс и Ф.Энгельс, Сочинения, т.12, გვ. 222.

3 ა.სურგულაძე, ქართველი ერის ჩამოყალიბების შესახებ, „მაცნე", 1967, № 5, გვ. 345.

4 ამ აზრს ავტორი იმოწმებს ს.ტ.კალტახჩიანის სტატიიდან „К вопросу о понятии нации, ВИ. 1966, № 6.

5 ა.სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 345.

6 К.Маркс и Ф.Энгельс, Сочинения, Т. 6, გვ. 378. ამავე გვერდზე მარქსი ორჯერ მოიხსენიებს სამხრეთფრანგულ ანუ პროვანსელ ერს.

7 იგულისხმება სიტუაცია გვაროვნულ-ტომობრივი წყობილების დაშლის შემდეგომ, სასოფლო თემების გავრცელების პირობებში.

8 К.Маркс и Ф.Энгельс, Сочинения, т. 19, გვ. 496.

იტალიელები, უკვე დანტეს ხანაში[1]. რაც მთავარია, ფ.ენგელსის ნააზრევში შეინიშნება ერთი კანონზომიერება: დასავლეთ ევროპის ადრეული შუასაუკუნეების ეთნიკური წარმონაქმნებისათვის, დაახლოებით მეცხრე ს-ისათვის, იგი ხმარობს ტერმინს „ეროვნებას“ (nationalitat)[2], აქედან მოყოლებული, იგი თვლიდა რომ ეროვნებებმა დაიწყეს ერებად განვითარება. ნაშრომში „ფეოდალიზმის დაშლისა და თანამედროვე სახელმწიფოების წარმოშობის შესახებ“ ვკითხულობთ, რომ ხალხების შერევის შედეგად, რაც ხდებოდა ადრეულ შუასაუკუნეებში, თანდათანობით განვითარდა ახალი ეროვნებანი, რომ როგორც კი ადგილი ჰქონდა გამიჯვნას ენობრივ ჯგუფებად, ბუნებრივი იყო რომ ეს ჯგუფები სახელმწიფოთა წარმოქმნის საფუძვლად იქცნენ და რომ ეროვნებებმა იწყეს ერებად განვითარება[3], რომ მეფის ხელისუფლება წარმომადგენელი იყო განვითარებადი ერისა მეამბოხე-ვასალურ სახელმწიფოებად დაშლილობის საპირისპიროდ[4]. „ლუდვიგ ფოიერბახსა და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასარულში“ (1886 წელს) ფ.ენგელსი წერდა: „ვერავინ ვერ ხედავდა შუა საუკუნეებში წიგ გადადგმულ დიდ ნაბიჯებს — ევროპის კულტურული სფეროს გაფართოებას, დიდი, სიცოცხლისუნარიანი ერების წარმოშობას ერთიმეორის მეზობლად“[5].

ამრიგად, მიგვაჩნია რომ ფ.ენგელსის ბოლო დროის ნააზრევის მიხედვით მთელი რიგი დასავლეთევროპელი ხალხების (ინგლისელების, ფრანგების, ესპანელების და სხვათა), აგრეთვე რუსების, ერებად წარმოშობა უკავშირდება მეთხუთმეტე საუკუნეს, ე.ი. იმ პერიოდს, როდესაც მოხდა ეროვნული სახელმწიფოების წარმოქმნა. ამ პროცესზე დაწვრილებით აქ არ შევჩერდებით. მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ იმას, რომ ამ ხანისათვის ამ ეთნოსებს უკვე ჰქონდათ ენის[6], ტერიტორიის ერთობა, საერთო თვითშეგნება, კულტურა და ა. შ.

---

1 კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1974, გვ. XXXIII. თუ რამდენად შორს გადაქონდა ფ.ენგელსს იტალიელებისა და სხვათა ერად განვითარების პროცესის დასაწყისი, ეს ჩანს „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის“ იმ ადგილებიდან, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ რომის იმპერიის დაშლის პერიოდში ახალი ერების ელემენტები ყველგან იყო გაბნეული, მაგრამ არსად ჩანდა ძალა, რომელიც შესძლებდა ამ ელემენტების ახალ ერად შეღუღებას.

2 ამის თაობაზე იხ. И.В. Арский, Вопрос о формировании национальностей в Западной Европе, Ученые записки ЛГУ, Серия исторических наук, вып. 12, 1941 .

3 К.Маркс и Ф.Энгельс, Сочинения, т.21, с. 411.

4 იქვე, გვ. 410.

5 კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 450. შევნიშნავთ, რომ შუასაუკუნეების დასასრულად ენგელსი მიიჩნევდა მეთხუთმეტე საუკუნეს, იხ. „ბუნების დიალექტიკა“, 1954, გვ. 198.

6 ენა უკვე სალიტერატურო გახლდათ. როგორც კ.მარქსი აღნიშნავდა „წმინდა ოჯახში“, დიალექტების კონცენტრაციის პროცესი ერთიან ეროვნულ ენად ხდება ეკონომიკური და პოლიტიკური

ამ მომენტებს დავუმატებდით შემდეგსაც. ი.ბ.სტალინიდან მოყოლებული ბევრს ფეოდალიზმი მხოლოდ ეკონომიკურ დაშლილობად და პოლიტიკურ დეცენტრალიზაციად წარმოუდგენია, მაგრამ ასე გახლდათ მხოლოდ ადრეულ ფაზაზე. მეორე ფაზაზე (XI-XV სს.) ადგილი ჰქონდა სასაქონლო ფულადი წარმოების მნიშვნელოვან განვითარებას და ამ საფუძველზე სახელმწიფოს ცენტრალიზაციას, სულიერი კულტურის შემდეგომ აღმავლობას. თუ რამდენად განვითარებული იყო ფეოდალური ეკონომიკა, მაგალითად მეთხუთმეტე ს-ის საფრანგეთში, ეს კარგად ჩანს შემდეგი ფაქტებიდან. მეთხუთმეტე ს-ის მეორე ნახევარში გაიფურჩქნა ბაზრობები — საერთოფრანგული, პროვინციული და ადგილობრივები, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ საერთო ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებაში. ხდებოდა პროვინციების სამეურნეო სპეციალიზაცია. მსხვილი საბითუმო ვაჭრობა წარმოებდა ლიონისა და ნორმანდიის ბაზრობებზე (რუანი, კანი). თვით ლიონი წარმოადგენდა მსხვილ სავაჭრო ცენტრს, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ ოლქებს აერთიანებდა სამხრეთთან და, სადაც უკვე მნიშვნელოვნად იყო განვითარებული საბანკო საქმეც[1]. ინგლისში ჯერ კიდევ მეთორმეტე ს-ის დასასრულსა და მეცამეტე ს-ის დასაწყისისათვის საკმაოდ მყარი ეკონომიკური ურთიერთობები იყო განვითარებული. ადგილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო რაიონების სპეციალიზაციას; ზოგიერთებისას — ხორბლეულის წარმოებაზე (სამხრეთი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ინგლისი), ზოგიერთებისას — ხორცის, რძისა და მატყლის წარმოებაზე. მეცამეტე ს-ის დასასრულს ინგლისის სამეფოში ქალაქების რაოდენობა 280-ს აღწევდა[2]. ამ პერიოდისათვის საბჭოთა ისტორიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ინგლისში არსებობდა ერთიანი ეროვნული ბაზარი[3].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ფეოდალური წარმოების წესი მნიშვნელოვნად დაწინაურდა, რომლის საფუძველზედაც განვითარდა ინტენსიური ეკონომიკური და სხვა სახის კავშირ-ურთიერთობანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო, სამართალი, სულიერი კულტურა და ა.შ. სწორედ ასეთ პირობებში შესძლო სამეფო ხელისუფლებამ ფეოდალური ანარქიის დაძლევა. ყოველივე ამის შედეგად კი დაწინაურებული დასავლეთევროპელი ეთნოსები კაპიტალიზმის საწყის ეპოქას შეხვდნენ როგორც უკვე ერებად ჩამოყალიბებულნი და ეროვნული სახელმწიფოების მქონენი (საბჭოთა მეცნიერთა აზრით, ეროვნული სახელმწიფოები მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების პროდუქტია, რაც აშკარად მცდარია).

უფრო კონკრეტულად თუ ვიმსჯელებთ, ფეოდალიზმის მეორე პერიოდის

1 История средних веков, т.I, М., 1966, გვ. 303.

2 იქვე, 1966, с. 320.

3 იქვე, გვ. 347.

მანძილზე (XI-XV სს.) მოხდა ანგლო-საქსებისა და ფრანკო-ნორმანების შეერწყმა ერთიან ინგლისელ ერად, ჩრდილოელი და სამხრეთელი ფრანგებისა — ფრანგ ერად, კასტილიელებისა და არაგონელებისა — ესპანელებად და ა.შ. რუსეთში მსგავს პროცესს, ე.ი. რუსი ერის წარმოშობას (ჩამოყალიბებას) ადგილი ჰქონდა განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ ბაზაზე (აზიური წარმოების წესი), მაგრამ ძლიერი საგარეო გამოწვევის პირობებში (მონღოლთა შემოსევები, ოქროს ურდოს არსებობა)...

\+ + +

ჩვენი, ქართველობის გვაროვნულ-ტომობრივი ყოფიერება, როგორც ცნობილია, არ ასახულა ადგილობრივ წერილობით წყაროებში. მის გასააზრებლად მხოლოდ არქეოლოგიური ძეგლები გაგვაჩნია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით, ლინგვისტური მონაცემებით, ანთროპოლოგიური მასალით და ა.შ. მაინც ბევრი რამის გააზრება შეიძლება. ჩვენ აქ არ ვისახავთ ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხის ისტორიოგრაფიის გადმოცემას, ამ საკითხში ჩვენი პოზიციის ჩვენებას. დავკმაყოფილდებით პრობლემის ზოგადი ასპექტით — ეთნიკური ფორმების მონაცვლეობის გადმოცემით ჩვენს ისტორიულ პროცესში.

ჩვენს წინაპრებთან გვაროვნულ-ტომობრივი წყობილების აყვავების პერიოდში, ნეოლითური რევოლუციის გაშლისას, ადგილი ჰქონდა ტომთა ფართო კავშირების წარმოქმნას. ამდენად, ეთნიკურმა ევოლუციამ უკვე მიაღწია იმ ფორმას, რომელიც აღინიშნება ტერმინით „ხალხი". მაგრამ შემდეგში განვითარება აღარ წარმართულა პრაქართველთა კონსოლიდაციის გაღრმავებით, პირიქით — მათი განსახლებით შედარებით ფართო ტერიტორიაზე მოხდა მათი ეთნიკური დიფერენციაცია ჯერ დანარჩენ პრაქართველებსა და სვანებს, შემდეგ ზანებსა და ქართებს შორის. თუ გლოტოქრონოლოგიურ მეთოდს დავუჯერებთ, პირველი მოვლენა მომხდარა ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასაწყისში, ხოლო მეორე — ძვ. წ. პირველ ათასწლეულის დასაწყისში, დაახლოებით მერვე საუკუნეში. დასახლებული ტერიტორიების მთა-გორიანი რელიეფი იწვევდა შემდგომ ეთნიკურ და ენობრივ დიფერენციაციასაც, ვინაიდან არ არსებობდა ის ფაქტორები (ერთიანი სახელმწიფო, შედარებით მჭიდრო ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობანი, კულტურის მნიშვნელოვანი განვითარება), რომლებიც წინააღუდგებოდა, აღკვეთდა ამ ტენდენციას[1].

---

1 საერთოდ, ეთნოგენეზისა და ენებისა და დიალექტების წარმოქმნის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა. ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები ხელს უწყობენ ერთი ეთნოსის, ენის გავრცელებას ფართო ტერიტორიაზე და პირიქით. ამას კარგად ვხედავთ საქართველოს ისტორიაში და კიდევ უფრო თვალსაჩინოდ – მეზობელი დაღესტნის ისტორიულ პროცესში.

აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი ტეხილი დაიწყო დიაუხისა და კულხას „ადრეკლასობრივ“ და ადრესახელმწიფოებრივ წარმონაქმნებში. ამ გაერთიანებებმა ხელი შეუწყვეს მათში შემავალი მოსახლეობის ეთნიკურ კონსოლიდაციას. მაგრამ საგარეო ფაქტორის ზემოქმედების შედეგად (კიმირიელებისა და სკვითების შემოსევები) ეს პროცესი დაბრკოლდა. იგი განახლდა კოლხეთის სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ (ძვ. წ. მეექვსე ს.). იბერიის სახელმწიფოსაგან განსხვავებით კოლხეთის სახელმწიფო ძლიერი არ ყოფილა, რამაც თავი იჩინა მასში შემავალი მოსახლეობის სუსტ კონსოლიდაციაში. ამას ჩვენ ვხედავთ როგორც ჩრდილოეთში (სვანური და აფხაზური მოსახლეობის დამოუკიდებელი ეთნიკური არსებობა), ასევე სამხრეთ-დასავლეთით მთელი რიგი ეთნიკური წარმონაქმნების სახით (მოვიგონოთ ქსენოფონტის „ანაბაზისი“). ეთნიკურ კონსოლიდაციას უფრო მეტად ჰქონდა ადგილი აღმოსავლეთ საქართველოში, რაც, როგორც ვამბობდით, განპირობებული იყო ამ რეგიონში სახელმწიფოს შედარებითი სიძლიერით. ამის წყალობით სხვა ეთნოსთა — ალვანელთა, ვაინახთა ნაწილის ასიმილაციაც კი ხდებოდა. მოხდა კოლხეთის მოსახლეობის ნაწილის — არგვეთის მოსახლეობის გაქართებაც. მაგრამ რიგ ფაქტორთა არარსებობის გამო აქაც ფერხდებოდა ეთნიკური კონსოლიდაციის შემდეგომი გაღრმავება, რის გამოც რჩებოდა ცალკეული ისტორიული კუთხეები და ქართული (ქართების) ენის დიალექტები. მიუხედავად ამისა, თუ არა არახელსაყრელი საგარეო პირობები- კოლხეთის დაპყრობა ჯერ პონტოს სამეფოს, ხოლო შემდეგ — რომაელთა მიერ, იბერიის სახელმწიფოს, განსაკუთრებით ახ.წ. I-II საუკუნეებში, შეეძლო დასავლეთ საქართველოს შემომტკიცება. მაგრამ ეს შანსი, რომლის განხორციელებაც ასეთი დიდი მნიშვნელობისა იქნებოდა ჩვენს ისტორიულ პროცესში, დაიკარგა. ცხადია, სულაც არა შინაგანი პოტენციის არარსებობის წყალობით...

ამ პერიოდში ჩვენი ეთნიკური ევოლუციის პროცესი კვლავ რჩებოდა „ხალხის“ დონეზე. იგი, როგორც უკვე აღვნიშნავდით, ყველაზე ღრმად იყო წასული იბერიაში. ნ.ბერძენიშვილი ლეონტი მროველსა და ჯუანშერზე დაყრდნობით, აღნიშნავდა ენის, ტერიტორიის („საზღვარი“), ცხოვრების წესების (ტრადიციების, მათ შორის ქართლოსისა და ფარნავაზის საფლავების თაყვანისცემას), საერთო წარმომავლობის (ქართლოსიანობის) შეგნების, სოციალურ-პოლიტიკური წყობის, ხასიათის ერთობას.[1]

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ქართველობის ეთნიკურ განვითარებაში X-XII საუკუნეებში, როცა ადგილი ჰქონდა სახელმწიფოებრივ ცენტრალიზა-

---

1 იხ. ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბილისი, 1965, გვ. 15-18.

ციას ჩვენი ეთნიკური ტერიტორიის უდიდეს ნაწილში[1]. ქართველთა სახელმწიფოებრივი ტერიტორიის მიღმა რჩებოდა ჭანეთი, რომლის შესაერთებლად თამარ მეფის ზეობაში დიდი ნაბიჯები გადაიდგა. კითხვა ისმის: რა ეთნიკურ ფორმასთან გვაქვს საქმე ამ პერიოდის საქართველოში? ივანე ჯავახიშვილის მიხედვით ეს გახლდათ ერი. ასევე ფიქრობს ქართველი ფილოლოგოსების უმეტესობა კ.კეკელიძიდან მოყოლებული. თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ამ საუკუნეებში ქართველი ერი ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული, რომ იგი მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა. ისინი აღნიშნული მოვლენის აღსანიშნავად ხმარობენ უფრო მისაღებ ტერმინს „ერთიანი ქართველი ხალხი". უმეცრესობა (ა.აფაქიძე, ი.კაჭარავა)[2] მიიჩნევს, რომ ამ ხანაში უკვე ადგილი ჰქონდა ქართველი ერის არსებობას. ჩვენ ვიზიარებთ ამ უკანასკნელ თვალსაზრისს. მართლაც, ამ პერიოდის ქართველობას უკვე გააჩნდა მთელი რიგი ერთობანი: ენისა, ტერიტორიისა, ფსიქოლოგიისა, კულტურისა, ტრადიციებისა. ჰქონდა მძლავრი ეთნიკური, ეროვნული თვითშეგნება, რასაც მოკლებული იყო ქართული მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნეში, როცა მან საკუთარი სახელმწიფოებრიობა დაჰკარგა, ჰქონდა საერთო ისტორიოგრაფია. იგი მკვეთრად გრძნობდა თავის თავს როგორც „ჩვენ-ჯგუფს" (უ.სამნერის გაგებით) „სხვა-ჯგუფებისაგან" განსხვავებით.

ისტორიკოსთა უმეტესობის აზრით, რამდენადაც ამ ეპოქაში არ განვითარებულა ბურჟუაზიული ურთიერთობანი, ამდენად არც ქართველ ერზე შეიძლება ლაპარაკი. მათ მიხედვით, გამოდის, რომ მე-19 საუკუნემდე საქართველოს რომ შეენარჩუნებინა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, უფრო განვითარებინა სამართალი, კულტურა, ენის ერთობა და ა.შ., მათ შორის ეკონომიკაც, მაგრამ ვერ გასცილებოდა ფეოდალური ეკონომიკის ფარგლებს, ქართველობა მაინც „ხალხის" დონეზე დარჩებოდა, იგი ვერ შეიძენდა „ერის სტატუსს". ჩვენი შეხედულებით კი კაპიტალიზმი ბევრი ერის ჩამოყალიბებაში არაფერ შუაშია. თუ ამერიკელები, ავსტრალიელები და სხვები მართლაც ჩამოყალიბდნენ ამ

---

1 ჩვენ ერთმანეთისაგან ვანსხვავებთ ცნებებს „ეთნიკური ტერიტორია" და „სახელმწიფოებრივი, პოლიტიკურ ტერიტორია", რომლებიც ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს. ეთნიკური ტერიტორია გულისხმობს მოცემული ეთნოსის მიერ დასახლებულ მთელს ტერიტორიას, ხოლო სახელმწიფოებრივი ტერიტორია მხოლოდ მოცემულ სახელმწიფოში გაერთიანებულ მოსახლეობას.

2 იხ. ა.აფაქიძე, „ნათესავით ქართველი", წაკითხული ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1966 წ; ი. კაჭარავა, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები, 1966. მსგავსი აზრი აქვს გამოთქმული პ.შარიას 1976 წელს გამოსულ ნაშრომში რუსთაველის შემოქმედების შესახებ. სხვათა შორის, ი.კაჭარავას მიაჩნია, რომ ნ.ბერძენიშვილიც ამავე პოზიციაზე იდგა. ჩვენი აზრით კი ნ.ბერძენიშვილი „ფეოდალურ-ეროვნულად შეკავშირებაში" ეროვნებას, ხალხს გულისხმობს. ციტირებულ ნაშრომში იგი ცალკე აღნიშნავს „ეროვნებას". იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.II, გვ. 6.

ფორმაციის პირობებში, თუ შავი აფრიკის რიგი ერები ამჟამად ყალიბდებიან თანამედროვე ეკონომიკის პირობებში, ბევრგან, მათ შორის ქართველობის ერად ფორმირებაში, მას ასეთი როლი არ უთამაშია. ვიმეორებთ, მეათე-მეთორმეტე საუკუნის ქართველობას გააჩნდა მთელი რიგი საერთო ნიშან-თვისებანი, ეთნიკური სტრუქტურის აზრით იგი შედეგი იყო ხალხების კონსოლიდაციისა, ამდენად იგი ხასიათდებოდა სირთულით. გაჩნდა ახალი ეთნიკური ტერმინი „ქართველთა ნათესავი", ქვეყნის სახელდება „საქართველო", ისტორიკოსები, ფილოსოფოსები (იოანე პეტრიწი, ნიკოლოზ გულაბერისძე, გიორგი მთაწმინდელი), საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ბაკურიანისძე ლაპარაკობენ ქართველობის ფსიქოლოგიაზე და ა.შ. ყოველივე ზემოთქმული ჩვენ უფლებას გვაძლევს ამ პერიოდისათვის უკვე ვიგულისხმოთ ქართველი ერის არსებობა.

რასაკვირველია, ქართველ ერს ამ საუკუნეებში აკლდა ღრმა კონსოლიდირებულობა, მაგრამ იგი მას არ ჰქონია მეცხრამეტე საუკუნეშიც, რა პერიოდისათვისაც მიუხედავად ამისა ქართველობა მაინც რჩებოდა ერად. ასეთი ღრმა კონსოლიდაცია ქართველებს გაუჩნდათ მეოცე საუკუნეში და კიდევ მეტად ექნებათ შემდეგ საუკუნეებში. თითქოს „უძველესი" ერები არიან ინგლისელები, ჰოლანდიელები და ფრანგები, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ისინი ეროვნული კონსოლიდაციის უმაღლეს ფაზას განასახიერებენ. ასეთები („უძველესები") არ არიან ირლანდიელები, პოლონელები, ნორვეგიელები და სხვ., მაგრამ აღნიშნული თვალსაზრისით ისინი წინ დგანან ჩამოთვლილ ერებთან შედარებით. ეკონომიკური ფაქტორი რომ ასე გადამწყვეტი იყოს ერის ჩამოყალიბებაში, ეს ასე არ მოხდებოდა. ქართველობის ერად კონსოლიდაციას ხელს უწყობდა და უწყობს ის გარემოება, რომ მასში შემავალი ისტორიული თემების მოსახლეობის ადგილზე შექმნილი კულტურა მხოლოდ ხალხურ (ხალხური კულტურის) დონეზე დარჩა, ასევე, ლიტერატურის (საკუთარი) განუვითრებლობის გამო, ვერ განვითარდა ენა. უფრო მაღალი კულტურა კი, რომელიც თვალსაჩინოდ განვითარდა ჯერ ქართლში, შემდეგ ტაო-კლარჯეთში, შემდგომში ერთიანი საქართველოს პირობებში და შემდეგ ვითარდებოდა ძირითადად ქართლის სამეფოში, რჩებოდა საერთო კულტურად. ასევე ითქმის განვითარებული ქართული ენის მიმართ. როცა კულტურა ასე თუ ისე განვითარდა მეჩვიდმეტე საუკუნის კახეთში (მაგალითად პოეზია), ანდა მის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, ვთქვათ, იმერლებმა, მეგრელებმა, გურულებმა მეცხრამეტე საუკუნეში, კულტურის ეს განვითარება სულაც არ აღიქმებოდა როგორც კახური, იმერული, მეგრული, გურული კულტურის განვითარება, არამედ — როგორც ამ კუთხეების წვლილი საერთო ქართული კულტურის განვითარებაში. ასეა მითუმეტეს ახლა, მეოცე საუკუნეში.

აქ მივუთითებთ ერთ გარემობაზე. ქართველი ერის ჩამოყალიბებაში დიდი

როლი ითამაშა თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ. ახალი კულტურა, რომელიც მათ მიერ იყო შექმნილი[1] (ჩვენს ისტორიოგრაფიაში ეს შენიშნული აქვს ნ.ბერძენიშვილს), ერცელდებოდა მოსახლეობის ფართო ფენებზედაც. ამდენად იგი, ო.ბაუერის აზრის საწინააღმდეგოდ, არ იფარგლებოდა მხოლოდ ფეოდალური ზედაფენებით. მე-19 საუკუნის საქართველოში ანალოგიური როლი ითამაშა კვლავ თავადაზნაურობამ და შემდეგ დაბალი ფენებიდან გამოსულმა ინტელიგენციამ.

შემდგომ საუკუნეებში ქართველთა ეთნიკური განვითარება აღმავალი ხაზით არ წარმართულა. მაგრამ მეცამეტე-მეთხუთმეტე საუკუნეების განმავლობაში ერთიანობა ასე თუ ისე შენარჩუნებული იყო. დიდი ძნელბედობა გრძელდებოდა შემდგომი სამი საუკუნის მანძილზე. მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, ქართველთა ერთიანობა მაინც რჩებოდა, თუმცა ამას აფერხებდა, რასაკვირველია, საქართველოს დაყოფა სამეფო-სამთავროებად. ამ მხრივ ჩვენი ისტორიული ბედ-იღბალი ძალიან ჰგავს გერმანელებისას შესაბამის საუკუნეებში (XVII-XVIII სს.). ეს ერთიანობა თუმცა ვერ ცნობიერდებოდა მასობრივ შეგნებაში, მაგრამ აისახებოდა ელიტარულ ცნობიერებაში. ამას აცნობიერებდნენ ისტორიკოსები (მოვიგონოთ სწავლულ კაცთა კომისია), განსაკუთრებით ბატონიშვილი ვახუშტი. ამ შესანიშნავი მეცნიერის შემოქმედება განმსჭვალულია ქართველთა ერთიანობის იდეით. ამ უკანასკნელის თაობაზე კი იგი აღნიშნავდა: „პირველი, უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა, და ჰერ-კახსა რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: „ქართველი“. მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული: და ჰკითხო რა წინთქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი“, მოგიგებს მყის: „ქართული“. რამეთუ არა იტყვის, არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა. მესამედ: არასადმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძვირფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი, თვინიერ: „ჩუენ მეფემან საქართველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან“, რომელთა ზედა წერილ არიან ჭუათა, ხატთა და ჯუართა ზედა“[2].

ჩვენთვის საინტერესო ასპექტში დიდი მნიშვნელობის მქონეა 1790 წლის ხელშეკრულება ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის, სადაც აღნიშნულია:

---

1 ფ.ენგელსი სწორად შენიშნავდა: „ხოფლის მოსახლეობიდან მხოლოდ თავადაზნაურობას ჰქონდა ურთიერთობა უფრო ფართო წრეებთან და მხოლოდ იგი ავითარებდა ახალ მოთხოვნილებას, გლეხთა მასა ჯერ სცილდებოდა ადგილობრივ ურთიერთობას და მასთან დაკავშირებულ ვიწრო ადგილობრივ ჰორიზონტს“. იხ. „გლეხთა ომი გერმანიაში“, თბილისი, 1956, გვ. 24.

2 ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ხიმონ ჯაუხიშვილის გამ., 1973, გვ. 291-292.

„ტრაქტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქს ტფილისს, 1790 წელსა. ვინაიდგან ყოველთა ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთის კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა (ე.ი. საურთიერთო, გ.ყ.) სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობითა შეკრულთა ურთიერთაშორის, ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულნი ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი... აღვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა...“[1]. (შევნიშნავთ, რომ ამ საუკუნეებში საქართველოს აღსანიშნავად გაჩნდა ტერმინი „ივერია“, ხოლო მისი ნაწილების გამოსახატავად ტერმინები: „ზემო“ და „ქვემო“ „ივერიები“).

XVII-XVIII საუკუნეებში ჩასახული ახალი ტენდენციები, ახალი „სასიცოცხლო ძალა“ უძლური აღმოჩნდნენ ჩვენი ეთნოსის, ერის დამოუკიდებლად ფეხზე დადგომისათვის, კონსოლიდაციის შემდგომი გაღრმავებისათვის. ეს მოხდა მეცხარამეტე საუკუნეში, როცა ქართველობა ჩართულ იქნა დასავლური ცივილიზაციის ორბიტაში, რუსეთის იმპერიის მეშვეობით. მართალია, ისევე როგორც მაგალითად ინგლისმა ინდოეთის ისტორიაში ანდა საფრანგეთმა ალჟირის ისტორიაში, ასევე რუსეთმა ჩვენს ისტორიულ პროცესში ობიექტურად დადებითი როლიც ითამაშა, მაგრამ ბევრი მხრივ ეს როლი ობიექტურად, და მითუმეტეს სუბიექტურად, უარყოფითიც გახლდათ. კერძოდ, განვითარების პარალელურად შეფერხებას განიცდიდა ქართველი ერის შემდგომი კონსოლიდაცია. მეფის რუსეთი ცდილობდა ქართველთა ეროვნული ორგანიზმისაგან მეგრელებისა და სვანების ჩამოცილებას, მისდამი თურქთაგან შემოერთებული მხარეების მოსახლეობის დაპირისპირებას (რელიგიური ნიშნით). კიდევ მეტი, ოფიციალური სტატისტიკით იგი ქართველებად არ სცნობდა დასავლეთ საქართველოს ქართული ენის დიალექტებზე მოლაპარაკე მოსახლეობასაც კი (ეს ტენდენცია აისახა ბროკჰაუზ-ეფრონისა და გრანატის ენციკლოპედიებშიც). თვით თბილისის მოსახლეობის აღწერისას მეფის რუსეთის სტატისტიკა (1897 წელს) აღრიცხავდა მხოლოდ 39398 სულ ქართველს, გამორიცხავდა რა ამ რაოდენობიდან 6469 იმერელს, 663 მეგრელს, 47 ფშაველს, 133 თუშს, 120 ხევსურს, აგრეთვე აქ მოსახლე მთიულებს, ინგილოებს, ქიზიყელებს, რაჭველებს, გურულებს, მესხებს, სვანებს, სამურზაყანოელთ, მაჰმადიან ქართველობას[2]. ამ მანიპულაციების მიზეზი და მიზანი ნათელი იყო, რაც ძალზე მშვენივრად ახსნა იაკობ გოგებაშვილმა: „მაგრამ ეს უბრალო ფაქტიური ტყუილი როდია, რომე-

1 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ისიდორე დოლიძის გამოცემა, 1965, გვ. 501.

2 ამის შესახებ იხ. ი.გოგებაშვილის სტატია, ქართული ერის დაქუცმაცება, საქართველოს კალენდარი, 1904.

ლსაც შეუძლიან წარმოშობოს მხოლოდ კერძო უსიამოვნება. იგი შეადგენს დიდად მავნებელს უკუღმართობას, რომელიც არამც თუ ძლიერ ამცირებს ქართველობის მნიშვნელობას მისს დედა-ქალაქში, არამედ ძირს უთხრის ეროვნულს ერთიანობას, საბუთს აძლევს ჩვენს მტრებსა, სთქვან, რომ ქართველები ერის ხარისხამდე ვერ ასულან და თემების ხარისხზე დარჩენილანო და ამ მხრივ დაბლა სდგანან არამც თუ სომხებზე, არამედ ლეკებზედაც, ოსებზედაც, აისორებზედაც და ყველა კავკასიის ხალხებზედ, რომლებიც მთლიან ერებად იწოდებიანო"[1]. მიუხედავად მეფის რუსეთის ბიუროკრატიის მცდელობისა, ასეთი ცდები მარცხით დამთავრდა. ქართველობის ერად ჩამოყალიბების პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა. ახლა და მომავალშიც ქართველი ერის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები უფრო მეტად განვითარდება, უფრო გაღრმავდება და უფრო ფართოდ გავრცელდება ეროვნული თვითშეგნება.

1983 წ.

1 ი.გოგებაშვილის სტატია, ქართველი ერის დაქუცმაცება, საქართველოს კალენდარი, 1904, გვ. 250.

აღმოსავლური რენესანსის საკითხისათვის

მეცნიერებაში დიდი ხნის განმავლობაში იყო გაბატონებული შეხედულება, რომლის თანახმადაც რენესანსი ითვლებოდა მხოლოდ დასავლეთევროპული ცივილიზაციისა და კულტურის განვითარების განსაზღვრულ ფაზად. პირველი არადასავლეთევროპული ქვეყანა, რომლის შესაბამისი ხანის კულტურა რენესანსად იქნა მიჩნეული, გახლდათ საქართველო. 1906 წელს ნიკო მარი აღნიშნავდა ჰუმანიზმის (რენესანსული გაგებით) თვალსაჩინო განვითარებას ჩვენს ქვეყანაში მეთერთმეტე საუკუნიდან. იგი მიუთითებდა აგრეთვე იმპულსებს, რომელთაც ჩვენში ეს სულიერი მოძრაობა გამოიწვიეს — ბერძნული ფილოსოფიისა და სპარსული ლიტერატურის გაცნობა[1]. 1914 წელს „ქართველი ერის ისტორიის" მეორე წიგნში ივანე ჯავახიშვილი დასძენდა: „ერთი სიტყვით, ქართველობამ ელლინური შემოქმედების ნიმუშები იგემა და დაეწაფა იმ ცხოველმყოფელს ელლინიზმს, რომლის ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთს ევროპაში ეგრეთწოდებული „რენესანსი" წარმოშვა. საქართველომ ეს მოძრაობა უკვე მე-12-ე საუკ. დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა"[2]. საქართველოს ისტორიის პირველ სახელმძღვანელოში ჩვენი დიდი ისტორიკოსი კვლავ აღნიშნავდა, რომ „მე-11-12 საუკუნეების ქართულ ხელოვნებას ახასიათებს მთელი რიგი ნიშნები, რომლებიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ევროპაში საფუძვლად დაედო ეგრეთწოდებულს რენესანსის (აღორძინების) ხანას"[3]. საკუთრივ ქართული კულტურის იმანენტური აღმავლობის გარდა ავტორი მიუთითებდა გარეგან სტიმულებსაც — ბერძნული და არაბულ-სპარსული კულტურების ზემოქმედებას ჩვენს კულტურაზე[4]. 1916 წელს გერონტი ქიქოძე წერდა: „ამგვარად, ქართულ ხელოვნებაში უკვე მეთორმეტე საუკუნეში იჩინა თავი ზოგიერთმა ელემენტმა, რომელიც ევროპულ, განსაკუთრებით იტალიურ რენესანსს ახასიათებს"[5]. (სხვათა შორის, სერგი დანელიას მიერ 1914 წელს გამოთქმული შეხედულებით შუასაუკუნეების ქართული კულტურა არაფრით არ ჩამოუვარდებოდა, თუ არ აღემატებოდა, ამ ეპოქის რომანულ-გერმანულ კულტურას[6]. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქართული რენესანსის იდეა

---

1 См. Н.Марр. История Грузии (культорно-исторический набросок). СПб., 1906, с. 32.

2 ი.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. 2. 1914, გვ. 648. ცხადია, ტერმინი „ელლინიზმი" აქ ნახმარია ფართო აზრით, ბერძნული კულტურის მნიშვნელობით.

3 იხ. საქართველოს ისტორია, სიმ.ჯანაშიას რედ, 1946, გვ. 232.

4 იქვე, გვ. 226.

5 იხ. რჩეული თხზულებანი, ტ. II. 1964, გვ. 120.

6 См. С.Дариани. Грузия после 1905 года, Кутаиси, 1914, с. 50.

ექსპლიციტურად, აშკარად მას არც ამ პერიოდში არ უღიარებია). 1941 წელს ქართული და საერთოდ აღმოსავლური (წინა აღმოსავლეთის ფარგლებში) რენესანსის იდეა წამოაყენა შ.ნუცუბიძემ თავის რამოდენიმე სტატიაში. თავისი შეხედულებანი საკითხის შესახებ კი ავტორმა სისტემატურად ჩამოაყალიბა 1947 წელს გამოსულ თავის ნაშრომში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი". სიმონ ჯანაშია 1945 წელს დავით აღმაშენებელს ახასიათებდა როგორც ქართული ჰუმანიზმის ერთ-ერთ ადრეულ და ნათელ წარმომადგენელს[1]. ნიკო ბერძენიშვილი კი წერდა: „რუსთაველმა — გენიალურმა მოაზროვნემ და შემოქმედმა — დიდად გაუსწრო თავის დროსაც და თავის წარმომქმნელ საზოგადოებასაც, რომ იგი ადრეული რენესანსის მოციქულად გვევლინება"[2].

1963 წელს ვ.ჩალოიანმა გამოსცა ნაშრომი „სომხური რენესანსი", სადაც ავტორი დასავლეთევროპული რენესანსის მსგავს მოვლენას ხედავდა სომხეთშიც. 1966 წელს კი გამოქვეყნდა ცნობილი საბჭოთა სინოლოგისა და იაპონიისმცოდნის ნ.ი. კონრადის შემაჯამებელი ხასიათის წიგნი „დასავლეთი და აღმოსავლეთი" (მეორედ გამოიცა 1972 წელს), სადაც გატარებულია აზრი, რომ რენესანსი (ტერმინის სპეციალური, კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობით) დამახასიათებელი ფენომენი იყო აღმოსავლეთისათვის საერთოდ.

დღესდღეობით აღმოსავლური და ამდენად გლობალური, უნივერსალური რენესანსის პრობლემა საბჭოურ მეცნიერებაში სადისკუსიოა. ამ თვალსაზრისს ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგენი. რაც შეეხება დასავლურ მეცნიერებას, აქ აღნიშნულ თვალსაზრისს მცირერიცხოვანი მომხრენი აღმოუჩნდა; გაბატონებულად რჩება ტრადიციული აზრი რენესანსის თაობაზე, ე.ი. ის, რომ ეს კულტურული ფენომენი დასავლურევროპულია. (შევნიშნავთ, რომ შვეიცარიელი მეცნიერის ადამ მეცის ცნობილ ნაშრომში „მუსლიმური რენესანსი" (გამოვიდა 1922 წელს) რენესანსის ცნება იხმარებოდა სრულიადაც არა საყოველთაოდ გავრცელებული კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობით).

ჩვენ წინააღმდეგი ვართ რენესანსის გეოგრაფიის ასეთი გაფართოებისა. რამდენადაც გლობალური, უნივერსალური რენესანსის იდეა ყველაზე სისტემატურად ნ.ი. კონრადმა განავითარა, ამდენად ჩვენს პოზიციას დავუპირისპირებთ სწორედ ამ უკანასკნელის თვალსაზრისს, მის არგუმენტაციას[3].

თავდაპირველად შევჩერდებით იმაზე, რომ რენესანსის რამდენადმე სწორი

---

1 იხ. მისი ბოლოსიტყვაობა კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის" რუსული გამოცემისათვის (შესულია მისი „შრომების" მეხუთე ტომში).

2 ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, გვ. 131-32.

3 აღნიშნულ საკითხს ჩვენ ნაწილობრივ შევეხეთ სტატიაში „მცდარი მოსაზრებანი. რამდენიმე შენიშვნა აკად. ნ.ი. კონრადის წიგნზე „დასავლეთი და აღმოსავლეთი", „Литературная

გაგება შეუძლებელია მოხდეს საკუთრივ ლიტერატურისმცოდნეობის, ხელოვნებისმცოდნეობისა და ფილოსოფიის (ფილოსოფიის ისტორიის) ფარგლების შიგნით ცალ-ცალკე. ეს გაგება აუცილებლად გულისხმობს ამ კულტურული მოვლენის ზოგადისტორიული ფონისა და წანამძღვრების გარკვევასაც, საერთოდ მის გაგებას ისტორიული პროცესის როგორც მთლიანობის, სისტემის შიგნით, მსოფლიო-ისტორიული პროცესის გააზრებას. ამ მიზნით ჩვენ ჯერ განვიხილავთ ნ.ი. კონრადის შეხედულებებს მსოფლიო, განსაკუთრებით აზიის, ისტორიის კარდინალური საკითხების შესახებ, კერძოდ ამ დიდი ისტორიული რეგიონის მიერ განვლილი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების პრობლემას.

სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების თეორია, ნ.ი.კონრადის აზრით, კ.მარქსმა და ფ.ენგელსმა შეჰქმნეს დასავლეთ ევროპის ისტორიის ფაქტებზე დაყრდნობით, ხოლო აღმოსავლეთის ისტორიის მასალა მათ მიერ მხოლოდ იშვიათად თუ გამოიყენებოდა. ამასთანავე თითქოს ეს ეხებოდა მხოლოდ აზიის ისტორიის ძველ ეპოქას, იყო არასაკმარისი, ხოლო რიგ შემთხვევებში — არასწორად განმარტებული მეცნიერთა მიერ. მიუხედავად ამისა, „რასაკვირველია, ევროპის ხალხების ისტორიაც იძლევა შესანიშნავ მასალას ზოგადისტორიული თეორიისათვის“[1].

მაგრამ უფრო მთავარია გარემოება, რომ ნ.ი.კონრადის თანახმად, „ზოგადი დებულებები, რომლებიც ჩამოყალიბებულ იქნა ევროპის ხალხების ისტორიის საფუძველზე, დაეხმარა აღმოსავლეთმცოდნეებს სწორად გაეგოთ ის, რაც მათ დაინახეს ისტორიულ პროცესში, რომელიც გაიშალა აღმოსავლეთის ქვეყნებში. მარქსიზმის ნამდვილ ზეიმად იქცა ამ ქვეყნების ისტორიაში იგივე ფორმაციების აღმოჩენა, რაც დადასტურებული იყო ევროპის ხალხების ისტორიაში, კერძოდ მონათმფლობელური ფორმაცია ძველ ხანაში, ფეოდალური — შუასაუკუნეებში“[2]. კიდევ მეტი, აღმოსავლეთის საზოგადოებანი ევროპისაზე ადრე წარმოიქმნა და ამიტომაც, სავსებით დამოუკიდებლად უკანასკნელთაგან იწყეს მათ კაპიტალიზმზე გადასვლა[3]. შემდეგში ავტორი დაასკვნიდა: „დებულება სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების ცვლაზე ისტორიის კანონი კი არაა, არამედ მეცნიერული პოსტულატი, მაგრამ აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლის გარეშე ეს არ გახდებოდა სავსებით ცხადი და, რაც მთავარია, არ გამომჟღავნდებოდა თავისი პრინციპული, თეორიული მნიშვნელობით“[4]. ჩვენი აზრი კი მოცემულ საკითხზე სხვაგვარი გახლავთ. მიგვაჩნია, რომ კ.მარქსმა და ფ.ენგელსმა საზოგა-

1 იხ. Н.И.Конрад. Запад и Восток., М., 1972, გვ. 17.
2 იქვე, გვ. 17.
3 იქვე, გვ. 101, 447-448.
4 იქვე, გვ.19.

დოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების თეორიის შექმნით შემდგომში განავითარეს ჰეგელის შეხედულებანი მსოფლიო ისტორიის თაობაზე და ეს მსვლელობა წარმოადგინეს მსოფლიო ისტორიული პროგრესის ცენტრების მონაცვლეობის სახით. ამრიგად, ისინი იძლეოდნენ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ასეთ მონაცვლეობას: არქაული კომუნისტური, აზიური, ანტიკური, ფეოდალური, ბურჟუაზიული, კომუნისტური[1]. მათ მიერ გაღრმავებულ იქნა არისტოტელეს, შ.ლ.მონტესკიეს, ჰეგელის, რ.ჯონსის (ინგლისელი ეკონომისტი) და სხვ. მიერ გამოთქმული აზრები აღმოსავლეთის შესახებ, რითაც შექმნეს წარმოების აზიური (აღმოსავლური) წესის კონცეფცია, სადაც მოცემულია აზიური საზოგადოების საკმაოდ მთლიანი, სისტემატური სახით დახასიათება (ნატურალური მეურნეობის, მიწაზე სათემო ან სახელმწიფო საკუთრების დომინანტობა, ე.ი. მესაკუთრე კლასის არარსებობა, სახელმწიფოს დესპოტური ფორმა, საზოგადოების სტაგნაცია კაპიტალიზმთან კონტაქტების ეპოქამდე და ა.შ.). ამასთანავე ეს გაკეთებულ იქნა „გვიანი შუასაუკუნეების" და არა ძველი აზიის მასალაზე დაყრდნობით, როგორც ამას ფიქრობდა განსვენებული მეცნიერი.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით ძველი აღმოსავლეთის შესახებ ნ.ი.კონრადის კონცეფციის მსგავსი თეორიის ბატონობის დროსაც კი არავინ მისულა აღმოსავლეთის ისტორიის ევროპის ისტორიასთან მთლიან ანალოგიამდე როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ, კულტურულ და ა.შ. პლანში. აცხადებდნენ, რომ ძველი აღმოსავლეთი (ვიწრო ქრონოლოგიური აზრით) შეჩერდა „ადრე-მონათმფლობელურ" სტადიაზე, შემდეგ კი იგი მონობის მნიშვნელოვნად განვითარების გარეშე გადავიდა ფეოდალიზმზე, რომ სახელმწიფოს გაბატონებულ ფორმას აქ, დასავლეთ ევროპის საპირისპიროდ, წარმოადგენდა დესპოტია. ამ თვალსაზრისისაგან განსხვავებით, ნ.ი.კონრადი ავლებდა მთლიან ანალოგიებს მაგალითად ძველი ჩინეთისა და საკუთრივ ანტიკური ისტორიის ფაზებს შორის. მაგრამ ავტორის არგუმენტები, რომლებიც დაასაბუთებდნენ ამ შეხედულებას, ძალზე არადამაჯერებლად გამოიყურება.

ჩვენ გვესმის, რომ საერთოდ მსგავსი თვალსაზრისის განვითარებაში „დასავლეთისა და აღმოსავლეთის" ავტორი მარტო არ იყო. დიდხანს ნ.ი.კონრადის ამ წიგნის გამოსვლამდე, — და როგორც ჩანს, ფაქტის ნათლად გაცნობიერების გარეშე, — საბჭოთა მეცნიერებაში საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებზე კ.მარქსისა და ფ.ენგელსის კონცეფცია შეურწყეს ე.წ. ლოკალური, ეკვივალენტური ცივილიზაციების მომხრეთა თვალსაზრისს. ისევე როგორც ჯ.ვიკო, ნ.ი. დანილევსკი, ო.შპენგლერი, ა.ტოინბი და სხვ. თავიანთი კონცეფციების

1 უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჩვენი მონოგრაფია „კ.მარქსი და ფ.ენგელსი კაპიტალიზმამდელი ფორმაციების შესახებ", 1976.

განვითარებისას, ჩვენ შიც ბევრი გამოდიოდა და გამოდის იმ დებულებიდან, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციები — ეს საზოგადოების ევოლუციის ისეთი ფაზებია, რომლებიც გავლილ იქნა ყველა ხალხის მიერ, რომელნიც ცივილიზაციის ზღურბლზე შედგნენ ჩვენს ერამდე, ე.ი. ბერძნულ-რომაულ სამყაროზე უწინ და მის სინქრონულად. ნ.ი. კონრადი ამ მიმართებით სულაც არ გაბლადათ პირველი; სიახლე მასთან მხოლოდ იმაში მდგომაროებდა, რომ ამას იგი ამტკიცებდა რიგორისტულად. ის საკვლევით ნათლად და რამდენჯერმე მიუთითებდა, რომ არსებობდა რამდენიმე ისტორიული ცენტრი — ჩინეთი, ინდოეთი, ირანი და შუა აზია, საბერძნეთი, რომი (ეს რაოდენობა მას შეეძლო უფრო მეტად გაეზარდა!), რომელთაგან თითოეული დამოუკიდებლად გადიოდა ანტიკურობის, შუასაუკუნეების, ახალი დროის ფაზებს, ხოლო აღნიშნული ფაზების შიგნით — აღორძინებას, განმანათლებლობას,აბსოლუტიზმს.

სხვათა შორის, ამ კონცეფციის სიახლოვე ო.შპენგლერის, ა.ტოინბის და სხვათა ძირითად შეხედულებასთან შემჩნეულ იქნა თვითონ ა.ტოინბის მიერ. ნ.ი. კონრადისადმი წერილში იგი აღნიშნავდა: „მაგრამ მე მეჩვენება, რომ თქვენი და ჩემი აზრები ადამიანთა ისტორიაზე უფრო მეტად ემთხვევა ერთმანეთს, ვიდრე თქვენ ამას ფიქრობთ, — თუ მე თქვენ კარგად გაგიგეთ. შევეხები მხოლოდ რამდენიმე პუნქტს:

1. ამ მიმართებით შპენგლერიც და მეც თქვენ გეთანხმებით, თუ რეცენზია (კონრადის წიგნისა, გ.ყ.) სწორად გადმოსცემს თქვენს კონცეფციას იდენტური მოვლენების დამოუკიდებლად წარმოშობის შესახებ, — მაგალითად, რენესანსისა, სხვადასხვა საზოგადოების ისტორიული განვითარების იდენტურ საფეხურზე“[1].

ეს რომ ასეა, ამის დასადასტურებლად მოვიტანთ წიგნის ერთ-ერთ დამახასიათებელ ადგილს: „აღორძინება გამოვლინებაა ისტორიული პროცესის ზოგადი კანონზომიერებისა, რომელიც იწყება დიდი ცივილიზაციების ხალხების ისტორიული განვითარების განსაზღვრულ მომენტში“[2]. ანდა მოვიტანთ ადგილებს, რომლებიც მთლიანად ო.შპენგლერის იდეების გავლენით არის დაწერილი: „ყოველი ხალხი წარმოადგენს ისტორიის სუბიექტს და მას გააჩნია თავისი საკუთარი ბედ-ილბალი: თითოეული ხალხის ისტორიულ შემოქმედებას აქვს თვითკმარი (самодовлеющее) ისტორიული მნიშვნელობა“[3]. „რასაკვირველია,

---

1 ნახეთ „Диалог историков“, „Новый мир“, 1967, № 7, გვ. 175.

2 წიგნის 21-ე გვერდზე კონრადი წერდა: „თუ ...დავუკავშირებთ ამ აყვავებას (ე.ი. მეცნიერების და განსაკუთრებით ხელოვნების, ლიტერატურისა და ფილოსოფიისა, გ.ყ.) მოცემული ქვეყნის ზოგადი ისტორიის განსაზღვრულ ეტაპს, მაშინ, რენესანსი, როგორც ეპოქა, იქცევა ისტორიულ მოვლენად, რომელსაც სპეციფიკური ადგილი უკავია მოცემული ქვეყნის ზოგად ისტორიაში“.

3 იქვე, გვ. 97.

არ არის მიმართება ძველი ხანისა და შუასაუკუნეების — კულტურული კაცობრიობის ცხოვრების ამ ორი ეპოქის — მეცნიერებისადმი, როგორც **დამოუკიდებელი, ღრმად ორგანული, თავისთავში დამთავრებული მოვლენისადმი** (ხაზგასმა ჩვენია, გ.ყ.), რომელიც სახელდობრ ამ ასპექტში ყველაზე მთავარია ჩვენი მეცნიერული აზროვნებისათვის".[1] ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე ავტორის მსჯელობა 26-ე, 27-ე გვერდებზე. მაგრამ, ცხადია, ნ.ი.კონრადის აზრების მთავარი ნაკლი, ეს კი არ გახლავთ (სხვათა შორის, ო.შპენგლერს ჰქონდა სწორი აზრებიც!), არამედ თვით ამ აზრების არსით მცდარობა. ისტორიის ფილოსოფიაში ო.შპენგლერის აზრების მსგავსი შეხედულებანი გადალახულ იქნა ჰეგელის მიერ, უკვე რომ აღარაფერი ვთქვათ კ.მარქსსა და ფ.ენგელსზე. მსოფლიო ისტორიის როგორც პროგრესის გაშლის პროცესის გააზრებით ისტორიული ცენტრების გადანაცვლების გზით ნ.ი.კონრადის აღნიშნულ აზრებს საფუძველი ეცლებათ.

მოკლედ შევჩერდებით თვით მსოფლიო ისტორიული პროცესის რამდენიმე მომენტზე.

„დასავლეთისა და აღმოსავლეთის" ავტორი, ავლებდა რა ანალოგიებს ევროპისა და აზიის ისტორიას შორის დეტალებში და ხედავდა რა „საოცარ" მსგავსებებს მათ შორის, ვერ ამჩნევდა აშკარა განსხვავებულობებს. ევროპის ისტორიაში, როგორც ცნობილია, ცივილიზაცია წარმოიშვა გაცილებით გვიან, ვიდრე აზიაში. თავდაპირველად ეს მოხდა კუნძულ კრეტაზე, შემდეგ სამხრეთ ეგეიდაზე, ეტრუსკებში, შემდეგ მისი არეალი გაფართოვდა ბერძნულ-რომაული სამყაროს განვითარების წყალობით. ამის შემდეგ ადგილი ჰქონდა ცივილიზაციის მაღალ განვითარებას (ანტიკურ სამყაროში), შემდეგ — დაცემასა და განადგურებას შინაგანი და გარეგანი (ბარბაროსთა შემოსევების) მიზეზებით. ბარბაროსობისა და დაქვეითებული ცივილიზაციის სინთეზის შედეგად წარმოქმნილი ახალი ცივილიზაცია მოიცავდა ევროპის ბევრად უფრო ვრცელ ტერიტორიებს, მაგრამ თვისებრივი აზრით, კულტურის განვითარების ასპექტში, ეს ცივილიზაცია ჯერჯერობით ძალზე ჩამორჩებოდა ძველს (ბერძნულ-რომაულს).

აღნიშნული გარემოების თვალთახედვით ახლა შევხედოთ აღმოსავლეთს. პირველი ცივილიზაციები აქ წარმოიშვა გაცილებით ადრე. უკვე „ძველ ეპოქაში" ცივილიზაციამ მოიცვა აზიისა და ჩრდილოეთი აფრიკის ფართო რეგიონები — ცივილიზაციის გავრცელების ეს არეალი, რასაკვირველია, შეუდარებლად დიდია ვიდრე ანტიკური ცივილიზაციის არეალი. მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ტერიტორიები ათვისებულ იქნა, ნ.ი. კონრადის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, აღმოსავლეთის ანტიკურობის ეპოქაში. შემდეგომში ცივილიზაციის განვითა-

---

1 Запад и Восток, გვ. 26.

რების პროცესი აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში, — როგორც უძველეს, ისე შედარებით ახალ ცენტრებში, — ტემპებითა და ხარისხით ძალზე ჩამორჩებოდა ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციას. ცივილიზაციისა და კულტურის მძლავრი აღმავლობისა და დაცემის მაგიერ აზიაში შეინიშნება კონტინუიტეტი, უწყვეტობა; რიგ ქვეყნებში ისინი გამდიდრებულ იქნა კიდეც მსოფლიო რელიგიების გავრცელების გამოისობით. აზიის ბარბაროსული პერიფერია კვლავინდებურად ჩამორჩენილი რჩებოდა, ახალ ხალხებს — ჰუნებს, არაბებს, თურქებს, მონღოლებს — თვისებრივად ახალი არაფერი არ მოუტანიათ, ამიტომ უსაფუძვლოა მათს დაპყრობებს დავუკავშიროთ შუასაუკუნეების დადგომა აზიის ძველ ცივილიზებულ ცენტრებში.

აზიის ცივილიზაცია და კულტურა ამის შემდეგაც, ე.ი. „შუასაუკუნეების“ დადგომის ხანიდან მოყოლებული, ვითარდებოდა წყვეტილობის გარეშე, თუმცა, რასაკვირველია, ნელი ტემპებით, ეკონომიკა ძირითადად იმავე დონეზე რჩებოდა, თითოეულ ქვეყანაში არსებობდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქი, მისთვის დამახასითებელი განვითარებული სოციალური გარემოთი, შესაბამისი კულტურით, პიროვნების შედარებითი განვითარებით, ფუნქციონირებდა ინტელიგენციის ფენა და სხვ. ამრიგად, არსებობს უზარმაზარი განსხვავებულობა აღმოსავლეთისა და ევროპის ძველი ეპოქების ხანის ევოლუციაში. (აქ არაა ადგილი ჩავღრმავდეთ აღნიშნული განსხვავებულობის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების განხილვაში).

დასავლეთ ევროპის კულტურული ევოლუციის ჩავარდნას ანტიკური კულტურის დაღუპვის შემდეგ, ე.ი. V-X საუკუნეების მანძილზე, კარგად ხედავდნენ ჯერ კიდევ დასავლეთევროპელი ჰუმანისტები, რომელთა მიერ შუასაუკუნეების დიდი მონაკვეთის შავი ფერებით დახატვას, კონრადი აკრიტიკებდა. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ჰუმანისტებს საკმაოდ ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ იმაზე, რაზედაც ისინი ლაპარაკობდნენ. მათი შეზღუდულობა შეიძლება გადალახულ იქნეს, მაგრამ არა იმ მიმართულებით როგორსაც ვხედავთ ნ.ი.კონრადის „დასავლეთსა და აღმოსავლეთში“.

ნ.ი. კონრადის აზრი რენესანსზე, როგორც ყოველი ისტორიული ცენტრის კანონზომიერ მოვლენაზე, არ მიგვაჩნია დამაჯერებლად. მისი აღიარებით „თვით ამ მოვლენის ადგილისა და შინაარსის გაგება მიიღწევა რენესანსის შესწავლით ყველა ქვეყანაში, სადაც იგი იყო. რენესანსის ეპოქა მაშინ აღმოჩნდება არა ისტორიულ შემთხვევითობად, — რომელიც უნდა ჩაითვალოს ასეთად მსოფლიო ისტორიის ასპექტში, თუ დავუშვებთ, რომ იგი იყო მხოლოდ ევროპის ისტორიაში, — არამედ ისტორიულ კანონზომიერებად“[1], ხოლო ასეთად გააზ-

1 იხ.Запад и Восток, გვ. 21, აგრეთვე გვ. 241, 482.

რებული რენესანსის „ისტორიული კანონზომიერება“ თითქოს იმაში გამოვლინდა, რომ აღნიშნული მოვლენა სხვადასხვა ქვეყნებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა: ჩინეთში VIII-X საუკუნეებში და გრძელდებოდა XVI საუკუნემდე[1], შუა აღმოსავლეთის რეგიონში — XI-XII საუკუნეებში — XV საუკუნემდე, ხოლო ევროპაში — XIV-XVI საუკუნეებში.

ტყუილუბრალოდ უსაყვედურებდა ნ.ი.კონრადი დასავლელ მეცნიერებს, „რომლებიც რენესანსის შესახებ ლაპარაკობენ საერთო-ისტორიული, ხოლო მასში — სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლისაგან დამოუკიდებლად“. ვფიქრობთ, რომ თვითონ იგი სულაც არ წასულა წინ ამ მიმართულებით, მის მიერ გაგება იმ სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა, რომლებიც თითქოს წარმოშობდა რენესანსს თითოეულ ისტორიულ ცენტრში, ვერ უძლებს კრიტიკას. არსებითად ავტორი იფარგლება ზოგადი ფრაზებით. ასე რომ, ო.ლ.ვაინშტეინისა და ბ.ა. ჩაგინის აზრი, რომელიც გამოთქმული იყო ნ.ი.კონრადის ერთ-ერთი სტატიის თაობაზე, კვლავ სწორი რჩება: „აღმოსავლეთში ისეთივე კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გარდატეხის არსებობა, როგორიც იყო აღორძინება დასავლეთში, არავის არ დაუმტკიცებია“[2].

ლაპარაკობდა რა რენესანსზე მთელ რიგ აღმოსავლურ ქვეყნებში, ნ.ი. კონრადი არ შეხებია რენესანსის საკითხს ინდოეთის ისტორიაში, ინდოეთთან მიმართებით იგი აღნიშნავდა ქვეყნის მხოლოდ იმ ნაწილის აღორძინებას, რომელიც მაჰმადიანური კულტურის ორბიტაში მოექცა (ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი). ეს ჯერჯერობით არც იმ სხვა საბჭოთა ავტორებს გაუკეთებიათ, რომლებიც იზიარებენ ნ.ი.კონრადის უნივერსალური რენესანსის თვალსაზრისს.

ამ თვალსაზრისისათვის დიდი დაბრკოლება გახლავთ აგრეთვე ეგვიპტისა და მესოპოტამიის რეგიონებში აღორძინების მტკიცების შეუძლებლობა. დიდ სიძნელეს წარმოადგენს აგრეთვე არაბული კულტურის გაფურჩქვნის ფაქტი (არაბებმა ხომ ცივილიზაცია „ანტიკურობის“ გაუვლელად განავითარეს) ანდა ის გარემოება, რომ ვერ აღორძინდა ელინური კულტურა საკუთრივ საბერძნეთში.

საინტერესოა თვალი გავადევნოთ, თუ როგორ იაზრებდა ნ.ი. კონრადი

---

1 შევნიშნავთ, რომ ჩინური რენესანსის შესახებ ნ.ი.კონრადამდე ადრე წერდნენ კ.კონკიტირო, რ.ვილჰელმი, ხუ ში. იხ. В.И.Семанов, Было ли Возрождение в Китае? წიგნში „Литература эпохи Возрождения и проблемы всемирной литературы“, М., 1967, с.476, 477. სამწუხაროდ, ნ.ი.კონრადი მათ სახელებს არ მოიხსენიებდა. რაკი სიტყვამ მოიტანა, ვიტყვით, რომ იგივესაირი საფუძვლიანობით ჩინურ კულტურაში რენესანსის ეპოქის დადგომა შეიძლება დავწყოთ IV-V საუკუნეებიდან, თუ უფრო ადრე არა.

2 იხ. ავტორთა რეცენზია წიგნზე „სოციალურ-პოლიტიკური იდეების ისტორიიდან“, „Вопросы истории“, 1957, № 2.

რენესანსს საქართველოსა და სომხეთში. საერთოდ იგი განასხვავებდა ავტოქ-თონური და „არეკლილი“ ("отраженный") ხასიათის რენესანსს: „თუ პირველ-ნი, როგორც ჩანს, წარმოიშვა ძველი ხალხების, — ასე ვთქვათ, ისტორიის „დამსახურებული მოღვაწეების“ ისტორიაში, მეორენი — უფრო ახალგაზრდა ხალხების ისტორიაში, რომლებიც საერთო-ისტორიულ არენაზე მაშინ გამო-დიოდნენ, როცა მონათმფლობელური საზოგადოების სამყარო უკვე წარსულს ჰბარდებოდა. ამიტომაც თავისი ძველი ხანა — ისეთი, როგორიც ჰქონდათ ძველ ხალხებს — ამ ხალხებთან არ იყო“[1]. უკანასკნელებისაგან განსხვავებით, ქართ-ველებსა და სომხებს „ჰქონდათ თავიანთი „ძველი ხანა“, რომელიც კულტურულ-ისტორიული განვითარების მხრივ განსაზღვრული ზომით საერთო იყო არა მხოლოდ ირანისა და წინა აღმოსავლეთის ხალხების ძველ ხანასთან, არამედ უფრო მეტად ბერძნულ-რომაულ „ანტიკურობასთან“[2]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წიგნის სხვა ადგილებში ქართველებისა და სომხების რენესანსი განიხი-ლება ერანთან და შუა აზიასთან კავშირში. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს გაგება იმისა, თუ რომელი კატეგორიის რენესანსს — „ავტოქთონურს“ თუ „არეკ-ლილს“ — ჰქონდა ადგილი საქართველოსა და სომხეთში ნ.ი.კონრადის მიხედ-ვით შეუძლებელი ხდება. არაფერს ამბობს ამ მიმართებით სტატია „ვეფხისტყა-ოსანი“ და საკითხი რენესანსული რომანტიზმის შესახებ“[3].

გაუგებარი რჩება, თუ რატომ მოჰყვა რენესანსის არსებობას ჩინეთში, თითქმის 500 წლის განმავლობაში (VIII-XII სს.) მონღოლთა დაპყრობები, ანდა ამის შემდეგაც თითქოს კიდევ საუკუნოვან რენესანსს მცირერიცხოვან მანჯუ-რთა დაპყრობანი და მათი ამდენივე ხანის ბატონობა ჩინელების უზარმაზარ მასაზე. და ასევე ითქმის ყოველი „რენესანსის“ ისტორიული ბედ-იღბლის თაო-ბაზე აღმოსავლეთის ქვეყნებში. დასავლეთში რენესანსის კულტურა შეფერხდა და დაეცა მხოლოდ იტალიასა და ესპანეთში, რის მიზეზებიც ცნობილია, მაგრამ საერთოდ მოწინავე დასავლეთ ევროპაში ამ ისტორიულ ეპოქას შედეგად მოჰყვა განმანათლებლობა და ბურჟუაზიული რევოლუციები. ისტორიული პროცესის ასეთი განსხვავებული შედეგები იმას მოწმობს, რომ თვით X-XV საუკუნეების ევროპის განვითარების ხასიათი სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე ამავე ხანის აღმო-სავლეთის უმეტესი ქვეყნებისა.

ამრიგად, გავადევნეთ რა თვალი ნ.ი. კონრადის ისტორიულ-ფილოსოფიურ შეხედულებებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ისტორიის მთავარი მომენტე-ბისს გააზრებაში, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ეს შეხედულებანი არას-

---

1 Н.И. Конрад. Запад и Восток, с. 241.
2 იქვე, გვ. 211, 457, 460.
3 იქვე, გვ. 265-272.

წორი იყო და არ გამომდინარეობდა აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკურ= პროცესების რამდენადმე ღრმა გააზრებიდან. უკანასკნელ გარემოებას, ცხადი= არ შეიძლება არ ეჩინა თავი ამ დიდი ისტორიული რეგიონის კულტურული დ— იდეოლოგიური პროცესების მცდარ გაგებაში.

თუ აღმოსავლეთის ისტორიული პროცესიდან ამოვალთ, ადვილად დავინა— ხავთ, რომ აქ არ შეიმჩნევა ცივილიზაციისა და კულტურის ის დაცემა, რაც დასავლეთ ევროპაში ანტიკური ხანის ბოლო ფაზისა და ადრე შუასაუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი. აღმოსავლეთში მონობის წარმოების წესად ვერგახდომამ განაპირობა კულტურისა და საერთოდ ცივილიზაციის კონტინუიტეტი „ადრეულ შუა საუკუნეებშიც". უწყვეტად განაგრძობდა აქ არსებობას დიდი ცენტრალიზებული სახელმწიფოები, მნიშვნელოვანი ქალაქები, შესაბამისად — საერო კულტურაც. სხვანაირად რომ ვთვათ, ამ პერიოდის აღმოსავლეთში ადგილი არ ჰქონია ძველი კულტურის, მათ შორის საეროსი, უარყოფას. ამ ძველ კულტურას ინარჩუნებდა და ავითარებდა ინტელიგენციის ფენა. დასავლეთში საწინააღმდეგო მოვლენა (ანტიკურობის ბოლო ფაზაში), გამოწვეული იყო ჩაგრულთა ფართო მასების რეაქციითაც გაბატონებული ელიტის კულტურისადმი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღმოსავლეთის უმეტეს ქვეყნებში არც რენესანსზე ლაპარაკი შეიძლება.

ნ.ი. კონრადის ჩანაფიქრით, მის მიერ დასახული მთავარი ამოცანა მდგომარეობდა არა მარტო სხვადასხვა ხალხების ისტორიაში რენესანსის ეპოქების აღმოჩენაში, არამედ იმაშიც, რომ რენესანსი გაეაზრებინა ახლებურად, ახალი შინაარსით. ასეთი მცდელობის შედეგად კი საქმე გვაქვს რენესანსის ფენომენის ბუნდოვან და გაღარიბებულ შინარსთან, რომელიც ამასთანავე მოწყვეტილია შესაბამის სოციალურ-ეკონომიკური წანამღვრებისაგან.

დაგვრჩა საკითხი იმის თაობაზე, გააჩნია თუ არა აზრი რენესანსის პრობლემის დაყენებასა და მტკიცებას აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში მაინც, კერძოდ საქართველოში. რენესანსზე მჯელობას აზრი აქვს მხოლოდ ქრისტიანული ცივილიზაციის ხალხების მიმართ. შემთხვევითი არ გახლდათ ის გარემოება, რომ ფ.ენგელსი „ბუნების დიალექტიკაში" ანტიკურობას, შუასაუკუნეებსა და რენესანსს განიხილავდა უარყოფის უარყოფის კანონის მოქმედების თვალთახედვით, ე.ი. იყო მაღალი კულტურა, რომელიც შემდეგ დაქვეითდა და კვლავ განვითარდა ახალ საფეხურზე.

ქრისტიანული რელიგიის გამარჯვება მოასწავებდა ახალი მსოფლმხედველობის დამკვიდრებას, ამქვეყნიურ ფასეულობებზე უარის თქმას. რენესანსი კი თავის მხრივ უარყოფა იყო ამ მდგომარეობისა. კერძოდ, თუ IV-V საუკუნეების ქართულ სინამდვილეს შევხედავთ, დავინახავთ ტრადიციული ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და შესაბამისი ორიენტაციების გაბატონებას. XI-XII

საუკუნეების საქართველოში ამ მხრივ დიდ შემობრუნებასთან გვაქვს საქმე, რაშიც აშკარად ჩანს რენესანსული მოვლენები. ამას კი გააჩნდა მთელი რიგი მიზეზები.

საქართველო ამ პერიოდში, როგორც ცნობილია, გაერთიანდა და წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. შესაბამისად თბილისი გახდა დიდი კულტურული ცენტრი, სადაც ცხოვრობდა ქართული ფეოდალური არისტოკრატიის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. ამდენად, საზოგადოების ამ ნაწილში შესაძლებელი გახდა პიროვნების თვალსაჩინო განვითარება, კულტურის შემდგომი პროგრესი. ამ შინაგანმა მიზეზებმა განაპირობა გარეგანი მომენტების ათვისება. ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა ბიზანტიური, არაბული და სპარსული კულტურების ზემოქმედების არეალს, ე.ი. იმ კულტურებისა, რომლებშიც ძლიერი იყო საერო კულტურის ნაკადები. გარდა ამისა, ჩვენს წინაპრებს ბიზანტიური კულტურის სახით რამდენადმე ცოცხალი ანტიკურობა ჰქონდათ შემორჩენილი. ყველა ამ ფაქტორის ზემოქმედების შედეგად XI-XII საუკუნეების საქართველოში განვითარდა მთელი რიგი რენესანსული ტენდენციებისა.

თუ აღნიშნულ პროცესს სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის თვალთახედვით შევხედავთ, დავინახავთ, რომ ეს პროცესები ჩვენში სულ სხვანაირი იყო, ვიდრე XIV-XVI საუკუნეების დასავლეთ ევროპაში. მაგრამ მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ასეთი განსხვავებულობისა XI-XII საუკუნეების საქართველოსა და XIV-XVI საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, კულტურული, სულიერი პროცესები აღნიშნულ რეგიონებში რამდენადმე ერთმანეთს ემსგავსებოდა. ჩვენში ადგილი ჰქონდა კულტურის განვითარების შეფარდებით დამოუკიდებლობას სოციალურ-ეკონომიკურ ბაზისთან შედარებით, რაც თავის მხრივ სულაც არ ხდებოდა სავსებით იმანენტურად, არამედ განპირობებული იყო მთელი რიგი მიზეზებით. სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის ასეთი შეზღუდულობა და განუვითარებლობა საქართველოში, — დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებთან შედარებით, — გვიხსნის რენესანსული ტენდენციების შემდეგ განუვითარებლობას. (მხოლოდ ბარბაროსთა შემოსევებით აღნიშნულ გარემოებას ვერ ავხსნით).

საერთოდ, ჩვენი აზრით, იგივეს თქმა შეიძლება სომხური და რუსული კულტურების სათანადო ეპოქების მიმართაც; ის ახალი ტენდენციები, რამაც ამ ქვეყნებშიც იჩინა თავი გარკვეულ პერიოდებში, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც რენესანსული. (რუსეთის მიმართ ამას ამტკიცებენ მ.პ.ალექსეევი, დ.ს.ლიხაჩოვი და ი.ს.ლურიე). ამ ქვეყნებში საქართველოს მსგავსად მხოლოდ რენესანსულმა ტენდენციებმა იჩინა თავი, რაც, ცხადია, ჯერ კიდევ არ იყო რენესანსის პერიოდის დადგომა.

ასეთია ზოგიერთი ჩვენი მოსაზრება ნ.ი. კონრადის და სხვათა გლობალური,

უნივერსალური და კერძოდ აღმოსავლური რენესანსის თვალსაზრისთან დაკ
ვშირებით. მიგვაჩნია, რომ ეს მოსაზრება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლე
ჩაითვალოს თეორიად, არამედ მხოლოდ ჰიპოთეზად. ხოლო თუ ამ უკანასკნელ
კრიტიკული თვალით შევხედავთ, იგი გამოცდას ვერ უძლებს. გლობალური
აღმოსავლური რენესანსის თვალსაზრისისაგან განსხვავებით, ჩვენი შეხედულ
ბით, გარკვეული საფუძველი გააჩნია კერძოდ ქართული რენესანსის პრობლემას
და მისი გაღრმავებული კვლევა-ძიება სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის
პოზიციიდან, აგრეთვე, კომპლექსური შესწავლის საფუძველზე, ქართველოლო
გიის გადაუდებელი საქმეა.

1 975 წ.

კლასობრივი ბრძოლის საკითხი „ადრეკლასობრივი“ და ფეოდალური ხანის საქართველოში

ცნობილია, რომ კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერება აღმოჩენილ იქნა რესტავრაციის პერიოდის ფრანგი ისტორიკოსების (ფ.გიზო, ო.ტიერრი, ფ.მინიე, ა.ტიერი) მიერ. საფრანგეთისა და ინგლისის ისტორიის გვიანფეოდალური და ახალი ხანის პერიოდებზე დაკვირვებამ ისინი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ ქვეყნებისა და დასავლეთ ევროპის სხვა მოწინავე ქვეყნების ისტორია ფეოდალიზმის განვითარების მეორე პერიოდიდან მოყოლებული წარმოადგენდა მესამე წოდების ბრძოლას თავადაზნაურობის წინააღმდეგ, ბრძოლას, რომელიც ასევე კანონზომიერად დასრულდა ბურჟუაზიული რევოლუციებით. ყველა ამ ქვეყანაში სახეზე იყო საერთო მომენტები: ეკონომიკური და სოციალური განვითარების (სოციალური სტრუქტურის აზრით) განსაზღვრული დონე — ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან ქალაქების მასშტაბით, მეურნეობის ამ დარგებისაგან ვაჭრობის გამოცალკევება, მესამე წოდების ჩამოყალიბება, იმდროინდელი მასშტაბებით დიდი და ძლიერი ეროვნული ორგანიზმების არსებობა, გარედან (სხვა საზოგადოებათაგან) საფრთხის არარსებობა ან უმნიშვნელობა, მითუმეტეს დაუპყრობლობა. სწორედ ასეთი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური წანამძღვრების ერთობლიობა იქცა საფუძვლად შესაბამისი ეპოქების დასავლეთევროპულ საზოგადოებათა ისტორიაში კლასობრივი ბრძოლის ფართოდ გაშლისა, რომლის კულმინაციასაც წარმოადგენდა ბურჟუაზიული რევოლუციები.

ასევე ცნობილი გახლავთ, რომ მოწინავე ბურჟუაზიული აზრის აღნიშნული მიღწევა, ე.ი. კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერების აღმოჩენა, თავის მხრივ იქცა ერთ-ერთ მთავარ ელემენტად საზოგადოების თაობაზე ზოგადი მარქსისტული მეცნიერებისა — ისტორიული მატერიალიზმისა. ბურჟუაზიული მეცნიერების ამ დამსახურებას სავსებით ნათლად აღნიშნავდა კ.მარქსი, რომელიც 1852 წელს წერდა: „... რაც შემეხება მე, მე არ მეკუთვნის არც თანამედროვე საზოგადოებაში კლასების არსებობისა და არც მათ შორის ბრძოლის აღმოჩენის დამსახურება. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი ხნით ჩემზე ადრე გადმოსცეს კლასთა ამ ბრძოლის ისტორიული განვითარება, ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა — კლასების ეკონომიკური ანატომია“[1]. კ.მარქსი აქვე დასძენდა, რომ ერთ-ერთი სიახლე, რაც მან შეიტანა აღნიშნული საკითხის გაგებაში,

11 კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ.I, 1975, გვ. 655.

გახლდათ ის, რომ კლასების არსებობა დაუკავშირა წარმოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ ფაზებს[1]. ამდენად, კ.მარქსმა კიდევ უფრო გააფართოვა ისტორიაში კლასობრივი სტრუქტურების არსებობის ჩარჩოები, შესაბამისად — კლასობრივი ბრძოლის არსებობის მიჯნები. ცხადია, სოციალურად სტრატიფიცირებულ საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური რანგებისა და წოდებების არსებობა კარგა ხნის გაცნობიერებული იყო (კერძოდ, ასე იყო ფეოდალურ ქართულ ისტორიოგრაფიაში, ასევე ძალზე კარგად გააცნობიერა ეს გარემოება ჩვენი ისტორიის უცხო, ბერძენმა დამკვირვებელმა — სტრაბონმა), მაგრამ ის, რაც ამ მხრივ კ.მარქსმა და ფ.ენგელსმა გააკეთეს, უთუოდ სიახლეს წარმოადგენდა სოციალური შემეცნების განვითარებაში. სოციალური რანგებისა და წოდებების ნაცვლად მათ შემოიტანეს სოციალური კლასის ცნება.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში" კ.მარქსი და ფ.ენგელსი, როგორც ვიცით, აღნიშნავდნენ, რომ დღემდე არსებული ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორია იყო. მოგვიანებით, ლ.მორგანის მიერ გვაროვნული ორგანიზაციის აღმოჩენის შემდეგ, ფ.ენგელსმა დააზუსტა „მანიფესტის" ეს დებულება და კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერების მოქმედების სფეროდან გამორიცხა არქაული კომუნისტური საზოგადოების ისტორია.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმის კლასიკოსებს არა ერთი აზრი გამოუთქვამთ აღნიშნულ საკითხზე, მაინც აღვნიშნავთ, რომ კლასთა ბრძოლის ზოგადი სურათი კაცობრიობის ისტორიაში ჩვენში არაა სათანადოდ წარმოდგენილი. კლასთა ბრძოლის ის ხასიათი, რაც ამ მოვლენას გააჩნდა დასავლეთ ევროპაში განვითარებული ფეოდალიზმის ხანიდან მოყოლებული, ე.ი. ის, რომ მას (ბრძოლას) აშკარად გამოკვეთილი ხასიათი ჰქონდა და წარმოადგენდა სოციალური პროგრესის საფუძველს, გადააქვთ ხოლმე ასეთივე სახით ისტორიის წინამავალ საფეხურებზე. ასე მაგალითად, საკუთრივ ანტიკური საზოგადოების ისტორიის მიმართ აღნიშნავენ ხოლმე მონებისა და მონათმფლობელების ბრძოლას, როგორც ძირითად მოვლენას ამ ისტორიაში, ამ ბრძოლის დიდ რევოლუციურ როლს ფეოდალიზმზე გადასვლაში.

ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ კ.მარქსი ფ.ენგელსისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „რამდენიმე ხნის წინათ მე ისევ გავიარე რომის (ძველი) ისტორია ავგუსტოსის ეპოქამდის. შინაგანი ისტორია შეიძლება plainly (მთლიანად) დაიყვანო წვრილი მიწათმფლობელობის ბრძოლაზე მსხვილთან, რა თქმა უნდა, იმ მოდიფიკაციების შეტანით, რომლებიც დაპირობებულია მონობის არსებობით"[2]. შესავალში წიგნისა „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა" იგი წერ-

---

1 კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ.I, 1975, გვ. 655.
2 მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, 1937, გვ. 236.

და: „ძველ რომში კლასობრივი ბრძოლა წარმოებდა მხოლოდ პრივილეგიური უმცირესობის შიგნით, თავისუფალ მდიდრებსა და თავისუფალ ღარიბებს შორის, მაშინ როდესაც მოსახლეობის დიდი მწარმოებელი მასა, მონები, მებრძოლთათვის მხოლოდ პასიურ კვარცხლბეკს შეადგენდა"[1]. „კაპიტალში" ვკითხულობთ: „კლასობრივი ბრძოლა ანტიკურ ქვეყანაში, მაგალითად, წარმოებს უმთავრესად მევალესა და მოვალეს შორის ბრძოლის ფორმით და რომში ეს ბრძოლა თავდება მოვალე-პლებეის დალუპვით, რომლის ადგილსაც მონა იკავებს"[2]. მარქსის ეს აზრები ეხება ანტიკურ იტალიას, სადაც ადგილი ჰქონდა მონათა სამ მნიშვნელოვან გამოსვლას. მით უფრო მიიჩნევდა იგი მეორეხარისხოვნად მონათა ბრძოლას მონათმფლობელების წინააღმდეგ კლასიკურ საბერძნეთში, სადაც არ ყოფილა მონათა არც ერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი აჯანყება. ფ.ენგელსი ასევე მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა მონათა ბრძოლის მნიშვნელობას ფეოდალიზმზე გადასვლის პერიოდში. მაგრამ მიუხედავად მარქსიზმის კლასიკოსების ასეთი ნათელი გამონათქვამებისა, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, როგორც ვთქვით, გაბატონებულია საპირისპირო თვალსაზრისი. ავტორიტეტებს რომ თავი დავანებოთ და საქმის ვითარებას უშუალოდ ისტორიული სინამდვილის თვალით შევხედოთ, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი თვალსაზრისი კრიტიკას ვერ უძლებს.

ანდა ავიღოთ აღმოსავლეთის ისტორია. ჩვენში ფართოდ გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ ფ.ენგელსი მაჰმადიანურ სამყაროში წარმოებული სოციალური ბრძოლის შესახებ აღნიშნავდა, რომ ამ ბრძოლას საზოგადოება სულაც ვერ მიჰყავდა წინ, რომ გამარჯვების შემთხვევაშიც კი ეკონომიკური პირობები უცვლელი რჩებოდა[3].

ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მიმართ მარქსისტულმა ისტორიოგრაფიამ კიდევ უფრო გააღრმავა კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერების იდეა. სათანადოდ იქნა ნაჩვენები ფეოდალიზმის ეპოქაში კლასობრივი ბრძოლის მეორე ნაკადიც — ყმა-გლეხობის ბრძოლა ფეოდალების წინააღმდეგ, ხოლო ადრეფეოდალურ პერიოდში — თავისუფალი გლეხობის ბრძოლა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი გაბატონებული კლასის წინააღმდეგ საადგილმამულო და პირადი თავისუფლების დასაცავად. კიდევ მეტი, საბჭოურ ისტორიოგრაფიაში სოციალური ბრძოლის ეს მეორე ნაკადი უმთავრესად ითვლება. მაგრამ კ.მარქსი, ფ.ენგელსი, ასევე გ.ვ.პლეხანოვი, კ.კაუცკი და სხვები უმთავრესად სთვლიდნენ მესამე წოდების ბრძოლას თავადაზნაურობის წინაა-

---

1 კ.მარქსი, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, 1954, გვ. 5.

2 კ.მარქსი, კაპიტალი, ტ. I. 1955, გვ. 174.

3 К.Маркс и Ф.Энгельс, Соч., т. 22, с. 468.

ღმდეგ[1]. სწორედ ეს ითვლებოდა მამოძრავებელ ფაქტად ისტორიის აღძავალ განვითარებაში. სახელდობრ ამ ფაქტორის გარეშე მოხდა, რომ გლეხთა გრანდიოზულმა გამოსვლებმა ჩინეთში თვალსაჩინო დაღი ვერ დაამჩნია ქვეყნის ისტორიულ პროცესს.

ყველაფერ ამაზე ჩვენ იმიტომ შევჩერდით, რომ გვინდოდა გვეჩვენებინა კლასობრივი ბრძოლის პრობლემის მთელი რიგი ასპექტების დაუმუშავებლობა მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში. გვინდა სპეციალურად შევეხოთ ერთ-ერთ ასპექტს, რაც თავისთავადი მნიშვნელობის გარდა უაღრესად საყურადღებო გახლავთ საქართველოს ისტორიისათვის.

საკუთრივ ევროპის კონტინენტზე ვხვდებით რიგ შემთხვევებს (ირლანდია, პოლონეთი, მონღოლთა უღლის პერიოდის რუსეთი, თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფი რიგი სლავი ხალხებისა, რუმინელები, ბერძნები და სხვ.), როდესაც შესაბამისი ქვეყნის ისტორიის მსვლელობა გართულებული იყო ხოლმე საგარეო მომენტით — სერიოზული საფრთხით სხვა, უფრო ჩამორჩენილი, მტრული საზოგადოებების მხრივ, მით უფრო — დაპყრობის შემთხვევებში. პირველთა ისტორიული პროცესი კიდევ უფრო რთულდებოდა ეროვნული ორგანიზმის მცირე ზომების შემთხვევაში, სუსტი ეკონომიკური და სოციალური ინტეგრირებისას, მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური შემადგენლობის სიჭრელისას. ასეთ პირობებში კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერება, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად მოდიფიცირდებოდა, სახესხვაობდა.

აღნიშნულ გარემოებას ყურადღება მიაქცია ფ.ენგელსმა, რომელიც 1875 წელს წერდა: „მანამ სანამ სიცოცხლისუნარიანი ხალხი შებორკილია უცხოელი დამპყრობლის მიერ, იგი აუცილებლობით მიმართავს მთელ თავის ძალებს, მთელ თავის მისწრაფებებს, მთელ თავის ენერგიას საგარეო მტრის წინააღმდეგ; და მანამ, სანამ მისი საშინაო ცხოვრება რჩება ამგვარად პარალიზებული, მას არ შეუძლია იბრძოლოს სოციალური განვითარებისათვის. ირლანდია, რუსეთი მონღოლთა უღლის ქვეშ და ა.შ. იძლევიან ამ დებულების ნათელ დადასტურებას“[2]. ფ.ენგელსი ამას წერდა პოლონეთის სიტუაციასთან დაკავშირებით 1772 წლის პირველი დაყოფიდან მოყოლებული[3]. მონღოლთა ბატონობის პერიოდის რუსეთის ისტორიის მიმართ ფ.ენგელსის ეს აზრი სისტემატური სახით იქნა გატარებული გ.ვ. პლეხანოვის მიერ თავის ნაშრომში „История русской общественной мысли“ (იხ. განსაკუთრებით შესავალი).

---

1 ბ.ფ. პორშნევის მიხედვით, გ.ვ. პლეხანოვის, კ.კაუცკის და სხვათა ასეთი შეხედულება თითქოს წვრილბურჟუაზიული. იხ. მისი „Феодализм и народные массы“, М., 1965.

2 К. Маркс И Ф.Энгельс, Соч., т. 18, с. 555.

3 იხ. აგრეთვე მისი წერილი კ.კაუცკისადმი, 1882 წლის 7 თებერვლისა. К.Маркс и Ф.Энгельс, Соч., т.35, с. 220-21.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კარლ კაუცკი აღნიშნავდა: „მაგრამ ამგვარი ეროვნული პოზიციის გამო სუსტდება კლასთა ბრძოლა. თუ ერთი ერი იჩაგრება მეორის მიერ ერთი და იგივე სახელმწიფოში, მაშინ ადვილად მიიღწევა სოლიდარობა დაჩაგრული ერის ყველა კლასისა მჩაგვრელთა მიმართ. კლასობრივი წინააღმდეგობანი იჩრდილება ანდა მახინჯდება, ისინი სრულიად არ ვლინდება ან ვლინდება შერყვნილი სახით"[1].

XIX საუკუნის 50-60-იანი წლების ვითარების მიმართ ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა: „რევოლუციური იყო სწორედ პოლონეთი მთლიანად, არა მარტო გლეხობა, არამედ თავადაზნაურობის მასაც"[2]. ამრიგად, ფ.ენგელსი, ვ.ი.ლენინი, გ.ვ.პლეხანოვი და კ.კაუცკი საკუთარი ნათლად მიუთითებდნენ გარკვეულ ისტორიულ სიტუაციებში მთელი ერის შეკავშირების შესაძლებლობასა და ფაქტს.

უახლეს საბჭოურ აზროვნებაში აღნიშნული მოსაზრება თანდათანობით გზას იკაფავს. 1967 წელს გამოსულ მეცნიერული კომუნიზმის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „კოლონიური ბატონობის პერიოდში თითქმის ყველა კლასი და სოციალური ფენა განიცდის კოლონიზატორთა მხრივ ჩაგვრას და ამიტომ ამა თუ იმ ზომით მონაწილეობს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნის მხარდასაჭერად ერთიმეორის მხარდამხარ გამოდიან ქალაქისა და სოფლის პროლეტარები, გლეხობა, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, ხოლო ზოგჯერ პატრიოტულად განწყობილი თავადაზნაურობაც"[3].

ეს, როგორც ვხედავთ, აღნიშნულია თანამედროვე მესამე სამყაროს მიმართ. საერთოდ კლასობრივი ფორმაციების მიმართ ეს გარემოება შენიშნული აქვს საბჭოთა ფილოსოფოსს ა.ა.მაკაროვსკის[4]. ამასვე აღირებს საბჭოთა (ყაზახი) ფილოსოფოსი ნ.ჯანდილდინი. იგივე სწორად შენიშნავს, რომ როდესაც ეროვნული გრძნობა გამოხატავს ამა თუ იმ ერის შემადგენელი წევრების დამოკიდებულებას (მიმართებას) თავიანთი მონური, დამცირებული მდგომარეობისადმი და მათს პატრიოტულ მისწრაფებას ჩამოიშოროს უცხოური უღელი, მიაღწიოს თავისუფლებას (ეროვნულ) და თანასწორობას, მაშინ იგი (ეს გრძნობა) ვლინდება ხოლმე როგორც ერთიანი, ზოგადეროვნული[5]. ისტორიაში, კერძოდ საფრანგეთის ეროვნულ ომებში, 1792-99 წლებში, ასევე თანამედროვე მესამე

---

1 К.Каутский, Национальное государство, империалистическое государство и союз государств, М., 1917, с. 9.

2 ვ.ი.ლენინი, თხზ., IV გამ., ტ. 6 გვ. 569-70.

3 Основы научного коммунизма, М., 1967, с. 185; იხ. აგრეთვე გვ. 190.

4 А.А.Макаровский, Общественный »прогресс, М., 1970, с. 177.

5 Н.Джандильдин, Природа национальной психологии, Алма-Ата, 1971, с. 222; იხ. აგრეთვე გვ. 223.

სამყაროში, ერის უდიდესი ნაწილის საერთო მიზნით გაერთიანებას აღიარებს ი.ვ. ბრომლეი[1]. იგივეა აღნიშნული კომუნისტების საერთაშორისო ჟურნალში „Проблемы мира и социализма"[2].

საქართველოს ისტორიაც ზემოაღნიშნულის ბრწყინვალე ილუსტრაციას წარმოადგენს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ასეთი სიტუაციები ჩვენი ისტორიის მანძილზე ძალზე ხშირი იყო, შესაბამისად, ჩვენში კლასთა ბრძოლა უფრო დიდი ხნის განმავლობაში ინაცვლებდა ხოლმე უკანა პლანზე. და ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართულ აზროვნებას; მასზე მიუთითებდნენ ივ. ჯავახიშვილი, ა.ჯორჯაძე[3], გ.ნათაძე, ს.დანელია, ნაწილობრივ, არათანმიმდევრულად, ნ.ბერძენიშვილი[4]. კერძოდ, სოლომონ II-ის მეთაურობით იმერეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესახებ ეს უკანასკნელი აღნიშნავდა ამ ბრძოლის პროგრესულობას[5]. აღნიშნულ მოძრაობას ნ.ბერძენიშვილი აფასებდა როგორც ქართველი ხალხის დიად ბრძოლას. იგი სავსებით სწორად შენიშნავდა: „თითოეულ კლასს ამ აჯანყებაში თავისი ინტერესი ჰქონდა და სწორედ ამ ინტერესთა რეალიზაციისათვის ყველა ეს კლასები შეთანხმებულიყვნენ („сходятся") „на известных, определенных общих задачах" (ვ.ი.ლენინის სიტყვებია, გ.ყ.). ეს „общие задачи" იმერეთის აჯანყებაში „ქართველობის" აღდგენა ანუ „სამშობლოს განთავისუფლება იყო"[6]; „ამ აჯანყების მთავარ ლოზუნგად თავიდანვე იყო და ბოლომდის დარჩა სამშობლოს განთავისუფლება"[7]. ნ.ბერძენიშვილის რეცენზიაში ა.კიკვიძის წიგნზე ვკითხულობთ: „საქართველოში, მისი გრძელი ისტორიის მანძილზე, არა ერთი აჯანყება მომხდარა, როცა თავადაზნაური და გლეხი, მთა და ბარი, ერი და ბერი დამპყრობელის წინააღმდეგ

---

1 Ю.В.Бромлей, Этнос и этрография, М., 1973, с. 109.

2 იხ. 1981, № 9, გვ. 76. ეს აღინიშნა სუდანის კავშირის (მალის რესპუბლიკის მმართველი პარტია) საგანგებო მოხსენებაში VI ყრილობისადმი, 1962 წელს. იხ. Р.Барбе, Общественные классы в Черной Африке, М, 1966, с. 26.

3 იგი წერდა: „ხალხი შევიწროებული და შეხუთულია, ხოლო მოადგებოდა რა მას გარეშე მტერი, იგი ივიწყებდა თავის ეარამს, ხელს აძლევდა თავის მჩაგვრელს და მასთან ერთად მტერს ებრძოდა. ეტყობა, ის გარეშე მტერი მას უფრო მავნებელ მტრად მიაჩნდა, კიდრე შინაური ბატონი, რომ მიუხედავად ნივთიერ უთანასწორობისა, ჩვენი გლეხი რიღათითაც დაკავშირებული იყო სხვა წოდებებთან და მას თავისი შინაური მონობა ერჩივნა გარეშე ძალის მონობას". იხ. არჩილ ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ, 1990, გვ. 315.

4 როგორც ზოგად თეორიულ, ისე კონკრეტულ პლანში საქართველოს ისტორიის მიმართ იხ. ჩვენი მოხსენების თეზისები „К проблеме модификаций закономерности классовой борьбы" კრებულში „Актуальные проблемы демерминизма", Тбилиси, 1980.

5 იხ. ავტორის რეცენზია ნ.მახარაძის წიგნზე „Восстание в Имеретии". ენიმიკის მოამბე, XIII, 1942, გვ. 290.

6 იქვე, გვ. 294.

7 იქვე, გვ. 292.

ერთად ამდგარა. კლასობრივი წინააღმდეგობანი აჯანყებულთა დასებს შორის, რა თქმა უნდა, ამ დროსაც რჩებოდა, მაგრამ წინა პლანზე განმსაზღვრელ მომენტად დამპყრობელის წინააღმდეგ ბრძოლა დგებოდა, რომელიც მოწინააღმდეგე კლასებს დროებით აერთიანებდა იმდენად, რამდენადაც დამპყრობელი მეტნაკლებად ქართველი საზოგადოების ყოველ კლასს ემუქრებოდა"[1]. ასევე 1949 წელს დაწერილ ნაშრომში „საქართველო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში" ნ.ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „მოხდებოდა ხოლმე, რომ ეს ურთიერთის მოწინააღმდეგე კლასები ამა თუ იმ მომენტში საერთო პროტესტით გამოდიოდნენ და ასეთ შემთხვევებში საზოგადოებრივი მოძრაობაც საერთო, სახალხო მოძრაობის იერს იღებდა"[2].

კიდევ მეტი, ისტორიამ იცის საკმაოდ ბევრი მაგალითი იმისა, თუ როგორ აკავშირებდა ძლიერი საგარეო საფრთხე ხალხებსაც კი. მაგალითად, პოლონეთის ისტორიიდან ცნობილი გახლავთ პოლონელებისა და ლიტველების გაერთიანება გერმანელებისა და თურქების აგრესიის წინააღმდეგ; პოლონეთის, ავსტრიის იმპერიის, ვენეციისა და რუსეთისა — თურქეთის იმპერიის აგრესიის მოსაგერიებლად. XIII საუკუნის დასაწყისში კიევის რუსეთი და მისი გუშინდელი მტრები — ყივჩაღები გაერთიანდნენ მონღოლთა წინააღმდეგ. საქართველოს წარსული ისტორიიდან ცნობილია ქართველთა, სომეხთა და ალვანელთა გაერთიანება პონტოს სამეფოს მეთაურობით რომის ექსპანსიის წინააღმდეგ, შემდეგ — ქართველთა და სომეხთა გაერთიანება სპარსთა აგრესიის წინააღმდეგ. ცნობილი ფაქტი გახლავთ აგრეთვე ჩვენი წინაპრების სწრაფვა ვენეციასთან, რომის პაპთან, უნგრეთთან, პოლონეთთან და ა.შ. კავშირისათვის თურქეთის აგრესიის მოსაგერიებლად. უახლესი ისტორიის ფაქტებიდან მივუთითებთ საბჭოთა კავშირის, აშშ-ისა და ინგლისის ერთობლივ გამოსვლას ფაშისტური გერმანიისა და იტალიის წინააღმდეგ, გომინდანისა და ჩინეთის კომპარტიის გაერთიანებას იაპონიის მიერ ჩინეთის ოკუპაციის პირობებში. მაგრამ ასეთი ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

აქ კითხვა ისმის: როგორია თანაფარდობა ეროვნული და სოციალური საკითხების გადაწყვეტისას აღნიშნულ სიტუაციებში? დგება ისინი თანაბრად, თუ სოციალური საკითხი მაინც წინა პლანზე იწევს. ამ კითხვაზედაც დამაჯერებელ პასუხს ვპოულობთ ფ.ენგელსის თეორიულ ნააზრევში. მისი შეხედულებით, „ეროვნული ჩაგვრის მოშორება ძირითადი პირობაა ყოველი ჯანსაღი და თავისუფალი განვითარებისათვის"[3]. „მანამ სანამ არ არის მიღწეული ეროვნული დამოუკიდებლობა, დიდ ხალხს ისტორიულად არ შეუძლია განიხილოს რამდე-

1 ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 472.
2 .ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1955, გვ. 430.
3 იხ. К.Маркс и Ф.Энгельс, Соч., т.35, с. 221.

ნადმე სერიოზულად რაიმე საშინაო საკითხები"[1]. სხვაგან ფ.ენგელსი ამ აზრს ასე გამოსთქვამდა: „...მხოლოდ მას შემდეგ რაც პოლონეთი ხელახლა მიაღწევს თავის დამოუკიდებლობას, მხოლოდ მაშინ, როცა იგი ხელახლა იქნება განმკარგულებელი თავისი ბედ-იღბლისა როგორც დამოუკიდებელი ერი, — მხოლოდ მაშინ ხელახლა დაიწყება შინაგანი განვითარების პროცესი"[2]. 1921 წელს ვ.ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მსოფლიო რევოლუციის მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებში დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის (გულისხმობდა კოლონიებსა და ნახევარკოლონიებს) მოძრაობა წარიმართება ჯერ ეროვნული განთავისუფლებისათვის, ხოლო შემდეგ — კაპიტალიზმის წინააღმდეგ[3].

ფ.ენგელსისა და სხვათა ავტორიტეტების გარეშეც ნათელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ეთნოსის, ერის დაპყრობილობის შემთხვევაში უკანასკნელის მთელი ენერგია თავდაპირველად უნდა წარიმართოს უცხო დამპყრობთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ, რომ სოციალური საკითხი ამჯერად უკანა პლანზე უნდა გადადიოდეს და გადადის კიდეც. უკანასკნელი დღის წესრიგში დგება მხოლოდ ერის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ფ.ენგელსს მოჰქონდა იტალიის, გერმანიისა და უნგრეთის მაგალითები და უჩვენებდა, რომ გასული საუკუნის 60-იან, 70-იან წლებამდე სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლა ამ ქვეყნებში ძალზე ნელა მიდიოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის არარსებობის, ამით ეროვნული თავისუფლების უქონლობის მიზეზით, რომ მხოლოდ ეროვნული თავისუფლების მოპოვების შემდეგ წავიდა აქ წინ სოციალური განთავისუფლების საქმე[4]. შემდგომში, 1893 წელს, აღნიშნული აზრი ფ.ენგელსის მიერ ამგვარად იქნა განვითარებული: „თუ არ იქნა აღდგენილი ყოველი ცალკეული ერის დამოუკიდებლობა და ერთიანობა, ისე არც პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებაა შესაძლებელი და არც ამ ერების მშვიდობიანი და შეგნებული თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად. აბა წარმოიდგინეთ იტალიელი, უნგრელი, გერმანელი, პოლონელი, რუსი მუშების რაიმე ერთობლივი საერთაშორისო მოქმედება ისეთ პოლიტიკურ პირობებში, რომელიც 1848 წლამდე იყო გაბატონებული"[5].

ამით შევწყვეტთ საკითხის მეთოდოლოგიური ასპექტის თაობაზე საუბარს. როცა საქართველოს ისტორიულ პროცესში შესაბამის თემას ავითარებდნენ და ავითარებენ, საკითხს ჩვეულებრივად სხვაგვარი მეთოდოლოგიური პოზიციიდან უდგებიან ხოლმე, არ ითვალისწინებენ რა ჩვენი ისტორიის სპეციფიკას, რითაც

---

1 იხ. К.Маркс и Ф.Энгельс, Соч., т.35, с. 230; იხ. აგრეთვე ტ. 22, გვ. 220.

2 К.Маркс и Ф.Энгельс, Соч. т.18, с. 555.

3 ვ.ი. ლენინი, თხზ. ტ.6. გვ. 569-70.

4 К.Маркс И Ф.Энгельс, Соч., т. 35. с. 220.

5 კ.მარქსი, ფ.ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბილისი, 1974, გვ. XXXIII.

იგი საფრანგეთის, ინგლისის და სხვა დასავლეთევროპული ქვეყნების ანალოგიური ისტორიული ეპოქებისაგან განსხვავდებოდა. გარკვეულ ვითარებაში, როგორც უკვე აღვნიშნავდით, კლასობრივად სტრატიფიცირებულ (დაშრევებულ) საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლა სულაც არ იყო პროპორციული კლასობრივი დაშრევებისა, იგი უკანა პლანზე გადადიოდა ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და მოპოვებისათვის ბრძოლასთან შედარებით. საგარეო მომენტი იწვევდა პოტენციურად მებრძოლი მხარეების გაერთიანებას, მათი ინტერესების თანხვდენას. ამდენად იქმნებოდა საფუძველი დაპირისპირებულთა გაერთიანებისათვის. რასაკვირველია, აღნიშნული გარემოება აბსოლუტურად არ გამორიცხავს იმ აზრის ჭეშმარიტობას, რომ სოციალური პროგრესის უმთავრესი წყაროა კლასობრივი ბრძოლის ფართოდ გაშლა. ასეთ სიტუაციებში სოციალური პროგრესი ფერხდება; ეთნოსის, ერის მთელი ენერგია ხმარდება თვით ეთნიკური, ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, შემდგომი სოციალური განვითარების საქმე მისთვის ზედმეტი ფუფუნება ხდება. და რაც უფრო დიდ ხანს აქვს ადგილი აღნიშნულ გარემოებას, მით უფრო მეტ ხანს ხდება დაპყრობილი ეთნოსის განვითარების შეფერხება. ზემოაღნიშნულის გასაგებად საქართველოს ისტორია კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს.

ახლა უფრო კონკრეტულად შევჩერდებით საკითხის ისტორიოგრაფიაზე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში.

\+ + +

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აზრი ქართული საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაციის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიას დიდი ხანია რაც გაუჩნდა. მაგალითად, ლეონტი მროველის მიხედვით ქართული საზოგადოება სოციალურად დაშრევებული იყო არა მხოლოდ მაგალითად X-XI საუკუნეებში, არამედ — თვით ფარნავაზის დროსაც და მანამდეც. მანამდე, მემატიანის აზრით, ქართული მოსახლეობა იყოფოდა ორ ფენად: მაღალ (მამასახლისთა) და დაბალ (ხალხის მასები) ფენებად. ფარნავაზის გამეფების შემდეგ, ლეონტის მიხედვით, სოციალური დაშრევების პროცესი კიდევ უფრო გაღრმვებულა თითქოსდა აზნაურთა ფართო ფენის წარმოქმნით. ზემოაღნიშნული გარემოება შესანიშნავად იცოდა ვახუშტი ბატონიშვილმა, ასევე შესანიშნავად არის იგი ასახული ვახტანგ VI-ის კანონმდებლობაში. და ეს არცაა გასაკვირი; რამდენადაც ქართული საზოგადოება დიდი ხნის მანძილზე იყო დაშრევებული თვით სინამდვილეში, ეს ფაქტი კარგად აისახა რიგით, ყოველდღიურ ცნობიერებაში და მით უმეტეს იდეოლოგიაში — ამ შემთხვევაში მეცნიერებასა და სამართლებრივ ცნობიერებაში. მაგრამ იმ აზრიდან, რომ ჩვენი საზოგადოება დაყოფილი იყო ცალკეულ ფენებად, ინდივიდები განეკუთვნებოდნენ სხვადასხვა სოციალურ

რანგს და შესაბამისად ჰქონდათ განსაზღვრული პრივილეგიები და ვალდებულებანი, იმ აზრამდე, რაც კლასების თაობაზე შეიმუშავეს ინგლისელმა პოლიტეკონომისტებმა და ფრანგმა ისტორიკოსებმა, რასაკვირველია, ძალზე შორი მანძილი იყო. მით უფრო ითქმის ეს კლასობრივი ბრძოლის იდეის თეორიული შემუშავების შესახებ.

ევროპული სოციალური მეცნიერების ეს იდეა სოციალური კლასებისა და კლასთა ბრძოლის არსებობის შესახებ ქართულმა აზროვნებამ შეითვისა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოკიდებული. მოწინავე ქართულ აზროვნებას ამ პერიოდში დიდ სტიმულს აძლევდა ბრძოლა ბატონყმობის ინსტიტუტთან, რომელსაც იცავდნენ თავადაზნაურობის იდეოლოგები. კერძოდ, ქართველ თავადაზნაურებსა და ყმა-გლეხებს შორის თითქოსდა იდილიური, პატრიარქალური ურთიერთობის არსებობას მიუთითებდა ალ.ორბელიანი თავის ცნობილ სტატიაში „უწინდელი დროის ბატონყმობა საქართველოში“ (იხ. „ცისკარი“, 1859, № 11). პოეტური სიტყვით ანალოგიური აზრი გამოხატა ვ.ორბელიანმა:

„უყვარს მოხუცსა თვის გლეხნი-ყმანი,
მისთვის ის ყმანი არიან ძმანი,
მათთან ნადიმი და მათთან ლხენა,
მათ საუბარი, უმზაკვრო ენა.
ყმას ჰყავს პატრონი, არა ბატონი:
ერთად არიან ყმა და პატრონი!“[1].

ამათგან განსხვავებით, ახალი, ბურჟუაზიული ეპოქის ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები კარგად ხედავდნენ ქართველი თავადაზნაურობისა და ყმა-გლეხობის ურთიერთობების ანტაგონისტურ ხასიათს[2]. 1864 წელს დიმ.ფურცელაძემ გაზეთ „Кавказ“-ის რამდენიმე ნომერში დაბეჭდა სტატია „О крестьянском состоянии в Грузии“. მანვე 80-იანი წლების დასაწყისში გამოსცა ქართული სიგელ-გუჯრები, რომლებიც აღნიშნულ საკითხს შეეხებოდნენ. რ.ერისთავმა 1874 წელს დაბეჭდა ორი სტატია: „О крестьянском сословии в Мингрелии“ და „О привилегированных сословиях в Мингрелии“. 1872 წელს გ.კალანტაროვმა გამოაქვეყნა ნაშრომი „Крепостное право в Грузии в начале настоящего столетия“[3]. ნაშრომის ცალკე თავში „Состав крепостного сословия“ ავტორი განიხილავდა

1 იხ. გ.ქიქოძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX საუკუნე, თბილისი,1947.

2 ამ საკითხის შესახებ იხ. გ.ჯამბურიას სპეციალური სტატია „ფეოდალური საქართველოს კლასებისა და კლასთა ბრძოლის ისტორიის საკითხები ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში“. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 35, 1963.

3 იხ. კრებული „Сборник сведений о Кавказе“, т. II, Тифлис, 1872.

კლასობრივი ბრძოლის ფორმებს — გლეხების აყრა-გაქცევას, მებატონეთა მკვლელობებს. სამაგიეროდ გ.კალანტაროვი ვერ ხედავდა გლეხობის კოლექტიურ (ჯგუფურ) გამოსვლებს XVI-XVIII სს. საქართველოში; მიზეზად იგი ასახელებდა გლეხობის დაყოფას სხვადასხვა კატეგორიებად. „Эта раздельность крестьян на сословия парализовала их силы и делала их неспособными на дружное отстаивание своих прав и привилегий, облегчая вместе с тем помещикам возможность угнетать и эксплуатировать их, посредством возбуждения антагонизма между ними и употребления одних орудием против других“[1] — წერდა იგი.

იგივე საკითხს შეეხნენ ნ.ხიზანაშვილი, ალ.ხახანაშვილი, ალ.სარაჯიშვილი, ს.ავალიანი და სხვ.

საქართველოში წოდებათა შორის ბრძოლის საკითხი არ გამორჩენია ი.ჯავახიშვილს, რომელმაც პრობლემა დააყენა ჯერ კიდევ 1902 წელს თავის ლექციაში საქართველოსა და სომხეთის ისტორიის შესახებ, უფრო ვრცლად კი შეეხო „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ (იხ. წ. 1, 1907 წ.). 1906 წელს ი.ჯავახიშვილმა პეტერბურგში გამოსცა თავისი ბროშურა „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.“ მთავარი იმპულსი ამ ნაშრომის დაწერისათვის ავტორს მისცა მეოცე საუკუნის დასაწყისში გურიის გლეხკაცობის მძლავრმა გამოსვლებმა. ი.ჯავახიშვილმა აჩვენა, რომ გლეხთა პოლიტიკური აქტიურობა და ორგანიზებულობა საქართველოში შემთხვევითი მოვლენა კი არა, არამედ — სავსებით კანონზომიერი გახლდათ და თავისი ძირებით მიდის უფრო ღრმად, წინა საუკუნეებში[2]. მაგრამ ბროშურაში ავტორი მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის ფაქტებით, ისიც მხოლოდ ქართლისა და კახეთისა, იფარგლებოდა. ნაშრომში სავსებით სწორად არის მითითებული, რომ გლეხობის მღელვარებანი ვერ ღებულობდა ნორმალურ მსვლელობას და ამის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა საგარეო პოლიტიკური პირობები, გამუდმებული საფრთხე გარეშე მტერთაგან[3]. იგი დაასკვნიდა: „Но, конечно, в XVIII веке, когда для защиты от вражеских нашествий приходилось искать протектората России, было грузинам не до социальных реформ“[4].

---

1 იხ. კრებული „Сборник сведений о Кавказе“, т. II, Тифлис, с. 220.

2 აღნიშნულ შრომაში ქართველი გლეხკაცობის გამოსვლები XIX საუკუნის მთელ სიგრძეზე ავტორს განილული ჰქონდა მხოლოდ ბრძოლად სოციალური განთავისუფლებისათვის. მაგრ ამ სინამდვილეში, უმეტეს შემთხვევაში ეს გამოსვლები უპირველესად ეროვნულ განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. ი.ჯავახიშვილის მიერ ამის აღიარებას ალბათ, საცენზურო მოსაზრებებმა შეუშალა ხელი.

3 И.Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., с. 6.

3 იქვე.

„ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნშიც აღნიშნულია გლეხთა მოარაობის გააქტიურება XVIII საუკუნეში. განზოგადოებული სახით ივანე ჯავახიშვილი დაასკვნიდა, რომ სწორედ წოდებათა შორის ბრძოლა იყო საქართველოს წარსულის უამრავი მოვლენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი[1].

აი ასეთი იყო მოკლედ ის მეცნიერული მემკვიდრეობა, რაც ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ წინმავალი ისტორიოგრაფიიდან მიიღო კლასებისა და კლასთა ბრძოლის საკითხის დამუშავების საქმეში.

თავის არსებობის მანძილზე ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ აღნიშნული საკითხის შესწავლა კიდევ უფრო გააფართოვა. მოძიებულ იქნა ყველა ფაქტი, რაც აისახა ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში. ამის შედეგად ქართველი ისტორიკოსების მიერ შეიქმნა მთელი რიგი შრომებისა, რომელთა შინაარსის გადმოცემა, ასევე კლასთა ბრძოლის ფაქტების აღნუსხვა და კომენტირება შორს წაგვიყვანდა. ასე რომ, თუ ნ.ბერძენიშვილი 1952 წელს აღნიშნავდა, რომ დღემდე ან სულ შეუსწავლელია ან საკმაოდ შესწავლილი არაა კლასთა ბრძოლის საკითხები რევოლუციამდელ საქართველოში („ანტიკურ“, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ პერიოდებში)[2], ახლა ამის თქმა აღარ შეიძლება.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში იყო ცალკეული ცდები კლასთა ბრძოლის დანახვისა წინაფეოდალურ საქართველოშიც. ს.ჯანაშიას მიხედვით, ამ პერიოდის საქართველოში ადგილი ჰქონდა ბრძოლას როგორც მონებსა და მონათმფლობელებს შორის (ანიკეტის აჯანყება, ასევე V-VI საუკუნეებში), ისე თავისუფალ მეთემე გლეხობასა და წარჩინებულთა შორის[3]. მისი აზრით, VI საუკუნის დასაწყისში ბრძოლა ამ უკანასკნელ სოციალურ ძალებს შორის (ვახტანგ გორგასალი თითქოს ეყრდნობოდა მეთემე გლეხობას) დამთავრდა „ფეოდალური რევოლუციით“ და ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის დამყარებით.

ამ ხანის საქართველოში კლასობრივი ბრძოლის ფაქტებს შეეხო ნ.ბერძენიშვილი თავის წერილში — „კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლენება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში“. მაგრამ ავტორი გარკვევით არ მიუთითებს თუ რომელ კლასებს შორის ხდებოდა ბრძოლა ამ დროს (ამ საკითხზე დაწერილებით შემდეგ შევჩერდებით).

ჩვენ აქ გვაინტერესებს თუ როგორ ხსნიან ქართველი ისტორიკოსები ჩვენში გლეხთა დიდი აჯანყებების არარსებობას, ხედავენ თუ არა იმ დიდ სპეციფიკუ-

---

1 ი.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ.I, 1960, გვ. 396.

2 იხ. ი.კაჭარავა, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, 1977, გვ. 288. ავტორს აქ მოაქვს ნ.ბერძენიშვილის მოხსენებითი ბარათის ტექსტი.

3 იხ. ს.ჯანაშიას შრომები: „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“.

რობას, რაც აღნიშნული თვალსაზრისით საქართველოს ისტორიულ პროცესს ევროპის ქვეყნების ისტორიასთან შედარებით გააჩნდა. თუ ქართულ აზროვნებაში ეს მომენტი უწინ შემჩეული იყო (ი.ჯავახიშვილის, ა.ჯორჯაძის, გ.ნათაძის, ს.დანელიას და სხვათა მიერ), შემდეგში მასზე ყურადღება ძალზე შენელდა. მსგავსი გამონათქვამები უახლეს ხანებში მხლოდ კანტი-კუნტად თუ გვხვდება. ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ ნ.ბერძენიშვილის ორი გამონათქვამი აღნიშნული საკითხის თაობაზე. მაგრამ უკანასკნელის შეხედულება პრობლემაზე ძალიან წინააღმდეგობრივია. უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ჰქრებოდა ჩვენი ისტორიის ეს სპეციფიკური მომენტი ნ.ბერნძენიშვილის ნააზრევში. შევჩერდებით მხოლოდ ერთ გამონათქვამზე, რომელიც მოხსენიებულ ნაშრომში ფიგურირებს: „კლასობრივ საზოგადოებაში პროგრესის მშენებელია ის, ვისი მოღვაწეობაც კლასთა ბრძოლის გაფართოება-გაღრმავების საქმეს ემსახურება“[1].

გ.ჯამბურია წერილში „ფეოდალური საქართველოს კლასებისა და კლასთა ბრძოლის ისტორიის საკითხები ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში“ აღნიშნავს, რომ ჩვენში კლასობრივი ბრძოლის ფართოდ გაშლას ხელს უშლიდა ორი მიზეზი: 1) „ნატურალური მეურნეობის ჩამორჩენილობა და კარჩაკეტილობა“ და 2) უცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელი შემოსევები[2]. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ აღნიშნულის მიზეზი უპირველესად პერმანენტული საგარეო საფრთხე, მტრის შემოსევები გახლდათ. თუ არა ეს გარემოება, ნატურალური მეურნეობის ბატონობა ვერ შეაფერხებდა გლეხთა აჯანყებების გაშლას. სწორედ ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჩინეთისა და რუსეთის ისტორიაში — აქ ხომ გლეხთა გრანდიოზული აჯანყებები ხდებოდა სწორედ ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში. მაგრამ რაც მთავარია, ავტორს ეს აზრი არსად აღარ განუვითარებია. კერძოდ, არაფერს ამბობს იგი ამ საკითხის თაობაზე „ნარკვევების“ IV ტომის სპეციალურ პარაგრაფში, რომელიც ეხება გლეხობის კლასობრივ ბრძოლას XVI-XVII საუკუნეებში.

მკვლევარი ნ.ქორთუა წერს: „მართალია, უცხოელ დამპყრობთა მოძალებული შემოტევა ხშირად წინა პლანზე წამოსწევდა ხოლმე ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლის ამოცანას, მაგრამ მაშინაც კი მშრომელთა მახვილი მიმართული იყო როგორც გარეშე მტრის, ისე ეროვნული ინტერესების მოღალატე ფეოდალთა წინააღმდეგ“[3]. ეს არის და ეს, სხვა მსგავს აზრს ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ვერ ვხვდებით. ეს ითქმის, რა თქმა უნდა, ქართველი ისტორიკოსების „შემაჯამებელი“

1 ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 23.
2 მსკი, ნაკვეთი 35, 1963, გვ. 185.
3 ნ.ქორთუა, იმერეთის გლეხთა ერთი აჯანყების შესახებ, მსკი, ნაკვ. 34, 1962, გვ. 200.

ნაშრომის — „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის შესბაც. ეს შემთხვევითი ამბავი როდი გახლავთ. იგი აიხსნება იმით, რომ საბჭომეცნიერებაში გავრცელებული დებულების თანახმად, კლასობრივი ბრძოლკანონზომიერება ერთი ზომით ესადაგება მსგავსი ტიპის (კლასობრივი) საზოდოებებს. კერძოდ, ყმა-გლეხობისა და ფეოდალების ბრძოლა მის უკანასკნფორმებში საქართველოსათვისაც ისევე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყროგორც ყოველი სხვა ფეოდალური ქვეყნისათვის. ასევე ითქმის თითქოს ბურჟუაზიულად განვითარებული საზოგადოებების მიმართაც; ამ უკანასკნელ შეთხვევაშიც არ მიიღებოდა მხედველობაში ეროვნულად თავისუფალ თუ დაჩარულ ერზე იყო საუბარი. ერთი სიტყვით, მხედველობის არის გარეშე სტოვებდნენ კლასთა ბრძოლის იმ სპეციფიკურობას, რაც საგარეო ფაქტორით იყო განპირობებული. ეს ეხება საბჭოურ მეცნიერებას და ფილოსოფიას მთლიანად. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, მოხდა ძვრები აღნიშნული საკითხის გაგებაში. თუ მიუხედავად ამისა, ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მაინც იყო ცალკეული ცდები ამ სპეციფიკის ჩვენებისა, ამას გაშლილი, სისტემატური ფორმით ვერ ვხვდებით. ხოლო კანტი-კუნტად ამ სპეციფიკის აღიარება გამოწვეული იყო იმით, რომ თვითონ ისტორიული მასალა, ისტორიის ლოგიკა უკარნახებდა მკვლევარებს წარმოეჩინათ ეს სპეციფიკური მომენტი, დამოუკიდებლად იმისა თუ როგორ დოგმა ბატონობდა საკითხის გაგებაში.

სანამ წინაბურჟუაზიულ საზოგადოებებში ჩვენში კლასობრივი ბრძოლის შედარებით განუვითარებლობაზე შევჩერდებოდეთ, მანამ მოკლედ შეეხებით მის (კლასობრივი ბრძოლის) ისტორიას.

\+ + +

30-იანი წლებიდან მოყოლებული თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ცნობილია, გავრცელებული გახლდათ აზრი ჩვენში არსებული პირველი კლასობრივი, ანტაგონისტური საზოგადოების ფორმის მონათმფლობელურ ხასიათზე. შესაბამისად ლაპარაკობდნენ მონებისა და მონათმფლობელების ბრძოლაზე ამ საზოგადოებაში. კონკრეტულად საჯანაშია, როგორც ვამბობდით, ანიკეტის აჯანყებას განიხილავდა მხოლოდ როგოც მონათა მოძრაობას და ამ მოძრაობის გამოძახილს იგი ხედავდა თვით VI საუკუნის დასაწყისის ქართლში. ახლა აზრი ძველი ქართლისა და კოლხეთის საზოგადოებების მონათმფლობელურ ხასიათზე, როგორც ვიცით, მიტოვებულია. ქართულ ისტორიოგრაფიაში ანიკეტის აჯანყება გაგებულია როგორც ძირითადად რომის ბატონობის წინააღმდეგ პონტოსა და კოლხეთის მოსახლეობის აჯანყება, გამოწვეული 63 წ. (ახ. წ.) პონტოს რომის პროვინციად

გამოცხადებაზე პროტესტის მიზეზით[1]. ამჟამად არც ვახტანგ გორგასლის მეფობის ბოლო პერიოდის მიმართ ამტკიცებენ მონათა მოძრაობას. ასე რომ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში მონათა და მონათმფლობელთა შორის მნიშვნელოვანი ბრძოლების არსებობას უკვე აღარ აღიარებენ. თუმცა, რასაკვირველია, მონობა როგორც სოციალურ-ეკონომიკური წყობა ჩვენში, უეჭველია, გვიანი პირველყოფილობიდან მოყოლებული არსებობდა, შესაბამისად იარსებებდა მონათმფლობელთა ფენაც ან უფრო სწორად ჯგუფი, მაგრამ მონებისა და მონათმფლობელთა ჯგუფები ჩვენში კლასებად არ განვითარებულან, რამდენადაც ძველ ქართულ სახელმწიფოებში არ განვითარებულა მონათმფლობელური წარმოების წესი, ე.ი. მონობა როგორც წარმოების საფუძველი.

აღნიშნული თვალსაზრისისაგან განსხვავებით ჩვენს ისტორიოგრაფიაში მტკიცდება შეხედულება, რომ პირველი ანტაგონისტური საზოგადოებრივი ფორმა საქართველოში გახლდათ ე.წ. ადრეკლასობრივი საზოგადოება. ამ საზოგადოების შემადგენელ ძირითად ფენებს წარმოადგენდნენ მმართველი ზედაფენები და მოსახლეობის ფართო, უშუალო მწარმოებელი ფენები. ასეთ სოციალურ სტრატიფიკაციას საფუძვლად ედო შრომის სოციალური დანაწილება საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულების საფუძველზე, მაგრამ ჯერჯერობით არ შეხებიან საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი ხასიათის სოციალური ანტაგონიზმი ახასიათებდა საზოგადოების აღნიშნულ ფორმას. კონფლიქტები კი უეჭველად იარსებებდა; საზოგადოების ფართო ფენები, რომლებიც გამოდიოდნენ არქაული კომუნისტური საზოგადოებიდან ამ უკანასნელისათვის დამახსიათებელი სოციალური თანასწორობითა და დემოკრატიით, ცხადია, ვერ შეურიგდებოდნენ უთანასწორობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ადგილი ექნებოდა ცალკეულ ჯგუფურ შეწინააღმდეგებებს ახალი საზოგადოებისადმი. წერილობითმა წყაროებმა, სამწუხაროდ, ვერ შემოგვინახა ინფორმაცია ამ ფაქტების თაობაზე. „ქართლის ცხოვრებაში“, საბედნიეროდ, შემორჩა ცნობები ძველ ქართლში სხვა სახის სოციალურ ანტაგონიზმზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად მასზე ყურადღება გამახვილებულ იქნა ნ.ბერძენიშვილის მიერ 1949 წელს დაწერილ ნაშრომში „კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში“. მანვე მოგვცა ამ ფაქტების თავისებური ინტერპრეტაციაც. შევჩერდებით ამ ფაქტების გაგებაზე.

ქართლის მეფის ფარნაჯომის მეფობის ხანაზე ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „... შეიყუარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა სპარსე-

---

1 ამის შესახებ იხ. გ.გოზალიშვილი, რომის ექსპანსიის წინააღმდეგ შავი ზღვის სანაპიროზე პირველ საუკუნეში ქართველ ტომთა აჯანყების შესახებ, თსუ შრომები, 1949, ტ.37.

თით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი, და დასხა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვიან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა. ამისთვის მოიძულეს იგი მკვიდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ. მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი, და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და რქუეს: „მეფე ჩუენი გარდახდა სჯულსა მამათა ჩუენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა, შემოიღო სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული. აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩუენდა, მოგუეც ძე შენი არშაკ, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფედა ჩუენთა. გუაშუელე ძალი შენი, და ვაოტოთ ფარნაჯომ, შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩუენდა ძე შენი არშაკ და დედოფლად ჩუენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩუენთა“[1]. საქმე სისხლისმღვრელ ბრძოლამდე მისულა, რომელშიც ქართველებსა და სომხებს გაუმარჯვიათ ფარნაჯომის მოკავშირე სპარსელებზე (მის მხარეზე იბრძოდა აგრეთვე ქართველთა უმცირესობა). ფარნაჯომი ომში დალუპულა, ქართლში კი გამეფებულა სომეხთა უფლისწული არშაკი.

ქართლის მეთვრამეტე მეფის ამაზასპის მეფობის ერთ ეპიზოდს ლეონტი მროველი ასე გადმოსცემს: მრავალი წარმატების შემდეგო „შემდგომად ამისსა შეექმნა (ამაზასპს, გ.ყ.) სილაღე, და იწყო მესისხლეობად, და მოსწყვიდნა მრავალნი წარჩინებულნი. და ამისთვის მოიძულეს იგი ერმან ქართლისამან. და მტერ ექმნა იგი სომეხთა, და შეიყვარნა სპარსნი. მაშინ განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა. ეზრახნეს ესე სომეხთა მეფესა, და ითხოვეს ძე მისი მეფედ, რამეთუ დისწული იყო ამაზასპისი“[2]. მოკავშირეებს ტირან მეფეზე ამჯერადაც გაუმარჯვიათ, ამაზასპი მოუკლავთ და ქართლში გაუმეფებიათ სომეხთა უფლისწული, დედით ქართველი, რევ.

როგორც ჩანს ნ.ბერძენიშვილის მიხედვით ძველი ქართლის საზოგადოება მონათმფლობელური იყო. ამ შემთხვევაში ძნელდება აქ აღნიშნული ორი პოლიტიკური კრიზისისა და შესაბამისად — სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის ხასიათის გარკვევა. ისტორიკოსის მიხედვით ეს კონფლიქტი ხან „შინაპოლიტიკური ბრძოლაა“, ხან „კლასობრივ-წოდებრივი ბრძოლა“[3]. ჩვენ შევეცდებით ეს მოვლენები ავხსნათ ე.წ. ადრეკლასობრივი საზოგადოების კონცეფციის შუქზე.

ე.წ. ადრეკლასობრივ საზოგადოებაში საქმე ყველაგან და ერთბაშად როდი

---

1 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, I, 1955, გვ. 29.

2 იქვე, გვ. 57.

3ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 11.

მიდის დესპოტური სახელმწიფოებრივი ფორმის ჩამოყალიბებამდე, რასაც თავისი მიზეზები გააჩნია. კერძოდ, ქართლში სახელმწიფო აპარატი არ ასრულებდა მნიშვნელოვან საირიგაციო ფუნქციებს, არ წარმოშობილა ბიუროკრატიის მნიშვნელოვანი ფენა, რომელიც მთლიანად იქნებოდა დამოკიდებული სამეფო ხელისუფლებაზე. ასევე მოსახლეობის ფართო მასებში არ განვითარებულა სოციალურ-პოლიტიკური ინერტულობა და აპათია. ისინი სოციალურად საკმაოდ აქტიურნი იყვნენ, მონაწილეობდნენ ლაშქრობებში და ა.შ. ამ მიზეზების გამო ქართლის მეფის ნება არ ქცეულა უზენაეს ინსტანციად, რომელსაც ყველა ყოველთვის დაემორჩილებოდა, როგორც ამას ვხედავთ აღმოსავლეთის დესპოტურ ქვეყნებში. თუმცა დესპოტური ტენდენციები ზოგიერთ ჩვენ მეფესაც გასჩენია, მაგრამ მათ წინააღმდეგ აღმდგარან საზოგადოების როგორც მაღალი, ისე დაბალი ფენები. გამარჯვებულებს საძულველი მეფეების ნაცვლად გაუმეფებიათ სასურველი პირები.

თუ მეოთხე მეფის დროს ჩვენში დესპოტიის განვითარების ხელშემწყობი პირობების არარსებობა შედარებით ადვილად აიხსნება (დროის აზრით სიახლოვე უკლასო საზოგადოებასთან), უფრო ძნელდება ამის გაგება მეთვრამეტე მეფისა და თვით ვახტანგ გორგასლის მეფობის ჩათვლით. ს.ჯანაშიასა და ნ.ბერძენიშვილის მტკიცებით, ქართლში IV-V საუკუნეების განმავლობაში მეფის ხელისუფლება უკვე დესპოტური გახლდათ. მაგრამ მათ არ მოუტანიათ ანგარიშგასაწევი არგუმენტები აღნიშნული თვალსაზრისის დასამტკიცებლად. მაგრამ ამ საკითხზე აქ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით. შევნიშნავთ, რომ კლასობრივი ბრძოლის უკიდურესი გამწვავება ძველი ქართლის ისტორიის ბოლო პერიოდში, როგორც ეს ს.ჯანაშიასა და ნ.ბერძენიშვილს მიაჩნდათ, არ უნდა შეეფერებოდეს ისტორიულ სინამდვილეს. IV-VI საუკუნეებში ქვეყნის საგერეო-ისტორიული პირობები ისეთი იყო, რომ ისინი გამორიცხავდნენ საზოგადოების შიგნით მნიშვნელოვან კლასობრივ დაპირისპირებებს[2].

რასაკვირველია, ძველად საქართველოში, ვიმეორებთ, სოციალურ ანტაგონიზმებს დაბალ და მაღალ ფენებს შორის უშუალოდ ეკონომიკურ ნიადაგზე აუცილებლად ექნებოდა ადგილი, მაგრამ ამის შესახებ ცნობები წერილობით წყაროებს არ შემოუნახავთ. ბრძოლა გამოხატულებას ჰპოულობდა იდეოლოგიაში, კერძოდ რელიგიაში. მოტანილ ორ მაგალითში ტირანი მეფეების მოწინააღმდეგენი გამოდიან მამა-პაპეული რელიგიის დაცვით, იბრძვიან მაზდეანობის წინააღმდეგ. ერთხელ მომხდარა ისიც, რომ საზოგადოების ქვედა ფენების

---

1 ამ საკითხზე იხ. ჩვენი სპეციალური სტატიები: „ქართული ფეოდალიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ", „საქართველოში ადრეკლასობრივი საზოგადოებიდან ფეოდალიზმზე გადასვლისას სოციალური რევოლუციის პრობლემისათვის".

ნაწილი ცეცხლთაყვანისმცემლობას ამოჰფარებია (მოვიგონოთ „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილი ბინქარანთან დაკავშირებული ეპიზოდი).

საერთოდ, აღნიშნული საზოგადოებრივი ფორმაციის დროს ძველ ქართულ სახელმწიფოებში ექსპლუატაციას არ ექნებოდა მძიმე ხასიათი, რაც, თავის მხრივ, შეასუსტებდა სოციალურ კონფლიქტებს.

\+ + +

ქართული ფეოდალიზმის ისტორიის მთელ მანძილზე სოციალურ კონფლიქტებს უთუოდ ჰქონდა ადგილი. თავდაპირველად ეს ხდებოდა მსხვილ მიწათმფლობელებსა და დაყმევების საფრთხის წინაშე მდგარ მეთემე-გლეხობას შორის. ზოგიერთი ეს ეპიზოდი, როგორც ცნობილია, აისახა წერილობით წყაროებშიც — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“. მაგრამ ეს კონფლიქტები ლოკალური ხასიათის, ერთი სოფლის ფარგლებისა, გახლდათ. ქვეყანაში უცხოელთა ბატონობა ხელს უშლიდა ფართო მასშტაბით სოციალური პროტესტის კონცენტრაციას.

საზოგადოებრივი მოძრაობის აღმავლობის თვალსაზრისით აღსანიშნავია XII საუკუნე. სწორედ ჩვენი ისტორიის „ოქროს ხანაზე“ მოდის ამ პროცესის კულმინაციური მომენტები. საქართველოს გაერთიანების, მის მიერ ეროვნული თავისუფლების მოპოვების ხანაში დიდი გაქანება ჰპოვა სწრაფვამ პოლიტიკური რეფორმებისათვის. ნ.ბერძენიშვილის აზრით, დავით აღმაშენებლის ზეობაში კლასთა ბრძოლა მიმდინარეობდა მსხვილ მიწათმფლობელთა და ჯერ კიდევ შემორჩენილ თავისუფალ, დაუყმევებელ გლეხობას შორის, რომელსაც მეფე ეყრდნობოდა. შემდგომი ხანის გამოსლვები, ისტორიკოსის შეხედულებით, შინაპოლიტიკური ბრძოლა იყო თვით მაღალ ფენებს შორის. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ეს გამოსვლები იყო გამოხატულება წინააღმდეგობისა ბაზისურ მოვლენასა, — მიწების დიდი ნაწილი კონცენტრირებული იყო დიდებულთა ხელში, — და ზედნაშენურ მოლვლენას შორის, — სამეფო ხელისუფლება ესწრაფვოდა საზოგადოებისაგან დამოუკიდებლობისაკენ, ე.ი. ამყარებდა დესპოტიად გადაქცევის ტენდენციას. ამდენად ეს მოძრაობა ჩვენ დადებით მოვლენად მიგვაჩნია[1]. ჩვეულებრივად არ მიუთითებენ კონკრეტულად, თუ გაბატონებული კლასის რომელ ფენებს შორის ჰქონდა ამას ადგილი. თუ გიორგი რუსის გამოსვლაში კიდევ შეიძლება იგი (ეს გამოსვლა) გარკვეულ ფენებს დავუკავშიროთ, ოღონდ გეოგრაფიული (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზედაფენები)-და არა უშუალოდ სოციალური თვალსაზრისით (ფეოდალურ ფენებს

1 დაწვრილებით ამ საკითხზე ჩვენი პოზიციის შესახებ იხ. ჩვენი სტატია „ქართული ფეოდალიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“. ხშირად ამ გამოსვლებს შინაკლასობრივ ბრძოლად სთვლიან (ამ საკითხის შესახებ იხ. რ.მეტრეველი, „შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII საუკუნე), თბილისი, 1973.

შორის), მით უფრო გაძნელებულია დიდებულთა წინამავალ გამოსვლებში ცალკეულ ფენათა დაპირისპირებულობა დავინახოთ. ჩვენი აზრით, ვიმეორებთ, ეს კონფლიქტები ხდებოდა ქართული საზოგადოების ზედაფენებსა და მეფის ხელისუფლებას შორის და მიზნად ისახავდა პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციას (ცხადია, ფეოდალური საზოგადოების თვალსაზრისით).

რაც შეეხება დაბალი ფენების გამოსვლებს ამ პერიოდის („ოქროს ხანის") საქართველოში, ესეც, რასაკვირველია, უთუოდ იყო და ამას არაერთგზის აღნიშნავდა ნ.ბერძენიშვილი. თუმცა კონცენტრირებული სახით ამას მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა გამოსვლაში ვხედავთ. მაგრამ ეს უკანასკნელი სხვა ნიადაგზე იყო წარმოშობილი: წარმოადგენდა რა ფეოდალური ბარის წინააღმდეგ მთიელთა რეაქციას, იგი მიზნად ისახავდა ბარის მიერ თავს მოხვეული ფეოდალიზაციის უღლის მოშორებას. ქართველ მთიელთა ასეთ გამოსვლებს შემდეგ ხანაშიც ვხვდებით. ისინი იმის დამადასტურებელი გახლავთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში ფეოდალიზმი ვერ განვითარდა. მაგრამ აქ არ შევუდგებით იმ მიზეზების ჩამთვლას, რომელთაც განაპირობებს ჩვენი მთიანეთის რეგიონში ფეოდალიზმის განუვითარებლობა.

საქართველოს განვითარებულ (ფეოდალურად) მხარეებში შემდეგ საუკუნეებში ვხვდებით კლასობრივი ბრძოლის რიგ ფორმებს, ლოკალური ხასიათის გამოსვლებს. მაგრამ ეს უკანასნელნი სულაც არ იყო პირდაპირ პროპორციული ჩვენში კლასობრივი, ფეოდალური ურთიერთობების განვითარებისა. ეს გარემოება, ვიმეორებთ, სულაც არაა პარადოქსული და აიხსნება საგარეო ფაქტორით — გარეშე მტრების შემოსევების საფრთხითა და შემოსევებით, უცხოელთა ბატონობით. თუ სხვა პირობებში კლასობრივ საზოგადოებაში მაღალი და დაბალი ფენების ინტერესების თანხვდენა გამოირიცხებოდა, ჩვენი ისტორიის სპეციფიკურ ვითარებაში ეს შესაძლებელი გახდა. ერის ძალების, ენერგიის გაერთიანება მიზანშეწონილი იყო ეკონომიკური, მორალური (სწრაფვა ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ) და კულტურული (კულტურული თავისთავადობის შენარჩუნება) თვალსაზრისით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია სხვა მიზეზებიც, რომლებიც იგივე მიმართულებით მოქმედებდნენ. ასე მაგალითად, გლეხობის კატეგორიების სხადასხვაობა, სიჭრელე გარკვეულად აფერხებდა მის გაერთიანებას თავადაზნაურობასთან ბრძოლაში. ასევე XV საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად აადვილებდა, უკანასკნელთა მცირე ზომების გამო, გლეხკაცობის ერთი ისტორიული პროვინციიდან მეორეში გადასვლას. ამიტომაც ჩვენს საზოგადოებაში ასე ფართოდ იყო გავრცელებული ხიზანთა და ბოგანოთა კატეგორიები. ამას დავუმატებდით აგრეთვე პერმანენტული საგარეო შემოსევების მიზეზით თავადაზნაურობის ნაწილის ამოწყვეტას, რაც თავის

მხრივ იწვევდა გლეხობის ენერგიული ნაწილის სოციალურ აღზევებას, ამდენად გლეხობის წრიდან გამოსვლას (სოციალური მობილურობის მოქმედების ნიმუში ფეოდალიზმის ეპოქაში)[1].

+ + +

როდესაც XIX საუკუნეში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, ჩვენი ქვეყანა, როგორც ვიცით, ხშირმა აჯანყებებმა მოიცვა. ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის განვითარების გარკვეულ პერიოდში ადგილი ჰქონდა ცდებს ეს აჯანყებები ძირითადად სოციალური ხასიათისად წარმოედგინათ, ე.ი. გლეხკაცობის ბრძოლად თავადაზნაურობის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენი ისტორიოგრაფიის ამჟამინდელ ეტაპზე ეს თვალსაზრისი, საბედნიეროდ, გადალახულია. ისინი (ეს აჯანყებები) ახლა გაიაზრება როგორც ქართული საზოგადოების მაღალი და დაბალი ფენების გამოსვლები ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში (გამონაკლისს ამ მხრივ მხოლოდ სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წლების გამოსვლა წარმოადგენდა). ამ პერიოდშიც, ვიმეორებთ, ეროვნული ინტერესი, ე.ი. ერის თვითმყოფობის შანარჩუნება, ქართველობას აიძულებდა ერთად გამოსულიყო ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში, მეფის რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

+ +

ყოველივე ზემოაღნიშნული გასაგებს ხდის ქართული ფეოდალური იდეოლოგიის განვითარების თავისებურებასაც. ჩვენში გამოჩნდებოდნენ ხოლმე იდეოლოგები, რომელთა ნააზრევის პათოსი, არსი გახლდათ მთელი ეროვნული ენერგიის გაერთიანება საგარეო მტრის წინააღმდეგ. ამან თავი იჩინა ჯერ კიდევ ქართულ ჰაგიოგრაფიაში, რომელიც რელიგიურის გარდა, აშკარად, — შეცნობილად თუ შეუცნობლად, — განმსჭვალული იყო პატრიოტული სულისკვეთებით (განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“). ასე იყო დიდი ხნის მანძილზე. ჩვენი იდეოლოგიის ამ სპეციფიკის უკანასნელი დიდი გამომხატველნი იყვნენ ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე, ივანე ჯავახიშვილი.

აღნიშნულ პლანში მეორე ხაზგასასმელი გარემოება გახლავთ ის, რომ ჩვენში ვერ განვითარდა ერესები, მწვალებლობანი. შუასაუკუნეების დიდ მანძილზე, როგორც ვიცით, საზოგადოების დაბალი ფენების გამოსვლები ხდებოდა რელიგიურ სამოსელში. და ეს იმიტომ, რომ იდეოლოგიის გაბატონებულ ფო-

1 აკაკი წერეთელი თვლიდა (იხ. „ჩემი თაყვანისცემა“), რომ ძიძაობა, თავადაზნაური ყრმის სოფლად, გლეხკაცებთან გაბარება იმის მიზეზი იყო, რომ თვით მეცხრამეტე საუკუნემდე საქართველოში მაღალ და დაბალ წოდებებს შორის უფრო კეთილგანწყობილება იყო ვიდრე სხვა ქვეყნებში.

რმას ამ ეპოქაში რელიგია წარმოადგენდა და აგრეთვე იმიტომაც, რომ მოსახლეობის დაბალი მასის ცნობიერებას სხვა იდეოლოგიური ფორმებისათვის ნაკლებ მიუწვდებოდა ხელი. ასე გახლდათ ბევრ ფეოდალურ ქვეყანაში. მაგრამ ასე არ მოხდა საქართველოში. აღნიშნული იდეოლოგიური განვითარების სპეციფიკა მდგომარეობდა სწორედ იმ მიზეზში, რაც ჩვენ ზემოთ არაერთგზის აღგვინიშნია.

მიუხედავად ამისა, ქართველმა გლეხკაცობამ ანტიბატონყმური იდეოლოგიის ელემენტები, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე შეიმუშავა. მაგალითისათვის შევჩერდებით ქართულ ანადზებსა და სიტყვა-თქმებზე. ასეთებია: „აზნაურის სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო“[1], „ბატონიშვილის მუცელი ადლი და ნახევარია, საწყალი გლეხიკაცისა — არც მისი ნახევარია“, „ბატონის სურვილი ყმისათვის ბრძანებააო“, „ბატონი ყმას წუნობდა, ყმა კი — მასთან ყმობასო“, „ბატონის კაცს ჯერ ნუ გალახავ, თუ გალახე, ისე გალახე, რომ გალახვა ერქვასო“, „ბატონს ყმა უნდოდა უსმელ-უჭმელი, ტანჩაუცმელი, შინ მიუსვლელიო“, „ზაქარია ციციშვილი — რაიც მამა, ისიც შვილიო“[2]. ამაყი ხევსურები ზურაბ ერისთავს ასე მიმართავდნენ:

„ხევსურეთშია, ზურაბო,
ვერ იქამ ერისთობასა.
გაგიწვრილდების კისერი,
ვერ შესძლებ ქვეითობასა“[3];
„აკი გითხარი, ზურაბო:
„ხევსური კაცი უტია!“...
ქალენდაურის ფრანგულმა
ქარქაშით ამაიწივა“.[4]

ხევსურებთან სოლიდარულნი იყვნენ ფშავლებიც:

„მშაველაი ორ, ნუ მახოლ,
ზარაბვ, არ მოგცემ ზავსაო.
მშვილდსა დავზინებ ახალ-გორ,
ხიდისყურ ვაქნევ ჩქამსაო“.[5]

---

1 ანდაზის სახეცვლილი ვარიანტია: „დიამბეგის სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო“.
2 იხ. რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები, ალ. ღლონტის მიერ შედგენილი, თბილისი, 1957.
3 ქართული ხალხური პოეზია, ტ. XI, თბილისი, 1987, გვ. 26.
4 იქვე გვ. 30.
5 იქვე გვ. 28.

„ზურაბ, რა უყვენ ლაშქარნი,
ნაკრეფნი შვიდის თვისანი,
ჩაუშვენ მათურაშია,
თვალნი გაგიწყრეს ხთისანი.
დაგიხვდეს ფშავლიშვილები,
არწივნი მაღლის მთისანი,...
შემოგეწივნეს მთაზედა,
გაწითლებინეს ქვიშანი“.[1]

ასე რომ, ქართულ ფოლკლორშიც ნათლად აისახა ის გარემოება, რომ ქართველ თავადაზნაურობასა და გლეხკაცობას შორის ურთიერთობა სულაც არ ყოფილა ისეთი იდილიური ხასიათისა, როგორც ეს მაგალითად ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს წარმოედგინათ.[2]

* * *

ახლა შევაჯამებთ ჩვენი სტატიის შინარსს.

ისევე როგორც ყოველ ანტაგონისტურ საზოგადოებაში, საქართველოშიც ადრეკლასობრივი და ფეოდალური საზოგადოებების არსებობის მანძილზე ადგილი ჰქონდა სოციალურ კონფლიქტებს, კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმებს. მაგრამ კლასობრივი ბრძოლის უმაღლესი ფორმა — აჯანყება ჩვენში დიდი-დიდი სოფლის ან რამდენიმე სოფლის ფარგლებში თუ ხდებოდა. გლეხთა აჯანყებას (ფხოვის გამოკლებით) ჩვენში არ მოუცავს ცალკეული ისტორიული თემი ან თემები, რის უპირველესი მიზეზიც მდგომარეობდა იმაში, რომ პერმანენტულმა საგარეო საფრთხემ, მტერთაგან დაპყრობებმა გამოიწვიეს საზოგადოების მაღალი და დაბალი ფენების ინტერესების თანხვდენა გარკვეულ ფარგლებში. ეთნოსი, ერი მხოლოდ ფიქცია, აბსტრაქცია როდი გახლავთ, რომელსაც გარკვეული ისტორიული სინამდვილე არ შეესაბამება. მოვიგონოთ ი.ბ.სტალინის განსაზღვრა: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“[3]. ისევე როგორც რეალობაა ესა თუ ის გაბატონებული ან დაჩაგრული

---

1 ქართული ხალხური პოეზია, XI, თბილისი, 1987, გვ. 28.

2 გლეხკაცობისა და თავადაზნაურობის კლასობრივი ანტაგონიზმი აისახა ქართულ სამართლის ძეგლებშიც. ამის თაობაზე იხ. დ.ფურცელაძისა და ი.ფუტკარაძის ერთობლივი სტატია „კლასობრივი ბრძოლის ანარეკლი ქართული სამართლის წიგნებში“, კრებულში „იურიდიული ძიებანი“. თბილისი, 1977.

3 ი.ბ.სტალინი, თხზულებანი, ტ.2, გვ. 319.

კლასი, რეალობაა შესაბამისი კლასობრივი ინტერესი, ასევე რეალობა გახლავთ ეთნოსი, ერი, ეროვნული ინტერესი. შესაბამისად, ამ ინტერესის რეალიზაციისათვის უნდა იბრძოდნენ და უმეტეს შემთხვევებში იბრძვიან კიდეც ადამიანთა ეთნიკური გაერთიანებანი (ხალხები, ერები). რამდენადაც ისტორია ოდენ კლასთა ბრძოლა როდია, არამედ — ბრძოლაც ეთნოსებს, ერებს შორის, ამდენად კლასობრივი ბრძოლა ამა თუ იმ ხალხებში მოდიფიცირდება ამ უკანასნელი ფაქტორით. საქართველოს ისტორია, ვიმეორებთ, ამ მხრივ კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს.

თუ საქართველოს ისტორიის სპეციფიკის წყალობით ჩვენში კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერება გარკვეული ზომით მოდიფიცირდებოდა, სამაგიეროდ უცვლელად მოქმედებდა ამ შემთხვევაში ის კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც კლასობრივი ბრძოლა საზოგადოების განვითარების წყაროა. ჩვენში გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის კლასობრივი ბრძოლის შედარებითი განუვითარებლობა, კიდევ უფრო მეტად — მესამე წოდებასა და თავადაზნაურობას შორის, იწვევდა განვითარების მკვეთრ შეფერხებას, „სოციალურ, ისტორიულ დაჩიხულობას“ (ნ.ბერძენიშვილი). ამის გამო ქართული საზოგადოების შემდგომი პროგრესი მხოლოდ მოწინავე ისტორიული გარემოს ზეგავლენით იყო შესაძლებელი. და ეს ისტორიულად მართლაც ასე მოხდა; რუსეთის მეშვეობით საქართველო ჩაირთო დასავლეთევროპული ცივილიზაციის ზემოქმედების ორბიტაში.

1982 წ.

„მოქცევაი ქართლისაი“-სა და „მეფეთა ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანესა და „მეფეთა ცხოვრებაში“, როგორც ცნობილია, მოთხრობილია ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის ამბავი. ჩვენს ძველ მემატიანეებს ქართველთავის სასახელოდ, საამაყოდ უცვნიათ ძველი დროის სახელგანთქმული მხედართმთავრისა და პოლიტიკოსის პიროვნებისა და მისი res gesta-ს დაკავშირება ჩვენს ძველ ისტორიასთან. მათ მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელი ქართველთათვის მტარვალი კი არ გახლდათ, არამედ დიდი კეთილსმყოფელი; იგი ქართლიდან აძევებს უცხო თესლის ხალხებს და ამით აძლიერებს ქართული ენის პოზიციებს ძველ ქართლში (იბერიაში), ეწევა საირიგაციო სამუშაოებს, საგანმანათლებლო მოღვაწეობას (ცხადია, რელიგიური ცხოვრების სფეროში). საერთოდაც, ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობის შედეგად, მემატიანეთა მიხედვით, გარკვეული ტეხილი გაჩენილა ქართლის მმართველობის სისტემის განვითარებაში — მომხდარა გადასვლა მამასახლისობიდან სახელმწიფოებრიობაზე.

ყოველივე ეს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და „მეფეთა ცხოვრების“ ავტორთა ცნობიერებაში აღიქმებოდა ნაღდ, უტყუარ ისტორიულ ფაქტად. და რაკი მათი თხზულებების სახით შეიქმნა საიტორიო ტრადიცია, ასე გრძელდებოდა საუკუნეთა განმავლობაში, რაც ტრადიციული ქართული საზოგადოების იდეოლოგიისა და ფსიქოლოგიისათვის სავსებით კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა.

ჩვენ აქ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში „მოღვაწეობის“ ერთ მომენტზე. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვიამბობს: „პირველ, ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეხადნა იგინი კედარსა მას ჭეეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათნი: ციხეჲ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხეჲ კასპისა, ურბნისისა და ოძრახისაჲ.

დაუკვირდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ხორციელსა ჰამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშჰამდეს“[1].

აღნიშნული მატიანიდან ირკვევა, რომ ქართველობა ქართლის თავდაპირველი, აბორიგენული მოსახლეობა არ ყოფილა (ასეთებად ჩანან ბუნ-თურქები), რომ ჩვენი წინაპრები ქართლში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შედე-

---

1 მოქცევაჲ ქართლისაჲ. შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ.გიგინეიშვილისა და ე.გიუნაშვილის გამ., თბილისი, 1979, გვ. 320.

გად გაჩენილან. შესაბამისად, უმაღლესი სუვერენიტეტი ბუნ-თურქთა ხელში იყო. ამიტომაც, როდესაც „მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანაჲ ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს“[1]. რაციონალური ისტორიული მარცვალი ამ თხრობისა მხოლოდ ის თუ შეიძლება იყოს, რომ მან, შესაძლოა უძველესი ქართული მატიანიდან, რომელიც ჯერჯერობით არაა აღმოჩენილი, ასახა ქართველთა ერთი ნაკადის მიგრაციის ფაქტი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოდან. სხვა მხრივ ეს თხრობა, რასაკვირველია, აშკარა უაზრობას წარმოადგენს; მსოფლიო ისტორიის ელემენტარული ფაქტი გახლავთ, რომ თურქთა მოდგმა ძვ.წ. მეოთხე საუკუნეში არათუ კავკასიაში, არამედ თვით თურანში, აწინდელ შუა აზიაში, არ ბოგინობდა. ასეთივე უაზრობაა ბუნ-თურქთა საერთო მატერიალური და სოციალური განვითარების დონის (ისინი გადასული არიან ბინადარ ცხოვრებაზე, აქვთ ქალაქები და ციხე-სიმაგრენი, ერთმმართველობა) და უშუალო ყოფის შეუსაბამობა („ყოველსა ხორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშჭამდეს“).

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება ეთნიკურ ტერმინის „ბუნ-თურქის“ რაობა. ზოგიერთი ისტორიკოსი ამ ეთნონიმს „ჰუნ-თურქად“ ასწორებს, რითაც სურთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მოხსენიებული „ჰონნი“ მონათესავე თურქულ ეთნოსს დაუკავშირონ. მაგრამ აღნიშნულ ქრონიკაში შესაბამისი კონტექსტი („მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი“, ლეონტი მროველთან: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუნა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს“[2]) აშკარად ებრაელებზე („ჰურიებზე“) მეტყველებს, ამიტომაც ე.თაყაიშვილმა „ჰონნში“ დაქარაგმებული „ჰურიანი“ ამოიკითხა[3], და მეორეც, ძველ ქართულ ენაზე ჰუნების სახელდება იყო „ჰონები“ და არა „ჰუნები“.

მაშ ვინ არიან „ბუნ-თურქები“? შენიშნულია, რომ ისინი გაგებულ უნდა იქნენ „ადგილობრივ მკვიდრ თურქებად“. მაგრამ რას ნიშნავს ეს უკანასკნელი? თუ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან გამოვალთ, მაშინ, „ადგილობრივი, მკვიდრი თურქები“ ქართლის აბორიგენ ხალხად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ორიენტირად უფრო გამოდგება „მეფეთა ცხოვრება“, სადაც ვკითხულობთ: „ხოლო მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსგან.

---

1 მოქცევაჲ ქართლისაჲ. შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ.გიგინეიშვილისა და ე.გიუნაშვილის გამ., თბილისი, 1979, გვ. 320.

2 ქართლის ცხოვრება, I, სიმ. ყაუხჩიშვილის გამ., 1955, გვ. 15.

3 „Три хроники. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, XXVIII, 1900, გვ. 5.

გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდა რვა. და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისათვის დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი, და განიყვნეს ყოველთა ქალაქთა შინა"[1]. გარდა იმისა, რომ ლეონტი მროველი ქართლის აბორიგენებად თვლის ქართველებს, ხოლო „თურქებს", „ბუნ-თურქებს" — მოსულებად, იგი სწორად ადგენს მათს მიგრაციას თურანიდან. ამდენად, „ბუნ-თურქებში" უნდა ვიგულისხმოთ თურანელი თურქობა, რომელიც, ძველ ქართველ მემატიანეთა და საერთოდ ქართველთა წარმოდგენით, სწორედ თურანში წარმოიშვა და აქედან გავრცელდა. "ბუნ-თურქი" რომ უბრალოდ გადამწერის შეცდომა არ გახლავთ, კარგად ჩანს ლეონტი მროველის შემდგომი ფრაზიდანაც ვითომდა ალექსანდრე მაკედონელის ხანაში ქართლში მოსულ თურქებზე: „რომელთა იგი ჩუენ ბუნ-თურქად და ყივჩაყად უწოდთ". იგივე ჩანს არსენ ბერის ნინოს ცხოვრების მეტაფრასული რედაქციიდან, სადაც იმავე მოსახლეობის მიმართ აღნიშნულია: „რომელთა ჩუენ აწ ბუნ-თურქად და ყივჩაყად უწოდთ"[2]. აქედან ნათელია, რომ ლეონტი მროველისა და არსენ ბერისათვის „ბუნ-თურქი" სავსებით გასაგები ეთნონიმია და მასში, უნდა ვიგულისხმოთ, მოიაზრებდნენ თურანელ თურქობას.

დასასრულს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მიხედვით „ბუნ-თურქნი" ლოთის შვილებიც არიან და იებოსელთა ნათესავნიც, რაც გაუგებრობას იწვევს. ამ შემთხვევაში ავტორის თუ გადამწერის დაუდევრობასთან გვაქვს საქმე. სინამდვილეში ვითომ ალექსანდრემ ბილწი ხალხები ("ლოთის შვილნი") გადარეკა ჩრდილოეთისაკენ ("კედარსა მას ჭუეყანასა") და რა შემოიქცა, შემობრუნდა აქედან კავკასიონის ქედზე გამოვლით, სწორედ აქაც, ქართლშიც, იხილა იმნაირივე ბიწიერი ხალხი. ეს ადგილი უკეთესად არის განმარტებული „ქართლის ცხოვრებაში", სადაც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის მარშრუტი სწორედ აღნიშნული სახითაა მოცემული. არსენ ბერიც აღნიშნულ ნაწარმოებში ასე წერს: „რამეთუ ალექსანდრე მაკედონელი იქმნა რაჲ მეფე, პირველად უცხოთესლნი იგი ბოროტნი წარმოიქცინა დასავლით და კერძსა მას ჩრდილოჲსასა დასხნა. და ვითარცა უკუ-მოიქცა მუნით და შემოვიდა საზღუართა ქართლისათა იხილნა ნათესავნი იგი სასტიკნი წარმართანი, რომელთა ჩუენ აწ ბუნ-თურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკურისასა მიხუევით".[3] საინტერესოა აღნიშნული თვალსაზრისით ბუნ-თურქთა და სხვათა

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 15.

2 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, წიგნი III, ი.აბულაძის რედაქციით, 1971, გვ. 46.

3 იქვე.

ბედ-ილბალის არსენ ბერისეული ვარიანტი: „...და ქალაქნი და სიმაგრენი ყოველნი უცხოთესლთა მათ გამოუხუნა, რომელნიმე მოსრნა და სხუაჲ სიმრავლე მათი ურიცხვ წარავლინა კედარსა მას, სადა იგი პირველნი მოიყვანნა, გარეგან ოვსეთისა. და არს ქუეყანაჲ იგი მაღალ და ვრცელ და სიმრავლე წყალთაჲ, სადა-იგი მიერითგან მკვდრობენ დიდნი იგი ნათესავნი ყოჩაყთანი“[1].

განსვენებული ლაშა ჯანაშია მიუთითებდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორისა და ლეონტი მროველის დაუდევრობას ძველი ხელნაწერით სარგებლობისას[2]. თუ ასეა, მაშინ, როგორც ვხედავთ, ეს ბევრად უფრო ითქმის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორის მიმართ.

როგორც ვიცით, ქართლის უძველეს მცხოვრებთა ყოფისა და მორალის უკიდურესი ჩამორჩენილობა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით მიეწერება ბუნ-თურქებს, რომლებიც ქართლის აბორიგენებად არიან მიჩნეულნი. ამის თაობაზე, კერძოდ ქართლის აბორიგენულ მოსახლეობაზე, სხვანაირი პოზიცია გააჩნდა ლეონტი მროველს. მის თანახმად, ენათა აღრევის შემდგომ ქართლში დასახლდა ქართლოსი, ისე რომ ამ უკანასკნელს აქ მოსახლეობა არ დახვედრია. ქართლოსის მემკვიდრენი, ქართლოსიანები, იგივე ქართველები, ქართლში ცხოვრობდნენ თაობების მანძილზე, მხოლოდ შემდგომ მოხდა ქართლის მოსახლეობის ეთნიკური აჭრელება სხვადასხვა ხალხების, მათ შორის ბუნ-თურქების, მეშვეობით.

ახლა შევეხოთ ლეონტი მროველის თვალსაზრისს ქართლის მოსახლეობის დაბალი ყოფისა და მორალის თაობაზე. მას შემდეგ, რაც ლეონტი მროველი თავისებური „გლოტოგენიური თეორიის“ კვალობაზე აღნიშნავს ქართული ენის წარმოშობას, მოდის თხრობა: „და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთასა. რამეთუ ცოლქმრობისათვის არა უჩნდათ ნათესაობა; და ყოველსა სულიერსა ჰამდეს; საფლავი არა იყო, მკუდარსა შესჰამდეს“[3]. ამის შემდეგაც „მეფეთა ცხოვრებაში“ ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათვს არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჰამდეს, მკუდარსა შესჰამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყუნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უხმ არს“[4]. ყოველივე აღნიშნულის შემდგომ ხდება გაუგებარი, ალოგიკური გადასვლა: „და იხილნა რა (ცხადია, იგულისხმება კვლავ ალექსანდრე მაკედონელი, გ.ყ.) ესე ნათესავნი სასტიკნი

1 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, წიგნი III, იაბლაძის რედაქციით, 1971, გვ. 76.

2 იხ.ავტორის სტატია „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს წყაროებისათვის“ კრებულში „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“. თბილისი,1966.

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 16.

4 იქვე, გვ. 17.

წარმართნი, რომელთა იგი ჩუენ ბუნ-თურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხომარეენი მდინარესა მას მტკურისასა მიხვევით, დაუკვირდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს მას და ენება რათამცა აღმოფხურნა იგინი ქალაქებისა მისგან"[1]. ეს აშკარა შეუსაბამობა გახლავთ, რაც შენიშნა ჯერ კიდევ ექვთიმე თაყაიშვილმა, და მსგავს რამეს ელემენტარულად წიგნიერი ადამიანიც კი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა.

მაგრამ ფაქტია, რომ „ქართლის ცხოვრების", კერძოდ „მეფეთა ცხოვრების" უახლეს, სიმონ ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში სწორედ ასეთი შეუსაბამო თხრობაა. ასევე ითქმის მარი ბროსესეული გამოცემების თაობაზე. საქმე იმაში გახლავთ, რომ, როგორც მიუთითებს მკვლევარი ქ.ცხადაძე[2], „ქართლის ცხოვრების" XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დამდეგის ხელნაწერებში თხრობა სწორედ ასე შეუსაბამოდ ხდება, მაგრამ ვახტანგის წინარე ხანის ნუსხებში (ანასეულში, ჭალაშვილისეულში, მარიამისეულში, აგრეთვე „ქართლის ცხოვრების" ძველსომხურ თარგმანში) მსგავსი შეუსაბამობანი გამორიცხულია. ყოფისა და მორალის დაბალი დონე იმთავითვე, რიგორისტულად ლეონტი მროველის მიერ მიეწერება სწორედ ქართველობას, მასთან ბუნ-თურქები საერთოდ არ მოიხსენებიან. ამრიგად ბუნ-თურქებისა და მათი ცხოვრების ამსახველი ჩანართები „მეფეთა ცხოვრებაში" მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში გამოჩნდა.

მაშ ასე, ლეონტი მროველი ყოფისა, გნებავთ ტრადიციების, და მორალის დაბალ დონეს მიაწერდა მხოლოდ და მხოლოდ ქართველებს. მიუხედავად ლეონტის გარკვეული დიდი ავტორიტეტისა და შესაძლოა თვით სამეფო კართან სიახლოვისა, აღნიშნული თვალსაზრისი ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში მაშინვე, „მეფეთა ცხოვრების" დაწერისთანავე, როდი გაბატონებულა. არსენ ბერი, რომელშიც ზოგიერთები არსენ იყალთოელს ან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ხედავენ, ნინოს ცხოვრების მისეულ მეტაფრასულ რედაქციაში აღნიშნავს: „წმიდანო მამანო და ძმანო, ესე ნეტარისა ნინოჲს „ცხორებაჲ" შეუწყობელად და განბნეულად „ქართლისა მოქცევასა" თანა და „ჰანბავსა მეფეთასა" თანა აღრეულად სწერია, ვითარცა თქუენ უწყით... გარნა წინ უკუანა და უკუანა წარ, იგივე და ერთი პირი. და ამისთვის საეკლესიოდ მკითხველთათჳს ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათჳს უხმარ და ვერ საცნაურ"[3]. ამაში, კერძოდ ლეონტი მროველის თხზულების მისამართით, არსენ ბერი მხოლოდ სტილს კი არ გულისხმობდა, არამედ ნაწარმოების შინაარსსაც.

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 17.

2 იხ. მისი სტატია „ახალი ქართლის ცხოვრების" ერთი ჩანართის წყარო". „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, № 1.

3 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 51.

სიმ.ჯანაშიამ სპეციალურ სტატიაში გონებამახვილურად უჩვენა არსენ ბერის პოზიციის დაპირისპირებულობა ლეონტი მროველისეულ პოზიციასთან ქართველებისა და ქართული ენის წარმოშობის საკითხში[1]. კერძოდ, არსენ ბერმა მოხსნა ლეონტის მიერ შეთხზული მითი თარგამოსიანთა და ჰაოსის პირველობის შესახებ, ქართული ენის წარმოშობის თაობაზე ენათა აღრევის შედეგად და აღიარა, რომ ქართველები მოსული არიან სამხრეთ-დასავლეთიდან, რომ (აზოელ) „... წამოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიოჲ, და კუალად ათი სახლი მთავართაგან და ყოვლით დედა-წულით მათით მოიყვანნა და დაეშენნა ქართლს“[2], რომ „ამისა შვილის-შვილთაგან ოცდამერვე მეფე იყო მირიან“ და „ჩუენ შვილნი ვართ არიან ქართლით გამოსულთანი, და ენაჲ მათი უწყით. და მეფენი ჩუენნი მათნი შვილის-შვილნი არიან“[3]. არსენ ბერი კიდევ უფრო შორის მიდიოდა და ლეონტი მროველს ეკამათებოდა ქართველთა „ავზნიანობისა“ და ა.შ. თვისებების საკითხში. მსგავს თვისებას იგი, ისევე როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, მიაწერდა მხოლოდ ბუნ-თურქებს.

არსენ ბერი თავის თხზულებას წერდა მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში, ე.ი. „მეფეთა ცხოვრების“ დაწერის (თუ რედაქტირების!) შემდგომ ახლო ხანაში. მისეული ნაწარმოების შემოკლებული და პერიფრაზირებული რედაქციის უცნობი ავტორი მეცამეტე საუკუნეში, ე.ი. „მეფეთა ცხოვრების“ დაწერიდან საკმაო პერიოდის გავლის შემდგომ, კვლავ იმეორებდა არსენ ბერის შეხედულებას აღნიშნულ საკითხზე.

მაგრამ ლეონტი მროველის მიერ დამკვიდრებული ტრადიცია ქართველთა წარმართობის დახასიათებისა მთელი ძალით ეუფლებოდა ქართველთა საისტორიო ცნობირებას. მას ვერ გაექცა თვით ისეთი მაღალეროვნული გრძნობისა და შეგნების მქონე პიროვნება, როგორიც იყო ნიკოლოზ გულაბერიძე, რომელმაც თავის „საკითხავში სუეტისა-ცხოველისა“ ქართველთა წარმართობის ხანა უაღრესად მუქი ფერებით დაახასიათა (თუმცა არ ლეონტისეული სიტყვებით).

თუ როგორი ცვლილება მოხდა აღნიშნული მიმართულებით ვახტანგის შემდგომ გადაწერილი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში, ამაზე უკვე ვილაპარაკეთ. ვნახოთ თუ როგორი თვალსაზრისი გააჩნდა ამ მხრივ ვახუშტი ბატონიშვილს. მისი შეხედულებით, ქართველობა მსგავსი ზნითა და საქციელით იმთავითვე როდი გამოირჩეოდა. პირიქით: „ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის“; „ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანიან თვის-თვისთა თანასწორთა:

---

1 იხ. ავტორის „ფსევდო-არსენი“. ხსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. 1, 1940.

2 იქვე, გვ. 80.

3 იქვე.

მთავარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა და უმცირესნი უმცირესთა; და ამის მიერ არა იყო მრავალცოლობა“, „და იყვნენ მრავალთა წელთა წესთა ამათზედა“[1]. მაგრამ მომხდარა რეგრესი სარწმუნოებრივ (რელიგიურ) ცხოვრებაში: „ხოლო შემდგომად დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თვისი და თაყვანის სცემდნენ მზესა, მთოვარესა, ვარსკულავთა და ნივთიერთა და პირუტყუთა“[2] (აქ გამეორებულია ლეონტი მროველის სიტყვები). შესაძლებელია, ვახუშტის მიხედვით ქართველთა ზნეობრივი რეგრესი განაპირობა სხვადასხვა „გარეგანთა წარმართთთა“ შერევამაც. იშველიებს რა ისტორიკოსისათვის მიუტევებელ ფანტაზიას, ვახუშტი განაგრძობს: „და კუალად შესძინეს ამას ზედა, რამეთუ, რა მოკუდის ვინმე კაცი ანუ ბრძოლასა, — მეორე ივასხის და შესჭამდიან, ხოლო უკეთუ არა, თვით შესჭამდიან, ვითარცა იტყუის: „კარსნელთა მართებს კოდმანელთა ხუთი მკუდარი დღედმდე“[3]. შესაძლებელია ამ სიტყვებში იგულისხმებოდეს „მეფეთა ცხოვრების“ შესაბამისი ადგილებიდან ქართველთა ცნობიერებაში გადასული ფაქტი, ანდა უბრალოდ ერთი სოფლის მიერ მეორისადმი შურისძიების მომენტი ან სხვა რამ (როგორც თეიმურაზ ბატონიშვილმა და კირიონ საძაგლიშვილმა შენიშნეს), მაგრამ, სამწუხაროდ, ვახუშტი ბატონიშვილი მისთვის ჩვეულ კრიტიკულ აზროვნებას (საისტორიო წყაროების გამოყენების საქმეში) ამჯერად ვერ იჩენს. პირიქით, ამის ახსნას ისტორიულ-შედარებითი მეთოდის (პირობითად რომ ვთქვათ) მომარჯვებითაც კი ცდილობს: „რამეთუ გვაცნობებენ სარკინოზით ლტოლვილნი დიდონი, რომელნი აწამდე წესსა მას ზედა დგანან, თუინიერ კაცის ჭამისა“[4].

პირველი ისტორიკოსი, ვინც ახალ დროში მწვავედ გააკრიტიკა ქართველთა უკიდურესი ავზნიანობის, კერძოდ კანიბალიზმისა და ნეკროფაგიის წარმართობისდროინდელი ფაქტი, გახლდათ თეიმურაზ ბატონიშვილი. თავის 1848 წელს გამოცემულ ნაშრომში „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა“ კანიბალიზმისა და ნეკროფაგიის თაობაზე წერდა: „...არაჴეშმარიტ არს სიტყვაჲ ესე, ვინაჲდგან დასაბამითგან სოფლისა ვიდრე აქამომდე არა ყოფილ არს ჩვეულება, არათუ მხოლოდ ქართლოსიანთა ნათესაობასა შორის, არამედ სრულიად აზიისა ერსა შორის, არა რომელიმე და არც ერთი ნათესაობა იქმოდა ამას, რომელ კაცის ხორცისა მჭამელნი ყოფილიყვნეს“[5]. როგორც ვხედავთ, თეიმურზ ბატონიშვილი ამჯერად მეორე

---

1 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ხიმ. ყაუხჩიშვილის გამ., 1973, გვ. 15.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 16.

5 თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა..., სანკტ-პეტერბურგი, 1848, გვ. 52.

უკიდურესობაში აღმოჩნდა, რაც ალბათ, მხოლოდ პატრიოტული გრძნობით როდი აიხსნება; ქართველმა ისტორიკოსმა შესაძლოა არ იცოდა კანიბალიზმის გავრცელების საყოველთაო ფაქტი საზოგადოების განვითარების განსაზღვ- - რულ, დაბალ, საფეხურზე. მისივე მოსაზრებით, ქართველთა წარმართული ხანის ცხოვრების ასეთი დახასიათება მოგვცეს ქრისტიანმა მოძღვრებმა წარმართობის კრიტიკისათვის[1].

ქართველთა კანიბალიზმი და ნეკროფაგია უარყო მარი ბროსემ (იხ. „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანის წინასიტყაობა), მაგრამ აღიარა ქართველთა საქორწინო ურთიერთობებში ნათესაობის სისხლით აღრევა ებრაელთა ზეგავლენით, ასევე მკვდრების დაუმარხაობა ახსნა ზოროასტრიზმის მიზეზით (რაც შემდგომ გაიმეორა ქ.პატკანოვმა). დიმიტრი ბაქრაძე შენიშნავდა: „...დასაჯერებელი არ არის, რომ ჩვენნი წინაპარნი ამ ჩვეულებაზე მდგარიყვნენ ქრისტეს უახლოეს საუკუნოებში. იმ დროს იმათ ისე ჰქონდათ დამყარებული სამოქალაქო წესი, ისეთ ხარისხზე იდგნენ იგინი გონებითაც და ზნეობითაც, რომ ყოვლად შეუძლებელი საქმეა, როგორც ეს საფუძვლიანად შეუნიშნავს ბროსსესა, რომ ამ მხეცურ თვისებას მაშინ ადგილი ჰქონიყო“[2]. თეიმურაზ ბატონიშვილისაგან განსხვავებით დ.ბაქრაძემ მსგავსი შესაძლებლობა დაუშვა მხოლოდ პრეისტორიაში, „ისტორიის წინა-დროებაში“.

გასული საუკუნის 70-იან-80-იან წლებში ადგილი ჰქონდა აღნიშნული თვალსაზრისის გამოცოცხლებას. ამის მიზეზს კი წარმოადგენდა ავსტრიელი ბუნებისმეტყველისა და არქეოლოგოსის ფრ.ბაიერნის გათხრები მცხეთის სამაროვანზე (ცხადია, ამაში გარკვეული როლი ითამაშა ჩვენი მატიანეების შესაბამისმა ადგილებმა). მაგრამ კანიბალიზმისა და ნეკროფაგიის ფაქტი გვიანი ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში იმთავითვე არ გაიზიარეს თვით დასავლეთ ევროპასა და რუსეთში. სამაგიეროდ იგი აღიარა ი.ჯაბადარმა ქართველი ერის მიმართ თავისი ნაჰილისტური თვალსაზრისის დასაბუთებისათვის. როგორც ცნობილია, სწორედ ამ თვალსაზრისის გასაცამტვერებლად გამოაქვეყნა ილიამ სტატიათა კრებული „აი ისტორია“. კერძოდ, კრებულის ერთ-ერთ სტატიაში იგი სპეცია-

---

1 თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია..., გვ. 54.

2 დ.ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, 1889, გვ. 132. აღვნიშნავთ ერთ გაუგებრობას. ვ.დონდუა სტატიაში „ლეონტი მროველისმიერი პროტოისტორიის ზოგი ამოსაკითხავი“ (იხ. ავტორის კრებულში „საისტორიო ძიებანი“, თბილისი, 1967) დ.ბაქრაძეს საყვედურობდა მის მიერ ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო ხანებში ქართველთა კანიბალიზმის დაჯერებას (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 20-21). ეს გაიმეორა ქ.ცხადაძემაც აქ დასახელებულ სტატიაში. მაგრამ ეს ავტორები მიუთითებენ დ.ბაქრაძის წიგნის 63-ე გვერდს (IV კარში), სადაც ლაპარაკია ქართველთა დაბალ ზნეობაზე... „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით. საკუთარ პოზიციას საკითხის თაობაზე დიმ. ბაქრაძე ამჟღავნებს წიგნის მერვე კარში, საიდანაც მოტანილია ზემოაღნიშნული ციტატა.

ლურად შეეხო ძვ.წ. პირველ ათასწლეულში ვითომდა ქართველთა შორის-გავრცელებული კანიბალიზმის საკითხს.

კიდევ რამდენიმე სიტყვა აღნიშნული ცნობის ინტერპრეტაციების თაობაზე. ე.თაყაიშვილმა და კ.საძაგლიშვილმა კვლავ გაიმეორეს თ.ბატონიშვილის მოსაზრება ამ ცნობის გაჩენისა თაობაზე წარმართობის კრიტიკის საჭიროებით.

კ.გრიგოლიას აზრით, „ლეონტი მროველის ცნობა ქართველ ტომებში მოუწესრიგებელი ცოლ-ქმრობის შესახებ შესაძლებელია მთლად ჰაერში ჩამოკიდებული არ იყოს და მას შორეული წარსულის ჯგუფობრივი ცოლ-ქმრობა ჰქონდეს მხედველობაში"[1], რომელმაც თითქოსდა თავი იჩინა ფარნავაზის ხანის ქართველთა ნათესაობის სისტემაში. მაგრამ ეს მოსაზრება არ გვეჩვენება დამაჯერებლად. ვ.დონდუა ჩვენს მიერ უკვე მოხსენიებულ ნაშრომში „ავზნიანობასა" და მისთანებს მიაწერს ქართლში დასახლებულ უცხო ტომებს და მხოლოდ ამ აზრით (სადაურობის და არა ეთნიკური წარმომავლობის მნიშვნელობით) ქართველებს, თვითონ ქართველებს კი (ეთნიკური აზრით) ასეთი ზნე-ჩვეულებებიდან შორს მდგომად მიიჩნევდა[2]. ეს თვალსაზრისიც აშკარად დაუჯერებული გახლავთ. ო.ლორთქიფანიძისა და შ.მესხიასათვის არავითარ ეჭვს არ იწვევს ძველ, ადრეანტიკურ ქართლში ბუნ-თურქების დასახლების ფაქტი., რომლიდანაც ისინი შორს მიმავალ დასკვნებს აკეთებენ[3]. ჩათვალა რა „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-სა და „ქართლის ცხოვრების" აღნიშნული ცნობა სანდო წყაროდ, აზერბაიჯანელმა მკვლევარმა (ენათმეცნიერმა) მ.სეიდოვმა ბუნ-თურქები კავკასიის უძველეს აბორიგენ ხალხად მიიჩნია, რაც მეცნიერებული აზრით ყოვლად გაუმართლებელია.

ა.პ.ნოვოსელცევის მიხედვით, ბუნ-თურქები კავკასიური (არაქართველური) წარმოშობის ტომები ყოფილან, რომლებიც ასიმილირებულ იქნენ შორეულ წარსულში, რაზედაც თითქოს ხსოვნა შემოინახა ძველქართულმა ქრონიკამ[4]. მკვლევრის შეხედულებით, ქართველი მემატიანენი აზროვნებდნენ ბიბლიის ანალოგიით: ისევე როგორც იებუსელნი — ქანაანელი ტომები ცხოვრობდნენ იერუსალიმში ებრაელთა მოსვლამდე, ასევე ბუნ-თურქები, ქართველ მემატიანეთა თანახმად, თითქოს ცხოვრობდნენ მცხეთაში (სინამდვილეში სარკინეში)[5].

---

1 კ.გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 15, 18.

2 ვ.დონდუა. საისტორიო ძიებანი, I, 1967, გვ. 26-27.

3 იხ. ო.ლორთქიფანიძე. მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის (ლეონტი მროველის ცნობები „მცხეთელი მამასახლისის"შესახებ). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1962, XXIX, № 6; შ.მესხია. ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ, კრებულში „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", 1966.

4 А.П.Новосельцев, В.Т.Пашуто, Л.В.Черепнин, Пути развития феодализма, М., 1972, გვ. 32-34.

5 იქვე, გვ. 33.

ვ.ბ.კოვალევსკაიას აზრით, ბუნ-თურქები იყვნენ სკვითები, რომელთა ნაწილი, წინა აზიიდან წამოსვლის შემდეგ მცხეთის რეგიონში დასახლდა[1].

როგორც დავინახეთ, მკვლევართა ერთ ნაწილს (თ.ბატონიშვილს, დ.ბაქრაძეს, ე.თაყაიშვილს, კ.საძაგლიშვილს) ქართული წარმართობის მუქი ფერებით ჩვენება გვიანდელ შენათხზად მიაჩნია (ქრისტიანული პროპაგანდის მიზნით), მეორეთა, უმეტესობის, მიხედვით, თხრობაში თითქოს გარკვეულწილად აისახა ისტორიული სინამდვილე და აქედან გამომდინარე, ისინი ეძებენ ამ სინამდვილის რაციონალურ მარცვალს. იგივე ითქმის თითქოსდა ძველ ქართლში ბუნ-თურქების ცხოვრების შესახებაც. სინამდვილეში აღნიშნულ ცნობათა სახით სულაც არ შემონახულა ძველი ვითარების ამსახველი რემინესცენციები, ისინი წარმოადგენენ არა ადგილობრივი წარმოშობის წყაროებს, არამედ შემოსული არიან გარედან. ამდენად, მათი საისტორიო შემეცნებითი ფასეულობა ძალზე უმნიშვნელოა.

1883 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში (იხ. ქვემოთ) ქ.პატკანოვი სწორად მიუთითებდა, რომ „ქართლის ცხოვრებაში" შემონახული ცნობა უძველეს, წარმართ ქართველთა უწმინდური ზნე-ჩვეულებების შესახებ მოვსეს ხორენაცის გავლენით გაჩნდა. მართლაც სომეხი ისტორიკოსის თხრობით, სომხებიც ჩრდილოელთა („ჩრდილოელებში" პირველ რიგში იგი გულისხმობდა ქართველებს) მსგავსად ჰამდნენ „ლუსა და მისთანებს", რაც თითქოს აღკვეთა არტაშეს მეორემ (ზეობდა ძვ.წ. 30-20 წლებში). სხვა ამბავია თუ საიდან, რა წყაროს საფუძველზე დაასკვნა მოვსეს ხორენაცმა სომეხთა და „ჩრდილოელთა" ასეთი ზნე-ჩვეულება. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარი ის გახლავთ, რომ თუ ნეკროფაგია ასე გავრცელებული იყო სომხებში — ლეონტისათვის რჩეულ ხალხში, მით უფრო მეტად ექნებოდა, ლეონტი მროველის წარმოდგენით, ადგილი ამ ტრდიციას ქართველობაში.

ი.ჯავახიშვილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მატიანის თაობაზე შენიშნავდა, რომ მემატიანეს ერთ-ერთ წყაროდ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის აპოკრიფული ისტორიაც უნდა ჰქონოდაო[2]. ლეონტი მროველის შემოქმედების განხილვასთან დაკავშირებით კი იგი დასძენდა, რომ „მეფეთა ცხოვრებაში" მოხსენიებული „ცხოვრება ბერძენთა" გაურკვეველი წყაროაო[3]. ჩვენი დიდი ისტორიკოსი, როგორც ჩანს, მთლად კატეგორიული როდი იყო ძველი ქართული მატიანეების შესაბამისი ადგილების „ალექსანდრიანიდან" ანდა მხოლოდ „ალექსანდრიანიდან" წარმოშობილობაში.

კირიონ საძაგლიშვილმა 1910 წელს გამოსულ თავის ნაშრომში

---

1 В.Б. Ковалевская. Скифы, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем по данным Леонти Мровели. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1975, № 3.

2 ივ.ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 104.

3 იქვე, გვ. 183.

„Культурная роль Иверии в истории Руси“ შეამჩნია ჩვენთვის საინტერესო ადგილების თანხვდენა „მეფეთა ცხოვრებასა“ და რუსულ მატიანე „გარდასულ დროთა ამბავში“. მაგრამ თუ მემატიანე ნესტორი პირდაპირ მიუთითებდა თავის წყაროს — მეთოდიოს პატრელის „გამოცხადებას“, ამას კირიონმა ყურადღება არ მიაქცია, იგი არ შეეცადა მოეძია ეს საისტორიო წყარო და რუსული მატიანის შესაბამისი ადგილი პირდაპირ „ქართლის ცხოვრებიდან“ აღებულად ჩასთვალა.

აღნიშნულ საკითხში კატეგორიული იყო კ.კეკელიძე, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ადგილებს ფსევდოკალისთენესეულად მიიჩნევდა, ე.ი. „ალექსანდრიანიდან“, კერძოდ მისი მეორე რედაქციიდან, გადმოღებულად. ცალკე ბერძნულ წყაროდ თვლიდა მეთოდის პატრელის თხზულებას „მოთხრობაჲ უცთომელი სუფევისათვის ნათესავთა და უკანასნელთა ჟამთათვის“, რომელიც შემოკლებით „გამოცხადების“ სახელითაა ცნობილი. მის ერთ-ერთ რედაქციაში, კ.კეკელიძის მიხედვით, იყო ერთი ცნობა, რომელიც „გარდასულ დროთა ამბავში“ იქნა შემონახული. იგულისხმებოდა ცნობა, სადაც ლაპარაკია მაღალ მთებში ალექსანდრე მაკედონელის მიერ შემწყვდეული ხალხის მდგომარეობაზე. მაგრამ უძველეს რუსულ მატიანეში ეს ცნობა, „უწმინდურთა“ ყოფის ცოცხალი დახასიათება, ნოვგოროდელ გიურიატა როგოვიჩს ეკუთვნის, ამ თხრობაში მეთოდიოს პატრელის ნაწარმოებიდან მხოლოდ ამ ხალხის მაღალ მთებში ჩაკეტვის მომენტია აღებული.

კ.კეკელიძიდან მოყოლებული ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში ფართოდ გავრცელდა სწორედ აღნიშნული თვალსაზრისი, ე.ი. შეხედულება, რომლის თანახმადაც ბუნ-თურქებისა თუ ქართველების უწმინდური ცხოვრების საისტორიო წყარო ფსევდოკალისთენესეული „ალექსანდრიანი“ იყო.

ეს თვალსაზრისი გამეორებული აქვს ვ.დონდუასაც, მაგრამ ასეთი შენიშვნით: „თვითონ ფსევდოკალისთენის ნაწარმოების რაობაც ჩვენი მიზნებისათვის საჭირო სისრულით, ჰგავს, ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი“1.

გ.მამულიამ თავის ნაშრომში მიუთითა ქართულ მატიანეებში მოხვედრილი „ბუნ-თურქების“ ლიტერატურული წყარო — „შაჰ-ნამე“ (აფრასიაბის გამოქვაბულის ლეგენდა). რაც შეეხება ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობის ამბავს ქართლის ადგილობრივ მცხოვრებთა უწმინდური, ბიწიერი ცხოვრების ჩათვლით, ეს ცნობები, ავტორის მოსაზრებით, აღებულია „ალექსანდრიანის“ Б ვერსიიდან, რომელშიც მთლიანად შესულა ფსევდო-მეთოდიოსის თხრობა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შესახებ2.

---

1 ვ.დონდუა, საისტორიო ძიებანი, I, გვ. 30.

2 გ.მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბილისი,1979, გვ. 153.

ვ.ვაშაკიძის შეხედულებით, ყველაფერი რაც „მეფეთა ცხოვრებაში“ (ასევე უნდა ვიგულისხმოთ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-შიც) ალექსანდრე მაკედონელის ქართლში „ნანახს“ ეხება (ქართველთა ავზნიანობა, ბუნ-თურქთა და ყივჩაღთა პირუტყვული ქცევა და სხვ) მხოლოდ ქართველი მემატიანის შეთხზულია. მსგავსი ამბები, — მკვლევარის მიხედვით, — არაა აღებული ბერძნული „ალექსანდრიანიდან“ იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ იქ მათზე არცაა ლაპარაკი[1]. ამდენად ვ.ვაშაკიძე არ იზიარებს კ.კეკელიძის აზრს იმის შესახებ, რომ წარმართობის დროის ქართველების ცხოვრების ამბავი ფსევდოკალისთენეს „ალექსანდრიანიდან“ უნდა იყოს აღებულიო. იქ სადაც ეს ნაწარმოებია გამოყენებული, მკვლევრის შეხედულებით „ალექსანდრიანის“ რედაქცია არის საგულვებელი.

რამდენადაც ჩვენთვის საინტერესო ადგილები ერთმანეთს თანხვდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა, „მეფეთა ცხოვრებასა“ და უძველეს რუსულ მატიანეში, ამდენად ჩვენი მიზნებისათვის ძალზე საინტერესო უნდა იყოს რუს მეცნიერთა (ა.ნ.პიპინი, ვ.მ.ისტრინი, ა.ა.შახმატოვი, დ.ს.ლიხაჩოვი და სხვ) აზრი „გარდასულ დროთა ამბავის“ შესახებ, მის საისტორიო წყაროზე, რამდენადაც ეს დაგვეხმარება ჩვენი ძველი მატიანეების შესაბამისი წყაროს (თუ წყაროების) დადგენაში. მოხსენიებულ რუს მეცნიერთა შეხედულებით რუსი მემატიანე ნესტორის შესაბამისი საისტორიო წყაროა ანონიმი ბიზანტიელი ავტორი, დ.ლიხაჩოვის ვარაუდით შესაძლებელია ახ.წ. IV საუკუნისა[2], რომელსაც მოთხრობილი აქვს მსოფლიო ისტორია მოყოლებული სამყაროს შექმნის შემდეგომ 7000 წლამდე. სწორედ ამ ხანაში დაიწყებოდა, აღნიშნული „გამოცხადების“ თანახმად, მეორედ მოსვლა, რაც კონკრეტულად გამოიხატა ვითომდა ალექსანდრეს მიერ, განგების თანახმად, მთებში ჩაკეტილი ხალხის თავის აშვებაში. რუსი მემატიანე ყივჩაღების, პაჭანიკების და სხვა თურქული მოდგმის ხალხების სახით უკვე ხედავდა მეთოდიოსის (ფასევდომეთოდიოსის) წინასწარმეტყველების აღსრულებას.

„გამოცხადება“ სლავურ სამყაროში ორი თარგმანით იყო ცნობილი (თარგმანები კი შესრულდა ბულგარეთში). ვ.მ.ისტრინის ვარაუდით ნესტორი იცნობდა „გამოცხადების“ პირველ თარგმანს. „ალექსანდრიანი“, შევნიშნავთ, კიევის რუსეთში ცოტა მოგვიანებით გავრცელდა.

ჩვენი დასკვნით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და „მეფეთა ცხოვრებაში“ წარმართობის ხანის ქართლის მოსახლეობის თაობაზე შემონახული ცნობების უშუალო საისტორიო წყაროთაგანია ფსევდომეთოდიოს პატრელის „გამოცხა-

---

1 იხ. ავტორის „მეფეთა ცხოვრების წყაროები ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის შესახებ“.

2 დღეს მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებულია შეხედულება, რომ „გამოცხადების“ ავტორი არ გახლდათ მეთოდიოს პატრელი.

დება“, რომელსაც ლეონტი მროველის დროს საქართველოში იცნობდნენ (კ.კეკელიძე, ს.ყაუხჩიშვილი) და მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“. ამდენად აღნიშნულ ცნობებს არავითარი მიმართება არა აქვთ ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციასთან, უშუალოდ ჩვენი წარსული სინამდვილის ასახვასთან. იგი არც გარეშე (სხვა ხალხთა) საისტორიო ცნობიერების მიერ ქართული ისტორიული სინამდვილის ასახვაა. აქედან გამომდინარე, ამ ცნობებში რაციონალური ისტორიული მარცვლის ძიება ჩვენ უპერსპექტივო საქმედ მიგვაჩნია.

1 978 წ.

საისტორიო ცოდნის განვითარება ძველ საქართველოში

უძველესი ქართული საისტორიო ძეგლები, როგორც ცნობილია, გახლავთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „მეფეთა ცხოვრება“, რომელთაც ჩვეულებრივად IX და XI საუკუნეებით ათარიღებენ. ისინი შეიცავენ თხრობას საქართველოს ძველი ისტორიისა და ადრე შუასაუკუნეების[1] შესახებ. ამდენად ვინაიდან ამ ეპოქათაგან საისტორიო თხზულება ცალკე, დამოუკიდებელი სახით ჩვენამდე არ მოღწეულა, გაძნელებულია საისტორიო აზროვნების შესაბამისი ეპოქების აღდგენა-რეკონსტრუქცია. ვიმეორებთ, გაძნელებულია და არა შეუძლებელი. ისტორიკოსი ისტორიოგრაფიის (საისტორიო მეცნიერების) ხასიათის გამო ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ფილოლოგოსი. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება „შუშანიკის წამებით“ დაწყებულიყო, რომ ეს ლიტერატურული ძეგლი გარკვეულ მომენტს წარმოადგენს ლიტერატურის (მხატვრული) განვითარების გზაზე. მაგრამ ფილოლოგოსი ვერ აღადგენს „შუშანიკის მარტვლობის“ წინარე ქართულ ლიტერატურას, ისტორიკოსს კი ამის გაკეთება შეუძლია: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და „მეფეთა ცხოვრების“ გააზრებით შესაძლებელი ხდება წინამავალი ქართული საისტორიო აზროვნების აღდგენა, თუ მთლიანად არა მნიშვნელოვანწილად მაინც. მისი აზროვნების მეთოდი ამ შემთხვევაში იქნება გვიანდელიდან, უფრო რთული, განვითარებული სტრუქტურის გაგებიდან ადრინდელი, ნაკლებად განვითარებული სტრუქტურის გააზრება. ამის თაობაზე კ.მარქსი წერდა: „ადამიანის ანატომია მაიმუნის ანატომიის გასაღებია. პირიქით, უმაღლესის ნიშნები დაბალი სახის ცხოველებში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გავიგოთ, თუ ეს უმაღლესი ცნობილია“[2]; „ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოების უაღრესად განვითარებული და მრავალსახოვანი ისტორიული ორგანიზაციაა. კატეგორიები, რომელნიც ამ საზოგადოების ურთიერთობას გამოსახავენ, მისი სტრუქტურის (Gliederung) გაგება, ამასთანავე, შესაძლებლობას იძლევა გავიგოთ ყველა იმ დრომოჭმული საზოგადოებრივი ფორმის სტრუქტურა და წარმოებითი ურთიერთობანი, რომელთა ნანგრევებსა და ელემენტებზეც ბურჟუაზიული საზოგადოება აღიმართა“[3].

---

1 როგორც ცნობილია, უახლოეს ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებო გახდა ადრეული შუასაუკუნეების ბოლო და განვითარებული შუასაუკუნეების დასაწყისი საქართველოში. ჩვენ ვიზიარებთ ტრადიციულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ეს ხანა IX-X საუკუნეებზე მოდის.

2 კ.მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953, გვ. 288-289.

3 იქვე, გვ 288.

მაშ ასე, შევეცდებით „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან და „მეფეთა ცხოვრებიდან“ გამომდინარე თვალი გავადევნოთ წინარე ქართულ საისტორიო აზროვნებას. რასაკვირველია, ამ მეთოდით ოპერირება ამ 50-60 წლის წინათ ნაკლებად ეფექტური იქნებოდა. მაგრამ არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული აღმოჩენების წყალობით ბევრი რამის შემოწმება და კორექტირება გახდა შესაძლებელი, რის წყალობითაც აღნიშნული მეთოდით ოპერირებას პოზიტიური შედეგის მოტანა შეუძლია.

XIX საუკუნეში, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ახალ სტადიაზე, დიდ პრობლემად იქცა ძველი და ადრეული შუასაუკუნეების ამსახველი ცნობების სანდოობა. თუ მანამდე ამ ცნობების სანდოობა-სისწორეში თითქმის არავითარი ეჭვი არ შეჰქონდათ, ამიერიდან საისტორიო აზროვნების გაღრმავებამ, კრიტიკული მეთოდის გამოყენების საჭიროებამ დღის წესრიგში დააყენა უძველესი ქართული საისტორიო ძეგლების თხრობათა შინაარსის, მათი ცნობების კრიტიკული გააზრება. მიუხედავად კრიტიკული მიდგომისა მ.ბროსე, დ.ბაქრაძე, მ.ჯანაშვილი კერძოდ „მეფეთა ცხოვრების“ უმეტეს ნაწილს სანდოდ სთვლიდნენ. მათგან განსხვავებით ქ.პატკანოვმა ეს ძეგლი უვიცი ბერის შენათხზად გამოაცხადა[1].

სპეციალურად შევჩერდებით ივანე ჯავახიშვილის პოზიციაზე აღნიშნული საკითხის მიმართ. მიუხედავად საისტორიო წყაროებისადმი ჰიპერკრიტიცისტული დამოკიდებულებისა, რაც დამკვიდრებული იყო „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ დაწერის დროს (1898-1915 წლებში), ჩვენმა დიდმა ისტორიკოსმა ზომიერი პოზიცია დაიკავა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელსაც IX საუკუნეში დაწერილად თვლიდა, ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით პირველი ქართველი მატიანე არ უნდა ყოფილიყო[2]. გრიგოლ დიაკონის მიერ შედგენილი „მცირე, მოკლედ აღწერილი წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ“ შატბერდისეულ და ჭელიშისეულ ხელნაწერებში შენახულ ვრცლად აღწერილი ქართლის მოქცევის წიგნის შემთხზველს წყაროდ უნდა ჰქონოდა[3]. ამდენად ივანე ჯავახიშვილს სანდოდ მიაჩნდა „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა გრიგოლ დიაკონის მიერ ქართლის მოქცევის ისტორიის დაწერის თაობაზე. კიდევ მეტი, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით IX საუკუნის მემატიანეს ხელთა ჰქონია სხვა ვრცელი და შინაარსიანი წყაროებიც, რომელთაგან მას შემოკლებით ამოუღია და ამოუკრეფია საჭირო მასალები[4].

---

1 იხ. К.Патканов, Ванские надписи и значение их для истории Передней Азии, ЖМНП, CCXXX, декабрь 1883, გვ. 205, 214-215.

2 ი.ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 104.

3 იქვე.

4 იქვე.

იგი დასძენდა: „ეს ორივე გარემოება ამტკიცებს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანე საქართველოს სამოქალაქო ისტორიის ერთადერთი და უუძველესი ძეგლი არ არის, და უფლებას გვაძლევს ვიმედოვნებდეთ, რომ ოდესმე ეს ძვირფასი და საგულისხმო წყაროებიც აღმოჩნდება და ჩვენ უფრო კარგსა და საყურადღებო ცნობებს შევიძენთ, ვიდრე ახლა გვაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის წყალობით“[1]. თუმცა ასეთი წყაროები ამჟამადაც კი უცნობია, მაგრამ რომ ისინი უცილობლად არსებობდნენ, ეს უეჭველია და მათი არსებობის დაშვებაში ივანე ჯავახიშვილი სწორი იყო.

ივანე ჯავახიშვილი არცთუ მთლად უნდობლად იყო განწყობილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მოთავსებული მეფეთა სიის მიმართ. იგი (ეს სია), როგორც უცხოელ ისტორიკოსთა ცნობებიდან ჩანს, სრული და სწორი არაა[2]. არ ჩანს აგრეთვე, თუ რა წყაროების მიხედვით არის შედგენილი ქართველ მეფეთა ეს სია[3]. აღნიშნულ საისტორიო თხზულებაში, როგორც ცნობილია, არის ცნობა არიან — ქართლიდან შიდა ქართლში მიგრაციის თაობაზე. ამის შესახებ კი ივანე ჯავახიშვილი ასეთ კომენტარს აკეთებდა: „და თუ ეს გარემოება ჩვენს ისტორიკოსს სცოდნია, უეჭველია მას რაღაც ძველი საყურადღებო საისტორიო წყაროები უნდა ჰქონოდა, რომელშიაც ალბათ გაცილებით მეტი ცნობები იქნებოდა, ვიდრე, მოქცევაჲ ქართლისაჲს „მატიანეშია შენახული“[4].

„მეფეთა ცხოვრებაში“ ფარნავაზსა და მის მოღვაწეობაზე დაცული თხრობის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ამ ცნობებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვთო[5]. ამ მტკიცებისას იგი გამოდიოდა სტრაბონის ცნობიდან, სადაც ლაპარაკია იბერიაში (ქართლში) გვაროვნულ წყობილებასა და კერძო საკუთრების არარსებობაზე. სამაგიეროდ ცნობა მამასახლისობის შესახებ მშვენივრად უდგება სტრაბონის აღწერილობას და ამდენად რომელიღაც ძველი საუკეთესო ქართული საისტორიო წყაროდან უნდა ყოფილიყო ამოღებული[6]. საყურადღებოდ თვლიდა დიდი ისტორიკოსი ლეონტი მროველის ცნობას წარმართობის შესახებ, კერძოდ იმას, რომ მემატიანე ქართველთა საერთო სარწმუნოებად მხოლოდ მნათობთა თაყვანისცემას თვლიდა. მაშასადამე, მას ქართული წარმართობის თაობაზე რაღაც სანდო ცნობები უნდა ჰქონოდა[7] ივანე ჯავახიშვილის მიხედვით ლეონტი მროველის თხზულებას დიდი მნიშვნე-

---

1 ი.ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 104.
2 იქვე, გვ. 107.
3 იქვე, გვ. 104.
4 იქვე, გვ. 106. იხ. აგრეთვე გვ. 107.
5 იქვე, გვ. 181.
6 იქვე.
7 იქვე, გვ. 182.

ლობა აქვს საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესწავლისათვის. ამაში კი მატიანეს რაღაც ძველი ქართული წყაროები ჰქონია. „ეს იმითა მტკიცდება, რომ ზოგან საზღვრების აღნიშვნის დროს მას ისეთი საგეოგრაფიო სახელი აქვს ხოლმე მოხსენებული, რომელიც მის დროს აღარ არსებობდა და მკითხველებისათვის გაუგებარი იყო. ამიტომ იგი იძულებული იყო იქვე ამ სახელების განმარტება დაერთო"[1].

ბევრად უფრო კრიტიკული იყო ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება ჯუანშერის თხზულების მიმართ. მან უნდობლობა გამოუცხადა „ქართლის ცხოვრების" ცნობას: „ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე (ე.ი. „მატიანე ქართლისაი"-ს თხრობამდე, გ.ყ.) აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან"[2]. მის მიხედვით ჯუანშერი არ იყო VIII საუკუნის მემატიანე, არამედ X ან XI საუკუნისა. (შევნიშნავთ, რომ თედო ჟორდანიას ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის თანამედროვედ მიაჩნდა). იგი აღნიშნავდა: „რასაკვირველია, ეს ცნობა მისი (ჯუანშერის, გ.ყ.) ვინაობის შესახებ მერმინდელი გადამწერის მიმატებული უნდა იყოს და ამისდა მიხედვით ზემოთ განსაზღვრულს იმ ჯუანშერს, რომელსაც ვახტანგ გორგასალის ც~ა უნდა დაეწერა, სრულებით არ შეესაბამება, რათგან „ცხოვრებას" ზღაპრული ელფერი ადევს და თვით თხზულებაშიც აქა-იქ იმგვარი ცნობები მოიპოვება, და ისეთი წყაროებია მოხსენებული, რომელნიც VIII ს.ჯერ არ არსებობდნენ"[3]. ივანე ჯავახიშვილის შენიშვნით, „ცხოვრების" მთელი თხრობაც არსად არ შეიცავს იმდროინდელი აღმოსავლეთი საქართველოს უტყუარ სურათს და თვითმხილველობის ნიშან-წყალიც არ ეტყობა. იგი ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას, საგმირო სახალხო ნაწარმოებს უფრო, ვიდრე უტყუარს და სანდო საბუთს[4].

ი.ჯავახიშვილი დასაშვებად თვლიდა, რომ ერისთავთ-ერისთავს ლიპარიტს, ბაგრატ მეფის ყმასა და მეტოქეს თავისი მემატიანე ეყოლებოდა[5].

ამრიგად, თვალი გავადევნეთ რა XX საუკუნის უდიდესი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის შეხედულებებს უძველეს ქართულ მატიანეებზე, დავასკვნით, რომ იგი მათ თვლიდა საკმაოდ სანდო საისტორიო პირველწყარო-

---

1 ი.ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 183. მაგალითად, მთა ქართლი — არპაზი, ციხე ორბისა — სამშვილდე, მტკვრის ციხე — ხუანი, ბოსტან-ქალაქი — რუსთავი, სანდირო ქალაქი — გაჩიანი, სოსანგეთი — აწყური, ბერ-ჩელეთი, ნელქარისი — ნეკრესი, ქაჯთა ქალაქი — პური, ზენა სოფელი — შიდა ქართლი და სხვ. ეს შენიშნული აქვს პაელე ინგოროყვასაც.

2 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 248.

3 ი.ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 185.

4 იქვე, გვ. 187-188.

5 ი.ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 436-446.

ებზე დაყრდნობით დაწერილად, ამდენად — საკმაო რაციონალური მარცვლის შემცველებად[1].

„მეფეთა ცხოვრების“ პირველწყაროების დადგენის საქმეში, ამით ძველი ქართული საისტორიო აზროვნების პროცესის წარმოჩენაში, მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა კ.კეკელიძის ნაშრომი „ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები“[2]. ლეონტის, კ.კეკელიძის შეხედულებით, გამოუყენებია ხალხური ეპოსი (კერძოდ მისი კვალი უნდა ეტყობოდეს ფარნავაზის სიზმარს, ასევე მეფე — ბუმბერაზთა და მტრების შერკინებანი), ბერძნული წყაროები (ფსევდოკალისთენეს „ალექსანდრიანი“, ერთ-ერთი ბიზანტიელი ისტორიკოსი, რომელსაც მოთხრობილი ჰქონდა კონსტანტინე დიდის გაქრისტიანების ამბავი), ფსევდოეფრემის „განძთა ქუაბის“ (დაწერილი იყო ასურულ ენაზე) ერთ-ერთი რედაქციის ბერძნული თარგმანი)[3], მეთოდიოს პატრელის „მოთხრობაჲ უცთომელი სუფევისათვის ნათესავთა და უკანასკნელთა ჟამთათვის“ (*Περι της βασιλειας των εθνων και εισ τουσ εσχατουσ καιρουσ ακριβης αποδειξις*), სპარსული (შაჰ-ნამე) და სომხური წყაროები (ე.წ. აგათანგელოსის ისტორია, მოსე ხორენელის „ისტორია“).

საყურადღებოა კ.კეკელიძის შემდეგი მოსაზრება: „ლეონტის ხელთა ჰქონია რაღაც ძველი ისტორიული ნაშრომი, რომელიც შეიცავდა ქართველთა წარმართობის ხანას. როგორც მეორე ნაწილში თავის შრომისა მან თითქმის მთლიანად და უცვლელად შეიტანა უკვე მის დროს არსებული ცხოვრება წმ. ნინოსი და მას თავის მხრივ დაუმატა ეპიზოდი რიფსიმიანთა შესახებ, ისე პირველს ნაწილში მან მთლიანად გადმოწერა მზამზარეული უძველესი შრომა, რომელშიაც მექანიკურად ჩააკერა სხვა და სხვა წყაროებიდან ამოკითხული ეპიზოდები“[4]. სწორედ ამ საისტორიო ნაშრომს, რომლიდანაც, კეკელიძის აზრით, ლეონტის ნაშრომში გადასულა როგორც ზღაპრული, ასევე მეცნიერული თვალსაზრისით საყურადღებო მასალა, ახასიათებდა არმენოფილური ტენდენცია[5]. ამ გარემოებიდან გამომდინარე იგი შეეცადა დაედგინა აღნიშნული არქეტიპის დაწერის ხანა. მისი მოსაზრებით, ასეთი არმენოფილური თხზულებანი ქართლში იწერებოდა სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივ-კულტურული ერთობის პერიოდში, ე.ი. არა უგვიანეს VIII საუკუნის პირველი

1 გაზვიადებად მიგვაჩნია სიტყვები: „მისი თხზულება (ლეონტი მროველისა, გ.ყ.), როგორც სანდო მასალა ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის, ახლა თითქმის სრულებით გამოუდეგარია“. ი.ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 183.

2 იხ. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1923, III.

3 ეს შენიშნული ჰქონდა ი.ჯავახიშვილსაც, ოღონდ იმ განსხვავებით რომ კ.კეკელიძე „განძთა ქუაბს“ ნებროთის წიგნად თვლიდა.

4 კ.კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, გვ. 54.

5 იქვე. გვ. 55-56.

მეოთხედისა[1]. მეორე მხრივ ლეონტის ნაშრომი მნიშვნელოვანწილად იყო დამყარებული მოსე ხორენელის ისტორიაზე (კ.კეკელიძის აზრით ეს უკანასკნელი დაწერილი იყო VII საუკუნის ბოლოს).

კ.კეკელიძის აზრით ლეონტი მროველი პოეტი-ისტორიკოსი გახლდათ, შესაბამისად მისი ნაშრომის ისტორიული ფასეულობა ფრიად უმნიშვნელოა (თვით ტერმინი მამასახლისიც კი თითქოს ლეონტის მოსე ხორენელის თხზულებიდან გადმოუღია).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია აქედან გამომდინარე დასკვნა: „მეფეთა ცხოვრება“ XI საუკუნეში, ე.ი. განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში კი არ შექმნილა ძირითადად, არამედ ძირითადად იგი მანამდე VII საუკუნის გასულს ან VIII საუკუნის დამდეგს (პირველი ნაწილი) იყო შექმნილი. ასე რომ, ლეონტის როლი მხოლოდ რედაქტირებაში გამოიხატა[2]. იგივე არქეტიპი ამოსავლად იქცა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სათვის.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის შესწავლაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი პ.ინგოროყვას, რომელმაც რამდენიმე მოზრდილი სპეციალური ხასიათის ნაშრომი მიუძღვნა აღნიშნულ თემას. ჯერ შევჩერდებით ნაშრომზე „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“, რომელიც 1939-40 წლებში დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“. მკვლევრის შეხედულებით VII საუკუნეში ქართულად არსებულა ვრცელი მატიანე, რომელიც აღწერდა ათსაუკუნოვან პერიოდს, ე.ი. ძვ.წ. IV საუკუნიდან ახ.წ. VII საუკუნის 40-იან წლებამდე. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მემატიანე ერთი მხრით, ხოლო ლეონტი მროველი და ჯუანშერი მეორე მხრით, მისდევდნენ ერთი და იმავე ძველი მატიანის ქარგას, მხოლოდ ზოგიერთი ვარიაციებით.

პ.ინგოროყვა ი.ჯავახიშვილის მსგავსად სარწმუნოდ მიიჩნევდა გრიგოლ დიაკონის არსებობას, რომელსაც IV-V საუკუნეებში უნდა ეცხოვრა და რომელსაც დაუწერია მოკლე „წიგნი ქართველთა მოქცევისა“. გაამახვილა რა ყურადღება ერთი ექსცერპტის (რომელიც ქართლში სპარსთა მფლობელობას ეხება IV საუკუნეში) შენიშვნას „ესე აღწერილი გამოკრებულად არს“[3], პ.ინგოროყვა მახვილგონივრულ დასკვნას აკეთებდა იმის თაობაზე, რომ არსებობდა მატიანე, რომელიც ამ ხანას ასახავდა. გარდა ზემოთ მოყვანილი შენიშვნისა, მკვლევარი გამოდიოდა იმ გარემოებიდანაც, რომ თხრობა სპარსთა მფლობელობის დამყარე-

---

1 კ.კეკელიძის აზრით ამას ადგილი არ უნდა ჰქონოდა X-XI საუკუნეებში, როდესაც შლიდნენ სომხური გავლენის კვალს და ხელმეორედ (სხვა ენიდან) თარგმნიდნენ. მაშინ საკითხავია თუ რატომ დარჩა არშენოფილური ტენდენცია „მეფეთა ცხოვრებაში“.

2 მის შესახებ კ.კეკელიძე წერდა: „დამოუკიდებელი კვლევა-ძიების უნარი მას მაინცადამაინც დიდი არ ჰქონია. მას უფრო მზამზარეული მასალის გადატანა ეხერხებოდა, როგორც ეს მისი შრომის მეორე ნაწილიდან ჩანს“. იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

3 მოქცევაჲ ქართლისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, I, 1963, გვ. 95.

ბისა ქართლში და კავკასიის მთიანეთში იმდენად ზუსტი და ნიშანდობლივი გახლავთ, რომ მემატიანე ბევრით არ უნდა ყოფილიყოს დაშორებული აღწერილი ეპოქიდან. სახელდობრ იგი თითქოს ჰერაკლე კეისრის თანამედროვე უნდა ყოფილიყოო.

პ. ინგოროყვას მოსაზრებითვე ვახტანგ გორგასლის ცხოვრება უშუალოდ აღუწერია „თანადამხდურ“ მემატიანეს. ვახტანგის შესახებ ეს მატიანე, მისი შეხედულებით, ექსცერპტულად გამოუყენებია უფრო გვიან ხანაში უჯარმოელს (ჯუანშერს) თხზულებაში, აგრეთვე გამოყენებულია არსენის მეტაფრასში, რომელიც ვახტანგ გორგასლის მეფობას ეხება.

მკვლევარი დასაშვებად თვლიდა აგრეთვე აბიათარის მატიანის არსებობას. ამას იგი დაასკვნიდა ანასეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის შენიშვნიდან: „ცხორება და მოქცევა ქართლისა, და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ ვითარ მოვიქეცით და მივიღეთ სჯული ქრისტეანობისა... — აღწერილი აბიათარისი“[1]. შესაბამის ტექსტშიც ნინოს მოგზაურობა ქართლის მთიანეთში, კახეთსა და კუხეთში, პ.ინგოროყვას დაკვირვებით, იმდენად კონკრეტულია, რომ მისი ავტორი იმავე პერიოდის მოღვაწე ყოფილა.

აღნიშნულ საკითხზე პ.ინგოროყვამ აზრი შემდგომ განავითარა ნაშრომში „ლეონტი მროველი. ქართველი ისტორიკოსი. „ჰამბავთა მწერალი მე-8 საუკუნისა“[2]. მისი დაკვირვებით ქართულ საერო მწერლობას ადრიდანვე შეუთვისებია ძველი ფაჰლაური საგმირო ეპოსის ტრადიციები. კიდევ მეტი, ამ ხანაში, ე.ი. VIII-IX საუკუნეებში, ქართულად იწერებოდა საგმირო რომანები იმ ტიპისა, როგორიც გახლავთ მაგალითად შემდეგდროინდელი „ამირან-დარეჯანიანი“. ლეონტი მროველისა და ჯუანშერის (უჯარმოელის) ისტორიულ-ეპიკური მოთხრობები დამუშავებულია ასეთი რომანების სპეციფიკური სტილით[3]. მანამდე იყო შექმნილი ეპიკური მოთხრობის სახით ფარსმან ჭუელის ისტორია.[4] კიდევ უფრო ჩანს ფოლკლორული შემოქმედება ფარნავაზის თავგადასავლის თხრობისას[5]. პ.ინგოროყვას შეხედულებით „ხალხური ეპოსის გავლენა მოსჩანს არა მარტო თქმულებათა შინაარსში, არამედ ზოგჯერ თითონ გარეგან ფორმაში, არქაულობით აღბეჭდილ რიტმულ წყობაში და ხალხური ეპოსისათვის დამახასიათებელ სახეების პარალელიზმში“[6]. თვითონ ლეონტი მროველი, მკვლევრის

---

1 მოქცევაჲ ქართლისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, I, 1963, გვ. 363.
2 იხ. ენიმკის მოამბე, X, 1941.
3 პ.ინგოროყვა, ლეონტი მროველი... გვ. 95. ავტორის დაკვირვებით სპარსული თქმულებები ჩვენში უკვე ამ ხანაში გავრცელებულა.
4 იქვე, გვ. 97. სხვათა შორის, ფარსმანზე მოთქმას მკვლევარი ლექსის ფორმით გადმოსცემდა. იხ. გვ. 99.
5 იქვე, იხ. გვ. 100.
6 იქვე, გვ. 101.

დასკვნით, VIII საუკუნის ავტორი ყოფილა, თანაც ერისკაცი. კ.კეკელიძის მსგავსადვე ლეონტის არმენოფილური ტენდენციას იგი იმით ხსნიდა, რომ სომხებსა და ქართველებს შორის ახლო კულტურული ურთიერთობა არსებობდა არაუგვიანეს VII-VIII საუკუნეებისა.

ცნობილია რომ ლეონტისადმი მიწერილ თხზულებაში მეორე თავი ასე იწყება: „ხოლო აქათგან ვიწყოთ და წარმოვთქუათ ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა, და ცხოვრება მათი ვიდრე დღეთა ჩუენთამდე“[1]. მაგრამ ეს თხრობა მოყვანილია არა XI ან VIII საუკუნემდე, როცა ვარაუდობენ ლეონტი მროველის ცხოვრებას, არამედ ვახტანგ გორგასლამდე, თანაც თხრობის ბოლოს რამდენადმე დასრულებული ფინალი არა აქვს. ამ გარემოებას პ.ინგოროყვა ასე ხსნიდა: ლეონტი შესაძლოა ეხებოდა VI-VIII საუკუნეებსაც, მაგრამ შესაბამისი ტექსტი დაიკარგაო[2].

პ.ინგოროყვამ სპეციალური ნაშრომი დაწერა ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სიის შესახებ[3]. მისი აზრით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში მოთავსებული იბერიის მეფეთა სია, საერთოდ, ავთენტურობის ბეჭედს ატარებს. ამ სიის სახით ჩვენ გვაქვს არა ლეგენდარული წყარო, არამედ ისტორიული ხასიათის დოკუმენტი.[4] თავდაპირველი მატიანე, რომლისგანაც დამოკიდებული ყოფილა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ პ.ინგოროყვას მახვილგონივრული შენიშვნით არმაზში ყოფილა დაწერილი და ამის გამო „იმიერი“ გულისხმობდა მცხეთას, ხოლო „ამიერი“ — არმაზს[5]. მოგვიანებით, როდესაც მატიანე გადაუმუშავებიათ მცხეთაში, ძველი მატიანის სიტყვები „იმიერი“ და „ამიერი“ შებრუნებული სახით გაუგიათ, ე.ი. „იმიერი“ როგორც არმაზი, „ხოლო „ამიერი“ როგორც მცხეთა[6]. პ.იგნოროყვას დასკვნით ლეონტი მროველი დამოკიდებული იყო არა უშუალოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ზე, რომელსაც იგი VII საუკუნის წყაროდ თვლიდა, არამედ სხვა საისტორიო პირველწყაროზე, რომელიც ანალოგიურ მეფეთა სიას შეიცავდა[7]. ამ პირველწყაროდანვე მოდის ცნობა მამასახლისის ინსტიტუტის შესახებ ძველს იბერიაში. ნაშრომში მითითებულია ფავსტოს ბიზანტიელის შესაბამისი ცნობა ფარნავაზიანების შესახებ[8].

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 8.

2 პ.ინგო�ოყვა. ლეონტი მროველი..., გვ. 150. სხვათა შორის გასული საუკუნის 50-იან წლებში დ.ბაქრაძე ლეონტის VII ს. მოღვაწედ თვლიდა.

3 პ.ინგოროყვა. ძველ-ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI-B. 1941.

4 იქვე, გვ. 272.

5 იქვე, გვ. 274, გვ. 310-311.

6 იქვე, გვ. 274.

7 იქვე, გვ. 277, 278.

8 იქვე, გვ. 292, 312.

პ. ინგოროყვას ნაშრომები დამყარებული იყო მცხეთის არქეოლოგიურ და ეპიგრაფიკულ აღმოჩენებზე. ამავე აღმოჩენებზე დაყრდნობით გ.წერეთელმა თავის „არმაზის ბილინგვაში“ (დაიბეჭდა 1942 წელს) დააყენა საკითხი ძველქართული წყაროებისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების გადასინჯვის თაობაზე.

ჩვენს მიერ განხილულ პ.ინგოროყვასეულ მესამე ნაშრომის შინაარსს ავსებს გ.მელიქიშვილის სტატია „ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის“[1].

1966 წელს გამოსულ ნაშრომში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს წყაროებისათვის“[2]. ლ.ჯანაშია იზიარებდა კ.კეკელიძის აზრს იმის თაობაზე, რომ ლეონტი მროველს ხელთ ჰქონდა VII-VIII საუკუნეებში დაწერილი ნაშრომი, რომელიც შეიცავდა ქართველთა წარმართობის ხანის ისტორიის თხრობას. ეს ნაშრომი მას მთლიანად გადაუწერია ისევე, როგორც შემდგომი ხანის შესახებ თხრობისას გადაიწერა „ნინოს ცხოვრება“, ოღონდ შიგ მექანიკურად ჩაურთავს სხვადასხვა წყაროებიდან ამოღებული ეპიზოდები. მკვლევრის აზრით: „პირველი რედაქციის ავტორი, როგორც ირკვევა, არის დაკვირვებული, მცოდნე და განათლებული პირი, რომელიც თავის წყაროს ცნობას ასწორებს, ამდიდრებს და ოსტატურად უკავშირებს თავის თხრობას. მეორე რედაქციის ავტორს (ე.ი. ლეონტი მროველს, გ.ყ.) კი თავისი წყარო დაუდევრად წაუკითხავს, კარგად ვერ გაუგია და ცნობა იქიდან დამახინჯებით და შემოკლებით გადმოუტანია“3. სხვადასხვა საისტორიო წყარო შეკრიბა, მათი ცნობები ურთიერთ დააკავშირა და საერთო კონცეფციით გამართა „მეფეთა ცხოვრების“ პირვანდელმა, VII-VIII საუკუნეების ავტორმა, ლეონტი მროველი კი ამ პირვანდელი ტექსტის რედაქტორად უნდა ვიგულვოთო[4]. ეს რედაქცია, ლ.ჯანაშიას მოსაზრებით, ჩატარებულა XI საუკუნეში და მისი ავტორი გახლავთ ლეონტი მროველი. ამ უკანასკნელის ჩანართები გაკეთებულია დაუდევრად. ლეონტი არაა მაინცდამაინც დაკვირვებული და დახელოვნებული ისტორიკოსი და ამ მხრივ ძველი ტექსტის ავტორი აშკარად მასზე მაღლა დგას[5].

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ პირველ ტომში შეჯამებულია რა წინამავალ მკვლევართა აზრები, აღნიშნულია, რომ „ქართლის ცხოვრება“, კერძოდ „მეფეთა ცხოვრება“ სარგებლობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკით,

---

1 ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკეთი I, 1958. იხ. აგრეთვე მისივე: ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი. საზოგადოებრივ. მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1962, № 2; ფარნავაზი და ფარნავაზიანები ძველ სომხურ საისტორიო წყაროებში, მაცნე, 1967. №3.

2 გამოქვეყნებულია „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხების“ კრებულში.

3 ლ.ჯანაშია, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს წყაროებისათვის, გვ. 138.

4 ლ.ჯანაშია, „ცხოვრება მეფეთა“-ს წყაროებისათვის, გვ. 142.

5 იქვე. გვ. 143.

მაგრამ ამასთანავე მატიანის შესაბამისი ნაწილის ავტორებს ხელთ ჰქონიათ „მოქცევაჲ“-ს უფრო უკეთესი ვარიანტი, ვიდრე ჩვენამდეა მოღწეული“[1].

ამით დავამთავრებთ უძველესი და ადრეფეოდალური ხანის შესახებ ქართული საისტორიო ტრადიციის გააზრებას ქართულ მეცნიერებაში. როგორც დავინახეთ, ი.ჯავახიშვილის, პ.ინგოროყვას, კ.კეკელიძის და სხვათა წყალობით ბევრი რამ აღნიშნული საკითხის თაობაზე გარკვეულია. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი რამაც გასარკვევია. „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობა, შესაბამისი ნაწილების დაწერის დროისა და ავტორების ვინაობის დადგენა და.შ. კიდევ დიდ მუშაობას მოითხოვს. ჩვენ, თ.ჟორდანიას, კ.კეკელიძის, ს.კაკაბაძის, ნ.ბერძენიშვილის[2], გ.მელიქიშვილის და ლ.ჯანაშიას მსგავსად, ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოში არსებობდა საისტორიო ტრადიცია, კერძოდ გამართული მატიანე, ხოლო ლეონტი მროველი რედაქტორი გახლდათ, რომელმაც არსებული მატიანის რედაქტირება XI საუკუნეში ჩაატარა.

როგორც ვიცით, ქართლში (იბერიაში) სამეფო ხელისუფლების წარმოშობისთანავე ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართული“[3]. „მწიგნობრობა“ კი ამ კონტექსტში ფართო მნიშვნელობის ტერმინია და დამწერლობასთან ერთად მოიცავს მეცნიერებასა და ხელოვნებასაც (კერძოდ მხატვრულ ლიტერატურას). ჩვენთვის აქ არაა საინტერესო თუ სახელდობრ რომელი დამწერლობა იგულისხმება მოცემულ კონტექსტში: ქართული თუ არამეული ანბანი. მთავარია რომ არსებობდა დამწერლობა, რომლის მეშვეობითაც შეიძლებოდა ისტორიოგრაფიის (საისტორიო მეცნიერების) დაწყება. ცნობილი რომაელი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტუსი ახ.წელთაღრიცხვის 30-იანი წლების იბერია-სომხეთის ამბებს რომ ეხება, რადამისტის დახასიათებისას აღნიშნავს: „patrias artes edoctus“[4]. „Artes“-ში კი მეცნიერება და ხელოვნება იგულისხმება, რისი აღიარებაც რომაელი ავტორისაგან უაღრესად ნიშანდობლივია. „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ „მეფეთა ცხოვრებაში“, მოხსენიებულია „მგოსნები“, „მგოსა-

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. 1970. გვ. 57, 59. იხ. აგრეთვე: იხ. Г.Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, с. 37, 44, 47. „მოქცევაჲ“-ს დაწერის ძირითადი მიზანი ცხადია, ამიტომაც მასში გაქრისტიანების წინარე ისტორია ვრცლად არ იქნებოდა დაწერილი, მითუმეტეს შედგენილი.

2 ნიკო ბერძენიშვილი 1958 წელს წერდა: „იბერიას თავისი პოლიტიკური წარსულის ცოდნა მწყობრად გამართული თხრობის სახით ჯერ ისევ წინაქრისტიანულ ხანაშივე მოეპოვებოდა“. იხ. „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წ. III, 1966, გვ. 354.

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 26. ფარნავაზის ისტორიულობის თაობაზე იხ. აგრეთვე გრიგოლ გიორგაძის „ფარნავაზი თუ ფარნავაზიანი“, „მნათობი“, 1986, № 10.

4 Корнелий Тацит, Сочинения в двух томах, т. I, 1969. с. 213. ეს გარემოება სწორად შენიშნა ლ.სანიკიძემ. იხ. მისი სტატია „ტაციტუსი ქართული უმაღლესი განათლების შესახებ“, „ცისკარი“, 1972, № 2.

ნნი გლოვისანი"[1], ე.ი. ბერძენი რაფსოდების მსგავსნი, რომელთა ფუნქციას შეადგენდა, უნდა ვივარაუდოთ, გარდასული ისტორიული ამბების, მეფეთა res gesta-ს თხრობაც. ამდენად მგოსანთა შემოქმედება საისტორიო ცოდნა-წარმოდგენების გამომუშავებასაც გულისხმობდა.

როგორც ეს შენიშნულია ქართულ მეცნიერებაში (კ.კეკელიძე, პ.ინგოროყვა, მ.ჩიქოვანი) საისტორიო ცოდნა-წარმოდგენების განვითარებას ხელს უწყობდა საერთოდ ფოლკლორი.

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას იმპულსები ეძლეოდა იმ კულტურული გარემოს (საისტორიო) გავლენითაც, რომელშიც ჩართული იყო ქართული საზოგადოება. მართალია დიდი ხნის მანძილზე ყველაზე მოწინავე ბერძნული ისტორიოგრაფიის ზეგავლენა ჩვენსაზე არ შეინიშნება, მით უფრო-რომაული ისტორიოგრაფიისა, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიას ჰქონდა იმპულსები ირანული სამყაროს საგმირო ეპოსიდან (მ.ჯანაშვილისა და პ.ინგოროყვას შეხედულებით ჯერ კიდევ „შაჰ-ნამეს" შექმნიდან მოყოლებული), სომხური ისტორიოგრაფიიდან (განსაკუთრებით ეს ითქმის მოვსეს ხორენაცის თხზულებაზე), სირიულიდან ("განძთა ქუაბი" ფსევდოეფრემისა) და შემდეგ ბიზანტიურიდან. დასასრულს ცალკე უნდა აღინიშნოს „ბიბლიის" ზემოქმედება ქართულ მსოფლმხედველობაზე და კერძოდ საისტორიო აზროვნებაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ სარწმუნოდ მივიჩნევთ „ქართლის ცხოვრების" სახელდობრ ამ ცნობას: „ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე (იგულისხმება ვახტანგ გორგასალი, გ.ყ.) აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად"[2]. ამის შემდეგ, ე.ი. ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღწერიდან მოყოლებული არჩილ მეორის მეფობის ჩათვლით, აღწერა ჯუანშერმა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, მეთერთმეტე საუკუნის ავტორი გახლდათ (ი.ჯავახიშვილი, კ.კეკელიძე), მაგრამ სარგებლობდა გორგასლისდროინდელი მატიანით. ამას მოსდევს არჩილ მეორის წამების ამბავი, რომელიც ლეონტი მროველს მიეწერება. თუმცა თავისთავად აღებული ეს თხზულება ჰაგიოგრაფიული ჟანრისა გახლავთ, მაგრამ რამდენადაც მეფის ცხოვრებას ეხება, იგი ჩართულ იქნა „მეფეთა ცხოვრების", ამდენად „ქართლის ცხოვრების" მატიანეში. „არჩილის წამების" შემდეგ თხრობას აგრძელებს ანონიმი ავტორი „მატიანე ქართლისაჲ"-ში, რომლის ძირითადი ნაწილი უკვე განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდზე მოდის.

---

1 „ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 40, 53.

2 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 248. ამ ცნობას უპირისპირდება მეორე: „ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა". იხ. იქვე, გვ. 244. სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ პირველი ცნობა, რამდენადაც ქართლის მოქცევა არაკეთილ შემთხვევაში არ დაუწერია ლეონტი მროველს, არამედ მან მხოლოდ რედაქტირება გაუკეთა უკვე არსებულ ტექსტს, იგივე უნდა ითქვას „მეფეთა ცხოვრების" მიმართ.

ამრიგად, ძველი ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნიდან მოყოლებული განვითარებული ფეოდალიზმის დადგომამდე, ე.ი. მთელი 11 საუკუნის მანძილზე ქართველობას გააჩნდა საისტორიო ტრადიცია, რომელიც გადმოსცემდა გაბმულ თხრობას[1]. მართალია ამ საისტორიო ტრადიციაში ბევრი რამ გულუბრყვილო და ზღაპრულია, მაგრამ იგი უთუოდ შეიცავს რაციონალურ მარცვალს, რომლის დადგენა ქართული მეცნიერების (ისტორიოგრაფიისა და ფილოლოგიის) აქტუალური ამოცანაა. ამ რაციონალური მარცვლის, შესაბამისი ფაქტების იგნორირებით ქართული ისტორიული პროცესის გადმოცემა ძალზე გაღარიბდება.

რამდენადაც ძველი ქართული მატიანის ტექსტს უშუალო სახით ჩვენამდე არ მოუღწევია და მოვიდა გადამუშავებული სახით, ამდენად მის ავტორთა მსოფლმხედველობაზე ჩვენ ცოტა რამის თქმა შეგვიძლია. უკვე ის ფაქტი., რომ თავიანთ თხრობას ჩვენი მემატიანენი მეფეთა ცხოვრება-მოღვაწეობის მიხედვით ახდენდნენ, გვიხსნის მათ მიერ გვირგვინოსნებზე გაზვიადებულ წარმოდგენას. (ბევრგან, როგორც ცნობილია, თხრობას აწარმოებდნენ წლების მიხედვით, აქედან წარმოსდგა „ანალები“). შესაძლოა ეს იქიდანაც წამოვიდა, რომ ჩვენი მემატიანენი სამეფო კარზე მოღვაწეობდნენ.

მეფეებზე მაღლა, მათი აზრით, იდგნენ ღმერთები, უპირველესად არმაზი, რომელთა ნება-სურვილი განსაზღვრავდა საზოგადოების ცხოვრების მდინარეობას. საყურადღებოა, რომ მათთან ერთად ძლიერ ძალად ფიგურირებს „სუე“. (მაგალითები: „ვჰმადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა და აღგვიხადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან“, „ვაი ჩუენდა, რამეთუ მოგვძინა სუემან ბოროტმან, და მეფე ჩუენი, რომლისგან ხსნილ ვიყვნით მონებისაგან მტერთასა, მოიკლა იგი კაცთა მგრძნებელთაგან, და აწ მივეცენით ჩუენ წარტყუენვად ნათესავთა უცხოთა“; „მოსცა სუემან მისმან ძლევა: აოტა ბანაკი მათი და მოსწყვიდნა ურიცხუნი“[2] და სხვ.). შესაძლებელია „სუე“ ჩვენში გავრცელდა ელინისტურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული „τυχη“-დან. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ჩართულობას ელინისტური ქვეყნების სისტემაში, მაშინ ეს ვარაუდი მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს. შემდეგში, ქრისტიანული რელიგიის გავრცელების კვალობაზე, ღმერთების, „სუეს“ ძალა გადატანილ იქნა ერთიან ღმერთზე, რომლის განგები-

1 საინტერესო საკითხი გახლავთ, თუ რა ტერმინით აღნიშნავდნენ ძვ.წ. III საუკუნიდან მოყოლებული ისტორიული პროცესის გადმოცემას. ი.ჯავახიშვილის მიხედვით (იხ. მისი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“) „ცხოვრება“ ჯერ აღნიშნავდა წმინდანთა და მარტვილთა მოღვაწეობას, ხოლო შემდეგ იგი დამკვიდრდა „ისტორიის“ მნიშვნელობით. გვიანდელ სიტყვათხმარებაში არიან შემოსული „სამბავი“, „მატიანე“. იხმარებოდა „ნათესავთმეტყველებაც“ (ხალხთა გენეალოგიის აზრით. მაგრამ ეს ტერმინიც ალბათ გვიანდელი უნდა იყოს).

2 იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 26, 52, 53.

თაც თითქოს წარიმართებოდა და წარიმართება მთელი კაცობრიობის, მათ შორის, რასაკვირველია, ქართული საზოგადოების ისტორია.

თუმცა ჩვენი ძველი მემატიანეების უმთავრეს მიზანს შეადგენდა პოლიტიკური ისტორიის თხრობა, მაგრამ ამასთანავე ისინი გვერდს ვერ უვლიდნენ მშენებლობათა, კულტურული (რელიგიური) ცხოვრების მომენტების ჩვენებასაც.

დასასრულს „მეფეთა ცხოვრებაში“ აშკარად გამოკვეთილი არმენოფილური ტენდენციის თაობაზე. ზოგიერთების (პ.რატიანი, ა.აბდალაძე) მიხედვით ეს ტენდენცია შექმნა ლეონტი მროველმა XI საუკუნეში განსაზღვრული პოლიტიკური მიზნით. კ.კეკელიძის, პ.ინგოროყვასა და გ.მელიქიშვილის მიხედვით ასეთი არმენოფილური ტენდენცია, შეხედულება არვითარ შემთხვევაში არ უნდა შექმნილიყო აღნიშნულ საუკუნეში, არამედ როგორც უკვე მივუთითებდით — VII-VIII საუკუნეებში, როდესაც სომხებსა და ქართველებს მჭიდრო კულტურული კონტაქტები გააჩნდათ. ს.კაკაბაძის შეხედულებით, ეს უნდა წარმოქმნილიყო ძვ.წ. II-I საუკუნეებში, როცა ადგილი ჰქონდა სომეხთა პოლიტიკურ აღზევებას, მათ მიერ იბერიისაგან რიგი მხარეების (პარიადრი, ხორძენე და გოგარენე) ჩამორთმევას.

საერთოდ ლეონტი მროველის არმენოფილური პოზიცია, ასე მკვეთრად რომ არის ნაჩვენები „მეფეთა ცხოვრებაში“, აშკარად წინააღმდეგობაშია ეთნოცენტრიზმის თეორიასთან, რომლის თანახმადაც თითოეული სოციალური კოლექტივი, მათ შორის ეთნოსი, თავისთავს წარმოიდგენს ცენტრად, რომლის პრიზმაში იგი განიხილავს სხვა კოლექტივს, ეთნოსებს, მათს ტრადიციებს. ჩვენი აზრით არც II-I და არც VII-VIII საუკუნეებში მსგავსი არმენოფილური ტენდენცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაჩენილიყო. იგი წარმოიშვა XI საუკუნეში, მაგრამ სულ სხვა მიზეზით[1].

აღნიშნული მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა როდია ფანტაზიისა და გამონაგონისა. ეს გამონაგონი ხშირია ბუმბერაზთა შერკინებებზე, ნინოსა და ასურელ მამათა სასწაულებზე თხრობისას. საქმე იმაში გახლავთ, რომ იმდროინდელი მემატიანე ვერ მიჯნავდა მკვეთრად რეალისტურ, სინამდვილის ამსახველ, აზროვნებასა და წმინდა გამონაგონს. ასევე ითქმის, რა თქმა უნდა, მაშინდელ მკითხველთა მიმართაც. დაწერილი უკვე დიდი ტრადიცია იყო, რომელსაც ავტორებიც და მკითხველებიც გულუბრყვილოდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აღიქვამდნენ. ასე მოხდა, კერძოდ, სომეხთა ყოველმხრივი პრიორიტეტების მიმართ.

სამაგიეროდ ჩვენი მემატიანეების შემოქმედება დღემდე სანიმუშოდ რჩება

---

1 ამის შესახებ იხილეთ ჩვენი ნაშრომი „ლეონტი მროველის ეთნიკური თვითშეგნების საკითხი“.

ახვა მხრივ, სახელდობრ იმით, რომ მათ მიერ ისტორიული ამბების თხრობა მიმზიდველია, მკითხველებზე ცოცხალ შთაბეჭდილებას ახდენს, იწვევს მათში შესაბამის ემოციებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი ძველი საისტორიო თხზულებანი წარმოადგენენ მეცნიერებისა და ხელოვნების (მხატვრული ლიტერატურის) სინთეზს. ამიტომაც მათ საპატიო ადგილი უკავიათ ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მათს (ამ თხზულებების) ამგვარ ხასიათს ხელი შეუწყო ფოლკლორისა (ქართული) და ირანული საგმირო ეპოსის ზემოქმედებამ. შემდგომში ამავე მიმართულებით ზემოქმედებდა ჰაგიოგრაფიაც, რომელიც თავის მხრივ თვითონ შეიცავდა საისტორიო ცოდნა-წარმოდგენებს. შემთხვევით როდი მომხდარა, რომ ივანე ჯავახიშვილმა თავის „ქართულ საისტორიო მწერლობაში" ამდენი ადგილი დაუთმო ჰაგიოგრაფიას „შუშანიკის წამებიდან" მოყოლებული, რომ განსაკუთრებით „აბოს მარტვილობას" იგი ნიშანსვეტად მიიჩნევდა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების გზაზე. ქართველ მემატიანეთა შემოქმედების ეს მხარე, ვიმეორებთ, მისაბაძი მაგალითია უახლოესი ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

\+ + +

ახლა გადავალთ უშუალოდ ქართული საისტორიო ტრადიციის მიერ ჩვენი ისტორიული პროცესის გაცნობიერებაზე, კერძოდ მის (ამ პროცესის) პერიოდიზაციაზე.

ცნობილია, რომ ქრისტიანულ ქვეყნებში ფეოდალიზმის ბატონობის პირობებში გავრცელებული იყო შეხედულება, რომლის თანახმადაც ისტორიული პროცესი წარმოადგენს კეთილი (ღმერთი) და ბოროტი (ეშმა) ძალების ჭიდილის სარბიელს. ოპოზიცია არსებული სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი, მათი დამცველი ეკლესიისადმი და რელიგიისადმი გაბატონებული ფენების მიერ აღიქმებოდა ბოროტი ძალების აქტიურობის გამოვლინებად. ეს დუალიზმი, ვიმეორებთ, ფეოდალიზმსა და მის იდეოლოგიას გაჰყვა მთელს სიგრძეზე. აქედან გამომდინარეობდა ისტორიული პროცესის გააზრება, როგორც ღმერთის გეგმის, წინასწარდასახულობათა მუდმივი განხორციელება. ამ თვალთახედვით ადამიანთა, მათ შორის მეფეების, ყოველგვარი აქტიურობა განიხილებოდა როგორც ამ ღვთაებრივი ნების, გეგმის გამოხატულება (პროვიდენციალიზმი).

ქრისტიანულ იდეოლოგიაში ისტორიული პროცესი განიხილებოდა როგორც პროგრესის ცენტრების გადანაცვლება — ასურეთ-ბაბილონი, მიდია-სპარსეთი, საბერძნეთი-მაკედონია და რომი.(ამ უკანასნელში საკუთრივ რომის იმპერიის გარდა იგულისხმებოდა კარლოს დიდისა და ოტონების სახელმწიფოც. ეს დასავლეთში. აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში კი რომში გაიაზრებოდა

ბიზანტიაც, რომლის დაცემის შემდეგ მის მემკვიდრედ, როგორც ცნობილია, თავი გამოაცხადა რუსეთმა).

აღნიშნულ კონცეფციებს, ცხადია, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაექცეოდა ქართული ფეოდალური იდეოლოგია, კერძოდ ისტორიოგრაფია.

მართლაც მეფეთა res gesta-ს გადმოცემისას ქართველი მემატიანენი არ არიან დაეჭვებულნი მათს საფუძვლიანობასა და სამართლიანობაში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათი საქმიანობა საბოლოო აზრით თითქოს ღმერთის ნების გამოვლინება გახლდათ და მეორეც, ქართველი მეფეები ხომ თითქოსდა ღვთისაგან ხელდასხმულნი იყვნენ. გვაქვს გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა მემატიანეთა მიერ მეფეთა საქციელი არაა მოწონებული, კიდევ მეტი: მათადმი მიმართული ოპოზიცია გამართლებულია. მაგალითად ქართლის მეოთხე მეფის ფარნაჯომის მიმართ ჩვენი მატიანე აღნიშნავს: „შეიყუარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლისმსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა“[1]; „მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და რქუეს: „მეფე ჩუენი გარდახდა სჯულსა მამათა ჩუენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა, შემოიღო სჯული მამული (ე.ი. სპარსული, გ.ყ.) და დაუტევა სჯული დედული (ე.ი. ქართული, გ.ყ.). აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩუენდა. მოგუეც ძე შენი არშაკ, რომელსა უზის ძალი შენი, და ვაოტოი ფარნაჯომ, შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩუენდა ძე შენი არშაკ და დედოფლად ჩუენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩუენთა“[2]. მემატიანე შემდეგ მოგვითხრობს, თუ როგორ დაამარცხეს ამბოხებულმა ქართველებმა სომხებთან ერთად ტირანი მეფე ფარნაჯომი და მისი მოკავშირე სპარსელები, როგორ „მოიკლა“ იგი და დაჯდა ტახტზე მათთვის სასურველი პირი.

მეორე მაგალითი. მეთვრამეტე მეფე ამაზასპს „შეექმნა სილაღე, და იწყო მესისხლეობად, და მოსწყვიდნა მრავალნი წარჩინებულნი და ამისთვის მოიძულეს იგი ერმან ქართლისამან. და მტერ ექმნა იგი სომეხთა და შეიყუარნა სპარსნი. მაშინ განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრახისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა. ეზრახნეს ესე სომეხთა მეფესა, და ითხოვეს ძე მისი მეფედ, რამეთუ დისწული იყო ამაზასპისი. მაშინ სომეხთა მეფე ძალითა მრავლითა წარმოემართა ქართლად და მოირთო ძალი საბერძნეთითცა. და ეზრახნეს ოვსთაცა“[3]. ამჯერადაც ოპო-

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 29.
2 იქვე, გვ. 30.
3 იქვე, გვ. 57.

ზიციის მოქმედების წყალობით დესპოტი გვირგვინოსანი დამხობილ და მოკლულ იქნა.

ამ ორი მეფის ქმედებაზე საწინააღმდეგო რეაქცია მემატიანის მიერ აღქმულია როგორც უკანონო მოქმედების შედეგად გამოწვეული სამართლიანი, კანონიერი ქმედება. თანაც გავითვალისწინოთ: ტირან მიერ შელახულ იქნა არა ქრისტიანული რელიგია, არამედ ქართველთა წარმართული სარწმუნოება, რომლისადმი ქრისტიანი მემატიანე მტრულად ან უკეთეს შემთხვევაში ინდიფერენტულად უნდა ყოფილიყო განწყობილი. მაგრამ, ვიმეორებთ, გაკიცხულია სწორედ მეფეთა და არა ოპოზიციის საქციელი, თანაც დაგმობილია წარმართული რელიგიის ხელყოფა. ეს ორი აღნიშნული ეპიზოდი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეთხზულიყო გვიან, როცა ოფიციალურ პოზიციაზე იდგა ყველა ჩვენთვის ცნობილი ისტორიკოსი, მითუმეტეს ლეონტი მროველის მიერ XI საუკუნეში. ეს ეპიზოდები მოდის წარმართული ეპოქის მემატიანის ხელიდან. მათში ნათლად გამოსჭვივის პატრიოტული და ანტიტირანული განწყობილება. მისასალმებელი გარემოება გახლავთ ამ პოზიციის გადმოტანა ფეოდალური ხანის ქართულს ისტორიოგრაფიაში.

„მეფეთა ცხოვრების" პირველი თავი, როგორც ვიცით, ეძღვნება ქართველთა ლეგენდარულ, ბიბლიურ ისტორიას. ბევრ მატიანეთაგან განსხვავებით თხრობა პატრიარქთა შესახებ ძალზე მოკლეა. (სამაგიეროდ იგი გრძელია სუმბატ დავითის-ძის თხზულების „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა" დასაწყისში)[1]. ბაბილონის გოდოლის მარცხიანი აშენების შემდეგ რვა ძმანი თარგამოსიანები ჩრდილოეთისაკენ გაემართნენ. ეს გახლდათ თითქოს ჩვენი წინაპრების პირველი მიგრაცია (საერთოდ მიგრაცია ბიბლიური საისტორიო ცოდნა-წარმოდგენებით იმთავითვე აუცილებელი მომენტი იყო ისტორიული პროცესის გაშლა-გაღრმავებაში). მას შემდეგ, რაც არარატისა და მასისს შორის მდებარე არე-მარემ ველარ დაიტია გაზრდილი მოსახლეობა, შვიდი თარგამოსიანი (ჰაოსს გარდა) დაძრულან თავიანთი მომავალი მიწა-წყლისაკენ. შემდეგში მსგავსი ისტორია განმეორებულა ქართლოსიანთა შორისაც. აქ ხაზგასასმელია მემატიანის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის ზრდა, გაზრდილი მოსახლეობის მიერ სხვა ტერიტორიების დაკავება იწვევდა ეთნიკურ დიფერენციაციას. ეს აზრი უაღრესად ნაყოფიერი გახლავთ და აქტუალურია დღევანდელი მეცნიერების დონისათვისაც კი.

რასაკვირველია, ისტორიის გააზრება აღნიშნული სახით არ შეიძლებოდა შექმნილიყო ქართული წარმართობის ეპოქაში — ამ დროისათვის „ბიბლიის" ზემოქმედება ჩვენს კულტურაზე, კერძოდ ისტორიოგრაფიაზე გამოირიცხებო-

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 372-373.

და. მსგავსი შეხედულება, თუმცა ასე მწყობრად არა, გაჩნდებოდა უკვე ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის დამკვიდრების ახლო საუკუნეებში, ე.ი. უკვე „გვიან-ანტიკური“ ხანის ქართლში (ასევე ლაზიკაშიც). მაგრამ საბოლოოდ გაფორმდა XI საუკუნეში არმენოფილი ლეონტი მროველის მიერ.

შემდგომ თავში მოთხრობილია ქართლოსიანთა დამკვიდრებისა და ცხოვრების პერიოდი ქართლში „ხაზართა გამოსლვამდე“. ეს და მომდევნო პერიოდი ქართლში, ვითომდა ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენამდე გაგებულია და სახელდებულია მამასახლისობის პერიოდად. როგორ გაიაზრებოდა მემატიანის, თუნდაც ლეონტი მროველის, მიერ აღნიშნული ეპოქა?

ს.ჯანაშიას, შ.მესხიას, კ.გრიგოლიას, ი.სურგულაძისა და არჩ.ბარამიძის შეხედულებით ეს პერიოდი კერძოდ ლეონტი მროველის მიერ გაიაზრებოდა როგორც გვაროვნული წყობილების აყვავებულობის ხანა[1]. ეს მკვლევრები გამოდიან „მეფეთა ცხოვრების“ შემდეგი ფრაზიდან: „...და ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან“[2]. ა.კიკვიძის აზრით შეუძლებელია ლეონტი მროველის მიერ მოხსენებული მცხეთის მამასახლისი წინაკლასობრივ საზოგადოებაში მოვაქციოთ[3]. გ.მელიქიშვილის ძიხედვით „მამასახლისი“ უფრო ფეოდალური გვარის მეთაურის აღმნიშვნელი ცნებაა, ვიდრე გვაროვნული წყობილების დროინდელი ხელისუფლისა[4]. როგორც ო.ლორთქიფანიძე ფიქრობს, „მცხეთელი მამასახლისი“ მცხეთის საქალაქო თემის, მცხეთის სრულუფლებიან მოქალაქეთა კოლექტივის მეთაურია[5].

უძველეს ხანაში გვარები მოხსენიებულია ბევრ ხალხთან (მათ შორის ებრაელებთან, ბერძნებთან, რომაელებთან, კელტებთან, გერმანელებთან და ა.შ.). მაგრამ აქედან გვარის სტრუქტურის და საერთოდ გვაროვნული წყობილების გაგებამდე ძალზე შორია. არც ერთი ძველი და შუა საუკუნეების მემატიანე ოდნავადაც ვერ ჩასწვდომია გვაროვნული წყობილების არსსა და მისი წარმოშობის ისტორიას. მათი გაგება მხოლოდ XIX საუკნეში მოხდა ლუის მორგანის

---

1 ს.ჯანაშია, გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, შრომები, II, 1952, გვ. 117; კ.გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, 1957, გვ. 11,12; შ.მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მსკი, I, 1939, გვ. 64-65; ი.სურგულაძე, სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, 1951, გვ. 11-12; ა.ბარამიძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და პირველყოფილი თეშური წყობილების საკითხი ქართველ ტომებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXVI, №5, 1961, გვ. 631-38.

2 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 11.

3 ა.კიკვიძე, „ქართლის ცხოვრება“ თუ „ახალი ქართლის ცხოვრება“? „მნათობი“, 1957, № 4.

4 Г.Меликишвили, К истории древней Грузии, 1959, с. 35, 404. მანამდე ავტორიც იზიარებდა მამასახლისობის ინსტიტუტის გვაროვნულობას. იხ. მისი „საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის“, თბილისი, 1955, გვ. 20.

5 ო.ლორთქიფანიძე, მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXIX, 1968, № 6.

წყალობით. ფ.ენგელსის მტკიცებით გვარი წარმოიშვა ველურობის შუა საფეხურზე და აყვავდა ბარბაროსობის ქვედა საფეხურზე[1], ამის შემდგომ იწყება გვარის ინსტიტუტის დაცემა. ასე რომ, შემდეგ მთელი საზოგადოების მასშტაბით მხოლოდ გვაროვნული წყობილების გადმონაშთებთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, გვაროვნული წყობილების არსი კაცობრიობის გარიჟრაჟზე მშვენივრად იცოდნენ, მაგრამ ისტორიის მსვლელობაში ამ წყობილების დაშლა-დეზინეგრაციასთან ერთად ეს გაგება, ცოდნაც გაჰქრა. ამდენად აზროვნებას დიდი დრო და ენერგიის დახარჯვა მოუხდა გარდასული ისტორიული სინამდვილის (ამ შემთხვევაში გვარის) გასაცნობიერებლად. ეს საკითხის თეორიულ ასპექტს რაც შეეხება.

მივყვეთ „მეფეთა ცხოვრების“ ფაქტებს. ი.ჯავახიშვილის მიხედვით ლეონტი მროველი სარგებლობდა ფსევდოეფრემ ასურის „განძთა ქუაბით“, სადაც მეფის ხელისუფლება ab ovo იყო გამოცხადებული[2]. ნებროთზე გამარჯვების შემდეგო, გვიამბობს არმენოფილი მემატიანე, „და მაშინ ჰაოს ჰყო თავი თუისი მეფედ ძმათა თუისთა ზედა და სხუათაცა ნათესავთა ზედა, მახლობელთა საზღვართა მისთასა. ხოლო შვიდნივე ესე ძმანი წარვიდეს თუისთუისად ქუეყანად და იყვნეს მორჩილ ჰაოსისა“[3]. შემდგომში, ქართლოსის სიკვდილის მომდევნო ხანაში: „ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქვან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არგვისასა, და უწოდა სახელი თუისი მცხეთა. და დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არგუთაგან დასავლით ვიდრე ზღუადმდე სპერისა. და ესე იყო განმგე და უფალ მათ ოთხთავე ძმათა ზედა (იგულისხმება გარდაბოსი, გაჩიოსი, კუხოსი და კახოსი, გ.ყ.). და ესე ოთხნივე იყვნეს მორჩილ მისა“[4]; „ხოლო შვილთა ზედა კავკასისთა იყო უფალ დურძუკ, ძე ტირეთისი“[5]. მაგრამ ეს ცოტა მოვიანებით, „ხაზართა გამოსლვის“ წინა ხანებში.

ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ შიდა ქართლის, კერძოდ მცხეთის ტერიტორიაზე, მოსახლეთა საკმაოდ მაღალი მატერიალური განვითარების დონე — დიდი ხნის ბინადარი სამიწათმოქმედო ცხოვრება, მრავალდარგოვანი მიწათმოქმედება, ირიგაცია, რკინის მეტალურგია, ხელოსნობათა მაღალი დონე და ა.შ., რაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ თავსდება გვაროვნული წყობილების აყვავე-

---

1 ფ.ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები. ტ.II. 1950, გვ. 369.

2 ი.ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 183-184.

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 7.

4 იქვე, გვ. 9.

5 იქვე, გვ. 11.

ბულობის პირობებში[1], ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი საერთო (გვაროვნული) საკუთრებით მიწაზე და სხვ. ამიტომაც ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ „მეფეთა ცხოვრებაში“ აღწერილი მამასახლისობის ხანა არ უნდა იქნას გააზრებული გვაროვნული წყობილების პერიოდად. აღწერილი პერიოდი უნდა იყოს სასოფლო თემების გაერთიანებათა ხანა, ხოლო მამასახლისი ამ გაერთიანებათა მეთაური იყო. (სხვათა შორის, „მეფეთა ცხოვრებაში“ ლაპარაკია თანასწორობაზე ამ უკანასკნელთა, ე.ი. მამასახლისთა შორის). მაგრამ თავის მხრივ ეს უკანასკნელნი შეუძლებელია გავიგოთ ანტიკური საქალაქო თემის ცნებით (მარქსისეული გაგებით), როგორც ამას ცდილობს ო.ლორთქიფანიძე თავის ზემოაღნიშნულ სტატიაში. ამისათვის ჩვენ არავითარი მონაცემები არა გვაქვს[2].

მამასახლისობის პერიოდის შესახებ ჩვენი ცოდნა არასგზის არ შეიძლება გვიანი ხანის მემატიანის შეთხზულად წარმოვიდგინოთ (როგორც დავინახეთ, კ.კეკელიძე ტერმინ „მამასახლისს“ მოვსეს ჩორენაცის „ისტორიიდან“ გადმოტანილად თვლიდა). მისი ხსოვნა შემოინახა უძველესმა საისტორიო ტრადიციამ. აქედან ნათლად ჩანს, რომ ეს ტრადიცია მხოლოდ მშრალი ფაქტების რეგისტრაცია როდი გახლდათ მეფეთა საქმეებისა. აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ცალკე თავი „გამოსლვა ხაზართა“. თუ „ხაზარებში“ მართლაც ისტორიულ, ჩვენთვის კარგად ცნობილ ხაზარებს ვიგულისხმებთ, მაშინ აშკარად დიდ ისტორიულ ანაქრონიზმთან გვექნება საქმე და ამდენად თხზულების ამ თავს არავითარი საისტორიო წყაროს ფასეულობა არ ექნება. მაგრამ ჯერ კიდევ 1823 წელს ი.კლაპროთმა „ხაზარებში“ და მათს შემოსევებში იგულისხმა სკვითთა შემოსევანი წინა აზიაში (მოგვიანებით, 1905 წელს ეს აზრი გაიმეორა მ.ჯანაშვილმა, ხოლო 1959 წელს გ.მელიქიშვილმა). მართლაც აღნიშნულ თავში დაცული ჩანს ზოგიერთი ისტორიული რეალია[3]. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაშიც თავს იჩენს ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია. (აი, ზოგიერთი ეს რეალია: „ამისსა შემდგომად ხაზართა იჩინეს მეფე, და დაემორჩილნეს ყოველნი ხაზარნი მეფესა მას ჩინებულსა მათსა“; „წარტყუენეს ქუეყანა თარგამოსიანთა

---

1 იბერიის სტრაბონისეულ აღწერილობაში უნდა ვიგულისხმოთ უმთავრესად არა გვარები, არამედ დიდი ოჯახები (შესამე და მეოთხე გენოსებში).

2 ო.ლორთქიფანიძის თვალსაზრისი წყაროთმცოდნეობითი პოზიციიდან სწორედაა გაკრიტიკებული შ.მესხიას მიერ სტატიაში „ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ“.

3 ამ მხრივ ძალიან შორს მიდის ვ.კოვალევსკაია, რომელიც ბუნ-თურქებს სკვითებად თვლის. იხ. ავტორის სტატია „Скифы, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем по данным Леонти Мровели“, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1975, № 3. ბუნ-თურქები აშკარად თურანელებს უკავშირდება და შესაბამისი ეპიზოდი სულ სხვა მიზეზითაა ჩართული „მეფეთა ცხოვრებაში“. სხვათა შორის „ქართლის ცხოვრებამ“ იცის „სკვითე“ (ქეყანა). იხ. გვ. 43.

(ხაზარებმა)"; „და დაეშენა უობოს: და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი, და იგი არს ოვსეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასისი"; აფრიდონმაო „მოსრა ყოველი რაოდენი ხაზარი პოვა ქართლსა შინა" (შეიძლება იგულისხმებოდეს სკვითებისა და მიდიელების დაპირისპირება); ლაპარაკია სპარსთა ახალ გაძლიერებაზე (იგულისხმება მიდიის დაცემის შემდეგ სპარსელების აღზევება), შემდეგ შესაძლოა პართიის გაძლიერებაზე, რომელთა მეფე „იცნობების არდაშირობით"[1] და სხვა). ამავე საისტორიო ტრადიციამ შემოინახა ქართლში რამდენიმე ("ეჭუსი") ენის გავრცელების ფაქტი. (პირველად ეს მიუთითა გ.წერეთელმა თავის „არმაზის ბილინგვაში").

შემდგომი თავი „შემოსლვა ალექსანდრესი" შესაძლოა დაწერილ იქნა ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებული მსოფლიო-ისტორიული სქემის (მესამე პერიოდი — ბერძენ-მაკედონელთა ბატონობის პერიოდი) გავლენით. ყოველ შემთხვევაში მასში აისახა ადგილობრივი რეალიებიც. კერძოდ ქართლის სამეფოს წარმოქმნა, როგორც ეს აღიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, უკავშირდება ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობაოა შედეგად აქემენიანთა ირანის დაცემას, დიადოქოსთა ეპოქას. ქართლი, როგორც ჩანს, პონტოს სამეფოსთან მეტოქეობაში ეყრდნობოდა სირიის ("ასურასტანის") სამეფოს. ("ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა ძღუენი დიდძალი. და აღუთქუა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძღუენი მისი, და უწოდა შვილად თუისად, და წარმოსცა გვირგვინი. და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეეწეოდიან ფარნავაზს"[2]. „და მსახურებდა იგი (ფარნავაზი) ანტიოქოსს, მეფესა ასურასტანისასა"[3].

„მეფეთა ცხოვრების" მეორე ნაწილის უმეტესი თხრობა, როგორც ცნობილია, ეხება ქართლის გაქრისტიანების ამბავს. ფეოდალური ეპოქის მემატიანის ცნობიერებაში ეს ისტორიული აქტი გარდამტეხი ტეხილი გახლდათ, რითაც აიხსნება მოვლენისადმი ესოდენ დიდი ყურადღება, ინტერესი. „წმიდა ნინოს ცხოვრება" რომ დასრულებული სახით IX საუკუნეში შეიქმნა და მასში აისახა ქართველთა ეროვნული თვითდამკვიდრების თვალსაჩინო ფაზა (ბიზანტიელებთან და სომხებთან დაპირისპირების გზით) ეს ჩვენში არავითარ შესიტყვებას არ იწვევს. მაგრამ თავის მხრივ ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ გარკვეული ისტორიული მარცვალი, ბირთვი ამ თხრობაში არ ასახულიყოს. ქართველებს ქრისტიანობის მიღებამდე გააჩნდათ თავიანთი საისტორიო ტრადიცია, რომე-

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 11, 12, 13, 16.

2 იქვე, გვ. 23. მემატიანეს სწორად აქვს აღნიშნული სომხეთის ყოფნა სელევკიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში.

3 იქვე, გვ. 25. იხ. აგრეთვე გვ. 27 (მეორე მეფე საურმაგის მიმართ).

ლიც საერო ცხოვრებას გადმოსცემდა. ამ ტრადიციამ თავი იჩინა ქარისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიის ისტორიის თხრობაშიც. მას შემდეგ რაც ეს რელიგია ოფიციალურად, სახელმწიფოებრივად იქნა აღიარებული, საეკლესიო მოღვაწეებსა და მორწმუნეებს საჭიროდ უცვნიათ შესაბამისი ფაქტების აღნუსხვა და შთამომავლებისათვის გადაცემა. მაგრამ მთელი საუკუნეების განმავლობაში წმინდა ნინოსთან დაკავშირებული ფაქტები დიდ ინტერესს, როგორც ჩანს, არ იწვევდა. როდესაც ქართველთა ეროვნული თვითშეგნება ძალზე გაიზარდა, მათ შორის ბიზანტიელებთან და სომხებთან კონფრონტაციის საფუძველზე, ახალმა ისტორიულმა სიტუაციამ ძალზე აქტუალიზებული გახადა ჩვენი გაქრისტიანების მოვლენასთან დაკავშირებული ფაქტები, რამაც გამოიწვია მათი თხრობის ფართოდ გავრცელების საჭიროება. ბევრი რამ ჩვენი ეკლესიის ისტორიიდან გამოგონილ იქნა და ეს გამონაგონი ოსტატურად შეუფარდეს ქართულ ისტორიულ სინამდვილეს (მაგალითად მცხეთელი ებრაელების ჩვენში დიდი ხნის წინათ ცხოვრების ფაქტი). მაგრამ, ვიმეორებთ, რაციონალური ისტორიული მარცვალი უთუოდ არსებობდა[1], რაშიც გამოვლინდა ჩვენ ისტორიოგრაფიული ტრადიციის ხანგრძლივი არსებობა და სიმდგრადე. „ნინოს ცხოვრების" თემას კი დამოუკიდებელი, თავისთავადი მნიშვნელობა როდი ჰქონდა, სხვანაირად იგი ოდენ საეკლესიო ისტორიისათვის კი არ იყო ფასეული, არამედ სამოქალაქო ისტორიისათვისაც ("სამოქალაქოს" იმდროინდელი მნიშვნელობით). ამიტომაც ეს თხზულება ყოველ შემთხვევაში უკვე XI საუკუნეში ჩვენმა მემატიანემ შეიტანა „ქართლის ცხოვრებაში".

თუ ვახტანგ გორგასლამდე ერთი საისტორიო თხზულება არსებობდა, სადაც გაბმით იყო მოთხრობილი ქართველ მეფეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი მომენტები, ამ მეფიდან მოყოლებული უშუალოდ უკანასკნელის შესახებ ცალკე თხზულების შეთხზვა უცვნიათ საჭიროდ, რამეთუ იგი „უმეტეს სახელგანთქმული გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა"[2]. ამის შემდეგ თხრობა კვლავ გაბმით ცალკეულ მეფეთა res gesta-ს მიხედვით წარმოებს, 44-ე მეფე არჩილის (სტეფანოზის ძის) ჩათვლით, რამდენადაც ამ უკანასკნელის

---

1 დიმიტრი ბაქრაძე თვლიდა, რომ ბიზანტიური და სომხური წყაროები ქართლის მოქცევის შესახებ ქართულზე იყო დამოკიდებული. ამავე დროს მას დასაშვებად მიაჩნდა „ნინოს ცხოვრების" შექმნა აღწერილი ფაქტების თანადროულად, ვინაიდან წარმოუდგენელი იყო, ბაქრაძის შეხედულებით, თავიდანვე არ ყოფილიყო ფიქსირებული ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენა. იხ. ავტორის „ისტორია საქართველოსი", 1890, გვ. 120. ასევე ფიქრობდნენ ე.თაყაიშვილი და მ.ჯანაშვილი. მოგვიანებით ეს აზრი გაიმეორა ს. ყაბაძემაც. როგორც ჩანს, „ნინოს ცხოვრების" თანადროულობას შესაბამის ფაქტებთან იზიარებს გ.წულაია. იხ. უკანასკნელის სტატია „Житие св. Нины" как источник по истории народов Кавказа", „მაცნე", ისტორიის... სერია, 1979, № 3.

2 კ.კეკელიძის აზრით ძველი თხზულება შეიცავდა ვახტანგ გორგასლის ცხოვრებასაც.

მოწამეობრივი აღსასრული მეტი ყურადღების ღირსად უცვნიათ, თანაც „წიგნი ესე წამებისა მისისა იპოვა (ავტორმა, გ.ყ.) ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელ ჟამთა შლილობითა ჯერისაებრ ვერვის აღეწერა"[1]. წამებული გვირგვინოსნის ცხოვრების შესახებ თხრობა განუვრცია თ. შესაძლოა ეს გააკეთა ლეონტი მროველმა, როგორც ეს ჯუანშერის ნაშრომის ბოლოსაა მიწერილი[2].

ამის შემდეგ თხრობას აგრძელებს „მატიანე ქართლისაჲ". მემატიანე გადმოსცემს აფხაზეთის სამეფოს (მანამდე სამთავროს) ამბებსაც, რაშიც ეყრდნობოდა აფხაზ მეფეთა შესახებ მატიანეს[3]. ამაში თავი იჩინა ქართული კულტურის, კერძოდ ისტორიოგრაფიის ზეგავლენის არეალის გაფართოებამ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ დავასკვნით, რომ ქართული ისტორიოგრაფიის საწყისები მოდის ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს წარმოშობიდან და რომ შექმნილი ტრადიცია არ შეწყვეტილა. ეს გარემოება გასაგებს ხდის ჩვენი ისტორიოგრაფიის დიდ აღმავლობას XI-XII საუკუნეების მანძილზე. თავის მხრივ სამამულო ისტორიოგრაფიის ასეთი განვითარება ერთ-ერთი ფაქტორი გახდა ქართული ერის ჩამოყალიბებისა, რასაც ადგილი ჰქონდა უკვე ჩვენი ისტორიის ოქროს ხანაში.

1 986 წ.

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 248.
2 იქვე, გვ. 244.
3 იქვე, გვ. 265.

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
გეოგრაფიული ფაქტორის როლი საქართველოს ისტორიულ პროცესში	9
სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში	47
საქართველოში „ადრეკლასობრივი“ საზოგადოებიდან ფეოდალიზმზე გადასვლისას სოციალური რევოლუციის პრობლემისათვის	69
ქართული ცივილიზაციის ადგილი მსოფლიო-ისტორიულ პროცესში	92
ქართული ფეოდალიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხი	113
ეთნიკური ფორმები წინაკაპიტალისტური ხანის საქართველოში	136
აღმოსავლური რენესანსის საკითხისათვის	169
კლასობრივი ბრძოლის საკითხი „ადრეკლასობრივი“ და ფეოდალური ხანის საქართველოში	181
„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და „მეფეთა ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის	204
საისტორიო ცოდნის განვითარება ძველ საქართველოში	214

Гурам Васильевич Коранашвили
Вопросы истории Грузии
(часть I)

Guram Koranashvili
The Problems of Georgian History

მხატვრული რედაქტორი დალი ქადაგიშვილი
დააკაბადონა თენგიზ ჩოლოყაშვილმა

გადაეცა ასაწყობად 6.05.94. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.06.94.
ქაღალდის ზომა 60x84 1/16. ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15. ტირაჟი 3000
შეკვეთა №128

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

ფასი სახელშეკრულებო

საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიული და საგამომცემლო
კორპორაციის თბილისის №1 სტამბა,
გიორგი ჩუბინაშვილის ქ.№50